შოთა რუსთაველის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

თხზულებათა სრული კრებული

ოც ტომად

თბილისი
2007

ილია ჭავჭავაძე

თხზულებანი

ტომი XV

პუბლიცისტური წერილები

(სავარაუდონი)

1879-1904

"ილიას ფონდი"
2007

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა
აკადემიური გამოცემის
სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი
ირმა რატიანი

გიორგი აბაშიძე
ანდრო ბედუკაძე
როსტომ ჩხეიძე
ზურაბ ჭუმბურიძე

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს †ლეილა სანაძემ, მაია ნინიძემ და ნანა ფრუიძემ

ტომის რედაქტორი ზურაბ ჭუმბურიძე

„ილიას ფონდი“ (თავმჯდომარე ანდრო ბედუკაძე)
2007

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

პუბლიცისტური
წერილები
(საჯარიაულითნი)

1879 წელი

ქართული ტრუპპის შესახებ

დიდის ყურადღებით, დიდის ინტერესით ვადევნებდი თვალს ქართულ წარმოდგენებს. სასიამოვნო იყო ჩემთვის საზოგადოების მხრით იმნაირი თანაგრძნობა, რომელსაც ის უჩენდა ქართულ ტრუპპას. ვხედავდი და ეხლაც ვხედავ, რომ საზოგადოებაც საჭიროებს ქართულს თეატრში, რომ ეს საჭიროება უნდა უსათუოდ დაკმაყოფილდეს, — და აი, საზოგადოების მოთხოვნილებამ კიდეც გამოიწვია რამოდენიმე მოთამაშე სცენაზე, რომელნიც სეკტემბრიდამ სამუდამო ტრუპპას შეადგენენ.

მე მინდა მოთამაშე პირზე შემდეგის ტრუპპისა წარმოვსთქვა რამოდენიმე აზრი, იქნება სასარგებლო იქნეს და გთხოვ, უ. რედაქტორო, ამ ჩემს შენიშვნებს მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ჩემზე ქართულის ტრუპპის წარმოდგენებმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს. „ანსამბლს“ რომ იტყვიან, ერთობა არ არის მათ წარმოდგენებში. ურეჟისორობა, თეატრის და სცენის უცოდინარობა მომეტებულ შესამჩნევათ დავინახე და ნურას უკაცრავათ, თუ ვერაფერი კარგი აზრის ვიქნები თვითონ მოთამაშეებზე. ამათში ნიჭი არის და ნამდვილი ნიჭიც, მაგრამ ვერცერთ მათგანს ვერ მოუხერხებია სცენაზე თავისი ნიჭის მოხმარება. მე რომ ვატყობ, ჩვენს აქტიორებს ჰგონიათ, რომ უბრალო საქმისათვის მოუკიდნიათ ხელი, ისე გულგრილათ ეკიდებიან თავიანთ წარმოდგენებს. — მაგ. მე ვერ ვიტყვი რომელიმე მათი წარმოდგენა კარგათ წასულიყოს, ყველას ან მომეტებულ მათგანს როლები არ სცოდნიათ; ერთი ვერ ახერხებს სცენაზე დაჯდომას და ადგომას, მეორე გავ-

ლას, ერთს არავითარი მანერები არა აქვს, მეორეს მანერები აქვს, მაგრამ უხეირო, მოუხერხებელი. სცენაზე ეს ნაკლულევანება ძალიან დიდ ნაკლულევანებათ ჩაითვლება. ერთს მათგანს ხმის აწევა და დაწევა არ შეუძლია, ე. ი. სულ ერთს დონეზე ლაპარაკობს, მეორე ხმას რომ აწევს, ჭყივილი გამოდის, მესამე ბღავის და სხვ.

როგორც აქტიორს, რომელსაც ხეირიანათ ვერ შეუსწავლია თვითონ სცენა, თეატრი, არ იცის თავის ხმის ძალა, ვერ ხმარობს მას, არა აქვს მანერები და სახის გამომეტყველება ნიადაგ ერთიდაიგივე აქვს, მე იმას აქტიორს ვერ დაუძახებ, თუ თქვენი ნებაც იქნება...

ყველა ზემომყვანილი ნაკლულევანები შემიმჩნევია მე და ამისათვის ძალიან მიკვირს გაზეთებში და საყოველთაოდ ამათი ქება.

ახლა გავარჩიოთ სათითაოდ:

უ. კ. ყიფიანი — ნიჭიერი აქტიორია, მოხუცებულების როლებს მშვენივრად თამაშობს, განსაკუთრებით ხელოვნურათ წარმოადგინა გიქოს როლი „პეპოში". სხვა პიესებში ნაკლებ არდგენს, ამ აქტიორს ყველაზე უფრო ეტყობა როლების უცოდინარობა. ეს საძაგელი თვისებაა ამ აქტიორისა. ეს შეურაცყოფაა მაყურებლის და, მე მგონია, მაყურებლებმა უნდა უშტვინონ იმ აქტიორს, რომელმაც როლი არ იცის, და გააგდონ სცენიდამ. ჩემის აზრით, ამაზე მეტს დანაშაულობას ვერ იქმს აქტიორი სცენაზე. ამაზედ ურჩევ უ. ყიფიანს, კარგათ დაფიქრდეს. მე იმისთვის ფულს ვიხდი და მოვდივარ თეატრში, რომ დავკმაყოფილდე სულიერათ, სულ სხვა ცხოვრებამ გამიტაცოს და არა მისთვის, რომ პირდაღებულ კაცს შევაცქერდე სცენაზე. უ. ყიფიანს სხვებზე უფრო მანერებიც აქვს.

მ. საფაროვის ქალი — ნიჭია, მაგრამ ერთგვარი, თუ იმისთანა როლები არ მისცეს, სადაც გაბუტვაა, თავის მოკატუნება, პრანჭიობა, სხვა როლებს კარგათ ვერ თამაშობს. ერთის სიტყვით, ნამდვილი ვოდევილის აქტრისაა და ხომ სულ ვოდევილებს არ ითამაშებს ტრუპპა, ქართული ტრუპპა ვალდებულია უფრო სერიოზული პიესები წარმოადგინოს, თორემ ვოდევილები

მალე მობეზრდება საზოგადოებას და გული აუცურდება თვითონ თეატრზე. სერიოზულ პიესებში, დრამაში სრულიად გამოუდეგარია საფაროვის ქალი. ამისათვის მაგის ნიჭს ერთგვარ ნიჭს ვარქმევ.

უკანასკნელ წარმოდგენებში მე შევნიშნე, რომ თავის ხასიათის როლებსაც ვერ თამაშობს ისე, როგორც წინეთ. ამასთანავე, ხშირათ ეტყობა გადაჭარბება და მომეტებული გრეხა სცენაზე; ძალიან შეყვარებია ტაშის კვრა და ყოველს ღონისძიებას ხმარობს გადაჭარბებით გამოიწვიოს ეს ტაშის კვრა. საფაროვის ქალის მანერები მე არ მინახამს. ერთ-ერთი მაგის მანერაა: ხელს ააშვერს ჰაერში და თავსა და წელს მოღუნამს, ასე გეგონებათ მეტანიას შვრებაო, ჯავრობს თუ ოცნებობს, დამშვიდებულათ ლაპარაკობს თუ აღელვებულად, სულ ერთი მანერა აქვს.

მ. ყიფიანისა — გამოსადეგი და ჩინებული აქტრისა იქნება, თუ სცენაზე სიმღერას გადაეჩვია — ასე გეგონებათ, კი არ ლაპარაკობს, მღერისო, ისრე აგრძელებს სიტყვებს, — ეგ ცუდი თვისებაა მოთამაშისა და ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს მაცქერალზე. ამ აქტრისას ბევრი გრძნობა აქვს და სახის გამომეტყველება თამაშის დროს. დრამატულ როლებს ითამაშებს, ე. ი. არ წაახდენს თავის როლს, თუ სიმღერას თავი დაანება. მანერების შესწავლაც სჭირია.

ნ. გაბუნიას ქალს — სცენიკური ნიჭი აქვს, მაგრამ თავისი როლის გაგება ვერ შეძლებია; (რამდენჯერ მინახამს ის სცენაზე, თუ გორში, თუ თფილისში და გამკვირვებია) ზოგიერთს მონოლოგს, სცენას ხელოვნურათ ასრულებს, მაგრამ იმავე როლში სხვა ალაგას საძაგლად თამაშობს. ეს არის როლის გაუგებრობა, მისი ხასიათის უცოდინარობა.

გაბუნიას ქალს არ ესმის უბრალო წესი სცენისა. მე შევამჩნიე, რომ ის მარტო სიტყვებს აქცევს ყურადღებას თავის როლში და არა ამ სიტყვების წარმომთქმელის ხასიათს. ბევრი სწავლა სჭირია კიდევ გაბუნიას ქალს, სანამ ის ნამდვილ აქტრისად ჩაითვლებოდეს.

ხმა მშვენიერი აქვს, მაგრამ არც ერთი სიმღერის კილო ხეირიანად არ იცის; — ჩვენ ურჩევთ, სცენაზე

სამღერათ ნუ გამოვა, სანამ ერთ ლექსს მაინც არის დაიზეპირებს და სიმღერის კილოს ჰანგს ხეირიანად არ შეისწავლის.

უ. ვ. აბაშიძე — რომ ნიჭიერი აქტიორია, ამაზე ყველა დამეთანხმება, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სცენაზე, მაგრამ ერთხელ და ორჯერ რო ნახამ, მერმე აღარ საჭიროებ მის ნახვას, რადგან ის სულ ის არის, რაც პირველზე ან მეორე წარმოდგენაზე. ყველა როლებში ერთი მანერა, ერთი ხმა, ერთი კილო ლაპარაკისა, ერთნაირად გაჯავრება, ერთი სიცილი.

ამას გარდა, მე ბევრჯელ მინახავს აბაშიძე სცენაზე და თანდათან ვატყობ გადაჭარბებას; ეს გადაჭარბება იმ ზომამდი მიაღწევს ხანდახან, რომ ვ. აბაშიძე ვაცივით დახტის სცენაზე, იქნება ეს ხელოვნება ეგონოს უფ. აბაშიძეს? უკანასკნელად ვოდევილებში ვნახე, სადაც ხალხი სკდებოდა სიცილით, მისი მაცქერალი. მაგრამ აბაშიძის თამაში არ იყო ნამდვილი გამომხატველი იმ პირებისა, რომლებსაც ის არდგენდა, არამედ რაღაც ღრეჭა, მანჭვა და ხტუნვა სცენაზე. ბელინსკი რო ცოცხალი და ჩვენებური კაცი ყოფილიყო და ენახა უ. აბაშიძის თამაში, თმაში ხელწავლებული გამოიქცევოდა თეატრიდამ და მეორე დღეს დაიყვირებდა თავის სტატიაში:

,,ეს ხელოვნების შეურაცყოფა არისო!''

თუ აბაშიძემ მიატოვა თავისი გადაჭარბება და გრეხა, მაშინ ის დაუფასებელი აქტიორი იქნება ქართული სცენისათვის და თუ მე ასე მკაცრად ვამბობ ჩემს აზრს იმაზე, ეს იმიტომ, რომ ამას აქვს ნიჭი და თვითონვე ღუპავს ნიჭს.

უ. შიშნიაშვილი — გვარიანათ თამაშობს სულელებისა და იდიოტების როლებს, უბრალო მოსამსახურეებს და სხვა ამგვარებს. ეტყობა ნიჭი აქვს. გამოსადეკ აქტიორს რომ იტყვიან, ის არის.

უ. მაჩაბელზე შორს არის სცენიკური ნიჭი. ვერცერთ როლში ვერ დავკმაყოფილდი მისი თამაშით. მომეტებულ ცუდათ არდგენს პეპოს როლს: მოჰყვება ყვირილს და ჰყვირის, ასე გონია, თუ იყვირა და ყველას გააგონა თავის გულისთქმა, კარგათ თამაშობსო!

ასე უგრძნობელად, ხესავით გაშტერებული მე არავინ მინახამს.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაგისთანა პირებიც საჭიროა ტრუპპისათვის, ყველა ხომ ნიჭიერები არ იქნებიან და ყველა როლებიც არ თხოულობს მაინც და მაინც კარგ ნიჭიერ მოთამაშეს.

უ. ცაგარელი — კარგათ თამაშობს გლეხკაცების როლებს, სხვა როლებში არ მინახამს. და თუ სხვა როლები ვერ ითამაშა კარგათ, მაშინ ეს პირი ბევრათ არ იქნება საჭირო ტრუპპისათვის, — ჩვენში ბევრი მოიძებნება ცაგარელზე უფრო ნიჭიერათ აღმასრულებელი გლეხების როლებისა.

უ. კ მესხზე ვერას ვიტყვი, რადგან ის მარტო ერთს ვოდევილში ვნახე და ძალიან მომეწონა თავისი თამაშით. ჩემთვის საჭიროა რამოდენჯერმე ვნახო, რომ დავაფასო ამ აქტიორის ნიჭი.

ბ. კორინთელის ქალი — სცენაზე არ გამოისვლება.

აი ეს არის ჩვენი ტრუპპის არტისტები, ცალ-ცალკე რომ გავარჩიეთ, ბევრათ ნაკლულევანება არ გამოვიდა, მაგრამ, როდესაც ყველას ერთად შევკრებთ, მაშინ მომეტებულიც აქვსთ.

თავდაპირველად საჭიროა რეჟისორი და იმისთანა, რომელმაც ყველა ამ არტისტებზე უკეთ იცოდეს — რა არის თეატრი, სცენა და სცენაზე თამაში, შეეძლოს გააგებინოს თხზულება, რომლის წარმოდგენასაც ემზადებიან.

წარმოიდგინეთ ჩვენი აქტიორები არდგენენ, თამაშობენ და არ იციან — რას თამაშობენ, პიესას არ იცნობენ, ან ვერ გაუგიათ მისი შინაარსი. რასაკვირველია, ამისთანა გონებაგაუხსნელობა ბევრს ავნებს ჩვენს თეატრის საქმეს, თუ გონიერი და თეატრის მცოდნე კაცი არ იქნება რეჟისსორად. ყველას სჭირია მანერების შესწავლა, მიხვრა-მოხვრის, თავისი ხმის თავისუფლად მოხმარება და სულ ამგვარი პირველდაწყებითი კანონები სცენიკური ხელოვნებისა.

ხალხი, საზოგადოება ძალიან თანაუგრძნობს ამ საქმეს და თუ არ მოიშალეს ასე ყმაწვილური უზრუნველობა თავის მოვალეობის აღსრულებისა ჩვენმა არტისტებმა, მაშინ გამოეთხოვონ საზოგადოების თანა-

გრძნობასაც. მოთამაშეებს უნდა იმის გაგება, რომ ის საქმე, რომლისთვისაც მათ ხელი მოუკიდნიათ, ასე ადვილი და პატარა არ არის; ყოველი საზოგადო საქმე ბევრს ვალდებულებას ადებს კაცს, უმეტეს ყველასა — თეატრის საქმე. საზოგადო საქმეში საჭიროა ყველაზე უფრო სინდისი და ცდა და თუ ამასთან ნიჭიც მოსდევს კაცს, ძალიან კარგია, — აი, ნიჭი არის ჩვენს ტრუპპაში და თუ ამასთან სინიდისიანად ეცდებიან თავის მოვალეობის უკეთ აღსრულებას, ვინემ აქამდის ასრულებდნენ, მაშინ საზოგადოების თანაგრძნობას საზღვარი აღარ ექნება; წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის სანატრელი იქნება, რომ ეს ტრუპპა სულაც არ დაწესდეს, რადგან თეატრის საქმეს ესენი მარტო ვნებას მოუტანენ.

უკანასკნელი შენიშვნა: მოთამაშეების რიცხვი ძალიან ცოტაა, ცოტათი დიდი პიესის წარმოდგენას ვერ მოახერხებენ. ჩემი აზრით, საჭიროა კიდევ ორი აქტრისა და სამი აქტიორი.

ქართული თეატრის მოყვარული
თბილისი, 9 აგვისტო

[1879]

1880 წელი



რა გავაკეთეთ ბათუმში?

25 აგვისტოს 1878 წელს რუსის ჯარმა პირველად შესდგა ფეხი ბათუმში; მაშასადამე ახლა სწორეთ ერთი წელიწადი და ნახევარია მას აქეთ, რაც ბათომის მაზრაში დამყარებულია ჩვენი მმართებლობა; წელიწადნახევარია, რაც ეს ძველი ნაწილი საქართველოისა ისევ დაუბრუნდა თავის დედა-ხალხს და გამამადიანებული ქართველები ხელახლად დაუძმობილდნენ თავის ქრისტიან მოძმეებსა.

ყველას ახსოვს ის აღტაცება, ის სიხარული და კმაყოფილება, რომელიც ამ გარემოებამ, ამ დაკარგულ ძმების პოვნამ აღძრა მაშინ ჩვენში. ყველას ახსოვს ის მართლა ძმური სიყვარული, რომელიც წარჩინებულ ქართველებმა გამოუცხადეს იმ დროს დეპუტაციათ ჩამოსულ რამდენსამე ბათუმელებს და ქობულეთლებს, როდესაც ერთს აქაურს კლუბში სადილი გაუმართეს მაშინ, როდესაც ტკბილ სიტყვებსა და საიმედო ნუგეშებს სამზღვარი არა ჰქონდა; მოხუცებულებიც კი თამაშობდნენ, ხტოდნენ მომეტებულის კმაყოფილებისაგან.

ყველას ანუგეშებდა მაშინ ის ტკბილი იმედი, რომ ჩვენ ვიპოვნეთ დიდი ხნით უსამართლო ბედისაგან მოტაცებული ძმები და შემდეგში ისევ ერთად, ძმურად და მოყვრულად ვიცხოვრებთო; ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს შეერთება იმათთვისაც კარგი იქნება და ჩვენთვისაც, იმათაც გამოაღვიძებს და ჩვენც, იმათაც დაანახებს თავის ვინაობასა და ჩვენც, იმათაც განუახლებს ძველ ქართველობის სულსა და მხნეობასა და ჩვენც და სხვ.

გავიდა ხანი. განქრა პირველი აღტაცება. დიდი უბედურება, ბევრი გაჭირება, შიმშილი, წყურვილი, სიტიტვლე, სიცივე გამოსცადეს იმთავითვე ჩვენმა მოძმეებმა. ბევრმა იმათგანმა, მიატოვა თავის მამა-პაპეული ადგილ-მამული, მიწა-წყალი; ბევრი გადაიხვეწნენ ოსმალეთში.

და ჩვენ, იმათი მოძმეები, რას ვშვრებოდით ამ დროს? რითი დაუმტკიცეთ, რომ ჩვენ მართლა ნამდვილი ძმები, ერთ მიწისშვილნი, ერთ-სისხლნი ვართ იმათი? ბევრით არაფრით, თუ იმას არ ჩავაგდებთ სათვალავში, რომ მთელს ქართველობაში რაღაც ორასიოდ თუმანი მოვკრიბეთ ხელისმოწერით იმათ სასარგებლოდ, პირველი აღტაცების შემდეგ ჩვენ დაგვავიწყდა ყოველი ღვთიური და კაცობრიული მოვალეობა ჩვენი მოძმეების წინაშე. დაგვავიწყდა, რომ ახალნაპოვნ ძმას მოვლა, პატრონობა, გზის ჩვენება, ჩვენი თავის გაცნობა და შეყვარება უნდა. დაგვავიწყდა, რომ ასე მიტოვება იმათი განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ყოველის მხრით მოდიან იმათთან და ეჩურჩულებიან, უქადაგებენ – გადმოდით ოსმალეთშიო, გადმოსახლდითო, აქ დარჩენა და ცხოვრება თქვენ ხელს არ მოგცემთო, დაგვავიწყდა-მეთქი, რომ ამ დროს მიტოვება ამ ხალხისა ჩვენის მხრით დიდი წინდაუხედაობა იყო, დიდი შეცოდება და დაბრკოლება.

ერთი სიტყვით, ჩვენ დავივიწყეთ ყოველი ნაციონალური მოვალეობა იმათ შესახებ.

მეორეს მხრით, საუბედუროთ, ვერც პირველმა გამგეობამ და პირველმა იქ დაყენებულ ჩინოვნიკებმა დაიმსახურეს ადგილობრივ ხალხის თანაგრძნობა და სიყვარული თავის მოქმედებითა, გამგეობითა და ხალხის მოპყრობითა. იქაური ჩვენი მმართებლობის წარმომადგენელი პირები ერთობ ჩინოვნიკები გამოდგნენ (ყველაზე არ მოგახსენებთ), ერთობ ვიწროთ აღმსრულებელნი თავიანთ ოფიციალურ თანამდებობისა, ერთობ ჩინოვნიკურად მყურებელი ხალხისა და იმის ბედისა; ამათთვის საკმაო იყო და არის, თავის პირდაპირი ჩინოვნიკური მოვალეობა შეასრულონ, მიწერ-მოწერა იქონიონ თავის უფროსებთან და ხალხთან მძიმედ, მედიდურად დაიჭირონ თავი. თითქმის არც ერთი ნაბიჯი არ ნახულა ჯერ ამათგან ისეთი, რომელშიაც ჩნდეს, რომ მართლა ამ დაჩაგრულ ხალხისათვის გული შესტკივათ, რომ ისინი ზრუნვენ ხალხის სიკეთესა და კეთილდღეობისათვის.

ამ ერთის წლისა და ნახევრის განმავლობაში რა გავაკეთეთ სამამადიანო საქართველოში? რა საშუალება ვიხმარეთ შიმშილისაგან მამაკვდავ ხალხის შესაწევნელად? მთავრობამ დაურიგა ხალხს სესხად რამდენიმე ათასი ფუთი სიმინდი, — მხოლოთ.

გავმართეთ ჩვენ ბათომის მაზრაში ერთი სახალხო შკოლა მაინც? — არა.

გავიყვანეთ სასოფლო გზები? — არა.

გავამშვენიერეთ, გავასუფთავეთ ქალაქები: ბათომი, ართვინი, ქობულეთი და სხვ.? — არა.

აღმოუჩინეთ ცხოვრების წყარო ათასს დამშეულს, ომისაგან დაღუპულს, მტერ-მოყვრისაგან დაჩაგულს? — არა.

წესიერება შემოვიღეთ ადგილობრივ აღებ-მიცემობაში? — არა.

დავეხმარეთ რომელსამე წარმოებას? — არა.

ერთის სიტყვით, თითქმის არცერთის ფაქტით, არცერთის სახსრით და ჩვენის მოქმედებით ჯერ არ დაგვიმტკიცებია ამ ხალხისათვის, რომ ჩვენ ამათთვის სიკეთე და ბედნიერება გვსურს, რომ ჩვენ ნამდვილ ძმებად მიგვაჩნია იგინი და ვზრუნავთ იმათთვის.

და ამის შემდეგ რაღათ უნდა გვიკვირდეს, თუ იმათ ვერ გვიცნეს ჩვენ მართლა ძმებად, თუ განზე დაგვიწყეს ცქერა, თუ მაინცდამაინც არ ცდილობენ ჩვენთან დაახლოებას, თუ სტოვებენ თავიანთ მიწა-წყალს და მიდიან, გადადიან იმ ქვეყანაში (ოსმალეთში) საცა იმათ, საქმით თუ ვერ უსრულებენ, სიტყვით მაინც ჰპირდებიან გაჭირებულ მდგომარეობაში ხელის გამართვას და დახმარებასა.

რაღათ უნდა გვიკვირდეს ამის შემდეგ, თუ, როგორც ამბობენ, გამოზაფხულდება თუ არა, ხელახლად აპირებენ კიდევ დანძრევას და გადასახლებასაო? ვინღას უნდა შევხაროდეთ მაშინ? რაღათ მივესალმეთ ამისთანა აღტაცებით ამათ ჩვენთან შეერთებას და განახლებულ ძმობას?

ეს გარემოება, ჩვენის აზრით, იმდენათ საზოგადო და საგულისხმო გარემოებაა, რომ ქართველმა კაცმა უნდა იფიქროს ამაზედ; იფიქროს და ერთი რამეც

მოიფიქროს, რომ ნაპოვნი ძმა ხელახლად არ დაგვეკარგოს...

[1880 წ.]



არაყის ბაჟი

ტფილისი, 7 იანვარს.

ამ 1880 წლის კავკასიის კალენდარში მოყვანილია ცნობა მასზედ, თუ რამოდენად იმატა არაყის ბაჟმა 1875 წლიდამ 1879 წლამდე და გამოდის, რომ 1875 წელს შემოსულა ნახევარ მილლიონზედ ცოტა ნაკლები და 1878 წელს კი გაზდილა თითქმის მილლიონ ნახევრამდე, ერთის სიტყვით, ერთს სამათ უბღარტნია. „Закавказское Акцизное Управление“, რომელსაც ამ საგანზედ ცნობა და შესაფერი წერილი გაუგზავნია კალენდარის გამომცემლისათვის და ამ უკანასკნელს დაუბეჭდია ხელუხლებლად, მეტად მხიარულობს, რომ მისგან, „უპრავლენიისაგან'', მოგონილს წესს ბაჟისას ასეთი სასიხარულო შედეგი მოჰყვა.

ჩვენ მაგ მხიარულებაში მონაწილეობას ვერ მივიღებთ, იმიტომ რომ ეგ მხიარულება, ჩვენის ფიქრით, მეტად ადრეულაა და არ მომდინარეობს ჯეროვანის საბუთიდამ. გადამეტებით, ანუ წინდაუხედავად შეწერილი გარდასახადი საზოგადოდ შესაძლოა, რომ ორისა თუ სამის წლის განმავლობაში უნაკლოდ შემოვიდეს ხალხისაგან; შეიძლება ორისა თუ სამის წლის განმავლობაში ხალხი გაუძღვეს გადასახადს წინა წლების მონაგარიდამ, და ამიტომაც გადამეტებით შეწერილის გადასახადის უნაკლოდ შემოსვლა ჯერ კიდევ საბუთი არ არის სიხარულისა. გარდასახადის გაძღოლის თავდებათ და წყაროთ წინა წლების მონაგარი კი არ უნდა იყოს, არამედ ყოველდღიური წარმატება ხალხისა ეკონომიურს გზაზედა. რასაკვირველია, ყოველ სახელმწიფოსათვის სანატრელია, რომ ხალხმა ბევრი გამოიღოს

ათასნაირის სახელმწიფო ხარჯის დასაფარავად, მაგრამ მაგ ნატვრას ფრთას უნდა უკვეცდეს ერთი კანონი, სახელდობრ ის, რომ ხალხის გარდასახადი უნდა შეეწონოს ხალხის ეკონომიურს კეთილდღეობასა; ზრდა გადასახადისა ხალხის კეთილდღეობის ზრდაზედ უნდა იყოს დამყარებული. ამ მხრით მეტი არ იქნება თუნდა თვალდათვალ დავაკვირდეთ იმ წესს, რომელსაც ეგრე მადიანად შეჰხარის Акцизное Управление და რომელიც მისის მეოხებით მოქმედობს ჩვენში 1875 წლიდამ.

ეს ზემოთქმული ბაჟი თავისის სიმძიმით აწვება ერთს ეკონომიურს წარმოებას ჩვენის ხალხისას, რომელსაც არაყის ხდას ეძახიან. არაყის ხდა ჩვენში ამ ახალის წესის შემოღებამდე იმრიგად იყო მოხერხებული, რომ ვენახის პატრონი, ჭაჭა-თხლის მექონეს, თუ სურდა, თვითონ იყო არაყის მხდელიცა. ამ სახით პირდაპირს მშრომელს ეძლევოდა სრული ღონისძიება თავის ნაჭირნახულევიდამ სრული გამორჩომა მარტო თვითონ ჰქონოდა და გამორჩომაში წილი არავისათვის დაედო. სამართლიანობაც ამას ითხოვდა. ეს ერთი, მეორე ისა, რომ არაყის ხდა მეტად გავრცელებული წარმოება იყო ჩვენს ხალხში და ჩვენი ხალხი კარგა მოზრდილს ლუკმას თავის საზრდოებისას და სახელმწიფო გარდასახადების გაძღოლისას მაგ წარმოებით შოულობდა. მაშასადამე, თუ გვინდა სწორე აზრი ვიქონიოთ ამ ახალის წესის ავ-კარგიანობაზედ, საჭიროა იგი წესი გავსინჯოთ იმ მხრით, თუ რარიგად იმოქმედა მან ხსენებულს ეკონომიურს წარმოებაზედ, დაუტოვა ღონისძიება უფრო მეტის წარმატებისა და მით ხელი მოუმართა ხალხს თუ არა, რომ ეგ წყარო ხალხის სიმდიდრისა არამც თუ დამშრალიყო, არამედ განძლიერებულიყო.

ჯერ მინამდე ეგ ახალი წესი შემოვიდოდა, არაყის ბაჟი იმნაირად იყო განსაზღვრული და მოაზრებულიმეთქი, რომ ყოველს ვენახის პატრონს, დიდსა თუ პატარას, შეეძლო ეხადნა არაყი თვითონ და სრულს მოგებას თვითონვე მშრომელი დაჰპატრონებოდა. ამისათვის ორი სიკეთე ჰსჭირდა წინა წესსა: ერთი ისა, რომ შესაძლო იყო არაყის ხდა უბრალო ჩვენებურს ქვაბში, რომლის სასყიდლად დიდი ჯიბე არ უნდოდა და მაშა-

სადამე მრავალთათვის ადვილად საშოვნი იყო და მეორე ისა, რომ არაყის მხდელი, რაკი დაწესებულს ბაჟს გადიხდიდა, არაყის ხდას თვითონ შეურჩევდა ხოლმე შესაფერს დროს, ესე იგი, შეეძლო მაშინ ეხადნა არაყი, როცა სხვა საქმისაგან მოცლილი იყო. ჩვენის უმრავლესის ვენახის პატრონებისათვის, ესე იგი, გლეხკაცობისათვის ეს ორი სიკეთე წინა წესისა მეტად დიდი საქმე იყო. პირველი, რომ ან ერთ შვიდ-რვა თუმნიანს ქვაბს იყიდდა, ან მეზობლისაგან იქირავებდა და თავის ვენახის ჭაჭასა და თხლეს გამოხდიდა, მეორე ისა, რომ ამ საქმეს მაშინ დაადგებოდა, როცა ამინდი უშლიდა მინდორში და ვენახში მუშაობას, უქმად აღარ დარჩებოდა და თუ სხვას არას გამორჩებოდა შრომის ფასს მაინც აიღებდა. ახალმა წესმა ყოველს ამას არ ათხოვა ყური და არაყის ბაჟს ეგ ორივე სიკეთე ჩამოათალა.

ეხლანდელის წესით არაყის ხდა ჩვენებურს ქვაბში ისე საზარალოა, რომ გლეხკაცობა რჩეობს თხლეჭაჭის გადაყრას უფასოდ, ვიდრე არაყის ხდასა და თვითონ გამოხდის დროც გამომხდელის ნებაზედ აღარ არის მიგდებული. ეხლანდელის წესით არაყის ხდა ხელს მიჰსცემს სახელდობრ მათ, ვინც მარტო მაგ საქმეს მიზდევს და ორას-სამას თუმნიან ქარხანას გაიმართავს, იმიტომ, რომ მხოლოდ ამისთანა ქარხანას და კაცს შეუძლიან აიტანოს ეხლანდელის ბაჟის სიმძიმე, რადგანაც ახალის ბაჟის გამო მოგება და გამორჩომა გამოხდის სისწრაფეზეა დამყარებული. აბა ვენახების პატრონებს საერთოდ და გლეხკაცობას საკუთრივ სად შეუძლიან ან მაგოდენა ხარჯი გასწიონ ქარხნის გასამართავად, ან მთელი დრო მარტო მაგ წარმოებას შეაკლან.

ამ სახით ვენახის პატრონები, რომელთ უმრავლესს ნაწილს გლეხკაცობა შეადგენს, ფულიან-კაცების თოკში გაებნენ და უნდათ თუ არა, მარტო იმათღა უნდა შეჰყურონ, რომ თავის თხლე და ჭაჭას გამორჩნენ რასმეს და თუ ისინი არ იყიდიან, სხვა გზა არა აქვთ, უნდა აიღონ და გადაყარონ. ბევრგან ამასაცა შვრებიან. მაგ ახალმა წესმა ესე დაუკრიფა გულ-ხელი ვენახების პატრონებს და გლეხკაცობას, მოუწყვიტა კარგა მოზრდილი წყარო ცხოვრებისა და თავისუფალი პატრონი ქონებისა უკან აუთრივა ფულიან კაცსა.

ერთის სიტყვით, ამ წესმა ხალხს გაუუქმა ერთი ეკონომიური წარმოება, ხალხს გამოაცალა ხელიდამ ცხოვრების სახსარი და ორიოდეს დაულოცა. მაგ ორიოდეს შეუძლიან იმდენი არაყი ხადონ, რომ სამი მილლიონი ბაჟიც გადიხადონ, მაგრამ ხალხი კი საერთოდ იმოდენად გაღარიბდება, რამოდენადაც ის ორიოდენი გამდიდრდებიან. და რომელი უფროა სამჯობინარი სახელმწიფოსათვის — ეგ თვითონ „Акцизное Управление“-მ გამოიცნოს.

[1880 წ.]



ჩვენი ხელოსნობა და ხელოსნები

ტფილისი, 8 იანვარს.

ყველა სახელმწიფოში, საცა კი სხვადასხვა ხელოსნობა არის გავრცელებული და სადაც ფაბრიკები და ქარხნები მოიპოვება, თვით კანონისაგან განსაზღვრულია — თუ თითოეულ ფაბრიკაზე, ქარხანაზე და საზოგადოთ წარმოებაზე რა წესით, რამდენი საათი და როგორ უნდა იმუშავონ მუშებმა და განსაკუთრებით მცირეწლოვან შაგირდებმა. და კანონი სასტიკად სჯის იმ პატრონებს, რომელნიც გადასცდებიან ამ განსაზღვრულ კანონებსა და წესდებულებას.

კანონი ერევა ამ საქმეში იმიტომ, რომ ფულის პატრონი ხალხი, რომელსაც ფაბრიკა ანუ ქარხანა გაუმართავს, ყოველთვის იმას ცდილობს, რომ რაც შეიძლება მომეტებულად ამუშაოს თავის მუშები, რაც შეიძლება ცოტა დღიური ქირა მისცეს იმათ და ამნაირად იაფად დაისვას თავის ნაწარმოები და ძვირად კი გაჰყიდოს. ფულიანი კაცი თითქმის ყოველთვის შეუბრალებელია: ის არ ზოგავს მუშის ოფლს, მუშა იმის ხელშია, იმას შეუძლიან უმუშოთ გაძლება, მაგრამ მუშას კი უიმისოთ, უსაქმოთ ცხოვრება არ შეუძლიან. ამიტომაც კანონი ცდილობს, რომ სულ არ დააჩაგვრინოს ფულს შრომა, სულ არ ჩაუგდოს ხელში ხელფეხშეკრული მუშა მდიდარსა და ფულიანს.

რუსეთის კანონებშიაც არის მუხლები, რომელნიც ამ საგანს, მუშისა და აღის დამოკიდებულებას, შეეხება. რუსეთშიაც განსაზღრულია კანონით — თუ [რა] დამოკიდებულება უნდა არსებობდეს მუშასა და იმის დამქირავებელს შუა.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ კანონების ბეჯითად აღსრულებას არავინ არ აქცევს ყურადღებას.

თუ რუსეთში არ აქცევენ ამას ყურადღებას, კიდევ უფრო ნაკლები ყურადღება ჩვენში აქვს მიქცეული. ჩვენებური მუშა-ხალხისთანა დამონავებული და დაჩაგრული მეპატრონისაგან სხვაგან არსად მოიპოება...

ჩვენი მუშა თავიდამ ფეხებამდინ თავის აღას, ფულიან კაცს, ეკუთვნის, უნდა ხეირიან ჯამაგირს მისცემს, უნდა არა, უნდა თოთხმეტს საათს ამუშავებს დღეში, უნდა — ათს; ხშირად რაც ერგება, რაც ნამუშავარი აქვს, იმის ნახევარსაც არ მისცემს; — და ვინა ჰყავს პატრონი, რომ მიხედოს, მისი მხარე დაიჭიროს, გამოესარჩლოს დაჩაგრულს? სამართალიც ხომ მდიდრებისთვის არის, ჩივილიც ხომ მხოლოთ იმას შეუძლიან, ვისაც ადვოკატებისთვის ბლომა ფული აქვს და ანუ თავისუფალი დრო, სამ თუმნის საქმისათვის ორი თუმნის დრო დაჰკარგოს სასამართლოებში თრევაზე!

მაგრამ მუშა კიდევ როგორც არის თვითონ მოუვლის თავის თავს. ნამდვილს უბედურს მდგომარეობაში და საცოდაობაში იმყოფებიან ჩვენებური მცირეწლოვანი მუშები, ხელოსნების შაგირდები.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ქალაქში ხელოსნები ისე არ აიყვანენ შაგირდს, თუ მშობლები პირობით არ შეეკრნენ, რომ ხუთი ექვსი წლის განმავლობაში ისინი არაფერს არ მოსთხოვენ ამ შაგირდისათვის და მერე კი ჯამაგირს დაუნიშნავთო.

ვინ მოსთვლის იმ განსაცდელს, იმ ტანჯვას, რომელსაც გამოსცდის შაგირდი თავის აღის ხელში ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში, სანამ ცოტაოდენ უხეირო ხელობას ისწავლიდეს იმისაგან? რამდენი ცემა-ტყეპა, რამდენი სიშიშვლე, შიმშილი მოელის იმას, სანამ პირობით დანიშნული ხუთი წელიწადი შეუსრულდება შაგირდობისა და მერე არ გაექცევა და ჯამაგირზე არ დაუდგება რომელსამე სხვა ხელოსანს.

ამ სხვა ხელოსანთანაც, ამ მოჯამაგირობის დროსაც ბედნიერების დღე არ მოელის: თვეში ორი-სამი თუმნისათვის ის ჯანს იგდებინებს, სიმთელეს ჰკარგავს, დღედაღამ მუშაობს. და ყველა ამ ტანჯვა-წვალებაშიაც

ხელობასაც კი ვერ სწავლობს ისე, რომ მართლა ნამდვილი ხელოსანი დაუძახოს კაცმა.

შემდეგ, თუ ყაირათიანი და ფხიზელი მუშაკაცია, ის რამდენიმე ასს მანეთს მოაგროვებს როგორმე და თვითონ ხსნის საკუთარს დუქანს. საკუთარს სახელოსნოს. და აქ, ამ თავის სახელოსნოში ისიც ისე იქცევა ისე იღებს შაგირდებს, ისე აწვალებს იმათ და ისე უცოდინარს გამოუშვებს, როგორც თვითონ მოუვიდა თავის შაგირდობის დროს.

ეს არის ბედი ჩვენი ხელოსანი ხალხისა, არც ხეირიანად შესწავლა თავის ხელობისა, არც კაცური მოპყრობა შაგირდობაში, არც წერა-კითხვის ცოდნა იმათ არა აქვთ.

და ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ხელოსნობა ჩვენში რიგიანს გზაზედ არ იყოს დაყენებული? რად უნდა გვიკვირდეს, თუ ჩვენს ნიჭიერ ხალხში ერთი ნამდვილი მცოდნე ხელოსანი არ გამოდის, თუ ჩვენში არიან მხოლოდ შავი-მუშები ყოველგვარ ხელოსნობისა და არა ოსტატები, არტისტები?

რაც კი რამ ჩვენთვის ნაწარმოები არის საჭირო: ტანისამოსი, მებელი, რკინეული და სხვ., თითქმის სულ ეს უცხო ქვეყნელებისაგან გაკეთებული მოგვდის სამზღვარგარეთიდამ, ან აქვე ჩამოსული უცხოელები გვიკეთებენ. არიან ჩვენში მეწაღე შვარცები, მკერავი დიურანები, მებელის მკეთებელნი არშინარები და ზეცერები და სხვ. და თითქმის არც ერთი ,,შვილი'' და ,,ძე''.

რისგან არის ეს? რისგან არის, რომ იმ უანგარიშო ქართველ მუშებში და ხელოსან-შაგირდებში, რომელნიც ამ უცხო ქვეყნელთა სახელოსნოებში მუშაობენ, თითქმის არცერთი რიგიანი ოსტატი ხელოსანი არ გამოსულა? რისგან არის, რომ ჩვენის ბუნების სიმდიდრით, ჩვენის ნიჭითა და შრომისმოყვარეობით სხვები, უცხო ქვეყნელები სარგებლობენ და თვითონ ჩვენ კი ვერ გვისარგებლნია?

ამის მიზეზი, რასაკვირველია, ათასია, მაგრამ უმთავრესი კი ისევ ჩვენი სიძაბუნეა, ჩვენი გულქვაობა ყველა საზოგადო საქმეში, ჩვენი უზრუნველობა; ყველაფერში სხვას შევჩერებივართ, სხვის იმედით ვცხოვრებთ, სხვამ თუ არ ჩაგვიდო პირში ლუკმა, ჩვენით ვერ მოგვიხერხებია; სხვამ თუ არ გვიჩვენა — თუ როგორ შეიძლება ჩვენი სიმდიდრით სარგებლობა, ჩვენ ვერ გვისარგებლნია.

ერთი ისეთი სახელოსნო სასწავლებელი არა გვაქვს, სადაც ჩვენს ხალხს შეეძლოს ხეირიანად შესწავლა სხვადასხვა ხელოსნობისა და ნამდვილ, მცოდნე, დახელოვნებულ ოსტატად გამოსვლა.

ჩვენ გვაოცებს, გვაწუხებს მხოლოდ შედეგი ჩვენი მდგომარეობისა. როცა ვხედავთ, რომ ჩვენის სიმდიდრით და ავლა-დიდებით სხვები სარგებლობენ და არა თვითონ ჩვენ. ყოველი ამგვარი გაკვირვება და წუხილი სულ უნაყოფო და უადგილოა; ჩვენი ვალია გამოვიკვლიოთ მიზეზი ჩვენი ეკონომიურ სიღარიბისა, ჩვენი დაჩაგრულობისა და შემდეგ ვეცადნეთ, რომ ეს მიზეზი თვით სათავეშივე მოვსპოთ.

ბევრი, ბევრი საქმე და მოვალეობა აქვთ ჩვენ მოწინავე პირთ, ჩვენ ხალხის ბედის მზრუნველთ; უბედურება ის არის, რომ სანთლით საძებნელნი არიან ჩვენში ისეთი პირები, რომელთაც ესმოდეს საზოგადო საჭიროება რა არის და ცდილობდნენ ამ საჭიროების დაკმაყოფილებას...

[1880 წ.]



თეატრის მატიანე

გაბუნიას ქალის ბენეფისი: "კინტო", კომედია აკ. წერეთლისა. "ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ", რუსულიდან გადმოკეთებული თ. რ. ერისთავისაგან.

უწინ, როდესაც ჩვენი ქართული წარმოდგენები სცენის მოყვარულთაგან იყვნენ შემდგარნი და, როდესაც დღეს ერთი მოთამაშე გამოდიოდა სცენაზედ, ხვალ — მეორე — სათეატრო კრიტიკა შეუძლებელი იყო.

რა არის ესრედ წოდებული "მოყვარე"? ეს არის, ყველაზედ უწინარეს, ქველის- მოქმედი კაცი, რომელიც გამოდის სცენაზედ თავისის სრულის ნებაყოფლობით. თვითონ თეატრიც ამ შემთხვევაში არის ან განსაკუთრებით შინაური დროს გასატარებელი და გასართობი სახსარი, ან საშუალება რაიმე საზოგადო კეთილ საქმისათვის მომართული.

ამ გარემოების ძალით მოთამაშეთა და მაყურებელთა შორის წარმოებს ერთგვარი, განსაკუთრებული ურთიერთობა: მოთამაშე თითქო ეუბნება მაყურებელს: — ავად ვთამაშობ თუ კარგად, ნურას უკაცრავადაო, ეს ხომ ჩემი ხელობა არ არისო: მაყურებელიც, როგორადაც ზრდილობა მოითხოვს, არცა-რა ბევრს რასმეს ითხოვს "მოყვარის" მოთამაშისაგან.

ამასობაში სცენაზედ არ არსებობს ხელოვნება: ამისდაგვარად არც კრიტიკის არსებობაა შესაძლებელი. ამით, რასაკვირველია, იმის თქმა კი არ მინდა, ვითომ "მოყვარეთა" თამაშობამ ფუჭად ჩაიარა და არავითარი სარგებლობა არ მოუტანა თეატრის საქმეს. კარგად ვიცი, რომ ვინც კი ნიჭიერი მოთამაშე გვყავს ამჟამად, ვპოვეთ იმავე მოყვარეთა წარმოდგენების წყალობით. აქ მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ვიდრე წარმოდგენები შემდგარნი არიან მოყვარეთაგან, არა აქვს ადგილი სათეატრო ხელოვნებას, როგორც საგანს კრიტიკისას.

მაგრამ, რაკი "მოყვარეთა" შემთხვევითი წარმოდგენები გადაიქცნენ სამუდამო თეატრად, რაკი სცენაზედ გამოდის ერთი და იგივე პირი, როლიც მიჰყვება სათეატრო საქმეს, როგორც ხელოვნებას, მაშინ იწყებს მოქმედობას სათეატრო ხელოვნება; მაშინ "მოყვარის" მაგივრად სცენაზედ გამოდის "აკტიორი", მოღვაწე ამა ხელობისა.

ამასთანავე იცვლება მოთამაშეთა და მაყურებელთა შორის ურთიერთობაც. სამუდამო თეატრის არსებობა, რასაკვირველია, ცხადი ნიშანია, რომ საზოგადოებაში აღორძინებულია ერთგვარი ესტეტიკური სიამოვნების მოთხოვნილება, რომელსაც აკმაყოფილებს სათეატრო ხელოვნება. მაყურებელი მიდის თეატრში ამა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; აქტიორიც გამოდის სცენაზე, როგორც ქველისმომქმედი კი არა, არამედ როგორც ხელობის კაცი, როგორც მოღვაწე ხელოვნებისა. მოთამაშე ვეღარ ეტყვის მაყურებელს: ავად ვთამაშობ თუ კარგად, ნურას უკაცრავადაო. ამ შემთხვევაში არა აქვს ადგილი არც მაყურებელთა ზრდილობას: თუ არ მოეწონა თამაშობა და სრულიად ვერა ჰპოვა თეატრში რასაც ეძებს, მაყურებელი ხმამაღლა და პირნათლად აღიარებს თავის გულნაკლულობას, თავის უსიამოვნებას. სხვაგვარი ურთიერთობა მოთამაშეთა და მაყურებელთა შორის საწყენიც უნდა იყოს, როგორც თეატრის საქმისათვის საზოგადოდ, ისე თვითონ სცენის მოღვაწეთათვის, თუ მართლა გულწრფელნი და გულითადი მსახურნი არიან სათეატრო ხელოვნებისა, — როგორც ყოველგვარი მოწყალეობაა საწყენი თავ-მოყვარეობისათვის.... ვიმეორებ: რაკი არსდება სამუდამო თეატრი, იცვლება ურთიერთობა მაყურებელთა და მოთამაშეთა შორის. იწყებს თავის მოქმედობას კრიტიკაც, როგორც შუამავალი ამ ორ კავშირთა შორის. მაშინ კრიტიკას აქვს მტკიცედ დადგენილი და განსაზღვრული საგანი; მას უდგა თვალწინ სასცენო ხელოვნება, რომლის ავკარ-

გიანობასაც მთლად და განსაკუთრებით დასტრიალებს მისი მოღვაწეობა: მას მიუძღვის წინ მხოლოდ თეატრის ინტერესი, სასცენო ხელოვნების განვითარება და არა სხვა რომელიმე მოსაზრება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი მხოლოდ "მოყვარეთა" წარმოდგენების შესახებ.

ამ საგანზედ მოვყევი ლაპარაკს იმის გამო, რომ ჩემის აზრით, ჩვენი სცენის მოღვაწენი თითქმის იმგვარადვე ეპყრობიან თეატრის საქმეს, როგორც იმ დროს, როდესაც სცენა "მოყვარეთაგან" იყო შემდგარი და როდესაც სცენაზედ გამოდიოდა მხოლოდ ქველის მოქმედი კაცი, მეტი არაფერი. აქ, რასაკვირველია, იმას არ მოგახსენებთ ვითომ რა წამსაც მოყვარეთა წარმოდგენები გადაიქცნენ სამუდამო თეატრათ, იმ წამსვე მოყვარენი უცბად ეშმაკის მანქანებით დახელოვნებულ აქტიორებად უნდა შეიქმნენ მეთქი. უცბად არა ხდება რა ამ ქვეყნიერობაში. მე მოგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენი თეატრის მოღვაწენი ექცევიან, ეპყრობიან სცენას იმგვარად, როგორც შეეფერებათ მხოლოდ ესრედწოდებულ მოყვარეთ და არა სათეატრო ხელოვნების მოღვაწეთ, ამა და ამ ხელობის კაცთ. ვტყუი თუ მართალს ვამბობ, ამას მკითხველი დაინახავს შემდეგ ჩვენს მატიანეში.

(შემდეგი)

ვიდრე მივყვებით ამ სათაურში მოხსენებულ წარმოდგენების გარჩევას, ორიოდე სიტყვა უნდა საზოგადოდ სცენაზედ და სათეატრო ხელოვნებაზედ მოგახსენოთ; უნდა გავიკაფოთ გზა და კვალი შეძლებისამებრ; უნდა დავადგინოთ ის საზოგადო თეატრიული მხედველობა, რომელიც ცოტად თუ ბევრად გზას გაგვინათებს და გაგვიძღვება ჩვენს მოქმედებაში. უპირველესი პირობაც ადამიანის მოქმედობისა, რა საგანსაც უნდა შეეხებოდეს ეს მოქმედობა, არსებობს ამაში. ახალს, რასაკვირველია, ვერას ვეტყვი მას, ვისაც კი ცოტაოდენად თვალ-ყური უდევნებია ლიტერატურისათვის წამოყენებულ საგანზედ, მაგრამ ჩვენთვის თეატრი ახალი საქმეა და არა მგონია მეტი

იყოს განვიმეოროთ ცოტაოდენად მაინც რა ღვაწლიც დაუდვია ადამიანის ჭკუას სათეატრო ხელოვნების წარმატებისათვის. მართალია, სათეატრო ხელოვნება, როგორც საგანი თეორიულის შემუშავების, მცირედ არის განვითარებული და წინ წამდგარი და ბევრადაც დაუვარდება სხვა ხელოვნებას, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მტკიცედ არის გამოკვლეული, ორიოდე ჭეშმარიტება მაინც, რომელთაც ვერასგზით ვერ ასცილდება ვერც სცენაზედ მოთამაშე, ვერც სათეატრო კრიტიკა, თუ ნამდვილად სასცენო ხელოვნებას ემსახურებიან.

უწინდელ დროში სცენისა და აკტიორის მოღვაწეობის თაობაზედ ერთი ცრუ აზრი იყო გავრცელებული: სცენაზედ მოთამაშესათვის არავითარი სწავლა, მუშაობა, შრომა, როლის გაზეპირების მეტი, საჭირო არ არისო; თუ ღმერთს უბოძებია მისთვის ნიჭი, დიდი გრძნობიერობა და სხვა ჯეროვანი თვისება — საკმარისიაო. ამას, რასაკვირველია, მოსდევდა შესაფერი წესიც თამაშობისა, ამბობდნენ: აკტიორმა თავისი როლი გრძნობით უნდა შეითვისოსო; როლი ხორცში და ძვალში უნდა გაუჯდესო, "როლში უნდა შევიდესო" და მით თითქმის დაივიწყოსო, რომ თამაშობის დროს აკტიორიაო და არა თვით ნამდვილად ის პირი, რომელსაც არდგენსო. ასე ფიქრობდნენ მეთქი უწინდელ დროში. ასი წელიწადია მას აქეთ, რაც ერთმა გამოჩენილმა საფრანგეთის მწერალმა აკტიორის მოღვაწეობაზედ გამოთქვა სრულიად სხვა აზრი, რომელიც თანდათან ვრცელდებოდა და დღეს დამკვიდრებულია, როგორც შეურყეველი ჭეშმარიტება. ეხლა ყველამ იცის, რომ აკტიორმა თავის თამაშობაში ყველაზედ უწინარეს ჭკუა უნდა ამოქმედოს და არა გრძნობა; უნდა შეისწავლოს, ჭკუით უნდა შეითვისოს და არა გრძნობით, თავისი როლი, ე.ი. ის პირი, რომელსაც არდგენს სცენაზედ: მოთამაშემ არა წუთს არ უნდა დაივიწყოს, რომ აკტიორია, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მოხერხებულად შეიტყუოს მაყურებელი. ეხლა ყველამ იცის, რომ აკტიორს ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი მიხრა-მოხრა, ყოველი თვალის დახამხამება წინადვე უნდა ჰქონდეს შესწავლილი. მა-

შასადამე, ამგვარ მხედველობისამებრ სცენის შესახებ იმისთანა ფრაზებს, როგორც "როლში შევიდაო" და სხვ. ადგილი აღარ უნდა ჰქონდეთ. ვიმეორებ: საშუალება და სახსარი აკტიორის მოქმედობისა არის ჭკუით შესწავლა და არა გრძნობიერებით შეთვისება. რასაკვირველია, ნიჭი დიდი ძალაა ყოველ საქმეში. მაგრამ მარტო ნიჭი არის ძალა ბრმა, უსინათლო. მისი ნაყოფიერება გაუწდომელია. როცა მას დაერთვის მეცადინეობა, შრომა; ჭკუის გაზრახული მოქმედობა. დრო ზეგარდმო-შთაბერვისა პოეტებისათვისაც კი დიდი ხანია გამქრალია.

თეატრში სცენაზედ მოქმედობს ცხოვრების სურათი, აწინდელისა თუ წარსულისა. ყველაფერი იმგვარად არის მომართული, რომ არაფერში სიცოცხლე არ დაეკარგოს ამ მოქმედებას და მაყურებელიც სრულიად მოტყუვდეს. რად იცინის ან რად სტირის მაყურებელი? კიდეც იმიტომ, რომ სცენა იმდენად ცოცხლად მოქმედობს, რომ მაყურებელი მთლად მოტყუებულია. ძალა და მნიშვნელობაც თეატრისაც ამაშია. ამაშივეა გამონასკული აკტიორის თამაშობაც. რამდენადაც აკტიორი კარგად შეისწავლის თავის როლს, ე.ი. იმ პირის ხასიათს, რომლის გამოხატვა სურდა ავტორს; რამდენადაც შეითვისებს ამ პირის შესაფერ ხმას, ლაპარაკს, მიხვრა-მოხვრას, თავის დაჭერას, იმდენად აკტიორის გავლენა მაყურებელზედ უმეტესია. მაგრამ ყველა ეს არ კმარა. პიესაში, როგორც თვით ცხოვრებაში, რომლის სურათსაც წარმოადგენს ეს პიესა, მოქმედნი პირნი არ არიან გაფანტულნი. უთავბოლოდ დაქსაქსულნი, არამედ შეკავშირებულნი არიან და შეადგენენ რთულს მოქმედობას. თითოეულის პირის ქცევა, მიხვრა-მოხვრა, კილო ლაპარაკისა ბევრად დამოკიდებულია იმ ურთიერთობაზედ, რომელიც სუფევს დანარჩენ მოქმედ პირთა შორის. ამიტომ მარტო საკუთარის როლის, ე.ი. წარმოსადგენ პირის ხასიათისა და მოქმედობის გაცნობა და დაკვირვება საკმარისი არ არის აკტიორისათვის. მან უნდა გაიცნოს სხვა მოქმედ პირთა როლებიც, უნდა დააკვირდეს და შეისწავლოს მთელი პიესა. ამას მოითხოვს აკტიორის საკუთარი, პიროვანი სარგებლობაც. მაყურებელი უყურებს და ისმენს არა მარტო რომელსამე თვითოეულ მოქმედ პირს, არამედ მთელს პიესას, როგორც რთულს მოქმედობას. რთულია აგრეთვე ის შთაბეჭდილებაც, რომელიც გამოაქვს მაყურებელს თეატრიდამ. იქნება ამა და ამ აკტიორმა უკეთესად ითამაშა ვიდრე მეორემ, მაგრამ რა გამოვიდა: თუ მისი თამაშობა განმარტოვებულია, თეატრის მნიშვნელობა თითქმის ნახევარზედ დაკარგულია...

აქ უნდა შევსწყვიტო ჩემი საუბარი, რომლის საგანზედ კიდევ არა ერთხელ მექნება შემთხვევა ლაპარაკისა. განვიხილოთ გაბუნიას ქალის ბენეფისი. წარმაადგინეს ახალი კომედია აკ. წერათლისა კ ი ნ ტ ო. კომედიაში გამოყვანილია დარბაისელი და დამჯდარი ქალი, ქმარ-შვილის დიდად მოყვარული, სახელად სალომე (გაბუნიას ქალი). ქმარი მისი ილია (თომაშვილი) ჩვილი ხასიათის კაცია, ადვილად ამყოლი, ლხინის მოყვარული. ცოლზედ გულ-გრილად არის: დულულა და უხასიათო არისო და ამისთანა ქალის სიყვარული არ მაკმაყოფილებსო. ამით სარგებლობს მისი მეგობარი სამსონ (მაჩაბელი), ადრინდელი მთხოვნელი სალომესი, რომელიც ცდილობს აგები როგორმე ილია შევაძულო და მე შემიყვაროსო. ამიტომაც სამსონი ატარებს ილიას ბაღებში, ლხინში და ქალებში ატარებინებს დროს. სალომე ფიქრობს, როგორმე ქმრის სიყვარული ხელმეორედ დავიპყრო და ოჯახობას დაუბრუნო მისი თავიო. ამისათვის სალომემ ასეთი ხერხი მოიგონა: გადაიცვა კინტოს ტანისამოსი და დაესწრო იმ ლხინს, სადაც ილია თავისის ამხანაგებით ქეიფსა სწევდა. კინტურად ჩაცმული [სა]ლომე იღებს მონაწილეობას ლხინში და მღერის. ამ სიმღერამ ილია (რომელიც, რასაკვირველია, ვერა სცნობს სალომეს) შეიტყობს, რომ ეს კინტო ჰყვარობს სალომეს. ილიას, რასაკვირველია ეჭვიანობა აეშლება და ცდილობს გაიგოს, მართალს ამბობს თუ არა. სახლში მიდის და რწმუნდება, რომ მართალია, რადგანაც თავის თვალით ნახა როგორ შევიდა კინტო სალომეს ოთახში. ილია გამოიწვევს მოწმების წინაშე სალომეს ამ საქმის თაობაზედ. ჯერ-ჯერობით სალომე ვითომ და არაფერიო. ბოლოს აუხსნის, რომ ის კინტო მე ვიყავიო. ამგვარად

სალომეს რაც უნდოდა, ის მოხდა: ხელმეორედ მიიზიდა ქმარი და დაუბრუნა ოჯახობას, სამსონი კი პირ-შერცხვენილი დაითხოვეს სახლიდამ.

სწორე მოგხსენოთ, კომედიის შინაარსი დიდი არაფერია, მაგრამ ნიჭიერმა ავტორმა მრავალი ცოცხალი სურათი ჩაურთო ამ საზოგადოდ ღარიბ შინაარსს, რომელიც უფრო ვოდევილს შეეფერება ვიდრე კომედიას. ამ ცოცხალი სურათების ძალით აკ. წერეთლის კომედია სცენისათვის სასარგებლო პიესაა და ღირსია, რომ საპატიო ადგილი მიეცეს ჩვენს რეპერტუარში. რაც შეეხება აკტიორების თამაშობას, აქ, ჩვენდა სამწუხაროდ, ხელმეორედ გამოჩნდა სენი, რომელიც არ ეშვება ჩვენის თეატრის მოღვაწეთ. მოუმზადებლობა, მცირე ყურადღება საქმისადმი, დაუდევნელი "დადგენა პიესისა" სცენაზედ და სხვ. როლების გაზეპირება რა არის, ამასაც კი არ ცდილობენ აკტიორები. თუ ამისთანა პირველდაწყებითი მოთხოვნილებანი სცენისა არ არიან აღსრულებულნი, თეატრი ყოვლად შეუძლებელია. თუ ახალი პიესა "დადგენილ იქმნა" სცენაზედ ოთხი, ხუთი დღის განმავლობაში, წინადვე შეუძლიან სთქვას კაცმა, რომ პიესა ცუდათ იქმნება ნათამაშევი. კაი რამ რო გაბუნიას ბენეფისში იმისთანა ცოცხალი და თავიდამ ბოლომდე სცენიკური პიესა წარმოადგინეს და მით ცოტად თუ ბევრად დაფარულ იქმნა უხეირო მოწყობილობა წარმოდგენისა, თორემ შენი მტერი. გაბუნიას ქალის ბენეფისი პირშერცხვენილი იქნებოდა. რაც შეეხება თვითოეულ აქტიორის თამაშობას აკ. წერეთლის კომედიაში, ყველაზედ უწინარეს უნდა შევნიშნოთ გაბუნიას ქალი და უფ. მესხი. ჩემის აზრით, სალომეს როლი სრულიად არ შეეფერება გაბუნიას ქალს. კომიკური ბებერი დედა-კაცი, ქვრივი, მაჭანკალი, აი მისი როლები. როლები როგორც თვითონ მაყურებელიც დარწმუნდებოდა იმავე საღამოს თ. რ. ერისთავის კომედიაში, რომელშიც გაბუნიას ქალი იყო სრულიად თავის ადგილას და, ცოტა რომ ზომიერება დაეცვა, მისი თამაშობა ყოვლად უნაკლულო იქმნებოდა. მაგრამ რაც უნდა იყოს, გაბუნიას ქალი იმდენად ნიჭიერია, რომ ისე ვერ წაახდენს როლს, რომ მაყურებელს ეჩოთირებოდეს მისი ნახვა. ჩემდა სამწუხაროდ

ადგილი ნებას არ მაძლევს დაწვრილებით განვიხილო როგორც გაბუნიას ქალის თამაშობა, ისე სხვა აკტიორებისა. ეს დაწვრილებითი განხილვა შემდეგ იყოს. ეხლა კი ორიოდე სიტყვა ვუძღვნათ თითოეულ აქტიორს.

უფ. კოტე მესხი, რომელიც იმერელ მსახურს თამაშობდა, ჩვეულებრივად ძალიან კარგი იყო. მის თამაშობას ნიჭს გარდა ეტყობა მეცადინეობა, დაკვირვება, შრომა. უფ. თომაშვილი სრულიად შეუძლებელი იყო. ჩემის აზრით, კაცი არასდროს არ ილაპარაკებს ისე, იმ კილოზედ როგორც თომაშვილი ლაპარაკობდა ილიას როლში; ხმა კი არა, კილოს მოგახსენებთ. მას ჰქონდა ქალური კილო. თომაშვილი, რასაკვირველია, ჯერ სრულიად გამოუცდელი აქტიორია და ყოველიფრის სწავლა სჭირია; მან არ იცის არც ლაპარაკი, არც სიარული, არც თავის დაჭერა. უფ. ყიფიანმა კი, რომელიც აკაკის პიესაში სალომეს მეგობარს თამაშობდა, იცის ყველაფერი ლაპარაკისა და როლის გაზეპირების გარდა. ჩემის აზრით, კოტე ყიფიანის თამაშობა გარეგანის მხრით, შეუდარებელია და ჩინებული აქტიორიც გამოვა დეკლამაციას რომ უმეტესი ყურადღება მიაქციოს. ნიჭი დაკვირვებისა, ეს დიდად ძვირფასი ნიჭი აქტიორისათვის, კოტე ყიფიანს უეჭველად აქვს, მაგრამ ამ დაკვირვებით სარგებლობს იგი მხოლოდ გარეგან თამაშობისათვის. დეკლამაცია (ლაპარაკის კილო, პირსახის თამაშობაზედ (მიმიკა) და მიხვრა-მოხვრაზედ (ჟესტიკულაცია) არა ნაკლები ნაწილია სათეატრო ხელოვნებისა.

[1880 წ.]



ერთს პატარა შემთხვევაზე

თფილისი, 12 იანვარს.

დღევანდელ ნომრის „ახალ ამბებში" იბეჭდება ერთი პატარა, ბათომიდამ მიღებული, წერილი, რომლიდამაც შეიტყობთ იქაურ პოლიციის წვრიმალ მოხელეების ურიგო მოქმედებას. დესიატნიკები ტყუილუბრალოდ სცემდნენ ერთს აქაურ მაჰმადიან ქართველსაო, სწერს კორრესპონდენტი, მე გამოვესარჩლე იმასაო და ამისთვის დამიჭირეს, პოლიციაში წამათრიეს და, პოლიციაში მოსამსახურე მწერლის განკარგულებით, სატუსაღოში ჩამამწყვდიესო.

ჩვენში, თფილისში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში ამგვარ ურიგო მოქმედებას პოლიციისას ჩვენ შეჩვეული ვართ; გაზეთებში ამაზე უარესი უწესოებაც გამოცხადებულა „წესის დამცველებისა".

მაგრამ ეს იმდენად არასოდეს არ აგვაღელვებს და შეგვაწუხებს, რამდენათაც ის, როდესაც მთავრობისაგან დაყენებული პირები ამგვარს რასმე ჩაიდენენ ახალადშემოერთებულს მაზრებში.

მართლაც, ჩვენ ამთავითვე უნდა ვუჩვენოთ და დაუმტკიცოთ იმათა, რომ რუსის მმართებლობა სამართლიანია, ყველაფერში და ყოველთვის კანონიერად, რიგიანად და კაცთმოყვარეობით მოქმედებს; უნდა დავანახოთ რომ თვით-მწერლობას, ძალდატანებას და უსამართლოებას არა აქვს ადგილი; რომ, როგორც ოსმალოს დროს ჰქონდა იმათში უპირატესობა და ძალა, ისე ახლა აღარ იქნება და სხვ.

და ამის მაგიერად, თუ ჩვენი პოლიცია ისე მოიქცა, როგორც კორრესპონდენტი იწერება, ამას რაღა თქმა

უნდა, ძალიან ცუდი ზედმოქმედება ექმნება ჩვენს ახლადშემოერთებულს ხალხზე.

რამდენათაც ჩვენ გაგვიგია, ბათომის ქალაქის უფროსი და იქაური პოლიციმეისტერი პატიოსანი და გონიერი პირები არიან; მაგრამ როდესაც ამათი ხელქვევითნი სჩადიან უწესოებას, ხალხი ამ წვრიმალ მოხელეებს კი არ ემდურება, არამედ იმათ უფროსებს და საზოგადოთ რუსის მთავრობას. ერთმა დესიატნიკმა რომ უწესოება ჩაიდინოს, ერთი პოლიციის სალდათი რომ ტყუილუბრალოთ სცემს ანუ გააუპატიურებს ვინმეს, ხალხში საზოგადოთ გავარდება ხმა, რომ „რუსობა ჩვენ ხელს არ მოგვცემსო, რუსის ხელში ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლიანო, ისევ ოსმალოში უნდა გადავიდეთო" და სხვ.

ამიტომაც, ჩვენი სურვილი და მეცადინეობა ის უნდა იყოს, რომ თანაგრძნობა დავიმსახუროთ ამ ხალხისა და ისე შევაყვაროთ იმათ თავი, რომ თავის საშშობლო ქვეყნიდამ გადასახლება არ იფიქრონ, თუ ეს გვინდა, ისე უნდა მოვახერხოთ საქმე, რომ ამ საზოგადო სახელმწიფოს სურვილსა და მეცადინეობას წვრიმალი მოხელეები და უმეცარი ჩინოვნიკები არ აფუჭებდნენ და არ არღვევდნენ. სახელმწიფო სარგებლობა მოითხოვს, რომ დიდიდამ პატარამდინ ყველა ჩინოვნიკები მაჰმადიან საქართველოში იმას სცდილობდნენ, რომ ჯერ ჩვენთან შეუჩვევარ ხალხს პატიოსანის მოქმედებითა და კეთილგონიერი მოპყრობით შეაყვარონ ახალი, რუსის, მართებლობა და არ აფიქრებინონ იმათ სხვაზე გაცვლა ამ მმართებლობისა.

[1880 წ.]



<ჩვენი ეკონომიკა>

ტფილისი, 13 იანვარს

ჩვენი ქვეყანა სხვაზედ თუ არ მეტი, ნაკლები აღარ არის მით, რაც ბუნებითად სიმდიდრეს მოეთხოვება. მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ, ეგრედ უხვად შემკულს ბუნებით, უილაჯობით თითქმის წელი ველარ აუწევია და ვერ დამდგარა კეთილდღეობის გზაზედ. აი, თითქმის მთელი ეს ახალი ხანა ჩვენის ცხოვრებისა ისე გვეცლება ხელიდამ, რომ ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობას არაფერი სიკეთე და წარმატება არ დაჰსტყობია. ჩვენ ამას იმაზედ ვამბობთ, რომ ერთი ეკონომიური წარმოებაც არ მოჰმატებია: რითაც ძველად ჰცხოვრებდა ჩვენი ქვეყანა, დღესაც მარტო იმითი იკვებება. რას უნდა მივაწეროთ ეს ამბავი? ყველაზედ უწინარეს იმას, რომ რაც ეს ახალი ხანა დაგვიდგა ცხოვრებისა, ალალბედობით ვცხოვრობთ: არავის, არამც თუ თითი გაუქნევია, ფიქრადაც არ მოჰსვლია შეესწავლათ ჩვენი ქვეყანა, გამოეძიათ მისი ბუნებითი სიკეთე და სიმდიდრე, შეეძინათ ყოველგვარი ცნობა, რომ ყოველ აქედამ შესაძლო ყოფილიყო დაესკვნათ საიდამ რა გამოდნება და რა გამორჩომა შეიძლება. დღეს აქამომდე ამგვარის გამოძიების ქეიფიც არავის მოსვლია. ქეიფს ვინა ჩივის, ამისათვის ჯერ სურვილიც არ აღძრულა. ეს უცოდინარობა იმითი გვჩაგრავს, რომ არ ვიცით სად რა ვეძიოთ, საიდამ რა გამოვიღოთ და როგორ გამოვიღოთ.

ჩვენ რომ ამ შესწავლისათვის, ამ გამოძიებისათვის დიდი ხარჯიც გაგვეწია, ერთი ათად მოგებაში იქნებოდა დღეს და სიმდიდრის წყაროც მოემატებოდა ხალხსა და ქვეყანასა. რასაკვირველია, ეკონომიურს წარმატებაში, ახალის წარმოების აღმოჩენაში კერძო კაცის

თაოსნობასაც ბევრი რამ მოუხდენია, მაგრამ ეგ თაოსნობაც ფრთას ვერ გაშლის აქ, ჩვენში ათასის სხვადასხვა მიზეზისა გამო. ამ მიზეზთაგანს ჩვენ მარტო ერთს უმთავრეს შევნიშნავთ — ეკონომიურს წადილს, რომელიც სათავეა წარმოებისა, ისე არა ჰჩაგრავს რა, როგორც ხვალინდელის დღის უიმედობა და ფინანსობის წყობის დაუდგრომლობა.

ამიტომაც ყოველ კეთილად განწყობილს სახელმწიფოში გარდასახადის შესახებ, სხვათა შორის, იმასაც ცდილობენ, რომ ერთხელ დაწესებულს გარდასახადს რაც შეიძლება მეტი ხანგრძელობა ჰქონდეს და ამით ხალხს, კერძო პირთ ღონისძიება მიეცესთ თავისის ძარღვისა და ჯიბის ღონე და ერთობ ანგარიში შეუწონოს იმ ხანგრძლიობასა. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში ეს გამოცდილებით აღმოჩენილი და მეცნიერებით აღიარებული კანონი არ არის შეწყნარებული. აი თუნდა, მაგალითად, ავიღოთ არაყის ხდის წარმოება, რომლის თაობაზედაც ამას წინად ჩვენს გაზეთში სიტყვა იყო ჩამოგდებული. სამისა თუ ოთხის წლის განმავლობაში ამ წარმოებაზედ მიმართულმა გარდასახადმა სახე იცვალა.

აბა ეხლა წარმოიდგინეთ რა გამოდის იმგვარის გარდასახადის გამო, რომელიც აგრე სწრაფად იცვლის ხოლმე სახეს. ვჰსთქვათ, მე მწარმოებელი ვარ. რასაკვირველია, ყოველს ჩემს ანგარიშს დავამყარებ იმ წესზედ, რომელიც დღეს მოქმედებს. ვჰსთქვათ დღეს არაყის ხდას ისე აქვს შეწონილი გარდასახადი, რომ ქვაბმა დღეში ორჯელ მაინც რომ გამოხადოს, კიდევ მოგებაში ვიქნები. დავდგი ქარხანა ამ ანგარიშით და ყველაფერი ამ წესზედ მოვაწყე, ქარხანაც და ჩემის ქონების მეტ-ნაკლებობაც. ამ დროს უცბად ერთს ვისმეს ოთხკედელ შუა აეშალა საღერღელი პროეკტების წერისა, დაწერა პროეკტი, რომლითაც ჰსცვლის ზემოთქმულის გარდასახადის წესსა, მერე ისე, რომ თუ ქვაბმა დღეში ექვსჯერ მაინც ვერ გამოხადოს არაყი, არაყის ხდა საზარალოა, ეს პროეკტი ვჰსთქვათ გასინჯულ იქმნა და დამტკიცებულ, ხომ ჰგრძნობთ ის საღერღელის აშლა რა ხეირს დამაყრის: იმოდენა ხარჯს

წყალში უქმად გადამიყრის და მე, მწარმოებელს, გულზედ ხელებს დამაკრეფინებს.

ეგ კიდევ არაფერი, თუ ამისთანა ამბავი ერთხელ როგორმე შეცდომით მოახდინეს. მაგრამ თუ ეს ცვლილების საღერღელი ჩვეულებად გადიქცა, ჭირი მაშინ არის. ვერა კაცი, რაც უნდა გამოსარჩომს საქმეს წაააწყდეს აზრით და გონებითა, ვერ გაბედავს ხელი მოჰკიდოს ახალს საქმეს და თავისის ქონების ძალი ზედ მოახმაროს იქ, საცა ყოველგვარი ცვლილება საღერღელის აშლაზედ დამოკიდებულია. ამიტომაც ჩვენში ძნელია, რომ კერძო კაცის თაოსნობამ ფრთა გაშალოს და რაიმე ახალი წარმოება შეჰმატოს ქვეყანასა. ამიტომაც ჩვენში მუშახელი, ფული, თანხა იმისთანა საქმეს დაჰსტრიალებს, იმისთანა საქმისაკენ მიიზიდება მხოლოდ, რომელიც სადღეხვალიოა, რომელიც მოკლე ხანში შემთავრდება და ხანგრძლივ წარმოებაში კი ვერა ბედავს შეტოპვასა, რადგანაც გამოცდილებით ცნობილია, რომ ხანგრძლივობაში ბევრი ხიფათია. რაკი მუშახელს, თანხას ასეთი საბუთიანი მიზეზი აქვსთ, რომ ეგრე განზედ გაუდგნენ ეკონომიურ საქმეს, მაშინ ის დაუდგრომელი წყურვილი ცხოვრებისა, რომელიც ჰბადავს სხვა ქვეყნებში ათასნაირს სხვადასხვა წარმოებას და მით ამდიდრებს ხალხს, ჩვენში ფრთამოჭრილია და უქმი.

[1880 წ.]

<თვითმმართველობის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის>

ტფილისი 15 იანვარს.

როგორც კერძო კაცს, ისე მთელს სახელმწიფოსაც, ორნაირის გზით შეუძლიან ქონებითი ღონე მოიმატოს: ან იმითი, რომ გასავალი შეიმციროს, ან იმითი, რომ შემოსავალი გაიმრავლოს. ამ უკანასკნელს გზას დიდი საგზალი უნდა და დიდი განვითარება. რომელი სახელმწიფოც ჯერ იმ განვითარების ხარისხზედ არა დგას, რომ ამ უკანასკნელს გზას დაადგეს, რასაკვირველია, პირველი გზა უნდა ამოირჩიოს, თუ უნდა, რომ ჯიბე არ დაუცარიელდეს.

უილლიამ მოლსუორტი, ინგლისის პარლამენტის ყოფილა წევრი, ამბობს, რომ მაგისი წამალი თვითმმართველობა არისო. და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითად ინგლისი და მისთა თვალგაუწდომელ კალონიებთა მმართვის ამბავი ერთს თხზულებაში, რომელიც დაუწერია 1848 წ.

ინგლისის კალონიები ორგვარნი ყოფილან: ერთნი — იმისთანანი, რომელთაც არა ჰქონიათ თვითმმართველობა და მეორე — იმისთანანი, რომელთაც სრული თვითმმართველობა ჰქონიათ მინიჭებული.

უილლიამ მოლსუორტს მოჰყავს მაგალითად ჩრდილოეთ-ამერიკის კალონიები და მათ შორის კანადა, რომელსაც ყველაზედ ვრცელი თვითმმართველობა აქვს და ამასთანაც საკუთარი პარლამენტი, თითქმის სრულიად თავისუფალი ინგლისის სამინისტროსაგან, და ანგარიშით გამოდის, რომ აქ ხარჯი იმოდენად შემცი-

რებულია, რომ თვითო სულზედ ცხრა შილლინგი* მოდისო. მაშინ, როდესაც იმ კალონიაში, საცა მმართველობა მთავრობისაგან დადგენილ მოხელეების ხელში ყოფილა, მაგალითებრ, სამხრეთს ავსტრიაში, იქ ის ხარჯი სულზე მოდის ექვსი თუმანი სამი მანეთი და ათი შაური. უფრო ცხადი საბუთი მოჰყავს ზემოთქმულ აზრის დასამტკიცებლად ვესტ-ინდოეთის კალონიების შესახებ რომ ლაპარაკობს. ზოგიერთს მათგანს (მაგ. იამაიკას, ბაგამიის კუნძულებს და სხვ.) საკუთარი პარლამენტი აქვთ და ვრცელი თვითმმართველობა; ზოგიერთს კი (მაგ. ტრინიდადს, ბრიტანიის გვიანას და სხვას) მთავრობისაგან მიჩენილი მოხელეები მართვენ. და ამათ შორის აი თურმე რა დიდი განსხვავებაა, თუმცა ბევრი მათგანი ეკონომიურის წყობითა და ბუნებითად თითქმის თანასწორნი არიან.

მთელს ვესტ-ინდოეთის კალონიებში, რომელთაც მინიჭებული ჰქონიათ თვითმმართველობა, შვიდასი ათასი მცხოვრები ყოფილა და ხარჯი მმართველობისა ასე ყოფილა, რომ თვითო სულზედ თორმეტი შილლინგი და ათი პენსი** მოდის თურმე. იმ კალონიებში კი, საცა მმართველობა მთავრობისაგან დაყენებულ მოხელეების ხელშია, სულ ასოთხმოცდაათი ათასი სული ყოფილა და მმართველობის ხარჯი თვითო სულზედ ერთი-ორად მეტია თურმე, სახელდობრ ერთი გირვანქა სტერლინგი*** და ცხრა შილლინგი. უფრო ცხადი საბუთია მაგალითი ერთის ავსტრალიის კოლონიისა, რომელსაც ახალს უელსს სამხრეთისას ეძახიან. 1841 წ., როცა ამ კალონიას თვითმმართველობა არა ჰქონია, ხარჯი მმართველობისა თითო სულზედ თურმე მოდიოდა სამი გირვანქა სტერლინგი და ოთხი შილლინგი. 1843 წ. მიუნიჭებიათ თვითმმართველობა და მაშინვე ამ ხარჯს უკლია და სამს წელიწადზედ ერთს გირვანქა სტერლინგზედ და რვა შილლინგზედ ჩამომხტარა, თითქმის

* შილლინგი ინგლისური ფულია და რუსულ ფულზედ რომ გადმოვიღოთ, ექვსი შაური და ორი კაპეიკი იქნება.

** პენსიც ინგლისური ფულია, ხუთ გროშიანი.

*** გირვანქა სტერლინგიც ინგლისური ფულია და ღირს ექვს მანეთად და შვიდ შაურად, თუ ოქროზედ ვიანგარიშებთ და თუ ქაღალდის ფულზედ, თითქმის რვა-ცხრა მანეთადაც ღირს.

ორ წილ-ნახევარი დაუკლია, სულ სხვა ამბავია თურმე სხვა კალონიაში იქავ ახალ უელსის გვერდზედ, საცა თურმე მმართველობა სამინისტროსაგან დაყენებულ მოხელეების ხელში ყოფილა: იქ მმართველობის ხარჯი თურმე სულზედ მოდის თითქმის ერთი სამად მეტი, ვიდრე უელსში, ესე იგი ოთხი გირვანქა სტერლინგი.

ამ სახით, ცხადი და უეჭველია, რომ ფართოდ და ვრცლად დაყენებული თვითმმართველობა უებარი წამალია ხარჯის შესამცირებლად. ამიტომაც პატივცემული უილლიამ მოლსუორტი ურჩევს ინგლისსა, რომ განავრცელოს კალონიებში თვითმმართველობა. ამით ორს სიკეთეს მოიპოვიო: ერთს — იმასაო, რომ შენის კალონიების კეთილდღეობას ფეხზედ წამოაყენებო და მეორეს — იმასაო, რომ შენს საკუთარს ხარჯს შეიმცირებო.

[1880 წ.]



თეატრის მატიანე

„მე მინდა კნეინა გავხდე“, კომედია ზ. ანტონოვისა და „თილისმით მოარშიყე“, ვოდევილი გ. ერისთავისა.

თეატრის ავკარგიანობა და ბედ-იღბალი დამოკიდებულია, როგორადაც აკტიორების თამაშობაზედ, ისე რეპერტუარზედაც. თეატრი შეუძლებელია თუ სცენაზედ მოთამაშენი არ ეცდებიან შეისწავლონ ის ხელოვნება, რომლის წარმომადგენელი არის თეატრი. მეორის მხრით, თეატრი შეუძლებელია, თუ რეპერტუარი (თვითონ წარმოსადგენი პიესები) მოკლებულია შინაგან ღირსებას, თუ იგი არ შეეფერება არც დროთა ბრუნვას და ჟამთავითარებას, არც მაყურებელთა ცოტად თუ ბევრად განვითარებულ გემოვნებას. თეატრის განმანათლებელი და გამწრთვნელი მნიშვნელობაც ყველაზედ უწინარეს ამაშია გამონასკული; გამწრთვნელი მნიშვნელობა-მეთქი არა-მარტო საზოგადოებისა და ხალხისათვის, არამედ თვითონ მოთამაშეთათვისაც. თუ აკტიორები იძულებულნი არიან ითამაშონ მუდამ უაზრო, უმნიშვნელო და დაობებულ პიესებში, რომელნიც მარტო მაყურებლის გასაცინებლად არიან შეთხზულნი, მაშინ შენი მტერი... გაქარწყლდა სათეატრო ხელოვნებაც და თვითონ თეატრიც, რომელიც შეიქმნება ბალაგანათ, სადაც ოღონდ კი სიცილი აუტყდეს მაყურებელს, რითაც უნდა იყოს, და მეტი რა ჯავრია. მაგრამ საქმე ის არის, რომ სიცილსაცა აქვს თვისი ისტორია, თვისი პირობა, რომელიც არსებობს ერთის მხრით, თვითონ საცინელ საგნის

თვისებაში, მეორის მხრით თვითონ მოცინარეში. რაზედაც ერთი იცინის — მეორე ამთქნარებს; რაც უწინ იყო საცინელი, შეიძლება დღეს იყოს საზიზღარი და სხვ.

ყველა ეს მოგვივიდა აზრში, როდესაც უცქერდით ამ სათაურში მოხსენებულ პიესების წარმოდგენას. რა არის „მე მინდა კნეინა გავხდე“, ან „თილისმით მოარშიყე“? არა მგონია, რომ ამ პიესების შინაარსის გარდაცემა საჭირო იყოს მკითხველისათვის, რადგანაც დარწმუნებული ვარ, ყველას უნახავს ეს ძველთაგან ძველი კომედია თუ ვოდევილი. იქ, რასაკვირველია, არაფერს არ მოგახსენებთ საზოგადოდ ანტონოვისა და გ. ერისთავის მნიშვნელობაზედ ჩვენს რეპერტუარში, რომლისათვის იმათაც დაუდვიათ თავიანთ ღვაწლი. მე მოგახსენებთ მარტო, რომ ზემოხსენებულ პიესებს აწინდელ რეპერტუარში ვეღარ ექმნებათ ადგილი. შეიცვალა მაყურებელი და მასთანვე მისი სასცენო გემოვნებაც. ეხლა იშვიათად გააცინებ მაყურებელს ამგვარ სიტყვებით, როგორც „ემე“, „ვქენი“ და სხვ., ან სიტყვების სამასხარაო გადასხვაფერებით და ჩმახუნით.

როდესაც სცენაზედ სწარმოებს ამგვარი, ყოვლის მხრივ უხეირო პიესა აკტიორების თამაშობაზედაც ბევრი არა ითქმის რა. კარგად ითამაშეს თუ ცუდად — რა მოგახსენოთ. რაკი პიესა დაწერილია სამასხარაოდ, რაკი ყველა მომქმედნი პირნიც სამასხარაოდ არიან გამოყვანილნი, მაშინ, რასაკვირველია, აკტიორიც იმდენად კარგად ითამაშებს, რამდენადაც მისი თამაშობა უფრო კარგად მიუდგება და შეეფერება ამ სამასხარაო განზრახვას. ეს ყველა კარგი, მაგრამ აქ სათეატრო ხელოვნება არაფერშია.

რეპერტუარზედ დავიწყეთ ლაპარაკი. ამ მხრით ჩვენი თეატრი მართლა რომ სამწუხარო მდგომარეობაშია, და ამიტომაც, რასაკვირველია, ცოტად თუ ბევრად, მიეტევება ზემოხსენებულისთანა პიესების დადგენა სცენაზედ. სამუდამო თეატრი ჩვენში გუშინდელი საქმეა და ამიტომაც ისე ჩქარა სად მოასწრობდა მდიდარის რეპერტუარის შეძენას. ამ მხრით ჩვენი თეატრის მდგომარეობა სამწუხაროა კიდევ სხვაფრივ. ქართულ წარმოდგენების მაყურებელთა გუნდი ამ ჩვენ

ქალაქში თითქმის ერთი და იგივეა ყოველთვის. ამის გამო ერთი და იგივე წარმოდგენა რამდენჯერმე გამეორებული ვერ მოიწვევს მაყურებელთა საკმაო რიცხვს, იმდენად საკმაოს, რომ ხარჯს მაინც აუვიდეს ჩვენი ღარიბი ტრუპპა. მაყურებელი თხოულობს ახალ-ახალ პიესებს, რომელნიც, რასაკვირველია, ქადასავით ვერ გამოცხვებიან. რეპერტუარის გამდიდრებას და მაყურებელთა რიცხვის გამრავლებას, რასაკვირველია, დრო უნდა. მაგრამ, მაინც, ჩემის აზრით, ხეირიანის პიესის ხშირად წარმოდგენა სჯობს, ვიდრე უხეიროსი იშვიათად დადგენა, რადგანაც მაყურებელი რიცხვის შესახებ სულ ერთია, და სცენის მოთხოვნილება კი ცოტაოდენად მაინც იქმნება დაცული.

[1880 წ.]



ასათიანის მოკვლაზედ

ტფილისი, 17 იანვარს.

ასათიანის მოკვლის თაობაზედაც სწორეთ იმნაირად მოქმედობენ ზოგიერთები, როგორც მოქმედობდნენ ნინო ანდრეევსკის ქალის მოკვლის დროს; როგორც მაშინ დაასწრეს სასამართლოს და თავის გადაწყვეტილება გამოაცხადეს, როგორც მაშინ იკისრეს „სისჩიკის“, როლი, ისეც ახლა.

არა თუ ლიტერატურას, ჩვენის აზრით, კერძო კაცსაც არ შეშვენის ამისთანა უმადური როლის თავისთავზე კისრვა, ამისთანა სულწასული მოქმედება.

კაცმა კაცი მოკლა. ამ მოკვლაზედ გამოძიება არის დანიშნული. მხოლოთ პოლიციისა და სასამართლოს საქმეა ნამდვილ დამნაშავის აღმოჩენა და ბრალდებულთა სკამზე დასმა ამ დამნაშავისა. მხოლოთ კეთილ სინდისიან გამოძიებისა და ყოველის მხრით საქმის გაჩხრეკის შემდეგ, სასამართლოს და არა სხვას ვისმე, შეუძლიან სთქვას:

„ — აი ეს არის დამნაშავე! ეს უნდა იქმნეს დასჯილი“!

მართალია, შეიძლება გარეშე პირიც, ლიტერატურაც, რომელთაც ამგვარ საქმის თაობაზე არავითარი გამოძიება არ მოუხდენიათ, არაფერი არ გამოუკვლევიათ, იქნება არც ერთი ხელმოსაკიდებელი საბუთიც არ ჰქონდეს, შეიძლება ეს გარეშე პირი და ლიტერატურაც არ შესცდეს ხანდახან, როდესაც იტყვის — აი ეს არის ამ საქმეში დამნაშავეო! მაგრამ ხშირად ისიც შეიძლება, რომ ის შესცდეს, რადგან, როგორც მოგახსენეთ, იმას გამოძიება არ მოუხდენია, თავის სიტყვის

დასამტკიცებელი საბუთი არა აქვს, რადგან ის მოქმედებს ამ შემთხვევაში ისე, როგორც უსინათლო ოთახში რისიმე მაძებარი კაცი, უფაქტოთ, მხოლოთ თავის მოსაზრებაზედ და უსაფუძვლო რწმენაზე დამყარებული.

ჩვენ რომ იდეალური გამომძიებელნი და მოსამართლენი გვყვანდნენ, მაშინ სულ სხვაა, მაშინ ამგვარ წინადასწრებას სასამართლოსას, ამგვარ წინათვე დამნაშავის მითითებას არავითარი გავლენა არ ექნება ჭეშმარიტების აღმოჩენაზედ. მაშინ მოსამართლენი ყურადღებას არ მიაქცევენ იმას, რასაც საზოგადოებაში, ანუ ჟურნალ-გაზეთებში ამბობენ; მოსამართლენი მოიქცეოდნენ ისე, გამოიკვლევდნენ და გადაწყვეტდნენ ამ საქმეს ისე, თითქო არა იციან რა, თითქო პირველად ცნობულობენ სასამართლოში ამ საქმეში.

მაგრამ უბედურებაც ეგ არის, რომ ჩვენი მოსამართლენი ისეთივე ხორცშესხმული ადამიანები არიან, როგორც ყოველი კაცი; საზოგადოების აზრს, ჟურნალ-გაზეთების წინასწარ მოსაზრებასა და მსჯელობას იმათზედაც ისეთი გავლენა აქვს, როგორც საზოგადოთ ყველაზედ, და ამის გამო ადვილად შესაძლებელია, რომ იმათ, თვით საქმის გამხილვამდინ, გამოძიების გაცნობამდინ, შეადგინონ წინასწარი აზრი, რწმენა რომელსამე საქმეზე, დანაშაულობაზე.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ დ. ჩხოტუას ფეხი არ უდგია-მეთქი ნინო ანდრეევსკის ქალის მოკვლაში; არც იმას ვამტკიცებთ, რომ ღვინიაშვილს ასათიანი არ მოეკლას, ამ ორ შემთხვევაში არც საზოგადოება და არც ლიტერატურა მოტყუებულა თავის წინასწარად გამოთქმულს აზრში, დამნაშავის პირდაპირ მითითებაში. ჩვენ ვამბობთ და ვამტკიცებთ, მხოლოდ იმას, რომ ეს სისტემა ცუდი და მავნებელი სისტემაა; ჩვენ ვამბობთ, რომ პატიოსან და წინდახედულ კაცსა და გაზეთს არ შეშვენის ჯერ, სანამ ნამდვილი ფაქტები არ აღმოუჩენია სასამართლოს და ბეჯითად არ დამტკიცებულა ვისიმე დანაშაული, ქადაგება და ღრიალი, რომ ,,აი ეს დამნაშავე, სტაცეთ ამას ხელიო!'' ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამგვარის მოქმედებით ძალიან ადვილად შეიძლება, რომ კერძო პირმა და ლიტერატურამ დიდ შეცდომაშიც შეიყვანოს საზოგადოებაც და თვით მოსამართლენიც...

რაი რომ მიძინებულმა ,,ობზორმა'' გამოჭყიტა თვალები და თავის ჩვეულებრივი ოინბაზობა და ჯამბაზობა დაიწყო, ერთი ნომერი არ გამოსულა თითქმის ამ გაზეთისა, რომ მოკლულის ასათიანის ქება-დიდება არ ჰყოფილიყოს და მკვლელის — ღვინიაშვილის წყევლა, ქოლვა, ლანძღვა და მიწასთან გასწორება, — ასათიანი გამოჩენილი პედაგოგიც შეიქნა, ანგელოზის ხასიათიც ჰქონდა იმას, სამშობლო ქვეყნისათვის დღედაღამე დაუძინებელად ზრუნავდა, უანგაროც იყო, დიდი მწერალიცა, შესანიშნავი მშრომელიც და სხვ. და სხვ. და ღვინიაშვილი კი ერთი რაღაც მხეცი კაცია, რომელმანც სულ ტყუილ-უბრალოთ, უმიზეზოთ მოჰკლა ეს გამოჩენილი, ქვეყნისთვის თავგადადებული კაცი, რომელმანც იმდენი უმადურება გამოიჩინა, რომ ვერ დააფასა ასათიანის სიკეთე, რომელსაც, ერთის სიტყვით, კაცის გრძნობა და გული არა აქვს და სხვ. და სხვ.

ნეტავი ვიცოდეთ — ვისთვის, რისთვის არის საჭირო ამნაირი გაზვიადება ერთის მხრით, მოკლულის ღირსებებისა და მეორეს მხრით, მკვლელის ცუდი ხასიათებისა? რა მიზანი უნდა ჰქონდეს გაზეთს, რომელსაც უბრალო მამაკვდავი ასე ცამდინ აჰყავს? და ან რა საჭიროა ყველას ეს დიფირამბები იმ დროს, როცა ჯერ გამოძიება არის და სამართლამდინაც არ მისულა საქმე?..

[1880 წ.]

კავკასიის უნივერსიტეტი

ტფილისი, 22 იანვარს.

თვითმმართველობის წარმომადგენელ პირმა, ჩვენს ქვეყანაში სწავლა-განათლების გამგემ უფ. იანოვსკიმ, რომელიც ჯერ ერთი წელიწადი არ არის, რაც დაინიშნა ამ თანამდებობაზედ, თვით ამანაც კი იგრძნო და დაინახა, რომ კავკასიაში უმაღლესი სპეციალური სასწავლებლების გახსნა აუცილებლად საჭიროაო. ამ მოკლე ხანში ადგილობრივ გაზეთებმა გვაცნობა ჩვენ, რომ უფ. იანოვსკის განზრახვა აქვსო, მთავრობასთან იშუამდგომლოსო, რომ თფილისში იქმნეს გახსნილი აღმოსავლეთ ენების ფოკულტეტი და ამას გარდა უმაღლესი ტეხნოლოგიური ინსტიტუტი.

თუ გუშინ ჩამოსული კაცი გრძნობს ამას, თუ ის, ჯერ ჩვენს ქვეყანაში უცხო პირი, ჰხედავს ამ საჭიროებას, რაღას უნდა გვრძნობდეთ ჩვენ, კავკასიის მცხოვრებნი, რომელნიც მუდამ ვხედავთ — თუ რამდენი გვაკლდება იმით, რომ ჩვენში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არის გახსნილი? რაღას უნდა ვგრძნობდეთ ჩვენ, რომელთაც თვალწინა გვაქვს ათასი მაგალითები, ათასი საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველს მხრივ დიდი და უანგარიშო დაბრკოლება ეძლევა ჩვენს მხარეს იმის გამო, რომ არც უნივერსიტეტი და არც ერთი უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი არა გვაქვს?!

რა მხრითაც გნებავთ, აიღეთ ეს საგანი, ყველა და ყველაფერი გვეუბნება ჩვენ, რომ კავკასიას ცალკე უნივერსიტეტი ეჭირებაო.

ავიღოთ თუნდა თითონ ქვეყანა, როგორც ქვეყანა:

იმედია, არავინ კვეხნათ არ ჩამოგვართმევს, რომ ვსთქვათ, რომ კავკასიისთანა მდიდარი ქვეყანა რუსეთის თვალგადაუწვდენელ იმპერიაში სხვა არ მოიპოება. მაგრამ, მეორეს მხრით, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთში არ არის სხვა რომელიმე მხარე, რომლიდამაც ხალხსა და სახელმწიფოს ისეთი პატარა სარგებლობა და ნაყოფი გამოჰქონდეს თავის მდიდარს ბუნებიდამ, როგორც კავკასიის ხალხსა. მიწაზედ სიმდიდრე, მიწაში სიმდიდრე. უმეცარი, უღონო, უსაშუალო ხალხი ვერც ერთით ახერხებს სარგებლობას, ვერც მეორეთი.

კავკასიაში გახსნილი უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი დაგვეხმარება ამ შემთხვევაში.

ხალხში გავრცელებულია სწავლის სურვილი; მცხოვრებთა რიცხვის შედარებით, რუსეთის არც ერთს მხარეში არ არის იმდენი მოსწავლეები, რამდენიც კავკასიის სხვადასხვა სასწავლებლებში ითვლება. პირველდაწყებითი სასწავლებლები, საქალაქო შკოლები, სასწავლებლები, სამასწავლებლო სემინარიები, გიმნაზიები და პროგიმნაზიები ყველა სავსეა მოსწავლეებით და თითოეულ ამათგანს მუდამ წელიწადს ასობით აბრუნებენ უკან შაგირდებს, რომელთაც სწავლის მიღება ჰსურთ, რადგან სასწავლებელში ადგილი არ არის, რომ ყველა მსურველები დაეტიოს.

რამდენია კიდევ ისეთი, რომელიც არ ათავებს საშუალ სასწავლებელს მხოლოდ იმიტომ, რომ შეძლება არა აქვს შემდეგ განაგრძოს სწავლა?

რამდენი ისეთი, რომელიც ღონისძიებას პოულობს, მიდის რომელსამე უნივერსიტეტის ქალაქში იმ იმედით, რომ იქნება იქ ვიშოვნო უროკები ან სხვა რამ საქმეო, მაგრამ ვერ პოულობს ცხოვრებისა და სწავლისათვის საშუალებას და იძულებულია უკანვე დაბრუნდეს სწავლადაუსრულებელი?

კავკასიაში გახსნილი უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი დაგვეხმარება ამ შემთხვევაში.

რამდენია ისეთი ახალგაზრდა, რომელიც საშუალ სასწავლებელს ასრულებს ჩვენში, მერე რუსეთში მიდის უმაღლესის სწავლის მისაღებად; მაგრამ იქაური ჰაერი, იქაური ბუნება, იქაური ცხოვრების პირობანი ვერ აუტანია და უკან დაბრუნებულა?

რამდენი ჩინებული, ნიჭიერი და საიმედო ახალგაზდა დაგვეხოცა ჩვენ რუსეთის უნივერსიტეტში მხოლოთ იმის გამო, რომ კავკასიის ჩჩვილ და ბედნიერ ბუნებას შეჩვეულმა იმათ აგებულებამ ვერ გაუძლო პეტერბურღისა და მოსკოვის სუსხ სიცივეებსა?

კავკასიაში გახსნილი უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი დაგვეხმარება ამ შემთხვევაში.

ჩვენში მოიპოება თითო-ოროლა განათლებული კაცი, რომელთაც რუსეთში ან სამზღვარგარეთ შეუსრულებიათ უმაღლესი სწავლა და შემდეგ თავის ქვეყანაში ჩამოსულან. მაგრამ შეხედეთ ახლა ამათ: ვერც სწავლა-განათლებით, ვერც განსაკუთრებული მოქმედებით, ვერც საზოგადოების სასარგებლოთ მოღვაწეობით ვერ შეატყობთ ამათ, რომ ესენი ერთ დროს სწავლა-მეცნიერების სათავეს დაწაფებიან, რომ ამათ მიულიათ უმაღლესი სწავლა. ისეთივე ჩინოვნიკები, ვაჭრები, ანუ სოფლის მეოჯახეები გარდაქცეულან და შექნილან ესენი, როგორც სხვანი, რომელთაც სწავლა-მეცნიერებისათვის არც უსუნებიათ.

რისგან არის ეს? — იმისაგან რომ უმაღლესის სწავლის მიღების შემდეგ, როცა თავის ქვეყანაში დაბრუნებულან, აქ, თავის სამშობლოში, ვერ უპოვნიათ იმათ ისეთი წრე, ისეთი საზოგადოება და ამხანაგები, რომელთანაც შესძლებოდათ თავის რწმენათა და აზრების გაზიარება და თანაგრძნობა, რომელთანაც ერთად შესძლებოდესთ რომელიმე საზოგადო საქმის დაწყება და თაოსნობა. ისინი ხედავენ, რომ გარშემო ყველა ჯიბისა და მუცლის საქმეს მისდევს, რომ ყველა თავის კერძო სიამოვნებისა და ნეტარებისათვის ზრუნავს დღე და ღამე, და ძალაუნებურად თვითონაც ამ გზას დაადგებიან ხოლმე.

კავკასიაში გახსნილი უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწალებელი დაგვეხმარება ჩვენ ამ შემთხვევაში.

კავკასია არის შუაგული ადგილი, ცენტრი რუსეთის, ოსმალეთის და სპარსეთის სამზღვრებისა; სამას ვერსამდინ იმის ნაპირები შავ ზღვაზე მდებარებენ; ჩვენ ცხვირწინ, ამბობენ, არხავეში, რომელიც სულ რამდენიმე ვერსის სიშორეზე ბათომიდამ, ფუძნდებიან და მყარდებიან ინგლისელები; ამათი მეზობლობა მოითხოვს ჩვენგან, რომ რუსეთი კავკასიაში მარტო თოფიარაღით, ხიშტებითა და სალდათების სიმრავლით არ იყოს ძლიერი, საჭიროა რუსეთს ჰქონდეს აქ ზნეობითი ძალა, საჭიროა ყვანდეს ინტელიგენცია, საჭიროა სწავლა-განათლებითა და კეთილდღეობით იყოს ის კავკასიაში ძლიერი.

კავკასიაში გახსნილი უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი დაეხმარება რუსეთს ამ შემთხვევაში.

თფილისი, 23 იანვარს.

შემცდარი აზრია, უბრალო შიშია, რომ კავკასიის უნივერსიტეტს საკმაო მოწაფეები, სტუდენტები არ ეყოლებათ, რადგან ჩვენს საშუალ სასწავლებლებში ცოტანი ათავებენ მუდამ წელიწადს კურსსაო და ამის გამო უნივერსიტეტით ბევრი ვერ ისარგებლებს.

ამ მოსაზრების დასარღვეველად საკმაო იქნება მოვიყვანოთ შემდეგი ანგარიში:

კავკასიის აქეთა და იქითა მხარეში ამჟამად სულ 17 საშუალი სასწავლებელია, ე. ი. კლასიკური და რიალური გიმნაზიები, სამასწავლებლო და სასულიერო სასწავლებლები, რომელნიც დღეს-ხვალ სრულ გიმნაზიებად გარდაიქცევიან. მართალია, უნივერსიტეტის წესდებით, ყველა ამ სასწავლებლებში კურსშესრულებულებს არა აქვთ უფლება, რომ პირდაპირ შევიდნენ უნივერსიტეტში; მაგრამ, უეჭველია, რომ, როცა უნივერსიტეტი თფილისში გვექნება, ბევრი სემინარიელი, ბევრი რეალურ და სამხედრო გიმნაზიაშიაც კურსშესრულებული მოემზადება იმ საგნებიდამ, რომელნიც საჭირო იქნება, და დაიჭერს ეგზამენს უნივერსიტეტში შესასვლელად.

დაახლოებით რომ ვიანგარიშოთ, თითოეულ ამ 17 სასწავლებლიდამ წელიწადში 4 ყმაწვილი მაინც შევა კავკასიის უნივერსიტეტში; — ეს გამოვა სულ 70 ყმაწვილი; ახლა ამას რომ სასწავლებლებს გარეშე მომზადებულები დაუმატოთ, გამოვა, რომ მუდამ წელი-

წადს ჩვენს უნივერსიტეტში უკანასკნელი 75-80 ახალი სტუდენტი მაინც შევა. განა ბევრია რუსეთში ისეთი უნივერსიტეტი, რომელშიაც ამაზე მეტი რიცხვი სტუ-დენტებისა შედიან მუდამ წელიწადს?

შემცდარია აგრეთვე ის აზრიც, რომ კერძოთ ჩვენთვის, ქართველებისათვის, კავკასიის უნივერსიტეტი მაგდენ სარგებლობას ვერ მოიტანსო, რადგან ჩვენის მხრის ახლანდელ საშუალ სასწავლებლებში ქართველი ყმაწვილები ერთობ ცოტანი ასრულებენ სწავლასაო.

მართალია, ქართველთა რიცხვი საშუალო სასწა-ვლებლებში ძალიან მცირეა და ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ეს ყოვლად უბედური გარემოება ავიცილოთ თავიდამ. მაგრამ უნივერსიტეტის არსებობა ჩვენში იმდენად სასიკეთო და სასარგებლოა, რომ ზე-მოხსენებული გარემოება უნივერსიტეტის დაარსების შესახებ არაფერშია. იქნება თუ არა ჩვენში უნივერსი-ტეტი, მაინც უნდა ვეცადოთ, რომ მომეტებულმა ქართ-ველმა გაათავოს კურსი საშუალო სასწავლებელში. საქმეც იმაშია, რომ თვითონ უნივერსიტეტის არსებობა აქ, საქართველოში, იქნება ერთი იმ სახსართაგანი, რო-მელნიც გაამრავლებენ ქართველთა რიცხვს სხვა სას-წავლებელშიაც.

ამნაირად, ყოველის მხრით აუცილებელი საჭიროა და შესაძლებელია კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნა. სახელმწიფო ინტერესი, ხალხის სარგებლობა, ქვეყნის საჭიროებანი, თვით ბუნება თხოულობს, რომ ჩვენში იყოს უმაღლესი სასწავლებელი — უნივერსიტეტი.

ამიტომაც ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი თავადაზნაურობა, ქალაქის თვითმმართველობანი და ყველანი, ვისაც თავისთავი ვალდებულად მიაჩნია, რომ საზოგადო ქვეყნის ინტერესისათვის იზრუნოს, ყველანი დაივიწყებენ თავის კერძო, განცალკევებულ საჭიროება-სა და მოთხოვნილებას მომავალ დიდებულ დღეს 19 თებერვალს, ერთად ძმურად იშუამდგომლებენ უმაღლე-სის მთავრობის წინაშე, რომ კავკასიაში უნივერსიტეტი გაიხსნას, და გაიხსნას რაც შეიძლება მალე, დაუბრ-კოლებლივ.

[1880 წ.]



ვისთვის არის ეს საჭირო?

თფილისი, 24 იანვარს.

უკანასკნელის ფოჩტით მოსულს რუსის გაზეთს „ს. პეტერბურღის უწყებებში“ ჩვენ წავიკითხეთ კავკასიის მხრიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიაც, ყარსისა და ბათომის მაზრის მცხოვრებთა ოსმალეთში გადასახლებაზე, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

„ ...ყარსის მაზრიდამ 50.000 სულამდინ გარდა-სახლდა მომეტებული ნაწილი დიარბექირისაკენ; ბათო-მის მხრიდამ კი 7.000 სული მცირე აზიაში ზღვის ნაპირებზე, ორივე მხრიდამ გადასახლებულები ნანობენ ახლა ასე აჩქარებით თავის ქვეყნიდამ აყრას და უკან დაბრუნების უფლებას თხოულობენ; მ ა გ რ ა მ, რ ა ღ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, რ ო მ ი მ ა თ ი თ ხ ო ვ ნ ი ს შ ე-ს რ უ ლ ე ბ ა ა ხ ლ ა შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა.

ს ა მ წ უ ხ ა რ ო ა რ ა ი ს ა მ დ ა უ დ ე გ ა რ ი ხ ა ლ ხ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა; ამათ მაგიერად ესა-ხლებიან რუსები, — რომელნიც ამ მხარეში შემოიტანენ თან შრომასა და წესიერებას... გასაკვირველია მართლა ის ლმობიერება და მოხერხება, რომლითაც რუსის სალდათმა იცის ადგილობრივ მცხოვრებლების მოპყრო-ბა, ამათზე აქაური ხალხისაგან არა თუ საჩივარი და უკმაყოფილება არ ისმის, არამედ თვითონ ეს ხალხი თხოულობს, რომ იმათ დასაცველად ქურდებისა და ავაზაკობისაგან სალდათები დაუყენონ სოფლებში.

მაგრამ წყვდიადი და ნათელი ერთად ვერ მოთავს-დებიან: უმთავრესი მიზეზი ამ ხალხის გარდასახლებისა არის შიში, რომ ადრე თუ გვიან ამათ დასჭირდებათ

თავის ქალების გამოჩენა, და ამას ვერ მოითმენს მაჰ-
მადიანი“.

აი ამას გვიქადაგებს ჩვენ რუსის გაზეთი და იმის
აქაური კორრესპონდენტი, რომელნიც სწორის, ჭეშმა-
რიტების აზრებისა და ნამდვილის ფაქტების გამავრ-
ცელებელნი უნდა იყვნენ ჩვენის ქვეყნის შესახებ, რუ-
სეთის ხალხში!

მადლობა ღმერთსა, რომ ამისთანა აზრისა არ არის
არც ჩვენი უმაღლესი მთავრობა და არც ერთი ნამდ-
ვილი, კეთილგონიერი რუსი, რომელთაც ესმისთ
სახელმწიფო სარგებლობა რას მოითხოვს და რა მოს-
დევს ხალხის თავის ქვეყნიდამ მეორეში გადასახლებას!

ყარსისა და ბათომის მხარეებში მოგზაურობის
დროს დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა ყველგან,
საცა ჰქონდა შემთხვევა, როგორც ოფიციალურს
„კავკაზში“ დაბეჭდილმა ამ მოგზაურობის ოფიცია-
ლურმა აღწერამ გვაცნობა, გამოუცხადა ხალხს, რომ
ნურაფრის გეშინიანთო, თქვენს სარწმუნოებას, ადათს
ჩვენ (რუსის მთავრობა) ხელს არ ვახლებთო; თქვენი
ცოლ-შვილი, თქვენი სახლ-კარი და ადგილ-მამული
ხელუხლებელად გექნებათო; იმუშავეთ, კეთილგონიერად
იცხოვრეთ, მოუარეთ თქვენს მიწა-წყალს და მთავრობა
არაფერს არ დაზოგავს თქვენის კეთილდღეობისათვი-
საო.

სწორედ ამგვარსავე სიტყვებით მიმართა ნამესტნი-
კის თანაშემწემ თ. სვიატოპოლსკმაც ბათუმ[ელ]
ხალხს, როდესაც რუსის ჯარი პირველად შევიდა და
დამყარდა ამ მხარეში.

ამგვარადვე იქცევიან, ამგვარადვე ცდილობენ
ახლადდაპყრობილი ხალხის შეთვისებასა და იმათ გუ-
ლის მოგებას ყველა გონიერი და თავიანი რუსის ჩი-
ნოვნიკები ხსენებულს მაზრაში.

და სხვანაირად მოქცევა წარმოუდგენელი და გაუგე-
ბარი იქნებოდა, წარმოუდგენელი და გაუგებარი იქნება
ხალხის მოძულება და განდევნის სურვილი იმათის
მხრით, ვისაც კი ტვინი აქვს და ესმის, რომ ამ ადგი-
ლობრივ მცხოვრებლების გარდასახლებით არათუ მარ-
ტო ამათგან მიტოებულს ქვეყანას მიეცემა დიდი და
უანგარიშო ზარალი, არამედ თვით მთელ რუსეთსაც.

წარმოუდგენელი და გაუგებარი იქნებოდა ამიტომ,
რომ მარტო ბრმებისათვის არ არის ახლა დამტკიცე-
ბული, რომ ამ ზღვის ნაპირა ადგილებში შუაგულ რუ-
სეთიდამ გადმოსახლებული ხალხი ვერა სძლებს, ვერ
იტანს აქაურ ჰავას და უანგარიშოთ იხოცება, მოიგო-
ნონ ამ ბრმებმა სოხუმის მაზრის კოლონიზაციის მა-
გალითი.

წარმოუდგენელი და გაუგებარი იქნებოდა ამიტომ,
რომ ვერც ერთი სხვა ხალხი ვერ დაიცავს ისე მტრი-
საგან ამ ადგილებს, ვერც ერთი ვერ მოუვლის თავის
მამა-პაპისეულ მიწა-წყალს ისე, როგორც თვით აქაური
ადგილობრივი ხალხი.

წარმოუდგენელი და გაუგებარი იქნებოდა იმიტომ,
რომ კეთილგონიერ და კაცთმოყვარე კაცს არასოდეს
არ მოუვა თავში ხეპრული აზრი, რომ ერთი ადგილი-
დამ, თავის სამშობლო ქვეყნიდამ აჰყაროს მთელი
ხალხი და სხვაგან, უცხოეთში, გარდაასახლოს მაშინ,
როდესაც ეს გარდასახლება, ერთის მხრით, დაღუპავს
ამ ხალხს და მეორეს მხრით, ავნებს თვით იმ ხალხ-
საც, რომელსაც გადასახლებულების მიწა-წყალი რჩება.

წარმოუდგენელი და გაუგებარი იქნებოდა იმიტომ,
რომ გონიერმა რუსმა იცის — თუ რამდენი უდაბნო,
ხელუხლებელი ადგილები იპოება თვით იმის ქვეყანაში,
რომელსაც პატრონი და მომვლელი ვერ ამოსჩენია,
ხალხის სიცოტავის გამო და კიდევ ახალი ქვეყნის
გაუდაბნოება იმისთვის სასიკეთო არ იქნებოდა.

წარმოუდგენელი და გაუგებარი იქნებოდა ამიტომ,
რომ გონიერმა რუსმა იცის — თუ რა დაუძინებელ
მტერს შეიძენდა იმის ქვეყანა ამ ძალაუნებურად გადა-
სახლებულებში. ის მოიგონებდა ჩერქეზებისა და აბხა-
ზების მაგალითს.

მაგრამ ყველა ეს „პეტერბურღის უწყებე-
ბის“ ჩვენებურ კორრესპონდენტს არ ესმის, ან არ უნ-
და გაიგონოს. იმას არ ესმის, რომ დიდად სამწუხარო
იქნება ამ ხალხის გადასახლება და ამბობს: „დაე გადა-
სახლდნენო!“

არ ესმის, რომ რუსეთის პოლიტიკური ინტერესი,
სახელმწიფო-სასარგებლო, კაცთმოყვარება და სხვა ყო-
ველგვარი ანგარიში მოითხოვს, რომ ხელგაშლილი,

ძმურის სიყვარულით მივიღოთ ჩვენ ყველა, ვინც შეცდომით გადასახლებულა და დაბრუნებას მოინდომებს, და გაიძახის: „ვინც ერთხელ გადასახლდა, იმათ უკან დაბრუნების ნება არ უნდა მიეცესთო!“

არ ესმის, რომ გადასახლების მიზეზი ათასია და არა მარტო ერთი, და ბრძანებს: „თავიანთი ქალების გამოჩენა არ უნდათ და იმიტომ მიდიანო!“

არ ესმის, რომ ყარსის მხრის ახლანდელი დამშევის მიზეზი მხოლოთ ის არის, ვინც მშრომელი ხალხი იყო, სულ ოსმალეთში გადასახლდა, და ამბობს: „დუხაბორები და მალაკანები დავასახლოთ იქ და შრომასა და წესიერებას მოიტანენ თანაო!“

ერთის სიტყვით, იმგვარი აზრების გამოთქმა, როგორიც ზემოხსენებულ გაზეთშია გამოთქმული, შეუძლიან მხოლოთ ისეთს პირს, რომელსაც არ ესმის არც ადგილობრივი ახლადდაპყრობილ ქვეყნების ხალხის ვითარება და არც რუსეთის სახელმწიფო საჭიროება, ისეთს კაცს, რომელსაც იმდენი ტვინი, გული და კაცთმოყვარეობა არა აქვს, რომ გაიგოს ის ტანჯვა-წვალება და უბედურება, რომელიც მოსდევს ხალხის თავის სამშობლო ქვეყნიდამ განდევნას, გარდასახლებას; ვისაც სამშობლო აქვს, ვისაც თავის ქვეყნის სიყვარული უღვივის გულში, ის ამისთანა საზიზღარ აზრებს არ წამოროშავდა.

[1880 წ.]



თეატრის მატიანე

კოტე მესხის ბენეფისი: “სკაპენის ცულლუტობა”, კომედია მოლიერისა. “ბუტიაობა”, ვოდევილი აკაკი წერეთლისა.

—

ჩვენი საზოგადოება მესხის ბენეფისსაც არანაკლების თანაგრძნობით დაუხვდა, ვიდრე გაბუნიას ქალისას, თუ აბაშიძისას. თეატრი ოთხშაბათსაც გაჭედილი იყო ხალხით; მაყურებელთ ოთხშაბათსაც დიდი აღტაცება აღიარეს, როგორც თვითონ თეატრის ზალაში, ისე თეატრის გარედაც. კარგად ვიცი, რომ ამგვარი დახვედრა ფრიად შესანიშნავია და სასიამოვნოც: ეს უსათუო ნიშანია, რომ საზოგადოებამ იცის ნამდვილის ნიჭისა და ხელოვნების დაფასება: რომ მაყურებელი არ მოაკლებს მოთამაშეს თავის თანაგრძნობას, თუ აკტიორმა მოჰგვარა მას ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება, ცოტაოდენი მაინც. ამგვარი დახვედრა ცხადად ამტკიცებს, თუ რაგვარ აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს თეატრი ჩვენის საზოგადოებისათვის...

ვიცი მეთქი, რომ ეს გარემოება სასიამოვნოა. მაგრამ ვიცი კიდევ სხვა გარემოებაც, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, აშხამებს ამ სიამოვნებას: ვიცი რომ ჩვეულებრივ წარმოდგენებში ცოტა ხალხი დაიარება. რისგან არის ეს? როგორ მოთავსდნენ ერთი ერთმანეთში — ერთის მხრით ხალხის უეჭველი მოთხოვნილება და მისგამო მაყურებელთა დიდძალი გროვა ბენეფისის დროს და მეორის მხრით, ამავე მაყურებელთ რიცხვის ნაკლებობა ჩვეულებრივ წარმოდგენებში? ჩემის აზრით, მიზეზი, ერთის მხრით, თვითონ ბენეფისში, თვითონ ბენეფისის არსებობაში უნდა მოვძებნოთ.

დიდი ხანია გამოკვლეულია, რომ ბენეფისები საზოგადოდ მავნებელნი არიან სათეატრო ხელოვნების წარმატებისათვის. აკტიორი მოელის ბენეფისს. როგორც აღდგომას და ფიქრობს: აი მაშინ გამოვიჩენ ჩემს ნიჭსა და ხელოვნებასაო. მაყურებელიც ბენეფისს მოელის თეატრში წასასვლელად და ფიქრობს: აი მაშინ მომელის ბლომა და სრული სიამოვნებაო. ამ გარემოების აუცილებელი შედეგი არის დაუდევნელი თამაშობა ჩვეულებრივ წარმოდგენებში.

ამას რომ დაუმატოთ დანარჩენ აკტიორების გულნაკლულობა, რომელნიც მოკლებულნი არიან ბენეფისს, ცხადად დავინახავთ თუ რა მავნებელი გავლენა უნდა იქონიოს საზოგადოდ ბენეფისმა სათეატრო ხელოვნებაზე და, მაშასადამე მაყურებელთა რიცხვის რაოდენობაზეც, რომელიც დამოკიდებულია ამა ხელოვნების ავკარგიანობაზედ. ეს მავნებელი გავლენა ბენეფისებისა უფრო საშიში უნდა იყოს ჩვენი თეატრისათვის, რომელსაც, მხოლოდ გუშინ აუდგავს ფეხი და ჯერ მტკიცედ არა აქვს გაკაფული მსვლელობის გზა. აკტიორების გამწვრთნელი არის ჩვეულებრივი წარმოდგენა და არა ბენეფისი. თუ აქტიორი მიჩვეულია დაუდევნელ თამაშობას, ბენეფისშიაც გამოუსადეგი იქმნება. მე ვამბობ ამას სხვა აქტიორებზედ და არა ბენეფიციანტზედ. ბენეფიციანტმა, შესაძლებელია, დიდი მეცადინეობა და ხელოვნება გამოიჩინოს თავის ბენეფისში, მაგრამ ამით არა მგონია ძალიან ბევრი რამ შეჰმატოს თეატრის ავკარგიანობას. რომელიც უმთავრესად დამოკიდებულია საერთო თამაშობაზედ. წარმოდგენა არის რთული საქმე, და მაყურებელსაც, როგორც ერთხელაც მოგახსენეთ, გამოაქვს თეატრიდამ რთული შთაბეჭდილება და არა ნაწყვეტ-ნაწყვეტი. ამიტომ რაც უნდა უნაკლულო იყოს ბენეფიციანტის თამაშობა, მაყურებელი მაინც სრულიად კმაყოფილი ვერ გამოდის თეატრიამ. ყველა ამას რასაკვირველია, გულის აცრუების მეტი არა მოსდევს-რა.

ამგვარი აზრები გამომყვა თეატრიდამ, მესხის ბენეფისის შემდეგ. სწორედ მოგახსენოთ "სკაპენის ცუღლუტობაში" მარტო კოტე მესხი იყო კარგი, თითქმის უნაკლულო, სხვა არავინ. მართალია, მოლიერის კომედია თითქმის მთლად მარტო სკაპენის როლზედ არის დამყარებული, მაგრამ მაინც სხვა მოქმედნი პირნიც იმდენად რთული და ხასიათობრივნი არიან, რომ მათ გამოსახატავად საჭიროა თამაშობა და არა მარტო გავლა-გამოვლა სცენაზედ და ლაპარაკი. ამიტომაც "სკაპენის ცუღლუტობამ" ვერ აწარმოვა ის შთაბეჭდილება, რომელიც შეეფერება მოლიერის კომედიას, თუმცა ცოტად დაძველებულს, მაგრამ მაინც გამოსადეგს, მეტადრე ჩვენს ღარიბ რეპერტუარში.

კოტე მესხი თითქმის უნაკლულოდ თამაშობდა-მეთქი სკაპენის როლს. ამას, რასაკვირველია, ვამბობ იმ ღონისძიებისდაკვალად, რომელიც აქვთ ჩვენს აქტიორებს და, საზოგადოდ, ჩვენს ახლად დაბადებულს თეატრს. ბენეფიციანტს ეტყობოდა, რომ წინადვე შეესწავლა თავისი როლი, ესე იგი წინადვე დაჰკვირვებოდა იმ არსებით თვისებებს, რომელნიც მიუნიჭებია ავტორს სკაპენისათვის. მაგრამ უნდა გავახსენო ერთი შესამჩნევი ნაკლულევანება, სკაპენის გამოხატულობაში, ნაკლულევანება, რომელიც, ჩემის აზრით, არ სცილდება საზოგადოდ მესხის თამაშობას. მე ვამბობ პირისსახის თამაშობის (მიმიკის) ნაკლებობაზედ. მესხის პირის სახის მოძრაობა არსებობს თითქმის განსაკუთრებით წარბის შეკვრაში და თვალების ბჟუტვაში. მარტო ეს ორგვარი მოძრაობა, რასაკვირველია, საკმარისი არ არის იმ მრავალგვაროვანის გრძნობის გამოსახატავად, რომელიც გულში უღვივის ადამიანს. "სკაპენის ცუღლუტობის" მთელმა წარმოდგენამ ისე გაიარა, რომ თითქმის ღიმილი არ მოსვლია კ. მესხს. საზოგადოდ კ. მესხი ძალიან იშვიათად იცინის; მის მიმიკაში ღიმილი თითქმის სრულიად არ არსებობს. თუ მეტყვით: საქმეც ის არისო, რომ თითონ არ იცინის, მაგრამ ხალხი კი კვდება სიცილითაო, ამაზედ ქვევით გიპასუხებთ. თუ ავტორს მოჰყავს იმგვარი მომქმედი პირი, რომლის ზოგიერთ მოქმედობას უსათუოდ უნდა მოსდევდეს ღიმილი, მაშინ თავიდამ ბოლომდე პირ-შეჭმუხვნული თამაშობა დიდი ნაკლულევანებაა აქტიორისათვის. იცინის მაყურებელი, თუ არა, ეს სხვაა: ეს თვითონ მოქმედის პირის კომიკურ მდგომარეობაზედ არის დამოკიდებული. აქტიორისა და მაყურებლის სიცილს შო-

რის არავითარი კავშირი არ სუფევს. აი, როცა კ. მესხი სცენებს კითხულობს, მაშინ, მართალია საქმეც იმაშია, რომ თითონ არ იცინოდეს და თეატრი კი იხოცებოდეს სიცილით, მაგრამ თამაშობაში კი ღიმილი არის ერთი მიმიკური მოძრაობათაგანი, რომელსაც აქტიორი ამოქმედებს საჭიროებისამებრ.

სკაპენი ცუღლუტი და ეშმაკი ბიჭია. შეუძლებელია, რომ მას მთელის მოქმედობის განმავლობაში თითქმის არც ერთხელ არ გაეღიმოს. ბარაქალა კ. მესხის თამაშობას, რომ სკაპენის როლი მასხარათ არ გახადა: მაგრამ გადაჭარბება, საითკენაც უნდა იყოს, არ ივარგებს. მიხვრა-მოხვრას (ჟესტიკულაციას) და ლაპარაკს (დეკლამაციას) პირის სახის მიმიკაც რომ სრულიად აეყოლებინა, მაშინ მესხის თამაშობა მართლა რომ უნაკლულო იქნებოდა.

მიმიკის ნაკლებობა სხვაფრივაც დაეტყო მესხის თამაშობას სკაპენის როლში. მართალია, სკაპენი გამოქნილი კაცია ყოველგვარ ეშმაკობაში და ცუღლუტობაში, მაგრამ მაინც შეუძლებელია, რომ წინადვე ჰქონდეს გაზეპირებული თუ ამა და ამ გაჭირებაში ესა და ეს ხერხი უნდა ვიხმაროო. მართალია ეს ხერხი სწრაფად უნდა მოუვიდეს თავში, მაგრამ ცოტაოდენად მაინც უნდა გამოიჩინოს მიმიკით თავისის ჭკუის მუშაობა.

დანარჩენ აქტიორებზედ რა მოგახსენოთ? მოლიერის კომედიაში სკაპენის შემდეგ გამოსაჩენი მოქმედნი პირნი არიან არგანტი და ჟერონტი. კოტე ყიფიანისაგან (არგანტი) მეტს მოველოდით. არგანტი, მართალია, ხნიერი კაცია, მაგრამ არც ისე ბებერი უნდა იყოს, რომ დაფამფალებდეს. ყიფიანს რომ მეტი მოძრაობა გამოეჩინა თამაშობაში უკეთესი იქნებოდა. როლი უკეთ იცოდა, ვიდრე ჩვეულებრივ. მაინც, მესხის ბენეფისზედ უნდა მოგახსენოთ, რომ აკტიორებმა არაჩვეულებრივი მეცადინეობა გამოიჩინეს როლების გაზეპირებაში. თუმცა მესამე მოქმედებაში ერთ ადგილას ცოტა აურ-დაურიეს: მაგრამ ესეც იმიტომ, რომ ზოგიერთი მოთამაშენი უდრო-უდრო გამოვიდნენ სცენაზედ.

აკაკი წერეთელზედ (ჟერონტი) არა მეთქმის-რა, რადგანაც აკტიორი არ არის და მხოლოდ განსაკუთრებულმა გარემოებამ გამოიყვანა სცენაზედ.

დანარჩენი აკტიორები რაღასაც თამაშობდნენ, მაგრამ რას, რა წოდებისა და ტომის კაცებს არდგენდნენ — რა მოგახსენოთ. ისიც კარგი, რომ ერთი-ერთმანეთს არ უშლიდნენ. და იმიტომ "სკაპენის ცუღლუტობამ" ხეირიანად ჩაიარა.

აკ. წერეთლის ვოდევილი "ბუტიაობა" არის ცოცხალი და კარგი გასართობი პიესა. აქაც კოტე მესხმა იგივე ნაკლულევანება გამოიჩინა, როგორც მოლიერის კომედიაში. ე.ი. მიმიკის ნაკლებობა. პირველ სცენაში, როდესაც მესხი და აბაშიძის ცოლი (საფაროვის ქალი) მოქმედობენ — თავი და თავი საქმე მიმიკა, პირის სახის თამაშობაა. აბა შეხედეთ საფაროვის ქალს ამ სცენაში: მისი პირის სახის თამაშობას სიტყვების აყოლა თითქმის აღარც კი უნდოდა.

კოტე მესხის მიმიკის ნაკლებობაზედ რომ ვამბობ აზრში მაქვს ის მიმიკური მოძრაობა, რომელიც შეეხება სიცილს, სიმხიარულეს, შინაგან კმაყოფილებას და სხვ. ამგვარს. აი, როცა, ამავე ვოდევილში, კ. მესხს ყელში მივარდნენ, დაგახრჩობო, მაშინ მესხის პირის გამომეტყველობა სრულიად უნაკლულო იყო.

საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ მშვენიერი ვოდევილია აკ. წერეთლისა. ძალიან ცოცხლად იყო წარმოდგენილი და ბევრი სიცილი მოჰგვარა ამ პიესამ მაყურებელთ.

[1880 წ.]



ფიქრი და შენიშვნა

ქრ. მ – ის წერილი. სალიტერატურო საქმის წარმოება ჩვენში. – ლიტერატურა ჯერჯერობით ქველური საქმეა. ამიტომაც უმთავრესი ხასიათი ლიტერატურისა არის ფათერაკობა.

“დროების” 12 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი რედაქციისადმი გორიდამ. ამ წერილში ავტორი, უფ. ქრ. მ–ი, აღიარებდა იმ საზოგადოდ სამწუხარო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ლიტერატურისა, თეატრისა თუ სხვა რომელსამე ხელოვნების მოღვაწე. ავტორი ამბობდა, რომ საჭიროა რაიმე საცხოვრებელი სახსარი ამოვუჩინოთო მათ, ვისაც ჰსურს შესწიროსო თავისი სიცოცხლე ქართულს ლიტერატურას, თეატრს, მხატვრობას და სხვ. თუ არ ვცდები, ამ წერილით პირველად არის საჯაროდ აღიარებული ის უმთავრესი ხასიათი სალიტერატურო საქმის წარმოებისა ჩვენში, რომელიც სრულიად განსაკუთრებულ ფერსა სდებს ჩვენს მწერლობას და ჩემის აზრით, ცოტად თუ ბევრად აბრკოლებს მის წარმატებას და განვითარებას. ჯერჯერობით დავანებებ თავს თეატრს, მხატვრობას, თუ სხვა რაიმე ხელოვნებას, და ვიტყვი რამდენსამე სიტყვას ლიტერატურაზედ, სალიტერატურო საქმის წარმოებაზედ, მით უფრო, რომ ჩვენში ლიტერატურისა და სხვა ხელოვნების წარმოების შორის დიდი განსხვავებაა. ეს განსხვავება არსებობს, სხვათა შორის, იმ შინაგან არსებითს თვისებაში. რომელიც ეკუთვნის ცალკე ლიტერატურას. და ცალკე სხვა ხელოვნებას. რა პირობაც საკმარისია, მაგალითებრ, თეატრის საქმის მკვიდრად დადგენისათვის, შეიძლება საკმარისი არ

იყოს ლიტერატურის მტკიცედ დადგენიდათვის. იმ ადგილას, სადაც თეატრს, თუ მხატვრობას, თუ მუზიკას, შეუძლიანთ თავისით ირჩინოს თავი, შეიძლება ლიტერატურას არა ჰქონდეს ღონისძიება თავისით გამოკვებისა, რადგანაც ვიმეორებ, ამ ორ შემთხვევაში არსებითი პირობა საქმის წარმოებისა და წარმატებისა სხვა და სხვაა. ამაზედ ლაპარაკი შემდეგ იყოს: ეხლა კი დავაკვირდეთ ლიტერატურას.

ბევრი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც ლიტერატურამ აიდგა ჩვენში ფეხი. უწინაც იყო მწერლობა, სიტყვიერება, მაგრამ ლიტერატურა ამ სიტყვის ცოტად თუ ბევრად ნამდვილის მნიშვნელობით, სულ ოცი, ოცდახუთი წელიწადია რაც მოქმედობს ჩვენს ქვეყანაში: ცოტად თუ ბევრად მეთქი, რადგანაც, მე რო მკითხოთ, ლიტერატურა არც ეხლა გვაქს..... რა ძალა ამოქმედებს ლიტერატურას? ყველაზედ უწინარეს ამაღორძინებელი ლიტერატურისა, როგორადაც სხვა ყოველგვარის საზოგადოებრივის მოღვაწეობისა, არის, რასაკვირველია, თვითონ ცხოვრების მოთ[ხოვ]ნილება. ამ მოთხოვნილებასაცა აქვს თვისი განვითარებითი მსვლელობა: დასაწყისში ეს მოთხოვნილება მოხაზულია და მცირე: შემდეგ ფრთას შეისხავს, გავრცელდება და ღრმად გაუჯდება ცხოვრებას. ამა მსვლელობისდაგვარად სწარმოებს ლიტერატურაც. რამდენადაც მოთხოვნილება ვრცელია და ღრმად გამჯდარი, იმდენად ლიტერატურის ნაყოფიც ვრცელია და მავალგვაროვანი. ეს არის ერთგვარი დამოკიდებულობა ლიტერატურისა და ცხოვრების შორის. მაგრამ ამ ორ კავშირთა შორის არსებობს კიდევ სხვა, უკულმართი დამოკიდებულობაც, ესე იგი ყოველი ახალი ნაყოფი ლიტერატურისა ჰბადავს ახალ მოთხოვნილებას, ან ავრცელებს ძველს. ასე რომ რამდენადაც უფრო მეტი ძალა მოქმედობს სალიტერატურო ასპარეზზედ და მეტი ნაყოფი მოაქვს მათ მოღვაწეობას, იმდენად უფრო მატულობს წყურვილი და მოთხოვნილება ლიტერატურისა.

ჩვენში მოთხოვნილება და წყურვილი ლიტერატურისა, მართალი უნდა ვსთქვათ, ძალიან მცირეა, თუმცა, რასაკვირველია, უფრო მეტია ვიდრე ამ ოცი,

ოცდახუთის წლის წინად. ბევრი ხანი არ არის მეთქი მას აქეთ, რაც მოქმედობს ქართული ლიტერატურა. მაგრამ მაინც ამ ხნის განმავლობაშიაც უფრო მეტს წყურვილს მოჰგვრიდა საზოგადოებას, შეძლება რომ ჰქონოდა გამოეწვია სალიტერატურო ასპარეზზედ რაც კი რამ ძალა მოიპოვებოდა ქართველობაში. სალიტერატურო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოვიდნენ მოედანზედ თითო-ოროლა მოღვაწენი, რომელთაც მოჰკიდეს ხელი სალიტერატურო საქმეს, ფრიად მძიმეს და ძნელს. ხსენებული მოთხოვნილება საზოგადოებაში არამც თუ იმდენად არ იყო გავრცელებული, რომ ლიტერატურას მეტი ნაყოფის მოტანა შესძლებოდეს, არამედ იმდენადაც არ იყო გავცელებული, რომ ამ ლიტერატურას, როგორიც იყო, — თავისით ერჩინა თავი. ლიტერატურის მოღვაწენი იყვნენ ქველის მოქმედნი პირნი. თვითონ ლიტერატურას მიეცა ის შემთხვევითი ხასიათი, რომელიც შეეფერება ყოველგვარ ქველმოქმედებას და რომელიც ჯერაც არ მოსცილებია ჩვენს მწერლობას. ამას გვიმტკიცებენ, სხვათაშორის, გლახა და ღარიბი გამომცემლობა ჩვენში და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჯერ არცერთს ჟურნალს არ ჰღირსებია ხანგრძლივი სიცოცხლე.

როგორც სხვა ყოველგვარი საქმე, ისე (თუ არა მეტად) სალიტერატუროც თხოულობს მოღვაწესაგან მომზადებას. ყოველის სალიტერატურო მშრომელისათვის, ვიდრე გამოვა მწერლობის ასპარეზზედ, საჭიროა მრავალგვაროვანი სწავლა, ვრცელი ჭკუა-გონებითი განვითარება. შეხედეთ ახლა ჩვენს ლიტერატურას. ვინ ემზადება პირდაპირ მის სამსახურისთვის? არავინ. აი გაათავა ყმაწვილმა სწავლა გიმნაზიაში და მიდის უმაღლეს სასწავლებელში. რისთვის ემზადება ეს ყმაწვილი? ყველასათვის გარდა ლიტერატურისა. ის ემზადება ექიმათ, ტეხნოლოგათ, ადვოკატათ, ინჟინერათ და სხვ. განა არა? მას ლიტერატურისათვისაც სტკივა გული; ფრიადი სურვილი აქვს შეეწიოს თავის სამშობლო ლიტერატურას და ეწევა კიდეც გაკვრით, მაგრამ პირდაპირი სამსახური მწერლობისათვის, — სამსახური, რომელზედაც არის დამოკიდებული ლიტერატურის წარმატება და განვითარება, — არ არსებობს. ზემოხსენებული მომზადება ლიტერატურისათვის შეუძლებელია, ვიდრე მწერლობა ცხოვრების სახსარსაც არ გამოუჩენს სალიტერატურო მოღვაწეს. მინამ სალიტერატურო ხელობა არ შეიქმნება, სხვათაშორის, პურის მოპოვების სახსარათ, ჩვენს ლიტერატურას არ დაეკარგება ის შემთხვევითი ხასიათი, რომელიც მოსდევს ყოველგვარ ქველმოქმედობას. მართალია, დრო გადის და ყოველიფერი შედის წარმატებაში. ამგვარსავე წარმატებაში შედის ჩვენი ცხოვრება და მასთანვე ჩვენი ლიტერტურაც. ეჭვი არ არის, მოვა დრო, როდესაც ჩვენი მწერლობაც აღმოუჩენს თავის მშრომელს ცხოვრების სახსარს, როდესაც მასაც ეყოლება პირდაპირი მსახური და მოღვაწე. ეს უეჭველია, რადგანაც სალიტერატურო წყურვილი და მოთხოვნილება ჩვენს საზოგადოებაში თანდათან ვრცელდება. ამისდაგვარად, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, უნდა ვრცელდებოდეს ლიტერატურაც. მაგრამ გავიხსენოთ უკუღმართი ურთიერთობაც ცხოვრებისა და ლიტერატურის შორის. რამდენადაც ნაყოფიერი და სრული იქმნება ლიტერატურა, იმდენად მეტად აეღორძინება საზოგადოების სალიტერატურო მოთხოვნილება, იმდენად მეტი მადა გაეხსნება ლიტერატურისათვის. ამ სისრულისა და ნაყოფიერებისათვის საჭიროა ვამოქმედოთ ყოველი ჭკუა-გონებითი ძალა, რაც კი აბადია ქართველობას. თუ ჯერჯერობით ჩვენს ლიტერატურას არ შეუძლია თავისთავად ამოქმედოს ეს ძალა, მოპოვებული უნდა იქმნეს სხვა რომელიმე გარეშე ღონისძიება. უნდა ვეცადოთ საქმე იმგვარად მოვმართოთ, რომ ყმაწვილ კაცს შეეძლოს პირდაპირ ლიტერატურისათვის მომზადება და მაშასადამე მწერლობისათვის სამსახური პირდაპრ და არა გაკვრით, კილოკავად, როგორც ეხლა. რა საშუალება უნდა ვიხმაროთ ამისათვის, რა მოგახსენოთ. მე, როგორც მემატიანე მომდინარე ცხოვრებისა, მხოლოდ ბანს ვაძლევ უფ. ქრ. მ—ს, მეტი არაფერი.



თეატრის მატიანე

„ყომარბაზის ცხოვრება“, დრამა, თარგმანი ი. კერესელიძისაგან. „ბიძიასთან გამოხმაურება“, ვოდევილი რუსულიდან გადმოკეთებული რაფ. ერისთავისაგან..

არ ვიცი, ღვთის წინაშე, რა სიტყვებით გამოგისახოთ ის შთაბეჭდილება, რომელიც გამომყვა თეატრიდამ უკანასკნელ ოთხშაბათს. ამას მოგახსენებთ სახელდობრ დრამის შესახებ, რადგანაც ამ წარმოდგენის “დედა-პიესაც” ეს იყო. თან მეცინებოდა, თან მრცხვენოდა, თან ჯავრი მომდიოდა. მეცინებოდა როგორც მაყურებელს, მოსულს სათეატრო წარმოდგენის სანახავად და არა თოჯინების თამაშობის საყურებლად. ჯავრი მომდიოდა, როგორც კაცს, რომელიც გრძნობს, თეატრის განუწდომელ მნიშვნელობას ხალხის განათლების და ყოველგვარის წინ წადგომისათვის, სცენაზედ კი ხედავს ყველაფერს სათეატრო ხელოვნების გარდა. მრცხვენოდა... როგორც მაგალითებრ რცხვენიან მასპინძელს, რომელსაც ლუკმა დაჰკლებია სადილზედ მოპატიჟებული სტუმრებისათვის... ვის უნდა დავაბრალოთ ეს? ჩემის აზრით, ყველაზედ ნაკლებ აკტიორებს. თუ მეტყვით — ოთხშაბათის წარმოდგენიდამ ცხადად დაგვიმტკიცაო, რომ ჩვენ აქტიორებს დრამის თამაშობა არ შეუძლიანთ, — გიპასუხებთ: არ ვიცი. ჯერ მაჩვენეთ, რომ ყოველგვარი პირობა და სცენის მოთხოვნილება დაცული უნდა იქმნა ამა და ამ პიესის დასადგენად და მერე მოგახსენებთ, შეუძლიანთ ჩვენ აკტიორებს დრამის წარმოდგენა, თუ არა. ნუთუ “ყომარბაზის ცხოვრება” აკტიორების

სადრამო ნიჭის გამოსახატავად იყო დადგენილი სცენაზედ? ამგვარ გამოცდაში მაყურებელი საზოგადოება რა შუაში უნდა იყოს? ყველა ამისთანა გამოცდა შინაობაში უნდა მოხდეს და არა მაყურებლის თვალწინ, რომელიც მოსულა არა აკტიორების ვარჯიშობის სანახავად, არამედ დამზადებულ და რთულ სათეატრო წარმოდგენის საყურებლად. მაგრამ შენ არ მომიკვდე! სათეატრო წესი, კანონიც მიღებული ყველგან, სადაც კი არსებობს თეატრი, ჩვენთვის არ არის დაწერილი.

წარმოიდგინეთ: აპირებენ პირველად დრამის დადგენას იმ აქტიორებით, რომელნიც მიჩვეულნი არიან წვრილმალ კომიკურ პიესებს, და ამისათვის დაუნიშნავთ მხოლოდ ხუთი-ექვსი დღის ვადა და არა გაუმართავთ არც ერთი დიდი, ესრედ წოდებული გენერალური რეპეტიცია. რაღა თქმა უნდა, რომ ამ შემთხვევაში პირშერცხვენილნი უნდა გამოსულიყვნენ ჩვენი თეატრის გამგენი და მოღვაწენი. მერე რა დრამაა წამომდგარი სცენაზედ? “ყომარბაზის ცხოვრება”. მართალია დაძველებულია და დაწერილი არა განვითარებული გემოვნებისათვის, მაგრამ მაინც იმისთანა დრამაა, რომელსაც თავიდამ ბოლომდე მოსდევს საშინელება, ერთი მეორეზედ უარესი. თუ ამ დრამის მაყურებელი ცრემლს ვერ დაღვრის, რადგან თვითონ საგანი ამ საშინელებისა ფრიად დაძველებულია, მაინც მოქმედ პირთა მდგომარეობა მთლად დრამატიულია, რომელიც არა წუთს არ აძლევს შესვენებას მაყურებლის გრძნობას. ამ დრამის წარმოსადგენად საჭირონი არიან სრულიად სხვა საშუალებანი, სხვა ხერხი, ვიდრე წვრილმან პიესებისათვის. მართალია, ხეირიანი თეატრი სრულიად არ უნდა სდგავდეს ამისთანა დრამებს, მაგრამ რაკი სდგამთ, საჭიროა თავიდამ ბოლომდე თავი გაატანინოთ, დრამა დრამას ჰგვანდეს, თეატრი — თეატრს. “ყომარბაზის ცხოვრება” კი იმგვარად იყო წარმოდგენილი, რომ კრიტიკაც შეუძლებელია. აქტიორებმა არ იცოდნენ როლები, არ იცოდნენ როგორ დამსხდარიყვნენ, როგორ დამდგარიყვნენ; არ იცოდნენ რა კილოზედ ელაპარაკნათ, რა ჟესტიკულაცია და რა მიმიკა ეხმარათ ამა და ამ გრძნობის გამოსახატავად. ამას მოჰყვა, რასაკვირველია, აუცილებელი შედეგი:

ყველაზედ უსაშინელესს, ყველაზედ უფრო ამაღელვებელს ადგილას, მაყურებელი იცინოდა.

არა მგონია მაყურებელთა უმრავლესობის გემოვნება იმდენად განვითარებული იყოს, რომ ბრალი ამ შემთხვევაში მთლად თვითონ პიესას დაედვას. ავიღოთ მაგალითებრ, უმთავრესი მოქმედი პირი პიესისა, ქაღალდის მოთამაშე ჟორჟი (აბაშიძე). აი, წააგო უბედურმა თავისი უკანასკნელი ქონება, მის გულში ჯოჯოხეთია, მისი სასოწარკვეთილი მდგომარეობა კიდურზედ არის მიმდგარი. რა აღიარებს უფ. აბაშიძე ამ მდგომარეობას, თეატრში მოისმის ხარხარი: დახე მის ეშმაკობას, რა რიგიანათ მოიკატუნა თავიო, — ფიქრობდა თითქო მაყურებელი. თვითონ აბაშიძეს ამაში, რასაკვირველია, არავითარი ბრალი არა აქვს, როგორც არა აქვს ბრალი არც სხვა აქტიორს, "ყომარბაზის ცხოვრებაში" მოთამაშეს. პიესების აჩქარებით, სხაპისხუპით დადგენა არავითარ სარგებლობას არ მოუტანს სათეატრო საქმის წარმატებას.

ბრალი ზემოხსენებულის დრამის უხეიროდ წარმოდგენისა, ყველაზედ უწინარეს, რეჟისსორს უნდა დაედვას. იქ, სადაც სცენა დიდი ხანია მოქმედობს; სადაც აქტიორები გამოცდილნი და დახელოვნებულნი არიან, რეჟისსორის თანამდებობა და მნიშვნელობა იმდენად ვრცელი არ არის როგორც იქ, სადაც თეატრის საქმე მხოლოდ გუშინ არის ფეხადგმული და სადაც აქტიორები მხოლოდ გუშინ არიან გამოსულნი სათეატრო ასპარეზზედ. აქ რეჟისსორი, ცოტად თუ ბევრად, უნდა იყოს მასწავლებელი სათეატრო ხელოვნებისა; უნდა ასწავლოს აკტიორებს ჯდომა, დგომა, სიარული, მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი და სხვ.; უნდა აუხსნას აკტიორს თუ რა გრძნობა და რა პირი უნდა გამოსახოს ამა და ამ როლით. გამოსახავს ამას აკტიორი, თუ არა, ეს თვითონ აკტიორზედ არის დამოკიდებული. როცა რეჟისსორი მთლად აასრულებს თავის მოვლეობას, მაშინ შეიძლება თვითონ აკტიორების თამაშობისა და ძალის დაფასებაც. ეხლა კი უნდა განვიმეორო, რაც ზემოდ მოგახსენეთ: ახალის პიესის დადგენა სცენაზედ ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში შეუძლებელია. აგრეთვე შეუძლებელია წარმოდგენის

გამართვა უგენერალურრეპეტიციოთ. კიდეც ამიტომ მოხდება ხოლმე, რომ აკტიორებმა არ იციან რომელი კარებიდან გავიდნენ, რომელ სკამზედ დასხდნენ, რომელ მხარეზედ დადგნენ და სხვანი; ან კიდევ, იმისთანა ტანისამოსით გამოდიან, რომელიც სრულიად არ შეეფერება პიესას. მაგალითებრ, რომელ პარიჟელს, საზოგადოებაში გამომსვლელს ეცმის იმისთანა ფრაკი, როგორიც აბაშიძეს ეცვა, ან ცაგარელს? ვინ იჯდება, მაგალითებრ, ისე როგორც იჯდა მესხი, როდესაც მეორე მოქმედებაში, ელაპარაკებოდა თავის დეიდაშვილს? ან კიდევ: ჩვენს სცენაზედ სრულიად არ ხმარობენ ხელთათმანებს.

რამდენადაც უსიამოვნო შთაბეჭდილება აწარმოვა "ყომარბაზის ცხოვრებამ", იმდენად ასიამოვნა და გაამხიარულა საზოგადოება რაფ. ერისთავის ვოდევილმა "ბიძიასთან გამოხმაურებამ". ეს რომ არ ყოფილიყო, შენი მტერი, ავი გრძნობა ჩაჰყვებოდა გულში მაყურებელს. ყველა მოთამაშენი თავ-თავის ადგილას იყვნენ და კარგადაც აასრულეს თავ-თავისი მოვალეობა. აბაშიძის ცოლის (საფაროვის ქალი) თამაშობას ჰქონდა მხოლოდ ერთი ნაკლულევანება: როდესაც სოფლელ დედაკაცათ გამოვიდა და მოუჯდა უძღომელაძეს (ყიფიანს) აჩქარებით, შხაპა-შხუპით უნდა ელაპარაკნა და სახეც ცოტა გამოცვლილი უნდა ჰქონოდა. ჩემდა სამწუხაროდ, საფაროვის ქალი არ მინახავს დიდს როლში და ამიტომ არ შემიძლიან ვთქვა თუ რამდენად შორსა სწვდება მისი სასცენო ნიჭიერება. ჯერჯერობით კი, რაშიც მინახავს, შემიძლიან ვთქვა, რომ მისთანა თამაშობას იშვიათად შევხვედრივარ ქართულს სცენაზედ. რაც უნდა მცირე და უმნიშვნელო როლი იყოს, აკტიორმა უნდა ეცადოს თავის თამაშობით ასწიოს და შეამკოს ეს უმნიშვნელო როლი. კარგი აკტიორობაც ამას მოითხოვს. საფაროვის ქალს აქვს ნიჭი ამგავრის თამაშობისა. თუ სწავლას, შრომას, და მეცადინეობას არ დაზოგავს საფაროვის ქალი, დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის სამშობლო თეატრის წარმატებისათვის.

[1880 წ.]



<ქუთაისის ბანკის უფლებამოსილების გაფართოება>

ტფილისი, 13 თებერვალს.

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკსა ნება დართო მთავრობამ იმოქმედოს ტფილისის გუბერნიაშიაც, ესე იგი, ამ გუბერნიის მამულებიც დაიგირავოს ხოლმე და ფული სესხად აქაც გაჰსცეს. ქუთაისის ბანკს დღესა, თუ ხვალ ეგ უსათუოდ უნდა მოეხდინა. უწინდელი სამოქმედო აზპარეზი, სახელდობრ ქუთაისის გუბერნია, სამეგრელოთი და აფხაზეთით, ჯერ კიდევ კარგა ხანს, სხვადასხვა მიზეზისა გამო, ვერ გაასაღებდა იმოდენა კრედიტს, რამოდენაც ხსენებულს ბანკს შეეძლო გაეცა და უქმად დება კრედიტისა არ იყო სასარგებლო არც ქვეყნისათვის და არც ბანკისათვის. ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო ქუთაისის ბანკი და ათხოვნინა, ტფილისის გუბერნიაზედაც განავრცოს თავისი მოქმედება და მთავრობამაც, როგორცა ვჰსთქვით, ნება დართო.

ამ სახით, ერთსა და იმავე ადგილზედ დღეის ამას იქით იმოქმედებს ორი ბანკი ხანგრძლივის კრედიტისა: ქუთაისის თავად-აზნაურებისა და ტფილისისა. კეთილს რასმეს მოასწავებს ეს ამბავი, თუ არა? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ამბავი კეთილის მომასწავებელია, თუმცა უარს არა ვყოფთ, რომ, შესაძლოა, ეგ ამბავი დიდის ბოროტის სათავეთაც გახდეს. ერთიცა და მეორეც იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოიქცევიან ეს ორი ბანკი შემდეგში. შეუძლებელია, რომ ამ ორთა შუა ცილება არ მოხდეს და ცილებას ბევრი კარგი ნაყოფი გამოაქვს ხოლმე, როცა ცილებას სარჩულად უდევს კეთილსინიდისიანობა, როცა ცილება თვითონ საცილობელის საგნის განკარგებაზე თუ გაიაფებაზეა მიქცეული.

ხანგრძლივის კრედიტის განკარგება თვითონ ბანკების გამგეობაზედ ისე არ არის დამოკიდებული, როგორც უმაღლესს მთავრობაზედ. ყოველივე ცვლილება ამ მხრით, მოითხოვს საერთო სისტემის ცვლილებას, ერთხელ და ერთხელ მთავრობისაგან მიღებულისას და დამტკიცებულისას და ამიტომაც მრავალი მეცადინეობა რუსეთის ხანგრძლივის კრედიტის ბანკებისა ჯერ დრომდე უქმად არის დარჩენილი, ამ სახით, ჩვენს ბანკებს მარტო ერთადერთი ღონისძიებაღა აქვთ, თავისის ცილების სიკეთე გამოიჩინონ. ეგ ღონისძიება იმაშია, რომ კრედიტი, რამოდენადაც შეიძლება, იაფად დაუსვან მამულის პატრონებსა. იაფად დასმა კრედიტისა მარტო ერთის გზით შეიძლება და ეგ გზა მარტო გირაოს ფურცლის ფასის აღმატებაა, იმიტომ, — რომ რამოდენადაც გირაოს ფურცლის ფასი დიდია, იმოდენად თავნიც დიდია და სარგებელი კი ერთი და იგივე რჩება. ამის გარდა სხვა სიკეთე ხანგრძლივის ბანკების ცილებისაგან ჯერხანად საგულისხმო არ არის და ეგეც რომ შეჰსძლონ ჩვენმა ბანკებმა, დიდი საქმეა, დიდი სიკეთეა.

გირაო ფურცლის ფასის აღმატება ორ სხვადასხვაგვარ მიზეზთაგან წარმოსდგება. ერთგვარნი მიზეზნი ბანკის გამგეობის ხელთ არ არის, იგინი ბანკის გარედ არიან და საერთო ეკონომიურის მეტნაკლებობისაგან იბადებიან, მეორენი კი ბანკის გამგეობაზედ არიან პირდაპირ დამოკიდებულნი.

ჩვენ, რასაკვირველია, მარტო იმას მივაქცევთ ყურადღებას, რაც ჩვენის ბანკების ხელთ არის, რაც პირდაპირ მათზეა დამოკიდებული, მათზედ ის არის დამოკიდებული, რომ ფული სიფთხილით იყოს გაცემული და გირაოდ მიღებულმა მამულმა შეიძლოს ყოველს შემთხვევაში ააყენოს ვალი უნაკლულოდ და უზარალოდ. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა მამული სიმართლით არის დაფასებული. თუ ამ მხრით ბანკმა აბრუ არ გაიტეხა, მისი გირაოს ფურცლები, რომელთ თამასუქად და იმედად მარტო გირაოდ მიღებული მამულია, ფასს უსათუოდ აიწევს, თუ, რასაკვირველია, სხვა გარეშე მიზეზნიც შესწევენ და თუ გაიტეხა, გა-

რეშე მიზეზნიც რომ ხელს უწყობდნენ, მათი ფასი უეჭველად დაიწევს. მაშასადამე, ცილება ამ ორის ბანკისა, თუ სიკეთე უნდათ, იმაში უნდა გამოჩნდეს, რომ მამულების ფასი დაფასების დროს ჭეშმარიტებით განსაზღვრონ ხოლმე.

ვინ არ იცის, რომ უმრავლესი ნაწილი მსესხებელთა იმის მონატრეა, მამული, რაც შეიძლება, ძვირად დააფასებინოს და ბევრი გამოიტანოს ბანკიდამ. ბანკს კიდევ ის ენატრება, რაც შეიძლება, ბევრი სესხი გაჰსცეს, რადგანაც მოგების რაოდენობა ამაზეა დამოკიდებული. ერთის მხრით, ნატვრა ბანკისა, რომ ბევრი მსესხებელი იყოლიოს და მეორეს მხრით, — მსესხებელისა, რომ რაც შეიძლება ძვირად დააფასებინოს მამული, აი ის ჩანგალი, რომელზედაც ცილება ზედ წააგებინებს თავს ბანკსაც და მსესხებელსაც.

აი ეს არის ის ფართო მოედანი, რომელზედაც ცილებას შეიძლება მრავალი ბოროტი მოჰყვეს. თუ ეს ორი ბანკი ერთმანეთს ამ მოედანზედ გაეჯიბრებიან და შეეჭიდებიან, მოგვერდათ ის უნდა იხმარონ, რომ მსესხებელის ხშირად წინდაუხედავს ნატვრას დიდი ავალა მიჰსცენ და წააქეზონ, რადგანაც მარტო ამ ნატვრის წაქეზებით შეიძლება მსესხებელის მოპოვება და გადმობირება.

ამ წაქეზებისათვის ქუთაისის ბანკს უფრო დიდი უპირატესობა აქვს ტფილისის ბანკის წინაშე. შემდეგში ამ საუბედურო უპირატესობაზედ მოვილაპარაკებთ.

[1880 წ.]



პირველი შკოლა ბათუმში

ტფილისი, 14 თებერვალს.

დღევანდელს „დროებაში“ მკითხველი ნახავს ბათომის კორესპონდენციას და ამ კორესპონდენციიდამ შეიტყობს, რომ თებერვლის პირველს ბათუმში უნდა გახსნილიყო პირველი ჩვენი შკოლა.

ერთხელ და ორჯელ არ გვითქვამს ჩვენ, რომ ახლადდაპყრობილ მაჰმადიან საქართველოს დაკავშირება..... ძალდატანებით არ უნდა მოხდეს. სწავლა-განათლება, ხალხის ზნისა და ხასიათის შესაფერად მოქცევა, ლმობიერება დაგვაახლოვებს ჩვენ იმათთან. მიიზიდავს იმათ გულს ჩვენკენ. გვითქვამს, რომ ხალხის ცხოვრება ერთ დღეში ვერ გადაკეთდება, ვერ გამოიცვლება; ამას დრო უნდა, უნდა ცოდნა — თუ რომელი მხრით უნდა მიუდგეს, რომ გადააჩვიო იმას, რაც მავნებელი და ცუდი ხასიათები აქვს, და დააყენო ნამდვილს სამოქალაქო და კაცობრიულს გზაზედ; უნდა და საჭიროა ამთავითვე წესების დადგენა და ისეთის მოხელე კაცების დანიშვნა, რომელთაც დაიმსახურონ ნდობა, სიყვარული და პატივისცემა იმათ თვალებში.

ამიტომაც პირველ შკოლის გახსნას, პირველ განათლების სხივის შეტანას მაჰმადიან საქართველოში, რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ამ შკოლით დაინახვენ ისინი — თუ რა გზაზე უპირებს იმათ რუსის ახალი მთავრობა [დაყენებას] და რა მოელის იმათ რუსის ხელში.

თუ ჩვენში, თუ ჩვენ სოფლებში დიდის სიფრთხილითა და წინადახედვით უნდა წაიყვანოს კაცმა შკო-

ლის საქმე, ერთი-ორად მომეტებული სიფრთხილე და წინდახედულება არის საჭირო მაჰმადიან საქართველოში, სადაც ხალხმა არ იცის მთავრობის ხასიათი, მიმართულება და წადილი.

ვის არ ახსოვს, რომ, როდესაც პირველად დაიწყეს ჩვენს სოფლებში შკოლების გახსნა, ხალხში გავრცელდა სულელური ხმა, რომ შკოლებიდამ ჩვენს შვილებს პირდაპირ სალდათად წაიყვანებენო, იმიტომ ასწავლიან რუსულსაო, და ამის გამო ბევრი გლეხი არ აძლევდა თავის შვილს შკოლაში. რამდენი სხვა ამისთანა სულელური ხმები და დაბრკოლება წინ აღუდგა მაშინ ჩვენ შკოლის საქმეს, მაგრამ ბოლოს, როცა ნამდვილად შეიტყო ყველაფერი ხალხმა, ეს დაბრკოლება, ღვთის მადლით, თავისთავად მოისპო და ახლა ჩვენი სოფლის შკოლები ყველგან სავსეა შაგირდებითა.

ამას უფრო მომეტებულ დაბრკოლებებს უნდა მოელოდნენ პირველი შკოლები მაჰმადიან საქართველოში. იმას გარდა, რასაც ჩვენი სოფლის ხალხი ამბობს, იქ შეიძლება გამოჩნდეს ერთი ვინმე ბოროტი პირი და გააგდოს ხალხში ხმა, რომ არ მისცეთ შკოლაში შვილები, თორემ გააქრისტიანებენ და „ფესს მოხდიანო“. და ამ უსაფუძვლო ხმას ისეთი ზედმოქმედება ექნება იქაურ ხალხზე, რომ, უეჭველია, არავინ მიანდობს თავის შვილს ჩვენგან გახსნილს შკოლასა.

ამიტომაც, ვიმეორებთ, პირველ შკოლას მაჰმადიან საქართველოში დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა მართებს.

როგორც ზემონახსენებ კორრესპონდენციიდამ შეიტყობთ, პირველ შკოლას ბათუმში ხსნის ვიღაც მიხაილოვი, რომელიც აცხადებს შაგირდებმა თვეში 5 მანეთი უნდა შემოიტანონო. ამ თავით სამის თვის ერთათაო, შაგირდების რიცხვი 30 იქნებაო და სხვ. ბატ. მიხაილოვის გამოცხადებიდამ ვტყობულობთ ამას გარდა, რომ ეს შკოლა კერძო შკოლა იქნება. ის პოპეჩიტლისაგან დამტკიცებულიაო. განცხადებაში არაფერი არ არის ნათქვამი — თუ რა ენაზე იქნება სწავლა ამ პირველდაწყებით შკოლაში, რა პროგრამმით, რა წესით ასწავლიან ყმაწვილებსა და სხვ. მაგრამ ჩვენი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ სწავლა ამ შკოლაში რუსულ ენაზედ იქნებაო.

ამგვარის შკოლის დაარსება ბათუმში ჩვენ სრულებით უადგილოთ და უდროვოთ მიგვაჩნია. მიზეზი პირველი და უკანასკნელი ის არის, რომ ამგვარს შკოლაში ადგილობრივ ხალხის შვილებს, რომელთაც რუსული ენა და ლაპარაკი ახლად, პირველად, ესმისთ ადგილი არ ექნებათ. ამით შეუძლიანთ ისარგებლონ მხოლოდ დროებით იქ მყოფ ჩინოვნიკებისა და აფიცრების შვილებმა, და არა თვითონ იმ ხალხის შვილებმა, რომელთათვის, უეჭველია, ეს შკოლა იხსნება.

ამიტომაც ამ შკოლის იმედი ჩვენ სრულიად არა გვაქვს. იმის ანაბარათ არ უნდა დარჩეს ბათომი. ამ შემთხვევაში ჩვენ შეუერთდებით კორრესპონდენტის აზრს და ვითხოვთ, რომ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ მიაქციოს ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება და ეცადოს, რაც შეიძლება მალე და კარგი, რიგიანი ნამდვილი სახალხო შკოლა გამართოს, თუ რამდენსამე ალაგას არა მაჰმადიან საქართველოში, ბათუმში მაინც უეჭველად. ეს აუცილებლად საჭიროა და ამის შესრულების ღონისძიება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოებასა“ აქვს.

[1880 წ.]



კორრესპონდენტი და საზოგადოება

ტფილისი, 15 თებერვალს

სხვა ქვეყნებში, სადაც კი ბეჭდვის სიტყვის, ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადოთ, ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა ცოტათი მაინც ესმისთ, რაც უნდა უბრალო გაზეთის კორრესპონდენტი და თანამშრომელი იყოს, თავს ევლებიან, ხელზე ატარებენ, ეფუფუნებიან და ყოველ ღონისძიებასა და საშუალებას აძლევენ, რომ ყველაფერი გააცნონ იმას, ყველაფერი შეატყობინონ, ყველაგვარი ნამდვილი ცნობები მისცენ.

რატომ არის ესე?

იმიტომ რომ იქ განათლებულ საზოგადოებას კარგათ ესმის, თუ რა დიდი ძალა და ღონე არის ახლანდელ დროში ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები; იქ ესმისთ, რომ ჩუმად, დამალულად, ოთხკედელშუა არაფერი საქმე არ გარიგდება; იქ ესმისთ, რომ ყოველი საქმე მხოლოდ მაშინ შესრულდება, მხოლოდ მაშინ დაბრუნდება წაღმართად, როცა საზოგადოება, მთელი ქვეყანა გაიცნობს იმას, როცა ის ყველასთვის გამოაშკარებულია და ყველასაგან გაცნობილი; იქ ესმისთ, რომ მხოლოდ ბოროტ საქმეს უნდა ეშინოდეს სინათლისა, გამოაშკარებისა და გაქვეყნიერებისა; რომ კეთილი რამე, საზოგადო სასარგებლო რამ გამოაშკარებით ერთი-ორად იმატებს ძალასა და სისრულეში მოყვანის საშუალებასა.

ყველა ეს ესმისთ იქ და, ვიმეორებ, ამიტომ არის, რომ მწერალს, კორრესპონდენტს ესეთი პატივი და ყურადღება აქვს საზოგადოებისაგან.

ჩვენში?

როგორც თითქმის სხვა ყველაფერში, ამაშიაც უკან ჩამოვრჩით ჩვენ სხვა ქვეყნებს. უცხო ქვეყანაში რომ გაზეთის კორრესპონდენტი თამამად, დაუბრკოლებლად დადის ყველგან, ჩვენებური კორრესპონდენტი იძულებულია პსევდონიმის პირბადე ჩამოიფაროს, დაიმალოს; უცხო ქვეყანაში რომ იმას საზოგადოებისაგან პატივი აქვს, ჩვენში ერთი-ორი სტრიქონის გაზეთში დაწერისათვის საზოგადოების მხრით მხოლოდ ლანძღვა-გინება, წყევლა-კრულვა, შეურაცყოფა მოელის. უცხო ქვეყანაში რომ ყველა კარები ღიაა კორრესპონდენტისათვის, იქ რომ ყველა უწყება, დაწესებულება და კერძო პირი მზათ არის, რომ ყოველგვარი ცნობები მიაწვდინოს იმას, აქ, ჩვენში, ყველა ერიდება, ყველა კარებს უხშავს, ხელის მოწყობის მაგიერად ყველა გზას უხლართავს. როცა რომელიმე ქალაქიდამ ან სოფლიდამ თუნდაც უბრალო და უვნებელი კორრესპონდენცია მოგვივა, პირველი თხოვნა კორრესპონდენტისა, უეჭველად, ის არის, რომ „არ გამცეთო, ჩემი სახელი და გვარი არც დაბეჭდოთ, არც არავის უთხრათო“.

რამდენი მაგალითი ვიცით, რომ ჩვენის და სხვა ადგილობრივ გაზეთების კორრესპონდენტებისათვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ მხოლოთ იმისთვის, რომ ან ადმინისტრაციის ან საზოგადოების რომელსამე ნაკლულევანებაზედ დაუწერია გაზეთში ორიოდე სიტყვა? რამდენი, ამავე მიზეზით, სამსახურიდამაც დაუთხოვნიათ? რამდენისათვის სხვა რამ უსიამოვნება მიუყენებიათ?

ყველას ეხსომება ჩვენი ნუხელი კორრესპონდენტის, მასწავლებლის ბეჟანოვის ბედი, რომელიც, როგორც ისმის, კორრესპონდენციის წერისათვის მოჰკლესო და სხვ.

როცა უმეცარი, გაუნათლებელი, თავის კერძო სარგებლობის მეძიებელი ხალხი სჩადის ამისთანა საქმეს, როცა ისეთი პირი სდევნის კორრესპონდენტს, რომელსაც არ ესმის ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა, მნიშვნელობა თავისუფლად გამოთქმულ აზრსა, — ეს კიდევ არაფერი, ამას კიდევ წარმოიდგენს კაცი, იმას კიდევ ეპატიება.

მაგრამ რა უნდა ვსთქვათ იმაზე, ვისაც სწავლა-განათლება მიუღია, ვისაც ესმის — რა მნიშვნელობა აქვს გაზეთის სიტყვას, ვინც იცის, რომ ბეჭდვით, თუ არა გაკეთდება რა, წახდენა კეთილი საქმისა შეუძლებელია, რა უნდა ვსთქვათ იმათზედ, ვისაც ეს ესმის და მაინც სდევნის მწერალს, კორრესპონდენტს.

ყველა ეს აზრები მოგვივიდა ჩვენ იმ შემთხვევის გამო, რომელიც ამ დღეებში მოხდა ქუთაისში.

მკითხველმა იცის ამ საქმის გარემოება:

ამ უკანასკნელს დროს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა რამდენიმე კორრესპონდენცია ქუთაისიდამ, რომელშიაც, სხვათა შორის, მოხსენებული იყო, რომ იქაური საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ერთობ ზარმაცობსო, ყურადღებას არ აქცევს ამ ბანკის საქმეებსაო, არ იკრიბებაო და საზოგადოთ, ამ ბანკის საქმე რიგიანად ვერ მიდისო. მეტი არაფერი...

ხსენებულ ბანკის გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს ეს სიტყვები არ მოსწონებიათ, იმ წამსვე საერთო სხდომა დაუნიშნავთ, მოუხმიათ ერთი დამფასებელთაგანი თ. პეტრე წულუკიძე, რომელზედაც ეჭვი აუღიათ, რომ ეს კორრესპონდენციები იმის დაწერილი უნდა იყოსო, ჩამოურთმევიათ იმისთვის ჩვენება; გამოძიება მოუხდენიათ და, თუმცა ნამდვილი ვერა შეუტყვიათ რა, მაგრამ ეს დამფასებელი მაინც დაუთხოვნიათ სამსახურიდამ.

როგორ მოგწონთ ამგვარი მოქმედება იმ პირებისაგან, რომელნიც მუდამ იმას გაიძახიან, რომ ჩვენს მოქმედებაში, ჩვენს ბანკში დამალული, საიდუმლო არა არის რაო, ვისაც ნებავს მობძანდეს, გაჩხრიკოს ყველა ჩვენი ქაღალდები, მთელი ჩვენი ბანკი, ჩვენი მოქმედება და შეიტყოს, გამოაცხადოსო? როგორ მოგწონთ ამგვარი მოქმედება იმ პირებისაგან, რომელნიც იმერეთში საუკეთესო განათლებულ და დაწინაურებულ პირებათ ითვლებიან?

ამისთანა კაცებმა უნდა აწარმოვონ საზოგადო საქმე? ამათ უნდა დასდონ განსაკუთრებული მალამო ჩვენს საზოგადოების სენსა?

რას უნდა მოველოდეთ იმგვარ, საზოგადოების მოწინავე პირთაგან, რომელთა ის უბრალო ჭეშმარიტება

ვერ გაუგიათ, რომ ამისთანა მოქმედებით ისინი უფრო უარესად წაიხდენენ სახელს საზოგადოების თვალში, რომელნიც ვერ მიმხვდარან, რომ ყველა ასე იფიქრებს: „ალბათ იმათ სინიდისი მართალი და წმინდა არა აქვთ, თუ საქვეყნოთ თავიანთ მოქმედების გამოაშკარავების ეშინიანთ?"

რას უნდა მოელოდეს საზოგადოება იმისთანა პირებისაგან, რომელთაც თავიანთი წვრიმალი თავმოყვარეობა ვერ დაუვიწყნიათ, ვერ შეუწირავთ საზოგადო სარგებლობისათვის და ყალღზე დგებიან, როცა იმათზე ვინმე რასმეს თქმას გაბედავს?

რას უნდა მოველოდეთ ისეთის განათლებულებისაგან, რომელნიც ცდილობენ, რომ ყველას პირში ბურთი ჩასჩარონ, ხმა ჩააკმენდინონ?

რა უნდა ვსთქვათ იმ პირებზე, რომელთაც ვერ გაუგიათ, რომ, თუნდაც შეცდომილი ცნობები ყოფილიყო კორრესპონდენტისაგან გაზეთში დაბეჭდილი, ამ შეცდომილებათა გასწორება ძალდატანებით, ერთის პირის სამსახურიდამ გამოგდებით კი არ გასწორდება, არამედ მხოლოთ ბეჭდვისავე საშუალებით, ფაქტებით, თავიანთ მოვალეობი[ს] სინიდისიანად შესრულებით.....

[1880 წ.]



<ქუთაისის ბანკის ხელსაყრელი პირობები>

ტფილისი, 16 თებერვალს.

ჩვენ ამას წინათ ავღნიშნეთ ის უკეთურების მოედანი, საცა ცილება ტფილისის საადგილმამულო ბანკისა და ქუთაისისა შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ, თუ ამ ორივე ბანკის წინასწარი გამჭრიახობა დაძინებული იქნება. ისიცა ვჰვსთქვით, რომ ამ ცილებაში შეიძლება გამარჯვება დარჩეს ქუთაისის ბანკს. რადგანაც მას ერთი საუბედურო უპირატესობა აქვს ტფილისის ბანკის წინაშე. იმისთანა უპირატესობა, რომლის მეოხებითაც შესაძლოა თვითონ ქუთაისის ბანკმა თავისი საკუთარი ნაწლევები დაიწყვიტოს.

ამჟამად სწორედ ამ უპირატესობაზედ გვინდა მოვილაპარაკოთ. ქუთაისის ბანკს საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულ ინსტრუქციაში აი, სხვათა შორის რა მუხლი უწერია ქალაქის მამულების დაფასების შესახებ. დამფასებელმა წმინდა შემოსავალი ქალაქის მამულისა უნდა განსაზღვროს და განსაზღვრული რაოდენობა შემოსავლისა ერთი თექვსმეტად და ორ მესამედათ აქციოს და ამგვარად ქცეული შემოსავალი უნდა იყოს მამულის ნამდვილი ფასი. ამ სახით ქალაქის მამულს, რომ წელიწადში ცხრა თუმანი ჰქონდეს წმინდა შემოსავალი, ქუთაისის ბანკს შეუძლიან დააფასოს ის მამული 1500 მან. ქუთაისის ბანკს წესდება ნებას აძლევს 60% მიჰსცეს ამ რიგად გამოყვანილის ფასისა. მაშასადამე, ქუთაისის ბანკ[ს] იმისთანა ქალაქის მამულში, რომელსაც მარტო ცხრა თუმანი წმინდა შემოსავალი აღმოუჩნდება, ნება აქვს მიჰსცეს 900 მან.

რადგანაც ქუთაისის ბანკი მარტო 18 $^{7}/_{12}$ წლით აძლევს ამგვარს მამულებზედ სესხს, ყოველ წლიური ბანკში შესატანი სულ ერთიანად შეადგენს 94 მანეთს 50 კაპ. ამ სახით მსესხებელმა ბანკის ვალის მოსაშორებლად დაგირავებულ მამულის შემოსავლის გარდა კიდევ სხვა ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ იქიდამ ოთხი და ათი შაური დააყაროს ვალის გადასახდელად და თუ არ დააყარა ბანკმა უნდა გაჰყიდოს მამული და იქიდამ ააყენოს თავისი ფული. გაიყიდება ორმოცდაათ თუმნად ის მამული, რომელსაც მარტო ცხრა თუმანი აქვს შემოსავალი და გასავალი კი ცხრა თუმანი და ოთხი და ათი შაური? ვინ დააბანდებს ფულს ამისთანა მამულშია?

ტფილისის ბანკს არ შეუძლიან ინსტრუქციის ძალით ზემოხსენებული მამული ოთხმოცდაათ თუმანზედ მეტი დააფასოს, რადგანაც აქ წმინდა შემოსავალი უნდა მარტო ერთი ათად იქცეს და არა თექვსმეტ და ორ მესამედად. წესდების ძალით ტფილისის ბანკიც 60% აძლევს ამრიგად გამოყვანილის ფასსაო. მაშასადამე ტფილისის ბანკს შეუძლიან მისცეს მხოლოდ ორმოცდაათი თუმანი იმ მამულში, რომელშიაც ქუთაისის ბანკი ოთხმოცდაათს თუმანს მიჰსცემს. და ეგ სესხი რომ 18 $^{7}/_{12}$ წლით იყოს მიცემული ბანკში შესატანი წლის გარდასახადი შეადგენს სულ ერთიანად ხუთს თუმანს და ორ და ათს შაურს. ასე რომ ვალის ამღებს კიდევ რჩება სამი თუმანი შვიდი მანეთი და ათი შაური წლის შემოსავლიდამ მის გარდა, რაც ბანკის ვალი ყოველ წლივ წაიღებს. აშკარაა, რომ ამ უკანასკნელს შემთხვევაში არც ერთი მსესხებელი თავის სახეირო[დ] არ დაინახავს მამული ხელიდამ გაუშვას და თუ გაუშვებს, მაგგვარად სუბუქად დატვირთულს მამულს მსყიდველი არ მოაკლდება. ვინ არ იყიდის იმ მამულს ორმოცდაათ თუმნად, რომლის შემოსავალიც ორმოცდაათს თუმანს ვალსაც ისტუმრებს და გარდა ამისა 37 მან. 50 კაპ. ყოველ წლივ მოგება რჩება.

რომ უფრო ცხადად დავინახოთ ამ შემთხვევაში ბოროტის მომასწავებელი უპირატესობა ქუთაისის ბანკისა ტფილისის ბანკის წინაშე, წარმოგიდგენთ ციფრების სქემას. ავიღოთ მაგალითად ისევ ის ქალაქის მა-

მული, რომელსაც აქვს წმინდა შემოსავალი ცხრა თუ-
მანი და ერთი და იგივე 18 $^{7}/_{12}$ წელი სესხის ვადად:

ქუთაისის ბანკი.

ფასი – სესხი – წლის შემოსატანი

1500 – 900 – 94,50 კაპ.

ტფილისის ბანკი

ფასი – სესხი – [წლის შემოსატანი]

900 – 500 – 52,50 კაპ.

ამისთანა უპირატესობა, რასაკვირველია, წაიტყუებს
წინდაუხედავს მსესხებელს, რომლის ნატვრაც ის არის,
რაც შეიძლება ცოტა მამულზედ ბევრი მიიღოს ბანკი-
დამ და რომელსაც წინადვე გადაწყვეტილი აქვს, თუ
გაჭირდა მამულზედაც ხელს ავიღებო, რადგანაც თითქ-
მის სრული ფასი მაქვს ბანკიდამვე მიღებულიო. ქუ-
თაისის ბანკს, რასაკვირველია, ჩვენს ტფილისში ბევრი
მუშტარი აუჩნდება თუ მაგ უპირატესობით შეეჭიდა
ტფილისის ბანკსა, რასაკვირველია, მუშტარს ჩამოა-
ცლის და თვითონ გადიბირებს, და ეგ უპირატესობა
ხეირს დააყრის თუ არა თვითონ ბანკსა, მაგას დრო
გამოაჩენს, თუ ეხლა ჭკუის გამჭრიახობა არ აჩენს.

ამ მხრით, ამბობენ, ქუთაისის ბანკმა მოქმედებაც
დაიწყოო და ამ უპირატესობით ტფილისის ბანკს შეე-
ცილა კიდეცაო. ძალიან ვწუხვართ, რომ ცილების
მოედანზედ ქუთაისის ბანკმა პირველ შემთხვევაშივე
ამისთანა მიმართულება მიიღო. ურჩევთ ტფილისის
ბანკს არ აჰყვეს ქუთაისის ბანკს და ჭიდილში იმისთა-
ნა კისრული არ იხმაროს, რომ თვითონ ქვეშ მოჰყვეს.
ქუთაისის ბანკის საზოგადო კრებასაც ვურჩევთ, რომ
პირველ შემთხვევაშივე ის მუხლი ინსტრუქციისა, რო-
მლის ძალითაც ასე წინდაუხედავად შეუძლიანთ დააფა-
სონ ქალაქის მამულები შეჰსცვალოს იმრიგად, რო-
გორც ტფილისის ბანკის ინსტრუქციაშია. ზემოხსენე-

ბულ სქემიდამ აშკარადა ჰსჩანს, რომ მაგრიგად დაფა-
სება შეუძლებელია, ბოროტმოქმედებას ფართო გზას
უხსნის და არც ერთს სიკეთეს კი არ უქადის. ბანკის
საქმეში წუთიერი გამარჯვება კი არ არის სანატრელი,
ხანგრძლივად და მკვიდრად ფეხზე დგომაა. ესეც კია,
რომ არც ერთი გონიერი მოჭიდავე იმისთანა ხერხს არ
იხმარებს, რომ თვითონვე ქვეშ მოჰყვეს.

[1880 წ.]



საფუძველი კავკასიის უნივერსიტეტისა

ტფილისი, 20 თებერვალს.

ამ 1880 წლის 19 თებერვლის რიცხვი საუკუნოდ სახსოვრად და კეთილად მოსაგონებელი დარჩება მუდამ ჩვენის ქვეყნის ისტორიაში. იმ ძვირფას და შესამჩნევ მნიშვნელობას გარდა, რომელიც მთელს რუსეთისათვის აქვს ამ დღეს, ჩვენთვის კიდევ ის დიდი მნიშვნელობა მოემატა, რომ ის ჩაითვლება კავკასიის უნივერსიტეტის ჩასახების დღეთ.

მართალია, დიდი ხანია ისმოდა ჩვენში, თუ ჟურნალ-გაზეთებში თუ საზოგადოებაში თითო-ოროლა განმარტოვებული ხმა, რომ უნივერსიტეტი გვეჭირებაო, ბევრი დაბრკოლება აქვს ჩვენს მხარეს იმის გამო, რომ ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ მოგვეძევაო, უნივერსიტეტი ჩვენს დამჟავებულ ცხოვრებას წინ წაადგმევინებს ფეხსაო, გამოაღვიძებსო და სხვა ამისთანა ხმა, სურვილი და საჩივარი ბევრი ისმოდა.

მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, დღემდინ ეს ხმა და სურვილის გამოცხადება განმარტოებული ხმა და სურვილი იყო, ის თითქო მხოლოთ ჟურნალ-გაზეთების და რამდენიმე პირის აზრად და ნატვრად ჩაითვლებოდა. დღეს კი სულ სხვაა: დღეს მთელი ქალაქი თფილისი, თავის წარმომადგენლების პირით, ქუთაისი აგრეთვე თავის ქალაქის რჩევის პირითა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, თავის ბანკის მწარმოებელთა პირით, აცხადებენ ამ საზოგადო სურვილს.

და აცხადებენ მარტო ცარიელის, ლიტონის სიტყვით კი არა, რამდენიც კი შეუძლიანთ, იმდენ ფულს

სწირავენ მთავრობას, ოღონდ კავკასიაში, თფილისში უნივერსიტეტი გაგვიხსენითო!

ყოვლად სასიამოვნო და სანუგეშო მოვლენაა ეს მოვლენა. ეს გვიმტკიცებს, რომ უნივესიტეტის საჭიროება იმდენათ ღრმად გვიგვრძნია ყველას, იმდენად ძვალსა და რბილში გაგვჯდომია, რომ ამ დიდებულ დღეს, როდესაც რუსეთის იმპერიის ყველა მოქალაქეს სრული უფლება აქვს თავის კანონიერი სურვილი და ნატვრა გამოუცხადოს თავისთავის ხელმწიფეს, ამ უნივესიტეტის დაარსებაზე უსაჭიროესი და უძვირფასესი სურვილი და ნატვრა ვერა მოგვინახავს რა. ეს გვიმტკიცებს, რომ მართლა მოახლოებული უნდა იყოს ის დრო, როდესაც ჩვენ უნივერსიტეტი უნდა მოგვეცეს.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მარტო თფილისის და ქუთაისის ხაზინით და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკით არ გათავდება ეს შემწეობა ჩვენის მომავლის უნივერსიტეტისათვის. ამათ დაიწყეს მხოლოთ და მიბაძვას ამ კეთილ, საყოველთაო საქმეში ჩვენ დაუყოვნებლივ მოველით ახლა ყველა ჩვენი ბანკებისაგან: თფ. საადგილმამულო ბანკისაგან, თფ. კომერციულ და ურიერთ ნდობის საზოგადოებისაგან, ქუთაისის ურიერთ ნდობის საზოგადოებისაგან, თფ. და ქუთაისის კლუბებისაგან, აგრეთვე კავკასიის სხვა ქალაქებისაგან და იმათ კლუბებისა და ბანკებისაგან. სრული იმედი გვაქვს, რომ, არათუ მარტო ეს დაწესებულებანი, არამედ კერძო პირებიც მიიღებენ, შეძლებისადაგვარად, ამ საქმეში მონაწილეობას.

ასე რომ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მარტო ჩვენს ქვეყანაში ეს გარეშე შემოსავალი, უეჭველია 300,000 (სამას ათას) მანეთამდინ მაინც მოგროვდება კავკასიაში პირველ უნივერსიტეტის დასაფუძნებელად.

და მაშინ, უფრო მომეტებულის საფუძვლით გვექნება ჩვენ სრული სიმართლე და უფლება, მაშინ შეგვეძლება ჩვენ ხმამაღლა და თამამად ვითხოვოთ, რომ უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ მოგვეცეს.

[1880 წ.]



თეატრის მატიანე

„გულთმისანი“ კომედია სამს მოქმედებად, პ. უმიკაშვილისა

პ. უმიკაშვილის ახალს კომედიაზედ, რომელიც ამ ოთხშაბათს, 20 თებერვალს, იყო წარმოდგენილი ჩვენ სცენაზედ, ამჟამად ბევრს არას მოგახსენებთ. ეს პიესა, ჩემის აზრით, იმდენად ღირსშესანიშნავია, რომ საჭიროა ვუძღვნათ მას ცალკე წერილი. პეტრე უმიკაშვილის კომედია ეკუთვნის იმგვარს თხზულებათ, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში ჯერჯერობით სრულიად არ არსებობს; ამიტომაც მოგახსენებთ განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია მეთქი.

ეხლა კი ვიტყვი ორიოდე სიტყვას საკუთრივ ამ კომედიის წარმოდგენაზედ. რასაკვირველია, ჩვენ აკტიორებს უფრო კარგად შეეძლოთ „გულთმისნის“ წარმოდგენა, ვიდრე ნამდვილად წარმოადგინეს, მაგრამ მაინც სამართალი მოითხოვს ვთქვათ, რომ საქმე იმდენად არ წაუხდენიათ, რომ მაყურებელი გულნაკლული გამოსულიყო თეატრიდამ. ადრევაც მითქვამს, რომ უფ. აბაშიძე არის იმგვარი კომიკი, რომელსაც არ შეჰფერის „საბრალოს“ როლი. მართალია, ზოგიერთ ადგილას უფ აბაშიძე იყო ყოვლად უნაკლულო, როგორც მაგალითებრ იმ დროს, როდესაც „თვალთა ჩინი“ გატყდა — თვალი მე მოვიპარეო. ამ სცენაში უფ აბაშიძემ გამოაჩინა უეჭველი ნიჭი და სასცენო ხელოვნება. მაგრამ სამწუხაროდ ამასვე ვერ ვიტყვი მაგალითებრ იმ სცენაზედ, რომელშიაც საბრალოს გონება უბნელდება (მეფის ტახტის წინ). კარგად მესმის სიძნელე ამგვარის სცენის გამოხატვისა, მაგრამ მაინც ვიმეორებ: უფ აბაშიძე არის იმგვარი კომიკი, რომელსაც ამ სცენის წარმოდგენა ერთიორად უნდა გაუძნელდეს. ამასთანავე უნდა ვთქვა, რომ უფ. აბაშიძეს განვითარება, როგორც აკტიორისა, ჯერ, რასაკვირველია, დასრულებული არ არის და ამიტომ შეუძლიან, თუ ეცადა, ცოტაოდენად შეიმციროს ის კომიკური ხასიათი, რომელსაც უწოდებენ „ბუფს“. ამაზედ, იმედი მაქვს, კიდევ მექნება ლაპარაკი. — გაბუნიას ქალი თამაშობდა სრულიად თავის შესაფერ როლს და კარგადაც ითამაშა; როლიც ჩვეულებრივად კარგად იცოდა და არა გვანდა, ამ შემთხვევაში, დანარჩენ აკტიორებს, რომელნიც როლების კარგად უცოდნელობის გამო, ცოტად თუ ბევრად, [...] აწყდებოდნენ.

გამიგონია — პ. უმიკაშვილის კომედია ისტორიული თხზულება არისო და ამიტომ გარეგანი მორთულობა სცენისა, ტანთსაცმელი, „გრიმიროვკა“ რაც შეიძლება ახლო უნდა უდგებოდესო იმ დროს, რა დროსაც ეკუთვნის კომედიის შინაარსი. ჩემის აზრით ამგვარი მხედველობა მართალი არ არის, რასაკვირველია, პ. უმიკაშვილის კომედიაში რაც უფრო ძველის დროის ტანთსაცმელით გამოვლენ აკტიორები ის უკეთესია, მაგრამ არც არა აჭრელებული ტანისამოსი უშლის კომედიას, რადგანაც ეს კომედია სრულიად ისტორიული არ არის. ისტორიული ნაწილი ამ პიესაში იმდენად მცირეა, ე. ი. იმდენად უკან არის ჩამომდგარი, რომ გარეგანის მხრითაც სრულიადი დაცვა ისტორიულის სიმართლისა მაგდენად საჭირო არ არის. ამ საგანზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

[1880 წ.]



ერთი შენიშვნა „თფილისის მოამბეს“

თფილისი, 25 თებერვალს.

დღევანდელ „თფილისის მოამბის'' წინა სტატიაში მოყვანილია ის გარემოება, რომ ბატ. დ. ი. ყიფიანმა მიატოვა ჩვენის თეატრალურ კომიტეტის თავსმჯდომარეობაო. ეს გარემოება „თფილისის მოამბის“ რედაქციას იმდენათ მძიმე გარემოებად მიაჩნია, რომ, იმის აზრით, შეიძლება ქართული ტრუპპის საქმე დაიღუპოს, რადგან დ. ი. ყიფიანი ყველა სხვა წევრებზე უფრო გამოცდილი და სასარგებლო წევრი იყო კამიტეტშიო.

„თფილისის მოამბეზე“ უფრო მომეტებული თუ არა, ნაკლები პატივისმცემელი არა ვართ ჩვენ ბატ. დ. ყიფიანის გამოცდილებისა და ღირსებისა: დარწმუნებული ვართ იმაშიაც, რომ ის, როგორც თავსმჯდომარე კომიტეტისა, სასარგებლო პირი იყო ჩვენის ახალდაარსებულ თეატრისათვის. მაგრამ იმაზე კი ვერ დავეთანხმებით „თფ. მოამბის“ რედაქციას, რომ მარტო ამ გარემოებას, ე. ი. პატივცემულის დ. ი. ყიფიანის გამოსვლას კომიტეტიდამ ისეთი გავლენის ქონვა შეეძლოს, რომ ჩვენი სცენის საქმეს დაღუპვა მოელოდეს. თუ ერთს კაცზე ყოფილა დამოკიდებული ჩვენის სცენის არსებობა, მაშინ რა ყოფილა ის? დღეს არა, ხვალ მაინც დაიღუპებოდა!

მაგრამ ჩვენ დღეს ამაზე კი არ გვინდოდა ლაპარაკი: ჩვენი აზრი იყო, რომ „თფილისის მოამბის“ წინა სტატიის შემდეგ ადგილზე გვეთქვა ორიოდე სიტყვა:

„სამწუხაროა, რომ „დროების“ ერთი თანამშრომელთაგანი ირიცხება თეატრალურ კომიტეტის წევრად; ამ გარემოებას შეუძლიან დაუშალოს ერთად-ერთს ქართულს ორგანს სრულის მიუდგომლობით და განკიცხვით მოიხსენიოს ეს სამწუხარო გარემოება. ამის გამო რუსულ გაზეთებმა უნდა იკისრონ ქართულის ტრუპპის ინტერესთა დაცვა. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ გაზ. „აბზორი“ ჩვენზე ნაკლების ინტერესით არ მოეკიდება ამ ერთის შეხედვით, აუხსნელ და ბნელ ფაქტს“...

ამავე ლოგიკით ჩვენ შეგვეძლო მივბრუნებულიყავით „თფ. მოამბის“ რედაქციისაკენ და გვეთქვა იმისთვის შემდეგი:

„სამწუხაროა, რომ „თფილისის მოამბის“ ერთი თანამშრომელთაგანი ერთობ დაახლოვებით გარეულია ამ საქმეში, რომ პატივცემულ დ. ი. ყიფიანისაგან კომიტეტის წევრად წარდგენილი პირი თ. მ. პ. ბებუთოვი იყო რეჟისორად და ფეხზე დამყენებლად იმ „მოამბის“ რედაქციის ერთის წევრისა, რომ კომიტეტმა უარჰყო აგრეთვე მეორე წინადადება ბატ. დ. ი. ყიფიანისა იმის შესახებ, რომ „თფილისის მოამბის“ რედაქციის ერთს წევრთაგანს კომიტეტისაგან მისცემოდა პიესის დაწერისათვის პრემია (100 მან.) ეს გარემოება დაუშლის „თფილისის მოამბის“ რედაქციას სრულის მიუდგომლობით შეეხოს ამ „სამწუხარო მოვლენას“.

ჩვენ ესე ვსთქვათ, ხომ ისეთივე სრული საფუძველი გვექნება, როგორც „თფ. მოამბეს“ ჰქონდა, როცა სთქვა, რომ „დროების“ რედაქციის ერთ წევრთაგანი თეატრის კომიტეტის წევრად არის და ამის წყალობით ამ გაზეთს მიუდგომლად ლაპარაკი არ შეუძლიანო.

სრული უფლება გვაქვს, მაგრამ არ ვამბობთ და არც ვიტყვით იმას, რადგან, თუმცა მართალია, რომ ჩვენი რედაქციის, ერთი კი არა, ორი წევრია კომიტეტის წევრად, მაგრამ ეს გარემოება გაზეთს სრულიად არ დაუშლის მიუდგომელად და დაუფარავად გამოსთქვას თავის გულწრფელი აზრი ამ საგნის შესახებ.

„საზოგადოთ კარგი იქნება, რომ „თფ. მოამბემ“ არ მიიღოს „აბზორისებური“ კილო და წაღმა-უკუღმა არ წამოისროლოს ხოლმე მოუფიქრებელი სიტყვები ყოველთვის, როდესაც „დროების“ ახლანდელ რედაქციაზედ და იმის ვითომ პიროვნულ ინტერესების დამტკიცებაზედ დაიწყებს ლაპარაკს. თუ რომელსამე გაზეთს

აქვს უფლება სთქვას, და სთქვას თამამად, რომ ის არ მისდევს არავითარ პიროვნულ ინტერესებს, რომ ის, თავის შეძლებისადაგვარად, მხოლოდ საზოგადოებას ემსახურება და ყოველთვინ და მუდამ ეს საზოგადო ინტერესი აქვს მხედველობაში, ვამბობთ, თუ რომელ-სამე გაზეთს ამის თქმის უფლება აქვს, „დროებას“, მეტი თუ არა, ნაკლები უფლება არ აქვს იგივე სთქვას თავის მოღვაწეობის შესახებ...

[1880 წ.]



კიდევ „თფილისის მოამბეს“

თფილისი, 28 თებერვალს.

ერთმა გამოჩენილმა კაცმა სთქვა, რომ ჟურნალისტიკა მეექვსე დიდი სახელმწიფო არისო. როგორც დიდ სახელმწიფოს დიდი ძალა და გავლენა და მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საქმეების გარდაწყვეტაში, იმდენივე ძალა, გავლენა და მნიშვნელობა ჟურნალისტიკასა აქვსო.

ბრძნული და ჭეშმარიტი სიტყვაა. არა თუ მთელის ქვეყნის ჟურნალისტიკას, ჟურნალ-გაზეთებს, არამედ ერთს რომელსამე გაზეთსაც კი ხშირად ისეთი გავლენა აქვს, რომ სახელმწიფო საქმეებს ხან წაღმა ატრიალებს და ხან უკუღმა; რასაც იტყვის, დაუჯერებენ: იმის სიტყვა ბეჭედია.

მაგრამ, სანამ გაზეთი ამისთანა ძალასა და გავლენას მიიღებდეს, ბევრი შრომა, ბევრი მიუდგომელი მოღვაწეობა, ბევრი გამჭრიახობა და პატიოსნური მოქმედება ეჭირება. ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ რომლისამე საგნის ასე ან ისე გარდაწყვეტაში გაზეთი არავითარ თავის პიროვნულ ანგარიშსა და ინტერესს არ ეძიებს; რომ ის თავმოყვარეობით არ არის აღძრული; რომ ის ხელმძღვანელობს მხოლოთ საზოგადო ინტერესით, საერო საჭიროებით და სარგებლობით. როცა ამგვარ პატიოსან ხასიათსა და მოუსყიდველ თვისებებს შეამჩნევენ რომელსამე გაზეთს, დარწმუნებული იყავით, რომ იმას ყველა დაუჯერებს, ყველა დაენდობა, და აქედამ არის, რომ ძალასა და გავლენას შეიძენს.

საუბედუროთ, ეს გაცვეთილი ჭეშმარიტება ავიწყდებათ ჩვენ ორ რუსულ გაზეთებს — „თფილისის მოამბესა“ და „აბზორს“, — და ამიტომაც არის, რომ პირველი ამათგანი დიდი ხანია „მკვდართა შორის“ ჩაირიცხა და მეორის, ბატ. ნიკოლაძის გაზეთის, სიტყვას სწორედ იმდენი ძალა და მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თვალში, რამდენიც ფინია ძაღლის დაუდგრომელ და უვნებელ ყეფასა და ქაქანს.

ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, ან რა ძალა და გავლენა უნდა ჰქონდეს იმისთანა გაზეთს, რომელიც ერთსა და იმავე საგანზე დღეს იძახის, თეთრიაო, და ხვალ — შავიაო; რომელსაც ერთი და იგივე პირი დღეს ცამდინ აჰყავს, აქებს, ადიდებს იმას და ხვალ კი ქვესკნელში აძვრენს, აძაგებს, სულელს, ბრიყვს, უპატიოსნოს ეძახის?

ორმოცი მაგალითი მაინც მოგვიყვანია „აბზორის“ მხრით ამგვარის მოქმედებისა; მაგრამ ამ დღეებში ერთი ჩინებული მაგალითი კიდევ, და იმედია, არა უკანასკნელად, წარმოგვიდგინა: ამას წინათ უფ. ნიკოლაძემ სწორედ მეშვიდე ცამდინ აიყვანა ერთი თავის თანამშრომელთაგანი — ბატ. უთურგაური; ასეთიაო, ისეთიაო, შესანიშნავი კრიტიკოსიაო, იმისთანა ნიჭი ამ უკანასკნელ წლებში არ გამოჩენილა ჩვენშიო და სხვ. და სხვ. გუშინწინ კი იგივე ბატ. ნიკოლაძე ამავე თავის თანამშრომელს ბატ. უთურგაურზე ამბობს, რომ იმის პირიდამ „საბრალო სიტყვებისა და თავხედურ ლანძღვის“ მეტი არა გამოვიდა რაო, „არ ესმოდა, რას ვთხოულობდით“ იმისაგანაო, თავის დანიშნულება რა არის არ იცისო და სხვ. და სხვ. (ნახე „აბზორის“ №430, წინა სტატია).

რა ძალა და გავლენა უნდა ჰქონდეს იმისთანა გაზეთს, რომელიც ყველას და ყველაფერს თავის კუდაბზიკურ თავმოყვარეობით უყურებს და შესჩერებია; რომელიც არავის და არაფერს არ ზოგავს, ოღონდ კი თავის სულელური აზრი დაიცვას და სულელთაგან სახელი დაიმსახუროს.

ყველაზე გასაკვირველი და სასაცილო ამაში კიდევ ის არის, რომ ამისთანა გაზეთი სხვას აძლევს დარიგებას, სხვებს ასწავლის ლიტერატურულ წესებს და

ზრდილობას: ასე უნდა მოიქცეთ, ლიტერატურული პატიოსნება ამას მოითხოვსო. ნიკოლაძე, „აბზორი“ და ლიტერატურული პატიოსნება — მოდი და ნუ გაგეცინება! ერთად დასდევით ცეცხლი და წყალი... აფსუსი არ არის, რომ იმისთანა კარგი სიტყვა, როგორც „ლიტერატურული პატიოსნება“, ნიკოლაძის კალმის წვერიდამ გამოდიოდეს და ჭუჭყიან „აბზორის“ თაბახზე იბეჭდებოდეს!..

მომაკვდავ „თფილისის მოამბემაც“ დაიწყო ამ უკანასკნელ დროს ამ მხრით ზემოხსენებულ ნეხვის გოდორისა გაზეთის წაბაძვა. დარბაისლურად, მშვიდობიანად მოვახსენეთ ჩვენ ამას წინეთ ამ გაზეთს, რომ შეიძლება რედაქციის ერთი წევრთაგანი რომელსამე ერთს საგანზე სხვა აზრისაც იყოს, მაგრამ ჩვენს გაზეთს ეს სრულიადაც არ დაუშლის, რომ ამ საგანზე თავის სწორი და მიუდგომელი აზრი გამოთქვასო. მოვახსენეთ კიდევ, რომ მაგ ნიადაგზე რომ დავდგეთ-მეთქი, შეგვეძლო გვეთქვა, რომ არც „თფილისის მოამბის“ რედაქციას უნდა ამოელო ამ საგანზე (ე. ი. ქართულ ტრუპპისა და კომიტეტის) სიტყვა, რადგან ერთი წევრთაგანი ამ რედაქციისა ერთობ დაახლოვებულად არის გარეული ამ საქმეში-მეთქი.

ეს ვთქვით და, ვერ წარმოიდგენთ, როგორ იწყინა „თფ. მოამბემ“ ეს უბრალო სიტყვები. „მშიშარა მეჭორებიც“ კი დაგვიძახა, „უსუსური ჟურნალისტებიც“, „ცილისწამებაც“ კი დაარქვა ჩვენს სიტყვებს და სხვ. და სხვ. ამგვარი და თავის მშვენიერი საკადრისი სიტყვები უხვად მოგვაყარა.

ჩვენ ამ გზაზე არ გავყვებით პატივცემულ გაზეთს, რადგან ვიცით, რომ ეს გზა ნეხვის გოდრამდინ მიგვიყვანს, სადაც ასე მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს ადრე დაუძინებელნი მტერნი — „აბზორი“ და „თფილისის მოამბე“. ჩვენ ისევ ძველს ჩვენ საბაასო საგანს დაუბრუნდებით და დამშვიდებით ვკითხავთ „თფ. მოამბეს“:

თუ „დროება“ თეატრალურ კომიტეტზე, იმის აზრით, ვერას დასწერს მიუდგომელად, რადგან ერთი იმის რედაქტორი თუ თანამშრომელი ამ კომიტეტის წევრია, რატომ ამავე საბუთით არ შეგვეძლო გვეთქვა,

რომ თუ ასეა, მაშ ვერც „თფ. მოამბე“ დასწერს ამ საგანზე ვერაფერს მიუდგომლად, რადგან თეატრალურ კომიტეტმა ჩაბახა და დაიწუნა ხსენებულის გაზეთის ერთ თანამშრომელთაგანის კომედია, რადგან ამ კომედიის დაწუნება ავტორმა თავის პირად შეურაცყოფად მიიღო კომიტეტის მხრით და, უეჭველია, აქ თავმოყვარეობა იმუშავებდა! რატომ არ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ამავე კომიტეტმა უარჰყო ამავე თანამშრომელის კომედიის ფეხზე დამყენებელ რეჟისორის თავის წევრად მიღება, და შეიძლებოდა ამ გარემოებასაც გავლენა ჰქონოდა რედაქციის მიუდგომლობაზედ? რატომ არ უნდა გვეთქვა ისიც, რომ კიდევ ამავე თანამშრომელს ხსენებულ კომიტეტმა 100 მან. ჯილდოს მიცემაზედ უარი უთხრა და შეიძლებოდა, რომ ამ გარემოებასაც კიდევ ჰქონოდა „თფ. მოამბის“ აზრზე და მიუდგომლობაზე გავლენა?

მგონია, ცხადია და აშკარა ლოღიკაა ყველასათვის, ვინც დაწერილის წაკითხვა იცის. ამისათვის რა ბევრი აყალ-მაყილი და გაცეცხლება იყო საჭირო? ჩვენ „უსუსური ჟურნალისტები“ თუ არ გავცხარდით, როცა პირადობა დაგვწამეს, დარბაისელმა და მამაკვდავ-მოხუცებულ — „თფილისის მოამბემ“ რად იკადრა ასე გაჯავრება და ლანძღვა-გინება? ძველთაგან ნათქვამი სიტყვა: „შენ ჯავრობ? მაშ მტყუანი ხარ“ — იმაზე ხომ არ გამართლდა.

ვინც დაწერილის წაკითხვა იცის, ის, უეჭველია, ამ შენიშვნიდამ იმასაც არ გამოიყვანს, ვითომც ჩვენ თეატრალურ კომიტეტს ვესარჩლებოდეთ. იმ შეტაკების თაობაზე, რომელიც ამ დღეებში მოხდა თეატრალურ კომიტეტსა და ტრუპპას შუა, ჩვენ არ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი მხოლოდ იმიტომ, რომ იმისთანა ჟურნალისტების დასში არ ვსთვლით ჩვენს თავს, რომელნიც წამოჰკრავენ თუ არა რასმე ყურს, იმ წამსვე გაზეთში ჩაჩრიან ხოლმე და მოჰყვებიან უთაბოლოთ ტორტლვას და ყბედობას. ჩვენი აზრი ამ საგნის შესახებ ეს იყო და ახლაც ესვეა, რომ მომეტებული „ჰაი-ჰუი!“ ხარსაც გადარევს, უდროვო-დროთ ლაპარაკი და განსაკუთრებით სულელური და უსაფუძვლო ლაპარაკი საქმეს გააფუჭებს და არა არგებს...

[1880 წ.]

კალიის გამოსვლა

ტფილისი, 24 აპრილს.

დიდი და პატარა სულ კალიაზე ლაპარაკობს ამჟამად, აგერ თესლითგან გამოდისო. გაზ. „კავკაზმა“ გვაცნობა, რომ ტფილისის, ელიზავეტოპოლის, ერევნის და ბაქოს გუბერნიებში გამოსულა; ჩამოთვლილია რამდენიმე მაზრები და სოფლები და მოხსენებულია, რომ კალიის გაჟლეტისათვის განკარგულება არის მოხდენილიო, მიღებული არის ზომაო. ამ ამბავზე დღევანდელ ნომერში „კავკაზი“ ჰბეჭდავს შემდეგ წერილს მიღებულს რედაქციაში:

„გაზეთისგან გვესმის, ყველგან დიდს მეცადინეობას ხმარობენ კალიის გაჟლეტისასაო, და თვით ქალაქ ტფილისში ავლაბრის მინდვრებში და ვერაზე თესლიდგან გამოვიდა და ამაზე კი არა ისმის რაო“.

რა უნდა ვთქვათ ამაზე გაზეთებმა იმის მეტი, რაც აქამომდე თქმულა. ჩვენი საქმე არის სიტყვით ვაჩვენოთ, ურჩიოთ, მოვახსენოთ ჩვენი საჭიროება, და მოისმინოს, ვისდამიც ჯერ არს.

რა დაცინვაა ეს „კავკაზის“ წერილი! „იმახით ყველგან ღონისძიება, ენერგიული მეცადინეობა მიღებულიაო. აქ ქალაქში, ცხვირწინ, თვალწინ ამოდენა კალია ჩნდება და ხელს კი არავინ ანძრევს, რომელს დაუჯეროთო?“

დიახ. შარშან კალიის მოფრენის დროს მოისმოდა ხმა, რომ განკარგულება მოხდა ყველგან, ენერგიული მეცადინეობა მიღებულიაო, ზოგან ამბობდნენ კიდეც გაჟლიტესო. ეს ამბავი და ამგვარი — ჩვეულებრივი ქაღალდის მიწერ-მოწერაა. დასამტკიცებლად ფაქტია,

თვით ტფილისის გარეშემო ყანა-მინდვრების ავსება კალიითა. ამაზე მეტი დაცინვა აღარ შეიძლება...

სად არის სამეურნეო საზოგადოება, სად არიან აგრონომები, სად არიან მეურნეობის ზედამხედველ-ინსპექტორები, სად არის ჯარები მინდვრებში გაგზავნილი, სად არის ხალხი სოფლებითგან გამოსული?

სულ ყველანი მუშაობენო. გვჯერა ნამდვილად; მაგრამ...

სამეურნეო საზოგადოება ერთ გამორკვევულ და ენერგიულ ღონისძიების პოვნაზე ვერ დადგა; ბაასობდა, სულ ბაასობდა და ყარაიაზზე ლაპარაკობდა; ინსპექტორ-აგრონომები ქაღალდებსა სწერდნენ თავის მიმდობლებს; ჯარი გავიდა მინდვრებში, მაგრამ ცოტა, მაგალითად მთელ გუბერნიაზე სულ 4,000 კაცი; ხალხიც გადის, მაგრამ შიმშილისაგან შეწუხებული ცოლ-შვილის და თავისთავის სარჩო-პურის საშოვრად დღიურათ სამუშაო უნდა იშოვოს სოფელს გარეთ და ამის გამოთ უპუროთ მინდორში 20 ვერსზე ვერ გასულა.

რა ღონისძიებაა მაშ?

ფული და პური ხალხისათვის, ჯარი და ერთი ისეთი ძლიერი უფლება, რომელიც ვეტლანკის ჭირის დროს იყო.

ხალხი უნდა გამოვიდეს, საცა შარშან კალიას თესლი დაუყრია და მაშასადამე შარშანდელ დაზიანებულ გლეხებს პური არა აქვთ; თესლის მოსაკრეფათ თითოორიოდ ადგილს აძლევენ ფულსა და არა ყველგან. 4,000 ჯარის კაცმა რა უნდა გააწყოს მთელ გუბერნიაში.

ჭირის მოსასპობლათ ერთ პატარა მაზრაში ვეტლანკაში და იმის ახლო-მახლო ადგილისათვის დიდი ღონისძიება იხმარა მმართებლობამ და მოერია კიდეც ჭირსა. გაზეთების ვალდებულებაა აღიაროს საჭიროება იმგვარისავე ღონისძიებისა ჩვენს მხარეში, რომელშიაც ოთხი გუბერნია დაჭერილია კალიისაგან, რომელსაც შიმშილი მოჰყვება და შიმშილს მოჰყვება ესრედ წოდებული „შიმშილის ჭირი“ —, რომელიც იგივე ვეტლიანკის ჭირია, იმ განსხვავებით, რომ მთელს ოთხს გუბერნიას მოედება ერთსა-და-იმავე დროსა.

ერთი ძლიერი, დიდის უფლებით აღჭურვილი ძალა საჭიროა, რომელიც ჰმართავდეს და ერთის განზრახვით აერთებდეს ეხლანდელს მომუშავე ძალას, რომელიც გაფანტული ამაოდ და უბრალოდ იღვწის ოთხს გუბერნიაში.

ნუ გავკიცხავთ, ნურც ხალხს, ვითამც არ სურდეს მუშაობა, ნურც უეზდის ანუ გუბერნიის ადმინისტრაციას, რომ ენერგიული შრომა არ ეტყობა.

საჭიროა ერთი მმართველი ძლიერი უფლება საკუთრად კალიის გაჟლეტისა და შიმშილის მოსპობისათვის მთელის კავკასიის ყველა გუბერნიებში.

საჭიროა უპირველესად, რომ ეს უფლება უეჭველად სანდო, უანგარო გამჭრიახე და ენერგიულს კაცს მიენდოს, საქმის გამკეთებელს და არა ქაღალდების მწერალ-მჩხრეკელს.

ორი კვირა ვადა დარჩენია.

მაგრამ ჩვენ მოხსენებულმა უფლებამ თუ ამ ორ-სამ კვირაში ვერა გააწყო-რა, მერმის წლევანდელისაზე დიდი სამუშაო საქმე დაგვრჩება წლევანდელ კალიისაგან.

ვგონებთ ეს წინადადება ღირსი იყოს დიდის ყურადღებისა.

[1880 წ.]



მთქმელს გამგონი ეჭირება

ტფილისი, 26 აპრილს.

გუშინდელ „დროების“ წინა სტატიაში ერთი უბრალო აზრი გამოვთქვით, ერთს საშუალებაზე მივათითეთ, რომელიც, ჩვენის აზრით, სხვათა შორის, გააადვილებდა კალიის გაწყვეტასა და იმისაგან მოსალოდნელ ზიანს.

ჩვენ ვთქვით, კარგი იქნებაო, რომ კალიის გაწყვეტისა და შიმშილის საქმე ერთს რომელსამე ძლიერ უფლებას მიანდონ, სანდო, უანგარო, გამჭრიახე და ენერგიულს პირს, საქმის გამკეთებელს და არა ქაღალდების მწერალ-მჩხრეკელს.

ვთქვით, საჭიროა ერთი ისეთი უფლება, რომელიც ჰმართავდეს და ერთის განზრახვით აერთებდეს ახლანდელს მომუშავე ძალას, რომელიც (ძალა) გაფანტული ამაოდ და უბრალოდ იღვწის ოთხს გუბერნიაში.

ვთქვით, რომ ეს ძალა, ამ უფლებით აღჭურვილი პირი დანიშნული იყოს მხოლოთ კალიის გასაწყვეტად, მხოლოთ იმისთვის, რომ ხალხი და ჯარი ყველა ერთ გზაზე დააყენოს, ერთის ღონისძიებით ამუშაოს, ერთგვარათ მიაწვეს ყველა საშუალებით ამ ჩვენს დამღუპველ მტრის ამოსაჟლეტად.

როგორც ვეტლანკის ჭირის დროს ამგვარის უფლებით აღჭურვილმა გრ. ლორის-მელიქოვმა მოიტანა სარგებლობა და მოერია ჭირს, ისე შეიძლება ჩვენი ქვეყანაც დავიცვათ კალიისაგანაო, ვთქვით.

ეს ვთქვით და ახლა თქვენ გკითხავთ — რა არის ამ აზრში ისეთი, რომ ჭკუამთელი კაცი შეძრწუნდეს და აღელდეს?

ჩახედეთ დღევანდელ „აბზორში“ და თქვენ ნახავთ, რომ ეს მარტივი აზრი კი არ ყოფილა, არამედ ერთი რაღაც საშინელი ხეპრული, კატკოვური და დიქტატურის მომწვევი აზრი ყოფილა!

ოთხი საჟენი სტატია დაუწერია ბატ. ნიკოლაძეს ამ აზრის საშინელებაზედ და, ღმერთო ჩემო, რაები არ ჩაურთავს შიგ! კატკოვები არიან „დროების“ მწერლები, დიქტატურას თხოულობენ ისინი, კანონებიც არ იციანო, გზაც დაბნევიათ, კალიის გასამართლებას თხოულობენ, წვიმაც და ქარიც უნდათ სამართალში მისცენო, როგორც გამავრცელებლები კალიისაო, „დროების“ თანამშრომელებს ყურისმგდებელი, ზედამხედველი ეჭირებათო, თორემ ნამდვილ კატკოვებად შეიქმნებიანო და სხვა სულ ამგვარი, სულ ისეთი ლაზათიანი სიტყვები, როგორსაც ჩვეული ვართ ნიკოლაძის მახვილგონიერებისა და კალმისაგან...

შეშინებულმა ძაღლმა ცხრა თვეს მთვარეს უყეფაო, — ეს ანდაზა მოგვაგონდა ჩვენ, როდესაც ბატ. ნიკოლაძის რახა-რუხი წავიკითხეთ.

სადაური დიქტატურა, რომელი კატკოვი! აზრი გამოვთქვით: ღობე-ყორეს ედებიან, ერთი ერთს სახსარს ხმარობს კალიის ამოსაჟლეტათ, მეორე — მეორეს; ერთი ღორებისაგან მოელის შველას, მეორე — განგებისაგან; ერთი მთისკენ იხედება, მეორე — ველისაკენ. საჭიროა ერთს მხნე, გამჭრიახე კაცს მიანდოთ ეს საქმე, რომელმანც ყველგან ერთნაირად იმოქმედოს და ხალხი და ჯარი ამოქმედოს და სხვ.

ეს იყო ნათქვამი. და კატკოვს, დიქტატურას, თუ ღმერთი გრწამთ, ერთი მითხარით, აქ რა ხელი აქვს?

ჩვენს მმართებლობას უიმისოთაც დიდი ძალა და უფლება აქვსო. ვინ თქვა ამის წინააღმდეგი? ვინ თქვა: ეს უფლება ცოტაა, მიუმატეთ კიდევა უფლებაო? ვინც დაწერილის წაკითხვა იცის და ვისაც ჰსურს გაგება, ის კარგათ გაიგებდა იმ ჩვენს აზრს, რომ ეს უფლება გაფანტულია, ოთხი გუბერნიის ადმინისტრაცია ცალ-ცალკე მოქმედებენ, საჭიროა ერთად, ერთის პირის ხელმძღვანელობით იმოქმედონ კალიის და შიმშილის წინააღმდეგ, და არა სხვა რასმეში-მეთქი! ნუ თუ ეს ცხადი არ არის? ნუ თუ ნიკოლაძის მეტი, სხვა ვინმე

დარჩება ჩვენს მკითხველებში, რომ ეს აზრი იმასაც უკუღმართად გაეგოს?

ვიმეორებთ, ეს ისეთი ცხადი და უბრალო აზრია, რომ, უეჭველია, ყველამ, ვისაც ჰსურდა გაგება, ისე გაიგო, როგორც ჩვენ გვინდოდა, რომ ყოფილიყო გაგებული. მხოლოდ ნიკოლაძეს არ უნდოდა გაგება, არ გაიგო და თავის ჩვეულებრივი ხრიკებით აღიჭურვა.

მაგრამ ყველაზე სასაცილო ის არის, რომ „ობზორი“ და იმის პატრონი ნიკოლაძე კატკოვობას ჩვენ გვწამებს! ნიკოლაძე გვწამებს ჩვენ კატკოვობას, ნიკოლაძე, რომელიც იდეალური და საყვარელი მწერალია თფილისელ კატკოვებისათვის, რომელსაც ასე თანაუგრძნობენ აქაური ინტენდანტსტვის ჩინოვნიკები და საზოგადოთ ყველა ჩამოსულები; რომელსაც ზოგიერთ ამგვარ პირებისაგან მიუღია თანაგრძნობის ადრესი; რომელიც სმოლენსკიდამ ჩამოსულის მუშებისგანაც კი ისეთს აღტაცებაში მოდის, რომ მდუღარე ცრემლებსა ღვრის; რომელმაც ამ თფილისელ კატკოვებს რომ ასიამოვნოს, ყველა პატიოსან და გონიერ თავის მიწის შვილებს შეაძულა და მოაბეზრა თავი და სხვ. და სხვ.

ამისთანა გაზეთი და ამისთანა კაცი გვწამებს ჩვენ კატკოვობას, მოდი და ნუ გაიცინებენ თვით კედლები, მოდი ნუ იტყვი: „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“.

[1880 წ.]



ტუსაღებისათვის

ტფილისი, 1 მაისს.

ამასწინათ ჩვენი გაზეთის №89-ში დაბეჭდილი იყო მეტეხის ციხის ეკლესიის მღვდლის მ. ივ. ლომოურის წერილი, რომელშიაც პატივცემული ავტორი მგრძნობიარე სიტყვებით აგვიწერდა ტუსაღების მდგომარეობასა და იმათ მუდმივ თხოვნას, რომ საკითხავი რამ წიგნები მოგვეცითო. მ. ლომოური ამ წერილით „კაცთმოყვარე საზოგადოებას“ მიმართავდა და სთხოვდა შემწეობას ხსენებულ ტუსაღებისათვის ბიბლიოთეკის გამართვაში.

დარწმუნებული ვართ, რომ ხმა მ. ლომოურისა არ დარჩება „ხმად მღაღადებელად უდაბნოში“. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საზოგადოება რომელსაც ყოველთვის გული შესტკივა უბედურთა და ბედისაგან დაჩაგრულთათვის, ამ შემთხვევაშიაც გამოიჩენს გულმტკივნეულებას და ცოტა რასმესი შეწირვით ეცდება შეუმსუბუქოს ტუსაღებს იმათი მძიმე უღელი.

ჩვენი დიდებული მასწავლებლის ქრისტეს სწავლით, დამნაშავე და ბოროტმოქმედი კაცი ყველაზედ პირველად უბედური, ავათმყოფი ქმნილებაა. კანონი და საზოგადოება შურისძიებისა და თავის ჯავრის ამოსაყრელად არ უნდა სჯიდეს მას. უბედურს და ზნეობით ავათმყოფს გამხნევება, დარიგება, სწორ გზაზე დაყენება, წამლობა ეჭირებაო.

ასე ამბობს ქრისტე და ამაში იმას, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიაც, ახალი დროის გამოჩენილი მეცნიერნიც და ფილოსოფოსნიც ეთანხმებიან.

და თუ ეს ასეა, თუ ტუსაღი და რომელიმე ბოროტების მომქმედი პირი ყველაზე უმალ ზნეობით, სულით და გონებით ავათმყოფი არსებაა, მაშ იმის მოსარჩენად, იმის განსაკურნებელადაც ამ ავათმყოფობისდა შესაფერი წამალი და ექიმობა ეჭირვება.

რა არის დაცემული ზნეობის წამალი? რა განკურნებს დაბნელებულ გონებას? რა მოუხდება სულით ავათმყოფს? — მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა დიდი ხანია გვიჩვენეს ამგვარი სნეულების წამალი; ეს წამალი არის — ტკბილი სიტყვა, კეთილი დარიგება, კარგი წიგნები, სწავლა-განათლება და კაცობრივი მოპყრობა.

გამოცდილებამ და ათასმა მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ ტუსაღების სასტიკად დასჯა, დატანჯვა და წვალება ამ ტუსაღებს ვერ გაასწორებს, ვერ მოარჯულებს და სხვებსაც ვერ შეაშინებს; რამდენი მაგალითებია, რომ რომელიმე უბრალო დანაშაულობისათვის, ხანდისხან სულ ტყუილ-უბრალოთაც დაუტუსაღებიათ ვინმე და როცა რამდენიმე წლის შემდეგ გამოუშვიათ სატუსაღოდამ, ეს კაცი მხოლოდ ამის შემდეგ გადაქცეულა ნამდვილ ავაზაკად და ბოროტმომქმედათ. ყველას ეხსომება ის შემთხვევა, რომ როდესაც ორ ძმას ყუზანოვებს აღრჩობდნენ თფილისში ქურდობისა და ავაზაკობისათვის, იქვე, საღრჩობელასთან დაიჭირეს ერთი ვიღაც კინტო, რომელსაც ვიღაცასთვის ჯიბეში ხელი ჩაეყო და ფული ამოეცალა.

მაგრამ მაგალითები და დამტკიცება არც კი ეჭირება იმ ჭეშმარიტებას, რომ სასტიკე და მკაცრობა ვერავის ვერც შეაშინებს და ვერც გაასწორებს; რომ ერთადერთი საშუალება ზნეობაგაფუჭებული, გზააბნეული კაცის გასასწორებლად არის მხოლოთ სწავლა-განათლება და ზნეობით გაწრთვნა. ამიტომაც განათლებულ ხალხებში ტუსაღების შესახებ ყველაზე უმთავრესად ამ სახსარს ხმარობენ: იმათთან მუდამ დაიარებიან სამღვდელო პირნი დარიგების მისაცემად, იმათ აქვთ ჩინებული ბიბლიოთეკები, სადაც ყოველგვარ კარგ წიგნებს იშოვნიან საკითხავად, ვინც არ იცის, წერა-კითხვას ასწავლიან და უეჭველად რომელსამე ხელობას, რომ როცა ვადა შეუსრულდებათ ტუსაღობისა და თავისუფალი შეიქმნებიან, შეეძლონ თავის სწავლითა

და ხელობით პატიოსანი ლუკმა-პურის მოპოვება, შეიძლონ თავის დარჩენა პატიოსანის შრომითა და არა ცუდკაცობით, ავაზაკობით.

ამგვარი წესები ტუსაღების შესახებ რუსეთშიაც თანდათან შემოდის, რუსეთშიაც თანდათან ცდილობს მმართებლობა, რომ სისასტიკისა და მკაცრობის ნაცვლად, ლმობიერის მოპყრობით და კეთილზნეობის, სწავლის ჩანერგვით მოარჯულოს ტუსაღები. პეტერბურღში და რამდენსამე სხვა ქალაქებში, მაგალითად, ტუსაღებს სხვადასხვა ხელობას ასწავლიან, და მცირეწლოვან დამნაშავებისათვის გამართულია შკოლები, სადაც წერა-კითხვას, მეურნეობასა და ხელობას ასწავლიან.

მთავრობას იმდენი არც შეძლება აქვს და არც ღონისძიება, რომ ყველგან, საცა კი სატუსაღოებია, გამართოს შკოლები, სახელოსნოები და ბიბლიოთეკები. ამ შემთხვევაში თვითონ საზოგადოებაა მოვალე, რომ დაეხმაროს მთავრობას.

ამიტომაც ვიმეორებთ, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მ. ლომოურის ხმა და მოწოდება, რომ საზოგადოებამ შემწეობა მისცეს იმას მეტეხის ციხის ტუსაღებისათვის ბიბლიოთეკის გამართვაში, ეს ხმა უდაბნოში მღაღადებელ ხმად არ შეიქნება. იმედი გვაქვს, ჩვენს საზოგადოებაში ამოჩნდებიან იმისთანა პირნი, რომელთაც ესმისთ ამ ქველის საქმის მნიშვნელობა და თუ წიგნებითა, თუ ფულით მოისურვებენ მ. ლომოურის ჩინებულის აზრისა და წინადადების განხორციელებას, დახმარებას. ამგვარ პირებს შეუძლიანთ თავიანთ შესაწირავით მიმართონ ან პირდაპირ მეტეხში მ. ლომოურთან ან სატუსაღოს ზედამხედველთან და ან „დროების“ რედაქციაში.

[1880 წ.]



საზოგადო ჭირს საზოგადო შველა

ტფილისი, 2 მაისს.

ერთი დიდი უბედურება ჩვენი, რომელთა შორის, ისიც არის, რომ ცხვირს იქით არ ვიყურებით. თითქმის ყოველი ქართველი ასე სჯის:

— მე თუ კარგათ ვიქნები, მე თუ არ მაწუხებს რომელიმე ჭირი, სხვას რას დავსდევ. ნეტავი მე არ დამემართებოდეს უბედურება, თორემ სხვას კისერიც მოუტეხია! გიჟი ხო არა ვარ, ქვეყნისთვის ჯვარს ვეცვაო!

ადრე, ძველად ამისთანა არ ვიყავით. მართალია, საუბედუროთ, რომ გვართა ბრძოლა, საქართველოს ერთი ნაწილის მეორე ნაწილთან შეტაკება ადრეც იყო ჩვენში. მაგრამ ხშირად, როცა საზოგადო მტერი ანუ სხვა რაიმე უბედურება მოგვადგებოდა კარს, ჩვენ ვივიწყებდით ერთმანეთის განხეთქილებას, ვივიწყებდით კერძო ანგარიშებსა და ინტერესებს და ყველანი ერთად გავდიოდით საზოგადო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლანდელზე უკეთ მაშინ გვესმოდა, რომ მეზობლის უბედურება თვით ჩვენივე უბედურებაა, რომ საქართველოს რომელიმე კუთხის უბედურება არის უბედურება მთელი საქართველოისა, რომ გლეხის ზარალი არის ზარალი თავად-აზნაურისა, თავადაზნაურის დაღუპვა არც გლეხისათვის იქნება საკეთილო და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ადრე ჩვენს ხალხში უფრო მომეტებული ერთობა და ძმობა იყო, უფრო გონივრული გაგება საზოგადო ინტერესისა, ვინემ ახლა.

დააკვირდით ჩვენს საზოგადო ცხოვრებას: გლეხს ჰგონია, რომ რაც მებატონესთვის სასარგებლოა, ის

იმისთვის საზარალოა; თავადაზნაურობა ცდილობს რაც შეიძლება მომეტებული ტყავი გააძროს გლეხს; მღვდელი არც თავადს ზოგავს, არც გლეხს; ვაჭარი კი არც მღვდელს, არც ბატონს, არც გლეხსა. ყველა კერძოთ თავისკენ იწევს, არავის მეზობელი არ ახსოვს, არავინ საზოგადო საჭიროებაზე და გაჭირებაზე არ ჰფიქრობს.

ჩვენს თავადაზნაურობაში უფრო არის გავრცელებული ამგვარი ცუდი, ეგოისტური შეხედულობა და გრძნობა. მაგალითების მოსაძებნელად შორს წასვლა არ არის საჭირო: მოიგონეთ თუნდა ქუთაისის და თფილისის თავადაზნაურთა კრებების გადაწყვეტილება, რომ ჩვენი ბანკების ფულებიდამ გლეხის შვილებმა ერთი კაპეიკიც არ უნდა ისარგებლონო, ამ ფულებით გახსნილს „სააზნაურო შკოლაში“ ერთი გლეხის შვილიც არ უნდა იქმნეს მიღებულიო და სხვ.

მაგრამ ეს მავნებელი და ყოვლად-დასაძრახისი ხასიათი ჩვენის თავადაზნაურობისა ყველაზე უფრო აშკარად მტკიცდება ამჟამად, როდესაც თითქმის მთელ თფილისის გუბერნიას შემოესია კალია და აკლებას ემუქრება. თფილისის მაზრაში, გორის, თელავის, სიღნაღის, დუშეთის, — ყველგან გამოწვეულია ხალხი ამ კალიის გასაწყვეტად; მთავრობამ ამავე მიზნით ჯარებიც გაგზავნა მინდვრებში.

მხოლოთ ერთი მებატონეები, ჩვენი თავადაზნაურობა არ ანძრევს ხელს და არავითარ შემწეობას არ აძლევს იმათ, ვინც ამ საქმეს ადგანან. ჩვენ გვწერენ, რომ ზოგიერთ თავადებმა თავის ტყეში საცოცხე წნელების მოჭრის უფლებაც არ მისცეს უფულოთ ხალხსაო.

როგორ გასაკვირველი და თან სამწუხარო არ არის ამგვარი მოქმედება ჩვენი თავადაზნაურობისა? გასაკვირველია, როგორ არ ესმისთ, რომ კალია მარტო გლეხის ნახნავ-ნათესისა და ყანებისათვის არ არის მავნებელი, არამედ საზოგადოთ ყველა მამულებისათვის? როგორ ვერ გაუგიათ, რომ თუნდაც მარტო გლეხის მამული გააფუჭოს, ამით იმასაც, თავადსაც და აზნაურსაც, დიდი ზარალი და ვნება ეძლევა! რათ ვერ შეიტყვეს, რომ გლეხის დაზარალება და უბედურება იმავე დროს მებატონის, მემამულის დაზარალება და

უბედურებაც არის? ან, იქნება, ჩვენს ბრწყინვალე კეთილშობილთ ჰგონიათ, რომ კალია მარტო გლეხის ყანას შესჭამს და იმისას კი ვერ გაბედავს?!

ჩვენი თავადაზნაურობა, ამ შემთხვევაში იმით იმართლებს თავს, რომ ჩვენ კეთილშობილნი ვართ, ბეგარა რა ჩვენი საკადრისია, კანონით ჩვენ ვალდებულნი არა ვართო, რომ ამგვარი ბეგარა ვიკისროთო და სხვ.

კარგი ლოღიკაა, თქვენმა მზემ! ვსთქვათ, ჩემ მეზობლად სახლი იწვის და საცაა ჩემს სახლსაც მოეკიდება. მაგრამ მე როგორ მეკადრება ხელის განძრევა! მე კეთილშობილი ვარ, რა ჩემი საქმეა ვეცადო, რომ ჩემი მეზობლის სახლი გადავარჩინო ცეცხლისაგან და ამით ჩემი საკუთარი სახლიც დავიხსნა? კეთილშობილი ვარ, როგორ მეკადრება წყალი შევასხა ცეცხლს ან სხვა რაშიმე დავეხმარო მეზობლის სახლის გადარჩენას! ბეგარად რომ დამედვას ცეცხლის ქრობა, მერე? მე, კეთილშობილი და ბეგარა – როგორ შეიძლება! არა, დაე ჩემი სახლიც დაიწვას, და მე კი წყლის შესხმას არ ვიკადრებ! ბრწყინვალე თავადი ვარ, რად მეკადრება?!

სწორედ ამგვარის ლოღიკით სჯის და მოქმედებს კალიის შესახებ ჩვენი თავადაზნაურობა; განსხვავება ის არის, რომ ამ შემთხვევაში მარტო გლეხის, მეზობლის სახლს როდი ეკიდება ცეცხლი, თვითონ იმის სახლსაც ეკიდება, მარტო მეზობლის ნამუშევარს კი არ მოელის კალიისაგან განადგურება, თვითონ იმისასაც.

კეთილგონიერება, პირდაპირი სარგებლობა და ანგარიში მოითხოვს ჩვენი თავადაზნაურობისაგან, რომ ამთავითვე დაეხმარონ, რითაც კი შეუძლიანთ, კალიის გაწყვეტას; თორემ, როცა ის მთელს გუბერნიაში გავრცელდება, როცა იმათ ნამუშევარსაც ისე მადიანად შესჭამს, როგორც გლეხისას, მაშინ გვიანღა იქნება, მაშინ ვეღარას დაეხმარებიან, ბევრიც რო ინანონ...

[1880 წ.]



თეატრის მატიანე

„კრიჭანგი“, კომედია მოლიერისა. ხუთი მოქმედება.

“მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენი”. ვითმენთ კიდეც და დარწმუნებულიცა ვართ, რომ ერთხელაც არის სული მაინცა და მაინც მოპოვებული იქმნება. მართლა და რაც ჩვენი თეატრი გვათმენინებს, ამაზე მეტი მოთმენა აღარ გაგონილა. ბარაქალა ქართველობის სულგრძელობას! ბარაქალა მის შეურყეველ, მტკიცე რწმენას! მომავალი სულის მოპოვება რომ არ უღვივიდეს გულში, გულ-დაჯერებული რომ არ იყოს, რომ ერთხელაც არის ელირსება ნამდვილი თეატრი, ჩვენი საზოგადოება დიდი ხანია ზურგს შეუქცევდა აწინდელს, ესრედ-წოდებულს, “თეატრს”. მართალია, საზოგადოება არც ეხლა მიიბძვის (საზოგადოდ) თავის მტვრევით, მაგრამ ასე თუ ისე, ცოტად თუ ბევრად, დაიარება მაინც. სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო იმისთანა წარმოდგენა, როგორიც ამ უკანასკნელ ორშაბათს გაიმართა ჩვენს თეატრში, დარწმუნებული ვარ ერთი მაყურებელიც არ დარჩებოდა ბოლომდე, ან თუ დარჩებოდა მარტო იმისთვის, რომ სტვენით და შიშინით გამოესალმოს მოთამაშეებს. საქმე ის არის, რომ ვიცით ქართველობის გულისკეთილობა, მისი მამულისმოყვერობა, და ამის იმედით ვირჩენთ თავს, ცოტად თუ ბევრად. საქმის დამღუპველი გარემოებაც ამაშია. უწინაც მითქვამს და ეხლაც მოგახსენებთ, რომ ყოველი საქმის წარმატება დამყარებული უნდა იყოს თვითონ ამ საქმის არსებით პირობათა მომართვაზედ და არა სხვა რომელსამე გარეშე ზემოქმედებაზედ. ქველმოქმედება ვერფერი თამასუქია საქმის წარმატებისათვის.

რა გითხრათ "კრიჟანგის" წარმოდგენაზედ? გეტყვით ერთსა და იმავეს: აკტიორებმა როლები არ იცოდნენ; სცენაზედ მოძრაობდნენ რაღაცა თო[ჯ]ები, მაგრამ "თამაშობით" კი არავის არ უთამაშნია რა, კოტე ყიფიანისა და გაბუნიას ქალის გარდა. მაგრამ ამათ შეხვდათ პიესის არა უმთავრესი როლები, ამიტომ მათი თამაშობა შუქში დარჩა და მაყურებელს გამოჰყვა თეატრიდამ ის შთაბეჭდილება, რომელიც აწარმოვეს დანარჩენ აკტიორებმა. ამ დანარჩენთ შორის თავი და თავი იყო დებიუტანტი აბდუშელიშვილი, რომელიც თამაშობდა ჰარპაგონს (თვით კრიჟანგს). აბდუშელიშვილი პირველად გამოდის თფილისის სცენაზედ, და სწორედ მოგახსენოთ ძალიან დააშავა, რომ ამ პირველის გამოსვლისათვის ჰარპაგონის როლი აირჩია. დააშავა მეთქი, თუმცა ამ საქმეში ამწონი და დამწონი თვითონ დებიუტანტი უნდა იყოს. სხვა ქვეყანაში, სადაც ნამდვილი თეატრი არსებობს და ხეირიანადაც არის მოწყობილი, დებიუტანტი პირველ გამოსვლისათვის არჩევს იმისთანა პიესას და როლს, რომელსაც თვისივე აზრით ყველაზედ უკეთესად აასრულებს და რომელშიაც ფართოდ გადიშლება მისი ნიჭი. პირველს გამოსვლას კიდეც ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა აკტიორისათვის. თუ დებიუტანტი თავისავე არჩეულ როლში არ გამოდგა ხეირიანი, შენი მტერია, წახდა მისი საქმე. შეიძლება აკტიორი შეკრთეს და ისე ვერ ითამაშოს როგორც ჰსურს და შეუძლიან, მაგრამ საზოგადოება იმდენად წინ წამდგარია (იქ, სხვაგან), რომ კარგად შეამჩნევს სად სიმკრთალეა და სად უცოდინარობა და უნიჭობა; ამიტომაც დებიუტს (პირველ გამოსვლას) ამით არ ეკარგება თავისი მნიშვნელობა.

ჩვენში კი, სადაც თეატრი მხოლოდ გუშინ არის ფეხადგმული და ჯერეც არ დაჰკარგვია ქველმოქმედობის ხასიათი, ყველა ზემოხსენებულს ადგილი არა აქვს. ამიტომაც მოგახსენებთ აბდუშელიშვილმა დიდად დააშავა მეთქი, რომ ჰარპაგონის როლი აირჩია თავის დებიუტისათვის. ჰარპაგონი არის რთული ტიპი, თავიდამ ფეხებამდე შემკული ერთგვარის, განსაკუთრებულის ხასიათით. ამგვარი ტიპის გამოხატვა ძნელია გამოუცდელის აქტიორისათვის, როგორიც არის აბდუშელიშვილი. ესა და ეს ტიპი გამოიხატება სცენაზედ არა მარტო იმ ლაპარაკით, რომელიც მიუნიჭებია მისთვის ავტორს, არამედ ყოველის მისის მოძრაობით, ყოველის მიხრა-მოხრით, ყოველის მისის თვალის დახამხამებით. ჩემის აზრით უფ. აბდუშელიშვილი არამც თუ ჰარპაგონს, არამედ სრულიად არაფერს არა თამაშობდა. საუბედუროთ არც ლაპარაკი ისმოდა, ისე რომ ჰარპაგონი სრულიად დაიკარგა ჩვენს სცენაზედ უფ. აბდუშელიშვილს მომეტებულად მაყურებლისკენ ჰქონდა მიქცეული ზურგი და ამიტომ ყვირილის მეტი თითქმის არა ისმოდა-რა. აბდუშელიშვილი ისე დადიოდა სცენაზედ თითქო ადგილს ვერ პოულობსო, მართლადა, მთელი ხუთის მოქმედების განმავლობაში მარტო ორჯელ, თუ სამჯერ დაჯდა სკამზედ, თორემ სულ ფეხზედ იდგა ხელებჩამოშვებული. ყველა ეს, რასაკვირველია მიეტევება უფ. აბდუშელიშვილს, რადგანაც ახალი და გამოუცდელი აკტიორია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგ უფრო ადვილს როლს მოჰკიდებს ხელს მანამ არ გაიწრთვნება სცენისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ შემდეგში როლსაც უფრო კარგად დაისწავლის. რა ითქმის აქტიორზედ, თუკი როლი არ ეცოდინება.



თეატრის მატიანე

„მზის დაბნელება“, კომედია ანტონოვისა. სამი მოქმედება. „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა“, ვოდევილი

მართალია, უნაკლო არ ყოფილა უკანასკნელის სამშაბათის წარმოდგენა, მაგრამ მაინც დიდი ხანია არ გამოგვყოლია თეატრიდამ იმისთანა საამური შთაბეჭდილება, როგორიც გამოგვყვა "მზის დაბნელების" შემდეგ. ამით ერთხელ კიდევ დამტკიცდა, თუ რაგვარი პიესების წარმოდგენა შეუძლიან ჩვენს ახალდაბადებულ ტრუპპას, რაგვარი როლების აღსრულება შეუძლიანთ ჩვენ აკტიორებს საზოგადოდ. ჩვენი აქტიორები იმდენად გამოცდილნი და განვითარებულნი არ არიან, რომ ხეირიანად გამოხატონ რომელიმე ღრმა ფსიხოლოგიური ტიპი, მაგრამ ადვილად შეუძლიანთ გამოსახონ მოქმედნი პირნი იმ ცხოვრებიდამ, რომელსაც გასწვდება მათი გამოცდილება და მხედველობა, — შეუძლიანთ მეთქი, თუ მოინდომეს და ეცადეს; ამისათვის საკმაო ნიჭიც მოიპოვება ჩვენს ტრუპპაში და სხვა ყოველგვარი საშუალებაც. რასაკვირველია, სანატრელია, რომ ჩვენ სცენაზედ დადგენილნი იყვნენ იმისთანა პიესები, რომელნიც თავისი სალიტერატურო და საზოგადოებრივ მხრითაც გამოსაყენი იყვნენ მაყურებლისათვის და სასცენო ხელოვნებისათვისაც შესამატნი. მაგრამ, რა გაეწყობა: დავიცადოთ პატარა, შევაძლებინოთ ჩვენს აკტიორებს ცოტაოდენის გამოცდილების მოპოვება და შემდეგ გამოვიყვანოთ სცენაზედ "კრიჟანგი", "მერკადე" და სხვა ამგვარი. შინაარსი "მზის დაბნელებისა", როგორც მოგეხსენებათ, დიდი არაფერია, და ცოტა არ იყოს დაძველებულიც არის. მართალია, პიესაში მასხარად აგდებულია ჩვენი ხალხის უმეცრება და გაუნათლებლობა, მაგრამ წავიდა ის დრო (თუ იყო როდისმე), როდესაც სწავლა და განათლება პარუჩიკის აპელატებში იყო გამოხატული. თუ გნებავთ პიესაში საზოგადოებრივი აზრიც მოიპოვება: თუ ქალსა და ვაჟს უყვართ ერთი-ერთმანერთი დედ-მამის ნებადაურთველობა და წინააღმდეგობა ვერას გააწყობს; მაგრამ, რამდენად შეეფერება ეს გარემოება იმ ცხოვრების სინამდვილეს, რომლის სურათს გვიხატავს ავტორი — ამისი რა მოგახსენოთ.

შინაარსი დიდი არაფერია-მეთქი, მაგრამ სცენისათვის ბარაქიანია, და კარგადაც აასრულეს ჩვენმა აქტიორებმა საზოგადოდ. მეტადრე კარგად ითამაშეს გაბუნიას ქალმა (რიფსიმე) და კოტე ყიფიანმა (შერბანიძე). ჩვენ მოთამაშეთა შორის თუ ვისზედმე ითქმის აკტიორიაო, ეს უნდა ითქვას ნამეტნავად კოტე ყიფიანზედ: ყოველ მის ფეხის გადადგმას, ყოველ მოძრაობას ეტყობა "თამაშობა", "აკტიორობა"; ტყუილუბრალოდ არა წუთს არ იმყოფება სცენაზედ. ლაპარაკობს თუ ჩუმათ არის, დგას თუ ზის, კოტე ყიფიანი ყოველთვის მონაწილეობას იღებს იმ მოქმედებაში, რომელიც წარმოებს სცენაზედ და არა ჰგავს სხვა აქტიორს, რომელიც მარტო მაშინ ითამაშებს როგორმე, როდესაც ლაპარაკობს, თუ დაჩუმდა კი — შენი მტერი, არ იცის რა ქნას. ეტყობა რომ კოტე ყიფიანი გულმსუბუქად არ ეპყრობა თავის მოვალეობას. მის თამაშობას ეტყობა ყოველთვის შრომა, მეცადინეობა, დაფიქრება. რაც კოტე ყიფიანზედ მოგახსენეთ, იგივე ითქმის გაბუნიას ქალზედაც, თუ რეჟისორი მის შესაფერ როლში ათამაშებს.

ვოდევილი "აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა" ისე ცოცხლად ვერ იყო ნათამაშევი, როგორც მოველოდით ვას. აბაშიძისა და საფაროვის ქალისაგან. საფაროვის ქალი სრულიად უხალისოდ თამაშობდა, — უხალისოდ მეთქი, რადგანაც უწინ ამავე ვოდევილში უფრო კარგად თამაშობდა. ელენეს როლი არის მრავალგვაროვანი ერთსა და იმავე დროს; გადასვლა ერთის გვარიდამ მეორეზედ უნდა სწარმოებდეს სწრაფად. საფაროვის ქალს, რასაკვირველია, ყველა ეს შეუძლიან, თუ მოინდომა და ყურადღება გაადევნა.

[1880 წ.]



მაჰმადიან ქართველთა ბედი

ტფილისი, 12 მაისს.

თანდათან სულ უარესი და უარესი ამბები ისმის და მოგვდის ახლადშემოერთებულ ბათომის მაზრის ქართველებზედ. ქვემო-აჭარა ხომ თითქმის შარშან გადაესახლა სულაო, წელს ზემო-აჭარა, ქობულეთი, არტაანი, ფოცხოვი და სხვა მხარეები აპირებენ დაძვრას და ყველა ოსმალეთისაკენ შვრება პირსაო; ახლავე ჰყიდიან რაც გააჩნიათ, ყველაფერს ფულად აქცევენო და არზრუმისაკენ მიეშურებიანო.

ათასჯერ გვითქვამს ჩვენ, რომ ამ ხალხისაგან თავის სამშობლო ქვეყნის, მამა-პაპეული კერიის დატოვებისა და ოსმალებში გადასახლების მიზეზი არის, ერთის მხრით, ის, რომ ჩვენ ამთავითვე ვერ მოვთავსდით ამ ხალხთან, ვერ მოვიგეთ ამათი გული ვერც გაჭირებაში დროზე დახმარებით და ვერც სხვა ვერაფრით; მეორეს მხრით — მიზეზი კიდევ ის არის, რომ ოსმალოები ჩვენზე უფრო დახელოვნებული მქადაგებლენი და უფრო მარჯვე გადამბირებელნი გამოჩნდნენ.

ჩვენ გვაცნობებენ, სხვათა შორის, რომ ამას წინათ ართვინის მაზრაში დაუჭერიათ ერთი ბროშურა, რომელიც სტამბოლში ყოფილა დაბეჭდილი და თითქმის მთელ ბათომის მაზრის ხალხში, ყოველ ოჯახში მოუფენიათ. უმთავრესი აზრი ამ ბროშურისა, როგორც გარდმოგვცეს, ის არის, რომ ყოველი მაჰმადიანი, რომელიც რუსის ხელმწიფისა და კანონების მფარველობაში დარჩება, სულით და ხორცით დაღუპული და წაწყმედილი იქნებაო; რაც უნდა მტკიცე აღმასრულებელი იყვეს ის მაჰმადის რჯულისა, ედემს მაინც ვერასოდეს ეღირსებაო; ამის გამო ყველანი უნდა გადმოსახლდეთ

აქ, ოსმალეთში, უეჭველია, ბევრ შიმშილს, სიცივეს და სხვა უბედურებას გამოსცდითო, მაგრამ ეს ტანჯვა ხორციელი ტანჯვა იქნება და სულის კი მაცხოვნებელიო და სხვ. და სხვ. ამგვარები.

და გაფანატიკებულს მაჰმადიან ხალხს, რასაკვირველია, სწამს ყველა ეს და ამგვარ ბროშურებისა და აგენტების ქადაგებისდაგვარად იქცევა: სტოვებს აქაურობას, სახლ-კარს, მიწა-წყალს, ყველაფერს თითქმის მუქთად ჰყიდის და მიდის, ესახლება ოსმალეთში.

მაგრამ იქაურ გარემოებათა და ხალხის კარგად მცოდნე პირები გვარწმუნებენ, რომ ამგვარი ბროშურები და სტამბოლის აგენტები ვერ შეაცდენდნენ, ვერ დააჯერებდნენ ხალხს გადასასახლებლად, თუკი ჩვენ ამ ხალხისათვის ცოტა მომეტებული ყურადღება მიგვექცია, თუკი გვეჩვენებინა იმათთვის, რომ ჩვენ ვაფასებთ, რამედ ვაგდებთ იმათა, რომ ჩვენთვის უმჯობესი არის იმათი აქ დარჩენა, ვინემ გადასახლება.

საუბედუროთ, თითქო განგებ ჩვენ სულ ამის წინააღმდეგ ვიქცეოდით; ომიანობისაგან დაჩაგრულ-გაღატაკებულ ხალხს იმდენი შემსუბუქება ვერ მოუპოვეთ, რომ რამდენიმე წლით მაინც ხარჯი გვეპატიებინა; მართალია ქობულეთის მაზრაში შარშან მთავრობამ რამდენიმე ათი ათასი ფუთი სიმინდი და პური დაარიგა; მაგრამ ეს რას უზამდა ხალხს, რომელსაც სამის წლის განმავლობაში, ომიანობის გამო, არც არა უთესია და მაშ ვერც ვერას მომკიდა!

ამას გარდა გაზეთებში, თვით ოფიციალურს „კავკაზშიაც“ კი იყო საფუძვლიანი საჩივარი ზოგიერთ იქაურ მაზრის უფროსების ბოროტმოქმედებასა და ხალხის ცუდათ მოპყრობაზედ.

აი ახლა, საშინელ ზამთრის შემდეგ, არა თუ უიმისოთაც დაზარალებული და დავარდნილი ბათომის მაზრა, თვით საუკეთესო მოსავლიანი და მდიდარი კუთხეებიც ჩვენი ქვეყნისა დაიმშა და დიდ გაჭირებაშია. ადგილობრივ ადმინისტრაციის ვალი იყო ეცნობებინა უმაღლესის მთავრობისათვის ხალხის გაჭირება, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უმაღლესი მთავრობა უყურადღებოდ არ დააგდებდა ადმინისტრაციის ენერგიულ შუამდგომლობას მაგალითად იმაზე, რომ გაჭი-

რებულ ხალხისათვის რამდენიმე წლით მაინც სახელმწიფო ხარჯი ეპატიებიათ, ან თუნდა ახლა, ამ ზამთრის შემდეგ, ცოტა ფქვილი ან სხვა რამ შემწეობა აღმოეჩინათ.

არაფერი ეს ჩვენ არ ჩავიდინეთ. ვერაფრით ვერ მოვიგეთ ხალხის გული, ჩვენ, ქართველებმა, მარტო ცარიელ სიტყვით, „ჩვენი დაკარგული ძმები შემოგვიერთდა! ვიშ, რა კარგია, რა გვიხარიანო!“ მარტო ცარიელ ამისთანა სიტყვით დავკმაყოფილდით, მაშინ როდესაც ამ ხალხს „არსობითი პური“ და მკვიდრი ცხოვრება მშვიდობიან მომავლის იმედი ეჭირებოდა! და აი ახლა ვხედავთ ამგვარ უგულო, უაზრო მოქმედების, ანუ უკეთ, ვსთქვათ უმოქმედობის ნაყოფს: ეს ჩვენი სანატრელი მოძმეები ახლა კი საუკუნოთ მიდიან, სამუდამოთ გვეცლებიან ხელიდამ...

[1880 წ.]



ქართული თეატრის მატიანე

13-ს მაისს იყო მ. მ. საფაროვის ბენეფისი. ავადმყოფობის შემდეგ ეს მეორედ გამოვიდა სცენაზედ ჩვენი საზოგადოების საყვარელი აქტრისა, მაგრამ საზოგადოება კი, ჩვენდა სამწუხაროდ, იმოდენად არ დაესწრო ბენეფისზედ, რამოდენადაც ღირსი იყო ეს ნიჭიერი მებენეფისე. ჩვენ ამის მიზეზს იმაში კი არა ვხედავთ, რომ საზოგადოებამ გული აიყარა ამ აქტრისაზედ, არამედ იმაში, რომ ცუდი დრო შეხვდა თვითონ ბენეფისსა. ის გაჭირებული ცხოვრება, რომელიც ჩვენ გვეწვია და რომელიც უფრო და უფრო გვიჭირდება ქვეყნის შიმშილის მოლოდინისა გამო, ვიღას მოაცლის თეატრისა და სიამოვნებისათვის. გული ხელთ აღარა აქვს ჩვენს საზოგადოებას, დღეს არ იცის, ხვალ რით გაიძღოს მუცელი და ამ ყოფაში თეატრი და თუნდ იმისთანა გამოსაჩენი აქტრისა, როგორიც საფაროვის ქალია, საზოგადოებას ვერ მიიზიდავდა.

საზოგადოებამ მებენეფისე მიიღო დიდის ტაშითა. პირველ გამოსვლაშივე მიართვეს ყვავილების გვირგვინი, მას მერმედ რაღაც ნივთი და ბოლოს ყვავილების მშვენიერი კონა და შიგ კონაში ჩადებული ოცდაათი თუმანი ფულად, ეს ცხადი საბუთია, რომ ჩვენს საზოგადოებას არ დაჰვიწყებია თავისი საყვარელი აქტრისა, რომელსაც ამ ერთის წლის განმავალობაში არა ერთხელ მოვუყვანივართ აღტაცებაში თავისის ლაზათიანის თამაშობითა.

წარმოადგინეს ახლად დაწერილი დრამა „ერთი უბედურთაგანი“ და „ბიძიასთან გამოხუმრება“. თვითონ დრამა მაგდენი ვერაფერია და თუ ამ დრამაში ყურადღების ღირსი რამ არის, — ეგ პირველი მო-

ქმედებაა, საცა საკმაოდ გამოხატულია ჩვენის ქართულის ოჯახის შინაური ყოფა-ცხოვრება. ავტორმა ამ მოქმედებაში თავი იჩინა, როგორც კაცმა, რომელსაც ჰქონია თვალიც დასანახავად, ყურიც სასმენლად და კალამიც გამოსახატავად. ეგ მოქმედება სავსეა ყველა ჩვენის ოჯახის საერთო ავკარგიანობითა. მე რომ ავტორი ვყოფილვიყავ, მარტო მაგ ერთს მოქმედებას დავჯერდებოდი და დანარჩენს სამს მოქმედებას ჩაილულის წყალს დავალევინებდი. სახელად დავარქმევდი „ჩვენებურის ოჯახის სურათს“ და გამოვიდოდა ლაზათიანი ვოდევილი. ამისათვის არც დამატება რისამე მოუნდებოდა, არც შემოკლება.

აი რა ამბავია ამ დრამაში გამოხატული: ქალაქში ცხოვრებს ერთი სამსახურიდამ გადამდგარი ღენერალი თავის ცოლითა. ამათა ჰყავთ ერთადერთი შვილი გიორგი, რომელიც გიმნაზიაშია მიბარებული. ერთი ღარიბი ნათესავი ღენერლისა, ახალგაზდა ქალი ამათ შინა ჰყავთ აყვანილი. ეს ქალი და გიორგი ერთმანეთს შეიყვარებენ; დედა გიორგისა შეიტყობს ამ ამბავსა და საწყალ ქალს ცხვირში ძმარს ადენს. ბოლოს იქამდინ მიიყვანს, რომ ქალი აბეზარს მოდის. ამ დროს გამოუტყვრება ერთი წამხდარის გულის ყმაწვილი კაცი სვიმონი, რომელიც გაიტყუებს ქალს ღენერლის სახლიდამ, ჰპირდება — სამკერვალოს გავმართამო, შენ მოთაურად გაგხდიო და ამდვენს უპატრონო უნუგეშო ქალებს ბინასა და ლუკმას გავუჩენთო. სვიმონი შეაცდენს ღენერლის ნათასავს ქალსა და გადიყვანს „გასტინიცაში“. ერთის თავზეხელაღებულ ქალის შემწეობით სვიმონი ბანგს ასმევს ვახშამზედ ღენერლის ნათასავს ქალსა, გააუპატიურებს და მერე დაჰსტოვებს. საწყალი ქალი თავისის ნამუსის დამხობას ვეღარ იტანს, ჭლექად ჩავარდება და ბოლოს მოკვდება. ამ ამბის მიმავლობაში ავტორი შეახვედრებს ხოლმე რამდენჯერმე ერთმანეთს გიორგისა და ღენერლის ნათასავს ქალსა და ამ შეხვედრაში, სწორეთ მოგახსენოთ, ერთი გულიდამ მართალის გრძნობით ამოკვნესილი სიტყვა არ გაგვიგია არც ერთის მომქმედის პირისაგან. ღენერლის ნათასავის ქალის ლაპარაკი თავიდამ ბოლომდე ქადაგებაა და სხვა არაფერი; გიორგის

საუბარი კი ისეთი უფერულია და უგემური, თითქო ავტორმა იმისათვის დასწერაო, რომ ღენერლის ნათასავს ქალსა დრო მიჰცეს პატარა სული მოიბრუნოს და გრძელის ლაპარაკისაგან შიგადაშიგ შეისვენოს ხოლმეო. დრამის უპირატესნი პირნი უსიცოცხლონი არიან, ყოველივე სახე ბუნდია, არეული, მიშლილ-მოშლილი. მიშლილ-მოშლილს იმიტომ ვამბობ, რომ დრამაში მასალაა იმისთანა, რომ ეგ მასალა კაცმა კარგად რომ მიუყენოს ერთი-ერთმანეთს, კარგად შეათანხმოს, კარგად გადაბას, დრამა სწორედ მოსაწონი იქნებოდა. ეხლა კი ამას ვერ ვიტყვი.

პირველი მოქმედება წარმოადგინეს ისე, რომ ამაზედ უკეთესის მოთხოვნა მეტისმეტი გამოკიდება იქნებოდა. გაბუნიას ქალმა, რომელიც ღენერლის ცოლობას თამაშობდა, აასრულა თავისი როლი სრულის ხელოვნებით. ისე ითამაშა, რომ მთელი ძალღონე თავისის ნიჭისა თითქო აქ გადმოჰფინაო. შეუდარებელი რამ არის ეს აქტრისა, თუ რომ ჩვენის ცხოვრებიდამ ამოღებულს სახეს წარმოადგენინებენ. უკეთესი არ უნდა, როცა ეს აქტრისა ჩვენებურ ხანში შესულს დედაკაცების როლებს თამაშობს ხოლმე. ისეთი მიმზგავსებულია ზედმიწევნით, ისე ნამდვილად გამომხატველია თავისის როლისა, რომ კაცსა ჰგონია „რა ვქნა, ეს დედაკაცი ეხლახანს სადღაც მინახავსო“. ეს ამბავი მარტო იმისთანა მოთამაშეს შეუძლიან, რომელსაც ნიჭი აქვს კერძო სახე ტიპად გადააქციოს. ეს ნიჭი დიდი და იშვიათი ნიჭია. მაგისთანავე ნიჭი შეგვიმჩნევია ვ. აბაშიძისათვის ზოგიერთ სომხის როლში. ვ. აბაშიძე ამ მხრით მეტად შესანიშნავია და კარგი რამაც არის. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვჰსთქვათ, რომ ჩვენი ნიჭიერი ვ. აბაშიძე შესდგა ერთს წერტილზე და თუ დაბლა არა, მაღლა ვეღარ იწევს. ახლა იკითხეთ, რამოდენა ნიჭით არის აღვსილი ეგ მართლა-და ჩინებული მოთამაშე! ვწუხვარ, რომ ყურს არ უგდებს თავის ნიჭს, არ უვლის, არა ჰზრდის, ერთის სიტყვით, არა სცდილობს, რომ თავის აკოკრებულს ნიჭს სრული ყვავილი გადააშლევინოს. ვწუხვართ და ღმერთმა ჰქნას, რომ ეს ჩვენი მწუხარება არ დარჩეს „ხმად უდაბნოსა შინა მღაღადებელად“.

გაბუნიას ქალის ნიჭი და აბაშიძისა ერთგვარნი არიან, და თუ განსხვავება არის რაიმე ამათ შორის, მარტო იმაშია, რომ გაბუნიას ქალმა ამ უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო იჩინა თავი და წარმატებაში შევიდა, დაიშალა ის მეტი ტუჩების ცმაცუნი, ხელის ქნევა და პრანჭვა, რომელსაც არც როლი მოითხოვდა და არც ხელოვნება და რომელიც წინად უხდენდა ხოლმე თამაშობასა. ოღონდ გაბუნიას ქალს ჩვენებური ხანშიშესული დედაკაცი, რა წოდებისაც უნდა იყოს, წარმოადგენინეთ და, დარწმუნებული იყავით, გაბუნიას ქალი დაგავიწყებინებთ ყოველს ნაკლულევანებას, თვითონ ავტორისასაც. რაც უნდა უმნიშვნელო როლი იყოს, ავტორისაგან გამოხატული, ეს აქტრისა მნიშვნელობას აძლევს ხოლმე და როლს როლადა ჰხდის. ჩვენის ახლად ფეხადგმულ ავტორებისათვის მაგისთანა აქტრისა სწორედ განძია; რასაც ავტორები დააკლებენ, იმედია, რომ იმას შეავსებს და შეასწორებს ეს ჩინებული აქტრისა. აბა რა არის რიფსიმეს როლი „მზის დაბნელებაში“ სრულიად უფერული და უგემური, მაგრამ ვინც ამ უკანასკნელს დროს მაგ როლში ნახა გაბუნიას ქალი, ის ვერ იტყვის, რომ ეგ როლი ვერ გამოიყენა და ფეხზედ ვერ დააყენაო. იმოდენად განაცხოველა და შეავსო თავისი თამაშით ეგ როლი ნიჭიერმა მოთამაშემ, რომ მაყურებელს როლიც მოაწონა და თავის თამაშობაცა.

პირველი მოქმედება დრამისა, რომელიც წინ მოვიხსენიეთ, სრულად უგემურად ჩაივლიდა, რომ პიესას გაბუნიას ქალი და კ. ყიფიანი არ შეჰხვედროდა, და თუ ეს მოქმედება მოეწონათ მაყურებელთ ასე, რომ თვითონ ავტორიც გამოიწვივეს, ავტორი გაბუნიას ქალის და კ. ყიფიანის მადლობელი უფრო უნდა იყოს, ვიდრე თავის საკუთარის ხელოვნებისა. ძალიან კარგად ითამაშა კ. ყიფიანმა, საზოგადოდ და „ბიძიასთან გამოხუმრებაში“ ხომ განსაკუთრებით. ჩვენს აქტიორებს შორის მარტო ერთი კ. ყიფიანია, რომელიც თანდათან წინ მიდის და წარმატებაშია. ეს იმისთანა აქტიორია, რომელიც გონების თვალით აკვირდება თავის როლს, ცდილობს დაიმორჩილოს როლი, შეიგნოს მისი შინაგანი ვითარება. ამიტომაც, რაკი ერთხელ გონებაში გამოისახავს თავის სათამაშოს, თავიდამ ბოლომდის ისე თამაშობს, რომ არც კილოთი, არც მოძრაობით, არც სახის მეტყველებით არ უღალატებს ხოლმე დანიშნულს და შესწავლილს სახესა. ეს აქტიორი იმისთანა მოთამაშეა, რომლის თამაშიც მარტო განვითარებულ გემოვნების კაცს მოეწონება და ამიტომაც ისეთის ხმაურობით არ მიეგებება ხოლმე ამას ჩვენი საზოგადოება, რომელთ შორისაც უმრავლესი ხელოვნებას კი არ ეძებს თამაშობაში, არამედ მასხარაობას და სასაცილო ცუღლუტობას. ცოდვა არ არის, რომ ამ ჩინებულს აქტიორს ხანდისხან ენა ებმის ხოლმე და ამის გამო სიტყვებში რამდენსამე მარცვალს ჩაფუჩეჩებს ხოლმე! ადვილად შეუძლიან კ. ყიფიანს ეს ნაკლი თავიდამ მოიშოროს, თუ რომ მოინდომებს და ამ მონდომებას ველით, ველით და არ იქნა ვერ ველირსენით.

მებენეფისე დრამაში ისე არ მოეწონა საზოგადოებას, როგორც მოსწონს ხოლმე ვოდევილებში. ბევრი ამბობდა, საფაროვის ქალი, — ეგ მართლა და ჩინებული აქტრისა ვოდევილებში და ვოდევილების მზგავს კომედიებში, — დრამებში არ ივარგებსო. ჩვენ ამისი წინააღმდეგნი ვართ და ვიქნებით ვიდრე აშკარა საბუთი არ გვექნება. საფაროვის ქალმა 13-ს მაისს პირველად ითამაშა დრამაში და თუ აქ თავი არ გამოიჩინა, ეგ არაფრის საბუთია. პირველი, რომ საფაროვის ქალი ავადმყოფობის შემდეგ ჯერ კიდევ თავის ღონეზედ არ არის და მაშასადამე, არც თავის გუნებაზედ იქნებოდა. ეგ ცხადად ეტყობოდა თამაშობაში და საკვირველიც არ არის, რადგანაც დარწმუნებით ვიცით, რომ წინა დღეს ჯერ კიდევ ისე ავად ყოფილა, რომ ქვეშაგებად წოლილა. მეორე, რომ თვითონ დრამაში სადრამო რა იყო ქადაგების მეტი? საფაროვის ქალსაც შეუძლიან, და ძალიან კარგადაც, როლი განაცხოველოს, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ როლი, თუ ხელოვნურად არ არის შექმნილი, ბუნებითი მაინც იყოს, ჰგავდეს რითიმე ნამდვილსა, მართალს გრძნობაზედ მაინც იყოს შედედებული და გამოყვანილი. ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველივე ეს აკლდა მის როლსა და რაღა საკვირველია, რომ საფაროვის ქალმა მკვდარი

არ აღადგინა და ყალბი ზიზილ-პიპილი ბაჯაღლო ოქროდ არ აქცია. ამისთანა დრამაში თვითონ, რომელიც ვერას იქმოდა. ერთს-ორს ადგილას, საცა ადამიანს შეეძლო ადამიანური გულის მოძრაობა გამოეხატნა, — საფაროვის ქალმა თავი იჩინა, როგორც სადრამო აქტრისამ. მაგ. იქ, საცა მეოთხე მოქმედებაში სვიმონს უსაყვედურა: „რა გინდა ეხლა ჩემგანაო? სილამაზე მე აღარ შემრჩაო, ყმაწვილქალობა ჩემი წავიდაო, ნამუსი შენ მომპარეო და სიმდიდრე მე არა მაქვსო", და. იქ კიდევ, როცა გიორგი განშორდა და გულშემოყრილმა დაიძახა: „წავიდა გიორგი, წავიდა!" აქ საფაროვის ქალმა ისეთის გრძნობით წარმოჰსთქვა სიტყვები, რომ მაყურებელის გული შეჰსძრა ნამდვილის ტკივილითა. აბა საფაროვის ქალი ათამაშეთ იმისთანა დრამაში, სადაც მომქმედ პირად კუკები კი არ არიან, არამედ ადამიანები, და მაშინ ნახავთ ეს ჭკუიანი აქტრისა რამოდენად კარგად გამოიჩენს თავსა. ბევრი არ დაგვეთანხმება ამაზედ, მაგრამ ჩვენ კი ძალიან ვიმედოვნებთ.

„ბიძიასთან გამოხმაურებაში" საფაროვის ქალმა ჩვეულებრივად კარგად ითამაშა, თუმცა კი ეტყობოდა, რომ სულის ღონეს ხორცის ღონე არ მოსდევდა. კ. ყიფიანმა ხომ — რაღა თქმა უნდა! ერთის სიტყვით, გაბუნიას ქალმა, კ. ყიფიანმა და საფაროვის ქალმა ისე ითამაშეს, ბევრმა გულდაწყვეტილობით ჰსთქვა: ცოდვა არ არის, რომ ეს ამისთანა დასი დაიშალოსო და ქართული თეატრი მოისპოსო.

ქართული თეატრის მოყვარე.

[1880წ.]



სასამართლოები ჩვენში

ტფილისი, 23 ივნისს.

არც ერთი ახალი წესი რუსეთის იმპერიაში ერთბაშათ ყველგან არ შემოღებიათ. შუაგულს რუსეთში გაანთავისუფლეს გლეხკაცები, შემოიღეს ერობა, ახალი სასამართლოები, მაგრამ იმპერიის განაპირებზედ ზოგან დააგვიანეს ამ წესების გავრცელება, ზოგან სრულებით არაფერი მოუხდენიათ.

მაგრამ ბევრმა ამ მხარეთაგანმა არ უნდა ინაღვლოს დაგვიანებაზედ. საზოგადოთ უფრო გვიან შემოსული წესი ადრე შემოღებულზედ უფრო უნაკლულო და სრულია; ამის მაგალითი ამ დღეებშივე ხელთ მოგვეცა.

სამს რუსეთის გუბერნიებში, რომელნიც ბალტიის ზღვის პირას მდებარებენ და რომელთაშიაც უფრო ნემეცები, ლატიშები და ესტონები სცხოვრობენ ამ უკანასკნელს დრომდის ახალი წესი გასამართლებისა არ იყო შემოღებული; მხოლოდ მაისში გამოსულა ბძანება, რომ 1881 წლიდამ ამ გუბერნიებში მომრიგებელი მოსამართლეები იყვნენ დადგენილნი და აგრეთვე სხვა სასამართლოებიც, რომელნიც მომრიგებელ მოსამართლებთან ერთათ არიან შეკავშირებულნი.

ტყუილათ არ არის ნათქვამი: გვიან და კარგათ საქმის გაკეთება სჯობს, აჩქარებით საქმის წახდენასაო.

აი, თუმცა თორმეტი წელიწადი მეტია, რაც ახალი სასამართლოები შემოიღეს ჩვენში, მაგრამ ამ ორის წლის შემდეგ, დარწმუნებულნი ვართ, ბალტიის გუბერნიის სასამართლოები ჩვენებს ემჯობინებიან, ხალხის მოთხოვნილებასთან უფრო შეთანხმებული, შეფერებული იქმნებიან.

ჩვენ კი ყველა გაგვინახევრდა:

მოგვეცა ახალი მოსამართლეები, მაგრამ ხალხისაგან ამორჩეულნი კი არ არიან;

მოგვეცა ახალი ხალხისთვის კარგახსნილი სასამართლო, მაგრამ ხალხის ენა კი ამ სასამართლოდამ განდევნილია.

სხვა ნაკლულევანებაც ბევრი აქვს ახლად შემოღებულს წესს, მაგრამ, ჩვენის აზრით, არც ერთს მათგანს არ მოაქვს იმოდენა ვნება და ზარალი, როგორც ორს ზემოხსენებულს.

ხამი, ახლად რუსეთიდამ გადმოსული მოსამართლე ინიშნება რომელსამე ჩვენის ქვეყნის მიყრუებულს მხარეს. წიგნებში კარგათა აქვს იმას შესწავლილი იურისპრადენცია და ჰგონია, რომ ყოველსავე საქმეს შეაფერებს წიგნში მოქცეულს კანონს, მაგრამ რამდენსამე ხანს თითონვე ჰგრძნობს, რომ მარტო წიგნი არა კმარა, საჭიროა ხალხის ჩვეულებაც იცოდეს; ჰგრძნობს, რომ რასაც გონებაგახსნილი და ადგილობრივის ჩვეულების მცოდნე კაცი ერთს საათში გაარჩევს, ამისთვის გამოურკვეველ, გამოუხსნელ ნასკვათ გარდაიქცევა ხოლმე.

მეორე ნაკლულევანებაზედ, ხალხის ენის განდევნაზედ სასამართლოებისაგან ბევრს არას ვიტყვით. ჩვენ პასუხს გავცემთ, მხოლოდ იმათ, რომელნიც ამტკიცებენ, ვითომც ხალხის ენის შემოღება გვინდოდეს მხოლოდ თვითონ ენის სიყვარულით და არა ხალხის ყოფის გაუმჯობესობის სურვილით.....

მოჩივრებს ნება არა აქვთ ქართულად არზის მიცემისა, ვინ იცის, რამოდენა ფული შედგება, რომ შეგვეძლოს დათვლა, რამდენი არზა შედის სასამართლოებში წლის განმავლობაში და თითო არზა მანეთათ ვიანგარიშოთ. ჩვენ სულ ცოტას ვანგარიშობთ, რადგან ყველამ იცის, სასამართლოების გვერდზედ ჩასაფრებული ცრუ-ადვოკატები სამს მანეთზედ ნაკლებ უბრალო განცხადებასაც კი არავის უწერენ.

ქართულად არზის მიღება კი რომ არა ყოფილიყო აკრძალული, ბევრი სამმანეთიანი დარჩებოდა ჯიბეში ჩვენს ხალხს; ქართულათ მოჩივარი ან თვითონ დასწერდა, ან თავის ნათესავს, მეგობარს დააწერინებდა.

ამას გარდა ცრუ-ადვოკატებს ხშირად თითონაც არ ესმისთ ხეირიანათ რა დასწერეს და რა არა და მოჩივარს აწერინებენ ხელს რაღაც ნაბღაჯნებზედ, რომელსაც ხშირად არც კი უთარგმნიან ხოლმე!

ბალტიის გუბერნიებში შემოღებული სასამართლოები ამ ნაკლულევანებას აცილებულნი არიან. იქ მომრიგებელი მოსამართლე ადგილობრივ მცხოვრებთაგან იქნება ამორჩეული და სასამართლოებში არამც თუ რუსული და ნემენცური, ლატიშური და ესტონური ენაც კი მიღებული იქნება.

რასაკვირველია, დიდად საქებია ამგვარი ცვლილება სასამართლოებისა განაპირებზედ, მაგრამ უფრო საქებური იქნებოდა, თუ მთავრობა არ დაივიწყებს სხვა განაპირებსაც, სადაც ადგილობრივს, ხალხის ენას, თუ არ მეტი, ნაკლები მნიშვნელობა არა აქვთ, ვიდრე ლატიშურსა და ესტონურს ენას ბალტიის გუბერნიებში.

[1880 წ.]



ქართული ენა სასამართლოებში

ტფილისი, 26 ივნისს.

ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი, რომ მომავალ წლიდამ შემოღებული იქნება ბალტიის ზღვის ნაპირას მდებარე გუბერნიებში განსამართლების ახალი წესი. ამ წესის უმთავრეს ღირსებათ ვიცანით ჩვენ ადგილობრივ მცხოვრებლების (ნემეცების, ესტების და ლატიშების) ენაზე საქმის წარმოება სასამართლოებში. ეს შემთხვევა ისეთი დიდი მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ ხელმეორეთ ვუბრუნდებით იმას.

სასამართლო მხოლოდ მაშინ არის პატივცემული ხალხში, მხოლოდ მაშინ შეუძლიან თავის დანიშნულების ასრულება, ე. ი, სამართლის და პატიოსნების დაცვა, — როდესაც მის საქმეების წარმოებას არ აკლია სიჩქარე. თუ ყოველ უბრალო საჩივარზე სასამართლო პასუხს მოგვცემს რამდენიმე თვისა და წლის შემდეგ და საქმეს გააჭიანურებს იმ დრომდის, როცა ტყავი გაგვძვრება, — მაშინ, რასაკვირველია, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ: „ეს უსამართლობაა“.

ჩვენს სასამართლოებს, ჩვენდა სამწუხაროთ, სხვა ნაკლულევანებასთან, ის ნაკლულევანებაცა აქვთ, რო ბევრი საქმეები უგროვდებათ და ამათაც ამის გამო ჩქარა ბოლო არ ეღებათ; მეტადრე თუ აპელლიაციაც დაემატა ან ისეთი საქმე გაუჩნდა მომრიგებელ მოსამართლეს, რომლის გაგება ადგილობრივ ჩვეულებების ცოდნას მოითხოვს, — მაშინ ჩვენი ინტერესი თხოულობს, რომ საჩივრიდამ ხელი ავიღოთ და შინაურათ მოვრიგდეთ, როგორც იყოს.

ჩვენ აქ მოგვაგონდა საქმეების გაჭიანურება სასამართლოებში იმიტომ, რომ ამის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი არის უხმარებლობა იქ იმ ენისა, რომელიც მხოლოდ გასაგებია ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის. ყოველი სიტყვა მოჩივარისა იქ ითარგმნება რუსულათ და ყოველ სიტყვას მოსამართლისას უთარგმნიან მოჩივარს მისს სამშობლო ენაზე.

სადაც ერთი საათი საკმაოა საქმის გასაგებათ და გადასაწყვეტათ, იქ ამ ჩვეულების გამო იკარგება ორი და ხშირად სამი საათიც.

მოსამართლეს მოჩივრისა არა ესმის რა და მოჩივარს მოსამართლისა, და მთარგმნელი ამათ, რასაკვირველია, ბევრს ვერას უშველის. ვამბობთ ამას იმიტომ, რომ კარგად ვიცი რა მთარგმნელებიცა გვყავს: ორ-სამ თუმნათ თვეში არ იმსახურებს ცოტად მაინც განათლებული კაცი, და მეტი ღონე არ არის, სასამართლოში ამ ჯამაგირით შოულობენ მხოლოდ იმათ, ვისაც ესმის რუსულად მხოლოდ ორიოდ სიტყვა. იმისთანა საცოდაობაც მოხდება ხანდახან, რომ მთარგმნელმა არამც თუ რუსული, ის ენაც არ იცის, რომელზედაც ადგილობრივი მცხოვრებლები ლაპარაკობენ. მაგ. ქართველი ჩავარდება ხოლმე თათრების მაზრაში მთარგმნელათ, ან სომეხი კახეთში ან იმერეთში კისრულობს იმავე მოვალეობას და ეს გარემოება ჰბადავს სასამართლოებში ყოველ დღე ისეთ სასაცილო სცენებს, რაგვარებსაც ხშირად ვოდევილებში კი ვერა ვხედავთ. ჩვენ სახლებში როცა მოსწყინდებათ ხოლმე სტუმრებს, მასპინძელი თავის ვალათა რაცხს გაართოს ისინი სასაცილო ამბებით „პერევოჭიკებზე“. მოდით და ამის შემდეგ დააჯერეთ ჩვენი ხალხი, რომ ის სამართალს იპოვის ჩვენს სასამართლოებში, სადაც იმისი არა გაეგებათ რა და სადაც ნამდვილ მოსამართლეთ უმეცარი მთარგმნელია.

მაგრამ მარტო უმეცრებას არ ვჩივით, ეს მშვენიერი ჩინოვნიკები ქორივით ესევიან ჩვენ ღატაკ გლეხობას და ვაი იმას, ვინც იმათ არ გააძღობს; მაშინ მოსამართლეთაც ისინი არიან; და დატუსაღებასაც მოახერხებენ, თუ მოინდომეს!

ცხადია, ჩვენ გვეჭირვება ისეთი კანონი, რომელმაც უნდა ვალათ დაადოს მომრიგებელ მოსამართლეებს,

რომ ამათ საქმეები გაარჩიონ ადგილობრივ მცხოვრებლების ენაზე. იმედიცა გვაქვს, რომ ეს ადვილი ასასრულებელი სურვილია, რადგან დამაბრკოლებელ მიზეზებს არ ვხედავთ.

მართალია ამგვარ მიზეზებათ ზოგი იმას ასახელებს, რომ ჩვენში, ადგილობრივ მცხოვრებლებში, მითომ ვერ იშოვებიან საკმაოდ კაცები, რომელნიც გამოდგნენ მოსამართლეებათ; და ზოგი იმასაც ამბობს, რომ კავკასიაში ბევრი სხვადასხვა ხალხია და სხვადასხვა ენაო, როგორ ვალაპარაკოთ მოსამართლე ათს ენაზედა — არ ვიცითო. მაგრამ ვინ არ იცის, რომ იურისტები ამ უკანასკნელ დროს ისე გახშირდნენ ჩვენში, რომ ადგილები ვეღარც კი უპოვნიათ. ვინ არ იცის, იურისტობა აუცილებლათ საჭირო არ არის მომრიგე მსაჯულისათვის, თუ ის დაუსწორა კანონმა რუსეთის ამგვარსავე მსაჯულებს, რომელთაც არ აბარიათ მრავალ დახლართული, საიურისტო საქმე.

ვინ არ იცის, რომ კავკასიაში ბევრი სხვადასხვა ხალხია და ბევრ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ იგივე ხომ ვერ ითქმის ჩვენ ქვეყნის ყოველ კუთხეზე; მაგ. შორაპნის ან გორის მაზრაში ყველანი ქართულად ლაპარაკობენ და მოსამართლისთვის საჭიროა მხოლოდ ამ ენის ცოდნა (რასაკვირველია, გარდა რუსულის). თუნდა სხვა ხალხიც შეხვდეს მოსამართლეს თავის მაზრაში, ამ სხვებსაც ეცოდინებათ ის ენა, რომელზედაც უმრავლესობა ლაპარაკობს; მაგ. თბილისის მაზრის ერთ ნაწილში ქართველთ შორის ბევრი ნემეცი მოიპოვება, მაგრამ თითქმის ყოველმა იმათგანმა იცის ქართული ენა.

[1880 წ.]



ერთი კვირა უცხოეთში

ტფილისი, 27 ივნისს.

ვგონებ, უცხო სახელმწიფოთა შორის არცერთი არ იყოს იმ კეთილდღეობასა და ბედნიერებაში, როგორსაშიაც საფრანგეთია, ხუთმა მილიარდმა ფულმა, ომის შემდეგ ოქროთი და ვერცხლით მითვლილმა გერმანიისადმი, ვერა დააკლო რა ვერც მის სიმდიდრეს, ვერც მის წარმოებას.

მტრის გასტუმრებისა და ვალის გადახდის შემდეგ ფრანცუზებმა კიდევ უფრო მოუმატეს შრომასა და მუშაობასა და იმდენს ეცადნენ, რომ ეხლა ყოველს წელს სახელმწიფოს შემოსავალი რამდენიმე მილიონი ფრანკით გარდემატება გასავალს და სხვა სახელმწიფოები კი თითქმის ყოველს წელს ვალში ცვივდებიან. წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის დროს სხვაგან იმაზედა აქვთ ლაპარაკი — სად ვისესხოთ და როგორ ვისესხოთო; საფრანგეთში კი იმაზედ ლაპარაკობენ, წელს რომელი გარდასახადი შეუმციროთ ხალხსაო.

*

ამ უკანასკნელს ხანს საფრანგეთის მმართებლობამაც მომეტებული ძალა და მეცადინეობა გამოიჩინა უწინდელზედ. შიგ საფრანგეთში ჯერ მოსთხოვა წარმომადგენელთა პალატს, რომ ამ უკანასკნელმა ამნისტია — სრული პატივება — გამოუცხადოს განდევნილს და კატორღაში გაგზავნილ კომუნარებს, რომელნიც ათი წელიწადი მეტია იტანჯებიან ცხელსა და ჯანმრთელობის მომსპობ ქვეყნებში, და მას უკან მიჰყო ხელი საფრანგეთიდამ განდევნას იეზუიტებისა და სხვა

კონგრეგაციებისას, რომელნიც კი მთავრობისაგან ნებართვას არ აიღებენ. ამით საფრანგეთის მმართებლობას უნდა მოსპოს ის გამრყვნელი და ზნეობის დამაჩლუნგებელი გავლენა, რომელიც ჰქონდათ სასულიერო მამათ მათგან აღზრდილს ახალთავობაზედ.

პალატმა მიიღო ამნისტიის კანონი, მაგრამ ჯერ სენატში არა გადასწყვეტილა რა და ვიდრე სენატიც არ დაამტკიცებს, კანონი ვერ აღსრულდება.

*

ეს ორი ერთმანეთის წინააღმდეგ გამოთქმული სურვილი — კომუნარების მიღება და იეზუიტების განდევნა — თითქმის ერთსადაიმავე დროს ამტკიცებს ჯერ საფრანგეთის მმართებლობის ძლიერებას, რომ ის არ დაერიდა ამგვარს საფუძვლიანს და სახელმწიფოს განწყობილების შემცვლელს ზომას და მეორეს მხრით გვარწმუნებს, რომ ეს ორი ერთბაშათ მომხდარი ცვლილება უცაბედათ არ მომხდარა ერთსადაიმავე დროს.

მმართებლობამ იცოდა, რომ იეზუიტების განდევნით ბევრს უკმაყოფილებას დაჰბადავდა ხალხში. სხვა არა იყოს რა, ოცდახუთ ათასამდე ბავშვი იზდებოდა იეზუიტების სკოლებში და ვიდრე ამ ბავშვებს სხვა სკოლებში დააბინავებდეს მმართებლობა, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ოცდახუთი ათასს ბავშვის დედ-მამას და ნათესავებს მტრად გადაიქცევს. ამნისტიის გამოცხადებით მოინდომა მმართებლობამ ამ უკმაყოფილების დაფარვა იმ კმაყოფილებით, რომელსაც ის ამნისტიის მომხრე პირებში აღძრავდა.

მმართებლობამ ერთნი მოიმდურა, მაგრამ მეორეთა გული კი მოიგო.

*

არც გარეშე საქმეში რჩება საფრანგეთი გულხელდაკრეფილი.

ყველამ იცის, რომ ბერლინის კონფერენცია იმისი და ინგლისის საქმე იყო და ამ კონფერენციის გარდაწყვეტილებამაც მაგ. იანინას მიცემა საბერძნეთისადმი პირველად საფრანგეთმა ისურვა. საფრანგეთის გაზეთები, რომელთაც ზომიერის რესპუბლიკის მხარე უჭირავთ, დიდს სიხარულს აცხადებენ, ჩვენ ისევ ის ძალა და გავლენა მოვიპოვეთ უცხო ქვეყნების საქმეებზედ, რაც უწინ გვქონდაო.

მართალია, ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილება საფრანგეთისათვის დიდად სასიხარულო იყო, მაგრამ ეს სიხარული დიდხანს დარჩება თუ არა ფრთაშესხმული — საეჭვოა.

მკითხველმა იცის, რომ მოსლემინებს დიდი წინააღმდეგობა გამოუჩენიათ ევროპის გადაწყვეტილებისადმი და ბევრნი გულდაჯერებულნი არიან, რომ უსისხლოთ ეს არეულობა არ გათავდება.

ალბანიის იმ ნაწილში, რომელიც საბერძნეთს უნდა მიეზომოს, დიდი ჩოჩქოლია თურმე მოსლემინებს შორის და დიდს უარზედ დგანან: ჩვენს ქვეყანას ბერძნებს არ დავანებებთო. ბერძნებიც ამასვე იძახიან: ჩვენი ქვეყანა, რაკი კონფერენციამ საბერძნეთს დაუთმო, ვინ გაბედავს წინააღმდეგობასაო. ბერძნები ერთს იძახიან, მოსლემინები მეორეს. ორივე ხალხი, ერთი აქეთ იწევს, მეორე — იქით და უბედური ქვეყანა კი მგონია, თავსა და ბედს იწყევლის, რომ ამ ორს ცეცხლს შუა მოჰყვა.

*

ბისმარკმა გაიმარჯვა პრუსიის პარლამენტის სხვადასხვა პარტიებზედ. ორის თვის განმავლობაში იმდენი აწვალა, იმდენი აცოდვილა, იმდენი იმუქრა, რომ ბოლოს რამდენიმე ხმის უმეტესობით მაინც კიდევ მიაღებინა მისის სამინისტროსაგან წარდგენილი კანონის პროექტი. ეხლა იმას ისეთი იარაღი უჭირავს ხელში, რომ, როცა ლიბერალები წინ აღუდგებიან მისს მრავალ მილლიონიან სამხედრო წლის გასავლებს და სხვა ქვეყნების გამაღარიბებელს პროეკტებს, ის ცენტრის, სასულიერო წოდების პარტიას მიიმხრობს, რადგან ახალის კანონის ძალით მას შეეძლება უწინდელის მკაცრის კანონების მორბილება, შემსუბუქება.

*

ჩინეთიდამ კიდევ უსიამოვნო ხმები მოისმის. იქ შემდგარა ორი პარტია, ერთი ევროპასთან დაახლოების მოწადინე და მეორე ამის წინააღმდეგი. ეს უკანასკნელი პარტია ამტყუნებს უწინდელს მთავრობას, ევრო-

პიელებს ჩინეთთან ვაჭრობა რატომ არ აუკრძალაო, ევროპიელთა ხომალდები ჩინეთის ნავთსადგურში რათ შემოუშვიო.

ყველანი ერთხმად ამბობენ, თუ ამ უკანასკნელმა პარტიამ გაიმარჯვა და უფლება ხელში ჩაიგდო, მაშინ ომი აუცილებელია და თუ ამ ომში გამარჯვება როგორმე ჩინეთს დარჩა, არა თუ რუსეთი იქნება დამარცხებული, ევროპიელები სრულიად განდევნილნი იქნებიან ჩინეთიდამ და ეს ქვეყანა ისევ იმავე უწინდელს ყოფაში ჩავარდება, რა ყოფაშიაც შეუცვლელად რამდენიმე ათასს წელიწადს იყოო.

ტფილისი, 4 ივლისს.

როდესაც ამ ოთხასის წლის წინათ ძლიერმა ხვანთქარმა ვიზანტია დაიპყრო, სტამბოლი დაარქვა, ეკკლესიები მეჩეთათ გადააქცია, ხალხი გაათათრა და მთელი ბალკანიის ნახევარკუნძულის მცხოვრებნი დაიმონავა, როგორ მოიფიქრებდა ის მაშინ, რომ ეს დამონავებული და პირშირკინისლაგამამოდებული ხალხი როდისმე მაღლა ხმის ამოღებას გაბედავდა, თავს ზევით აიღებდა და ძირს დახრილის კისრიდამ მოსლემინთა ფანატიზმის უღელს გადიგდებდა!

როგორ მოიფიქრებდა ხვანთქარი მაშინ, რომ ხუთი თემი ნელ-ნელა ხელიდამ გამოეცლებოდა და ცალკე სახელმწიფოებათ გადიქცეოდა!

*

ხვანთქარი ამას ვერ მოიფიქრებდა, მაგრამ ისტორიამ მოიფიქრა და შეასრულა კიდეც. დღეს ხვანთქარს თურმე თავისი თავი ჯერ კიდევ ძლიერი ჰგონია, რადგან მის საკუთარს კეთილ-ცხოვრებას არა მოჰკლებია-რა, ის იმავე განცხრომაშია, იმავე მშვენიერს სასახლეებში სცხოვრობს, იმავე ცოლების „ჯარით“ არის შემორტყმული, როგორც უწინდელი ხვანთქრები იყვნენ, მაგრამ დღევანდელმა ხვანთქარმა რომ თავის საკუთარს საბძანებელში მოგზაურობა მოიწადინოს ევროპაში, მუხლები დაღალულობით არ ეტკინება.

*

ხვანთქარს დარჩა მხოლოდ სტამბოლი და იმის ახლო-მახლო ადგილები; სხვა ნაწილები იმის სახელმწიფოსი ნელ-ნელა ჩამოეცალნენ: საბერძნეთი, ჩერნოგორია, რუმინია, სერბია და ბოლოს ბოლგარიაც, რომელნიც უწინ ხვანთქარს ეკუთვნოდენ, ეხლა ცალკე სახემწიფოებს შეადგენენ. ამას გარდა ყოველის აღმოსავლეთის ომის ან არეულობის შემდეგ ეს პატარა სახელმწიფოები დაუწყებენ ხოლმე ოსმალეთს წეწასა და სცდილობენ, ლუკმა გამოჰგლიჯონ და თვითონ შეიძინონ.

*

მკითხველმა იცის, რომ საბერძნეთს ამ ცოტას ხანში უნდა შეემატოს ევროპის გადაწყვეტილების ძალით რამდენიმე ნაწილი იმ ქვეყნებისა, რომელნიც უფრო ბერძნებით არიან დასახლებულნი და დღემდის ოსმალეთს ეკუთვნიან.

ერთი საფრანგეთის ჟურნალი ამგვარის სიტყვებით მიეგებება ამ ამბავს: ეხლანდელი დრო, სხვა დროა; ეხლა დიდის სახემწიფოების გვერდით მცირენიც უნდა ჰყვაოდენ; მტარვალობას, ძალადობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. როგორც დიდის მამულის პატრონის გვერდით მცირე მამულიც უნდა იყოს, ისე დიდს სახელმწიფოს გვერდით უნდა იყოს მცირე სახელმწიფოც.

ეს სურვილი წმინდა და პატიოსანია, მაგრამ, სამწუხაროთ, უფრო საფრანგეთისთანა ქვეყნებში გამოითქმის; ჩვენში მცირე მამულების პატრონებს გვერდით იმისთანა „ბობოლები“ უდგანან, რომელნიც თავიანთ მეზობლებს მოსვენებას არ აძლევენ და ყოველგვარის „სასამართლოს“ ხრიკით და თვალმაქცობით ცდილობენ ის მცირე ლუკმაც თავიანთ ყუათიანს ლუკმას შეჰმატონ.

საფრანგეთის ჟურნალისაგან წარმოთქმული სურვილი მით უფრო სანატრელია, რომ მცირე მამულის პატრონები უფრო ბეჯითათ უვლიან თავიანთ მამულებს, უფრო გული შესტკივათ მისთვის, ვიდრე დიდის მამულის პატრონებს, რომელნიც თითონ მკლავებს არ

იტკენენ მისის შემუშავებით და უცხო პირებს მიანდობენ ხოლმე, რომელსაც ისე არ შესტკივა მისთვის გული, როგორც არ შეგვტკივა გული ჩინეთისათვის მე და შენ, ჩემო მკითხველო.

*

თუმცა საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა კი საზოგადოთ დიდს სიხარულს აცხადებს ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებაზედ, მაგრამ მის შესრულებას კი როგორღაც დარი ვერ უდგება. თითონ საფრანგეთი იყო აქამდის ძალიან თავ-გამოდებული, საბერძნეთს უნდა მიეზომოს უეჭველათ კონფერენციისაგან გადაწყვეტილი ქვეყნებიო, მაგრამ ეხლა სხვა ბანი მორთეს. ეხლა მოვიდა ამბავი, რომ საფრანგეთი უარზედ სდგას და ინგლისთან ერთათ არ გაგზავნის ფლოტს ოსმალეთის ძალის დასატანებლად. ჩვენ ინგლისის გულისთვის თავს არ გავიცხელებთო, ამბობს თურმე საფრანგეთის მთავრობა. თუ საფრანგეთი „თავს არ გაიცხელებს“ — სხვა სახელმწიფოებს უფროსადაც არა სჯით რა და ბერლინის კონფერენცია დარჩება „ხმად მღაღადებელად, უდაბნოსა კი არა, ხალხით სავსე ევროპასა შინა“.

*

ეს უეცარი ცვლილება საფრანგეთის მთავრობის აზრისა სხვაფრივ უნდა აიხსნას. საფრანგეთს, ალბათ ეშინიან, რომ ინგლისმა ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ არ მოინდომოს თავისის უფლებისა და გავლენის გადიდება და საფრანგეთის დამცირება.

ეს ინგლისისათვის ეხლა ადვილი იქნება, რადგან დამშლელი არავინ ეყოლება, თუ რუსეთს და ჩინეთს შუა მართლა შეტაკება მოხდა. მაშინ რუსეთს ოსმალეთისთვის აღარ ეცლება.

გარდა ამისა, არც საფრანგეთსა სცალიან ბევრის გარეშე საქმისათვის; შინაც ბევრი თავში საცემი აქვს; განდევნილმა იეზუიტებმა ბევრგან წინააღმდეგობა გაუწიეს და საზოგადოების თანაგრძნობა შეიძინეს და ამნისტიის გამოცხადებაც როგორღაც გაჯანჯლდა. სენატმა მართალია, მიიღო, მაგრამ ცვლილებით, და თუ სენატი და წარმომადგენელთა პალატი ვერ მორიგდნენ, მაშინ შეიძლება ისეთი არეულობა მოხდეს, რომ სენატი სრულებით გააუქმონ.

იტალიასაც დაეტყო ხალხის მოძრაობა; დღე არ გავა, რომ რომელსამე დიდს ქალაქში იქ ხალხის კრება არ მოხდეს, სადაც გაცხარებითა თხოულობენ კანონის დადგენას, რომლითაც ამორჩევის უფლება საყოველთაოდ უნდა ჰქონდესთ მინიჭებული. თუ ეს კანონი დამტკიცდა, მაშინ იმისთანა ამბავი აღარ მოხდება, როგორც ამას წინათ მოხდა რომში. ქალაქის რჩევის წევრებათ თითქმის სულ კლერიკალები, სამღვდელოების მომხრენი, მოჰყვნენ.

[1880 წ.]



პირველი შკოლა ბათუმში

ტფილისი, 9 ივლისს.

რამდენიმე თვის წინათ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ბათომიდამ მიღებული წერილი, რომლის ავტორი გვაცნობებდა, რომ აქ, ბათუმში, ვიღაც მიხაილოვმა ააკრა კედლებზე განცხადებაო და სკოლის გახსნას აპირებსო. ამ განცხადებაში ერთი სიტყვაც არ იყო მოხსენებული იმაზედ — თუ რომელ ენაზედ იქნება სკოლაში სწავლა, მაგრამ რადგან ბ. მიხაილოვი რუსი იყო და სხვა ენა არ იცოდა, იმას, რასაკვირველია, მარტო ამ რუსულ ენაზედ შეეძლო სწავლა.

მას აქეთ ამ სკოლაზედ სრულიად არა ისმის რა და თვით ეს გარემოება გვიმტკიცებს, რომ ბ. მიხაილოვის სკოლის საქმე ამ განცხადების კედელზედ აკვრით გათავებულა.

სამწუხარო მოვლენაც არ არის ეს. მართლა, რუსულ სკოლას ბათუმში ამჟამად ადგილი არ უნდა ჰქონდეს, არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმისთანა სკოლას, რომელშიაც სწავლა არა — სამშობლო ენაზედ იქნება, არამედ ყმაწვილებისათვის გაუგებარ ენაზედ, მადლობა ღმერთს, ჩვენში სწავლა-განათლების შემომღებ მთავრობამ გაიგო ის პედაგოგიური ჭეშმარიტება, რომ პირველდაწყებითი სწავლა იმ ენაზედ უნდა გარდაეცეს ყმაწვილებს, რა ენაც იმათთვის სამშობლო ენაა, რომელიც იმათ ესმისთ. გაიგო, რომ უცხო, გაუგებარ ენაზედ სწავლის გარდაცემით ყმაწვილის ტვინი ტყუილ-უბრალოთ იმახინჯება, წვალობს და ძვირფასი დრო უნაყოფოდ იკარგება, ვერც ამ უცხო ენას სწავლობს ბავში, სამშობლოსაც ივიწყებს და ვერც სხვა რაიმე სწავლას იძენს.

ჩვენში სწავლა-განათლების მოთავე მთავრობამ გაიგო ეს ჭეშმარიტება და ქართლ-კახეთის სასოფლო სკოლების შესახებ ამ ნამდვილს, გონიერს პედაგოგიურს გზას დაადგა.

იმ ვიღაც ბ. მიხაილოვს, რომელიც ბათუმში სკოლას ხსნიდა და რუსულს ენაზედ სწავლის დაწყებას გვპირდებოდა, რასაკვირველია, ზემოხსენებული პედაგოგიური კანონი არ ჰქონია მხედველობაში, უეჭველია, ის მარტო თავის ჯიბის ინტერესისათვის ზრუნავდა და არა ხალხის სიკეთისა და სარგებლობისათვის. ამიტომაც, ვიმეორებთ, სამწუხაროთ არ მიგვაჩნიათ, თუ იმისი განზრახვა არ განხორციელდა, თუ იმან სკოლა ვერ გახსნა ბათუმში.

მით უფრო სასიამოვნო უნდა იყოს ჩვენთვის ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამბავი, რომ პირველ სკოლას ბათუმში ხსნის „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ კომიტეტი. ამ საქმის თაობაზედ, როგორც გაზეთშიაც იყო მოყვანილი, ბათუმში იყო გაგზავნილი ორი წევრი ზემოხსენებულ საზოგადოების კომიტეტისა ბ.ბ. გ.ე. წერეთელი და ნ.ზ. ცხვედაძე და ამათის მეცადინეობით სკოლისათვის კარგი ადგილი უშოვნიათ და ადგილობრივ ღუბერნატორს ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩენია და შემდეგშიაც დაპირებია დახმარება. ასე რომ, იმედია, ამ მომავალ ენკენისთვისათვის ბათუმში დაარსდება პირველი რიგიანი სკოლა.

სასურველია, რომ ეს სკოლა სამაგალითო, მართლა რიგიანი და რამდენათაც შეიძლება უნაკლულო სკოლა იყვეს. ორი რამ არის აუცილებლად საჭირო ხეირიან სკოლის გამართვისათვის: მატერიალური საშვალება და რიგიანი მასწავლებელი. მატერიალურ ღონისძიების მხრით, რამდენათაც ვიცით, „წერა-კითხვის საზოგადოება“ არაფერს არ დაზოგავს. პირველ მოსაწყობად ამ სკოლისათვის საზოგადოება ნიშნავს 500 მან და მუდამ წლიურ ხარჯად — 1200 მანეთს. მასწავლებელს მუქთ სახლს გარდა წელიწადში 800 მან. ჯამაგირი

ექნება. მაშასადამე, ფულის მხრით სკოლას დაბრკოლება არ ექნებაო.

რაიცა შეეხება მასწავლებელს — ამაზე მმართებს კომიტეტს კარგათ მოფიქრება და კარგათ მოძებნა. ყველა სკოლებში საჭიროა, რასაკვირველია, კარგი მასწავლებელი; მაგრამ ისე არსად არ არის საჭირო კარგი მასწავლებელი და ამავე დროს კარგი კაცი, კარგი ქართველი, როგორც ბათომის სკოლისთვის. აქ მარტო კარგად ანაბანას სწავლის გარდაცემა არ კმარა მასწავლებლისათვის, ძნელად წარმოსადგენი არ არის, რომ ადგილობრივ მცხოვრებლები ამ თავითვე განზე და ეჭვით დაუწყებენ ცქერას ჩვენს სკოლას. ჯერ ჩვენშიაც რა ხმები და ჭორები დადიოდა ხალხში, როდესაც პირველად დაიწყეს სკოლების დაარსება! იმიტომ ხსნიან სკოლებს, რომ ჩვენს შვილებს რუსული ასწავლონ და მერე „ლეკრუტებად“ — წაიყვანონო, უნდა გაასალდათონო, რუსეთში გაგვიგზავნიან ბიჭებსაო და სხვ. და სხვ. ჩვენში თუ ასე ლაპარაკობდნენ, ბათუმში რაღას უნდა მოველოდეთ, სადაც მაჰმადიანი ხალხი უიმისოთაც განზე უყურებს ყველა ჩვენს მოქმედებასა და ნაბიჯს, სადაც მოლლები უიმისოთაც ჩვენს წინააღმდეგ აქეზებენ ხალხს და ათას რაღაც საშინელებას ავრცელებენ და ოსმალეთში გადასახლებას უქადაგებენ.

ამის გამო ბათუმში საჭიროა იმისთანა ქართველი მასწავლებელი, რომელმაც კარგათ იცოდეს იმათი ზნე, ხასიათი, რომელსაც შეეძლოს იმათთან საქმის დაჭერა, ერთობა, დახმარება, დარიგება, ძმურად ხელის გაწდვა გაჭირების დროს, რომელსაც, ერთის სიტყვით, იმათთვის გული შესტკივოდეს, თუმცა ქართულს ენითაც იოლად წავა, მაგრამ კარგი იქნება, რომ იქაურ სკოლის მასწავლებელმა ოსმალურიც იცოდეს.

მხოლოთ ამისთანა მასწავლებელს შეუძლიან ბათომის სკოლის რიგიანათ წაყვანა, რადგან მხოლოთ ამისთანა მასწავლებელი დაიმსახურებს ადგილობრივ ხალხის ნდობას, სიყვარულსა და პატივისცემას.

იმედი გვაქვს, რომ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ კომიტეტი ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და ეცდება

იმისთანა სკოლის გახსნას ბათუმში, რომელიც გულით, სულითა და გონებით დაგვიახლოებს ამ ჩვენ „ნაპოვნ“, მაგრამ ჯერ კიდევ განზე მაყურებელ ძმებსა...

[1880 წ.]



სასამართლო და ადგილობრივი ენები

ტფილისი, 17 ივლისს.

პოლშის ერთს ქალაქში, პლოცკში, ასტყდა ამას წინათ ერთი საქმე, რომელიც ბევრის მხრით საინტერესოა ჩვენთვისაც, აი რაში მდგომარეობს ეს საქმე:

ერთმა ადგილობრივ მემამულემ, სახელდობრ, იაცკოვსკიმ რაღაც არზა შეიტანა პლოცკის მომრიგებელ მოსამართლესთან. მაგრამ, რადგან ეს არზა პოლშურს, და არა რუსულს, ენაზედ იყო დაწერილი, ამის გამო მოსამართლემ არ მიიღო. იაცკოვსკიმ მოსამართლეთა კრებაში (მიროვოი სიეზდში — ოლქის სასამართლოში) შეიტანა საჩივარი მომრიგებელ მოსამართლეზედ, რომ პოლშურად დაწერილი არზა უკან დამიბრუნაო. კრებამაც ის გაამტყუნა, პოლშურად დაწერილი არზა სასამართლოებში, კანონით არ მიიღებაო.

იაცკოვსკი არ დაკმაყოფილდა ამ გარდაწყვეტილებით და სენატში გაგზავნა ქაღალდი. სენატმა ეს საქმე ხელმეორედ გასარჩეველად დაუბრუნა პლოცკის მოსამართლეთა კრებას; ამან ხელმეორედ უარი უთხრა მოჩივარს, იაცკოვსკიმ კიდევ სენატამდინ მიიყვანა საქმე და ბოლოს გავლილ ივნისის 24-ს სენატმა საბოლოოთ გადაწყვიტა, რომ კანონით აღკრძალული არ არისო, რომ ადგილობრივ ენებზე დაწერილი არზა და საჩივრები არ მიიღონ სასამართლოებმაო და ამის გამო პლოცკის მომრიგებელ მოსამართლემ უნდა განიხილოს იაცკოვსკისაგან პოლშურს ენაზედ დაწერილი არზაო.

გაზეთს „გოლოსში“ (№187) რომლიდამაც ეს ცნობები ამოგვაქვს, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი ამ საგნის შესახებ:

„ახალ სასამართლო რეფორმების შემოღების შემდეგ პოლშაში მუდამ უსიამოვნება ისმოდა იმაზედ, რომ რუსულ ენის უცოდინარ ხალხს ნებას არ აძლევდნენ თავიანთ სამშობლო პოლშურ ენაზედ წარედგინათ საჩივრები სასამართლოებში. განათლებულ პოლშელებს კიდევ არა უშავდათ რა; მაგრამ გლეხი ხალხი კი ამგვარის აღკრძალვით ძალიან შეწუხებული იყო. რუსული ენის უცოდნელი გლეხი სხვადასხვა გაიძვერა ადვოკატების, ვექილების ხელში ვარდებოდნენ და ესენი ტყავს აძრობდნენ. ამგვარად, ეს ახალი ხარჯი შეემატა ხალხს.

ახლა სენატის გარდაწყვეტილების შემდეგ ყველა პოლშელს უფლება აქვს, რომ პოლშურ ენაზედ დაწერილი ქაღალდები წარუდგინოს სასამართლოებს ნება არა აქვს, რომ ეს ქაღალდები არ მიიღოს.

ეს გარდაწყვეტილება უმაღლესის სამოსამართლო დინსტანციისა კარგათ უნდა გაიგონ და დაიხსომონ როგორც პოლშის და ოსტზეის გუბერნიის, აგრეთვე ყველა იმ ქვეყნების სასამართლოებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც (ქვეყნები) ამისთანავე მდგომარეობაში არიან, როგორც პოლშა და ოსტზეის გუბერნიები“.

ეს სიტყვები, განსაკუთრებით ზემოთ მოყვანილი პირველ ნახევარი ამ სხოლიოსი, თითქო განგებ ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნის გლეხების შესახებ არიან დაწერილნი:

მართლა, ვინ არ იცის — რამდენ წვალებასა და ხარჯს სწევს ჩვენი სოფლის ხალხი მარტო იმის გამო, რომ ჩვენს სასამართლო და საადმინისტრაციო ადგილებში სამშობლო ენაზედ თხოვნებისა, არზებისა და საზოგადოთ, საჩივრების შეტანის ნებას არ აძლევენ? რამდენი გაიძვერა, მატყუარა ადვოკატები გამოჩნდნენ ჩვენში ამ უკანასკნელ დროს, რომელნიც უბრალო არზის დაწერისათვის, იმისთანა არზისა, რომელსაც ყოველი გლეხი სასოფლო შკოლაში კურსშესრულებული, ადვილად დასწერდა, რომ ქართულად წერის ნება ჰქონოდა; სამ-ოთ-ხუთს და ხან მეტს მანეთს ახდევინებენ გლეხებსა? რამდენი სხვა უსამართლოება და ხშირად უბედურებაც ემართება გლეხს, რამდენი მართალი

მტყუნდება და მტყუანი მართლდება მხოლოთ იმის გამო, რომ უმეცარი ადვოკატი რაღაცას დაუწერს რუსულად, გლეხმა არ იცის – რა დასწერა, ხელს აწერს და ბოლოს კი თვითონ ვარდება პასუხისგებაში?

პოლშის შესახებ კანონებში პირდაპირ არის მოხსენებული, რომ თხოვნა შეიძლება ადგილობრივ ენაზე იქნეს დაწერილი და სასამართლოში წარდგენილიო.

ჩვენის ქვეყნის შესახებ კი რუსეთის კანონებში ამ საგნის შესახებ არაფერი არ არის მოხსენებული, არ არის მოხსენებული, რომ შეიძლებაო, მაგრამ არც ის არის, არ შეიძლებაო. რამდენათაც ვიცით, ამის თაობაზედ იყო რაღაც ცირკულიარი, რომელიც თხოულობდა, რომ სასამართლოებმა მხოლოთ რუსულ ენაზედ დაწერილი არზები მიიღონო.....

[1880 წ.]

ბათომის გუბერნატორის განცხადება

ტფილისი, 5 აგვისტოს

ქვემოთ ვბეჭდავთ ბ. ბათომის სამხედრო გუბერნატორის განცხადებას, რომელიც, როგორც გვწერენ, თითქმის ყველა იქაურ ქალაქებისა და სოფლების მეჩითების კარებზე არის აკრულიო.

დიდი სიამოვნებით წავიკითხეთ ჩვენ ეს განცხადება და უეჭველია, რომ ყოველი ქართველი ჩვენი მკითხველიც ამავე სიამოვნებით წაიკითხავს.

მართლაც, ამ განცხადებაში თითქმის ყველა ის არის გამოთქმული, რაც ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს და გვინატრია ამ ახლადშემოერთებულ ჩვენს მოძმეებზე. მიზანი განცხადებისა, როგორც ეტყობა, ის არის, რომ გული დაუმშვიდოს და გადასახლების სურვილი მოუსპოს იმ მაჰმადიან ქართველებსა, რომელნიც, ჩვენდა სამწუხაროდ და იმათდა საუბედუროთ, სტოვებენ ამჟამად თავის სამშობლო მიწა-წყალს და ქვეყანას და მიდიან ოსმალეთში, სადაც იმათ შიმშილისა, წყურვილისა და ათასგვარ შეწუხების გარდა, სხვა არა სიკეთე არა მოელისთ რა.

ბ. ბათომის ღუბერნატორი უცხადებს თავის სამწყსო ხალხს, რომ რუსის მთავრობა ყოველს ღონისძიებით ცდილობს და ეცდებაო თქვენი მდგომარეობის, თქვენი ცხოვრების გაუმჯობესებას; გარდასახადი, რაც ოსმალის დროს, გედვათ, იმაზე ნაკლებს თუ არა მეტს არ გადაგახდევინებსთ რუსის მთავრობაო, და ღარიბი, „ფუხარა“ ხალხი კი სრულიად განთავისუფლებული იქნებაო ყოველგვარის გარდასახადისაგან. თქვენს, რჯულს სარწმუნოებას კაცი ვერ შეეხებაო, ათი მი-

ლიონი მაჰმანი სცხოვრებს თქვენს გარდა რუსეთშიო, მაგრამ ყველა თავისუფლად აღიარებს თავის სარწმუნოებასაო, ყველას უმართავს შკოლებს, რომლებშიაც იმამები და მოლლები მაჰმადის რჯულის წესს ასწავლისო; ვერ შეეხება აგრეთვე ვერავინ თქვენს შინაურს ცხოვრებას, თქვენ ქალებს არავისგან არ მოელის შეურაცყოფა და, თუ ვინმე გაბედავს, კანონი სასტიკად დასჯისო; ზოგიერთგვარ საქმეების გასარჩევად და სამართლის გარდასაწყვეტად თქვენ თქვენი მეჯლისი (სასამართლო) გაქვთო და სხვა საქმეებს კი რუსის სასამართლო გაარჩევსო. დამოჟნის ბაჟს, მართალია, მთავრობა ვერ მოსპობსო, რადგანაც „უცხო ქვეყნიდამ შემოსული საქონელი ხალხს დააღარიბებსო", მაგრამ ეცდებაო, რომ აქაურს ხალხს ეს გარდასახადი შეუმსუბუქოსო; კაცის კვლისა და შურისძიებისათვის კანონი სასტიკად დასჯისო, და თუ რომელიმე სოფელი განჩინებას შეადგენსო, რომ ესა და ეს კაცი „გონჯი" კაცია, ქურდი ან ავაზაკი, ამ კაცს მათავრობა შორს ქვეყანაში გადაასახლებსო. რუსის მთავრობა ადგილობრივ და რუსის ჩინოვნიკებს შუა გარჩევას არ ჰხედავსო: ამის გამო რამდენიმე თქვენებური კაცი უჩასტკის ნაჩალნიკებად დაინიშნა, სალდათს, როგორც საქართველოში და კავკასიაში არ მიჰყავს მთავრობას, ისე არც თქვენგან გაიყვანოსო, მხოლოდ წესიერებისა და სამშობლო მხრის დასაცველად მილიციონერებად გამოხვალთო, რადგან „ყოველი კაცის ზნეობითი მოვალეობა არისო, რომ თავის ქვეყანა და მიწა-წყალი დაიცვას მტრისაგანაო" და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, როცა მკითხველი ამ განცხადებას გადაიკითხავს, დარწმუნდება, რომ იმაში კარგის ტკბილის სიტყვით მოყვანილი და ჩამოთვლილია ყველაფერი, რაც კი ადმინისტრაციას შეეხება და რითაც შეიძლება ხალხის დამშვიდება, გამხნევება და იმედის მიცემა.

ჩვენ, ჩვენის მხრით, მხოლოდ ერთიღა დაგვრჩენია: ვისურვოთ, რომ ბ. ბათომის ღუბერნატორს ყველაფერი ბეჯითად და უნაკლულოდ შეესრულებინოს, რასაც კი ამ განცხადებით ხალხს ჰპირდება და აღუთქვამს. თუ ეს ჩვენი სურვილი ახდა, მაშინ, უეჭველია, უნდა მოველოდეთ, რომ მეორე სურვილიც ასრულდება: რომ ეს ხალხი მამაპაპეულ ადგილზე, მიწა-წყალზე დარჩეს, არ გარდაიხვეწოს ოსმალეთში, სადაც იმას სიღატაკე, წვალება და, ვინ იცის, იქნება შიმშილითაც სიკვდილი მოელის...

[1880 წ.]



თახშირის გადახდა ბათომის მაზრაში

ტფილისი, 8 აგვისტოს.

„დროების“ 165 ნომერში დაბეჭდილი იყო ბათომის გუბერნატორის განცხადება, რომელიც ხალხის დასამშვიდებლად გამოვიდა, რომ ტყუილ ხმებს და ჭორებს ბოლო მოუღოს, მართალი და სწორე ამბავი გააგებინოს ხალხსა და რუსის მმართებლობის სურვილი შეატყობინოს. ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ამ განცხადებას ყველა სიამოვნებით წაიკითხავს; იმედი გვაქვს, რომ ბათომის მაზრის ხალხი კეთილგონიერათ მოისმენს, გულს დაიმშვიდებს და თავის მამა-პაპის ადგილ-მამულს არ დასტოვებს.

მთელს განცხადებაში ის აზრია, რომ მმართებლობა ხალხისთვის კეთილი მზრუნველი და მფარველი იქნება და აწ უწინდელზე უკეთესს ყოფას უნდა მოელოდეს.

ამ განცხადებაში არის მოხსენებული, რომ ძალიან ფუხარას და შეუძლებელს თახშირი (ხარჯი) არც კი გამოერთმევა, საცა შეძლებული კაცია, იქ შეძლებისდაგვარად გამოერთმევა, მაგრამ ოსმალოს დროს გადასახადზე კი ნაკლები იქნებაო.

მხოლოდ ერთი ცვლილება იქნება: ოსმალოს დროს და ახლა რომ თახშირი ერთმეოდა ხალხსა, ეს თახშირი, ან ჩვენებურათ რომ ვთქვათ, ხარჯი ფულათ კი არ ერთმეოდათ, იგი მოსავლით ერთმეოდათ. დადებული იყო, რომ რაც მოსავალი მოსდის კაცსა, იმ მოსავლიდამ წილი უნდა ეძლია მოსავალითვე; აი ვთქვათ სიმინდის მოსავლიდამ სახელმწიფოთ დადებული წილი სიმინდით უნდა ეძლიათ და სხვა ამგვარათვე.

ახლაც ისევ მოსავლის კვალობაზე იქნება ამ წილის აღება, მაგრამ ფულათ იანგარიშებენ და ფულით აიღებს მთავრობა. რასაკვირველია, მოსავლის ფასი ხომ სხვადასხვა ადგილს ერთგვარი არ არის, გადასახადი ფულით სხვადასხვა იქნება. აი ვთქვათ, ქობულეთში ბათმანს სიმინდს სხვა ფასი აქვს, აჭარაში — სხვა, ლივანაში სხვა; ფულათ გადასახადიც უეჭველათ ამის კვალობაზე უნდა იყოს.

ამ ფასის დადებაში, უეჭველია, რომ სიფრთხილეს იხმარებენ და მეტს ფასს არ დანიშვნენ. ყველა ადგილს ყოველ სოფლის მემლექეთი, ხალხი და მუხთარი (მამასახლისი), და მასთან მეჯლიშები, კარგა განიხილავენ, რომ ფასი მართალი იყოს და არამც და არამც მეტი არ დასდვან.

ეს ერთი საჭირო რამ იქნება თახშირის ფულად ანგარიშის დროსა.

მეორე საფიქრებელი და მოსააზრებელი საქმე ის უნდა იყოს, რომ ბათომის სანჯახის ზოგიერთ კუთხეში ფული ძალიან იშვიათია და სოფლის კაცებს ბევრჯელ ერთ-ორ მარჩილს (შაურს) ვერ უპოვით. ეს იმისგან არის, რომ გზები ჯერ არ არის გაკეთებული, რომ სოფლის კაცმა სადმე წაიღ-წამოიღოს თავისი მოსავალი გასაყიდათ და ფარა (ფული) იშოვოს. ამისთანა კუთხეები ბევრია. რასაკვირველია, ამ გარემოებას ყურადღების მიქცევა უნდა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საცა ფული არ არის, იქ თახშირს კიდევ მოსავლით აიღებენ.

მაგრამ განცხადებაში მოხსენებული არ არის, რომ თახშირის გამორთმევა ფულად ეხლავე იქნებაო. იქნება ჯერ კიდევ ბევრმა წელიწადებმა გაიაროს სანამ თახშირი ფულად გამოერთვას. როდესაც ხალხში ვაჭრობა დეიწყობა, გზები გაკეთდებოდეს და ფულის შოვნა გაადვილდება, იქნება იმ დრომდე დარჩეს იგი წესი, რომ ვისაც უნდოდეს ფულად გედიხადოს და ვისაც ფული არ ჰქონდეს, ისევ მოსავლით გედიხადოს და ვისაც ფული არ ჰქონდეს, ისევ მოსავლით გედიხადოს. ჩვენ მხოლოდ ეს მოვიხსენეთ იმიტომ, რომ ეს საქმე ყურადღების მიქცევის ღირსია.

ეჭვი არ არის, რომ, როდესაც ხალხში ფული იტრიალებს, თვითონ ხალხი მოისურვებს ყოველი ხარჯი ფულად გადახდეს. დღეს ქართლ-კახეთში, იმერეთში, გურიაში და ყველგან, სადაც კი გადასახადი მოსავლით დარჩენილა, ხალხი აწ ცდილობს, რომ სულ ფულად შეუცვალოს ყველა გადასახადი. ადრე ფულით გადახდა უჭირდა, მერე რა კი გზები გაკეთდა, ვაჭრობა გაიმართა და სოფლის ხალხმა ფული იშოვნა, აწ ფულის გადახდა ურჩევნია, მოსავლით გადახდას.

ბათომის მაზრაშიაც ასე იქნება, როცა ფული გახშირდება, იქაური ხალხიც ფულით გადახდას ისურვებს და ადვილად შეეძლება.

მაგრამ სანამ ჯერ ფულის ნაკლებობაა იქაურ ხალხში სხვა მეტი ღონისძიება არ იქნება, ისევე თახშირი ჯერ-ჯერობით მოსავლით უნდა აიღებოდეს. მხოლოდ ვისაც უნდოდეს, ფულად შემოტანის ნება მიეცეს.

ეს აზრები საჭიროთ დავინახეთ გვეთქვა, იმიტომ უმეტესად, რომ გუბერნატორის განცხადებაში მოხსენებულია, ფულად შეცვლა თახშირისა იმიტომ მოხდებაო, რომ ყველას გაუადვილდეს „თახშირის გადახდაო“. მაშასადამე მთავრობის სურვილი ის არის, რომ თახშირის გადახდა გაუადვილოს ხალხსა და ჩვენი აზრიც ამავე სურვილით მოვიხსენეთ.

[1880 წ.]



ბათომის მაზრის მოხელეთ მოპყრობა მცხოვრებლებთან

ტფილისი, 11 აგვისტოს.

დღეს ჩვენ ისევ დაუბრუნდებით ბათომის გუბერნატორის განცხადებას. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ადგილს განცხადებისას, რომელიც მოხსენებულია II მუხლში:

„ბათომის მაზრის უფროსი მისწერს ყველა ოკრუგებისა და უჩასტკების ნაჩალნიკებს, რომ ისინი ტკბილათ ექცეოდნენ ხალხსა და ყურადებით მოუსმენდნენ ყოველს იმათს თხოვნას და გაჭირებას; იმათ უნდა შეატყობინონ ყოველივე ხალხის თხოვნა და გაჭირება ბათომის ღუბერნატორს — ფაშას, რომ იმან იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობასთან და დააკმაყოფილოს ხალხის სამართლიანი თხოვნა“.

ეს აზრები რომ ადგილობრივი მთავრობა ყველგან და ყველას ტკბილათ უნდა ეპყრობოდეს, ეს საყოველთავო კანონია და ადათი. მაგრამ საკუთარი მნიშვნელობა იმიტომა აქვს ბათომის მაზრაში, რომ იქ დანიშნულ მოხელეებმა (ჩინოვნიკებმა) განსხვავებული ყურადღება მიაქციონ.

ახალ შეძენილს ქვეყნებში ხალხმა ბევრი ჩვენი ადათი არ იცის და არც ეხლანდელმა სამსახურის კაცებმა იციან იმათი ადათი. ჩვენში სამსახურის კაცმა, მოსამართლემ მოჩივარი კაცი მდგომარეთ რომ მიიღოს, დაუჯდომელათ მოუსმინოს საჩივარი ან თხოვნა, ეს არაფერია. მაგრამ ქობულელ-აჭარელს ადათათა აქვს მოსამართლე მძიმეთ დაჯდეს, გულდამშვიდებით მოუსმინოს, გამოჰკითხოს დარბაისლურად, ტკბილათ,

დაამშვიდოს აჩქარებულ გულზე და პასუხი ისე მშვიდად მისცეს. ეს ცხადიც არის, ახალ მოსამართლეებს და მმართველს, სამსახურის კაცს ჯერ არ იცნობს, რუსეთის წესები და ადათები არ იცის, ეშინიან, არა დააკლოს რა თავის საჩივარს და სათხოვარს; სურვილი აქვს, რომ მოხელემ კარგა ყოველივე გაიგოს იმისი საჭიროება, გამოჰკითხოს დაწვრილებით და გულის შემატკივრობით. ცხადი საქმეა, რომ თუ სახელმწიფო მოხელე ტკბილათ არ დაჯდა და არ მოუსმინა, არ გამოჰკითხა და არ გაიგო, ხალხი უკმაყოფილოდ დარჩება. მოკლეთ გამოკითხვა, ნახევრად საქმის მოსმენა ძალიანა სწყინთ ჩვენ ახალშემენილ ძმებსა და საცა ამისთანა შემთხვევას ხვდებიან, ძალიან გულნაკლულათ რჩებიან.

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ბათომის მაზრის ხალხი ძალიან გულჩვილი ხალხია, როგორც გურულები. ბევრჯელ, თითონაც რომ არ უნდოდეთ, მოსამართლის და სამსახურის კაცის ცხვირის დაშვება, ამაყური, მკვახე შეხედულობა, ამაღლებული ხმა გულს უბრუნებს ქობულეთელს ან აჭარელს, გულჩვილობასთან ჩვენ მოძმეებს ისევე შერჩენიათ მამაპაპური ჩვენი დარბაისლური თავაზა ერთმანეთთან და სახელმწიფო მოხელე კაცთან. თითონაც ზრდილები არიან და სხვისაგანაც ზრდილობას, დარბაისლობას მოელიან.

ძალიან ბევრი რამ კეთილი შეიძლება გაკეთდეს ტკბილათ მოპყრობით ამ ხალხთან. ამიტომ ეს სახალხოთ გამოცხადებული სიტყვა გუბერნატორისა ყველა მოხელეებმა, მუხთარებმა, მუდირებმა (უჩასტკის ნაჩალნიკებმა) და ოკრუჟნი ნაჩალნიკებმა კარგა უნდა შეიგნონ და მიხვდნენ.

ამასთანავე ერთს ვისურვებთ, რომ ეს განცხადების აზრი, როგორც სხვა აზრები, საზოგადოთ ყოველ კუთხეში მოეფინოს. ამისათვის მარტო განცხადების გაკვრა ჯამეს (მეჩითის) კარებთან არ კმარა; ბევრგან კითხვა არ იციან და საჭიროა რომ უჩასტკის ნაჩალნიკებმა განცხადების გაგზავნასთან ბრძანება მისცენ თავის ხელქვეითებს, რომ წაუკითხონ ხალხსა. ამას გარდა, სასურველია, რომ განცხადება მარტო აჭარა-ლივანაში, შავშეთ-იმერხევში და მურღულში კი არა, ქობულეთშიცა, მაჭახელაშიც და სუყოველგან, ბათომის ყოველ კუთხეებშიც გავრცელდეს და წაკითხულ იქნეს.

[1880 წ.]

კიდევ ძველ წიგნებზე

ტფილისი, 14 აგვისტოს.

პუნიური ომების დროს, ძველებურს რომში სცხოვრობდა ერთი ახირებული სენატორი, რომელსაც რაზედაც კი უნდა დაეწყო ლაპარაკი, — სიყვარულზე, თავისუფლებაზე, კაცთმოყვარეობაზე — ბოლოს უნდა თავისი სიტყვა ასე გაეთავებინა: Delenda carthago, ე.ი. კართაგენი მაინც უნდა დავაქციოთო.

ჩვენს თანამედროვე ქართულ ლიტერატურასაც სჭირია ერთი ისრეთი სენატორი, ქაღალდის მუნდირით, რომელმაც წამდაუწუმ უნდა მოაგონოს ქართველ საზოგადოებას: „ნუ დაკარგავთ თქვენს კლასიკურ ლიტერატურას“.

სასიხარულოთ, ეს ჰაზრი ფესვს იღებს ქართულ საზოგადოებაში. ჯერ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ განიზრახა (და მოჰყავს ასრულებაში) ისეთი ბიბლიოთეკის გამართვა, სადაც უპირატესი ყურადღება იქნება მიქცეული ქართულ ხელთნაწერ წიგნებზე. ეხლა, როგორც წაიკითხვენ ჩვენი მკითხველები ქვემოთ „ახალ ამბებში“, სამოქალაქო მთავრობასაც უკისრნია ამ ძველ წიგნებზე ზრუნვა. მთავარსამმართველოში ქაღალდი კიდეც დამზადდა და მონასტრებს უნდა ჩამოერთვას ქართული ხელთნაწერები, რომ მუზეუმში, ან საზოგადო ბიბლიოთეკაში იქნას დაცულიო, ამბობს „ახალი ამბები“.

ქართული მონასტრის წიგნები ისე დაბნეულია და გაფუჭებული უპატრონობით, რომ „რაღა დროსო“ შეიძლება სთქვას კაცმა; მაგრამ ისეც დიდი საქმეა, რომ რაც დარჩენილა, ის მაინც არ გაფუჭდეს და არ დაიკარგოს. სასულიერო მთავრობა, დარწმუნებული ვართ, გაიგებს ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობას და თავის მხრით არამც თუ არ დააბრკოლებს საქმეს, სრულს შემწეობას აღმოუჩენს...

„წერა-კითხვის საზოგადოებისაგან“ დაწყებული საქმე სულ ყოველთვის ნახევარზე იქნებოდა გაჩერებული, რომ ეს გადაწყვეტილებაც არ დამატებოდა, რადგანაც პირველი ვერაფრით ვერ იშოვიდა მონასტრის წიგნებს. ეხლა კი იმედია, მომავალი ჩვენი ლიტერატურის მეისტორიენი ამ ორ ადგილში, თუ სულ არა, ბევრს მატერიალს იშოვნიან ქართული ლიტერატურისათვის.

ეს ბიბლიოთეკა, ეს ძვირფასი ბიბლიოთეკა, უნდა გახდეს ყველა ჩვენი მოზარდი ყმაწვილობისთვის წმინდა ტაძრად, რომელშიაც ის უნდა შევიდეს კრძალვით, რომლიდამაც იმან უნდა გამოიტანოს ქართული ჭკუის და ენის თვისებათა ცნობა, ქართული ისტორია. მხოლოდ მაშინ შეუძლია ქართველ ყმაწვილკაცს საქართველოსთვის სარგებლიანათ მაღალი განათლების მიღება, როგორიც იმას მიუძღვის თავის ქვეყნის და ენის ცოდნა. რამდენი ქართველი იურისტია ჩვენში, რომელსაც ვახტანგის კანონი თვალითაც არ უნახავს; რამდენი ექიმია, რომელსაც ჩვენი კარაბადინის არც კი გაუგონია რა, რამდენი ისტორიკოსი და ფილოსოფი, რომელთაც არც „ქართლის ცხოვრება“ იციან, არც ანტონ კათალიკოზი და სხვ. და სხვ. მაგრამ, მაგიერად, რამდენმა იურისტმა, რამდენმა ექიმმა, რამდენმა ფილოსოფოსებმა დასტოვეს თავისი სახელი შთამომავლობისათვის?!

ყველა ჩვენი რამდენითმე მაინც შესანიშნავი კაცები გაიზარდნენ ჩვენ კლასსიკებზე, იმათი ჩამოთვლა ან რა საჭიროა.

მაშ ვისურვოთ ამ ახალი საქმისათვის გულწრფელი წარმატება და იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას ამ კეთილ საქმეში. „დროების“ რედაქციაც თავის მხრით დიდის სიამოვნებით იკისრებს გადასცეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ყოველი საზოგადოებისაგან შემოწირული წიგნი.

[1880 წ.]



დაბრუნებული აფხაზები

ტფილისი, 19 აგვისტოს

„დროების“ მე-173 ნომერში დაბეჭდილი იყო ბათომიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებდა რომ ამ დღეებში იქ მისულა ოსმალეთიდამ გემი, რომელსაც ათას სულამდინ უკან დაბრუნებული აფხაზი მოუყვანია; ამათ ჰსურთ ისევ თავიანთ ქვეყანაში დასახლდნენო; თვრამეტი დღეა რაც გემზე ჰყრიან გარეთ შიშველნი, მშიერნი, ათი სული მოკვდა შიმშილისაგანაო და სხვ. მაგრამ ამათ ხმელეთზე გამოსვლისა და ისევ თავის ქვეყანაში დასახლების ნებას არ აძლევენო.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, უმაღლესს მთავრობისაგან არც აფხაზებისა და არც ბათომის მხრის მაჰმადიან ქართველებისათვის, რომელნიც ოსმალეთში გადასახლდნენ ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში, უკან დაბრუნება არ არის აღკრძალული; პირიქით, ნამდვილათ ვიცით მაგალითები, რომ რამდენიმე ქობულეთელს და აფხაზებსაც ოსმალეთიდამ დაბრუნებულებს, მიეცათ უფლება, რომ თავიანთ ქვეყანაში დასახლდნენ ხელახლად და ჩააბარეს თავის ადგილმამული.

ამის წინააღმდეგ განკარგულებას ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ; . . . . . მართლა, მოიგონეთ — როგორ ძალდატანებით გადაიყვანა ოსმალოს ჯარმა აფხაზები ოსმალეთში. მოიგონეთ — როგორ ატყუილებენ და რამდენის ოინებით აგონებენ ბათომის მაზრის ქართველებს მოლლები და ბეგები, იმისთვის რომ, თავის მამაპაპეული მიწა-წყალი მიატოვებინონ.

ამას გარდა უმაღლესს მთავრობას ძალიან კარგათ ესმის თუ ამ ადგილობრივ, ძირეულ ხალხის გადასახლებით რამდენი დააკლდება ამ მხარეს; ესმის, რომ ამათ გარდა თითქმის არც ერთ სხვა ხალხს არ შეუძლია აქ გაძლება, ცხოვრება და ზღვის ნაპირების დაცვა. ესმის აგრეთვე ისიც, რომ ერთხელ შეცოდებულ ხალხს და მერე სინანულში შესულს ყველაზე უფრო უნდა ენდობოდეს მთავრობა, ყველაზე უფრო საიმედოთ და ერთგულ ხალხად უნდა უყურებდეს. . . .
. . . . . .
. . . . . .

კაცთმოყვარების გრძნობისა და სამართლიანობის გარდა, ვიმეორებთ, თვით სახელმწიფო სარგებლობა მოითხოვს, რომ ხელგაშლილი და გულღია მივიღოთ ჩვენ მაჰმადიანი ქართველი, აფხაზი, ჩერქეზი და საზოგადოთ ყველა, ვინც კი ჩვენგან გადასახლებულა და დღეს მოდის და სინანულით გვთხოვს პატიობას და ხელახლად მიღების ნებას.

ამიტომაც სრულ იმედს ვაცხადებთ, რომ ჩვენი უმაღლესი მთავრობა დროზედ მიაქცევს ყურადღებას იმ საბრალო ქრისტიან აფხაზებსა და ბათომის მხრის ქართველებს, რომელნიც შეცდომით გადასახლებულან ოსმალეთში, ამდენი წვალება, შიმშილი, სიცივე, სიტიტვლე, გამოუცდიათ, ვეღარ მოუთმენიათ ეს წვალება და ისევ უკან დაბრუნებულან შეწყნარების სათხოვნელად. ღირსნი არიან ესენი შეწყნარებისა. ამ შეწყნარებას თვით მთავრობის სარგებლობა და ინტერესი მოითხოვს . . .

[1880 წ.]



იმერელი მოსამსახურენი თბილისში

ტფილისი, 28 აგვისტოს

ჭეშმარიტად ყურადღების ღირსია თფილისის მოსამსახურეების მდგომარეობა. ამათთანა უპატრონო, ამათთანა შევიწროევებული და დაჩაგრული თავიანთ „აღებისა“ და ბატონებისაგან სხვა არც ერთი წოდების ხალხი არ მოიძებნება თფილისში. ისე თითქმის დღე არ გაივლის, რომ რომელიმე „ბატონმა“ — სრულებით უმიზეზოთ არ გაისტუმროს თავის მოსამსახურე და ამასთანავე ჯამაგირი არ დაუჭიროს. ხშირად სრულიად წარმოუდგენელ, უბრალო, ტყუილ მიზეზებს უგონებენ, განგებ ჩხუბს გაუმართვენ, ესა და ეს დაგვეკარგა ან წაგვიხდა, შენს მეტი ვინ იქნებოდაო, და ისტუმრებენ მოსამსახურეს, რომელსაც ჩივილისა და არძების წერის თავი არა აქვს, ვინ მისცა შეძლება, რომ რამდენიმე მანეთისათვის ადვოკატი დაიჭიროს, და ამნაირად ოფლითა და დამცირებით შეძენილი ჯამაგირი უსამართლოდ ეკარგება.

მაგრამ გამოცდილის, თფილისში ან სხვა ქალაქებში ნამყოფ, მოსამსახურეების ბედი კიდევ ისე შესაბრალისი არ არის, როგორც ახლადჩამოსულ იმერლის ბიჭებისა. ღარიბ ქვეყანაში მცხოვრები ხალხი სოფლის მუშაობისაგან წელმოწყვეტილი დიდის სიამოვნებით სტოვებს თავის მიწა-წყალს და მიდის სხვაგან სადმე, ოღონდ კი ლუკმა პური მოიპოვოს და ამასთანავე ცოტა რამ სწავლაც შეიძინოს, ქვეყანა ნახოს.

ამ სურვილით აღძრული პატარა ბიჭებიც კი მუდამ წელიწადს ასობით და ორასობით ააღერენ თავს და მოდიან თფილისში. აქ ამათ ხშირად არც არავინ ნათესავი ჰყავსთ, არც ნაცნობი; რამდენიმე დღე დახეტიალობენ ქუჩა-ქუჩა და ბოლოს, როცა საქმე გაუჭირდებათ, ვინც პირველი „აღა-ბატონი“ შეხვდებათ, დაუდგებიან მოსამსახურეთ.

შესაბრალისია იმათი მდგომარეობა ამ აღა-ბატონებთან, ერთი-ორი წელიწადი სულ უბრალო ფასით, ხშირად მუქთადაც, იმსახურებენ, განუწყვეტელ წვალებაში არიან ბატონებისაგან, უბრალო რასმეს გასტეხენ — ერთი-სამად გარდაახდევინებენ, არაფერს არც ასწავლიან; ბოლოს, როცა ვადა მოვა ჯამაგირის მიღებისა, რაღაც-რაღაც შარებს მოსდებენ, ჩხუბს გაუმართავენ და ხელცარიელს ისტუმრებენ.

ეს ერთი მაგალითი კმარა გამოუცდელის ბიჭისათვის, რომ შემდეგ სულ სხვა კაცი შეიქნეს: თუ ვისმესთან დადგა, ყველაზედ პირველად იმას ეცდება, რომ მოტყუებული არ დარჩეს ამ ახალი ბატონისაგან და ბოლოს იქამდინაც შეიძლება მივიდეს, რომ თვითონ მოატყუოს ეს ბატონი, გაჰქურდოს და სხვა რამ ცუდკაცობა ჩაიდიოს იმის სახლში.

ამნაირად, ძალაუნებურად უმანკო იმერელი ბიჭი ფუჭდება უსინიდისო ბატონების ხელში და ხშირად მთელს თავის სიცოცხლეს ჰღუპავს — ციმბირში გასაგზავნი ხდება.

პირველად არ გვითქვამს ჩვენ ამ საგნის შესახებ, რომ ამგვარის მდგომარეობიდამ მოსამსახურეების გამოყვანა შეუძლიან ერთ ისეთ კანტორას ან ბიუროს, რომელისაგანაც ყოველ უადგილო, უპატრონო იმერელ ბიჭს შეეძლოს დარიგების მიღება, გზა-კვალის გაგნება, ადგილის შოვნა და გაჭირების დროს ხელის — მომართვა.

ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი იყო ბატ. ა. მაჩხუბარიძის წერილი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ რამდენსამე პირს იმერელ მოსამსახურეთაგანს განუძრახავსთ ცალკე საზოგადოების შედგენა იმ აზრით, რომ გახსნან ზემოხსენებული კანტორა, აგრეთვე სამზარეულო და გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა თფილისში მყოფ იმერელ მოსამსახურეებისათვის.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ ამბის შეტყობა ძალიან სასიამოვნოა. ყველა ეს დაწესებანი იმათ აუცილებლად

ეჭირებათ და თუ გამართვა მოახერხეს, თუ თავიდამვე კეთილსინიდისიან და მცოდნე კაცებმა აწარმოეს ეს საქმე, უეჭველია, უნდა მოველოდეთ, რომ, ადრე თუ გვიან, იმერელი მოსამსახურეები დაიხსნიან თავის თავს იმ შევიწროებულ მდგომარეობიდამ, რომელშიაც ისინი ამჟამად სხვა და სხვა სომეხ-ბატონებისაგან არიან ჩავარდნილი.

უკანასკნელი რომ ვსთქვათ, იმერელი მოსამსახურეები და ხელობის კაცები თფილისში ათი-ათასამდინ იქნება. ამათი ბედის გაუმჯობესება, ამათი დახსნა ბოროტებისაგან და რიგიან, დამოუკიდებელ გზაზედ დაყენება ყველასთვის სანატრელი და სასურველი უნდა იყოს.

ამ საგანს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით შემდეგში.

[1880 წ.]



გლეხკაცებისაგან მამულის შეძენა

ტფილისი, 23 ენკენისთვე.

ვგონებ ძნელათ მოიძებნება იმისთანა მამულის მოყვარული და მამულის შეძენის მსურველი კაცი, როგორიც არის ჩვენი გლეხკაცი. ჩვენს გლეხკაცს მარტო იმიტომ კი არ უყვარს თავისი მამული, რომ მისგან და მხოლოდ მისგან გამოელის საცხოვრებელს; იმას უყვარს მამული საყვარელსავით, მარტო ანგარიში არ არის სიყვარულის მიზეზი და ამის გამო ძნელია ჩვენი გლეხკაცის მამაპაპეულის მამულისაგან მოშორება და სხვა მამულზედ გადასახლება, გინდა ეს მამული მის საკუთარზედ უკეთესი იყოს.

როდესაც რომელიმე გლეხკაცის ახლო მდებარე მამულს ჰყიდის პატრონი, უნდა ნახოთ, რა რიგი სურვილი იხატება გლეხკაცის სახეზედ იმ მამულის შეძენისა; ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვას:

„ — გავიყიდებით და მამულს კი ხელიდამ არ გაუშვებო“.

და სურვილი ადვილათ გასაგებია, რადგან გლეხკაცს ძვირად ექნება იმოდენა მიწა, რომ ეყოს საცხოვრებლად და რაც აკლდება, სხვა უცხო პირს უნდა გამოართვას საღალოთ.

რა გული უნდა ჰქონდეს ერთისა და ორის წლით გამორთმეულის მიწის შემუშავებისა, როდესაც დარწმუნებულია, რომ დღეს არა ხვალ პატრონი ისევ გამოართმევს და სხვას მისცემს? რათ ეცდება სხვის მიწის გაუმჯობესობას, გაპატივებას?

ცხადია, რომ როგორც თვითონ გლეხკაცებისათვის, ისე საზოგადოდ სიმინდის გამრავლებისათვის ისა

სჯობს, რომ გლეხკაცობამ საკუთრებათ შეიძინოს იმოდენა მამული, რამდენსაც მისი მუშაობა მისწვდება, რისაც მოვლა თითონვე შეუძლია. თვითონ გლეხკაცობაც არა სდგას უარზედ და ყოველთვის მზად არის გასაყიდი მამული შეისყიდოს; რაც შეეხება ფასსა, როდესაც კი გასაყიდ მამულის წვრილ-წვრილად დაყოფა შესაძლებელია, გლეხკაცს ვერავინ შეეცილება; არავინ არ მისცემს გლეხკაცის ტოლს ფასს, რადგან პატარა მამულიდამ გლეხკაცსავით ვერავინ ისარგებლებს.

მაშ რაღა უშლის გლეხკაცებს, რატომ, რაც პატარ-პატარა მამულები იყიდება, გლეხკაცებს არა რჩებათ და სხვა გარეშე, უცხო პირთ რათ უშვებენ? ხელს უშლის მეტის-მეტად დახლართული წესი მამულის შესყიდვისა; ვინ არ იცის, რამდენი წვალება უნდა გამოიაროს კაცმა, როდესაც მამულსა ჰყიდულობს, რამდენჯერ უნდა მივიდეს ნოტარიუსთან, რამდენი სხვადასხვა ქაღალდები. . .

„კუპჩა“, „ევოდნი ლისტი“ უნდა დაამტკიცებინოს; მან არ იცის აგრეთვე რამდენს უნდა ელიტინო, თუნდა რუსულიც იცოდე, სხვადასხვა წვრილმანს მწერლებს, ვიდრე უბრალო რამე ცნობას გამოიტანდე. თუკი რუსულად მოლაპარაკესთვის ასე გასაჭირია ამგვარს ალაგებში სიარული, წარმოიდგინეთ რა ძნელი უნდა იყოს ეს სიარული ხამის გლეხკაცისათვის, რომელსაც ერთს უბრალო საქმეზედ რამდენჯერ უნდა უთხრან „ხვალ მოდიო“?!

ვიდრე ეს დამაბრკოლებელი მიზეზი არ მოისპობა, ბევრი გლეხკაცი ვერ გაბედავს მამულის შესყიდვას და გლეხკაცის მაგიერად მამულებს შეისყიდიან სხვა და სხვა უცხო ტომის ხალხნი, რომელთაგანი ბევრი ცხრა თოკში არის გამომძვრალი და არ გაუჭირდება სასამართლოებში სიარული.

ერთის სიტყვით, ეს დამაბრკოლებელი მიზეზი უნდა გაადვილდეს და მაშინ ჩვენი წარმოებაც ერთი ორად იმატებს და მამულის ნაწარმოებიც ისე ძვირი აღარ იქნება, როგორც ეხლა არის.

როგორ და რა გზით შეიძლება ამ საქმის გაადვილება, როგორ და რა გზით შეიძლება, რომ, როდესაც კი გლეხკაცმა მოიწადინოს მამულის შესყიდვა, წინ

აუარებელი გაჭირება არ დახვდეს, ეს სპეციალისტების საქმეა; ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ადრე თუ გვიან ეს ცვლილება უნდა მოხდეს, თორემ ჩვენი მამულების მომეტებული ნაწილი უცხო გადმოკარგულების ხელში ჩავარდება და ჩვენი გლეხკაცი კი, რომელსაც ღმერთმაც და კაცმაც მამული ორის ხელით უნდა მისცეს, პირში ჩალაგამოვლებული დარჩება.

[1880 წ.]



სომხური გაზეთების პოლემიკა

ტფილისი, 14 ოკტომბერს.

ორ აქაურ სომხურ გაზეთის შუა „მშაკსა“ და „მეღუ ჰაიასტანის“ შუა — ეს ერთი თვეა გაცხარებული პოლემიკაა იმის თაობაზედ, თუ რა არის აუცილებელი თვისება რომლისამე ხალხისა ანუ რა შეადგენს რომელიმე ხალხის, გვარტომობის ისეთს განსაკუთრებულ ხასიათს, რომლითაც ეს ხალხი სხვა გვარტომობის ხალხისაგან ირჩევა.

„მშაკი“ ამტკიცებს, რომ ყოველის ხალხის განმრჩევი არისო განსაკუთრებული ენაო და სამშობლო მიწაო.

„მხოლოთ ენა არჩევს ერთს გვარს (ხალხს) მეორისაგან, ენაა მხოლოთ საფუძველი გვარტომობისა“.

ამ დედააზრის თანახმად „მშაკი“ ამბობს:

„ვინც სომხური ენა იცის —სომეხია, ვინც არა — არ არის სომეხი“.

შეიძლება სომეხი ლოტრანგი იყოს, შეიძლება ფრანგი, თათარი; მაგრამ თუ იმას სამშობლო ენა არ დაუკარგავს ის მაინც სომეხია: პირიქით, ვისაც მარტო სომხის გრიგორიანის სარწმუნოება აქვს და ენა კი არ იცის სომხური, ის სომეხი არ არისო.

ამ აზრის დასამტკიცებლად „მშაკს“ მოჰყავს ვენგრიელებისა და ჩვენი, ქართველების მაგალითი. ყველაფერი დაკარგული ჰქონდათ ვენგრიელებს: დამოუკიდებელი ცხოვრებაც, სამშობლოც, თავის ისტორიაც, ხასიათი, ზნე, ჩვეულება და სხვ., მხოლოთ ერთი ენა შერჩათო; და ამ ენის საშუალებით იმათ გაიჩინეს თავის საკუთარი ლიტერატურა, გაიღვიძა იმათმა გვარტომობის მიდრეკილებამ, გაიხსენეს, რომ ერთ დროს ცალკე და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეადგენდნენ და ახლა ავსტრიაში ყოველგვარი სახელმწიფო უფლების ნახევარი იმათა აქვსთო, თითქმის ცალკე სახელმწიფოს შეადგენენო, აღორძინდნენო. — რაიცა შეეხება ქართველებს, თუმცა ერთი წილი ამათგანი მაჰმადიანი არიანო მაგრამ, რადგან საერთო ენა აქვსთ, ამ საერთო ენის წყალობით, ისინი ერთს ხალხს, ერთ გვარტომობას შეადგენენ; სარწმუნოების განსხვავებას ყურადღებას არ აქცევენ და ამით არიან ისინი ჩვენზე, სომხებზე, უფრო ძლიერი და უფრო დაწინაურებულიო (ნახეთ ქვემოთ დაბეჭდილი წინა სტატია „მშაკისა“).

მეორე გაზეთი — „მეღუ ჰაიასტანი“ — „მშაკის“ წინააღმდეგ ამტკიცებს, რომ პირველი და უზენაესი განმრჩევი თვისება ერთის ხალხისა მეორისაგან არისო სარწმუნოება, რჯული. ორ კაცს შეიძლება ენა სხვა ჰქონდეს, ხასიათი, ზნე, სულ ყველაფერი განსხვავებული, მაგრამ, თუ ისინი ერთის რჯულისანი არიან, უეჭველია, ერთს ხალხს, ერთს ტომს ეკუთვნიანო. სომეხი, რომელსაც სომხის გრიგორიანის რჯული გამოუცვლია, დედ-მამაც რომ სომეხი ჰყავდეს, სამშობლო ენაც რომ იმისთვის სომხური იყოს, ის მაინც სომეხი აღარ არისო. გამაჰმადიანებული ქართველები ქართველები აღარ არიანო, რადგან იმათ სხვა რჯული აქვთო და აქაურ ქართველებს კი სხვაო. . .

ერთიც და მეორე მსჯელობაც, ჩვენის აზრით, ერთობ ერთმხრივი და ვიწრო მსჯელობაა, სარწმუნოებას და განსაკუთრებით ენას დიდი მნიშვნელობა აქვს ერთის ტომის ხალხის მეორისაგან გარჩევაში. მაგრამ არც მარტო ენა, არც მარტო სარწმუნოება და არც სხვა რამ ერთი თვისება ცალკე აღებული, არ შეადგენს ისეთს თვისებას რომლისამე ერისას, ურომლოთაც ამ ერს ერი არ დაერქმევა, რომელიც შეიქმს ამ ერს სხვებისაგან განრჩეულ, განსაკუთრებულ ერად.

განსაკუთრებულ ხალხს, გვარ-ტომობას, ნაციას შეადგენენ ყველა ის თვისებანი, ერთად აღებული, რომელიც იმას სხვა ხალხისაგან განასხვავებს, და ის პირობანი, რომლებშიაც იმას უცხოვრია. ამ შემთხვევაში ერთს სამშობლო ენასა და ქვეყანას იქნება სხვა თვისე-

ბებზე უფრო მომეტებული მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ, უეჭველია, რომ ამათ გარდა ერთის ხალხის მეორისაგან გარჩევისთვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს: საერთო ისტორიას ამ ხალხის ყველა შვილებისას, ერთგვარ ხასიათს, ზნეს, ჩვეულებას, ერთგვარ ჭკუისა და გონების მიმართულებას, თითქმის ერთტანისამოსსა და სხვ. და სხვ.

„ვინც სომხური იცის —სომეხიაო“, ამბობს „მშაკი“.

ახირებული თუ გინდა ეს არის! მაშ ინგლისელი რომ სადმე ვანის მაზრაში, ან ერივანში დასახლდეს და სომხური დაისწავლოს, ისიც სომეხი იქნება?

„ვინც სომხის გრიგორიანის სარწმუნოების არ არის, ის სომეხი არ არისო“! ამბობს მეორეს მხრით „მეღუ“! კიდევ უარესი ახირებული აზრი! მე რომ დედმამა სომეხი მყავდეს, სომხეთში დაბადებული რო ვიყო, ხასიათით, ჩვეულებით, ზნით და სხვა ყველაფრით სომეხი რო ვიყო, ნუ თუ მარტო იმიტომ, რომ რჯული სხვა მაქვს, ვკარგავ ჩემს სომხობას? რჯული ხომ რწმენაა, რწმენის განსხვავებაზე როგორ შეიძლება მთელის ხალხის განსხვავება დამყარდეს? მე რომ მრწამდეს, ღვთის მშობელი უმანკოდ ჩასახული იყო და შენ კი არა, განა იმიტომ მე ფრანცუზი შევიქნები და შენ სომეხი ან მმართლმადიდებელი?

სულ უბრალო გაცვეთილი ჭეშმარიტებაა ეს, რომელიც თვით ჩვენმა მდაბიო ხალხმაც კი კარგათ გაიგო, რადგან მაჰმადიან ქართველს ის თავის მოძმედ, თანამემამულე ქართველად სთვლის, და გვიკვირს, რომ ორ დარბაისლურ სომხურ გაზეთს ვერ გაუგიათ ეს და ერთს ლანძღვა-გინებაში, გაცხარებულ ბაასში არიან, ფარ-ხმალს ამტვრევენ...

[1880 წ.]



მაჰმადიანთ გაქრისტიანება

ტფილისი, 16 ოკტომბერს.

შემოგვიერთდნენ თუ არა ბათომის მაზრის მაჰმადიან ქართველები, ზოგიერთებმა იმთავითვე ქადაგება და დამტკიცება დაიწყეს, რომ ყველაზე პირველად ჩვენ ის მაჰმადიანი ქართველები უნდა მოვნათლოთ, გავაქრისტიანოთო; მხოლოთ როცა მოინათლებიან, მაშინ შეიქნებიან ისინი ნამდვილ ჩვენ მოძმეებად, მხოლოთ მაშინ ქრისტიანობას შეუძლიან ამათი დამშვიდება და ჩვენთან მოთავსებაო.

ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ ახლად ქართულს ენაზე გამოცემული წიგნი მღვდლის სიმეონ ბეგიევისა, სახელად „პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოთ ეფენდისთან“. მთელი ამ წიგნის აზრი არის, დაამტკიცოს, რომ ქრისტიანობას უპირატესობა აქვს მაჰმადიანობაზედაო, ჩვენი სახარება სჯობიან თქვენს ყორანსაო, ერთის სიტყვით, ვისაც სააქაოს კეთილი ცხოვრება ჰსურს და საიქაოს ცხონება, უნდა ქრისტიანი იყოსო. და ამიტომ ჩვენებურ მაჰმადიანებს ურჩევს გაქრისტიანდითო. ავტორი პირდაპირ ასახელებს ინგილოებსა და ბათომის მხრის მაჰმადიან ქართველებს, — ამათთვის დავსწერე ეს წიგნიო.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი უმაღლესი მთავრობა ამ აზრის არ არის. იმას კარგათ ესმის, ქადაგება, ლაპარაკი და ცდა, რომ მაჰმადიანი ქართველები გააქრისტიანონ, ვნების მეტს, არაფერ სიკეთეს არ მოიტანს.

ახლადდაპყრობილ საქართველოს ნაწილში უიმისოთაც გავრცელებულია ცრუ ხმა, რომ რუსები ძალათ გაქრისტიანებას გვიპირებენო, და ახლა რომ მართლა

ჩვენ იქ ქრისტიანობის ქადაგება დავიწყოთ, ხელში სახარება მივაჩეჩოთ და ამ „პოლემიკურ საუბრის“ მსგავსი წიგნები, ისინი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ, რასაც ამბობდნენ, მართალი ყოფილაო, მართლა გაქრისტიანება ნდომებიათ ჩვენიო. და რა მოქმედება ექმნება ამგვარ ხმის გავარდნას გაფანატიკოსებულ მაჰმადიან ქართველებში, ამის გამოცნობას ბევრი ჭკუა და მახვილგონიერება არ ეჭირება; ჩვენ დარწმუნებული ვართ, პირველი შედეგი ამისი ის იქნება, რომ ვინც დარჩენილან ჯერ კიდევ თავის ქვეყანაში, ისინიც ოსმალეთისაკენ გარდაიხვეწებიან.

ვერ გაგვიგია — რად ზრუნავენ ეს ზოგიერთი პირები ასე ერთგულად, ასე წინდაუხედავათ, რომ ყველაზე პირველად სარწმუნოებას შეეხონ, რჯული გამოუცვალონ მაჰმადიანებს? იქნება, ქრისტიანობა უფრო წინწამწევია კაცობრიობის ცხოვრებისა, უფრო ეთავსება ეხლანდელ განათლებულ დროის მოთხოვნილებასა და სწავლას. მაგრამ განა მარტო სარწმუნოებაზედ, რჯულზედ არის ახლანდელი კაცობრიობის ცხოვრება დამყარებული? განა არ შეიძლება კაცი ანუ ხალხი არც ქრისტიანი იყოს, არც მაჰმადიანი, არც კერპთთაყვანის მცემელი, მაგრამ კარგი კაცი ანუ კარგი ხალხი იყოს, კარგს განათლების გზაზედ დამდგარი და ცხოვრებაში ყოველმხრივ წარმატებული?

ჩვენი აზრი ეს არის, რომ ქადაგებას და ცდას ამგვარ შემთხვევაში არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლიან. გაქრისტიანებას კი არ უნდა ვსცდილობდეთ ჩვენ ახლა ბათომის და სხვა მაზრების ქართველ მაჰმადიანებისა, არამედ, თუ გვინდა, რომ იმათი გული მოვიგოთ, თუ გვინდა, რომ იმათის მხრით თანაგრძნობა და სიყვარული დავიმსახუროთ, რომ კარგ, სასარგებლო რუსეთის ქვეშევრდომებად გავხადოთ, ყველაზე პირველად იმათ გაჭირებული ეკონომიური მდგომარეობა უნდა გავაუმჯობესოთ, სიღარიბე შევამციროთ, უმეცრება მოვსპოთ, სკოლები გავმართოთ, ძმური სიყვარული და შემწეობა აღმოუჩინოთ ყოველ საქმეში, სწორ, ნამდვილ გზაზე დავაყენოთ ცხოვრებაში, კარგი მოსამართლე და ადმინისტრატორები დაუყენოთ და სხვ. და სხვ.

სარწმუნოების საქმე სინიდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა — ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს; მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისათვისაც სასარგებლო. თვითონ ჩვენი მაღალის და უზენაესის მოძღვრის იესო ქრისტეს სიტყვაა, რომ რჯული არ შეიქმს კაცს, არამედ საქმეო.

ურიგო არ იქნება, რომ ამ ქრისტეს სიტყვებითა და ზემოხსენებულ მოსაზრებით იხელმძღვანელონ ყველა იმათ, ვისაც ბათომის მაზრის ქართველ მაჰმადიანებთან ექნებათ საქმე.

[1880 წ.]



ქართული ენა ჩვენს საშუალ სასწავლებლებში

ტფილისი, 7 ნოემბერს.

ამ ათი-თორმეტი წლის წინათ ქართულ ენის სწავლებას ჩვენს გიმნაზიებში სწორეთ ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც სხვა ენებისა ან თითქმის სხვა საგნებისაც: გიმნაზიების მთავრობა ყურადღებას აქცევდნენ, რომ ყველა ქართველ მოწაფეს თავის სამშობლო ენა ესწავლა, გაკვეთილები ისეთს დროს იყო დანიშნული, რომ შაგირდს არ ეძნელებოდა კლასში ყოფნა და მასწავლებლის მოსმენა, თვითონ ამ ენის მასწავლებელს გიმნაზიის მთავრობისაგან ისეთივე პატივი ჰქონდა, როგორც საზოგადოთ სხვა მასწავლებლებისას და ყველაზედ უმთავრესი ის იყო, რომ ქართულის ენის მასწავლებელი შტატის მასწავლებლად ითვლებოდა და ჯამაგირიც ამისდაგვარად ნამდვილის შტატის მასწავლებლისა ეძლეოდა.

გრაფ ტოლსტოის გამინისტრების შემდეგ ეს წესი ნელ-ნელა შეიცვალა: სამშობლო ენის შესწავლას ვალდებულებითი ძალა ჩამოერთვა: ვისაც ჰსურდა სწავლობდა, ვისაც არ ჰსურდა ძალას არ ატანდნენ; შემდეგ ყველა კლასების მაგივრად, მხოლოდ პროგიმნაზიურ კლასებში, ესე იგი პირველ ოთხ კლასში დაუწყეს შაგირდებს სამშობლო ენის სწავლება; ბოლოს საქმე იქამდინ მივიდა, რომ ამ ენების მასწავლებელი თითქმის მაჩანჩალასავით შეიქნა გიმნაზიებში: შტატიდამ გამორიცხეს, ჯამაგირს იმისდაგვარად აძლევდნენ — თუ რამდენი მორჩებოდა გიმნაზიას ყველა სხვა ხარჯს გარდა (ეკონიმიურ ჯამიდამ): გიმნაზიის მთავრობა ყურადღებას არ აქცევს სამშობლო ენების შაგირდებისაგან შესწავლას და თვით ამის მასწავლებელს, ზოგიერთებს საქებათაც მიაჩნია ყმაწვილი, რომელიც თავის ენას არ სწავლობს; გაკვეთილები ამ ენისა ისეთს დროს არის დანიშნული — მეხუთე საათი — , როდესაც ლათინურის, ბერძნულის და სხვა საგნებით დაქანცულს, გონებადაღალულ ყმაწვილს თითქმის არაფრის გაგებისა და შესწავლის ღონე არა აქვს და სხვ. და სხვ.

ამისთანა მდგომარეობაშია ახლა ჩვენს გიმნაზიებში ადგილობრივ სამშობლო ენების შესწავლა.

და ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ერთის მხრით, ამ ენების ხეირიანი მასწავლებლები ვერ იშოვნოს გიმნაზიამ და, მეორეს მხრით, თვით შაგირდებიც გულაცრუებით იყვნენ და, მართლაც, ვერაფერს სწავლობდნენ, ვერაფერს იძენდნენ სამშობლო ენიდამ?! თვითონ მთავრობამ აიგდო ეს ენები და ამის გამო მასწავლებლებისა და შაგირდებისგანაც აგდებული შეიქნა!..

საუბედუროთ, თვით საზოგადოებისგანაც თითქო აგდებული და მივიწყებული შეიქნა ეს საგანი: ერთხელ ხმა არ ამოუღია ჩვენს ცრუ-განათლებით წატაცებულ საზოგადოებას სამშობლო ენის სასარგებლოდ; ერთხელ არავის უთქვამს: „ჩვენს შვილებს ჩვენი ენა ასწავლეთო!“

რა წარმოსდგა აქედამ — ყველამ ვიცით: გაგვიჩნდნენ განათლებული ყმაწვილკაცები, რომელთაც თავის სამშობლო ენაც დაივიწყეს და ვერც სხვა შეითვისეს, რომელნიც თითქო ორ სკამ შუა იჯდნენ და ვერც ერთზე კი მაგრამ ვერ მოთავსებულიყვნენ; გაგვიჩნდნენ ყმაწვილ-კაცები, გულგრილები ყველა სამშობლო საქმისა, სამშობლო ენისა, ლიტერატურის, ჩვენი ქვეყნის საზოგადო, საერო საქმეებისა...

როგორც გაზეთებიდამ სჩანს, ახალი მინისტრი სახალხო განათლებისა — საბუროვი — ძველს კვალზე არ აპირებს წასვლას. იმედი ვიქონიოთ, რომ ის ჩვენს საშუალ სასწავლებლებში სამშობლო ენების უხეირო მდგომარეობას, დამცირებას, შევიწროებას მიაქცევს ყურადღებასა და ეცდება, რომ ამ ენების შესწავლას ჯეროვანი საშუალება და სახსარი მიეცეს...

ყველაზე პირველად საჭიროა, რომ თვით ჩვენმა საზოგადოებამ შეატყობინოს უმაღლესს მთავრობას ეს თავის აუცილებელი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. საჭიროა, საზოგადოებამ იშუამდგომლოს, რომ ქართული ენის მასწავლებელი შტატის მასწავლებლად ჩაირიცხოს, რომ იმას ისვე ჯამაგირი და პატივი ჰქონდეს, რაც დანარჩენ მასწავლებლებსა აქვსთ.

ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო კარგად ამის მოხერხება თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას შეუძლიან, რომელსაც თვით კანონითაც მინიჭებული აქვს უფლება — თავის საზოგადო საჭიროება აცნობოს მთავრობას. ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს ამჟამად ჩვენთვის ერთი ისეთი საჭიროებათაგანია, რომლის რიგიანად დაკმაყოფილება უნდა ენატრებოდეს და ჰსურდეს.

თუ, ვინიცობაა, ყოვლის-მოულოდნელად ეს კანონიერი შუამდგომლობა შეუწყნარებული დარჩა, მაშინ თვითონვე უნდა იზრუნოს ამ საგანზედ.

ამ მხრით, გუშინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი შენიშვნა ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსის ალექსანდრესაგან ორი ათასის მანეთის შეწირვაზედ, სასულიერო სემინარიაში ქართულ კათედრის დასადგენად, დიდი ყურადღების ღირსია. თუ, როგორც ზევით მოგახსენეთ, უმაღლეს მთავრობამ თავად-აზნაურთა შუამდგომლობა არ შეიწყნარა, შეიძლება ამნაირად მოგროვდეს იმდენი ფული, რომლის სარგებლითაც ქართულის ენის ერთი ან ორი კარგი მასწავლებლის დაჭერა შეიძლებოდეს რიგიანის ჯამაგირითა. მართალია, ეს მასწავლებლები შტატისანი არ იქნებიან... აქვსთ, მაგრამ კარგის ჯამაგირით მაინც ხეირიანი მასწავლებლის შოვნა შეიძლება, რომელიც სამშობლო ენის შესწავლას რიგიან გზაზედ დააყენებს.

ერთის სიტყვით, ასე იქნება თუ ისე, ეს ისეთი საგანია, რომელზედაც კარგათ დაფიქრება და ზრუნვა მმართებს თვითონ ჩვენს საზოგადოებასა.

[1880 წ.]



ახირებული ლოგიკა გაზ. „კავკაზისა“

ტფილისი, 10 ნოემბერს

ორს რუსულს გაზეთში „როსსიაში“ და „ნოვოე ვრემიაში“ დაბეჭდილი იყო ამას წინად ვიღაც დ. გ.-საგან გაგზავნილი კორრესპონდენციები, რომლებშიაც ავტორი ჩვენი მხრის ზოგიერთ „სატკივრებს“ მოიხსენიებდა:

დიდი დაბრკოლება ეძლევა კავკასიის აქეთა მხრის წარმატებას იმითიო, რომ აქაურ სასამართლოებში საქმის გარჩევა და ლაპარაკი უცხო ენაზედ არისო, რომ მოსამართლეებმა ადგილობრივი ენები არ იციანო, სასწავლებლებში უსუსურ ბავშვებს, პირდაპირ უცნობ ენაზედ აწყებინებენ სწავლასაო, სამშობლო ენა განდევნილიაო, ადმინისტრაციის ჩინოვნიკებად ისეთი პირები არიან დანიშნულნი, რომელთაც ხალხის არც ენა ესმით, არც ხასიათი, არც ჩვეულება და აქედამ წარმოსდგებაო ის, რომ ხალხს ამათი რწმენა და პატივისცემა არა აქვს და ამათ — ხალხისა: და საზოგადოთ, უბედურობა არისო, რომ ჩვენ, კავკასიელები, ყველა იმ რეფორმებიდამ, რომელიც რუსეთის იმპერიაში შემოღებულია და იქ საკეთილოდ მიაჩნიათ, გამორიცხულნი ვართო: მაგ. ნაფიცი მსაჯულები ჩვენ არა გვყავსო, ზემსტვო (ერობა) არ გვაღირსესო და სხვა. და სხვა.

ერთის სიტყვით, იმ კორრესპონდენციებში გამოცხადებული იყო ისეთი აზრები, რომლის მსგავსიც რუსულ გაზეთებშიაც და ადგილობრივშიაც არაერთხელ ყოფილა ხოლმე გამოცხადებული და დამტკიცებული. თუმცა ჭეშმარიტ, მაგრამ ამასთანავე ერთობ „გაცვეთილ“ აზრებად მიგვაჩნდა ჩვენ ეს ბ.დ.გ-ის

აზრები და ამიტომაც მაგდენი ყურადღება არც კი მიგვიქცევია იმის კორრესპოდენციებისათვის.

გაზ. „კავკაზმა“ კი სხვანაირად განსაჯა: მთელი უშველებელი წინა სტატია უძღვნა იმან ამ კორრესპოდენციებს. ეს სტატია ისეთი უფერული და უკბილო რაღაც არის, რომ, თუ არ იმის უკანასკნელი სიტყვები, რასაკვირველია, ამაზედ ლაპარაკი სულაც არა ღირდა. უკანასკნელი სტრიქონები კი „კავკაზის“ სტატიის შესანიშნავი სტრიქონებია. აი, ეს სტრიქონები სიტყვასიტყვით:

„კორრესპონდენტის აზრით, კავკასიაში ყველაფერს აბრკოლებს და ყველა ბოროტება წარმოსდგება რუსული ენისა და რუსის ჩინოვნიკისაგან. ამის მოსპობა ადვილია. საჭიროა მხოლოდ, რომ ყველა წვრიმალ ხალხებში გააჩინოთ საკუთარი ლიტერატურულ-კანონმდებლობითი-ადმინისტრაციული ენა, დააყენოთ საკუთარი ჩინოვნიკები, რომელნიც თავის სამშობლო ენებზე და თავის წვრიმალ იდეალებით განათლებულნი იქნებიან, მაშინ რუსები განქრებიან და ყველაფერი იქნება „ადგილობრივი“, „ნაციონალური!“

„ეს გნებავთ თქვენ? მაგრამ აკი ყველა ეს 1880 წლამდინ გქონდათ, განა რაც ამ უკანასკნელ ოთხმოცის წლის განმავლობაში გაკეთდა თქვენთვის, უარესია იმაზედ, რაც აღა-მაჰმად-ხანის დროს იყო თქვენში?“

აი, ეს არის გაზ. „კავკაზის“ სიბრძნე! ეს არის იმის ლოგიკა! ამ უაზრო სტრიქონების გასაქარწყლებლად ბევრი ლაპარაკი და დამტკიცება არ არის საჭირო: მოვიყვანთ მხოლოდ ერთს პატარა შედარებას:

თითქმის მთელი რუსული გაზეთები ქადაგობენ და თხოულობენ ახლა, რომ რუსეთში სხვა და სხვა ცვლილება მოხდეს: გლეხის მდგომარეობა გაუმჯობესდესო, უკეთესი ჩინოვნიკები დაინიშნოსო, ბეჭედას უფრო მომეტებული თავისუფლება მიენიჭოსო, სასამართლოებში მომეტებული წესი და რიგი იყოსო, საზოგადოებასაც ხმა ჰქონდეს საერთო საქმეებშიაო და სხვ. და სხვ.

წარმოიდგინეთ ახლა თქვენ, რომ აღმოჩნდა რომელიმე მწერალი, რომელმანც, ყველა საბუთების მაგიერად, ამ სხვა და სხვა რეფორმებისა და ცვლილებათა მომთხოვთ უთხრას შემდეგი სიტყვები:

რაო! თქვენ გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესებას თხოულობთ? თქვენ გნებავთ, რომ სტამბას მომეტებული თავისუფლება ჰქონდეს? თქვენ ამტკიცებთ, რომ საზოგადოებასაც მიენიჭოს ხმა საერო, საქვეყნო საქმეებშიო? თქვე საწყლებო, მოიგონეთ ჩინგის-ყაენის და ბატიას დრო! რა იყო მაშინ რუსეთში? რა ვიყავით მაშინ ჩვენ, რუსები? განა რაც ამ უკანასკნელ ხუთიექვსი საუკუნის განმავლობაში გაკეთდა ჩვენთვის, უარესია იმაზედ, რაც ჩინგის-ყაენის დროს იყო, როდესაც თათრები გვსრესდნენ და მუხლ-მოდრეკით ვევედრებოდით იმათ შეწყნარებასა?!

სწორედ ამგვარი არ არის „კავკაზის“ ლოღიკა? ამ სიბრძნით გატენილ გაზეთს ის უბრალო ჭეშმარიტებაც კი ვერ გაუგია, რომ ყოველ ჟამს, ყოველ დროს თავის საკუთარი საჭიროება და მოთხოვნილება აქვს, რომელსაც დაკმაყოფილება, შესრულება ეჭირება...

[1880 წ.]



„ვეფხვისტყაოსნის“ რედაქცია

ტფილისი, 15 ნოემბერს.

გუშინდელ ნომერში წაიკითხავდით სამის პირისაგან ხელმოწერილ შენიშვნას, რომელიც გვაუწყებს, რომ შემდგარა განსაკუთრებული რედაქცია ჩვენის უკვდავის პოემის „ვეფხვისტყაოსნის“ შეცდომათა შესასწორებლად.

რუსთველი ჩვენი სასიქადულო მწერალია. საკვეხრად მიგვაჩნია ამისთანა დიდებულის პოეტის ყოლა. იმის „ვეფხვისტყაოსნით“ — ჩვენ, ქართველებს, თავი მოგვაქვს. ძველადგანვე ორი ძვირფასი, წმინდა, ჭირში და ლხინში მანუგეშებელი წიგნი ჰქონიათ ჩვენ წინაპრებს; ეს ორი წიგნი იყო: სახარება და „ვეფხვისტყაოსანი“. ერთში იხატება ჩვენი რჯული, სარწმუნოება; მეორეში — ჩვენი ერობა, ქართველობა. ამ ორის წიგნით აღზრდილან ჩვენი წინაპრები; ამ ორის წიგნით გამხნევებულან, როდესაც გარეშე ანუ შინაგან განსაცდელი მიადგებოდათ...

„ვეფხვისტყაოსანი“ უნდა მიგვაჩნდეს ჩვენ საუკეთესო ძეგლად ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, ჩვენის წარსულ ლიტერატურის და საერო ცხოვრების დიდებისა.

ამისთანა წიგნი ყველა ქართველს მუდამ თვალწინ უნდა ჰქონდეს, მუდამ წინ უნდა ედვას, როგორც წმ. ნაწილებს, ისე უნდა ეპყრობოდეს...

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ წმინდა ნაწილების შესადარ თხზულებას ძველადგანვე ხელუხლებელად არ მოუღწევია ჩვენამდინ: აღმოჩენილან ისეთი მხნე და გამბედავი პირები, რომელთაგან ზოგს ჩაუმატებიათ რამე „ვეფხვისტყაოსანში“ და ზოგს კი გამოუკლიათ: ერთს რუსთველის მართლწერა შეუცვლია, მეორეს ენა, ლექსი და სხვ.

ექვსი დაბეჭდილი გამოცემა გვაქვს ჩვენ ამჟამად „ვეფხვისტყაოსნისა“ — და არც ერთი არა ჰგავს ერთმანეთს; არა გვანან ერთმანეთს აგრეთვე არც ძველი ხელთნაწერები, რომელნიც ახლაც ბლომათ მოიპოებიან ჩვენში.

ამას გარდა, ჩვენ არა გვაქვს თითქმის არავითარი ნამდვილი ცნობა „ვეფხვისტყაოსნის“ დამწერზე: ნამდვილად და ბეჯითად არ ვიცით, ვინ იყო რუსთველი, როგორ დასწერა იმან ეს თავის დაუვიწყარი პოემა, ვისზე დასწერა, რა გარემოებაში დასწერა და სხვ. და სხვ.

ამიტომაც დიდის სიამოვნებით შევიტყვეთ ჩვენ ზემოხსენებულ რედაქციის დაარსება, რომელიც განსაკუთრებით იმ განზრახვით შესდგა, რომ ყოველის მხრით შეასწოროს ეს დიდებულის პოეტის დიდებული ქმნილება, აღადგინოს ის და ამასთანავე მოაგროვოს, რამდენათაც კი შესაძლებელი იქნება, თვითონ ავტორის შესახებ ბიოგრაფიული ცნობანი.

ეს დიდი, ყოვლად საქები და ჩინებული განზრახვაა.

როცა რომელიმე ხალხი იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით ამჟამად, როდესაც ერს თავის ვინაობა ავიწყდება, როცა ის ყველაფერს, რაც მშობლიურია, გვარტომობის დამამყარებელია, გულგრილად შესცქერის; — ამისთანა დროს ძველ მწერლობის გახსენებას, ძველ მამაპაპეულ ნანგრევთა, ნაშთა აღდგენას, განახლებას, მოგონებას დიდი, განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის: ყველა ეს ამხნევებს, თავის თვალში ამაღლებს, აკეთილშობილებს. ახალ იდეალებს აღმოუჩენს და ენერგიას უმატებს ამგვარ ერსა.

ჩვენის აზრით, სწორეთ ამგვარი მნიშვნელობა აქვს „ვეფხვისტყაოსნის“ კარგათ გამოცემას, აღდგენას და იმის დამწერის გაცნობას.

ამიტომაც აღტაცებით მივეგებებით ჩვენ „ვეფხვისტყაოსნის“ რედაქციის დაარსებასა და სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა ქართველი, რომელსაც კი

რითიმე დახმარება შეეძლება, ამ რედაქციას დაეხმარება, ხელს მოუწყობს იმას და ამნაირად მძიმე ტვირთს შეუმსუბუქებს. ეს საზოგადო საქმეა და საზოგადო საქმეში ყველა ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვისაც ამგვარი საქმე უკისრნია...

[1880 წ.]



აჭარის მდგომარეობა

ტფილისი, 22 ნოემბერს.

ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი ახლად აჭარიდამ დაბრუნებული ნაცნობი კაცი, რომელმაც გადმოგვცა შემდეგი ცნობები აჭარის ხალხის მდგომარეობაზედ:

„აჭარა დღესაც კიდევ იმ ღელვაში და მდგომარეობაშია, როგორც დღემდისინ იყო. ხალხი აღელვებულია თავისი ცხოვრების ცვლილებით. რამდენათაც ახლოვდება დრო იმ სამი წლის შესრულებისა, რომელიც ბერლინის კონგრესმა მათ გადასასახლებლად დაუნიშნა, იმდენათ უფრო სწუხან და ვერაფრით ვერ გადაუწყვეტიათ თავიანთი ბედი: „წავიდნენ, თუ დაბრუნდნენ“.

„წასასვლელათ თითქმის ყველა მომზადებულია და ამთავითვე მზადა აქვსთ აღებული ბილეთები; მაგრამ ორ კაცს ერთათ ვერ ნახავთ, რომ ერთი აზრისა იყვნენ გადასახლებაზედ; აღარც თავიანთ გავლენიან მოლებზე აქვსთ ნდობა; მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე მოლლა წავიდა ამის წინეთ ოსამლოში და ნახეს ოსმალოს გადასახლებულების უძლური მდგომარეობა. იქიდამ დაბრუნებულ მოლლებმა დაუწყეს ქადაგება ხალხს, რომ დარჩნენ და ბედს დაემორჩილონ, რადგანაც აქ, ცხოვრების საშუალებას გარდა, მუსულმანობაც აღარ არისო. იქაური მუსულმანები უფრო გაგიაურებულან, მინამ აქაური გიაურები, თუმცა [რჯული] ნებას არ აძლევს სასმელეულის სმასა, მაგრამ გიაურებზე უფრო ლოთობენო“ და სხვ.

„ამისთანა მქადაგებლებს რუსებისაგან მოყიდულს ეძახიან და ყველა ღირსება დაჰკარგვიათ მათ თვალში.

„თუმც ხალხი ჩვენზე ფანატიკურის შეხედულებით ასე სჯის, მაგრამ ჩვენი მთავრობის აქაურ წარმომადგენლებს შეუძლიათ თავიანთი კარგი მოპყრობით ხალხს აზრი და გული შეუცვალონ დარჩენისათვის.

„ჩვენ, რასაკვირველია, შეგვიძლია ვისურვოთ და მოვითხოვოთ, რომ აქაურ მთავრობის წარმომადგენლებმა რაც შეიძლება ხალხის გული მოისყიდონ, მაგრამ, მაგრამი ეს არის, რომ ზოგიერთები იმისთანები არიან, რომ იმათ არ მოეთხოვებათ ხალხის ბედზე ზრუნვა და ვინც არიან, (თუ დაეჯერებათ), იმითი იმართლებენ თავს, რომ „თევზი თავიდან აყროლდებაო“. ჩვენი თავები ისე გვექცევიან, რომ ხან თავი გამოვდივართ, ხან ფეხებიო; ჩვენ აქ რომელიმე დამნაშავეს საქმე რომ გადავწყვიტოთ, დამნაშავე მირბის ბათომში მოაქვს არაოფიციალური ქაღალდი, რომ ამა და ამ კაცის საქმე ასე გადასწყვიტეთ, ან უბრძანეთ მოწინააღმდეგესაც ბათომში ჩამოვიდესო. კანონი რასაც გვიბძანებს, ისე მოვიქცეთ, ჩვენ გვეშინიან ადგილი არ დავკარგოთ და თუ იმათ ამნაირ ბრძანებას უყურეთ, ხალხი ირყვნება, აღარაფერი არა სჯერათ ჩვენი, ზოგი მასხარათ გვიგდებს, რომ თათრების ჰოქუმათზე უარესი ყოფილა თქვენი ჰოქუმათიო; ყოველთვის მძლავრებისაგან უღონოს დაჩაგვრა თქვენში უფრო შესაძლო ყოფილაო და სხვ.“

„როგორც სჩანს ამ სიტყვებიდამ, ნამეტნავათაც არ შეგვიძლია მარტო ისინი გავამტყუნოთ, რომ ასე გულაცრუებულათ მოქმედებენ.

„თუმცა ამნაირი საყვედურის მთქმელებს არ შეგვიძლია ყველაფერი დაუჯეროთ, რომ იმათი უფროსები ასე თავხედურათ მოქმედებდნენ, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც ამნაირი ერთი გულდამწვარი ნაჩალნიკის ლაპარაკი გვახსენდება, რომელიც ფაქტებით გვარწმუნებდა, რომ მხოლოთ ამისთვის გამომცვალესო, რომ გლეხების საკუთრება ერთ გავლენიან ბეგს არ დაუთმე და გლეხები არ დავაჩაგვრინე და ამისათვის ამ გავლენიანმა ბეგმა ამიბუნტა თავისი კაცები და ჩემზე აჩივლა, რომ ჩვენ ეს ნაჩალნიკი არ გვინდა, გამოგვიცვალეთო...“

უეჭველია, თავ. ლ.ი. მელიქოვი ყველა ამბავს გაიგონებდა და შეიტყობდა ბათომის მაზრაში მოგზაურობის დროს და ამიტომ იმედიცა გვაქვს, რომ ხალხის კანონიერი საჩივარი დაუკმაყოფილებელი არ დარჩება. მით უფრო იმედი გვაქვს ამისი, რომ თ. მელიქოვს, როგორც ჩვენს გაზეთშიაც ეწერა და როგორც კერძოთ გვაცნობებენ, ყველა გარემოება ბათომის მაზრისა და იქაური ხალხის საჭიროება ადგილობრივ ჩინოვნიკებისაგან კი არ გაუცვნია, არამედ საკუთარის თვალით უნახავს და საკუთარის ყურით გაუგონია...

[1880 წ.]



დაბადებამდი სიკვდილი

ტფილისი, 5 დეკემბერს.

ჩვენის გაზეთის გუშინწინდელს ნომერში დაბეჭდილი იყო „მიმოხილვის“ ოფიციალურ რედაქტორისა და გამომცემლის ნინა გაბაშვილის წერილი, რომელშიაც ის აცხადებდა, რომ რადგან ანტ. ფურცელაძე გამოვიდა რედაქციიდამ და სხვებმაც, რომელთაც იკისრეს რედაქციის ხელმძღვანელობა და მონაწილეობა, აქამდის არ წარმოადგინეს არც ერთი სტრიქონი ჟურნალის გამოსაცემად, ამის გამო იძულებული ვარ გამოვაცხადოო, რომ „მიმოხილვის“ რედაქცია წრეულობით სპობს ჟურნალზედ ხელის მოწერასაო“.

ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და, რამდენათაც შევნიშნეთ, საზოგადოთ ყველაზედ, ვისაც ქართულ ლიტერატურის წარმატებისათვის გული შესტკივა, ამ განცხადებამ.

— შეიყრება, ბატონო, ორი-სამი კაცი, რომელნიც თვის გულში დარწმუნებული არიან, რომ რაღაც სულ სხვა პრინციპები და აზრები აქვსთ, რომ ამ პრინციპების ხალხში გასავრცელებლად ცალკე ორგანი, საკუთარი ჟურნალი ან გაზეთი, ეჭირებათ, ააღერენ თავს; წარადგენენ მთავრობასთან თხოვნას ჟურნალის ანუ გაზეთის გამოცემის ნებართვაზედ; მიიღებენ ამ ნებართვას და ბოლოს, როცა გამოცემაზე მიდგება საქმე, ერთი მარჯვნივ იწევს, მეორე მარცხნივ; ეს თანამოაზრე, ერთგვარ პრინციპთა გავრცელების მოსურნე ამხანაგები განზე დგებიან, სულ უბრალო რაზედმე სტყდება ამათ შუა განხეთქილება — და საქმე თავდება იმით, რომ გვიცხადებენ: „ჟურნალი ვეღარ გამოვაო!“

ეს სიტყვები გავიგონეთ ჩვენ ზოგიერთებისაგან, რომელთაც „მიმოხილვის“ რედაქტორის განცხადება წაეკითხათ. და სამწუხაროთ, უნდა გაუტყდეთ, რომ ამ სიტყვებს თავის საფუძველი აქვს.

მართლაც, რაღა თქმა უნდა, რომ ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ახალი მოძმე გვებადება, როდესაც გამოგვიჩნდება ისეთი ჟურნალი ანუ გაზეთი, რომელიც ჩვენს შრომას შუაში გაჰყოფს და იმისთანა სასარგებლო აზრების გავრცელებას დაიწყებს ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც ჩვენ არ მოგვდის თავში, ან ვერ ვახერხებთ. ჟურნალ-გაზეთების გამრავლება, ლიტერატურის გაცხოველება, რასაკვირველია, სასიამოვნო რამ არის.

მაგრამ როგორ არა ვსთქვათ, რომ რამდენათაც კარგათ დაწყებული ლიტერატურული საქმე სასარგებლოა საზოგადოებისათვის, იმდენათვე მავნებელია ესვე საქმე, თუ ის უხეიროდ იწყება და უხეიროთ მიდის.

ზოგიერთი უფრო ახლო ხნის მაგალითები მოვიყვანოთ: ჩვენ გვქონდა ჟურნალი „ცისკარი“ და მოისპო; გამოდიოდა მეორე ჩინებული ჟურნალი — „საქართველოს მოამბე“ და მოისპო, გამოდიოდა აგრეთვე „კრებული“ და ისიც მოისპო; მოისპო „მნათობი“, მოისპო „გუთნის-დედა“ ოქრომჭედლიშვილისა და მეორეჯერ განახლებული ანტ. ფურცელაძისაგან; მოისპო თუ მოსპობას აპირებს „სასოფლო გაზეთი“; ახლა ეს „მიმოხილვა”, რომელიც ჯერ არც კი დაბადებულიყო და ამგვარივე ცუდი ხმები ისმის აგრეთვე მეორე ჟურნალზედაც — „იმედზედ“.

ერთი მითხარით, რა გულით უნდა შეეგებოს ჩვენი საზოგადოება რომელისამე ახალ ჟურნალის ანუ გაზეთის გამოცემას, როდესაც ამგვარ უბედურ მაგალითებსა ხედავს?რა გულით უნდა გაიხაროს იმან ლიტერატურის შემატება, როდესაც ამდენის მაგალითებით თითქმის ნამდვილად იცის, რომ ამ შემატებას ხანგრძლივი სიცოცხლე არ ექნება, რომ ახლად დაბადებული ჟურნალი ანუ გაზეთი ბევრი-ბევრი ერთ-ორ წელიწადს გასძლევს და, შეიძლება, რომ დაბადების უმალვეც კი მიიცვალოს?

ამგვარი მოვლენა ჩვენ მართლა სამწუხარო მოვლენად მიგვაჩნია. სამწუხაროთ უფრო იმიტომ, რომ ამით ჩვენს საზოგადოებას გული უცრუვდება ლიტერატურის საქმეზედ, დროგამოშვებით გამოცემებზედ. „რად გამოვიწერო, რად დავიბაროვო, ამბობენ, დღეს არის, ხვალ აღარ იქნება; ერთი-ორი ნომერი გამოვა და მოისპობაო!“

ამგვარი დაუნდობლობა, ამგვარი შეხედულობა საზოგადოებისა თავის დროგამოშვებით ლიტერატურაზე დიდ ვნებასა და ზარალს აძლევს ამ ლიტერატურას. შეიძლება კარგათ მომზადებულმა პირებმა საფუძვლიანად დაიწყონ რომელიმე ჟურნალისა ანუ გაზეთის გამოცემა, მაგრამ, რადგან წინანდელ გამომცემლებისაგან დროგამოშვებით გამოცემებს სახელი გაფუჭებული აქვს საზოგადოების თვალში, უეჭველია, რომ საზოგადოება ამ საფუძვლიან გამოცემასაც განზე, დაუნდობლად, უიმედოთ დაუწყებს ყურებას და ხელს არ მოუმართავს.

ამიტომაც სასურველია, რომ შემდეგში აჩქარებით და მოუმზადებლად არავის დაეწყოს ჩვენში ამგვარი მძიმე საქმე, როგორც გაზეთის ანუ ჟურნალის გამოცემა. სასურველია, რომ, ვისაც ახალი ჟურნალისა და გაზეთის გამოცემა მოუვა თავში, ჯერ ათჯერ გაზომოს, ათჯერ ასწონოს თავის შეძლება როგორც მატერიალური, ისე ლიტერატურული, ათჯერ მოისაზროს ყველა დაბრკოლება, რომელიც იმას ამ გზაზე მოელის, — და მერე, მხოლოთ მერე შეუდგეს თავის მძიმე განზრახვის შესრულებას. ნუ დაავიწყდება, რომ ამგვარს საქმეში იმის წინდაუხედაობა და აჩქარება მთელი ჟურნალისტიკისა და საზოგადოებისთვის იქნება მავნებელი...

[1880 წ.]



ქალაქის რჩევის უსაქმობა

ტფილისი, 8 დეკემბერს.

ბევრს ლაპარაკობენ ამჟამად იმაზედ, რომ ამ უკანასკნელ ორის კვირის განმავლობაში ორჯერ იყო ქალაქის რჩევის სხდომა დანიშნული და ვერც ერთჯერ ვერ შესდგა, რადგან ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ მოვიდნენ. გაზ. „კავკაზმა“, რასაკვირველია, ჩვეულებრივად ისარგებლა ამ შემთხვევით და მკვახე სიტყვები არ დაზოგა ჩვენის ქალაქის რჩევის სიზარმაცესა და უსაქმობაზედ. სხვებიც სჩივიან, სხვებიც სამდურავს აცხადებენ, რომ ამ გაჭირების დროს, ამ საშინელს სიძვირეში ჩვენი ქალაქის თვითმმართველობა ხელს არ ანძრევს, არაფერს არ აკეთებსო, არ ზრუნავს ღარიბ-ღატაკ ხალხის ბედის შემსუბუქებაზედაო და სხვ. და სხვ.

ჩვენ არ ვამართლებთ ჩვენი ქალაქის გამგეობასა და რჩევას; ვერ ვიტყვით, რომ ამას განსაკუთრებული ენერგია გამოეჩინოს თავის მოვალეობის აღსრულებაში; ვერ ვიტყვით, რომ ის მართლა რიგიანად ზრუნავდეს იმ ხალხის საკეთილდღეოდ, რომალმანც ის ამოირჩია. მართალია, ზოგიერთს შემთხვევაში ჩვენი ქალაქის გამგეობა და, განსაკუთრებით, რჩევა ჩაიკოჭლებენ; დროზედ და ენერგიულად არ ჰფიქრობენ საზოგადოს საჭიროების დაკმაყოფილებაზედ და სხვ.

მაგრამ ხშირად ამ ჩვენს ქალაქის თვითმმართველობას თავის შესაწყნარებელი და გასამართლებელი მიზეზიცა აქვს. პირველი ამ მიზეზთაგანი არის ის, რომელსაც მთელი რუსეთის ქალაქების თვითმმართველობა უჩივის ამჟამად, — ეს გახლავს ერთობ ცოტა უფლება,

ერთობ ვიწრო ასპარეზი, რომელიც ქალაქების თვითმმართველობას კანონით მინიჭებული აქვს.

მართალია, ქალაქებს თითქმის მარტო შინაურული საოჯახო, ეკონომიური საქმეების გამგეობის უფლება აქვსთ. და აქაც უბრალო ნაბიჯის გადადგმა, გროშის საღირალ საქმის გაკეთებაც არ შეუძლიანთ, თუ ადმინისტრაციის ნებადართვა არ ექმნათ.

ეს დამოკიდებულება, ეს უფლების სიმცირე ერთობ ხშირად და ერთობ ბევრ საქმეში აბრკოლებს და გზას უხლართავს ქალაქის თვითმმართველობის მოქმედებას. რა გულით, რა ხალისით უნდა მოინდომოს ქალაქის რჩევამ რისიმე გაკეთება, როდესაც ნამდვილად არ იცის — მოიწონებს ამას სხვა, იმაზე უმაღლესი უფლება, თუ არა? რა ენერგია უნდა მიუძღოდეს იმას თავის საზოგადო მოქმედებაში, როდესაც არ იცის — დაამტკიცებენ იმის წინადადებას, აზრს ანუ დაწყებულ საქმეს, თუ — არა?

გაზეთებში გამოცხადებული იყო ამას წინათ, გრაფ ლორის-მელიქოვმა წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს დასამტკიცებლად ექვსი ახალი პროექტიო; ამ პროექტებში ერთი შეეხებოდა იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ამჟამად ქალაქების თვითმმართველობასა და ადგილობრივ ადმინისტრაციას შუა. ეს დამოკიდებულება ამ ორ დაწესებულებათა შორის ამჟამად ერთობ გაურკვეველი და განუსაზღვრელია; და ამიტომ წარმოსდგება, რომ ამათ შორის ასე ხშირად ხდება ხოლმე უკმაყოფილება და განხეთქილება.

რამდენათაც ვიცით გაზეთებიდამ, გრაფ ლორის-მელიქოვის პროექტი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვროს ქალაქის თვითმმართველობისა და ადმინისტრაციის უფლება და მოვალეობა, განსაზღვროს ამათი ერთმანეთთან დამოკიდებულება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როდესაც ეს პროექტი დამტკიცდება, როცა თითოეულ ამ ორ დაწესებულებათ თავიანთ უფლებისა და მოვალეობის სამზღვარი ეცოდინებათ, როდესაც ქალაქის თვითმმართველობა ერთობ მომეტებულად დამოკიდებული არ იქნება ადმინისტრაციის თვითმშენებლობისაგან, როდესაც ქალაქს შეეძლება თამამად გადადგმა თავის საკუთარ

ნაბიჯისა და ყოველ წამს გარეშე დაბრკოლება არ გადაეღობება, — ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის ქალაქთა თვითმმართველობა, და აგრეთვე ჩვენი ქალაქისაც, ერთი ორად უკეთ წაიყვანს თავის საქმეს, ერთი-ორად უფრო ენერგიულად იმუშავებს, ვიდრე ახლა.

[1880 წ.]



ქუთაისის საოსტატო სემინარია

ტფილისი, 10 დეკემბერს.

ამ ორი დღის წინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ორი საოსტატო სემინარია უნდა გაიხსნას კიდევ ჩვენს ქვეყანაში; ერთი ერევნისა და მეორეც ქუთაისის გუბერნიაში. უუმართებლესის სენატის გარდაწყვეტილებით, ვადა — თუ როდის უნდა გაიხსნას ეს სემინარიები — კავკასიის ნამესტნიკზედ არის დამოკიდებული, რომელმანც სემინარიების შესანახავად საჭირო ფულები (57,000 მანეთამდინ) კავკასიის სამოქალაქო შემოსავლიდამ უნდა დახარჯოს.

ვინც იცის — თუ რამდენი აკლდება ჩვენს სასოფლო სკოლებს და რამდენად ბრკოლდება ჩვენი ხალხის განათლება იმისაგან, რომ ხეირიანი და მომზადებული პედაგოგიაში გაწრთვნილი მასწავლებლები არა გვყავს, ვინც ყველა ეს იცის, უეჭველია დაგვეთანხმება, რომ ამ სემინარიების გახსნა, რომლის დანიშნულება მხოლოთ ის არის, რომ სოფლის სკოლებისათვის რიგიანი მასწავლებელნი მოამზადოს, სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს: ის დაგვეთანხმება აგრეთვე იმაზედ, რომ რაც უფრო მალე გაიხსნება ეს სემინარიები, უფრო სასურველი და სასიამოვნო იქნება.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ჯერ კიდევ საბოლოვოთ გარდაწყვეტილი არ არის — თუ სად უნდა გაიხსნას, სად უნდა დაარსონ ქუთაისის სემინარია: როგორც მოგეხსენებათ, ქ. ქუთაისსა და დაბა ხონს აქვსთ ბრძოლა ამის შესახებ: ერთიცა და მეორეც ცდილობს, რომ იმათსა გახსნას ეს სემინარია, ერთიც

და მეორეც ქიშპობენ ერთმანეთში: მე ამდენს შევსწირავ, თუ გამიხსნიან სემინარიასაო და მე — ამდენსაო; ერთსაც და მეორესაც სულითა და გულით ჰსურთ, რომ ეს პატარა ტაძარი განათლებისა იმათსა იყოს აგებული.

რა თქმა უნდა, რომ ორივეს სურვილი და ნატვრა კანონიერი და საფუძვლიანი ნატვრაა. ვინ გაამტყუნებს ხონს ან ქუთაისს იმისთვის, რომ ერთიცა და მეორეც ცდილობს საოსტატო სემინარიის დასაკუთრებას?

მაგრამ საქმე ამაში როდია; საქმე იმაშია, თუ თვითონ სემინარიისათვის სად ემჯობინება გახსნა: ქუთაისში თუ ხონში?

ადგილობრივ გაზეთებში, და, სხვათა შორის, ჩვენს „დროებაშიაც“ ბევრი იწერებოდა ამაზედ ამ ერთის წლის წინათ, როდესაც პირველად გავარდა ხმა, რომ ქუთაისის გუბერნიაში საოსტატო სემინარია უნდა გაიხსნასო. ჩვენი აზრი მაშინაც ის იყო და დღესაც ეს არის, რომ საოსტატო სემინარიის გახსნა ყოველის მხრით ქუთაისში ამჯობინებს, ქუთაისში უფრო მოხერხებული იქნება, ვინემ დ. ხონში; რომ ქუთაისში სწავლის ყოველგვარი საშუალება, მასალები, თვით მასწავლებლები უფრო ადვილად საშოვნელია, ვიდრე ხონში; რომ შაგირდებისათვისაც, როგორც საცხოვრებელ ალაგსა, მატერიალურის მხრით და აგრეთვე ზნეობითის გავლენის მხრით ქუთაისს უპირატესობა უნდა მიეცეს ხონზედ.

იმედი გვაქვს, რომ კავკასიის სწავლა-განათლების გამგეობა მიიღებს მხედველობაში ყველა ამ საბუთებს, ყველა ამ გარემოებას, რომელნიც ქუთაისს უეჭველ უპირატესობას აძლევენ ხონზედ და ამისდაგვარად გადაწყვეტს ამ საგანს.

[1880 წ.]



ბათომის სკოლა

ტფილისი, 23 დეკემბერს.

ამ ორი კვირის განმავლობაში, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თაოსნობითა და ხარჯით, ბათომში იხსნება პირველი ქართული სკოლა.

სხვაგან რომ სადმე იხსნებოდეს სკოლა, ჩვენ მაგდენ ყურადღებას არ მივაქცევდით; რასაკვირველია, სკოლის გახსნა ყოველთვის და ყველგან სასიამოვნო და სანატრელია; მაგრამ ყველა სკოლის გახსნაზე გაზეთში სტატიების წერა არ არის საჭირო. აქ კი სულ სხვაა. ბათომის სკოლას ჩვენ სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ. და ამიტომ ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ ამ საგანზედა.

ორას წელიწადზე მეტი გასულა, რაც ახლანდელი ბათომის მაზრა დანარჩენ საქართველოს მოშორებია. ორას წელიწადზე მეტია, რაც, შეუბრალებელ დროთავითარების წყალობით, ბათომის მხრის ქართველები მოგვშორდნენ ჩვენ, იმათ თანამოძმეებს. ორას წელიწადზე მეტია, რაც ისინი სხვა პოლიტიკურ გარემოებაში, სხვა მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და ჩვენ — სულ სხვაში.

დიდი და ბევრი ცვლილება მოხდა, ამ ხნის განმავლობაში, იმათშიაც და ჩვენშიაც, მაჰმადიან სახელმწიფოს ხელქვევით მყოფთა, იმათ შეითვისეს რჯული, ენა და ზოგიერთი ჩვეულება ამ სახელმწიფოისა.

ახლა, უფრო ბედნიერ ისტორიულ გარემოებათა მიმადლით, ჩვენ, ერთმანეთისათვის დაკარგული და ერთმანეთისაგან განშორებული ძმები, ისევ შევერთდით, ისევ ერთს ხალხს შევადგენთ.

და ახლა რომ ვხედავთ და ხელახლავ ერთმანეთს ვცნობულობთ, დიდის სიამოვნებით ვატყობთ, რომ, თუმცა ყველაფერში გაურჩეველი ტყუბი ძმები არა ვართ, თუმცა ზოგიერთი განსხვავება ჩამოვარდნილა ჩვენ შორის, მაგრამ ენით, ხასიათით, გულით და ბევრ სხვა თვისებით კიდევ იგივე ძმები ვართ, რაც ადრე ვყოფილვართ.

და თუ ჩვენ შორის კიდევ ცოტაოდენი რამ განსხვავება და გარჩევაა — ამის მოსპობა ძნელი არ არის. მაგრამ რამ უნდა მოსპოს ეს განსხვავება? რა არის ისეთი საშუალება, რომელიც ნამდვილ ძმებად, ერთ დედის შვილად გაგვხდის ჩვენ ჩოლოქის იქითა და აქეთა საქართველოის შვილებს?

ჩვენის აზრით, ერთი უმთავრესთაგანი ამგვარი საშუალება არის ქართული სკოლა.

როგორც ზევით მოგახსენეთ, ბათომის სკოლას სულ სხვა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ამ სკოლამ თავიდამვე, პატარობიდამვე, უნდა ჩაუნერგოს იქაურ მცხოვრებლებს გულში, რომ ისინი და ჩვენ ერთის მიწის შვილნი ვართ, რომ ჩვენ და ესენი ერთს ისტორიულ ბედთან ვართ დაკავშირებულნი, რომ ჩვენ ერთი დედაენა გვაქვს, ერთი სამშობლო ლიტერატურა უნდა გვქონდეს, ერთი ზნე, ერთი ხასიათი, — რომ ერთის სიტყვით, ჩვენ საუკუნოთ განუყრელი ძმები ვართ.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ეს სკოლა სწორეთ ამისთანა იქნება. ბათომის სკოლის გამგებელს — ბ. ნანეიშვილს — კარგათ ესმის ეს მნიშვნელობა ბათომის სკოლისა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თავის შრომასა და მოხერხებას არ დაზოგავს ამ ჩინებულ მიზნის მისაღწევნელად.

ბათომის ადგილობრივ მცხოვრებლებს ჩვენ მხოლოდ ერთსა ვთხოვთ: ნუ დაივიწყებენ, მუდამ იქონიონ მხედველობაში, რომ ეს სკოლა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ თაოსნობითა და საშუალებით იმართება; ნუ დაივიწყებენ, რომ ეს არის წმინდა ქართული სკოლა, ისეთი სკოლა, რომელშიაც ზემოხსენებულ საზოგადოების დამტკიცებულის წესდების ძალით, ყოველგვარი საგნების სწავლა ქართულს ენაზედ იქნება; ვსთხოვთ, ნუ დაივიწყებენ,

რომ ბათომის ქართულ სკოლაში ყმაწვილების რჯულს კაცი არ შეეხება, რომ ამ სკოლაში მაჰმადიან ყმაწვილებისათვის ყორანის საკითხავად და მაჰმადიან რჯულის კანონების მასწავლებლად იქნება საკუთარი მასწავლებელი – მოლლა.

ჩვენ, ქართველებს, კარგათ გვესმის, რომ სარწმუნოება, რჯული სინიდისის საქმეა, ამაში ყოველი კაცი ღმერთის წინაშეა მოპასუხე და არა სხვა ვისმესთან; ჩვენ კარგათ გვესმის, რომ შეიძლება ჩვენ მართლმადიდებელნი დავრჩეთ, ისინი მაჰმადიანები, მაგრამ მაინც ერთმანეთის ძმები ვიყვნეთ. ამიტომ, ვიმეორებთ, ნურავის ნუ ექნება იმის შიში და ეჭვი, რომ ვინმე ეცდება მაჰმადიან ყმაწვილების გაქრისტიანებას, რჯულის გამოცვლას, სკოლა მხოლოდ იმას ეცდება, რომ ასწავლოს რამე ყმაწვილებს, გონება გაუხსნას იმათ, ნამდვილ პატიოსან გზაზე დაყენოს, კაცურ კაცად შეჰქმნას და რადგან ჭეშმარიტია, რომ კაცური კაცი, პატიოსანი და ქვეყნის შვილი შეიძლება ქრისტიანიც იყვეს და მაჰმადიანიც, ამიტომ სარწმუნოებასთან და რჯულთან სკოლას ხელი არ ექნება.

მეორე გარემოება, რომელიც ამბობენ, აგრეთვე აშინებს ბათომის მაზრის ახლადშემოერთებულ ქართველებს, ის უსაფუძვლო და სულელური ხმებია, ვითომც, როგორც სკოლაში სწავლას შეასრულებენ ყმაწვილები და ორიოდე რუსულს ისწავლიან, იმ წამსვე სალდათად მისცემენო. ამგვარივე ხმები ჩვენშიაც იყო დაყრილი: როდესაც თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სოფლის სკოლების გახსნა დაიწყეს, გლეხები პირველად ძალიან განზე გადგნენ, ისინი ამბობდნენ:

,, – არა, შვილოსა, ჯერ სკოლაში უნდა შეიყვანონ ჩვენი შვილები და მერე ლეკრუტადაც წაიყვანებენ! არ მივცემ შვილს ე მაგ რაღაც სკოლაში!“

მაგრამ, ღვთით, მალე დარწმუნდნენ, რომ ეს ხმები სულ ჭორები და მტრისაგან მოგონილი ხმები იყო და ახლა სოფლის სკოლები ყველგან გატენილია შაგირდებით და, საუბედუროთ, ბევრგან იმდენი ადგილიც არა აქვსთ, რომ ყველა მსურველები დაიტიონ.

ამნაირად ჩვენი გულითადი რჩევა ბათომის მცხოვრებლებისათვის ეს არის:

– ნურაფერის გეშინიანთ, ნურაფერი დაგაბრკოლებთ; ეჭვი ნუ გექნებთ, რომ თქვენ შვილებს ან გაქრისტიანება მოელოდეს ან სალდათობა! თამამად მიაბარეთ ბათომის ახალს ქართულ სკოლაში თქვენი შვილები, თუ იმათი ბედნიერება და კაცად გამოყვანა გინდათ...

[1880 წ.]



გავლილი 1880 წელიწადი

ტფილისი, 31 დეკემბერს.

დღევანდელ დღეს, ე.ი. წლის უკანასკნელს დღეს, მუდამ ორგვარი გრძნობა ტრიალებს ჩვენს გულში:

ერთის მხრით, ვგლოვთ გავლილს წელს, რომელსაც დიდის იმედებითა და სასოებით მივეგებენით და რომელმანც ეს იმედები ათასში ერთიც ვერ აგვისრულა, მოტყუებული, პირშიჩალაგამოვლებული დაგვტოვა.

მეორეს მხრით, ახალს, მომავალსა წელიწადს კიდევ მაინც აღტაცებითა და ახალის იმედებით ვეგებებით; გვგონია, რაც შარშანდელმა წელიწადმა ვერ შეგვისრულა, იმას ახალი შეგვისრულებს. ნუგეშს ვაძლევთ ჩვენს თავს, რომ რაც გავლილმა დაგვაკლო, იმას მომავალი მოგვცემს.

რამდენი წელიწადი მიდის, რამდენისაგან ასე მოტყუებული შეიქმნა, რამდენმა საპნის ბუშტად აქცია ჩვენი ჭრელ-ჭრელი, ცოცხალ-ცოცხალი იმედები, მაგრამ მაინც ვერ ვისწავლეთ ჭკუა, გამოცდილება მაინც ვერას გვარგია, კიდევ მუდამ ახალს წელიწადს ახალის იმედებითა და ძველის აღტაცებით მივეგებებით ხოლმე!

ასეთია კაცის ბუნება: ვისაც რაიმე დიდი სურვილი აქვს, ვისაც რისამე შეძენა ჰსურს, ვისაც ბევრი რამ აკლია, ყოველთვის ინუგეშებს თავის თავს, რომ დღეს არა, ხვალ შევიძენ ამასაო, დღევანდელმა დღემ მიღალატა, ხვალინდელი დღე მანუგეშებსო და სხვ. და სხვ.

თუ არ ამგვარი იმედი და ნუგეში, ადამიანის ცხოვრება ერთობ მშრალი, უგემური, საძაგელი ცხოვრება იქნებოდა; არათუ უგემური და საძაგელი, წარმოუდგენელიც იქნებოდა, რადგან დედამიწაზედ მგონი ორი სულდგმულიც არ მოიპოება, რომელიც თავის აწინდელის მდგომარეობის კმაყოფილი იყოს, რომელსაც თავის ბედის, თავის გაუმჯობესობის იმედი არა ჰქონდეს და ამ იმედით არ ცხოვრობდეს...

ჩვენი ბედი და იღბალი, ჩვენი ცხოვრების წაღმა ან უკუღმა დატრიალება რუსეთზედაა დამოკიდებული, რომელთანაც ერთობ მკვიდრათა ვართ შეკავშირებული. ამიტომ ყოველ იმედსა და ნუგეშს ჩვენ იქიდამ მოველით.....

ბევრს რასმეს უქადდა რუსეთის მმართებლობა წელს თავის ხალხსა და ამათში ჩვენც. გრაფ ლორის-მელიქოვის გამინისტრების, გაძლიერების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ეს კაცი ხელმწიფე იმპერატორის შემდეგ ყველაზე პირველი და თვითონ იმპერატორისაგან ყველაზედ უფრო დანდობილი პირი შეიქნა, მთელს რუსეთს იმედი მიეცა, რომ ძველი დრო წავიდა, „ახალი შუქი“ მოეფინა ახლა ჩვენს ქვეყანასაო, ხალხის წარმატების დამაბრკოლებელთ, განათლების გადამღობავთ ძალა და მნიშვნელობა მოაკლდებათო და ამათ მაგიერად რუსეთის ხალხსა და საზოგადოებას მომეტებულის თავისუფლების მონიჭება უნდა მოელოდეს, კანონიერი მოთხოვნილება და აუცილებელი საჭიროება ამ ხალხისა და საზოგადოებისა, სუყველა თუ არა, ცოტათი მაინც დაკმაყოფილდებაო, — ერთი სიტყვით, რუსეთი ნამდვილს წარმატების გზას დაადგებაო.

ზოგიერთი ისეთი ნიშნებიც იყო, რომელიც თითქო მართლა ნებას აძლევდა რუსეთის ხალხს, რომ ეს იმედები აუსრულდებოდა: მწერლებს, ჟურნალ-გაზეთებს მიეცა მომეტებული თავისუფლება თავის აზრის გამოთქმისა: ზოგიერთი დაწესებულებანი, რომელთაც ხალხი არ თანაუგრძნობდა, გაუქმდა; ბევრი წილი პოლიტიკური დამნაშავეებისა გაანთავისუფლეს ციხეებიდამ და პოლიციის ზედამხედველობიდამ; ხალხის წარმომადგენლების აზრსა და მოთხოვნილებას მომეტებული ყურადღება მიაქციეს; სწავლა-განათლების საქმეს თითქო უფრო რიგიან გზაზედ აყენებდნენ და სხვ. და სხვ.

მაგრამ საქმე ამით გათავდა. ერთს მშვენიერს დილას გრაფ ლორის-მელიქოვმა მოიხმო პეტერბურღის უმთავრესს ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და გამოუცხადა იმათ:

— ერთობ ფართოდ ნუ გაშლით ფრთებს, ერთობ მომეტებულს ნებას ნუ აძლევთ თქვენს ოცნებას, ერთობ ბევრს იმედებს ნუ ინერგავთ გულში! ერთს დღეს ქვეყანა არ აშენდება!

მას აქეთ რუსეთის ცხოვრებას, თუმცა ძველებური მძიმე უღელი არ აწევს კისერზე, თუმცა ცოტათი უფრო თავისუფალი სუნთქმა მიეინჭა, მაგრამ ეს ცხოვრება კიდევ მაინც ბევრს მოელის. ბევრის გაუმჯობესობის იმედი აქვს, ბევრს ცვლილებას შეჰნატრის.

ჩვენ? ჩვენ ეს ზემოხსენებული შუქი თითქმის სრულიად არც კი მოგვკარებია... ისევ იმავე მდგომარეობაში ვართ, ისევ იმ იმედებით ვინუგეშებთ თავს, როგორც შარშან ამ დღეს...

ერთი რუსული ანდაზა ამბობს: „ღვთის იმედი გქონდეს, მაგრამ ნურც შენ დააღებ პირსაო!“ ამის არ იყოს, მთავრობის იმედი, რასაკვირველია, უნდა გვქონდეს, მაგრამ არც ჩვენ უნდა შევყურებდეთ იმას პირღია — აბა როდის ინებებს და გემრიელ ხაჭაპურებს ჩაგვიგდებს ამ გაღებულს პირშიო...

[1880 წ.]



საახალწლო მოლოცვა

ტფილისი, 31 დეკემბერს.

ყველა, ვისაც კი ეს ფურცელი ჩაუვარდება დღეს ხელში, ყველა გახარებული იქნება, ყველას სადღესასწაულო სახე ექნება და სადღესასწავლო ტანისამოსი ეცმება, ყველა პირველ დანახვაზედვე მოელის შენგან უთხრა:

— მომილოცავს ახალწელიწადი! ღმერთმა მრავალ ამ დღეს დაგასწროთ მშვიდობით და ბედნიერად!

ამგვარსავე მოლოცვას მოელის ყოველი ჩვენი მკითხველი თავის გაზეთისგანაც, რომელიც ისეთივე მოსაუბრე მეგობარია, თუ უფრო მეტი არა, მკითხველისათვის, როგორც საზოგადოთ კაცი კაცის მეგობარი იქნება.

ჩვენც არ დავიშურებთ საერთოდ ყველა ჩვენის მკითხველისათვის ამგვარ მოლოცვას. ბრწყინვალე და ჩინებული დღეა დღეს, არავის არ გვინდა ვაწყენინოთ და ამიტომ ყველას ერთობით გეტყვით:

— მოგვილოცავს დღევანდელი დღე! მრავალ ჟამიერ იყოს თქვენი ბედნიერად ცხოვრება!

მაგრამ... უ-მაგრამოთ ხომ ჩვენ, მწერლებს, სიტყვის თქმა არ შეგვიძლია... მაგრამ ეს დღეგრძელობა და ბედნიერი ცხოვრება ღმერთმა ყველაზე უფრო მომეტებულად იმას მიანიჭოს, ვინც დღეს, ხვალ, მთელის წლის, მთელის თავის სიცოცხლის განმავლობაში მარტო თავის კუჭისათვის არ ზრუნავს, ვისაც ყოველთვის და მუდამ თავის დაჩაგრული მოძმე და ქვეყანა ახსოვს და ამის კეთილდღეობისათვის იღწვის... ჩვენი ახლანდელი ცხოვრება ისეა მომართული, რომ ამგვარი ხალ-

ხი თითქმის ყველასაგან დევნულია, ესენი ათასში ერთხელ თუ იგემებენ ცხოვრების სიტკბოებას, უნაკლულო სიცოცხლეს, დიდები, რომელთაც ხელთ უპყრიათ ქვეყნის ძალა და უფლება, ამათ სდევნიან და თვითონ ესენი კი მხოლოთ იმაში პოულობენ ნუგეშსა, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, ქვეყანა იცნობს იმათ და შრომისაგან დაბებრებულს ხელს გაუწვდენენ მადლობის გადასახდელად... ეს ზნეობითი კმაყოფილება ყველა სხვა კმაყოფილებაზე უფრო სანატრელი კმაყოფილებაა და ყველა სხვა ნუგეშზე უფრო სასურველი ნუგეში...

აი ამათ, ამგვარ კაცურ-კაცთ ეჭირება ჩვენგნით და ყველასგნით მოლოცვაც და დალოცვაც; ამათი დღეგრძელობა, მხნეობა და ერთხელვე არჩეულს გზაზედ მაგრად დადგომა უნდა ვინატროთ ჩვენ.

თორემ, ვინც ბედისაგან უიმისოთაც დაჯილდოებულია, ვისაც მაძღარი კუჭი აქვს და უდარდელი გული, ვინც ქვეყნისა და ხალხისთვის იმდენს ზრუნავს, რამდენსაც მე ეხლა შარშანდელ თოვლისათვის, ამათ რაღა ბედნიერება ეჭირებათ? თავის აზრით, თავის გუნებაში ესენი ახლაც ბედნიერები და კმაყოფილნი არიან, რადგან განგებას ამათთვის სავსე სუფრა დაუმზადებია და, გარდა სუფრისა, ესენიც სხვაზე არაფერზე არა ზრუნავენ...

მაგრამ გავიხსენოთ, რომ დღეს ახალწელიწადია და დრო არ არის ამგვარ საგნებზე ლაპარაკისა და ქადაგებისა. დღეს ყველას მხოლოთ „შვება-ლხენა“ გვმართებს და საერთოდ, ყველასი ტკბილის სახით, ტკბილის სიტყვით მიგებება:

— მოგვილოცავს ახალწელიწადი!

[1880 წ.]

1881 წელი



ორიოდე სიტყვა „კავკაზს“

ტფილისი, 3 იანვარს.

ერთი ქართული არაკი არის, რომელიც მოგვითხრობს, რომ ერთი ვიღაც საძაგელი და ავი კაცი ყოფილა, რომელსაც მთელი ქვეყანა წყევლიდა და მოუთმენლად ნატრობდა იმის სიკვდილს. ბოლოს ეს კაცი მოკვდა. მაგრამ იმას დარჩა შვილი, რომელიც ერთიორად უფრო ავი და ქვეყნის მავნებელი კაცი გამოდგა, ვინემ მამამისი იყო.

როდესაც შვილს ჰკითხეს — რად იქცევი ბოროტათაო? უპასუხა: მინდა მამაჩემი მოაგონდეს ქვეყანას და ჩემთან შედარებით კეთილად მოიხსენონო.

მართლაც, შვილისაგან შეწუხებული და მობეზრებული ხალხი, მამას კეთილად იხსენიებდა: ისევ ის აცხონოს ღმერთმა! ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ასე მაინც არ შეაწუხებდა ქვეყანასაო, ამდენ საძაგლობას, ის არ ჩაიდენდაო!

სწორეთ ეს არაკი გვაგონდება, როდესაც გაზ. „კავკაზის“ ახლანდელ რედაქციას ვხედავთ: როდესაც ამ გაზეთის რედაქტორებად სლივიცკი და შემდეგ სტალინსკი იყვნენ, თავიანთ სულიერ წერითა და უაზრო აზრებით ხშირად გვანატრებდნენ ხოლმე — როდის იქნება, რომ გაზეთმა ამგვარი რედაქტორები მოიშორონ თავიდამ და ერთი ხეირიანი კაცი აღმოჩნდეს ამის პატრონად-მეთქი.

სლივიცკი და სტალინსკი წავიდნენ, მაგრამ ვაის მაგიერად უის შევეყარეთ, თუ იმათ წერაში ბევრი ხეპრე და უხეირო აზრები იხატებოდა, ახალის რედაქტორის ბატ. ვორონოვის და განსაკუთრებით, იმის მოადგილის ვიღაც კაბიაკოვის წერაში ბევრი ისეთი

აზრები მოიპოვება, რომელიც კეთილსინდისიან კაცის ნაწარმოებად არ ჩაითვლება და რომელიც ძალაუნებურად გვათქმევინებს ხოლმე: ისევ ის ძველი რედაქტორნი სჯობდნენ! იმათგან მხოლოთ სისულელე გამოდიოდა, ამათგან კი სისულელეზე უარესი!

ჩვენის სიტყვების დასამტკიცებლად მოგიყვანთ ერთს მაგალითს, რომლიდამაც ცხადად დაინახება — თუ რა მიმართულება, რა განზრახვა აქვს ამ გაზეთს და რა არა სურნელოვანი სუნი ასდის ამ მიმართულებათა და განზრახვებს.

გავლილ შემოდგომაზე ჩვენმა ქალაქმა გახსნა თავის ხარჯით სახელოსნო სასწავლებელი და პირველდაწყებითი სკოლა. რადგან პირველდაწყებით სკოლაში რუსის, ქართველის და სომხის ბავშვები მოგროვდნენ, ამის გამო ეს პირველდაწყებითი სკოლა სამ განყოფილებად ანუ უკეთ ვსთქვათ, სამ თითქმის სულ განსაკუთრებულ სკოლად შეიქნა: ქართველი მასწავლებელი ასწავლის ქართულად, რუსებს რუსი რუსულად და სომხებს სომეხი სომხურად.

ვისაც ცოტა რამ მაინც ესმის პედაგოგიისა, ვისაც ტვინი აქვს და გაეგება, რომ ახლად მოსწავლე ყმაწვილს მხოლოთ თავის სამშობლო ენაზე შეუძლიან სწავლის მიღება, იმისთვის ამგვარი წესის შემოღება ქალაქის სასწავლებლებში, რასაკვირველია, სასიამოვნო და ადვილად მისახვედრი იქნებოდა.

მაგრამ გაზ. „კავკაზის“ მწერლები ასე ჰფიქრობენ: თავიდამვე ამ სიბრძნით გატენილ გაზეთს როგორღაც არ მოეწონა ამგვარად დაყოფა ყმაწვილებისა, ამგვარად სამშობლო ენაზედ სწავლა და რამდენჯერმე თავის მძიმე ფარ-ხმალით გამოილაშქრა ზემოხსენებულ სასწავლებლებისაკენ. ჯერ ადვილად გასაგების ბოროტგანზრახვით დაბეჭდა, რომ საქალაქო სკოლაში რუსებს არ იღებენო; ქართველები და სომხები კი სწავლობენ ამ სკოლებში და რუსის განყოფილებაში კი თითქმის სულ არ არიან ყმაწვილებიო.

გაზეთს ცხადათ დაუმტკიცეს, რომ ეს ტყუილი იყო; დაუმტკიცეს რომ რუსის განყოფილებაში დანიშნულზე მეტიც ყმაწვილები იყვნენ.

ახლა გავლილ წლის უკანასკნელს ნომერში ამ გაზეთის დროებით რედაქტორმა ბატ. კაბიაკოვმა წამოიყრანტალა, რომ საქალაქო სკოლა იღუპებაო, ყმაწვილები ერთმანეთს ხოცვენო, ყოველგვარი უწესობა სუფევს იმაშიო და ყველა ეს იმის გამო წარმოსდგებაო, რომ ქართველ ყმაწვილებს ქართულად ასწავლიან, რუსებს რუსულად და სომხებს სომხურადაო! „ამგვარი წესი წინააღმდეგია თანამედროვე პედაგოგიის მოთხოვნილებისაო!“ „არსად არ წასულა ასეთი სკოლაო (ესე იგი ისეთი სკოლა, სადაც ყმაწვილებს თავის სამშობლო ენაზედ ასწავლიდნენ?!) არც ავსტრიაში, არც შვეიცარიაში და არც ამერიკაშიო!“

რა უნდა ვუთხრათ, რა უნდა ჩავაგონოთ იმისთანა ხალხს, რომელიც ამგვარ რამეებს ჰქადაგებს საქვეყნოთ? რა უნდა ველაპარაკოთ იმისთანა გაზეთს, რომელიც ბრძნულის სახითა და სითამამით გამოდის ლიტერატურის ასპარეზზე და ჰყვირის: არსად არ ნახულა, რომ ყმაწვილებს სამშობლო ენაზედ ასწავლიდნენო?!

მაგრამ არც მაგისთვის დაგვიწერია ჩვენ ეს შენიშვნა, რომ გაზ. „კავკაზთან'' ბაასი და პოლემიკა გაგვემართა. ჩვენი განზრახვა მხოლოთ ის იყო, გვეჩვენებინა მკითხველისათვის — თუ სადამდინ მიაღწევს ზოგიერთ პირების გონებითი დაბრმავება, თუ რაგვარი დასის ხალხი გაჩნდა სამწუხაროთ ჩვენში და რა მიმართულება, რა განზრახვა აქვსთ ამათა...

ღმერთო, უარესისაგან დაგვიფარე!

[1881 წ.]



ცნობა რუსთაველზედ

ეს ფრიად საინტერესო ცნობა რუსთაველზედ მიღებულია თ. გიორგი ჯორჯაძის მეუღლის ეკატერინესაგან, თ. ათანასე მაყაშვილის ასულისაგან. თვითონ მკითხველი მიხვდება, — თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამგვარ ბიოგრაფიულ ცნობებს ჩვენ დიდებულ პოეტზედ და ამიტომ პირდაპირ მოგვყავს ქ-ნი ეკატერინეს წერილიდამ ის ადგილები, რომელიც ამ საგანს შეეხება:

„ორმოცდათვრამეტში ვიპოვე მამიჩემის წიგნებში ერთი რვეული, რომლიდამაც გადმოვწერე შემდეგი:

„გრემის ქალაქსა შინა იზრდებოდნენ ყმაწვილები, სადაცა იყო დიდი პალატი. იმათა ჰყვანდათ ათინიდამ ოთხი ბერი, ყოველთ სიბრძნით განვითარებულნი. სწავლობდა სამასი ყმაწვილი. ამ სამას ყმაწვილში აღიზარდა რუსთაველი და ორბელიშვილი. რუსთაველი მოიყვანა თავისმა ბიძამ თორმეტის წლისა, ორბელიშვილი თერთმეტისა.

„ერთმა ბერმა საკუთრათ დაუწყო ზრდა ორბელიშვილს, რუსთაველს და ორიც იმათთან იყო სხვა ყმაწვილი.

„ამათ შეისწავლეს ყოველი სიბრძნე. თექვსმეტის წლისა იყო, გადაიყვანეს იყალთოს ხვთაების პალატში.

„თვით იმავე ბერმა წაიყვანა ეს ოთხი ყმაწვილი ათინაში.

„ოცდაორის წლისა დაბრუნდა გამოჩენილი სწავლით. არანაკლებ იყო რუსთაველზედ ორბელისშვილი სიბრძნით და სწავლით, გულოვნებით და მშვენიერებით სჯობნიდა ორბელიშვილი“.

ამაზედ მეტი იმ რვეულში ვერა ეპოვნა-რა, ან რა წელს მოხდა იმათი ათინაში წაყვანა, და როგორც ახსოვს ქ-ნს ეკატერინას დედას (ელენეს, ათანასის ქვრივს), პლატონ იოსელიანის წიგნი მოსვლოდა იმათ მამას ათანასეს, რომელშიაც ეთხოვნა ის რვეული, როგორც სასარგებლო წიგნი საქართველოს ისტორიისათვის, და შემოეთვალა, რომ ბატონისშვილს გაუგზავნის, დაბეჭდინებს და აღარ დაიკარგებაო. ამ თხოვნისაებრ მაშინათვე გაეგზავნა ეს რვეული პლატონისათვის, და მას შემდეგ რა იქნა, ვის ხელში ჩავარდა ის წიგნი, კაცმა არ იცის.

[1881 წ.]



„მეცამეტე გოჯები“

ტფილისი, 7 იანვარს.

ამ წლის „კავკასის“ მეორე ნომერში დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქტორთან:

„წავიკითხეთ რა ქართული გაზეთის „დროების“ №254 წინა სტატია ამ გაზეთის რედაქტორის ს. მესხისა და ამასთანავე კავკასიის სამასწავლებლო მაზრის [მზრუნველის] ბ. იანოვსკის პასუხი ამ სტატიაზედ დაბეჭდილი „კავკაზის“ №348-ში, ჩვენ ჭეშმარიტების აღსადგენელად ამით ვამტკიცებთ:

1. რომ ბ. იანოვსკის, ახალ-სენაკის ნორმალური სკოლის დახედვის დროს, არასოდეს არ უთქვამს მასწავლებლის ბატ. ლომინაძისათვის ის სიტყვები, ქართველების შესახებ, რომელსაც მას ს. მესხი აბრალებს და

2. რამდენადაც ჩვენ ვიცით, სამეგრელოს ხალხს ყოველთვის ჰსურდა და ახლაც ჰსურს, რომ რუსული ენა ქართულთან ერთად ასწავლონ იმათ შვილებს სკოლაში შესვლის პირველ დღიდამვე და ამ შემთხვევაში ის (ე.ი. სამეგრელოს ხალხი) სრულებით არ არის ს. მესხის აზრისა“.

სენაკის უეზდის უფროსი ბებურიშვილი
სენაკის განყოფილების მომრიგებელი-
მოსამართლე ვ. ბერიძე
დეპუტატი დ. ახალ-სენაკისა ლუკა ჟვანია

30 დეკემბერი დ. სენაკი.

ამ საგანზედ ჩვენ გვინდოდა გვეთქვა ორიოდე სიტყვა იმ პასუხში, რომელიც ბ. იანოვსკის სტატიის

შესახებ დაიბეჭდება. მაგრამ, რადგან ამ პასუხმა სხვადასხვა ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზებით დაიგვიანა, იძულებული ვართ, ახლავე ცალკე პასუხი მოვახსენოთ ზემოხსენებულ მოწმეებსა.

ყველაზე პირველად ბატ. სენაკის უეზდის უფროსსა და მომრიგებელ მოსამართლეს უბრალო ლიტერატურული კანონი და მოთხოვნილება უნდა ვასწავლოთ: როდესაც ავტორს არ მოუწერია თავის სტატიაზე სრული თავის სახელი და გვარი, არავის არა აქვს უფლება, რომ ეს ავტორის ვინაობა გამოააშკარავოს. „ბ. იანოვსკისადმი ღია წერილის“ ბოლოს ს. მესხს ხელი არ მოუწერია და უეზდის უფროსმა და განსაკუთრებით მომრიგებელ მოსამართლემ უნდა იცოდნენ, რომ იმათ არ ჰქონდათ უფლება ეთქვათ, რომ ეს წერილი ს. მესხმა დასწერაო. ამას იმიტომ როდი ვამბობთ, რომ ს. მესხს ეშინოდეს ამ შემთხვევაში თავის ვინაობის გამოცხადებისა; სრულიადაც არა, ვამბობთ იმიტომ, რომ ეს წესია და წესის დამცველებს არ ეპატიებათ ამის უცოდნელობა; ვამბობთ კიდევ იმიტომ, რომ ზოგიერთ კაცებისაგან გვაკვირვებს, რომ თავიანთ მოქმედების გამოაშკარავება ასე ეჯავრებათ და იქ კი, სადაც მათ არავინ არასა ჰკითხავს, მეტიჩრობას სჩადიან და რაღაცას აყრანტალებენ.

ახლა თვითონ ბბ. ბებურიშვილისა და ივ. ბერიძის მოწმობაზედ ვილაპარაკოთ.

განა ბ. გ. ბებურიშვილო და ივ. ბერიძე, ისეთი პირები ბრძანდებით თქვენ, რომ რასაც ბრძანებთ, რასაც იტყვით, დაუმტკიცებელად უნდა დაგიჯეროს ქვეყანამ, არავინ ეჭვი არ უნდა შეიტანოს თქვენს სიტყვაში?

რატომ იმას არ ამბობთ: დაესწარით თქვენ იმ დროს სკოლაში, როდესაც ბ. იანოვსკი იყო იქ? ანუ დაესწარით თქვენ ახალსენაკის სასტუმროში, როდესაც ბბ. იანოვსკი და მასწავლებელი ლომინაძე სადილს სჭამდნენ?

რატომ სხვა დროს არასოდეს არ გამობრძანებულხართ სალიტერატურო ასპარეზზე?.....

„ჭეშმარიტების აღსადგენელად ვაცხადებთო!“ მოდი ნუ გაგეცინება, როდესაც ამას ამბობს ბ. გიორგი ბებურიშვილი! ვინ გიორგი ბებურიშვილი და ვინ ჭეშმარიტება?! ვიღაც მესამე პირიც მოუნახავთ — ჟვანია. რატომ ასი მაგისთანა მაჩანჩალა არ მოიყვანეთ, გვიკვირს!..

ყველა ამას გარდა თქვენ, ბატონებო, ახალსენაკის მაზრის უფროსო და მომრიგებელ მოსამართლევ, თქვენს მოწმობას „დროების“ წინააღმდეგ კიდევ იმიტომ არა აქვს არავითარი ძალა და მნიშვნელობა, რომ თქვენი სახელი და გვარი და თქვენი მოქმედება არაერთხელ ყოფილა არასაქებურად მოხსენებული ამ გაზეთის ფურცლებზე, და ამიტომ ჩვენ მოსისხლე მტრად ითვლებით. და, თუ უეზდის მმართველმა გ. ბებურიშვილმა არა, მომრიგებელ მოსამართლემ ივ. ბერიძემ მაინც უნდა იცოდეს, რომ ამგვარი პირების მოწმობა გროშ-კაპეიკად არა ღირს, ყურადღებაშიაც მისაღები არ არის.

რაიცა შეეხება მეორე მუხლს თქვენის წერილისას, რომ „სამეგრელოს ხალხს ჰსურსო სკოლაში შესვლის პირველ დღიდამვე ისწავლოს რუსულიო“. ამ თქვენგან თქმულს მაინც ვერ დავიჯერებთ: ვერ დავიჯერებთ იმიტომ, რომ ვიცით, სამეგრელოს ხალხში თქვენ ამაზედ არავითარი ცნობა არ მოგიკრებიათ, კიდევ იმიტომ, რომ, რამდენათაც მე ვიცი, ხალხი ისეთის მხრით გიცნობს, რომ მართალს და თავის გულის საწადელს ის თქვენ თავის დღეში არ გეტყვისთ.....

[1881 წ.]



წმ. ნინოს დღეობა

ტფილის, 13 იანვარს.

ქართველთ ეკკლესია და ქართველი ერი დღეს, 14 იანვარს, თავის განმანათლებელის, ქრისტიანობის სხივის მომფენის დღეობას დღესასწაულობს.

დიდებული, საუკუნოთ ღირსსახსოვარი დღეა ეს დღე ჩვენთვის. წმ. ნინოს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლიდამ და იმისაგან ქრისტეს სწავლის გავრცელებიდამ იწყება ჩვენი ერის ნამდვილი მოქალაქობრივი, კაცობრიული, სახელმწიფოებრივი ცხოვრება და წარმატება.

ყველა ხალხებში ასე ყოფილა: ქრისტიანობას ყველგან შემოუტანია კაცური ცხოვრება, ერის წარმატება და ყოველის კეთილისადმი ლტოლვილება.

ღირსშესანიშნავია, რომ ეს დიდებული საქმე საქართველოში ქალს ერგო ხვედრად. განგებამ ქალი გამოგზავნა ჩვენში ქრისტიანობის გასავრცელებლად და წარმატების გზაზე დასაყენებლად.

ქალს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონია ჩვენს წარსულს ისტორიულ ცხოვრებაში. როგორც ღვთის სიტყვის ძლიერება, როგორც ზნეობითი სწავლა წმ. ნინომ გაავრცელა ჩვენში, ისე სახელმწიფო ძლიერება და ერის ღონე გაავრცელა, დაამყარა ჩვენში მეორე დიდებულმა ქალმა – თამარ დედოფალმა. ჩვენი ძველი ქალები თავდადებულნი იყვნენ მამულისათვის; ისინი ამხნევებდნენ მტრის წინააღმდეგ მამულის დასაცველად ლაშქარში მიმავალს ქმრებსა და ძმებსა; ხალხის ზნეობას ისინი იცავდნენ; ისინი იყვნენ საუკეთესო მწიგნობარნი; იმათი ქველმოქმედება, იმათი მტკიცე ზნეობა, იმათი შეურყეველი მხნე ხასიათი ამხნევებდა მამაკაცებსა და ერთიორად მომეტებულ ენერგიას აძლევდა ამათ სამშობლოს, ერის და რჯულის დაცვისათვის.

ამისთანანი იყვნენ ჩვენი ძველი დედები და დანი. ჩვენდა საუბედუროთ, ახლანდელ დროში ჩვენ ვერ ვხედავთ იმისთანა დედებსა და დათ. ახლანდელ ქალებს თითქმის ყველაფერს სამშობლოზე გული აცრუებული აქვსთ. აღარ სწამთ ახლანდელ ჩვენ ქართველ დედებსა და დებს არც ქართული ენა, არც სამშობლო მწიგნობრობა, არც ქართველური ზნეობა და ქველმოქმედება.

ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ამისა, ჩვენის აზრით, ის არის, რომ ახლანდელს ჩვენს საქალებო სასწავლებელში სამშობლო ენისა და არც სხვა არაფრის სამშობლოის ცოდნას თითქმის არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული და მოგეხსენებათ, რომ რასაც პატარაობიდამვე ჩააგონებ და ასწავლი ადამიანს, ბოლომდინ დიდობაშიაც ის გაჰყვება.

მაგრამ იყო დრო, და ამ დროს აქეთ დიდი ხანი არ გასულა, როდესაც სამშობლო ენის შესწავლას ჩვენს საქალებო სასწავლებლებში უფრო მომეტებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული და უფრო მეტს მნიშვნელობასაც აძლევდნენ, ვინემ დღეს.

თ. დ. გ. ერისთავმა გადმოგვცა ჩვენ ამ დღეებში მთავარ-მმართებლის თ. მ. ს. ვორონცოვის მეუღლის კნეინა ელისაბედის წერილი იმის მამასთან თ. გიორგი ერისთავთან მიწერილი, რომელიც ყველაზე უფრო ცხადათ ამტკიცებს ზემო მოყვანილ ჩვენს სიტყვებს.

აი ეს წერილი სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნილი ქართულად:

„ დღეს 2 $^1/_2$ საათზე იქნება წმ. ნინოს ზავედენიაში ქართულის ენის ეგზამენი. ჩემი დასწრება იქ ამ ეგზამენის დროს, სრულიად უსარგებლო იქნება. მაგრამ, რადგანაც მინდა შევიტყო, როგორ შეისწავლეს ქალებმა თავისი სამშობლო ენა, ამიტომაც გთხოვთ პატივცემულო კ-ზო გიორგი დავითის–ძევ, თქვენ დაესწროთ იმ ეგზამენზედ.

კნ. ელისაბედ ვორონცოვისა.

ორშაბათი, 18 დეკემბერს, 1850.“

ამ ჩინებულ წერილს განმარტება და ახსნა არ ეჭირება. ცხადათა სჩანს, თუ რა ყურადღებას აქცევდა

უმაღლესი მთავრობა მაშინ სამშობლო ენის შესწავლას. რამდენათაც ჩვენ შეგვიტყვია, ვორონცოვის დროს წმ. ნინოს ზავედენიაში ქალებს არ იღებდნენ, თუ იმათ თავიანთ სამშობლო ენაზე წერა-კითხვა არ იცოდნენ.

ახლა? ახლა ამავე წმ. ნინოს ზავედენიაში ქართულის ენისათვის კვირაში ერთი საათია დანიშნული და მაშინაც რამდენსამე კლასს ერთად მოუყრიან თავს და ისე ასწავლიან. ზავედენიის უნცროსს კლასებში ასწავლის ვიღაც ქალი რომელმანც თვითონაც არ იცის ეს ენა. უფროსს კლასებში კი ასწავლის ბ.ბ. იოსელიანი.

მაგრამ კარგი მასწავლებელნიც რომ იყვნენ, კვირაში ერთის საათით, რის გარიგება შეუძლიანთ, რა უნდა ასწავლონ? ქართულის მასწავლებელი შტატის მასწავლებელი არ არის, იმას ჯამაგირი სხვებზე ნაკლები ეძლევა, პედაგოგიურ რჩევაში თითქმის ხმა არა აქვს და ყველა ამის წყალობით ნაყოფიც სამშობლო ენის სწავლებას შესაფერი გამოაქვს:

ქართველ ქალებს თითქო ეთაკილებათ, რცხვენიათ თავის სამშობლო ენაზედ ლაპარაკი და წერა და ისე სუსტათაც იციან ქართული, რომ ჩათვლით ჰკითხულობენ და მშობლებისათვის უბრალო წერილის მიწერაც კი ეძნელებათ!

წმ. ნინოს დღეობამ, ჩვენმა საერო დღესასწაულმა მოგვაგონა ჩვენ დღეს ეს წმ. ნინოს ზავედენია და იმაში სამშობლო ენის სწავლების მდგომარეობა. ვისურვებთ რომ შემდეგში ამ ბრწყინვალე და დიდებულ დღის სახსოვრად დაარსებულს სასწავლებელში ისეთი წესი დაედგინოსთ სამშობლო ენის შესწავლის შესახებ, რომ ასე გულნაკლულად არ მოგვეხსენებინოს იმისი სახელი...

[1881 წ.]



ჩვენი ექიმები

ტფილისი, 16 იანვარს.

კარგი ექიმი თითქმის ისეთსავე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ხალხისათვის, როგორც მღვდელი და მასწავლებელი. როგორც კარგი მღვდელი გამკურნებელია ადამიანის სულისა, როგორც კარგი მასწავლებელი აღმზრდელი განმაკურნებელი და სწორგზაზე დამყენებელი ტვინისა, გონებისა, სწორეთ ისე კარგი ექიმი განმკურნებელი და დამცველია ადამიანის სხეულისა, ჯანმრთელობისა.

საუბედუროთ, ამჟამად ჩვენ ვერც ერთით ვერ დავიტრაბახებთ: ჯერ არც ხეირიანი მასწავლებელნი გვყვანან, არც სულიერი მამები და ხორციელი ექიმები. მაგრამ დღეს ჩვენ მხოლოთ ჩვენებურ ექიმებზედ გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ.

ექიმი, რასაკვირველია, ყოველთვის საჭიროა კაცისათვის, რადგან ავათმყოფობა ყველგან და ყოველთვის არის. მაგრამ უექიმობა ყველაზე უფრო აშკარად დაეტყობა რომელსამე ქალაქსა ანუ მაზრას, როდესაც ამ ქალაქისა ანუ მაზრის მცხოვრებნი, სხვადასხვა გარეშე გარემოებათა წყალობით, უფრო ხშირად ხდებიან ხოლმე ავათ. მაგალითად, ზამთარში, როდესაც ხშირად ცივდებიან, შიმშილობის ანუ სიძვირის დროს, როდესაც ღარიბი ხალხი ცუდ საჭმელსა სჭამს, რომლისამე გადამდებ ანუ მოარულ ავათმყოფობის დროს და სხვ. და სხვ. აი ამისთანა დროს ეჭირება ხალხს ბლომად და კარგი, მცოდნე ექიმები.

მაგრამ ჩვენში ამისთანა საზოგადო გაჭირების დროისათვის კი არა, ჩვეულებრივ, ჯანმრთელობის

დროსთვისაც არ არიან საკმაო ექიმები. ჩვენს მკითხველს ამ გაზეთის ფურცელზე, უეჭველია, არაერთხელ უნახავს ხან ერთის მხრიდამ და ხან მეორედგან საჩივარი, რომ ექიმი არა გვყავსო, ხალხი უპატრონოთ იხოცებაო, ყურის-მგდებელი და დამრიგებელი არავინ მოგვეძევაო და სხვ.

ჯერ ჩვენს დიდ ქალაქშიაც, სადაც ასზე მეტი ექიმი ითვლება, ჯერ აქაც ვგრძნობთ უექიმობას, — რაღა უნდა იყოს მაზრაში, სადაც ოცდაათი ათას მცხოვრებლებში, რამდენიმე ასი ვერსის სივრცეზე გაფანტულებზე, მხოლოთ ერთი ექიმი ითვლება და ისიც ისეთი, რომელსაც ხშირად ხალხის ენა არ ესმის, რომელმანც ხალხის საჭიროება, ხასიათი, ჩვეულება და ცხოვრება არ იცის, რომელიც პეტერბურღიდამ გადმოვარდნილა და სადმე მიყრუებულს უეზდში მსახურებს!

მაგრამ ექიმების რიცხვის სიცოტავეს გარდა, ხალხი უჩივის კიდევ იმათგან უგულოთ თავიანთ მოვალეობის აღსრულებას, იმათ ანგარმოყვარეობასა და სხვა ამგვარ დასაძრახ ხასიათებს.

— თუ პრაგონის ფულს და ვიზიტისას ცალკე ამდენსა და ამდენს მომცემ, წამოვალ შენ ავათმყოფთან, — ეუბნება ხშირად მაზრის ექიმი რომელიმე სოფლიდამ მოსულს მძიმე ავათმყოფის პატრონს-გლეხს.

— ჩემი რეცეპტის ფასი სამი ანუ ხუთი მანეთიაო! ეუბნება ქალაქის ექიმი გაჭირებულ კლიენტს, რომელიც იმასთან მოსულა საექიმოდ და რჩევის მისაღებად.

რა უნდა ჰქნას, როგორ უნდა ისარგებლოს ამისთანა ექიმისაგან გაჭირებულმა ხალხმა? როგორ უნდა მიმართოს იმან ექიმს ამისთანა სიძვირეში, როდესაც მუდამდღე ცარიელი ლუკმა-პურის შოვნაც უჭირს?

და აკი, ამგვარი ხასიათების რომ იყო ჩვენი ექიმები, ხალხი არც მიმართავს ხოლმე ნასწავლ, პატენტიან ექიმებსა! მაგიერად იძულებულია მიმართოს სოფლის ექიმებს, დედაკაცებს, მარჩიელებს და სხვა ამგვარ მატყუარებს.

დარწმუნებით შეიძლება ვსთქვათ, რომ, თუ ჩვენი ხალხი დღევანდლამდინ ვერ განთავისუფლებულა ამ ცრუმორწმუნეობისაგან, თუ ის ახლაც მიმართავს ხოლმე მარჩიელების შელოცვასა, ამაში დამნაშავე ჩვენი ნასწავლი ექიმები არიან: ისინი არ აქცევენ ხალხის გაჭირებას არავითარ ყურადღებას, ანგარ-მოყვარეობით მოქმედებენ და ამის გამო წყალწაღებული ხალხი ძალაუნებურად ხავსს ეჭიდება, ძალაუნებურად მიმართავს მარჩიელს და იტყუებს თავს, აბა გაგზავნეთ სადმე სოფელში ანუ მაზრაში კარგი, პატიოსანი, თავის საქმის ზედმიწევნით მცოდნე და თავის მოვალეობის რიგიანად აღმასრულებელი, ხალხის ბედის გულშემატკივარი ექიმი, და მაშინ ნახავთ, თუ ამისთანა სოფელში ანუ მაზრაში იმწამსვე ყველა მარჩიელები არ განქრნენ, თუ ხალხმა კიდევ მიმართოს ამ მარჩიელებს! მაგრამ სად არიან ჩვენში ამისთანა ექიმები?

პირიქით, იმისთანა ექიმები, რომელნიც ყველაზე პირველად ავათმყოფის ჯიბეს შესჩერებიან, კი ბლომად მოიძებნებიან, ბლომად მოიძებნებიან იმისთანაები, რომლის მზგავსიც ქვემოთ დღევანდელ ჩვენის გაზეთის „ახალ ამბებშია“ აწერილი.

ჩვენ გვგონია, დროა, რომ უმაღლესმა მთავრობამ ამგვარ მდგომარეობას მიაქციოს ყურადღება და ერთი რამ ღონისძიება მონახოს ამ მხრით ხალხის დახმარებისათვის.

[1881 წ.]



ქალაქის რჩევის სხდომა

26 იანვარს.

გავლილ ოთხშაბათს თფ. ქალაქის რჩევაში ხმოსანმა ბ. ნ. დ. ზუბალოვმა შემოიტანა ერთი ისეთი უჩვეულებრივო წინადადება, რომელმაც ზოგიერთები ძალიან გააკვირვა და ზოგი კი ააღშფოთა.

სეკრეტრისაგან გასულ სხდომის პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ, ხმოს. ზუბალოვმა წარმოსთქვა შემდეგი:

„საქალაქო წესდების“ მე-147 მუხლის ძალით, მმართებლობას არა აქვს უფლება კონტროლი უყოს და გაჩხრიკოს ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, ქალაქის ხაზინა. ამნაირად, ქალაქის თვითმმართველობა განთავისუფლებულია უცხო, გარეშე უწყების ზედამხედველობისა და კონტროლისაგან; მაგრამ კანონმდებელს ჰქონდა მხედველობაში, რომ ეს კონტროლის უფლება სრულიად თვითონ ქალაქის თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

„ამ საფუძვლით მე შემომაქვს, ბ.ბ. ხმოსანებო, წინადადება, რომ უეცრად გავჩხრიკოთ ქალაქის ხაზინა. ამისათვის ახლავე ამოვირჩიოთ სამის კაცისაგან კამისია, სახელდობრ: ფონდოევის, შახდინაროვის და ტეროსიფოვისაგან და მივანდოთ იმათ, რომ ახლავე დაკეტონ ქალაქის კასსა და შემდეგ რევიზია უყონ“.

ამ მოულოდნელმა წინადადებამ ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოაგდო კრებაში. ბოლოს წამოდგა ხმოს. ელიმირზოვი და სთქვა, რომ, რადგან „საქალაქო წესდების“ მე-60 მუხლის ძალით, ყოველი ხმოსანი, რომელსაც რაიმე წინადადება აქვს რჩევაში შემოსატანი, ვალდებულია, რომ სამის დღით წინ აცნობოს ქალაქის თავს აზრი წინადადებისა, ამის გამო, ხმოსან ზუბალოვის წინადადებაზედ ჩვენ უარი უნდა გამოვაცხადოთ.

ხმოს. ზუბალოვმა უპასუხა ბ. ელიმირზოვს, რომ მე-60 მუხლი შეეხება ყველა სხვა საგნებს, სხვა წინადადებებს და არა უეცრივ რევიზიას, რადგან ეს რევიზია უეცარი და მოულოდნელი რევიზია აღარ იქნებოდა თუ სამის დღით წინათვე ვაცნობებდით ქალაქის რჩევას, რომ რევიზია უნდა გიყოთო.

ხმოს. ელიმირზოვი მაინც თავისას არ იშლიდა და ამტკიცებდა, რომ ეს რევიზია კანონის წინააღმდეგი იქნებაო, რადგან ამის შესახებ წინადადება სამის დღით ადრე არ ყოფილა შემოტანილიო.

ხმოსნებში შეიქნა ჩოჩქოლი. ერთი ამბობდა: არ შეიძლება რევიზიაო. მეორე: შეიძლება, კანონიერიც იქნება და საჭიროც არისო.

ყველაზე უფრო გასაკვირველი ის იყო, რომ ქალაქის გამგეობის წევრნი ამ ჩოჩქოლის დროს გაჩუმებული იყვნენ: ხმას არ იღებდნენ, ჩვენის აზრით, რაკი ჩამოვარდა ამაზე სჯა, იმათ პირდაპირ და თვითონვე უნდა მოეთხოვათ, რომ რჩევას დაუყოვნებლივ ამოერჩია კამისია და უეცარი რევიზია მოეხდინა ქალაქის ხაზინისათვის, რომელიც იმათ აქვსთ ჩაბარებული.

ბოლოს რჩევამ ხმის უმეტესობით მიიღო ხმოსან ზობალოვის წინადადება და იმისაგან დასახელებული სამი პირი ამოირჩია რევიზიის კამისიაში.

ეს კამისია გამგეობის წევრით ბ. პაპოვით წავიდა ქალაქის კასსის დასაკეტად და ათის მინუტის შემდეგ ისევ დაბრუნდა კრებაში.

შემდეგ კრებამ განაგრძო ამ მდგომარე 1881 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის განხილვა.

[1881 წ.]



გამბეტტას ძლიერება

ტფილისი, 29 იანვარს.

ამ თორმეტის წლის წინ ლეონ გამბეტტას სახელი არავინ არ იცოდა; ეს იყო ერთი უბრალო ადვოკატი, როგორც სხვა ათასი ადვოკატები არიან პარიჟის სასამართლოებში.

1868 წელს, ნაპოლეონ მესამეს იმპერატორობის დროს, ერთმა სიტყვამ, რომელიც იმან წარმოსთქვა 1851 წელს ბარიკადაზე მომკვდარის რესპუბლიკელის ბოდენის თაობაზე. უეცრად წინ წამოაყენა ეს ახალგაზრდა ადვოკატი და მთელს ქვეყანაში მოჰფინა იმის სახელი. ამ მჭევრმეტყველურ სიტყვაში გამბეტტამ წარმოსთქვა ის, რაც ყველა პატიოსან და ნაპოლეონის მტარვალობისაგან დაჩაგრულ ფრანცუზს აწუხებდა, რაც ყველას გულზე აწვა და ვერავის კი ვერ გაებედნა თქმა; გამოხატა ნაპოლეონის ვერაგობა, იმის ძალდატანებითა და გაიძვერობით საფრანგეთის ბედის ხელში ჩაგდება და სხვ. და სხვ. და გამოხატა ისე, რომ ყველას გული აუღელვა, ყველას აგრძნობინა ნაპოლეონის მოქმედების სისაძაგლე.

ამ დღიდამ იწყება ადვოკატის გამბეტტას სახელი და დიდება. ამ დღიდამ რიცხვით მცირე რესპუბლიკელებმა თავის რაზმში ჩასთვალეს ის და ცოტა ხანს შემდეგ საფრანგეთის ორმა საუკეთესო ქალაქმა პარიჟმა და მარსელმა თავის წარმომადგენელად, დეპუტატად გაგზავნეს ის მაშინდელს კანონმდებელ პალატაში.

მას შემდეგ რაც ცვლილება და ამბავი მოხდა საფრანგეთის ბედში ყველამ იცის: გერმანიასთან ომი, ნაპოლეონის დატყვევება, იმპერიის მოსპობა და რესპუ-

ბლიკის დაფუძნება. ყველა ამ საფრანგეთის ბედის ცვლილებასთან მჭიდროდ შეკავშირებულია გამბეტტას სახელიც.

ახლა გამბეტტა პირველი, უძლიერესი კაცია საფრანგეთში. ოფიციალურად, მართალია, იმას უჭირავს მხოლოდ დეპუტატთა პალატის თავსმჯდომარის თანამდებობა და საფრანგეთის მმართებლობის წარმომადგენელად ითვლება რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟულ გრევი, მაგრამ საქმით, ნამდვილ კი საფრანგეთის ბედის გადამწყვეტი და იმის შინაგან და გარეგან საქმის გამგებელი არის გამბეტტა. არცერთი საზოგადო და შესანიშნავი, საყურადღებო საქმე არ გადაწყდება საფრანგეთში უმისოთ, უმისოთ ვერც ერთი პრეფექტი (ღუბერნატორი) ვერ დაინიშნება, ვერც ერთი სარდალი, დეპუტატებისა და ხმოსნების არჩევნის დროს ხალხი თითქმის მუდამ იმას შესჩერებია, იმისაგან მოელის დარიგებას, ამოსარჩევ კაცების მითითებას, უმისოთ არცერთი ახალი კანონი არ შემოიღება საფრანგეთში და არც ერთი ძველი არ მოისპობა; რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრები ყველაფერში იმას ეკითხებიან — როგორ მოვიქცეთო, უმისოთ და იმის წინააღმდეგ თითქმის ფეხს ვერ გადადგამენ და თუ გადადგეს, თავის თანამდებობას თავი უნდა დაანებონ.

რით, საიდამ, როგორ შეიძინა ამ კაცმა ეს ძლიერება? შეიძინა თავის გამჭრიახე ჭკუით და მოხერხებით. დიახ, ამისთანა ჭკუიანი, მოხერხებული და ამავე დროს ამისთანა ენამჭევრი კაცი ამჟამად საფრანგეთს მეორე არა ჰყავს.

ჩვენ არა ვართ იმ სწავლის მომხრე, რომელიც ამტკიცებს, რომ ერთს კაცს შეუძლიან მთელი ხალხის ბედის წაღმა ან უკუღმა დატრიალებაო. პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ ხალხის ცხოვრებაში ერთს განცალკევებულს კაცს ძალიან ცოტა რამ შეუძლიან, თუ ეს კაცი არ არის პირდაპირ ნაშობი ხალხის ცხოვრებისა, თუ ის არ არის საზოგადო სურვილისა, მიმართულებისა და ლტოლვილების გამომხატველი; ერი მხოლოთ მაშინ გაჰყვება და ემორჩილება თავის მოწინავეს, როდესაც ეს მოწინავე იმის გაკეთებასა და შესრულებას ცდილობს, რაც მთელ ამ ერსა ჰსურს.

აი, ამ გარემოებაზედ არის დამყარებული გამბეტტას ძლიერება. იმან მიაგნო ხალხის ძარღვს, ჩაავლო იმას მაგრად ხელი და ერთის შეხედვით ჩვენ გვეჩვენება, რომ საითაც უნდა, იქით მიჰყავს მთელი საფრანგეთის ერიო; ნამდვილად კი უფრო ის მიჰყვება ამ ერს, ის ასრულებს ერის წადილსა და გულის პასუხს.

ამაში მდგომარეობს ყოველი გამგებელის ჭკუა და მნიშვნელობა: თუ იმან კარგათ გაიგო ერის საწადელი და დროზედ შეასრულა, იმის გამგეობა ერისათვისაც საბედნიერო იქნება და თვითონაც კმაყოფილი დარჩება; თუ არა, იცოდეთ, ვერც თვითონ დაიმსახურებს სახელს და ვერც ერს დააყრის კეთილს...

ყირიმის ომის შემდეგ, ნაპოლეონმა ისეთი ძალა და მნიშვნელობა შეიძინა, რომ მთელი ევროპა იმას შესჩერებოდა; რას იტყვის, როგორ გუნებაზედ არის, რომელ სახელმწიფოს ურისხდება, რომელთან ალერსიანად არისო.

სწორედ ამნაირად შესჩერებიან ახლა გამბეტტასაც. იმის მოღრუბლულ სახეზედ ევროპის საქმეების არევას ჰკითხულობენ: თუ მხიარულად არის, ყველა დარწმუნებულია, რომ ევროპაშიაც მშვიდობიანობა იქნება და საფრანგეთშიაც კარგათ მიდის რესპუბლიკის საქმე.

რასაკვირველია, როგორც ყველა საზოგადო საპოლიტიკო ასპარეზზე გამოსულ კაცს, გამბეტტასაც ბევრი მტერი ჰყავს; ერთის მხრით, მონარხიის მომხრეთ და მეორეს, ადრინდელ კომუნის მომხრეთ ჟამივით სძულთ, ეჯავრებათ ის; მაგრამ თვით ეს ამათი მკაცრი მძულვარება ამტკიცებს, რომ გამბეტტას ძლიერი და ყოვლადშემძლებელია, რომ იმის ხელმძღვანელობით დაფუძნებულს საფრანგეთის მესამე რესპუბლიკას ისინი ვერას დააკლებენ.

[1881 წ.]



თეატრის მატიანე

მ. მოხევის ბენეფისი: „ალმფრდელებში“, კომედია ორს მოქმედებად, თხზულება მოჩხუბარიძისა. „ყველაფერი ბედზედ არის“, ვოდევილი იმავე ავტორისა.

მოჩხუბარიძემ დაწერა და წარმოადგინა შარშან დრამა „ერთი უბედურთაგანი“. წრეულ თვითონვე ავტორმა ეს დრამა კომედიად აქცია: დრამის პირველ მოქმედებას მიუმატა ახალი მოქმედება, რომელშიაც ზოგიერთი სცენა დრამიდამვე არის ამოღებული და გამოვიდა ახალი პიესა — კომედია. (ასე რომ, ერთსა და იმავე მოქმედებას გინდა დრამაში ნახავ, გინდა კომედიაში). სწორედ გითხრათ, პირველად მესმის, რომ რომელსამე ავტორს დაეწეროს და წარმოედგინოს, ვსთქვათ, დრამა და მერე იმავე ავტორს იგივე დრამა კომედიად გადაეკეთებინოს და აგრეთვე წარმოედგინოს სცენაზედ. მაგრამ ჩვენ მიჩვეულნი ვართ საზოგადოების და მაყურებლის გულკეთილობას, ჩვენ ყველაფერს მოვინელებთ, ნუთუ ხელის გულები დაგვნანდება ტაშისათვის: აბა რა გენაღვლება, კაცს ვასიამოვნებთ, სხვა ხომ არა დაგვაკლდება-რა? ერთით კი ბარაქალა მოჩხუბარიძეს: თავისის დრამის გადმოკეთებით თითქო თვითონვე აღიარა — ჩემი დრამა უხეირო და გაოუსადეგიაო. ჩვენდა სამწუხაროდ, არც კომედიაა ხეირიანი; მაგრამ მაინც დრამას კი ათასწილად სჯობია. როგორც დრამა, ასე კომედიაც რთული პიესა არ არის, მაგრამ სხვა რომ არა იყო რა იმითი მაინც არის შესამატი ჩვენის ტრუპპისა და სცენისათვის, რომ საფაროვის ქალის რეპერტუარს მოემატა კიდევ ერთი როლი, რომელშიაც ამ მოთამაშეს შეუძლიან გამოიჩი-

ნოს თვისი ნიჭი და ხელოვნება, საფაროვის ქალი ძალიან კარგად თამაშობს ჭირვეულს და გაბუტულს ყმაწვილს: ეს თამაშობა უფრო მრავალფეროვანი იქნებოდა, მოთამაშე რომ მეტად დაჰკვირვებიყო თავის როლს.

მეორე მოქმედება გამონასკულია მთლად ყმაწვილ გიორგის (საფაროვის ქალი) ყოფაქცევაში. გიორგის დედ-მამა სტუმრებს მოელიან. გიორგი გაბუტულია და სტუმრებთან გასვლას არ აპირებს. დედა და მამა ცდილობენ როგორმე დაიყოლიონ ჭირვეული გიორგი. გეორგიც, რომელსაც ჯიბის ფული გამოლევია, თავის მხრით ცდილობს შეურიგდეს როგორმე დედ-მამას, მაგრამ ისე, რომ თავი არ დაიმდაბლოს. რისთვის არის ამ მოქმედებაში გამოყვანილი სვიმონი და ნინო, მისი ქადაგება სამკერვალოზედ — რა მოგახსენოთ. ეს ქადაგება და ლაპარაკი ნინოსთან დრამიდამ არის ამოღებული, მაგრამ დრამაში ყველა ამას შედეგი რამ მაინც მოსდევდა, — თვითონ დრამაც ამ შედეგში იყო გამონასკული. მაგრამ ზემოხსენებულ მოქმედებაში კი არც სვიმონს (მოხევე), არც ნინოს (მხეიძის ქალი) არავითარი ადგილი არა აქვსთ, და მათი ლაპარაკი მაყურებლის მოსაწყენად თუ არის საჭირო, თორემ სხვა არაფრისათვის.

თუ გნებავსთ, აზრიც მოჩანს მოჩხუბარიძის კომედიაში: უხეირო აღზრდა შვილისა, დამყარებული უგუნურ სიყვარულზედ. იქნება კიდეც ამიტომ „აღმზრდელები“ დაურქმევია ავტორს კომედიისათვის. მაგრამ, სამწუხაროთ, ავტორს მძიმე და არაშესაფერი ტვირთი აუკიდნია. მისმა სულიერმა ძალამ ვერ შესძლო რთულის პიესის დაწერა ამ საგანზედ, და შეადგინა მხოლოდ რამდენიმე როლი, რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტი სცენა ჩვენის ცხოვრებიდამ, რომელნიც ჩვენის თეატრისათვის არ არიან გამოუსადეგნი, მეტადრე იმისთანა ნიჭიერ მოთამაშეთათვის, როგორნიც არიან გაბუნიას ქალი, საფაროვის ქალი და კოტე ყიფიანი. ამ სამს მოთამაშეზედ გაბედვით შემიძლიან ვსთქვა, რომ მათ მოჩხუბარიძის კომედიაში გამოიჩინეს ნამდვილი სასცენო ხელოვნება: მათ, თავიანთ ნიჭიერობის ძალით, ფერი მისცეს თვით უფერულ მოქმედ პირთ და რაც ავტორის მიერ მკრთალად იყო გამოხატული, მოთამაშეებმა განაცხოველეს და მით მიანიჭეს ღირსება, რომელსაც მოკლებულია თვით ავტორის ქმნილება.

კომედიის პირველ მოქმედებაზედ არას ვამბობ, რადგან თითქმის იგივე მოქმედება არსებობს დრამაშიაც: იგივე საზიზღარი ცემა-ტყეპა, რომელსაც სცენაზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს, იგივე ტყუილუბრალო, ყოვლად უმნიშვნელო გასვლა-გამოსვლა, ლაპარაკი და სხვ.

შესახებ თამაშობისა ზემოდაცა ვსთქვი, რომ გაბუნიას ქალმა, კ. ყიფიანმა და საფაროვის ქალმა ძალიან კარგად აასრულეს თავიანთი როლები. აქ უნდა შევნიშნოთ: გაბუნიას ქალის თამაშობა, მეტადრე იმ სცენაში, რომელიც სწარმოებს სალომეს (გაბუნიას ქალი) და სვიმონის (მოხევე) შორის და შემდეგ, როდესაც მოუსწრებს მათ დავითი. ამ სცენაში გაბუნიას ქალმა გამოიჩინა იმისთანა თამაშობა, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ გამოცდილისა და სცენაზედ კარგა ხნის ნამყოფ მოთამაშისაგან. სიყვარულის წარმოდგენა და გამოხატვა სცენაზედ ძალიან ძნელია; აქ ყოველი მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი, ხელის მოძრაობა, თვალის დახამხამება და სხვ. უფრო მტკიცედ უნდა იყვნენ შეფერებულნი ერთი-ერთმანეთში, ვიდრე იმისთანა როლების თამაშობაში, რომელთა გამოსახატავად გარეგანი მოძრაობა და ეფფეკტიც, ცოტად თუ ბევრად, საკმარისია. შენი მტერი, თუ მოთამაშემ ერთი წუთით დააგვიანა ხმის ამაღლება და დადაბლება, თუ დროზედ არ გაიღიმა, თუ ჯეროვანი მოძრაობა ხელისა არ იხმარა და სხვ.— წახდა მთელი სცენა.

ვოდევილზედ „ყველაფერი ბედზედ არის“ რაღა გითხრათ? გამოყვანილნი არიან ცოლ-ქმარნი, რომელნიც ატყუებენ ერთმანეთს: ცოლსაცა ჰყავს საყვარელი, ქმარსაც. ქმრის საყვარელი და ცოლის საყვარელი შეხვდებიან ერთმანეთს. გამოჩნდება, რომ ამათ დიდი ხანია ჰყვარებიათ ერთმანეთი, ბოლოს ოთხნივე, ერთად შეყრილნი, საცინელს მდგომარეობაში არიან. საცინელს-მეთქი, თუმცა სწორედ გითხრათ, ყველა ეს არავითარ სიცილს არა ჰგვრის მაყურებელს, რადგანაც

მეტად გაუჭიანურებია ავტორს თავისი თხზულება. ზემოხსენებულ საგანზედ ათასი ვოდევილია და შეიძლება კიდევ ათი-ათასიც დაიწეროს, მაგრამ თავი და თავი პირობა ამ შემთხვევაში არის სიმოკლე მოქმედებისა და სიცხოველე მოძრაობისა. გარდა ამისა, პიესას ფხა უნდა ჰქონდეს რამ, რომ ცოტად მაინც გაამხიარულოს მაყურებელი. ამგვარი არა არის-რა მოჩხუბარიძის ვოდევილში. ავტორის ვითომდა მახვილსიტყვაობამაც ახალ თეკეს შესახებ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა საზოგადოებაზედ და უქმად ჩაიარა.

მებენეფისეზედაც უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. ბატ. მოხევე ჯერ დიდი ხანი არ არის, რაც თამაშობს და ამიტომ მის აქტიორობაზედ საზოგადოდ მტკიცე აზრის შედგენა არ შემიძლიან. მაგრამ, რამდენადაც მინახავს, იგი, ჩემის აზრით, არასოდეს არ გახდება ცოტაოდენადაც თვალსაჩინო აქტიორად. ბატ. მოხევეს სრულიად არა აქვს ნიჭი შესაფერი იმ როლებისა, რომლებსაც თამაშობს. ის მოკლებულია ჯეროვან მოძრაობას, იმ სიჩვილეს, რომლის ძალითაც კაცს შეუძლიან გინდ ერთს თვისებას შეითვისებს, გინდ მეორეს. უამისოდ აქტიორობა შეუძლებელია. იქნება ბატონი მოხევე მეორე ხარისხის როლებში სასარგებლო იყოს სცენისათვის, — ვნახოთ.

[1881 წ.]



თეატრის მატიანე

„ჟოზეფ პარიჟელი კინტო“, კომედია ორს მოქმედებად

„ჟოზეფზედ“ ლაპარაკი ცოტად დამაგვიანდა. ეს პიესა წარმოდგენილ იქმნა ჩვენს სცენაზედ საფაროვის ქალის ბენეფისისათვის, რომელზედაც ლაპარაკი ვერ მომიხდა. არცა ვნანობ, სწორედ გითხრათ: საფაროვის ქალმა, რომლის როლზედ მთელი პიესა არის მიმართული, ამ უკანასკნელ წარმოდგენაში (8 თებერვალს) უფრო კარგად, უფრო ხელოვნურად აასრულა თავისი როლი, ვიდრე თავის ბენეფისში, და მით მეც უფრო ხალისიანად ვკიდებ ხელს „ჟოზეფის“ წარმოდგენის განრჩევას. მართლადა, გაგიტყდებით, მე, როგორც თეატრის მემატიანეს, ჯერ ისეთის სიამოვნებით არ ამიღია ხელში კალამი, როგორც ვიღებ ამჟამად, როდესაც ვიწყებ ლაპარაკს „ჟოზეფის“ წარმოდგენაზედ და საკუთრივ საფაროვის ქალის თამაშობაზედ. „ჟოზეფის“ წარმოდგენის თაობაზედ შემიძლიან ვთქვა თამამად, თეატრში ვიყავი-მეთქი, სადაც ვპოვე ცოტაოდენი მაინც სათეატრო ხელოვნება და ნამდვილი სცენის შესაფერი თამაშობა.

ჯერ თვითონ პიესაზედ უნდა მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა. „ჟოზეფი“ იმ პიესთაგანია, რომელნიც იწერებიან არა იმისთვის, რომ ხელოვნურად გამოხატონ ცხოვრების სინამდვილე, — ამ პიესებში ვერ მოიძებნება ხელოვნებითი სიმართლე. ისინი იწერებიან განგებ იმ განზრახვით, რომ მაყურებელმა შეიტყოს ესა და ეს ქადაგება, ესა და ეს დარიგება. მთელი პიესა თავიდამ ბოლომდე ამ დარიგების კვალობაზედ არის ხოლმე გამოჭრილი, ავტორი აყენებს რომელსამე მომ-

ქმედ პირს ამა თუ ამ მდგომარეობაში არა იმიტომ, რომ ეს მდგომარეობა ასლად შეეფერება მის შინაგან თვისებას, ან არა იმიტომ, რომ ამ მდგომარეობაში მისი ხასიათი უფრო ნათლად, უფრო ცოცხლად გამოიხატება მაყურებლის წინაშე. არა, ავტორს წინადვე აქვს განზრახული ესა და ეს ქანდაკება: წინადვე აქვს განზრახული აგრეთვე ის შთაბეჭდილებაც, რომელიც უნდა აწარმოვოს მისმა თხზულებამ მაყურებელზედ. ამიტომ ავტორი აყენებს მომქმედ პირს სწორედ იმ მდგომარეობაში, რომელიც საჭიროა მის (ავტორის) წინადვე განზრახულ დარიგებისა და ქადაგებისათვის. რა ურთიერთობა სუფევს მომქმედის პირის ხასიათისა, შინაგან თვისებისა და მის ამა და ამ მდგომარეობის შორის, ამისი ავტორს ბევრი არა ენაღვლება-რა.

რასაც მომქმედ პირთა მდგომარეობაზედ ვამბობ, ითქმის აგრეთვე მათ ლაპარაკზედაც. ავტორი სწორედ იმ სიტყვებს ათქმევინებს მომქმედ პირთ, სწორედ იმას ალაპარაკებს, რაც შეეხება სცენის გარეგან მოწყობილობას და სასცენო სხვადასხვა საშუალებებს, რომელნიც აგრეთვე ზემოხსენებულ შთაბეჭდილებაზედ არიან გამოჭრილნი, — ამისათვის არას ზოგავს ავტორი, ყველაფერს ჰკიდებს ხელს, რაც კი რამ საგრძნობელია მაყურებლის ძარღვებისათვის. ამგვარად არიან მომართულნი მრავალი ესრედწოდებულნი მელოდრამმები, რომელთაც დღედადღე ადგილი ეკარგებათ აწინდელ რეპერტუარში. ზემოხსენებული თვისება, რასაკვირველია, ერთგვარად არ არის ჩართული ყველა მელოდრამმაში; მეტნაკლებობა და, მაშასადამე, ავკარგიანობა აქაც არის.

მელოდრამმებს ადგილი ეკარგებათ-მეთქი აწინდელის დროის რეპერტუარში. პირველი ესა, რომ ცარიელი სიტყვიერი დარიგება არავითარი თამასუქი არ არის წარმატებისა. გარდა ამისა, შეიცვალა მხედველობა თეატრზედ და ამასთანავე შეიცვალა აგრეთვე საზოგადოების გემოვნება. თეატრი იმგვარივე ხელოვნებაა, როგორიც, მაგალითებრ, მხატვრობა. ყველაზედ უწინარეს საზოგადოება ამ ორსავე ხელოვნებისაგან თხოულობს ცხოვრების სიმართლეს, ცოცხალ ჭეშმარიტებას. რაც შეეხება თვით ქადაგებას, აბა რა

შეედრება სიმძლავრით იმ ქადაგებას, რომელიც ამ სიმართლედ და ჭეშმარიტებად არის მიმართული და დამყარებული?

„ჟოზეფი“, მართალია, მოკლებულია იმ მელოდრამმულ საშინელებას, რომელიც თავიდამ ბოლომდე დასტრიალებს, მაგალითებრ, „ყომარბაზის ცხოვრებას“, მაგრამ მაინც მელოდრამმული ძარღვი აქაც თვალსაჩინოდ არის გამონახული.

„ყომარბაზის ცხოვრებაში“ წამოყენებულია ადამიანის ცუდი ჩვეულება და მთელი ის საშინელი შედეგი, საშინელი თავგადასავალი, რომელიც აუცილებრივ მოსდევს ამ შედეგს. ავტორი ამით ეუბნება მაყურებელს — თუ ქაღალდის თამაშობას არ დაიშლი, შენც ეს ბოლო მოგელისო. „ჟოზეფში“ გამოყვანილია კეთილკაცობა, კაიგულობა, რომელიც, რასაკვირველია, ჰპოვებს თავის შესაფერ ჯილდოს. ამით ავტორი ეუბნება თავის ხალხს — შენც ასე მოიქეცი და შენც არ მოგაკლდება ჯილდოო. გარდა ამისა „ჟოზეფს“ ეტყობა დროთა ვითარებაც. „ჟოზეფში“ მოქმედობენ კეთილად და მშვიდობიანად მშრომელნი პირნი, რომელთაც ერგებათ ჯილდო და ნუგეში საფრანგეთის პერისაგან, სახელოვან ღენერლისგან. ავტორი ამით ეუბნება მუშა ხალხს: გულს ნუ აიშფოთებო, მოთმინება იქონიეო, დიდებულთა მფარველობა არც შენ მოგაკლდებაო. ნაპოლეონური სოციალისტობა ეს გახლავსთ.

ერთის სიტყვით, „ჟოზეფი“, როგორც სალიტერატურო თხზულება, როგორც რთული ნაყოფი ხელოვნებითის ქმნილებისა, არავითარის ყურადღების ღირსი არ არის. მაგრამ ჩვენის ღარიბის რეპერტუარისათვის „ჟოზეფი“ ფრიად შესამატია. ეს პიესა, ჩემის აზრით, ჩვენის სცენისათვის არის კარგი სათამაშო მასალა და სასარგებლოა აკტიორების ვარჯიშობისათვის სცენაზედ. პიესაში როლებია, რომელთა თამაშობა შესაძლებელია და ფრიად სასარგებლოც, უმთავრესი როლი ამ პიესაში აქვს საფაროვის ქალს, რომელიც თამაშობს ჟოზეფს, სტამბაში მომუშავე ბიჭს. ეს როლი მეტად მადლიანია მოთამაშესათვის. ჟოზეფი არის პარიჟელი მომუშავე ბიჭი, მას გულკეთილობა, სიყვარული და თავგანწირულობა მოძმეთათვის ხორცში და ძვალში აქვს

გამჯდარი. იგი ღარიბია, მაგრამ მუდამ უშიშარია, პირმღიმარი, მხიარული: ბზრიალას ეთამაშება თუ წყალში ვარდება ბავშვის დასაცველად — იგი იცინის ერთგვარად. იგი მუდამ ქუჩაშია და არა გროვა ხალხს არ მოაკლდება, მუდამ გამზადებულია მონაწილეობა მიიღოს ყველაფერში, რაც კი რამ მოხდება. „ქვა რად გინდოდაო?“ ჰკითხამს ჟოზეფს მისი და. — „რა ვიცი, იქნება რა მომხდარიყოო“, უპასუხებს ჟოზეფი.

საფაროვის ქალი ძალიან კარგად თამაშობს ჟოზეფის როლს. აქ ორიოდე რამ უნდა შევნიშნო ამ თამაშობის შესახებ, და იმედი მაქვს, საფაროვის ქალი [მიიღებს] მხედველობაში ამ ჩემს შენიშვნას, თუ დამეთანხმება. პირველ გამოსვლაში, როდესაც გაწუწული შემოირბენს სცენაზედ ცოტა მეტად უნდა ცახცახებდეს სიცივისაგან და სახეზედაც ცოტა მეტი მოძრაობა უნდა ეტყობოდეს. გარდა ამისა, დრამულ ადგილებში საფაროვის ქალი უფრო კითხულობს თავის როლს, ვიდრე თამაშობს; ამ ადგილას (პირველ მოქმედების ბოლოში) საფაროვის ქალის ხმა ერთფეროვანია, ხმისა და კილოს საკმაო აწევ-დაწევა არ ეტყობა. მართალია ეს პატეტიკური ადგილი წმინდა მელოდრამულია და, ჩემის აზრით, სრულიად რომ არ ყოფილიყო პიესაში, უფრო ემჯობინებოდა; მაგრამ, რა გაეწყობა, რაც არის, არის. მოთამაშემ მაინც თავისი უნდა გაიტანოს. გარდა ამ ნაკლულოვანებისა, საფაროვის ქალის თამაშობა იყო ყოვლად ხელოვნური. აქ ნამეტნავად უნდა შევნიშნო ის ადგილი მეორე მოქმედებაში, სადაც ჟოზეფი დაფიქრებულია მასზედ, თუ როგორ შევახვედრო ჩემი და და ღენერალიო. უცბად აზრი გაურბენს გუნებაში, დაიკივლებს: „ჰეე!“ და ფიცხლავ გავარდება სცენიდამ. სხვა აღარა არის რა საჭირო, მარტოკა ეს წუთიერი სცენა, მარტოკა ეს შეკივლა არის საკმარისი, რომ გაბედვით სთქვას კაცმა, რომ მის თვალწინ წარმომდგარია ნამდვილი სააქტიორო ნიჭი, ეს არის ნამდვილი ნიჭიერი ხელოვნება, რომელსაც სრული ღონისძიება აქვს დაიპყროს და თან აიყოლოს მთელი მაყურებელი საზოგადოება და არა, პირიქით — თვითონ აჰყვეს ამ საზოგადოებას.

კარგად თამაშობდა აგრეთვე კოტე ყიფიანი მოხუცებულ ღენერალს. იმანაც გამოიჩინა თავისი ნიჭი, მეტადრე იმ ადგილას, როდესაც განრისხებული აგდებს სახლიდამ თავის შვილს. მისი უკანასკნელი სიტყვა: „გამეცალე!“ წარმოთქმულ იქმნა ნამდვილ დრამულის კილოთი, რომელიც ახლად შეეფერება მამის აღშფოთებულს გულს. დანარჩენი როლები შესანიშნავნი არიან. ვას. აბაშიძემ გამოიჩინა საქები ზომიერება თამაშობაში.

გაბუნიას ქალი თამაშობდა დიდი კაცის ცოლობას. მაგრამ დიდი კაცის ცოლობა სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ ძალიან გულაღმა გადაწვეს კრესლოზედ და წამდაუწუმ ატრიალოს ლორნეტი. ამგვარად იქცევა მხოლოდ ის, რომელიც კრესლოშიაც იშვიათად მჯდარა და ლორნეტის ხმარებასაც არ არის მიჩვეული. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ გაბუნიას ქალს ამისთანა როლების აღსრულება არ შეეძლოს; პირიქით, ჩემის აზრით, შეუძლიან, მაგრამ საჭიროა დაკვირვება და შესწავლა.

ურიგო არ იყო არც მხეიძის ქალი. საზოგადოდ „ჟოზეფის“ წარმოდგენა იყო სთული და თავიდამ ბოლომდე ხეირიანად მოწყობილი.

ერთი სიტყვა კიდევ. სანატრელია, რომ აფიშიდამაც იყოს ამოღებული სიტყვა „კინტო“, როგორც ამოღებულია პიესის უკანასკნელ სცენიდამ. ეხლა ჟოზეფი აღარ ამბობს, როგორც პირველ წარმოდგენაში ამბობდა — „მე ვარ პარიჟელი კინტო“. ჟოზეფისა და კინტოს (აქაურის მნიშვნელობით) შორის არავითარი მზგავსება არ სუფევს.

[1881წ.]



ბათომის მაზრის დაცარიელება

ტფილისი, 23 თებერვალს.

ჩვენს დღევანდელს გაზეთში იბეჭდება ბათომიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც, სხვათა შორის, გვაცნობებს, რომ ოთხასამდინ მოსახლე ჩამოვიდნენ და მოდიან ქობულეთიდამ ბათუმში და აქედამ ოსმალეთში გადასახლებას ემზადებიანო.

პირველი და მეორე არ არის, რომ ამისთანა ნამდვილად სამწუხარო ამბავს გვწერენ ჩვენ ბათომის მაზრიდამ. მას აქეთ, რაც რუსეთმა ეს მაზრა დაიპყრო, მუდამ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ვხედავთ, რომ ეს ახლადდაპყრობილი ხალხი ასობით და ათასობით ჩამოდის აბარგებული ბათუმში, რამდენიმე დღე რჩება აქ, მშიერ-მწყურვალე, შიშველ-ტიტველი, ძუძუ-მწოვარ ბავშვებით, უძლურ დედა-და-მამაკაცებით და ბოლოს, როგორც არის, მიდის ოსმალოს ან სხვა რომელიმე უცხო ქვეყნის გემი და მიჰყავს ეს ხალხი ოსმალეთში.

საშინელს სურათს წარმოადგენს თურმე ეს ხალხის გადასახლება; მნახველთ უამბნიათ და მოუწერიათ ჩვენთვის, რომ ესენი დედა-მიწას ჰკოცნიან, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით, გულდამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიდიანო. ბევრი, ძალიან ბევრი გზაზე იხოცება შიმშილისაგანო და ვინც კი ადგილამდინ მიაღწევს, სიკეთე არც იმას ეყრებაო; იქაც შიმშილი ხვდება, უპატრონობა, ადგილს არ აძლევენ, რასაც ჰპირდებოდნენ, მოტყუილებული რჩებიან და ამნაირად, რამდენიმე თვის განმავლობაში, უცხო ქვეყანაში ხეტიალის და წვალების შემდეგ, ზოგიერთები ისევ

თავის ქვეყანაში ბრუნდებიანო. მაგრამ ბრუნდება ორში ერთი, დანარჩენი კი გაჭირებისა და შიმშილის გამო იხოცება.

ერთი საშინელი ამბავი გამოაშკარდა შარშან ამ გარდასახლების თაობაზედ: ერთს ბერძნის გემს რამდენიმე ასი აჭარელი და მაჭახელი წაეყვანა ბათომიდამ; ოსმალეთის ნაპირზე რომ მიეყენებინათ გემი, იქაურ ადგილობრივ მთავრობას ნებართვა არ მიეცა გემიდამ ხალხის გამოსვლისა, რადგან უმაღლესის მთავრობისაგან არავითარი ბრძანება არ მიგვიღია ამის თაობაზედაო. კაპიტანმა უკან დააბრუნა გემი. მაგრამ ახლა აქ, ბათუმში, აღარ შემოუშვეს და არ მიცეს ნება ხალხის ნაპირზე გამოშვებისა. დარჩა წყალში. ამ დროს გაჩნდა გემში მჯდომ ხალხში ავათმყოფობა, შიმშილი და თითქმის სანახევროდ ვინც იყვნენ, დაიხოცა. გემის პატრონმა, რომელსაც სხვა გზა არა ჰქონდა, მიაყენა გემი ერთს უდაბურს ადგილს და გამორეკა ხალხი. ეს ადგილი, როგორც იწერებოდნენ, ისეთი იყოვო, რომ აქედამ მხოლოდ ერთი გზა ჰქონდათ — ზღვაში გადავარდნილიყვნენ, ხმელეთისაკენ წასვლა არ შეეძლოთ!... ბოლოს ჩვენმა ბათომის მთავრობამ შეიტყო ეს ამბავი, გაგზავნა გემი და დაიხსნეს ცოცხალმკვდარი ხალხი.

ბევრი ამისთანა საქმე მოხდა ამ გარდასახლების დროს. ბევრი ხალხი იმსხვერპლა ამ გარემოებამ.

ჩვენ არ მოვყვებით აქ იმ მიზეზების ჩამოთვლას, რომელიც ამ ხალხს აიძულებს გარდასახლებას. საკმაოდ ყოფილან ჩვენს გაზეთში ეს მიზეზები გამოაშკარავებულნი და არა-ერთხელ ჩამოთვლილნი.

გვითქვამს და ვამბობთ, რომ, როგორიც უნდა იყვნენ ეს მიზეზები, ამათი მოსპობა ჩვენს ხელთ არის და უმაღლესმა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მძიმე და საყოველთაო ყურადღების ღირსს ამბავს.

[1881 წ.]



ჩვენი ახალგაზდობის მოვალეობა

ტფილისი, 21 მარტს.

ამ უკანასკნელ დროს ჩვენს გაზეთში რამდენიმე შენიშნვა იყო დაბეჭდილი იმის თაობაზედ — თუ რას უნდა მისდევდნენ ჩვენი ახალგაზდა ყმაწვილები უმაღლესს სასწავლებლებში ყოფნის დროს, რა გვარი სწავლა უფრო საჭიროა იმათთვის, რა დახმარება შეუძლიანთ, სტუდენტობის დროს, სამშობლო ლიტერატურისა და საზოგადოთ თავის ქვეყნისათვის და სხვ.

საჭიროდ ვრაცხთ, ჩვენი აზრიც გამოვთქვათ ამ ფრიად მძიმე და საინტერესო საგანზე ორიოდე სიტყვითა.

თავიდამვე ვაცხადებთ, თანახმა არა ვართ იმ პირებისა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მოსწავლე ახალგაზდობა, სანამ ის მოსწავლეა, სანამ ის რომელსამე სასწავლებელშია, სრულ მოქალაქეთ, ყველა უფლების მქონებელად არ უნდა ჩაითვალოსო. ჩვენის აზრით, ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, სწავლობს ის თუ არა, უნდა მინიჭებული ჰქონდეს სრული ის უფლება, რაც საზოგადოთ დანარჩენ წევრებსა აქვთ. ვინმე რომ ორმოც წლამდინ სწავლობდეს (ამის მაგალითები იშვიათი არ არის), განა ამისთვის ის თავის მოქალაქეობრივ უფლებას მოკლებული უნდა იყვეს? პარლამენტალურ სახელმწიფოების მაგალითიც ამას გვიმტკიცებს: ყველგან, სადაც კი ხალხი თავის წარმომადგენლებს ირჩევს, პარლამენტის დეპუტატებს, ყველგან ამ არჩევანში და კენჭისყრაში სრულწლოვან მოსწავლე ახალგაზრდებსაც აქვთ კენჭი, ესენიც იღებენ მონაწილეობას ხალხის წარმომადგენელთა არჩევანში, ამათ აქვთ ხმა საზოგადო, სახალხო საქმეებში.

ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, ხალხს ჯერ არა აქვთ მინიჭებული ის უფლება, რომ თვითონვე განაგოს თავის საქმეები, ან მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეების გამგეობაში. ეს მოვალეობა სრულიად მთავრობას უკისრნია. საუბედუროთ, ჩვენ ჯერ არც უმაღლესი სასწავლებლები გვაქვს.

მაშასადამე ამ მხრით ჩვენს ახალგაზდობას სამოქმედო ასპარეზი არა აქვს.

მაგიერად იმას დარჩენია მეორე ასპარეზი, რომელზედაც გამოსვლა და მოქმედება შეუძლიან და რომელიც აგრეთვე საზოგადო, სახალხო ასპარეზია: ჩვენ ვამბობთ ლიტერატურაზედ.

და ერთი ჩვენებური სტუდენტი ბ.ს. ლორთქიფანიძე, პირდაპირ ამ საგანზედ მიუთითებს თავის ამხანაგებს: სტუდენტები მოვალენი არიანო, ამბობს ის, რომ აქვე სტუდენტობაში, იმუშაონ ლიტერატურის გზით თავის ხალხის წარმატებისათვისაო; იმათ შეუძლიანთ ქართულ ენაზედ შეადგინონ სახალხო საექიმო წიგნები, სახელმძღვანელოები გიგიენისა და სხვა მეცნიერებისა, შეუძლიანთ შეისწავლონ სამშობლო ისტორია, გამოსცენ მონოგრაფიებიო და სხვ. და სხვ.

უეჭველია, ყველა ეს შეუძლიანთ და ამ მხრით მიქცეული იმათი მოღვაწეობა უნაყოფოდ არ ჩაივლის; მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ პირდაპირი მოვალეობა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ჩვენის ახალგაზრდობისა სრულებით ამგვარი შრომა და მიმართულება არ უნდა იყვეს.

რისთვის იღებენ ჩვენი ახალგაზდები უმაღლესს სწავლას? უეჭველია, იმისათვის, რომ თავის სამშობლო ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, თავის სწავლისა და მიღებულის ცოდნის შემწეობით, უფრო მომეტებული სარგებლობა მოუტანონ იმ ხალხსა და ქვეყანას, რომლის შვილად ითვლებიან.

ახლა ვიკითხოთ: განა ერთსა და იმავე დროს შეუძლიან, სტუდენტს, რომ იქვე, ვსთქვათ უნივერსიტეტში, სტუდენტობის დროს იმდენათ ზედმიწევნით შეისწავლოს საქართველოს ისტორია, ან ექიმობა, ან გი-

გიენა ან სხვა რაიმე საგანი, რომ წიგნები სწეროს და გამოსცეს ქართულს ენაზედ და მეორეს მხრით, თავის პირდაპირ მეცნიერების სწავლასაც არ მოაკლდეს? ორი კურდღლის ერთ დროს გამოდევნება ან ორი საზამთროს ერთ ხელში დაჭერის სურვილი არ იქნება ეს?

ჩვენ გვგონია, ესე იქნება. და ამიტომ ყველას ის ემჯობინება, რომ ჩვენი სტუდენტები ამ შემთხვევაში არ აჩქარდებოდნენ. რასაკვირველია, ისინი მოვალენი არიან, რომ თავის სამშობლო ქვეყნის ლიტერატურულ და სხვა ყოველ მხრივ მოძრაობას, თვალყური ადევნონ, მოვალენი არიან, რომ არ გასწყვიტონ კავშირი თავის ხალხთან, მაგრამ ჯერჯერობით რომ ასპარეზზე გამოსვლას თავს დაანებებდნენ, უკეთესი იქნება; უკეთესი იქნება იმათთვისაც და თვით ჩვენი ქვეყნისთვისაც.

უკეთესი იქნება იმიტომ, რომ მაშინ იმათ უფრო მომეტებული დრო დარჩებათ უმაღლესს სწავლის მისაღებად, მეცნიერების შესაძენად და საზოგადოთ გონების გასახსნელად. და რაც უფრო ნასწავლი, რაც უფრო გონება-განვითარებულნი დაბრუნდებიან შემდეგ ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო ერთი-ორად მომეტებულის სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ თავის დაჩაგრულ და დაცემულ ხალხისათვის.

ერთი ჩვენი უბედურება და ჩვენი ქვეყნის საზოგადო საქმეების უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი ის არის, რომ საზოგადო ასპარეზზე ერთობ მოუმზადებელი გამოდიან; საზოგადო, საქვეყნო საქმეებს ისეთი კაცები ჰკისრულობენ, რომელთაც ქვეყნიერობის ბევრი არა გაეგებათ რა; არც სწავლა-მეცნიერებით და არც გონების გახსნილობით არიან ამ მძიმე მოვალოებისათვის მომზადებულნი, ამიტომ არის, რომ ესრედწოდებულ ჩვენს ინტელიგენციას, განათლებულ ახალგაზრდობას, სასურველი გავლენა არა აქვს ჩვენს საზოგადო საქმეების მსვლელობაზედ, წარმატებაზედ.

სანატრელია, რომ მომავალი ჩვენი განათლებულთა თაობა, იმედი და ნუგეში ჩვენის საწყალი ქვეყნისა, ამ დამაბრკოლებელ მიზეზს მოკლებულ იყოს, რომ ის საზოგადო ასპარეზზე ნამდვილ მოქალაქედ, მძლავრ მებრძოლეთ ყოველგვარ ბოროტებისა, გამოდიოდეს და ამისათვის ჯეროვანადაც დაიარაღებული იყვეს... ამ იარაღს, რასაკვირველია, მარტო სწავლა, მეცნიერება, გონების გახსნილობა და კარგი მიმართულება აძლევს.

[1881 წ.]



<როგორ პოლიტიკას აირჩევს რუსეთი>

ტფილისი, 24 მარტს.

მართალია, ბევრი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც მთელს რუსეთის სახელმწიფოს მოევლინა საშინელი უბედურება და წაერთვა მას ძვირფასი, დაუვიწყარი ხელმწიფე იმპერატორი; ჯერ არ დამშვიდებულა აღელვებული გრძნობა ხალხისა, რომელიც მოჰყვა ამ უბედურებას; ჯერ არ დალაგებულა ის უშველებელი ალიაქოთი, რომელიც დაერთვა წყევლას და შეჩვენებას, ბოროტმოქმედთადმი მიმართულს.

ამის გამო დამჯდარი სჯა და ბაასი იმ უბედურ მოვლინებაზედ, რომელიც მოხდა პირველ მარტს ჯერ-ჯერობით ძნელია და თითქმის შეუძლებელიც.

მართალია ყველა ეს, მაგრამ არც ის არის ტყუილი, რომ დროთა ბრუნვა და ცხოვრების შეუწყვეტელი დენა თავისას მოითხოვს. მას აქვს თვისი მოთხოვნილებანი და რომელნიც ავად თუ კარგად უსათუოდ უნდა იყვნენ დაკმაყოფილებულნი.

უბედურება, რასაკვირველია, დიდი და საშინელი, გულის აღმაშფოთებელი და შემაძრწუნებელი. ამის თაობაზედ არავის გულში არავითარი ეჭვი არ არსებობს. მაგრამ ეს უბედურება ეკუთვნის აგრეთვე იმგვარ მოვლინებას, რომელსაც ამ უკანასკნელს დროს არაერთხელ ამოუყვია თავი და შეუ[ცვ]ლია ჩვეულებრივი დენა საზოგადოებრივის ცხოვრებისა. ამ მოვლინებასაც უნდა ჰქონდეს თავისი დასაბამი, თავისი მიზეზი და უნდა იქნეს მონახული საშვალებაც მის მოსასპობლად. აი ამ გარემოებაზედ არის ამტყდარი ამჟამად გაცხარებული ბაასი რუსის ჟურნალ-გაზეთებში, რომელთა შორის არსებობს უმთავრესად ორგვარი მიმართულება.

ზოგნი ამბობენ, რომ ზემოხსენებულს ბოროტმოქმედობის მოსასპობლად მხოლოდ ერთი საშვალება არის შესაძლებელიო: ცხოვრებას ცოტა შეღავათი უნდა მიეცესო; საზოგადოებას და ხალხს ცოტაოდენი მაინც თავისუფლება უნდა მიენიჭოსო; პასუხის გამცემნი ქვეყნის წინაშე თვითონ პირდაპირნი მმართველნი უნდა იყვნენო და სახელმწიფოს მოთავე. ერთის სიტყვით, დაგებულ ცხოვრებას ცოტაოდენი ფართო გზა უნდა მიეცესო, ხმაგაკმენდილ საზოგადოებას პირი უნდა გაეხსნასო, და ბოროტმოქმედებანი მაშინ თავისთავად განქრებიანო. უკანასკნელ დროს აღშფოთებულ საზოგადოების დაწყნარება მარტო ამ გზით შეიძლებაო, ამიტომ იმ გზას, რომელსაც დაადგა რუსეთის მთავრობა, ლორის-მელიქოვის თაოსნობით, არამც თუ არ უნდა ავცილდეთო, არამედ უფრო მტკიცედ და ბეჯითად უნდა ვადგეთო და ყოველგვარ ყოყმანობას თავი უნდა დავანებოთო.

მეორე მიმართულების მიმდევარნი სრულიად სხვას ქადაგობენ, მათ ცეცხლი და ნავთი გასდით პირიდამ, მშვიდობიანი გზა რას მიქვიანო! თვითონ მმართველთაც ნიგილისტების შხამი აქვთ ხორცში და ძვალში გამჯდარიო; სუყველანი გასაწყვეტნი არიანო! რაც უფრო სასტიკი ზომიერებანი იქნებიან ხმარებულნი, ის უფრო უკეთესი იქნებაო. ეხლა ვეღარავის ვერ ვენდობითო. ერთის სიტყვით, ბრძოლა, შეუბრალებელი ბრძოლა ყველასთან, რაც კი ცოტა-ოდენად მოგავს თავისუფლებას, მშვიდობიანობას, ცხოვრების წარმატებას. პეტერბურღი მოწამლულიაო, ხელმწიფის ტახტი ისევ მოსკოვში უნდა იქმნეს გადატანილიო.

ჯერ-ჯერობით ამგვარი სჯა და ბაასია ატეხილი რუსეთში. რაგვარ პოლიტიკას დაადგება რუსეთი, ღმერთმა უწყის.

[1881 წ.]



განათლების ახალი მინისტრის დანიშვნა

ტფილისი, 27 მარტს.

ტელეგრაფმა მოგვიტანა პეტერბურღიდგან ერთი ფრიად შესანიშნავი და დიდი მნიშვნელობით სავსე ამბავი. ეს ამბავი გახლავთ საბუროვის დათხოვნა განათლების მინისტრის თანამდებობიდგან და ბარონ ნიკოლაის დანიშვნა მის მაგივრად... ეს ცვლილება რომ მოასწავებდეს მხოლოდ განათლების საქმის წაღმა დატრიალებას, მაშინაც დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა, მაგრამ, სასიხარულოდ ჩვენდა, ამ ცვლილებას უფრო დიდი და ფართო მნიშვნელობა აქვს.

ვინც ჟურნალ-გაზეთების ჰაზროვან კითხვას არის მიჩვეული, ყველა ადვილად მიხვდებოდა, რომ იმპერატორის ტახტის გარშემო ამ ბოლოს ხანს გაცხარებული ცილაობა იყო ორ მიმართულების, ორი პოლიტიკის წარმომადგენელთა შორის. ერთს მხარზედ იდგა გრაფი შუვალოვი, მეორე მხარეზედ გრაფი ლორის-მელიქოვი. შუვალოვი ეკუთვნის იმ სახელმწიფო პირებთა, რომელთაც კონსერვატორებს ეძახიან; ლორის-მელიქოვმა კი აშკარად დაამტკიცა, რომ იგი ეკედლება ესრეთწოდებულს პროგრესისტების დასსა. შუვალოვი ავის თვალით უცქეროდა თითქმის ყველა რეფორმებს, რომელნიც მოახდინა ნეტარ-ხსენებულმა და მარად დაუვიწყარმან ალექსანდრე მეორემ; ლორის-მელიქოვს კი სურდა და სურს ამ რეფორმებს ფართო გზა მიეცეს, შევსებულ იქმნან იგინი და დაგვირგვინდნენ უფრო დიდი და მაღალი სახელმწიფო ცვლილებაებით. შუვალოვი იყო მოსარჩლე, მეგობარი და მფარველი მისთანა კონსერვატორების, როგორც გრაფი ტოლსტოი

და პალენი, — ლორის-მელიქოვს კი ამგვარი კაცები არ ეპიტნავებოდნენ და ცდილობდა სამინისტრო გაენთავისუფლებინა მათგან.

გაზეთების ამ უკანასკნელმა ნომრებმა მოგვიტანეს იმგვარი ამბები, რომლითაც თითქოს შუვალოვის გამარჯვებას მოასწავებდნენ. ამ ამბებმა ყველა ნამდვილი მოყვარე და მსურველი რუსეთის წარმატებისა ძალიან შეაფიქრეს და შავი ღრუბელით შემოსეს ახლო მომავალი ჩვენი სახელმწიფოსი. გამარჯვება შუვალოვისა შეიქნებოდა დასაწყისი რეაქციისა, ყოველგვარი თავისუფლების მომეტებულად შევიწროებისა უკან დახევისა და უკუღმა მსვლელობისა.

დღევანდელი ტელეგრამმა შესახებ ბარონ ნიკოლაის დანიშვნისა განათლების მინისტრათ ამ შიშს გვიქარწყლებს და აშკარად გვიჩვენებს, რომ ცილობიდგან, ქვეყნის სასიკეთოთ, გამარჯვებული გამოვიდა ლორის-მელიქოვი, რომ მისმა გავლენამ დასძლია, მისმა პროგრესიულმა მიმართულებამ გზა გაიკვლია იმ საშინელი ჭაობიდგან, რომელშიაც ჩავარდა მთელი რუსეთი ხელმწიფის საზარელი მკვლელობის გამო და რომელშიაც უნდა ჩაეხჩოთ თავის სამშობლო გამოტვინებულ-გაცოფიანებულს კატკოვსა და დაობებულს აკსაკოვსა თავიანთი ცულლუტი მაჩანჩალა სუვორინით. საქმე ის გახლავთ, რომ ბარონ ნიკოლაი ლორის-მელიქოვის დასის კაცია, ძველი ნაცნობი, მეგობარი, ყოფილი თანამომსახურე ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ მისი დანიშვნა ლორის-მელიქოვის მეცადინეობის საქმეა, ნიშნავს მის გავლენიანობის არა შესუსტებას, არამედ განძლიერებას, მისი მიმართულების გამარჯვებას და რეტროგრადების დამარცხებას.

ეს ცვლილება სანუგეშო ნიშანია იმ არა-რუსის ტომის ხალხებისათვისაც, რომელნიც ასობით არიან შეერთებულნი რუსეთთანა. სლავიანოფილები ცდილობდნენ და იმედოვნებდნენ, რომ უმაღლეს ადგილებს ახალს მეფობის დროს მხოლოდ რუსები ეღირსებიანო და სხვა ხალხების წარმომადგენელნი მხოლოდ — მეორე-მესამე ხარისხის ადგილებზედ იქმნებიან გამწესებულნიო. ლორის-მელიქოვის გამაგრება თავის ადგილზედ და ბარონ ნიკოლაის დანიშვნა მინისტრად

ცხადად გვიჩვენებს, რომ ჩვენი ახალი იმპერატორის თვალში ჩამომავლობას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, კაცის ბედი და ღირსეულება სახელმწიფოში დამოკიდებულია მხოლოდ მის ნიჭზედ, ცოდნაზედ, მხნეობაზედ და სიმარჯვეზედ. ეს ფაკტი არ შეიძლება არ ჩავთვალოთ თანასწორობის პრინციპის გამარჯვებათ, რასაც ჩვენთვის, ქართველებისათვის, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

უფრო კიდევ სანუგეშოა ეს ამბავი, თუ განათლების ინტერესების მხრით შევხედავთ. ერთი წლის წინეთ ტოლსტოის გამოცვლას და საბუროვის დანიშვნას განათლების მინისტრათ მთელი რუსეთის საზოგადოება მიეგება დიდის სიხარულით. ამ ცვლილებამ ბევრი ნათელი იმედი აღძრა; მაგრამ საბუროვი გამოდგა შეუსაბამო კაცი და იგი სრულიად ვერ შესწვდა თავის მაღალს თანამდებობას. სადაც მხოლოდ ენერგიულს მოქმედებას, მოჭრილს საქმეებს შეეძლო ბოროტის განქარწყლება და სიკეთის მოტანა, იქ ყოფილმა მინისტრმა დაიწყო ფუჭი მჭევრმეტყველობა, პტყელ-პტყელი სიტყვები, ტკბილი ბაასები, შესაქცევარი საუბრები. ტოლსტოის სისტემის სიცუდეს თითქო კარგად გრძნობდა თვითონაც, მაგრამ საკუთარი სისტემის უქონლობაც აშკარათ აღმოაჩინა. ცდილობდა თითქო ზოგიერთი ცვლილებანი მოეხდინა ტოლსტოის სისტემაში, მაგრამ ვისი ჭკუით და ხელით? იმ ჩინოვნიკურის თაოსნობით და ხელით, რომელნიც ტოლსტოის ამორჩეულნი და დანიშნულნი იყვნენ, რომელთაც მის ერთგულებაში ამოსდიოდათ სული და რომელნიც ამისათვის ყოველ ნაბიჯზედ ხელს უცარავდნენ თავის ახალს უფროსსა, უამისოთაც მოკლებულსა მხნეობასა და გონების გამჭრიახობასა საბუროვმა მოიმდურა ტოლსტოის მომხრენი, მაგრამ ამასთან მან არამც თუ არ მოიგო გული საზოგადოებისა, არამედ დაიმსახურა სრული გულგრილობა მისი თავისი ყოყმობით და ორჭოპ-ორჭოპა ქცევით. იგი გახდა შეუძლებელი მინისტრად და უნდა ჩამობრძანებულიყო თავისი მაღალი ჭანდარიდგან, სადაც მან აღმოაჩინა უძლურება, როგორც ბოროტის გაუქმებაში, ისე სიკეთის დათესაში. ამ თარიხის კაცებს არ შეუძლიანთ არც საჩხრეკელობა

ეშმაკისათვის, როგორც რუსები იტყვიან, და არც სანთლობა ღვთისათვის. ამიტომაც მათი ჩამობრძანება შეუსაბამო სიმაღლიდგან არავისში არ აღვიძებს სიბრალულს და სინანულსა.

საბუროვის დათხოვნა ყველასათვის მოსალოდნელი იყო. მაგრამ ის კი სწორეთ არავინ არ იცოდა, რაგვარი მიმართულების კაცი დაიჭერდა მის ადგილსა. შუვალოვის გავლენის განძლიერების ნიშნები იმუქრებოდნენ ხელმეორეთ ტოლსტოის დაბრუნებას განათლების მინისტრის ადგილზედ; მაღალი კილო, რომელზედაც დასძახდნენ უკანასკნელს ჟამს კატკოვი და მისი მებანეები, ძალიან მოსალოდნელს ხდიდა ამ მუქარის ასრულებასა, მაგრამ ეს შიში განქარწყლდა და ტოლსტოის მაგივრად მინისტრის ადგილი დაიჭირა სრულიად სხვა მიმართულების, სხვა დასის და სხვა ჩამომავლობის კაცმა.

რომ ჩვენ კარგად მივხვდეთ, რა მნიშვნელობა აქვს ბარონ ნიკოლაის დანიშვნას განათლების მინისტრათ, რა ბედი მოელის მის ხელში ტოლსტოის სისტემასა და რა ცვლილებას უნდა მოველოდეთ მისგან სასწავლებელთა განწყობილებაში, სამასწავლო პლანებში და პროგრამეებში, გავიხსენოთ, რომ იგი სამოც წლებში იყო ამხანაგი განათლების მინისტრის გალოვნინისა, რომელსაც კლასიციზმი სძულდა, როგორც მავნებელი სისტემა და რომელიც ტოლსტოის მინისტრობის დროს ითვლებოდა და ახლაც ითვლება მის პრინციპიალურ მოწინააღმდეგეთ. ეს მაღალ-ნიჭიერი და ყველასაგან პატივცემული პირი, რომ ეხლა ღრმა მოხუცებაში არა ყოფილიყო, უთუოთ იმას დანიშნავდნენ მინისტრად. მაგრამ მისი ყოფილი ამხანაგის ამაღლებასაც ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს... კლასსიციზმის შესუსტების და გაუქმების გარდა ახალი მინისტრისაგან ჩვენ უნდა მოველოდეთ დედაენის უფლების განცხოველებას დაბალს სასწავლებლებში და აღდგენას საშუალო სასწავლებლებში. ამ იმედს იძლევა ჯერ საზოგადო მიმართულება ბარონისა, მეორეთ შემდეგი უეჭველი ფაკტი, როდესაც ორმოცდაათს წლებში ბარონ ნიკოლაი კავკასიაში მზრუნველათ იყო სამოსწავლო ოკრუგისა, ქართულსა და სხვა ადგილობრივ ენებს იმ წესითვე და იმ

რიგითვე ასწავლიდნენ გიმნაზიებში, როგორც სხვა საგნებს. ქართული ენა ვალდებული საგანი იყო პირველი კლასიდგან დაწყებილი უკანასკლამდის, ორი შტატის მასწავლებელი ჰყავდა, ერთი უფროსი, მეორე უმცროსი. მათ იმგვარივე სამსახურის უფლება ჰქონდა, როგორიც სხვა საგნების მასწავლებლებსა და ქართულს ენას ასწავლიდნენ ვრცელი ფართო პროგრამმით.

ჩვენ სიხარულით ვეგებებით ლორის-მელიქოვის გამაგრებას თავის ადგილზედ და ბარონ ნიკოლაის მინისტრათ გამწესებას

[1881 წ.]



„კავკაზის“ აზრი კავკასიის უნივერსიტეტზე

ტფილისი, 7 აპრილს.

გასაკვირველია ამ გაზეთის — „კავკაზის“ — საქმე, რომელზედაც უნდა დაიწყოს, ამ უკანასკნელ დროს, ლაპარაკი, რა იმისთანა საზოგადო საჭიროების დამაკმაყოფილებელ საგანზედ ილაპარაკოს, უეჭველია, ყოველთვის ისეთი აზრები უნდა წარმოსთქვას და ისეთი წინადადება უნდა შემოიტანოს, რომელიც ჩვენის მხრით მოთხოვნილებათა და ჩვენი ხალხის საზოგადო სურვილის წინააღმდეგია. არავითარ წუნს, არავითარ ნაკლულევანებას ეს გაზეთი ჩვენს ქვეყანაში ვერა ჰხედავს; ყველა დაწესებულებანი კარგია ჩვენში, ჩინოვნიკები უმანკო ანგელოზები არიან... სასოფლო სკოლებში თუ სწავლა სუსტად მიდის, ეს ამიტომ, რომ შაგირდებს სკოლაში შესვლისა-თანავე, პირველ დღიდავე რუსულს ენაზედ არ აწყებინებენ სწავლას, საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში შაგირდები ხანდახან ერთმანეთში კინწლაობენ, — ამის მიზეზი ის არის, ამ სასწავლებელში სამი განყოფილებაა, ქართველებს ქართულად ასწავლიან ანბანს, რუსებს —რუსულად და სომხებს სომხურად! ყველას რომ რუსულად ასწავლიდნენ, მაშინ სასწავლებელში სრული წესიერება იქნება, ქართველი რუსსა და სომეხი სომეხს ქისტს აღარ წაჰკრავს! და სხვ. და სხვ.

ვიმეორებთ, თითქო განგებ, გაზ. „კავკაზი“ ყველაგვარ საგნებში ისეთს აზრებს წარმოსთქვამს ხოლმე, რომელიც არც ღვთისაა და არც კაცის.

ეს, უეჭველია, იმიტომ წარმოსდგება, რომ ამ გაზეთის დროებით რედაქტორს (ნაკორრექტორალს) ბ. კობიაკოვს გაუგია, რომ გაზ. „კავკაზი“ ოფიციალური გაზეთია და ამის გამო ვალდებულად მიაჩნია თავის თავი, რომ მოიწონოს ყველაფერი, რაც ჩამოსულ ჩინოვნიკებსა მოსწონთ და გაჰკიცხოს, რასაც იგივე ჩინოვნიკები ჰკიცხავენ...

სწორედ ასე მოიქცა ეს გაზეთი კავკასიის უნივერსიტეტის შესახებაც.

როგორც დაიბადა ჩვენში ჩინებული აზრი — კავკასიაში უნივერსიტეტის დაარსებისა — და არა თუ დაიბადა, არამედ იმის განსახორციელებლად თფილისისა და ქუთაისის ქალაქის გამგეობამ და ქუთაისის თავადაზნაურთა ბანკმა ნივთიერი შემწეობის აღმოჩენაც გადაწყვიტეს, თუ კი მთავრობა ინებებს ამ უნივერსიტეტის დაარსებასაო, — იმ წამსვე უკბილო „კავკაზმა“ სიცილი დაიწყო თვით ამ საგანზე და მასხარად აგდება შემწირველებისა: რა საჭიროა ჩვენთვის უნივერსიტეტიო? ვინ თხოვულობსო? ქუთაისსა და თფილისს თვითონ რო არაფერი გააჩნიათ, უნივერსიტეტისათვის რას სწირავენო! პროფესორები არ გეყოლებათ, სტუდენტები არ გეყოლებათ, ვისთვის გამართავს მთავრობა კავკასიაში უნივერსიტეტსაო?! და სხვ. და სხვ.

გუშინწინდელს ნომერში (76) გაზ. „კავკაზი“ კიდევ უბრუნდება ამ საგანს. ის იმეორებს წინეთ ნათქვამ სიბრძნეს:

„კავკასიის მომავალ უნივერსიტეტისათვის ყველაზე პირველად საჭიროა ღონისძიება, მერე პროფესორები და შემდეგ სტუდენტები. მაგრამ ვსთქვათ, რომ პირველ შემთხვევაში კავკასიის დიდებულ მოქალაქეებმა მიაწოდეს მას უხვის ხელით, ოცნებითი კი არა, ნამდვილი ასი ათასი მანეთები; ვსთქვათ, რომ ამათ მთავრობაც დაეხმარება; ვსთქვათ, რომ პროფესორებიც აღმოჩნდებიან, რადგან საჭიროება გამოითხოვს დაკმაყოფილებას; მაგრამ სად უნდა იშოვნონ სტუდენტები? იმათ ხომ რუსეთიდამ და სამზღვარგარეთიდამ ვერ გამოიწერთ, როგორც პროფესორების გამოწერა შეიძლება?...

კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველის 1879 წლის ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ წლის განმავლობაში კავკასიის იქითა და აქეთა მხრის ოთხს გიმნაზიაში სულ 52 ყმაწვილს დაუსრულებია სწავლა. რადგან სტავროპოლიდამ და ეკატერინოდარიდამ ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტები არ გვეყოლება და ქუთაისიდამ და თფილისიდამ სულ ბევრი 20 სტუდენტი გვეყოლოს, გამოვა, რომ კავკასიის უნივერსიტეტში ბევრი ფოქულტეტები უსტუდენტოდ დარჩება.

„ ...მაშ ვისთვის უნდა დაარსდეს კავკასიის უნივერსიტეტი? ჯერ გიმნაზიების რიცხვი უნდა მოუმატონ და მერე უნივერსიტეტზე ვიფიქროთ“...

რამდენი სიტყვაა ამაში, იმდენი შეცდომა.

ჯერ ერთი ეს, რომ ქალაქი და ბანკი კერძო პირი არ არის, დაჰპირდეს მთავრობას, უნივერსიტეტს თუ გახსნით, შემწეობას მოგცემთო, და მერე აღარ მისცეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს შემწეობა მთავრობას გაუორკეცდება, ოღონდ უნივერსიტეტის გახსნა ბძანოს.

მაგრამ, რატომ იმასაც არ ვიტყვით, რომ სხვა ქალაქებში, გარდა ციმბირის უნივერსიტეტისა, საზოგადოებას არავითარი შემწეობა არ აღმოუჩენია მთავრობისათვის უნივერსიტეტის დაარსებაში და ყველგან ხაზინამ თავის ხარჯით გამართა უნივერსიტეტები!

პროფესორები რომ კავკასიის უნივერსიტეტს არ მოაკლდება, ამაში ეჭვი არ არის, ერთი იმიტომ, რომ მეცნიერებისათვის არც ერთი მხარე რუსეთისა არ წარმოადგენს ისეთს საინტერესო ნიადაგს, როგორც კავკასია. ბუნების გამომეძიებელნი, ფილოლოგები, იურისტები და სხვ. უხვ ნიადაგს ნახვენ ჩვენში თავიანთ მეცნიერების წასამარტებელად.

რაც შეეხება სტუდენტებს, აქაც იმდენი სიმართლე მიუძღვის „კავკაზს“, რამდენიც სხვა ზემომოყვანილ საგნების შესახებ: იმას მოჰყავს მარტო ეკატერინოდარის, სტავროპოლის, თფილისის და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიები და ამტკიცებს, რომ პირველის ორი გიმნაზიიდამ ჩვენში არ მოვლენ სტუდენტებიო და თფილისის და ქუთაისის გიმნაზიებიდამ წელიწადში 15-20 კაცზე მეტი არ იქნებაო.

ჯერ ერთი ეს: რატომ აქ არ მოვლენ ეკატერინოდარიდამ და სტავროპოლიდამ? რომელი სხვა უნივერ-

სიტეტი რუსეთისა უფრო ახლო ექნებათ. მეორე, რატომ არ მიიღებთ მხედველობაში, რომ დღეს თუ ხვალ, უეჭველია, რეალურ სასწავლებლებისა და სასულიერო სემინარიების შაგირდებსაც მიეცემათ უფლება უნივერსიტეტში შესვლისა და მაშინ ჩვენს უნივერსიტეტში მარტო ოთხი გიმნაზიიდამ კი არ შევლენ შაგირდები, არამედ ვლადიკავკაზის, ბაქოს, თფილისის რეალურ გიმნაზიებიდამაც, ერევნისა და ქუთაისის მეორე გიმნაზიიდამაც, თფილისისა და ქუთაისის მომავალ სასულიერო სემინარიიდამაც და სხვ.

ამნაირად 5-10 წლის განმავლობაში ჩვენ გვექნება 10-12 საშუალ სასწავლებელი, რომელშიაც კურსდასრულებულ ყმაწვილ-კაცებს შეეძლებათ ჩვენშივე გაგრძობა უმაღლესის სწავლისა.

ამას მიუმატეთ კიდევ თავისუფალნი მსმენელნი ლექციებისა; მიუმატეთ კიდევ რუსეთიდამ მოსული სტუდენტები (ჩინებული ჰავა, ბუნება კავკასიისა, უეჭველია, ბევრს მოიყვანს ჩვენს ქვეყანაში) და თქვენ გაიგებთ, რომ ჩვენს მომავალს უნივერსიტეტს არც ერთ ამ მხრით არ ექნება დაბრკოლება.

ამ საგანს ჩვენ კიდევ მალე დაუბრუნდებით.

[1881 წ.]



ბათომის ახალი გუბერნატორი

ტფილისი, 24 აპრილს.

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ ბათომის ღუბერნატორად, ღენ.-მაიორის კამაროვის მაგივრად, დაინიშნა თერგის მაზრის უფროსის თანაშემწე ღენ.-მაიორი სმეკალოვი. სხვა დროს და სხვა გუბერნიაში ამგვარ გარემოებას, ერთის ღუბერნატორის გამოცვლასა და მეორეს დანიშვას, მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიეწერება, მაგრამ ბათომის მაზრა ამჟამად ისეთს მდგომარეობაშია, იქაური ხალხი ისეთნაირად აღელვებულია, ყოველ ადმინისტრაციას იქ ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს ჩვენთან ახლათშემოერთებული ხალხი, როგორც იმერლები ამბობენ, კანჭებში შესჩერებია რუსის ჩინოვნიკს და იმ ახალ წესებს, რომელსაც რუსის მმართებლობა ადგენს. ახლა იქ ყოველ ნაბიჯს, ყოველ ახალ განკარგულებას დაკვირვებით, ყურადღებით შესცქერიან და თუ რამე არ მოეწონათ, თუ დაინახეს, რომ იმათ გულისპასუხს არ ეთანხმება ეს წესები და განკარგულება, თუ დაინახეს, რომ ადმინისტრაცია ხალხის სიკეთისათვის არ ზრუნავს, თუ დარწმუნდნენ, რომ პატივს არა სცემენ ხალხის ჩვეულებას, ხასიათს, იცრუებენ გულს, ჰყიდიან ან უპატრონოთ აგდებენ თავიანთ მამა-პაპეულ ადგილ-მამულს, სახლ-კარს, იკრავენ ბარგს და მიდიან ოსმალეთში, თუმცა კარგათ იციან, რომ იქ უკეთესი ბედი არ მოელის იმათ.

ამ ხალხის გადასახლებას უნდა მიაქციოს ახალმა ღუბერნატორმა უმთავრესი ყურადღება. ყოველი ადმი-

ნისტრატორის პირდაპირი მოვალეობა, და განსაკუთრებით იმისთანა მხრისა, როგორიც ახალდაპყრობილის ბათომის მაზრის ხალხია, ის არის, რომ ხალხის კანონიერი მოთხოვნილება გაიგოს და ეცადოს იმის დაკმაყოფილებას.

რამდენათაც ჩვენ გაგვიგია, ბათომის მაზრის ხალხის უპირველესი მოთხოვნილება არის: ხელი მოუმართოს მას მთავრობამ იმ გაჭირებაში, რომელშიაც ომის შემდეგ და ომის წყალობით ჩაცვივდნენ; დაცული იქმნენ ზოგიერთ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უკანონო მოქმედებისაგან; მიეცესთ მათ მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება და უყურონ იმათ ისე, როგორც ნამდვილ ადამიანებს, და არა ველურ ხალხს, მხეცებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნი სმეკალოვი, რომლის ქება ჩვენ ბევრისაგან გაგვიგია, ყველა ამას კარგათ მიხვდება და გულმოდგინეთ ეცდება, რომ ამ გაჭირებულ, მოძულებულ ხალხს რითაც შეუძლიან ხელი მოუმართოს, შევიწროებული ცხოვრება შეუმსუბუქოს გაათავისუფლოს ზოგიერთ უსინდისო ჩინოვნიკების შევიწროებისაგან.

თუ ეს მოახერხა და შეასრულა, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმან შეასრულა თავის ნამდვილი დანიშნულება, მაშინ ის დაიმსახურებს ხალხის მადლობასა და თანაგრძნობას და ეს არის საუკეთესო ჯილდო ყოველ ხალხის მმართველისათვის...

[1881 წ.]



სწავლა-განათლების საქმე

თბილისი, 13 ივნისს.

ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო ამას წინათ რიცხვი იმ ქართველ ყმაწვილ-კაცებისა, რომელთაც თფილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში შეასრულეს წელს სწავლა: თფილისის კლასიკურ გიმნაზიაში ოცდათოთხმეტ ყმაწვილ-კაცში 9 ქართველს გაუთავებია კურსი და ქუთაისის გიმნაზიაში თორმეტი ყმაწვილიდამ სამი ქართველი ყოფილა.

ამდენი ქართველები თფილისის გიმნაზიის კურსშესრულებულებში დიდი ხანია არ გვინახავს: საზოგადოთ ამ გიმნაზიაში წელიწადში ერთი ან ორი ქართველი თუ ათავებს კურსს, მეტი არა. მაგიერად ქუთაისის გიმნაზია გვაკვირვებს: იქ მუდამ წელიწადს თითქმის მარტო ქართველები ათავებდნენ კურსსა და წელს კი თორმეტში მარტო სამია ქართველი.

ჩვენ არ ვიცით — თფილისის რეალურ სასწავლებელში გაათავეს წელს ქართველებმა სწავლა, თუ არა; ან თუ გაათავეს, რამდენმა. მაგრამ, ვსთქვათ, აქაც სამს ქართველს შეუსრულებია კურსი. გამოვა, რომ ყველა გიმნაზიებიდამ წელს 15 ქართველი გამოსულა და ამ თხუთმეტს ეძლევა უფლება უმაღლესის განათლების მიღებისა.

უფლება ეძლევა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში უმაღლესი სწავლის მისაღებად და რუსეთში წასასვლელად მარტო უფლება არ კმარა, საჭიროა ღონისძიება, საშუალება; თუ მივიღებთ ამას გარდა მხედველობაში, რომ ზოგიერთი რუსეთში წასულ ყმაწვილ-კაცებში შეიძლება დაუნდობილმა სიკვდილმაც მოგვტა-

ცოს და ზოგიერთები სხვა რომელიმე მიზეზით ვერ შეასრულებენ უმაღლესს სწავლას, — გამოვა, რომ წლევანდელი გიმნაზიის კურსიდამ ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ჩვენ მოგველის მხოლოთ ხუთი-ექვსი, ბევრი-ბევრი ექვსი ან შვიდი უნივერსიტეტებში ან სხვა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში კურს-დასრულებული ყმაწვილ-კაცი.

დამეთანხმეთ, რომ ეს რიცხვი ერთობ ცოტაა, ერთობ მცირეა ერთის მილიონის ქართველ ტომის ხალხისათვის. მუდამ წელიწადს რომ მხოლოთ ოთხმა ან ხუთმა ყმაწვილ-კაცმა მიიღოს უმაღლესი განათლება, როდის უნდა ეღირსოს ჩვენი ქვეყანა ამათგან იმ ნაყოფის მოტანას, რომელსაც უმაღლესის სწავლის პატრონისაგან უნდა ველოდეთ? როდის უნდა მოიფინოს საქართველო ნასწავლ ექიმებით, იურისტებით, ინჟინერებით, ტეხნიკებით, მასწავლებლებით? როდის უნდა „გაიაფდეს“ ჩვენში დიპლომები და სწავლა-განათლება?

თუ ამ კუს ნაბიჯით ვიარეთ, თუ მთავრობამ და თვითონ საზოგადოებამ სხვა საშუალება არ მოსძებმა, საშუალება — გამაადვილებელი საშუალ სასწავლებლებში კურსის შესრულებისა და შემდეგ უმაღლესის სწავლის მიღებისა, — უეჭველია, რომ, ასე შორს ვერ წავალთ, მალე ვერ ვეღირსებით ჩვენს ქვეყანაში უმაღლეს სწავლის მიღებულთ დასის გამრავლებასა და მოწინავე ახალგაზრდობის რიცხვის თვალსაჩინოდ მომატებასა.

სამი რამ დაგვეხმარება ჩვენ ამ შემთხვევაში, სამი რამ, რომელზედაც გაზეთში არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი და შემდეგაც არაერთხელ კიდევ გვექნება:

ა) უნივერსიტეტის გახსნა თფილისში, ეს გაუადვილებს ჩვენებურ ყმაწვილ კაცებს უმაღლეს სწავლის მიღებასა და დაიხსნის რუსეთის მავნებელ ბუნებისაგან და შეუსაბამო ხარჯისაგან:

ბ) პირველი დაწყებით სწავლის სამშობლო ენაზე წაყვანა. უცხო ენაზედ სწავლის დაწყებას, უეჭველია, დიდი და მავნებელი გავლენა, ზედმოქმედება აქვს ქართველ ყმაწვილების ნორჩ ტვინზე, ეს ტვინი იმდენათ იღალება, ხანდისხან ჩლუნგდება კიდეცა, რომ შემდეგ დიდი შრომის, მუშაობის ატანას ვეღარ ახერ-

ხებს; — ეს არის მიზეზი, რომ მომეტებული ნაწილი ქართველ გიმნაზიელებისა მესამე და მეოთხე კლასიდამ გამოდიან ანუ გამოირიცხებიან ხოლმე, და

გ) საშუალ სასწავლებლების რიცხვის მომატება ჩვენში. თფილისის კლასიკური გიმნაზიაში ამჟამად, თუ არ ვსცდებით, რვაას შაგირდამდინ ითვლება; ქუთაისის გიმნაზიაში, ამბობენ, რვაასზე მეტიც არისო, იქ მეექვსე კლასამდინ პარალელური კლასები არისო და წელს, რადგან მეხუთე კლასში 60 შაგირდზე მეტი არისო, მეორე პარალელური კლასის გახსნაც საჭიროაო. განა მარტო ეს ორი გიმნაზია, — ყველა საშვალ სასწავლებლები სავსეა შაგირდებით და უადგილობის გამო, მსურველთაგან ნახევარს, მეოთხედს, მეათედ ნაწილსაც აღარ იღებენ.

როცა ამ სამს ნაკლულევანებას მოვსპობთ, მაშინ და მხოლოთ მაშინ შეგვეძლება ვსთქვათ, რომ სწავლის კარები დახშული არა გვაქვს-თქო, ვეღირსებით ჩვენ ჩვენის ქვეყნისათვის განათლების სხივის მომფენ ახალგაზდობის გამრავლებასა და უმეცრებისაგან დაჩაგრულ ხალხის წარმატებას.

[1881 წ.]



კურსშესრულებულებს

თბილისი, 13 ივნისს.

დღეს შეასრულეთ თქვენ სწავლა საშუალ სასწავლებელში. დღეს მოიშორეთ თავიდამ ის მძიმე ტვირთი, რომელსაც გიმნაზიის კურსს ეძახიან. ახლანდელს გიმნაზიებში და საზოგადოთ საშუალ სასწავლებლებში სწავლა თითქმის ყველგან ძნელი ტვირთია ყმაწვილის ნორჩ ბუნებისათვის; ჩვენებურს გიმნაზიებში კი და ჩვენი ყმაწვილებისათვის ეს ტვირთი, სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელიც არაერთხელ ყოფილა ჩვენს გაზეთში მოხსენებული, ერთი-ორად უფრო მძიმედ და თითქმის აუტანელ ტვირთად ხდება. ამიტომაც არის, რომ იმ ასსა და ორასს ყმაწვილებში, რომელნიც მუდამ წელს შედიან გიმნაზიების პირველ კლასებში, ძლივს ათი მიაღწევს მერვე კლასსამდინ და ასრულებს სწავლას.

მარტო ის გარემოება, რომ თქვენ გადურჩით უცხო, გაუგებარს ენაზედ საგნების შესწავლის ტანჯვას, რომ გადურჩით ბერძნულსა და ლათინურს ენებს, რომ თქვენ გადურჩით ბევრ სხვა ზნეობით და ნივთიერ განსაცდელს, რომელიც ჩვენის ქვეყნის შვილებს ჩვენს საშუალ სასწავლებლებში მუდამ გზაზე ელობება, ვამბობთ, მარტო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ თქვენ გქონიათ მაგარი ბუნება და მკვირცხლი, ცოცხალი ტვინი.

ახლა თქვენ უმაღლესს სასწავლებლებში წასვლას და იქ სწავლის შესრულებას ემზადებით. კეთილია განზრახვა თქვენი და ჩვენ თქვენზე ნაკლებ არა გვსურს, რომ ეს კეთილი განზრახვა კეთილადაც შეგესრულებინოსთ. მაგრამ სანამ თქვენს ქვეყანას გამოეთხოვებოდეთ და სანამ იმ გზას დაადგებოდეთ, რასაც ნეტარ და ყველასათვის ტკბილ-მოსაგონებელ ცხოვრებას ეძახიან, ორიოდე ძმური სიტყვა მინდა გითხრათ:

თქვენ ჰხედავთ — რა მდგომარეობაშია ამჟამად ჩვენი პატარა, მაგრამ ლამაზი ქვეყანა; ჰხედავთ, რომ ჩვენ ბუნებით მდიდარი ვართ, ყოვლად შემკობილი ქვეყანა წილად ურგუნებია ჩვენთვის განგებას; ჰხედავთ და იცით, რომ ჩვენი ხალხიც ნიჭიერი ხალხია; მაგრამ ამასთანავე იმასაც ჰხედავთ, რომ ეს ხალხი სიღარიბეში, სისაწყლეში და გაჭირებაშია ჩავარდნილი; იმას ვერ უსარგებლნია იმ ბუნებით სიმდიდრით, რომელიც გარს არტყია; ვერ უსარგებლნია თავის მხნეობითა და ნიჭით.

საქმე ათასია ჩვენში: ეს ხელუხლებელი ბუნება, ეს შეუმუშავებელი ქვეყანა, ეს ღარიბი და უმეცარი ხალხი — ყველაფერი მუშა-ხელს და მუშა-ტვინს თხოულობს, ყველას კაცი, მშრომელი და გულ-შემატკივარი ეჭირება.

მაგრამ სად არის კაცი? სად არის მშრომელი და მზრუნველი ქვეყნისა და ხალხისათვის?

ჩვენი უბედურებაც ეგ არის, რომ კაცები არა გვყვანან. ყველა თავის სოროებში შემძვრალა, ყველა კერძოთ თავისთვის ზრუნავს და თუ სადმეა ხალხი, საერთო ქვეყანა, საზოგადო — სამშობლო — ეს ათასში ერთსაც არ აგონდება და თუ აგონდება, ისიც ხშირად მარტო იმისთვის, რომ სიტყვით სთქვას: „საყვარელო სამშობლოო“ და საქმით კი თავის მოძმეს ორმო გაუთხაროს.

ამ ნაკლულევანების შესრულებას ჩვენი ქვეყანა თავის განათლებულ შვილებისაგან მოელის. და თქვენ, რომელნიც თვით განათლების სათავეს დასაწაფებელად მიდიხართ, კარგათ უნდა გახსოვდეთ: უნდა გახსოვდეთ, რისთვის მიდიხართ და დაბრუნების შემდეგ, ქვეყანა რას მოგსთხოვთ; უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენა ხართ იმედი ჩვენის აწ-დავარდნილის სამშობლო ქვეყნისა; გახსოვდეთ, რომ თქვენ ისეთი სწავლა უნდა შეიძინოთ, რომელიც, ბოლოს, ამ თქვენ ქვეყანას ცოტათი მაინც წასწევს წინ, ცოტათი მაინც დაეხმარება ხალხს, ცო-

ტათი მაინც მიაახლოვებს ამის თითქმის ველურ ცხოვრებას განათლებულ ევროპის ადამიანურ ცხოვრებასთან.

მართალია, სხვადასხვა წოდებისა და ხელობის განათლებული კაცები ახლაც მოიპოებიან ჩვენს ქვეყანაში; ახლაც გვყვანან განათლებული ჩინოვნიკები, მემამულენი, მწარმოებელნი, აფიცრები, თვით მეცნიერნიც; მაგრამ, საუბედუროთ, ამათ ერთი რამ დავიწყებიათ: რომ ისინი თავის ქვეყნის შვილნი არიან, და მხოლოდ თავის განსაკუთრებულ ხელობას დასდგომიან: ჩინოვნიკი მხოლოდ ჩინოვნიკობს, აფიცერი აფიცრობს, მემამულე — მამულს უვლის, მეცნიერი თავის კაბინეთში ზის. არც ერთს არ უნდა, თითქო, გაიცნოს ცხოვრება, ხალხი, მიიღოს მონაწილეობა ამ ცხოვრებაში და განათლების, წარმატების სხივი მოჰფინოს სიბნელით, უმეცრებით, სიღატაკით მოცულს ქვეყანას...

თქვენგან მოველით, რომ ამათ კვალზე არ გაივლით. თქვენგან მოველით, რომ თქვენს სპეციალურ მეცნიერებათა შესწავლაში არ დაივიწყებთ — რა იმედიცა აქვს ქვეყანას თავის განათლებულ ახალთაობისა და როცა დაბრუნდებით, როცა „ცხოვრებას დაიწყებთ“, მაშინ, შეძლებისადაგვარად, აგვისრულებთ ამ იმედს.

ამ იმედით გესალმებით და „გზას დაგილოცავთ“...

[1881 წ.]



სოფლის მწარმოებლები

თბილისი, 7 ივლისს.

თბილისის სიძვირის ერთ უმთავრეს მიზეზად, უეჭველია, ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ სოფლის ნაწარმოებს, ხორაგეულს, ქალაქში მცხოვრებ ხალხამდინ პირდაპირ ვერ მოუღწევია, ამათ შუაში დგანან ვაჭრები, ათასგვარი ჩარჩები, კინტოები და სხვ., რომელნიც ან სოფლებში დადიან და ნახევარ ფასად ჰყიდულობენ ყოველნაირ ხორაგეულს ან ქალაქის გზებზე უხვდებიან, თითქმის ძალათ სტაცებენ ხელიდამ, შემოაქვთ მერე ქალაქში და ერთი-ორად, ერთი-ოთხად ჩვენზედ ჰყიდიან.

ვაი იმის ბრალი, თუ რომელიმე სოფლელი ვერ მოთავსდა სოფელში ან გზაზე ქალაქის ვაჭართან, თვითონ შემოიტანა აქ თავის საქონელი და ჩვენს იარმუკებზე და მეიდნებზე მოინდომა ვაჭრობა! ყოველის მხრით დაესევიან იმას ვაჭრები, კინტოები და ჩარჩები, ზოგი სტაცებს, ზოგი ჩხუბს აუტეხს, ზოგი მესამედ ფასს შეაძლევს და სხვ., თითქო ყველას პირი აქვთ შეკრული, რომ დაჩაგრონ, აზარალონ, რომ მეორედ აზრათაც აღარ მოუვიდეს ქალაქში შემოსვლა თავის საქონლითა.

ერთი საყურადღებო მაგალითი გვიანბეს, რომელიც ამ დღეებში მომხდარა:

რამდენსამე მთიულ სოფელს მოუგროვებიათ რაც გასასყიდი მატყლი ჰქონიათ და, რადგან ადგილობრივ მისული ქალაქის ვაჭრები რიგიან ფასს არ იძლეოდნენ, სამი თუ ოთხი სანდო პირი ამოურჩევიათ თავიანთ შორის, დაუდვიათ ურემზე ეს მატყლი და პირდაპირ

ქალაქში ჩამოუტანიათ იმ იმედით, რომ აქ ხელმისაცემ ფასად გაჰყიდდნენ

თფილისის ვაჭრებს ამგვარი ამბავი აბა როგორ გამოეპარებოდა: იმწამსვე პირი შეუკრავთ და ხან ერთი, ხან მეორე მიდიოდა თურმე რიყეზე, სადაც მთიულებს მატყლი ჰქონდათ ურმებით და ყველა იმაზე ნაკლებ ფასს აძლევდა, რასაც ადგილობრივ, სოფელშივე, აძლევდნენ. მთიულები ჯერ მაგრად იდგნენ, ზარალით არ უნდოდათ მატყლის გაჰყიდვა, მაგრამ ბოლოს, როცა ფული შემოელიათ, საქონლისა და თავის თავის რჩენა გაუჭირდათ, მეტი რა ძალა ჰქონდათ, თითქმის ნახევარ ფასად დაუთმეს სომეხ-ვაჭარს თავიანთი საქონელი.

და მეორედ, რასაკვირველია, ამათ რკინის ჯაჭვითაც ვეღარ ჩამოიყვანთ ქალაქში თავიანთ ნაწარმოების გასასყიდლად!

სადაც ამგვარი წესებია ვაჭრობისა, სადაც სოფლის მწარმოებელი ამისთანა შევიწროებულ მდგომარეობაშია, სადაც ამ მწარმოებელს, ხელისმოწყობის მაგივრად, ათასნაირი დაბრკოლება უხვდება წინ, იქ, რასაკვირველია, სიიაფესა და ქალაქში ცხოვრების გაადვილებას არ უნდა მოველოდეთ.

და მართლაც, მგონი, არსად არ არის ცხოვრება ისე ძვირათ და ღარიბი ხალხი ისე შევიწროებული, როგორც ჩვენს ქალაქში.

საშუალება ამგვარ მდგომარეობის მოსასპობელად ერთადერთია: იმისთანა შენობის ან მიედნის გამართვა, სადაც სოფლის მწარმოებელს შეეძლოს ჩამოტანა თავის საქონლის და თავისუფლად ვაჭრობა.

ეს ერთი, მეორე უფრო საჭირო ის არის, რომ სავაჭრო პოლიცია უფრო კარგი, უფრო მარჯვე და პატიოსანი იყოს, ვიდრე ახლაა, რომ ამან დაიცვას სოფლის ხალხი ქალაქის ვაჭრების ძალადობისა და უსამართლოებისაგან.

ორივე ეს ადვილად შესასრულებელია, თუ კი ქალაქის გამგეობა მოინდომებს და ეცდება.

[1881 წ.]



მიეცით მამასახლისებს შესაფერი პატივი

თბილისი, 1 აგვისტოს.

ამას წინეთ „დროებამ“ (№159) დაბეჭდა ერთი კორრესპონდენცია გორიდამ, რომლის საგანი ყურადღების ღირსიც არის და ბევრ საჭირო კითხვას სძრავს. საქმე ჩვენი სოფლელების ცხოვრებას და მმართებლობას შეეხება, და ნათლად, ან უფრო სწორეთ ვსთქვათ, — ბნელათ ხატავს, იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ამჟამათ სოფლის ამორჩეულ მმართველებს და მათ უფროსებს შუა.

„დროებას“ უწინაც ხშირათ მიუქცევია ამ საქმეზე მკითხველების ყურადღება, მართლაც მდგომარეობა მეტისმეტათ მძიმე და უწესო შეიქნა. სოფლელები ირჩევენ თავიანთ კეთილსინდისიან პირებს. თავიანთ მსაჯულებს, მამასახლისებს. კანონი ამ ამორჩეულ პირებს და მთელ სოფლის საზოგადოებას თვით-მმართველობის უფლებებს ანიჭებს. საუბედუროთ, ჩვენი პრისტავების, უეზდის უფროსების და მათი თანაშემწეების ხელში, ეს კანონით მონიჭებული უფლება ყოველ დღე ირღვევა და ქარწყლდება. ამ ვაჟბატონების წყალობით, სოფლის წარმომადგენელი პირები, სოფლის პატრონები, მამასახლისები, უბრალო ჩაფრებათ არიან გადაქცეულნი. მათი მოვალეობა, მთავრობის და კანონის თვალში, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სოფლის საზოგადოებას მოუარონ. სოფლის საჭიროებებზე იზრუნონ, სოფლის სიმდიდრე და შეძლება გაადიდონ, ერთი სიტყვით — სოფელს უპატრონონ და წინ წაუძღვენ. პრისტავები და უეზდის უფროსები კი, თავიანთი ნებით, და კანონის

წინააღმდეგათ, ნიადაგ იმას ცდილობენ, რომ ამგვარი უფლებებით აღჭურვილი და ამნაირი მოვალეობით დატვირთული მამასახლისი უწინდელ გზირათ გადააქციონ. მართლაც, ჩვენში პრისტავები და უეზდის უფროსები სწორეთ ისე ექცევიან მთელს სოფლისგან ამორჩეულ მამასახლისს, თითქო ეს კაცი სოფლის წარმომადგენელი და წინამძღოლი კი არა, მათი საკუთარი ჩაფარი იყოს. ჯერ ერთი ეს, რომ დილიდამ საღამომდი პოლიციის ან სუდის პოვესტკებს არიგებინებენ, და ამ შრომაში მამასახლისებს ეკარგებათ უმჯობესი დრო. მეორეთ — სახელმწიფო და საერო ხარჯის და გარდასახადის მოსაბოჭავათ ხმარობენ, აგრეთვე, როგორც ურმების, ცხენების და მუშების საძებნელათ. ეს კიდევ არაფერი. მაგრამ საძნელო ის არის რომ კერძო საჭიროებებზედაც ამავე მამასახლისებმა უნდა იზრუნონ. თუ პრისტავი ან მისი ნაცნობი კერძო პირი, თავის კერძო საჭიროებისთვის სოფელში მობრძანდა, მამასახლისმა იმას სახლიც უნდა მოუძებნოს სადგომათ, სადილ-ვახშამიც უნდა დაუმარაგოს, ცხენი და მხლებელიც უნდა აუჩინოს და თანაც უნდა ეახლოს ხოლმე მეორე სოფლამდი და მეორე მამასახლისამდი. ამგვარ „შრომაში“ გადის ამ საწყალი მამასახლისების დრო ეხლა ეს გვიბრძანეთ — ქვეყნის, სოფლის საქმეებზე ან საჭიროებაზე როდის უნდა იზრუნონ?

ან ამას ვინ დაეძებს, კაცობრიულათ მაინც რომ ეპყრობოდენ უფროსები ამგვარათ დატვირთულ და გზადაბნეულ მამასახლისს! უბედურება ეს არის, რომ თუ მამასახლისმა ყველაფერში ვერ ასიამოვნა პრისტავს ან უეზდის უფროსს, ან მის თანაშემწეს, ან მის სეკრეტარს, ან მის მთარგმნელს, ან მის მწერალს, ან მათ ცოლ-შვილს და მეგობარ-ნათესავს, ეს პირები დაუზოგველათ აუპატიურებენ და სცემენ ხოლმე სოფლის წარმომადგენელს, სოფლის პატრონს, მთელი სოფლის ნდობით შემოსილ კაცს! ეხლა ეს გვიბრძანეთ, რა გავლენა უნდა ჰქონდეს სოფლელებზე იმ ამორჩეულ პირს, რომელსაც ნიადაგ და წაღმა-უკუღმა კბილებს ანტვრევს და ცხვირში ძმარს ადენს პირველი სოფელში მოთრეული „პერევოდჩიკი“ ან კაკარდით მოსილი მწერალი უეზდის მმართველობისა? რა ხალისი

უნდა ჰქონდეს საზოგადო სამსახურისა ან სოფლის პატრონობისა იმ ამორჩეულ პირს, როდესაც მისი სოფლელების ნდობა და არჩევა, პატივის მაგიერ, მარტო მუშტებს და ჯლინქვებს უმზადებს? — რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარ მდგომარეობაში, ყოველი სოფლელი, რომელიც კი თავის თავს აფასებს და თავისი პატიოსნების დაცვაზე ზრუნავს, განზე დგება ამორჩევების დროს და თავიდამ იცილებს მამასახლისობას. ეს თანამდებობა მაშინ მარტო იმისთანა პირებს ერგება, ვისთვისაც სულ ერთია სილა, მუშტი, პანღური, ოღონდ კი მამასახლისის ნიშანი ჩამოიპორწიალოს გულზე, მამასახლისის სახელი დაირქვას და მისი შემოსავლით ისარგებლოს...

უმაღლესი ჩვენი მთავრობა ხშირათ სჩივა — სოფლის საქმეები ცუდათ მიდიანო, ცუდ კაცებს ირჩევენ სოფლელებიო, ცუდ პირების ხელში ვარდება ხოლმე სოფლის ბედიო. მართალია ეს, საუბედუროთ. მაგრამ თუ ჩვენ გვინდა, რომ სოფლის თვითმმართველობა ხეირიანათ წარმოებდეს და პატიოსანი კაცების ხელში რჩებოდეს, აუცილებლათ უნდა ვეცადოთ, რომ სოფლის ამორჩეული პირები იმ უბედურ დამოკიდებულებიდამ გავათავისუფლოთ, რომელშიაც ისინი დღეს იმყოფებიან... შეაგონეთ უეზდის უფროსებს და მათ ხელქვეითებს, რომ სოფლის წარმომადგენელი არც მათი გზირია, არც მათი მზარეული, არც მათი ჩაფარი, და ნახავთ, რომ მაშინ სულ სხვაფრივ დაბრუნდება ჩვენი სოფლის თვითმმართველობის ბედი...

[1881 წ.]

ქართული თეატრის შესახებ

ორი წელია მას აქეთ, რაც ქართული თეატრი დაარსდა. ამ დაარსების წინეთ ჩემს ფელეტონში /„დროება“ №169, 1879წ./ სხვათა შორის აი, რას ვამბობდი: „ჩვენი აქტიორები თამაშობენ და არ იციან, რას თამაშობენ, პიესას არ იცნობენ, მისი შინაარსი ვერ გაუგიათ, რასაკვირველია, ამისთანა გუნებაგაუხსნელობა ბევრს ავნებს ჩვენს თეატრის საქმეს, თუ გონიერი და სცენის მცოდნე კაცი არ იქნება რეჟისორათ. ყველას სჭირია მანერების შესწავლა მიხვრა-მოხვრის, თავის ხმის თავისუფლად მოხმარება და სულ ამგვარი პირველ დაწყებითი კანონები სცენური ხელოვნებისა.

ხალხი, საზოგადოება ძალიან თანაუგრძნობს ამ საქმეს და თუ ჩვენმა არტისტებმა არ მოიშალეს ეს ყმაწვილური უზრუნველობა თავის მოვალეობის აღსრულებისა, მაშინ გამოეთხოვონ საზოგადოების თანაგრძნობას. მოთამაშეებს უნდა იმის გაგება, რომ ის საქმე, რომლისთვისაც მათ ხელი მოუკიდნიათ, ადვილი და პატარა არ არის, ყოველი საზოგადო საქმე ბევრს ვალდებულებას სდებს კაცს, უმეტეს ყოვლისა თეატრის საქმე. საზოგადო საქმეში საჭიროა ყველაზე უფრო სინიდისი და ცდა და თუ იმასთან ნიჭიც მოსდევს კაცს, რაღა ემჯობინება. აი, ნიჭი ბევრია ჩვენს ტრუპპაში და თუ ამასთან უფრო სინდისიანად ეცდებიან თავის მოვალეობის აღსრულებას, ვინემ აქამდის აღასრულებდნენ, მაშინ საზოგადოების თანაგრძნობას საზღვარი აღარ ექნება, წინააღმდეგ შემთხვევაში სანატრელი იქნება, რომ ეს ტრუპპა სულაც არ დაწესდეს, რადგან თეატრის საქმეს ესენი მხოლოდ ვნებას მოუტანენ“.

ეს იყო ორი წლის წინათ და ახლა ვიკითხოთ, რა მოხდა ამ ხანში ქართულ თეატრში?

პირველი და უმთავრესი — საზოგადოებას გული აუცრუვდა ქართულ თეატრზე, ნაკლებ დაიარება ქართულ წარმოდგენებზე და თუ მოდის ხანდახან უნებურათ, იმისთვის, რომ როგორმე ოთხი-ხუთი საათი დრო გააფუყოს, იმ იმედით, რომ იქნება ამ ოთხ საათში ერთმა მაინც რამ კმაყოფილება მისცეს, და არა იმისთვის, რომ იმედი ჰქონდეს თავის ესთეტიკური გრძნობის სრულიად დაკმაყოფილებისთვის. განა საჭიროა, რომ მიზეზები მოგახსენოთ, რისთვის მოხდა ყველა ეს? ჩემის ჰაზრით საჭიროა, თუმცა ამავე საგანზე „დროებაში“ არა ერთხელ თქმულა, მაგრამ რაც ბევრს ვიჩიჩინებ, ბევრს ვიბაასებთ ამ საგანზე და ხშირ-ხშირათ გაგახსენებთ ამ სამწუხარო მოვლენას ჩვენი თეატრის თაობაზე, ის უფრო კარგი იქნება.

უმთავრესი მიზეზი, რომ საქმეები ესე ცუდათ მიდიოდა, არიან: ურეჟისორობა და მოთამაშეებისაგან თავის მოვალეობის უსინდისოთ აღსრულება, მე ვიხმარე სიტყვა უსინდისოთ. ეს სიტყვა მკაცრია, „მაგარი“, თითქმის სილის გარტყმა ჩვენი არტისტებისათვის, მაგრამ რა ვქნა რომ ეგ მართალია და იმისთანა დიდ საქმეში, როგორც ჩვენ ქართველებისათვის არის ქართული თეატრი, ამგვარი პირამთქმელობა და სასტიკი სჯა რამოდენიმე პირზე, რომელთაც თითქმის დაღუპეს ქართული თეატრი, უადგილო და გადამეტებული არ არის.

მოსაწყენი არ იქნება, მკითხველო შენთვის, კიდევ მოგახსენოთ, რომ ჩვენი არტისტები პირველ თეატრის მოთხოვნილებას უსვინდისოთ ასრულებენ... ესე იგი როლებს არ სწავლულობენ? სხვის რიღასი მოთხოვნა შეიძლება ამგვარი პირებისაგან? როგორ შემიძლიან ყმაწვილს ლექსი წავაკითხო თუ იმას ანბანი არ შეუსწავლია?

რით არის ეს ეგრე? რატომ ესე უპატიოსნოთ ეპყრობიან ჩვენი არტისტები თავიანთ საზოგადოებრივ სამსახურს? პირდაპირი პასუხი ამისა არის ისევ ის გონებითი სისუსტე, როგორიც ამ საქმის დასაწყისში იყო და თავის თავიდამ პატივის-აღება. ნუ დავივიწყებთ

ამასთან, რომ ეს არის საზოგადოების, ხალხის შეურაცხყოფა და ის კაცი, რომელიც არა თუ მთელ საზოგადოებას მიაყენებს შეურაცხყოფას, არამედ ცალკე პირსაც, ზნეობით დაცემული და დამნაშავე უნდა იყოს.

ჩვენ არ ვამბობთ მანერებზე, მიხვრა-მოხვრაზე და ჩაცმაზე, — შეუძლებელია ამაზე ლაპარაკი, თუ როლი არ იცის, თუ სცენაზე მომქმედი პირის ხასიათს არ იცნობ, აქ რა შესაფერი მიხვრა-მოხვრა და მანერები გვექნება; ჩინეთელს იმერლად წარმოადგენ და ამერიკელს კახელად.

შეიძლება თეატრის უკეთ წაყვანა, შემდეგში მოგახსენებთ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

ქართული თეატრის მოყვარე

[1881 წ.]



ახალ ქართულ გაზეთს

ტფილისი, 4 სეკტემბერს.

დღეს მივიღეთ ქუთაისიდამ პირველი ნომერი იქაურ ქართულ გაზეთის „შრომისა“.

მივიღეთ, გადავფურცლეთ, გადავიკითხეთ და პირველი გრძნობა, რომელიც აღიძრა ჩვენს გულში, იყო სიამოვნება და სიხარული, რომ კარგი თანამოძმე, კარგი მწეველი ერთისადაიმავე უღლისა დაგვებადა, შეგვემატა.

ამ პირველ ნომერზედვე ეტყობა, რომ ახალი გაზეთი სწორეთ იმ გზას დაადგება, რომელიც ყველა მამულისშვილისა და სამშობლოსმოყვარე ქართველისათვის სანატრელია ამჟამად. ჩვენ ვიცნობთ ახალ გაზეთის რედაქციის შემდგენელ პირთ და იმედი გვაქვს, რომ ამ გზას ისინი არ უღალატებენ და ამთავითთვე გამოთქმულს მიზანს ერთგულად ემსახურებიან.

ერთს ადგილას სახელმძღვანელო (მოწინავე) წერილში ჩვენ ვკითხულობთ:

„ყოველსავე ჩვენს შრომას, ჩვენს მიმართულებას და მიზანს მხოლოდ საზოგადოების ინტერესი აქვს. ჩვენ მისთვის არ ვზოგავთ როგორც ჩვენს ნიჭს, აგრეთვე ჩვენს ქონებას და სიცოცხლეს. სამწუხაროდ ჩვენდა უმეტეს ნაწილს საზოგადოებისას ასე არ ესმის თავის დანიშნულება და არ მოქმედებს ისე, როგორც მათი მოვალეობა მოითხოვს, რომ ჩვენი ხალხი მტკიცედ დამყარდეს კეთილდღეობის და წარმატების გზაზედ. ამისთვის ვეცდებით, რომ ჩვენს თანამოძმეებს შევაყვაროთ, რაც ცხოვრების მიზანს შეადგენს, ესე იგი, მდგომარეობის გაუმჯობესობა; მოვაგონებთ მათ ჩვენს

ვინაობას, წარსულს ჩვენს ვითარებასა და ერთობის დროს ქართველთა ტომის ძლიერების მიზეზებს. აგრეთვე შეუდგებით იმის განხილვას, თუ რა მდგომარეობაში ვართ ამჟამად და რა ბედის მოსურნე უნდა ვიყოთ მომავალისათვის. ყოველს ჩვენს მოქმედებაში და სიტყვაში ჩვენ იმ აზრის დამცველი ვიქნებით, რომ ყოველივე დამოკიდებულია პატიოსანს შრომაზედ და თავის მიზანს ყველაზედ უფრო ადრე ის უახლოვდება, ვინც მეტს შრომობს ცხოვრების ასპარეზზედ".

ჩინებული აზრი და მიზანია: მხოლოთ ცოტა არ იყოს გვეჩოთირება სიტყვები, რომ „ჩვენ მისთვის (საზოგადოების, ხალხისთვის) არ ვზოგავთ როგორც ჩვენს ნიჭს, აგრეთვე ჩვენს ქონებას და სიცოცხლეს". როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩვენ ვიცნობთ „შრომის" რედაქციას და თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ, თუ საჭირო იქნა, ამ თავის სიტყვას ისინი სისრულეშიაც მოიყვანებენ; მაგრამ ყვირილი და ძახილი, რომ ჩემს თავს და ქონებას სამშობლოს შევსწირავო და განსაკუთრებით თავის ნიჭზე ლაპარაკი, როგორღაც მიღებული არ არის... ეს წვრიმალი შენიშნვაა.

მეორე ადგილას ამავე სახელმძღვანელო წერილში რედაქცია ამბობს:

„ჩვენც შეგვხვდება უსათუოდ სხვადასხვა პირებზედ სჯა და ბაასი, მაგრამ ჩვენ შევუდგებით მხოლოდ იმ პირთა მოქმედების დაფასებას, რომელთაც ცხოვრების ასპარეზზედ უკავიათ რაიმე შესანიშნავი ალაგი და მათის მდგომარეობით შეუძლიანთ გავლენა საზოგადოებაზედ. ამგვარს შემთხვევაში გაზეთის პირდაპირი მოვალეობაცა არის, რომ რაც უნდა სასტიკათ საკიცხავი, ანუ კეთილი და სამართლიანი იყოს საზოგადო ასპარეზზედ მოქმედება, ნამდვილი მისი სურათი წარუდგინოს მკითხველს საზოგადოებას, რომ მან იცოდეს, ვინ არის მისი მტერი და ვინ მეგობარი. რაც შეეხება ხშირად უადგილო მწერლობას და უმიზნო პოლემიკას, ეს ჩვენი საქმე არ არის და ამისათვის დიდი იმედი გვაქვს, „შრომის" მკითხველი არ დაგვემდურება და კიდეც უფრო დაგვიმადლებს ამისთანა ჩვენს შეხედულობას ლიტერატურის დანიშნულებაზედ".

ეტყობა რედაქციას კარგათ ესმის გაზეთის დანიშნულება საზოგადოთ და დანიშნულება განსაკუთრებით იმერეთის გაზეთისა; მაგრამ იმერეთი თავის ცოცხალ, მოძრავ მცხოვრებლებითა, თავის საადგილმამულო ბანკით და ქალაქის გამგეობით, ისეთს ცეცხლ-მქმინავ, ვულკანიურ ნიადაგს წარმოადგენს, რომ „ბარაქალას" ვეტყვით ახალ რედაქციას, თუ ზემოხსენებულ კალაპოტში ჩადგომას მოახერხებს, თუ შეიძლებს, რომ უმნიშვნელო და უსაგნო პოლემიკა და განკიცხვა აიშოროს თავიდამ და ყოველ საგანს, უწყებასა და პირს იმდენად შეეხება, რამდენათაც ამათ საზოგადო, საერო საქმეებში გავლენა და მნიშვნელობა აქვთ.

მაგრამ გაზეთის მომავალზე კი არა ახლანდელზედაც არ გვმართებს ჯერ-ჯერობით ლაპარაკი, სანამ რამდენიმე ნომერი მაინც არ მოგვივა და სანამ ამ ნომრებში დალაგებით და აშკარად არ იქნება განსაზღვრული და ახსნილი რედაქციისაგან თავის მიზანი და საშუალება ამ მიზნის მისაღწევნელად.

ახლა კი ჩვენ გვმართებს მხოლოდ ძმურად გაუწვდინოთ ხელი ჩვენს იმერეთის თანამოძმეს და მივესალმოთ: დღეგრძელი იყოს შენი სიცოცხლე სამშობლო ქვეყნის სამსახურისა, წარმატებისა და დიდებისათვის!

[1881 წ.]



არხეოლოგიურ კრების გათავება

თბილისი, 22 სეკტემბერს.

გუშინ უკანასკნელი სხდომა იყო არხეოლოგიურ კრებისა. დღეს უცხო ქვეყნიდამ მოსული სტუმრები თავთავიანთსა მიემგზავრებიან.

ვეუბნებით იმათ ქართველურ „მშვიდობითს“ და გზას დაულოცავთ. ღმერთმა ჰქმნას, რომ იმათ აქ ყოფნას, ამ ორი კვირის თითქმის გაუწყნარებელ მუშაობას სარგებლობა მოეტანოს მეცნიერებისა და ჩვენის ქვეყნისთვის.

ორი კვირა დარჩნენ ისინი ჩვენს ქალაქში. ამ ორი კვირის განმავლობაში ჩვენ, რითაც შეგვეძლო, ვუმტკიცებდით ჩვენს თანაგრძნობას და დახმარების სურვილს, როგორც პირად იმათ, აგრეთვე იმ საგანს, რომლისთვისაც ისინი აქ იყვნენ შეკრებილნი. თითქმის მუდამ დღე იმათ კრებებზე 300-400 და ხან მეტი ხალხი, კაცი და ქალი, დაიარებოდა და თვალყურს ადევნებდა მეცნიერულ მსჯელობას და საუბარს; ჩვენი თითო-ოროლა მეცნიერი გზას უჩვენებდნენ, წინ მიუძღოდნენ იმათ, როცა ადგილობრივს რასმე იკვლევდნენ; აქაც და ქუთაისშიაც მიწვევა, პატივისცემა და მასპინძლობა, რამდენათაც შეგვეძლო, არ დავაკელით; ერთი სიტყვით, ყველანი თავს ვევლებოდით.

თვითონ სტუმრები, არხეოლოგები აღტაცებულნი ბრუნდებიან შინ, არა თუ მარტო ჩვენის ბუნების სიმშვენიერითა და სიმდიდრით, არა თუ მარტო არხეოლოგიურის მხრით სიმდიდრისა, არამედ ჩვენის გულუხვობით ჩვენის სტუმართმოყვარეობით, ჩვენის თანაგრძნობითა და პატივისცემით. „ასე კარგათ არც ერთს წინა ოთხ კრებაზე არ ვყოფილვართ მიღებულიო! არც ერთს სხვა ქალაქს და ხალხს არ გამოუცხადებიათ ჩვენთვის იმდენი თანაგრძნობა, რამდენიც აქ გამოგვიცხადესო!“ ეს არის იმათი საკუთარი სიტყვები.

რა არის ამის მიზეზი? რათ თანაუგრძნობდა ჩვენი ხალხი ასე მხურვალეთ არხეოლოგებს?

ადვილად გასაგებია ეს მიზეზი:

არხეოლოგია ძველებურ დროს იკვლევს, ძველ ხალხების ცხოვრებას, ზნეს, ხასიათს, იმათ განათლებასა და ხელოვნებას, ჩვეულებას, მოღვაწეობას. და ჩვენი აწმყო ისეთია, რომ თუ ამ ძველზე არ დავმყარდით, თუ ეს ძველი არ შევისწავლეთ, თუ ჩვენი წარსული არ გავიცანით, უამისოთ ჩვენი წარმატება, ჩვენი მომავალი ცხოვრება შეუძლებელია, წარმოუდგენელია.

მხოლოთ „უკუდო ლიბერალები“, მხოლოთ გონებით ბრმანი ამბობენ, რომ წარსულთან ჩვენ არაფერი კავშირი არ უნდა გვქონდესო, ამ წასრულს ფარდა უნდა მივაფაროთო, და მომავალს უნდა შეუდგეთო.

ისტორიკოსებმა დიდი ხანია დაამტკიცეს და ჭეშმარიტებად ჩათვალეს, რომ ხალხი რომელიც თავის წარსულთან კავშირს გასწყვეტს, რომელიც თავის წარსულ ისტორიას დაივიწყებს, ის ხალხი, ადრე იქნება თუ გვიან დაისჯებაო, ვერასოდეს ვერ გაიხარებს, თავის ნაციონალურ სახეს დაკარგავსო.

იმიტომ მივეგებეთ ჩვენ ასეთის თანაგრძნობით არხეოლოგიურ კრებას, რომ ეს მეცნიერთა კრება ცდილობს ჩვენ წარსულთან გაცნობას, ჩვენ ძველ ცხოვრების გამოკვლევას; და ამით ის ეხმარება ჩვენ მომავალ წარმატებისა და კეთილდღეობის გზაზე დაყენებას.

აი, ამიტომაც ასე გულნაკლულად ვეთხოვებით ამათა და წმიდის გულის, ძმურის თანაგრძნობით მადლობას ვსწირავთ იმ ღვაწლისთვის, რომელიც იმათ ჩვენის სამშობლოს შესწავლისათვის დასდეს...

[1881 წ.]



თეატრის შესახებ

(პ ა ს უ ხ ი ა. მ ო ჩ ხ უ ბ ა რ ი ძ ე ს)

მკითხველს ამ პასუხით თავს არ შევაწყენ არც სივრცით და არც მაგარი სიტყვით, ა. მოჩხუბარიძისაგან ხმარებულ სიტყვებს, როგორც: „ენა წაიგრძელეს“, „ტიტინი“, „ხტუნაობა“, „როშკა“ — ყურადღებას არ მივაქცევ, მხოლოდ მოკლედ უპასუხებ იმ საბუთებზე, რომლებიც ა. მოჩხუბარიძეს მოსჩვენებია ჩემი სტატიის სიმართლის დასარღვევათ.

1/... „თუ იმისთანა გამოჩენილს აქტრისას, როგორიც სარა ბერნარია, არ ჰყოფნის პიესის მოსამზადებლად 16 რეპეტიცია, მაშინ რათ უკვირსთ, როდესაც ჩვენი აქტიორები ბევრჯელ თითო რეპეტიციის შემდეგ გამოდიან, როლები კარგათ არ იციან?“

ძალიან მიკვირს, მაგრამ ის კი არა, რომ ჩვენი არტისტები ისრე ვერ განვითარებულან, რომ პატარათ მაინც დაემსგავსონ საფრანგეთის არტისტებს, არამედ ისა, რომ ბატ. მოჩხუბარიძეს უბრალო სცენიურ კანონში ინჩიც არ სმენია, ე. ი. როლის ცოდნა რეპეტიციებზე რომ არ არის დამოკიდებული და თეატრის შესახებ კი ნებულობს მთელი ფელეტონების გაჭრელებას. ბატ. მოჩხუბარიძე, თუ სარა ბერნარის შესახებ გსმენიათ რამ, ისიც უნდა იცოდეთ, რომ სადაც თეატრი კარგათ არის დადგენილი, იგი პირველ რეპეტიციაზე ყველა არტისტებს თავიანთი როლები გაზეპირებული აქვსთ; ამას გარდა, ჩვენს არტისტებს კვირაში ერთი წარმოდგენა აქვსთ და თითო რეპეტიციის შემდეგ თამაშობენო, რატომ და რისთვის ხუთჯერ და შვიდჯერ ვერ გააკეთებენ რეპეტიციას? მაგრამ

კიდევ ვიმეორებ, რომ რეპეტიცია სულ სხვა არის და როლების ცოდნა სულ სხვა; თუ ურეპეტიციოთ გამოხვალთ სცენაზე, მაშინ შეუძლიანთ სთქვან, რომ თქვენ ცუდათ ითამაშეთ, მიხვრა-მოხვრა არ ჰქონდათ, ხმა ვერ მოაწყვეთ, ერთის სიტყვით, უხეიროდ და ულაზათოდ გაატარა თავისი როლიო და თუ როლი არ იცით, მაშინ კი თქვენ არაფერი აღარ ხართ, ე. ი. ნოლი სცენაზედ; უმჯობესი იქნება სუფლიორმა აიღოს ხელი ბუდიდამ და თქვენ მაგიერ წიგნში ამოიკითხოს, თქვენი სათქმელი.

ვწუხვარ, რომ ესეთ უბრალო რამეებზე ახსნა თქვენთვის საჭირო დავინახეთ ბატ. მოჩხუბარიძევ!

2/„ ... რასაკვირველია, შეუძლიანთ გვითხრან, რომ მოუმზადებელი რათ გამოდიანო“.

თუ თქვენ ამაზედ თანახმა ხართ და აღიარებთ, რომ მოუმზადებელი და როლების უცოდინარი გამოდიან ჩვენი არტისტები სცენაზე, ქე რაღაზედ გაგიჭრელებიათ მაგოდენა ფელეტონი? სასაცილოა ჩემს წინააღმდეგ წერთ და იმასვე ამბობთ რასაც მე ჩემს სტატიაში. მე ვამბობდი, რომ არტისტები თავის მოვალეობას არ ასრულებენ, როლებს არ სწავლობენ და მოუმზადებელი გამოდიან სცენაზე, ბატ. მოჩხუბარიძეც ამას ამბობს და თანაც ცდილობს კიდეც გაამართლოს ჩვენი არტისტების მოქმედება. იმის გამართლება შეიცავს მხოლოდ ერთადერთ საბუთს, რომ „ძალიან ცოტა დრო გვაქვს მოსამზადებელიო“, მაგარამ მე კიდევ ეს ვერ გამიგია — რითია დამნაშავე ქართული თეატრი, ქართველი საზოგადოება, რომ ჩვენი არტისტები შვიდი დღის მაგიერ ერთს დღეს ხმარობენ მოსამზადებლათ და მოუმზადებელნი თამაშობენ? იქნება ბატ. მოჩხუბარიძე ამგვარ მოქმედებას სვინდისიერათ თავის მოვალეობის აღსრულების სახელს დაარქმევს?

3/ /რომ ჩვენი საზოგადოება გულგრილათ არ ეკიდება თეატრს და იმით აღტაცებულია, ამის საბუთათ მოჰყავს შემდეგში/: „სამი თვის განმავლობაში 7,025 მანეთი შემოსავალი იყო, ამ სამი თვის განმავლობაში ოთხი ბენეფისი იყო: გაბუნიასი, ყიფიანისა, მოხევესი და სხვებისა, 14 წარმოდგენაც ქუთაისში გავმართეთო.

ბატ. მოჩხუბარიძის გარდა, ყველამ კარგად იცის, რომ ბენეფისები ანგარიშში ჩასაგდები არ არის, როდესაც საზოგადოების თანაგრძნობა ჩვენი თეატრისადმი გინდათ დაამტკიცოთ, რადგან ბენეფისებზე ბილეთები სახლში ეგზავნებათ და საზოგადოება თითქმის ძალაუნებურათ თეატრის ზალას ავსებს. მაშასადამე ამ ოთხი ბენეფისის 2,000 მანეთი მაინც უნდა ვიანგარიშოთ, რომელიც იმ 7,025 მანეთში არ შედის.

ქუთაისში გამართული წარმოდგენებიც რასაკვირველია, ვერ დაგვიმტკიცებენ ჩვენი თბილისელი საზოგადოების ჩვენის თეატრისადმი თანაგრძნობას — ამ წარმოდგენებიდან რომ ვიანგარიშოთ თითოსაგან 100 მანეთი მაინც, შეადგენს 1,400 მანეთს. ახლა ეს ფულები ყველა რომ გამოვაკლოთ, ბ. მოჩხუბარიძეს დარჩება სამი თვის შემოსავალი 3,625 მანეთი და ეს ფულები მოჰყავს ხალხის თანაგრძნობის ნიმუშად! აქ მარტო გაღიმება გვმართებს.

4/ „ვერ გაუგიათ რომ ჩვენს აქტიორებს სასყიდლისათვის კი არ მიუღიათ თავიანთ თავზედ თეატრის საქმე, არამედ ემსახურებიან იმას იმიტომ, რომ მართლა უყვართ თეატრი, იმიტომ რომ თეატრზედა აქვსთ იმედი, რომელიც ყველაზედ უკეთ თანაშემწეობს დედაენის აღდგენას“...

ნამდვილად ამის დამტკიცება არ შეუძლიან ბატ. მოჩხუბარიძეს და მასთან არც მე, რადგან ჩვენ არც ერთი არ ჩავმჯდარვართ ჩვენი არტისტების გულში და იმათი გულისპასუხი არ ვიცით; — მე ჩემის მხრით ეს შემიძლიან ვთქვა, რომ ეს უსასყიდლო სიყვარული უნდა დავინახოთ იმათი საქმის წაყვანით და რადგან მეც და ბატ. მოჩხუბარიძეც იმას ვამტკიცებთ, რომ ჩვენი თეატრი ცუდათ მიდის, ამ სიყვარულზე ლაპარაკი ცუდათ შრომა იქნება. მაინცდამაინც მივანდოთ ჩვენს საზოგადოებას, პრესსას იმის გარკვევა, თუ ჩვენი არტისტები რამდენათ კეთილად ემსახურებიან იმისთანა ღვთიურ საქმეს, როგორც დედაენაა და იმისთანა წმინდა კაცის გამაკეთილშობილებელ საქმეს, როგორც ჩვენთვის ჩვენი ქართული თეატრია.

ქართული სცენის მოყვარე

თბილისი, 24 სეკტემბერს

[1881 წ.]



თფილისის გიმნაზიის იუბილეი

თბილისი, 25 სეკტემბერს

ორმოცდაათი წელიწადია მას აქეთ, რაც დაარსდა ეხლანდელი თფილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, რომელსაც მაშინ „კეთილშობილური სასწავლებელი“ ერქვა. ხვალ, კვირას, ამ დაარსების დღეს დღესასწაულობს ეს გიმნაზია.

ორმოცდაათი წელიწადი, რომელიმე სასწავლებლისა კი არა, მთელი ხალხის ცხოვრებაშიაც საკმაოდ დიდი დროა; ბევრი ცვლილება შეიძლება მოხდეს ამ ხნის განმავლობაში, ბევრი წყალი ჩაივლის.

ხსენებულ გიმნაზიის ცხოვრებაშიაც დიდი ცვლილება მოხდა. მოკლეთ მოვიხსენოთ ისტორია ამ გიმნაზიისა.

პირველად რომ „კეთილშობილური სასწავლებელი“ გახსნეს თფილისში, საზოგადოებამ ისეთი დაუნდობლობა გამოიჩინა ამ პირველის რუსის სასწავლებელისა, რომ ჩვენს მშობლებს მაშინ ეხვეწებოდნენ, ფულს აძლევდნენ პირიქით, რომ თავიანთი შვილები მოეყვანათ და სწავლაში მიებარებინათ. მაგრამ მაინც ძალიან იშვიათად მოჰყავდათ აქ ჩვენებს შვილები. მაშინდელ სწავლადასრულებულებს ახლა თითებზედაც ადვილად ჩამოვთვლით.

მიზეზი ამ გარემოებისა ის კი არ იყო, რომ ჩვენს ხალხს ვითომ არ ესმოდა მაშინ სწავლა-განათლების საჭიროება და სარგებლობა; ამისთანა დრო ჩვენს წარსულს ისტორიაში არასოდეს არ ყოფილა: ქართველი ერი ყოველთვის მისდევდა განათლებასა და სწავლას, მიზეზი იყო მხოლოთ ის გარემოება, რომ ეს იყო პირ-

ველი რუსის სკოლა და ხალხმა არ იცოდა — რას ასწავლიდნენ იქ, ვინ ასწავლიდა და როგორ.

მერე ცოტ-ცოტათი გაიცნეს, შეეჩვიენენ, დაინახეს, რომ სასწავლებელში სამშობლო ენას ასწავლიდნენ. რომ აქ არ „არუსებდნენ", რომ აქ ნასწავლ კაცს მომეტებული პატივი აქვს და ნელ-ნელა თავის ნებით ძალა-დაუტანებლად და დაუსაჩუქრებელადაც დაიწყეს სასწავლებელში თავიანთ შვილების მიბარება.

და ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ არა თუ ეს სასწავლებელი, ბევრი სხვა ამისთანა გიმნაზიები, სემინარიები და დაბალი სასწავლებლები გატენილი არიან შაგირდებით, მშობლები დიდ ხარჯსაც იხდიან, მაგრამ, საუბედუროთ, ხშირად იმათი შვილები, უადგილობის გამო, მიუღებლები რჩებიან სასწავლებლებში.

უეჭველია, რომ თფილისის გიმნაზიამ დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს საზოგადოებას. თუ ვინმე დაწინაურებული ქართლელ-კახელები გვყვანან ამჟამად ჩვენში, თითქმის ყველას ამ გიმნაზიაში დაუსრულებია პირველად თავის სწავლა. საუბედუროთ, ამგვარი დაწინაურებული ქართველები დღეს ერთობ ცოტა გვყვანან. და ამის მიზეზი არის შემდეგი გარემოება.

რუსის მთავრობა ამ სასწავლებლის გახსნისათანავე აცხადებდა, რომ „სასწავლებელი ქართველ საზოგადოებისთვის, ქართველ კეთილშობილ პირთა შვილებისათვის იმართებაო, რათა იმათ ზნეობით ამაღლებას და გონებით განვითარებას ხელი მოუმართოსო".

ეს მიზანი ბოლოს თითქო განქრა და საქმე იმნაირად წაიყვანეს, რომ ქართველ საზოგადოებას თითქმის სრულაიდ მოესპო ღონისძიება გიმნაზიაში შვილების მიბარებისა. სწავლა თავიდამვე რუსულად და რუსულს ენაზედ მიჰყავთ და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ გიმნაზიაში ქართველებს სწავლა ეძნელებათ და ამათ მაგივრად ეს გიმნაზია უფრო მომეტებულად რუსისა და შეძლებულ სომხის შვილებით არის სავსე, რომელთაც არ ეძნელებათ მომზადება და რუსულში გაწრთვნა თავიანთ შვილებისა.

ეს ქართველ შეგირდების შემცირება დაეტყო გიმნაზიას განსაკუთრებით ამ უკანასკნელ თხუთმეტის წლის განმავლობაში, გრაფ ტოლსტოის მინისტრობაში,

როდესაც ქართულ ენას ის მცირე პატივი და უპირატესობაც ჩამოერთვა, რომელიც იმ დრომდინ ჰქონდა მინიჭებული.

თუმცა ყველა ეს მართალია, მაგრამ, ვიმეორებთ, გიმნაზიამ მაინცდამაინც თავის სარგებლობა მოუტანა ჩვენს მხარეს; თუმცა ისიც მართალია, რომ უკეთესის წესით რო ყოფილიყო აქ სწავლა დადგენილი,..... მაშინ ერთი-ორად უფრო მომეტებულ სარგებლობას მოუტანდა და ერთი-ორად უფრო მეტს შესძენდა ჩვენს გონებით განვითარებას.....

ამ მოკლე შენიშვნის შემდეგ დაგვჩენია, ვისურვოთ, რომ მომავალ ორმოცდაათ წლის განმავლობაში ჩვენს პირველ გიმნაზიას მეტი სარგებლობა მოეტანოს ჩვენი ხალხის გონებით წარმატებისათვის, ვინემ გავლილ ამავე დროის განმავლობაში მოიტანა.

[1881 წ.]



ბ. მარკოვის საჩივარი

თბილისი, 30 სეკტემბერს.

მოგეხსენებათ, რომ გავლილ კვირას იყო 50 წლის იუბილეი თფილისის კლასიკურ გიმნაზიისა. ჩვენც და ყველა სხვამაც, ვინც ამ იუბილეიზე დაესწრო, ვინც მოისმინა ერთის მასწავლებლისაგან შედგენილი ისტორია ამ გიმნაზიისა და განსაკუთრებით თვითონ ბ. მარკოვისაგან წაკითხული ანგარიში ამ გიმნაზიის უკანასკნელ 5-6 წლის არსებობისა, ყველამ ის აზრი გამოიყვანა, რომ ამ უკანასკნელ დრომდინ, ე.ი. ბ. მარკოვის დირექტორად დანიშვნამდინ გიმნაზიის წარმატებისათვის არც ერთ დირექტორს არა გაუკეთებია რა, არა შეუძენია რა გიმნაზიისათვის და სხვ. რაც გაკეთდა ამ 5-6 წელიწადში გაკეთდაო, რასაც ახლა ჰხედავთ გიმნაზიაში, სულ მე, ბ. მარკოვმა, გავაკეთე და შევძინე გიმნაზიას და იმის შაგირდებსაო.

ერთის სიტყვით, ბ. მარკოვს ეტყობოდა, რომ ეს იუბილეი თავის საკუთარ იუბილეით გარდაექცია; უნდოდა, რომ აქ თავის მოღვაწეობა და დიდება ეჩვენებინა იმას საზოგადოებისათვის.

არ დავიწყნია, რასაკვირველია, ბ. მარკოვს არც თავის უფროსი კავკასიის სამასწავლო მაზრის მზრუნველი ბ. იანოვსკი. როგორც ერთგულ ..... შეჰშვენის, ისე აქო და ადიდა იმან თავის უფროსი, თავის ნაჩალნიკი და იმის თავ-განწირულება კავკასიაში სწავლა-განათლების სხივის მოფენისათვის.

ნახევარი საათი თავის სიტყვისა ამ თავის თავისა და თავის უფროსის ქებასა და შემკობას მოანდომა ბ. მარკოვმა. მეორე ნახევარი საათიც ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების კიცხვა-ლანძღვას.

ეს ჟურნალ-გაზეთები ისეთ კაცებს ჩავარდნიათ ხელშიო, რომელთაც პედაგოგიისა არა ესმისთ რაო და იმდენად კეთილსინდისიანებიც არ არიანო, რომ ჯერ ბეჯითად შეიტყონ რამე და მერე ისე სწერონ და ბეჭდონო. რაც მოხვდებათ კალმის წვერზე, ჯღაბნიანო, ცილს გვწამებენო და ყველა ამით ჩვენს შაგირდებს ჩვენზე გულს უცრუებენო, ამათ (შაგირდებს) ჩვენი პატივისცემა და კრძალვა აღარა აქვთო, ავტორიტეტი გვეკარგება იმათ თვალშიო და სხვ. და სხვ. ბევრი ამისთანა მკვახე სიტყვებით მოგვიხსენია.

რასაკვირველია, სამწუხაროა, როდესაც ამისთანა აზრის კაცი არის გიმნაზიის უფროსი. 700-800 შაგირდის ხელმძღვანელი, მაგრამ ჩვენც იმით ვინუგეშებთ თავს, რომ ყველა ამას ამბობს ისეთი კაცი, რომელსაც ერთხელ და ორჯერ არ მოხვედრია ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებისაგან.....

ამათთანა კაცებს ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაუგიათ, რომ, თუ გაზეთი ტყუილს ამბობს იმათზე, სიცრუეს არავითარი ძალა და მნიშვნელობა არ ექნება და ამ შემთხვევაში გაცხარება იმათის მხრით სრულიად უადგილოა. და თუ მართალს სწერენ, ეს იქმნება თვითონ იმათთვის კი არ იყოს სასარგებლო, მაგრამ მაგიერად ამით ეძლევა სარგებლობა ხალხსა და თვითონ მთავრობასაც, რომელიც ტყობულობს — ვინ არის იმის ერთგული და ნამდვილად აღმასრულებელი თავის თანამდებობისა და ვინ არა. მართალია, შეიძლება გაზეთი ან ჟურნალი შეცდეს; შეიძლება ისეთი ვინმე განჰკიცხოს, რომელიც გაკიცხვის ღირსი არ არის, ან ისეთი ვინმე აქოს, რომელიც ქების ღირსი არ არის. მაგრამ მომეტებულ შემთხვევაში არც ამით წახდება და გაფუჭდება საქმე, რადგან გაზეთი თავის დღეში იმისთანა შეცოდებას ვერ ჩაიდენს, რომლის გასწორება თვითონ იმასვე არ შეეძლოს, თვითონ გაზეთითვე არ შეიძლებოდეს.

მაგრამ განა ყველა ეს ბ. მარკოვმა და იმისთანა ხალხმა არ იციან? იციან, ძალიან კარგათაც ..... პატიოსნად თავის მოვა-

ლეობის აღმსრულებელთ, არა თუ ჟურნალ-გაზეთისა, არაფრის არ ეშინიანთ. იმათთვის იმათი საქმის და მოქმედების გამოაშკარავება სასიამოვნოა და სანატრელი. დღის სინათლეს მხოლოთ ბნელ საქმეების მაძებარნი ერიდებიან.

[1881 წ.]



ქართველები საქართველოში

თბილისი, 3 ოკტომბერს.

უცხო კაცს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოდის და ჩვენს ცხოვრებას ცნობილობს, ერთი რამ აკვირვებს, ერთი რამ ვერ გაუგია: ის, რომ ამ მდიდარ ქვეყნის მკვიდრათ მცხოვრებლები — ქართველები — ასე ღარიბად ცხოვრობენო, ასე უკან ჩამორჩომილი არიანო და უცხო ტომის ხალხნი, რომელნიც ვინ იცის — საიდამ გადმოხვეწილან საქართველოში, ესენი კი გაკეთებულან, ამათ უსარგებლნიათ ამ მშვენიერ ქვეყნის სიმდიდრითა, სიუხვითაო.

ეს გარემოება განსაკუთრებით ეცემა კაცს თვალში თფილისში, ახალციხეში, სიღნაღში, თელავში და ზოგიერთ დიდ სოფლებშიაც, სადაც მკვიდრი მცხოვრებლები თითქმის სრულიად არა სჩანან, სადაც აზრუმიდამ და ტრაპიზონიდამ ამ 15-20 წლის წინათ გადმოსახლებულ ხალხს ჩაუგდიათ ხელში ყველაფერი, სადაც უძრავი და მოძრავი ქონება ამათ ეკუთვნის, ქალაქებს ესენი განაგებენ, სკოლები ამათა აქვთ, განათლებულ და დაწინაურებულ საზოგადოებათაც ესენი ითვლებიან და სხვ. და სხვ.

რისგან წარმოსდგა ამგვარი მოვლენა? განა ამ მოსულ ხალხზე უფრო ნაკლები ნიჭი გვაქვს ჩვენ, რომ ჩვენი ბუნებით სიმდიდრით ვერ ვისარგებლეთ? ამათზე უფრო ნაკლებად მოხერხებულები ვართ? ამათზე უფრო ნაკლებად ვიცნობთ ჩვენს ქვეყანას, თუ რა არის ამის მიზეზი?

არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. ღვთით განგებას არ დაუკლია ქართველისათვის არც ბუნებითი ნიჭი, არც მოხერხება და არც შრომისმოყვარეობა.

მაშ რა არის მიზეზიო, — მკითხავთ?

დიდი მოსაზრება და ღრმა ფილოსოფია არ არის საჭირო ამის გამოსაცნობად.

სხვადასხვა ერების დედამიწის ზურგზე არევ-დარევისა და გარდასახლებ-გარდმოსახლების დროს ჩვენ ისეთი კუნჭული გვერგო ხმელეთისა, რომელიც „ქვეყნის თვალათ" ითვლება, რომელიც ყველაფრით შემკობილი იყო ბუნებისაგან. მაგრამ ამასთანავე, საუბედუროდ, შორებელი და ახლობელი მეზობლებიც ისეთები ამოგვესაფრნენ გარშემო, რომელთაც მუდამ ამ ჩვენის ქვეყნისაკენ ეჭირათ თვალი, რომელნიც ამ ქვეყნის დაჭერას და დამორჩილებას ჰფიქრობდნენ და ცდილობდნენ.

ამის გამო თავიდამვე, და განსაკუთრებით უკანასკნელ საუკუნოებში, ჩვენს ქვეყანასა და ხალხს მოსვენება არ ღირსებია. მუდამ გარეგანი (და ხანდისხან, ჩვენდა სასირცხოდ, შინაგანი) მტერიც თავს გვესხმოდა, ხან ერთს მხარეს აიკლებდა, საქართველოისას, ხან მეორეს, ხან მესამეს.

ამათ მოსაგერებლად ჩვენ მუდამ მზათ უნდა ვყოფილიყავით, მუდამ ფარ-ხმალით ვიყავით შეიარაღებული, მუდამ ომი, ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ადგილმამულის, ცოლშვილის, ერთის სიტყვით ჩვენი არსებობის დაცვა გვახსოვდა. ვინც კი ნიჭიერი, მხნე, მამაცი, მოხერხებული იყო ჩვენს ერში, ყველა ბრძოლის ველზე გამოდიოდა, ყველას მტრის მოსაგერებლად უნდა მოეხმარა ეს თავის ნიჭიც, მხნეობაც და ოსტატობაც.

ამგვარმა მდგომარეობამ გამოსცვალა ჩვენი ერის ხასიათი. ყველა ომის კაცებად შევიქენით. ყველას თოფ-იარაღი გვეჭირა ხელში. ყველა ციხეებზე ვიდეგით და გადავყურებდით მტერს, როდის მოვა, როდის დაგვესხმის თავს და როდის დაგვჭირდება იმასთან შებმაო.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ამ მშვიდობიანმა ცხოვრებამ თავის მოთხოვნილება მოიტანა, თავის კანონები და ადათები.

და ციხეებში თოფ-იარაღში და ცხენზე გამოზდილი ერი ასე უეცრად ვერ მოთავსდა ამ ახალს გარემოებასთან, ასე მალე ვერ შეეჩვია ახალ ცხოვრებას და იმის მოთხოვნილებას. ჯერ კერძო პირიც ვერ გამოიცვლის ადვილად ერთხელვე შეთვისებულ ხასიათსა და ზნეს; ერის ცხოვრება და ხასიათები ხომ საუკუნოებით სდგება, საუკუნოებით მაგრდება და იმის გამოცვლა, ძველის ზნის, ხასიათის, ჩვეულების დატოვება და ახლის მიღება იმისთვის ძნელია, ამას დრო უნდა და მარჯვე გარემოება.

ამის გამო ჩვენ თითქო ორ სკამ-შუა დამჯდარ კაცსავით დავრჩით: ძველი ცხოვრების წესები, ძველი ხასიათები არ გამოგვადგა, ახალს ვერ შევეჩვიენით.

აი, სწორეთ ამ დროს დაიბადნენ ჩვენს ქვეყანაში უცხო ქვეყნელები, აზრუმის და ვანის მეზობლები გვესტუმრნენ და, რადგან იმათ ვაჭრობა და უცხო ხასიათების შეთვისება უფრო მოეხსენებოდათ, ერთითაცა და მეორეთაც ისარგებლეს და ნელ-ნელა გამრავლდნენ, გამდიდრდნენ ჩვენში, მოითბეს ხელი ჩვენში და ჩვენთვის დანთებულ ცეცხლზედ და ჩვენ კი, ჩვენს ქვეყანაში თითქო განზე დავრჩით.

როგორ, რა გზით უნდა გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდგან, რა გვიხსნის და როგორ შეიძლება ჩვენ ჩვენი ქვეყანა დავიბრუნოთ და დავიბრუნოთ ის ადგილი, რომელიც სამართლით გვეკუთვნის ჩვენს დედაქალაქში — ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ...

თბილისი, 6 ოკტომბერს.

ბევრი ჩვენთაგანი შურის თვალით შესცქერიან უცხო ტომის ხალხის გამდიდრებასა და დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში; ბევრი ბრაზითა და გაჯავრებით ამბობს: — „გარდმოხვეწილან, ჩვენი სიმდიდრე ხელში ჩაუგდიათ და ჩვენ კი ხელცარიელები ვრჩებით, ვღარიბდებითო!"

ამგვარი შური და ბრაზი, ამგვარი ცარიელი გოდება ჩვენ ვერას გვიშველის; მარტო გაჯავრებით რო საქმე გარიგდებოდეს, ამაზე უადვილესი რაღაა! გულხელდაკრებილი რო შევაჩერდეთ და ვიტიროთ, ბრაზები გადმოვყაროთ — რად მდიდრდებიან ცხრა მთის გადაღმიდამ გადმოვარდნილები, რად იძენენ ისინი ჩვენს სიმდიდრეს და ჩვენ რად ვრჩებით ასეო, — ამით ჩვენ არა შეგვეძინება რა, რაც კიდევ უარესად არ დაგვაკლდება.

ათასი საშუალება და გზაა რომლისამე ხალხის წამოსაყენებლად და წარმატებისათვის, რადგან ხალხის დაცემის მიზეზიც ათასია. მაგრამ ,როდესაც ამ გადმოხვეწილების თაობაზედ, იმათ გაკეთებაზედ და ჩვენს საკუთარ სიწამხდრეზედ ვლაპარაკობთ, ჩვენ აქ, სხვათა შორის, ერთი ღონისძიება, ერთი საშუალება გვაგონდება, რომელიც უეჭველად დაგვეხმარება ამ შემთხვევაში.

რითი შეიძინეს ის სიმდიდრე, ის ნივთიერი კეთილდღეობა ჩვენში გადმოსულებმა? უეჭველია, რომ ზოგიერთისაგან ამ სიმდიდრისა და კეთილდღეობისა კეთილის გზით, პატიოსანის შრომით და ოსტატობით არ არის შეძენილი. ვინ არ იცის ზოგიერთების სიყალბე პოდრიადებში და ვაჭრობაში; ვინ არ იცის, რომ ძალიან, ძალიან ბევრი ამათგანი სულ ყალბი ბილეთებით გამდიდრდა; ვინ არ იცის გაკოტრების და ცეცხლის წაკიდების ამბავი? ყველა ამგვარი უპატიოსნო და საძაგელი ჭახრაკი დაუტრიალებიათ, არაფერი არ დაუზოგავთ ამათ, გული გაუქვავებიათ, გრძნობა დაუხშვიათ, კაცობრიობა დაუკარგავთ ფულის, სიმდიდრის დევნაში და ბოლოს, რითაც არის, მოუპოვებიათ, შეუძენიათ ეს სიმდიდრე.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენს ხალხსაც ამგვარ გზაზე დადგომა, ამგვარის ღონის-ძიებით გამდიდრება ერჩიათ. ახლანდელი სიღარიბე და კეთილშობილება ათასჯერ გვირჩევნია ამგვარად შეძენილ კეთილდღეობასა.

მაგრამ ამათ, ამ გადმოხვეწილებს, აქვთ ერთი თვისება, რომლის წაბაძვა არც ჩვენ გვაწყენს. ეს გახლავთ ხასიათის სიმტკიცე, ენერგია და მომჭირნეობა, ყაირათი.

ჩვენი უბედურება ეს არის, რომ ერთს რომელსამე საქმეს რო შევუდგებით, თუ იმ წამსვე მოვათავეთ და გავაკეთეთ, ხომ კარგი, თუ არა და ბევრი თავის მტვრევა და შრომა არ გვიყვარს, თავს ვანებებთ, ვტოვებთ და ახლა სხვას ამგვარადვე გულავარდნილად შევუდგებით. საქმის კაცები კი ასე არ იქცევიან: საქმეს დაიწყებენ და თუ კი როგორმე მოხერხდა ამ საქმის გარიგება, არაფერს არ ზოგვენ, არც შრომას, არც დროს, არც მეცადინეობას.

მეორე ჩვენი უბედურებაც კიდევ ის არის, რომ მომჭირნეობა, ყაირათი, დამზოგაობა არა გვაქვს. განა ცოტაა და ცოტა ყოფილა ქართველებში მდიდარი და შეძლებული? მაგრამ რა გამოვიდა? ახლანდელი მდიდარი ქართველი თანდათან ღარიბდება, თანდათან ვალში და ვახშში ვარდება და ძველი მდიდრები დიდი ხანია დაღარიბებულან, მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ ქართველს ანგარიშის, დაზოგვის თავი არა აქვს: დღეს რომ თუმანი აქვს ჯიბეში, ორ თუმანს ხარჯავს სულ უბრალო, უნაყოფო რაზედმე, და ხვალინდელ დღეზე, ვითარცა ფრინველი ზეცისა, არასა ზრუნავს. სხვები კი პირ-იქით ისე ახერხებენ, საქმეს, რომ, როცა თუმანი აქვთ ჯიბეში, ნახევარს ხარჯვენ და ნახევარსაც ან „შავი დღისათვის“ ინახვენ და ან სხვა საქმის დასაწყებად, სხვა მოგებისათვის გადასდებენ.

ამ ნაირად შრომაში გამტანობა, ენერგია და შეძენილის რიგიანად შენახვა და მოხმარება — არის ორი ღონისძიება, რომელთაგან, სხვათა შორის, ახლანდელი ქართველი თავის სიღარიბიდამ გამოსვლას, კეთილდღეობას უნდა მოელოდეს.

და თუ ასე ბევრს ვლაპარაკობთ ჩვენ ამ ნივთიერ ღონისძიებაზე, ამ კეთილდღეობაზედ, იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ახლანდელს დროში, ამის თქმა თითქმის შეუცდომელად შეიძლება, ბურთი და მაიდანი იმასა აქვს, ვისაც ცოტაოდენი მაინც ნივთიერი ძალა, ეკონომიური კეთილდღეობა შეუძენია. ამაზედ არის დამოკიდებული გონებითი განვითარება და ცხოვრების ყოველმხრივი წარმატება ერისა; უამისოდ არც სკოლები გვექნება, არც სამშობლო ლიტერატურა და მწერლობა, არც თეატრი და არც სხვა რამ, რაც ერს ერად ხდის

და კაცს კაცად. ნივთიერი კეთილდღეობა არის ძალა, რომელიც კაცს და ერს უფრო თავისუფლად, უფრო დამოუკიდებელად და ღონიერად ხდის; ეს თითქმის განსაკუთრებით იმისთანა ერზედ ითქმის, რომელსაც თავის საკუთარი სამშობლო აქვს, რომელიც ამასთანავე, სხვა მხრითაც დაჯილდოებულია ბუნებისაგან, როგორც მაგალითად: მშვენიერის სამშობლო ქვეყნით, კეთილშობილურის ხასიათებითა და მდიდარის ისტორიულის წარსულით...

[1881 წ.]



ბათუმის სკოლა

თბილისი, 29 ღვინობისთვეს.

დიდის ამბით, დიდის იმედებით გახსნა ჩვენმა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ ბათუმის სკოლა. მასწავლებელი პეტერბურღიდამ დაიბარეს, სკოლის გახსნის დროს იქ დაესწრო თვითონ ამ საზოგადოების თავსმჯდომარის ამხანაგი, მიიპატიჟეს ღუბერნატორი, ადგილობრივმა საზოგადოებამ, ბეგებმა და სხვებმაც დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს სკოლის დამაარსებელთ.

და არა თუ მარტო იქაურებმა გამოაცხადეს თანაგრძნობა და სიხარული ამ სკოლის შესახებ, თითქმის ყველა გონებაგახსნილ ქართველებმაც.

ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ბათუმის პირველ ქართულ სკოლას, თავის პირდაპირ დანიშნულების გარდა, კიდევ სხვა, უფრო უაღრესს მნიშვნელობას ვაძლევდით. ამ სკოლის საშუალობით ჩვენ ველოდით, თუ შეიძლება ასე თამამად თქმა, ჩვენ ძველ მოძმეთ დაბრუნებას, უფრო მტკიცე, დაახლოებულ კავშირისა, დამოკიდებულების გამართვას; ველოდით, რომ ქართული სკოლა თავის გვარტომობის თითქმის დავიწყებულ ხალხს, თავის მამა-პაპის გზიდამ აცდენილს, მოაგონებს თავის ვინაობასაო, დააყენებს იმას სწორ გზაზედო და ამნაირად ერთ-დროინდელი ქართველი ხალხი მაჰმადიან საქართველოისა, რომელიც ახლა თავისთავს თათარს უწოდებს, სხვათა შორის ამ სკოლის დახმარებითაც გაიგებს ვინც არის, მიაგნებს თავის ნამდვილ გვარტომობასაო.

ვიმეორებთ: თუ ჩვენ და საზოგადოთ ყველანი ვისაც ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა ესმის, მომეტებულ

ყურადღებას ვაქცევდით ბათუმის ქართულ სკოლას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სკოლას იმ მნიშვნელობას ვაძლევდით, როგორც ზევით მოვიხსენეთ, და ეს მაშინვე, სკოლას დაარსებისთანავე, იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული.

საუბედურო, დღეს ისეთი ამბები მოგვდის ბათუმის სკოლის შესახებ, რომ, არათუ ის დიდი და უაღრესი იმედები, არამედ, მგონია, სულ მცირე და პატარა იმედიც უნდა მოვიკლათ გულში ამ სკოლის ნაყოფისა, თუ შემდეგშიაც ისე წავიდა იმის საქმე, როგორც დღემდინ მიდის.

გახსნისათანავე ამ სკოლაში ოცდაათამდინ შაგირდი მოგროვილა; ამათში მომეტებული ნაწილი, მართალია, ისევ ჩვენებურის ქართველების შვილები ყოფილან, ბათუმში დასახლებულ ჩინოვნიკებისა და ვაჭარ-მედუქნებისა, მაგრამ რამდენიმე ყმაწვილი ადგილობრივ მცხოვრებლებსაც, მაჰმადიან ქართველებსაც, კი მიუბარებიათ. რადგან ბათუმის სკოლა, ჩვენის აზრით, საკუთრივ მაჰმადიან ქართველებისათვის უნდა ყოფილიყო გამართული, ამის გამო იმათ შვილების რიცხვის სიმცირემ, ცოტა არ იყო, დაგვაფიქრა, მაგრამ იმ იმედით ვინუგეშებდით თავს, რომ ქართული სკოლა ჯერ ახალი საქმეა იქ, ხალხი განზე უყურებს, ვინ იცის, იქნება იმათ კიდეც ეშინიანთ, რომ, ამ სკოლის საშუალებით, ჩვენ ან გარუსება გვწადს იმათი, ან გაქრისტიანება, — მაგრამ ცოტცოტათი შეეჩვევიან, გაიცნობენ სკოლას, ნახვენ — რას და როგორ ასწავლიან ამაში და, უეჭველია, მეორე და მესამე წელიწადს ეს სკოლა სულ მაჰმადიან ქართველთა შვილებით აივსება-თქო, ვფიქრობდით.

მაგრამ დახეთ ბედის უკუღმართობას! რაც გვეგონა და რასაც მოველოდით, დღეს სულ იმის წინააღმდეგი ხდება:

მაჰმადიანი ქართველები არა თუ არ შეეჩვივნენ ამ სკოლას, არა თუ თავის ნდობა არ გამოუცხადეს, არა თუ იმათი შვილების რიცხვი არ გამრავლდა სკოლაში, არამედ, როდესაც წელს ენკენისთვეში ბათუმში მთავრობამ გახსნა ნორმალური საქალაქო სასწავლებელი, ყველამ იქ გადაიყვანეს თურმე თავის შვილები და ეს

ჩვენი ქართული სკოლა კი თითქმის დაცარიელდა, იმაში დარჩაო მხოლოდ 14-15 ყმაწვილი, ისიც მარტო ჩვენებური ქართველებისა — გურულ-მეგრელ მედუქნეებისა.

ამ სამწუხარო გარემოების მიზეზს, სხვათა შორის, იმას ამბობენ, რომ მმართებლობის სასწავლებელში უკეთესი ხოჯა (მაჰმადიანის რჯულის მასწავლებელი) დაიჭირესო და იმან გადაიბირა ყველა მაჰმადიან ქართველების შვილები ქართულ სკოლიდამაო. ახირებული მიზეზია! თუ ერთს მასწავლებელზე იყო საქმე დამოკიდებული, რატომ, თვითონ ეს ხოჯა თუ არა, სხვა ამისთანა კარგი ხოჯა არ მიიწვიეს ქართულ სკოლაშიაც, თუ კი ამით შეიძლებოდა შაგირდების მოგროვება სკოლაში?

მაგრამ ჩვენ აქ ამ სკოლის დაცემის მიზეზის გამოკვლევას არ გამოვუდგებით. ჩვენთვის საკმაოა თვითონ ფაქტი: „წერა-კითხვის საზოგადოებამ“, თუ მასწავლებელმა ისე წაიყვანეს საქმე, რომ სკოლა დააცარიელეს, ვისთვისაც ეს სკოლა იყო დანიშნული, ისინი მირბიან იქიდამ და სხვა სასწავლებელში შედიან სწავლის მისაღებად.

ამ სკოლის საქმის ასე ცუდად, ასე თავმინებებით და უთავბოლოდ წაყვანა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მხრით დიდ შეცდომად მიგვაჩნია.

ამბობენ, ხსენებული საზოგადოება სულაც ჰფიქრობს ამ სკოლის დაკეტასაო, — ეს კიდევ უარესი შეცდომა იქნება საზოგადოებისა. ბათუმში ქართული სკოლა აუცილებელად საჭიროა და იმის მოსპობა არავინ არ უნდა იფიქროს. თუ რასმეზედ უნდათ, შეუძლიანთ ფიქრი, იმაზედ უნდა იფიქრონ, თუ როგორ წამოაყენონ ფეხზე ეს დაცემული სკოლა, როგორ მოაწყონ იქ საქმეები ისე, რომ ადგილობრივ მაჰმადიან ქართველებს ნდობა ჰქონდეთ ამ სკოლისა, რომ იმაში უფრო მომეტებულის ხალისით აბარებდნენ თავიანთ შვილებსა, ვიდრე სხვა სასწავლებლებში, თუ როგორ მოახერხონ, რომ ამ სკოლამ თავის მაღალი მნიშვნელობა და მოვალეობა შეასრულოს და სხვ.

ურია რომ თავის შვილს პირველად სავაჭროდ ისტუმრებსო, ღმერთს ევედრებაო: ღმერთო, წააგებინეო.

ღრმა ზნეობითი აზრია ამ არაკში: პირველად რომ კაცი ფეხს წაიმტვრევს რომელსამე საქმეში, ჭკუას ისწავლის, შემდეგში ასცილდება იმ ქვას და უკეთესს გზაზე გაივლის. ყველა საქმის კაცებიც ასე იქცევიან: მხოლოდ ჩვენ ვგევართ ამ შემთხვევაში სხვებს: ჩვენ რომ ერთხელ სადმე ფეხი წავკრათ რასმე, შემდეგში ხელ-გულს დავიკრებთ, ფეხს აღარ გადავდგამთ, სულ ვანებებთ თავს იმ საქმეს, რომლისკენაც მივილტოდით.

ნუ ვიქნებით ამისთანა სულმოკლე ამ შემთხვევაშიაც. ნუ დავკარგავთ იმედს ბათუმში კარგის ქართულის სკოლის გამართვისას. თუ სხვაგან საქართველოში გვაქვს კარგი სკოლები, რატომ იქ არ არის შესაძლო? მართლია, ბათუმის სკოლის მასწავლებელს ცოტა უფრო მომეტებული მოეთხოვება, ცოტა უფრო სხვა თვისება მოეთხოვება, იმის როლი ცოტათი ზნეობით მისსიონერის როლს ემსგავსება, მაგრამ, თუ მოინდომებენ, თუ კარგად მოსძებნიან, ამისთანა მასწავლებელიც მოიძებნება...

[1881 წ.]



იმერული „დანოსები“*

თბილისი, 31 ღვინობისთვეს.

ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი იმერელი მღვდელის, ბლაღოჩინის, სახელად ათანასე სოხალეიშვილის (არ ვიცით — ნამდვილია ეს გვარი, თუ მოგონილი) დანოსი იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელზედ, ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების თაობაზედ, ეს დანოსი სულიერ მამას „საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორასა შინა“ წარუდგენია.

ბევრი საძაგლობა რამ არის ამ დანოსში, ისეთი საძაგლობა, რომ პატიოსანსა და ჩირქით არ გასვრილ კაცს არა თუ დაწერა, წაკითხვაც კი უნდა შეეზიზღოს.

მ. ბლაღოჩინი სწერს, როდესაც იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ მოვიდა ჩემს საბლაღოჩინოში, თვითონ და თავის კაცების პირით გამოგვიცხადაო, რომ „ვინც სემინარიის წინააღმდეგი იქნებით, გაგაუბედურებთო, უმაღლესის მთავრობისაგან უფლება მაქვს მონიჭებული გაგპარსოთო, ჯოხის ქნევით გვემუქრებოდაო“. და ერთის სიტყვით „შეშინებით და ძალდატანებით“ დაგვათანხმა, თორემ ეს „ოხერი სემინარია“ რად გვინდოდაო, ვინ დათანხმდებოდაო და ბევრი სხვა ამგვარებია მოხსენებული იმ საძაგელ „დანოსში“, რომლის მოყვანა ჩვენ სათაკილოდ მიგვაჩნია.

დიდის უსიამოვნებით უნდა ვაღვიაროთ, რომ ამგვარი „დანოსები“ ერთობ ხშირად იწერება და იგზავნება

* საკვეხნელად უნდა მიგვაჩნდეს, რომ სიტყვა „დანოსი“ ქართულად არ ითარგმნება, არა გვაქვს ამგვარი სიტყვა საუბედუროდ ახლა იმერეთში ყველამ ზედმიწევნით იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. რედ.

ხოლმე განსაკუთრებით იმერეთიდამ სხვადასხვა ხშირად პატივცემულ პირებზედაც.

გვრცხვენიან, რომ ვამბობთ, ამას, მაგრამ ბოროტება და სისაძაგლე გამოაშკარავებული და საქვეყნოდ გამოცხადებული სჯობიან დამალულსა და დაფარულს. ყველა, ვინც თავის პირად სარგებლობას ვერ მიაღწევს, ყველა ანგარმოყვარეობასა და სხვა პიროვნულ ანგარიშებს ვინმე წინ აღუდგება, ჩაიკეტება ოთახში, ჰკიდებს კალამს ხელს, გამოცვლილის ხელით სწერს „დანოსს", დაბეზღებას და გზავნის, საცა რიგია.

ამგვარი მოქმედება სულის სიმცირეს, სულმდაბლობას ამტკიცებს იმ კაცისას, ვინც ამგვარ ხელობას ეტანება. პატიოსანი, კეთილ-განმზრახი კაცი თავის დღეში ქვეშ-ქვეშა გაიძვერულ, გველურ მოქმედებას არ იკადრებს; ის პირდაპირ გამოვა მოედანზე, პირდაპირ ეტყვის თავის მოწინააღმდეგეს, რაცა აქვს სათქმელი, პირდაპირ იმოქმედებს.

ხშირად ეს „დანოსები" უყურადღებოდ, უპასუხოდ რჩება; მაგრამ, საუბედუროდ, ხანდისხან იმათ ყურადღებასაც აქცევენ და ტყუილ-უბრალოდ აწუხებენ, შეურაცხყოფას აყენებენ იმ პირსა, ვიზედაც ის დაუწერიათ სხვადასხვა ბნელეთის გმირთა.

ყოველი ქართველი თანუგრძნობდა იმერეთის ეპისკოპოსის ქადაგებასა და მეცადინეობას ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების საქმეში. ყოველი იმის მოქმედება ამ შემთხვევაში საქვეყნოდ სწარმოებდა; საქვეყნოდ უქადაგებდა ის მღვდლებს ამ სემინარიის სარგებლობასა, იმის სიტყვები გაზეთებში იბეჭდებოდა, — და, ქებისა, თანაგრძნობისა და დიდების ღირსის მეტსა, ვერვინ ვერაფერს ვერ დაინახავს გაბრიელ ეპისკოპოსის მოქმედებასა და სიტყვებში.

მაგრამ, ჩვენდა სასირცხოდ, აქაც კი გამოჩნდა იმისთანა პირი, და უბრალო პირი კი არა, სულიერი მამა, ბლაღოჩინი, — რომელიც ათას საძაგლობას სწერს და აბეზღებს ეპისკოპოსს იმის მთავრობასთან.

იმედი გვაქვს, სინოდის კანტორა ამ „დანოსს" არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს, რადგან დანოსის კილოდამ დაინახავს — თუ რა შვილისაგან არის დაწერილი, რა ჭკუისა და სინიდისის პატრონის კაცისაგან.

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა: საჭიროა, კანტორამაც, და ყოვლად-უსამღვდელოესმა საქართველოს ეგზარხოსმაც და საზოგადოდ საერო და სასულიერო მთავრობამ საქვეყნოდ გამოაცხადონ, რომ ამგვარ „დანოსებს" და დაბეზღებას არასოდეს მსვლელობა არ მიეცემა, რომ ყოველგვარი უსახელო წერილი უპასუხოდ, უყურადღებოდ იქნება დაგდებული. იქნება მაშინ მაინც მოიშალონ ზოგიერთ იმერელებმა ეს საძაგელი ჩვეულება, რომელიც ქართველის სახელს არცხვენს, ჩირქსა სდებს...

[1881 წ.]



თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნაზე

თფილისი, 4 დეკემბერს.

ამ უკანასკნელ დროში ძლიერ გავრცელდა ხმა შესახებ თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნისა კავკასიის მთავარმართველად.

რუსულ გაზეთებმა ეს ხმები თითქმის დააბეჯითეს. ჩვენ, რასაკვირველია, ნამდვილად არ ვიცით — გადაწყვიტა თუ არა უმაღლეს მმართველობამ ეს საქმეც; მხოლოდ ყველა კანდიდატებზე უფრო ხშირად თ. დონდოუკოვზე ლაპარაკობენ, და თუ ეს ამბავი გამართლდა, ჩვენი საზოგადოებისათვის, უეჭველია, სასიხარულო იქნება.

თ. დონდუკოვისათვის უცხო არ არის ჩვენი ქვეყანა; ამ ოცდაათის წლის წინედ ის ყოფილა კავკასიაში, უმსახურნია თ. ვორონცოვის ხელქვევით — ასე, რომ ის ჩაითვლება ვორონცოვის შეგირდად.

ვორონცოვის დრო ტკბილად მოსაგონია ქართველებისათვის. ვორონცოვის მოსვლამ გააღვიძა ჩვენი ცხოვრება; იმას უყვარდა საქართველო და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, როგორც გონიერად, აგრეთვე ნივთიერად გაეღვიძებინა და გაემაგრებინა მისი ცხოვრება.

ყველამ იცის, თუ რა შემწეობა აღმოუჩინა თ. ვორონცოვმა ჩვენს მწერლობას. პრიკაზის დაარსებით სურდა მას მოესპო ის მოვლენა, რომლის გამო ქართველ თავადაზნაურობის მიწა-წყალი გადადიოდა ფულიან ხალხის ხელში.

არანაკლები სარგებლობა მოუტანა ვორონცოვმა ჩვენს სწავლა-განათლებასაც. მან დააარსა სწავლა-განათლების სამზრუნველო კავკასიაში და განამრავლა საშუალება სამოსწავლო წოდებისა: მისვე დროში

გაიხსნა ქუთაისის გიმნაზია; რომელმანც არა-ერთი განათლებული მამულის-შვილი გამოუზარდა საქართველოს. ჩვენ არ ძალგვიძს გადავთვალოთ ყოველი ის კეთილი და ქვეყნის სასარგებლო საქმე, რომელიც ვორონცოვმა შემოიღო ჩვენში.

კარგ მასწავლებელს შაგირდი ყოველთვის წაბაძავს და გვრწამს, რომ თ. დონდუკოვი, როგორც ვორონცოვის შეგირდი, თავის მოქმედებით მოგვაგონებს, თუ კავკასიის მთავარ-მართებლად იქმნა დანიშნული, თავის ოსტატის დროს, განგვიახლებს იმ ტრადიციებს, რომელთათვის თ. ვორონცოვმა საუკუნო მადლობა დაიმსახურა ჩვენგან.

უკანასკნელ ომის შემდეგ თავადი დონდუკოვი განთავისუფლებულ ბოლგარიის მმართველად იყო დანიშნული. მისს განკარგულებას ბოლგარიაში დიდის ქებით მიეგება მთელი განათლებული ქვეყანა. ვისაც ამგვარი წასრული აქვს, იმის მომავალიც ჩვენს ქვეყანაში უნდა გვაიმედებდეს.

[1881 წ.]



გლეხთაგან მამულების გამოსყიდვა

თფილისი, 9 დეკემბერს

ამ უკანასკნელ დროში განსაკუთრებული ყურადღება იქმნა მიქცეული გლეხობის მდგომარეობაზე. იმ დებულებას, რომელზედაც დაემყარა რუსეთში გლეხის ცხოვრება ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, მაინც და მაინც არ გაუბედნიერებია გლეხობის მდგომარეობა. თუმცა დედააზრი ამ მმართებლობის განკარგულებისა მაღალი და კეთილი იყო, მაგრამ სხვადსხვა გარემოებათ დაამახინჯეს კეთილი განზრახვა: პირადად გლეხი განთავისუფლდა, ნივთიერად კი, თუ უარესს არა, უკეთესს მდგომარეობაში არ ჩამდგარა.

მომრიგებელ შუამავლებს ამ შემთხვევაში დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ: იმათ შეეძლოთ, დებულებისაგან დანიშნულს ცხრა წლის განმავლობაში, საბატონო მამულები შეესყიდვინებინათ გლეხებისათვის ხაზინის დახმარებით. იმათ შეეძლოთ რჩევითა და გარიგებით მოესპოთ ნაბატონრებსა და ნაყმევებს შუა ის უთანხმოება, რომელიც დღემდინ ჰსუფევს ამათ შუა მამულების თაობაზე. შეეძლოთ, ერთის სიტყვით, გაეადვილებიათ საბოლოოდ გაყრა და ბატონ-ყმობით დამოკიდებულების მოსპობა.

სამწუხაროდ, თავიდამვე ისეთი მომრიგებელი შუამავალნი არ იყვნენ ჩვენში დანიშნულნი, რომელთაც კარგად სცოდნოდათ თავის მოვალეობა და გულით მოენდომებინოსთ ამ მოვალეობის პატიოსნად შესრულება. მომრიგებელ შუამავლებად დაინიშნენ ისევ მებატონეები, ძველი ჩინოვნიკები და აფიცრები, რომელთაც ხშირად პიროვნული ინტერესი აიძულებდათ, რომ

გლეხების სასარგებლოდ არ გარდაეწყვიტათ საქმე და არ მოესპოთ გლეხის დამოკიდებულება ნაბატონრევისაგან.

ამას გარდა, თვით მამულების შესყიდვის პროცესი, ნასყიდობის წერილის მიღება და სხვა წესები ერთობ გაძნელებული იყო და არის ჩვენ სასამართლოებში.

სხვა ათასგვარი საფუძვლიანი და უფრო უსაფუძვლო ხმებიც აბრკოლებდნენ ამ საქმეს. ზოგან გლეხებში გავრცელებული იყო ხმა, რომ თვითონ მთავრობა გამოისყიდის მებატონისაგან ადგილ-მამულს და მუქთად ჩააბარებს გლეხებსაო. ზოგან ამბობდნენ, მთავრობა ასესხებს ამისთვის, გლეხს რამდენიც ფული დასჭირდება, მამულს ჩააბარებს და მერე გლეხი ნაწილ-ნაწილ გადაუხდის ხაზინასაო.

ყველა ამ დაბრკოლებისა და მიზეზებისაგან წარმოსდგა ის გარემოება, რომ დღეს იმის ნახევარ გლეხობასაც არ დაუხსნია თავი ნაბატონრისაგან, იმის ნახევარსაც არ გაუწყვეტია მიწა-წყლის კავშირი მემამულესთან, რამდენსაც შეეძლო, მომრიგებელ შუამავალთა და სასამართლოებისაგან რომ ცოტა დახმარება ჰქონდათ გლეხებსა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, უმაღლესმა მთავრობამ მიაქცია ყურადღება ამ, ჯერ კიდევ დაუბოლოებელ ბატონყმობის საქმესა და ცდილობს, რომ მამულების გამოსყიდვით მალე მოსპოს ის დამოკიდებულება, რომელიც დღემდინ არსებობს ამ ორ წოდებას შუა.

[1881 წ.]



უსაფუძვლო საყვედური

თფილისი, 15 დეკემბერს.

ამ უკანასკნელ დროში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რუსულ გაზეთ-ჟურნალებმა კავკასიის მდგომარეობას. დღემდინ ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია ჩამდგარი, როგორც ეკონომიურის, აგრეთვე ადმინისტრაციულის მხრითაც.

რუსეთის საზოგადოება და მწერლობა გვესაყვედურება: კავკასიამ ბევრი ფული შესჭამაო და ჯერ არავითარი სარგებლობა არ მიგვიღიაო.

ჩვენც ვეთანხმებით მათ აზრს, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია არ მიუთითოთ მათ იმ მიზეზზე, რომლის გამო კავკასია ბევრს ხარჯს აძლევს მმართებლობას და სარგებლობას კი ცოტას. მაგრამ დამნაშავე იმაში იგივე მდგომარეობა არის, რომლის გამო სხვა საქმეებიც უკულმა მიდის...

მართლაც, ჩვენი ქვეყნისათვის რომ ჯეროვანი ყურადღება მიექციათ თავის დროზე, ეხლა კავკასია ერთ ბედნიერ ქვეყნად ჩაითვლებოდა და საუკეთესო ქვეყნებს გაუსწორდებოდა; მაგრამ, ვინც კი აქ მოქმედობდა, ორი-სამიოდეს გარდა, ყველა იმ განზრახვას მისდევდა, რომ თავისი პირადი საქმეები რიგიანად მოეწყო და არა ემსახურნა ქვეყნისათვის. მილიონები დაიხარჯა, მართალია; მაგრამ რისთვის და ვისთვის? პროგონებისათვის, დობავოჩნისათვის, საჩუქრებისათვის და ამგვარ „ქველმომქმედ“ საქმეებისათვის. დაუვიწყარ სემიონოვმა პირველმა კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველმა, 1848წ., გამოიანგარიშა, რომ სწავლა-განათლებისათვის ორმოცდარვა წლის განმავლობაში ნაკლები დაუხარჯავს მმართებლობას, ვიდრე პროგონებზე, რომელიც მიეცა რუსეთიდამ გამოწერილ ჩინოვნიკებს.

ათას ამგვარ მაგალითებს კიდევ სხვას მოვიყვანდით, რომ გვინდოდეს...

გარდა ამისა, რა საშუალება იხმარეს ჩვენის მეურნეობის აღდგენისა, მადნეულობის შემუშავებისათვის და სხვა. მართლა სასარგებლო და გამოსადეგი საქმეებისათვის. ამის პასუხი, სამწუხაროდ, ვერ არის სანუგეშო; მაგრამ, რა გაეწყობა.

რუსეთის ინტელიგენცია იმას კი არ უნდა გვაყვედრებდეს, რომ კავკასიამ ბევრი ფული შესჭამა; არამედ უნდა უჩვენებდეს მმართებლობას — თუ რაში მდგომარეობს მიზეზი ამ უნაყოფო ხარჯისა.

[1881 წ.]

1882 წელი



ბატონყმობის საქმის გათავება

სამშაბათის ნომერში „დროების“ მკითხველებმა უეჭველად ყურადღება მიაქციეს ტელეგრამმას, რომელმაც გვაცნობა, რომ მემრის იანვრიდამ ყმის ნადელები სახელმწიფო ხარჯით გამოსყიდული იქმნება.

ამგვარად სასურველი დაბოლოვება ბატონყმობის საქმისა ახლოვდება.

ჩვენში დღევანდლამდე დიდი ნაწილი გლეხების ნადელებისა გამოუხსნელია, იმ მიზეზით, რომ ხან მებატონეს არა სურს გასყიდვა, ხან გლეხს ეძვირება და ამის გამო ძალიან მძიმეთ მიდიოდა საქმეები. ამასთან უნდა დავუმატოთ ჩვენი მომრიგებელი შუამდგომელების სიზარმაცე, დაუდევრობა, უთაურობა და ზოგჯერ სულ გაუგებრობა თავისის დანიშნულებისა.

ერთის სიტყვით, ძველი სამსახური და გლეხის ყმობა არ იყო, მაგრამ მამულის ღალა-კულუხი დარჩა, ნაყმევი ვალდებულ გლეხად დარჩა, სახელმწიფო შემწეობას აძლევდა გლეხსა ნადელის გამოსყიდვისათვის, მაგრამ გამოსყიდვის მორიგების ქაღალდების შედგენას და დამტკიცებას ბევრმა ვერ მიაღწია.

ერთის სიტყვით, დღეს საქართველოში ვალდებულებითი მდგომარეობა დარჩა ისეთს ამბავში, რომ საქმე წინ აღარ მიდიოდა მეტადრე უხეირო, ზარმაც პოსრედნიკების ხელში, რომელთა რიცხვი ჩვენში მცირე არ გახლავს.

რა შფოთის, მოუსვენრობის ბრძოლის და მუდამ უთანხმობის მიზეზი იყო და არის ვალდებულებითი მდგომარეობა, ეს ყველასათვის ცხადია, ჩვენთვის მეტადრე სამწუხარო იყო ეს მდგომარეობა მით, რომ ჩვენ აოხრებულ მიწა-წყალსა, მეურნეობას, მოქალაქობას უფრო ძირს უთხრის ყოველივე ამგვარი უთანხმობა.

ახლა ცხადი შეიქნა, რომ მმართებლობის გარდაწყვეტილება მოხდა, რომ ვალდებულებითს მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ნადელების გამოსყიდვისათვის სახელმწიფოდამ მიეცემა მებატონეს მამულის ფასი და შემდეგ გლეხი გადაუხდის სახელმწიფოსა ნაწილ-ნაწილად.

აქამდინ ეს გამოხსნა ნადელებისა, ნებაყოფლობაზე რაკი იყო, გვიანდებოდა. ახლა იმედი გვექნება, რომ რადგანაც აუცილებლად უნდა დახსნილ იქმნას ნადელები, უჭველია რომ საქმის გაგრძელებას არც მებატონე ისურვებს, არც დროებით ვალდებული გლეხი. თავის სასარგებლოდ იქნება პოსრედნიკებმა საქმე გააჭიანურონ და დახლართონ.

ჩვენში საქმე როგორ ჩქარა წავა და წარიმართება, არ ვიცით. მხოლოდ ახლა ამას ვისურვებთ, რომ ეს ვალდებულებითი გამოხსნის ვადა ჩვენშიაც იმ დროსვე დაიწყოს, როგორც რუსეთში და ისე არ დაგვიანდეს, როგორც ბატონყმობის განთავისუფლების საქმე სამ წელს შემდეგ დაიწყო.

[1882 წ.]



<სხვადასხვა ერების უცნაური მდგომარეობა კავკასიაში>

თფილისი, 9 იანვარი.

ცხვრის ფარა რომ მობრუნდება, უკანანი წინ მოექცევიან და წინანი უკანა. უკანანი, ჩვეულებრივ, დასუსტებულს, დაკოჭლებულს და საზოგადოთ სნეულს ნაწილს შეადგენენ მთელის ფარისას ცხვარში. სწორეთ ესრეთვე ნაწილს შეადგენდა სომხობა უკანასკნელ საუკუნოების დროს კავკასიის ერთა შორის. იგი, მოკლებული პოლიტიკურს დამოუკიდებლობას და ზნეობრივს თვისებას, განბნეული და გაფანტული შესახიზნავად სხვადასხვა სახელმწიფოებისა და სამეფოების მიწაწყალზე, სულ ბოლოს დროს შეიქმნა იმნაირი ხელობის მიმდევარიც, რომელიც სასიკეთო სულის თვისებებს არ უნერგავს კაცს გულში.

უკანასკნელს დროს აქა-იქ შეხიზნული სომხობა, მიმდევარი ვაჭრობისა, წამოადგენდა არა მავნებელს ხელოსნების და წვრილ ვაჭართა წოდებას საქართველოსი, თვით ქართველთ მეფეები, განთქმულნი პურადობით და გულკეთილობის სიუხვით, სიხარულით იღებდნენ იმათ, თავიანთ სამეფოში, როგორც სასარგებლო ხელოსნებს წვრილს და ვაჭრებს. მაგრამ განვლო ჟამმა. სტუმრათ მიღებულთ მასპინძლობა მოინდომეს. მეცხრამეტე საუკუნის კულტურული განთვითებანი მოეფინა რუსეთის მხრივ კავკასიასაც, ვაჭრობა სხვა გზაზედ დადგა, ეკონომიური ბურჯნი შეირყნენ და გამეფდა სხვაფრივ საფუძველზედ აგებულს ეკონომიურს სასახლეში სხვა ღმერთი, სხვა ხატი და სხვა სჯული — კაპიტალური წარმოება და ფული.

ფულისა და კაპიტალის წარმომადგენლებს მიეცათ არაჩვეულებრივი პატივი..... ურიაც კი თავის ფულის გამოისობით შეიქმნა გაჭირვების ტალკვესად. საქართველოს ძრიელს კულტურულს ძალას, შეიქმნა მონად ფულის წარმომადგენლებისა. დაცემულთ აიწიეს მაღლა თავი. მათივე მდგომარეობაც,..... აგებულს სხვა პოლიტიკური წყობილებისათვის, ეწეოდა მათ.

თვით ქართველობა კი იმდენად გულუბრყვილი და დანდობილი იყო თავის მეზობლებზე და მმართველებად მოწვეულს ტომზედ, რომ ფიქრათაც არ ივლებდა თავის საშიშარს მდგომარეობას,.....

ოდნავ გავმარტოთ ჩვენი აზრი. მეთვრამეტე საუკუნეში კავკასია წარმოადგენდა შემდეგს სურათს. ერთის მხრით იყო ქართველთ ერი, მართალია, ქრისტიანობის მრისხანე მტრებისაგან შეწუხებული და ილაჯგაწყვეტილი, მაგრამ მედგრად მებრძოლი მათ წინააღმდეგ, როგორც სჯულის, ისე დამოუკიდებლობის, თვითების დასაცველად, მეორეს მხრით — წვრილი ერები და ელნი მომთაბარე ტომთა და ნახევრობით ველურთა: თათართა, კავკასიაში დარჩენილ სპარსების და ოსმალების ნაშთთა, ლეკთა, ჩერქეზთა და სხვადასხვა მთიულთა. ყოველ ამ წვრილს ელებს ჰყავდათ მოთავედ ნახები, ბეგები, იმამები, ბელადები და სხვ. და სხვ.

ამ ერებს შორის სომხობა სრულებით არ იყო შეკუმშული და ერთს ალაგს დასახლებული და თითქმის ამისათვის იყო სრულიად ძალას მოკლებული.

ხოლო საქართველო, რაც უნდა დაუძლურებული და გახრწნილი ყოფილიყო, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების აგებულება, წარმოადგენდა თვითმდგომარე სამეფოს. მისი ხალხი ერთმორწმუნე და ერთენოვანი წარმოადგენდა შეკუმშულს ეროვნობითს ჯგუფს, რომლის კულტურული ძალა და გავლენა მთელს კავკასიაში არ ვიტყვი ძლიერი, გარნა საკმაოდ განვრცელებული იყო. ერევანი და განჯა მოხარკე იყო საქართველოს სამეფოსი, მარტო ერევანი აძლევდა მას ყოველწლიურს ხარკს 120,000 მანეთამდის. შამშადილის ხანი უპირველესი და უმტკიცესი მეგობარი ირაკლი მეორისა, იყო მოთაყვანე მთლად ქართველობისა და აღამაჰმედ-ხანი, ორჯერ იერიშით მისული მის სახანო ქა-

ლაქს შუშაზედ, იძულებული იყო ორჯერვე უკუქცეულიყო. მან ვერაფრით ვერ შეარყია შამშადილის ხანის მეგობრობა ირაკლისადმი.

ლეკნი და მთიულნი, ვთქვათ, ძლიერნიც იყვნენ, მაგრამ მაინც მათთვის შეუძლებელი იყო რაიმე პოლიტიკური წყობილების შემუშავება მთელი კავკასიისათვის.....

[1882 წ.]



ჩვენი ფოჩტა და რკინისგზა

თფილისი, 12 იანვარი.

გამოჩენილმა ინგლისის ისტორიკოსმა ბოკლმა სთქვა, საპნის ხარჯის რაოდენობით გამოიცნობა ხალხის წარმატებაო, ესე იგი რომელ ქვეყანაშიაც უფრო მომეტებული საპონი იხარჯება, ის ქვეყანა უფრო განათლებული და ყველაფერში წინ წაწეული არისო.

ეს ჭეშმარიტებაა; სისუფთავე, მართლაც, განათლების ნიშანია; მაგრამ ჩემთვის რო ეკითხათ, მე კიდევ სხვას ვიტყოდი: რომელ ქვეყანაშიაც უფრო ბევრი და უფრო კარგი გზებია, ის ქვეყანა უფრო განათლებული არის-მეთქი, მართლაც, ხალხი, რომელსაც სხვა ხალხთან არავითარი კავშირი არა აქვს; რომელიც მიყრუებულად, თავისთვის ცხოვრებს; რომელსაც ხმელეთის ანუ ზღვის გზა არ აერთებს სხვა ქვეყნებთან; რომელსაც არავისთან არა აქვს არც ვაჭრული, არც გონებითი დამოკიდებულება; რომელიც ჩინეთის კედლით შემოფარგლულია, — ამგვარი ხალხი, უეჭველია, ნივთიერათაცა და გონებითაც ჩამორჩენილი უნდა იყვეს სხვა ხალხებისაგან.

ყველა ეს ითქმის, საუბედუროდ, ჩვენს ქვეყანაზედ. უფრო დიდი უბედურება კიდევ ჩვენი ის არის, რომ არა თუ ჩვენს გარეშე ქვეყნებთან არა გვაქვს ჩვენ კავშირი და მისვლა-მოსვლა, არამედ თვით ამ ჩვენი ქვეყნის ერთს კუთხეს მეორე კუთხესთანაც კი მოსპობილი აქვს კავშირი, უგზოობის გამო.

აქედამ წარმოსდგება ის, რომ სოფლის ხალხს, რომელმანც იცის, რომ თავის ნაწარმოებს რიგიან ფასად ვერსად გაასაღებს, გული აცრუებული აქვს მუ-

შაობაზედ, მომეტებულის ნაწარმოების მოყვანაზედ. იმან იცის, რომ მომეტებული ნაწილი იმის ნაწარმოებისა ადგილობრივვე უნდა გაასაღოს მეოთხედ და მეათედ ფასად; იცის, რომ ხშირად სულაც ვერ გაასაღებს, სულ იმავ უგზობის წყალობით, და ამის გამო ენერგია ეკარგება შრომაში და წარმოებაში. რამდენი ღვინო ფუჭდება მუდამ წელიწადს გაუსაღებელი კახეთში; რამდენი ხილი ფუჭდება ახალციხის მაზრაში; რამდენი სიმინდი და აგრეთვე ხილი იმერეთში? რამდენი თამბაქოსა და ბამბის მოყვანა შეიძლებოდა ჩვენში, რომ გზები იყოს და რიგიან ფასად გასაღება შეიძლებოდეს? რამდენ სხვა ყოველგვარ წარმოებას აქვს დაბრკოლება უგზოობის გამო და რამდენი აკლდება ამით ხალხს? — ამის მოთვლა ძნელია.

ამას სულ საზოგადოდ ვამბობთ; და კერძოდ კი დღეს უფრო განსაზღვრულ საგანზედ გვინდა ლაპარაკი: იმ დამოკიდებულებაზე, ანუ უკეთ დამოუკიდებლობაზე, რომელიც არსებობს ჩვენის ფოჩტისა და რკინის გზის გამგეობის შუა და რომლისგანაც რკინისგზის სტანციებზე და ამ სტანციების გარშემო მცხოვრებ ხალხს რა დიდი დაბრკოლება ეძლევათ.

ყოველის მხრით ისმის ჩვენში დაუბოლოებელი საჩივარი, რომ წიგნები და გაზეთები იკარგება რკინიგზის სტანციებზედაო, ორ-სამ წიგნში, სამ-ოთხ ნომერ გაზეთში ძვლივს ერთს მივიღებთ, იმასაც ერთის მუნათით და წვალებით, რკინისგზის სტანციების უფროსებისაგანაო. ეს რკინისგზის სტანციების უფროსები გვეუბნებიანო, რომ ჩვენ სრულებით არა ვართ მოვალენი, თქვენს წიგნებსა და გაზეთებს მოუაროთ, უპატრონოთ და ჩაგაბაროთო; ვალდებულნი ვართ მხოლოდ, რომ ჩავიბაროთ ფოჩტა და დავაწყოთ სტოლზე, მეტი არაფერიო.

ჩვენ არ ვიცით — რამდენად მართალია, რომ ამგვარი დამოუკიდებლობა არსებობს ფოჩტასა და რკინის გზის გამგეობას შორის; მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცით, რომ ჩვენს რკინისგზაზე მომეტებული ნაწილი სტანციების უფროსებისა სწორედ ისე იქცევიან, როგორც ზევით არის მოხსენებული; დაჰყრიან სტოლზე ახლად მიღებულ წერილებსა და ჟურნალ-გაზეთებს და

მერე ზედაც არ მიჰხედავენ, ვინც შემოვა და დაეპატრონება, იმას მიაქვს.

სხვათა შორის, ჩვენში ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას, განსაკუთრებით სოფლებში, ეს გარემოებაც დიდ დაბრკოლებას აძლევს და ეს კი ორივე მხრისთვის: ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებისათვისაც და თვითონ საზოგადოებისათვის დიდად საზარალოა, რადგან ერთი (გამომცემელი) მოკლებულია მკითხველების სიმრავლეს (მაშასადამე, ნივთიერ საშუალებას) და მეორე (საზოგადოება) კი — თავის გონების ერთ განმავითარებელ ძალასა.

ამიტომაც საჭიროა და ძალიანაც საჭიროა, რომ ამგვარი წესი ფოჩტისა და რკინისგზის, რაც შეიძლება მალე მოისპოს ჩვენში. თუ ფოჩტა ფოჩტის ფულს თხოულობს და იღებს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებისა და წერილების გამგზავნისაგან, ვალდებულია კიდეც შეასრულოს თავის მოვალეობა, ვალდებულია შეასრულოს ის, რისთვისაც საფასური მიუღია.

როგორ უნდა შეასრულოს ეს ფოჩტის უწყებამ, რა ახალი წესი უნდა შემოიღოს, — ამაზე ზრუნვა თვითონ იმის საქმეა. ჩვენ მხოლოდ ამას ვამბობთ, რომ ახლანდელი წესი არ აკმაყოფილებს საზოგადო საჭიროებას, რომ ამ წესს შეცვლა ეჭირება.

[1882 წ.]



პროვინციალური გაზეთები

თფილისი, 20 იანვარს.

ერთი უმთავრესთაგანი დანიშნულება ყოველ პროვინციალურ გაზეთისა, როგორც მოგეხსენებათ, ის არის, რომ საზოგადოებასა და თვით მთავრობასაც აცნობოს იმ მხრისა და ხალხისა მდგომარეობა, საჭიროება, ავი და კარგი, იმ ქვეყნის მოთხოვნილება, ლხინი და დარდი, და ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც კი საზოგადო საქმეებს შეეხება იმ ქვეყნისას, სადაც ეს გაზეთი გამოდის.

ამ დანიშნულების შესრულება პროვინციალურ გაზეთს მით უფრო ადვილად და ქვეყნის სასარგებლოდ შეუძლია, რაც ის უფრო ნაკლებად დამოკიდებულია სხვადასხვა გარეშე მიზეზებისაგან, რაც უფრო მომეტებული ნება აქვს მიცემული, რომ ყოველ საზოგადო დაჭირებაზე და ლხინზე თამამად და მოურიდებლად ილაპარაკოს და სწეროს.

სამწუხაროდ, ხშირად სატახტო გაზეთებიც არ არიან ამგვარს მდგომარეობაში, პროვინციალურ გაზეთებს ხომ იმის ნახევარი დამოუკიდებელობაც არა აქვს მინიჭებული, რაც ზემოხსენებულ სატახტო გაზეთებსა.

უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი შემმფერხავი პროვინციალურ სტამბისა ის გახლავთ, რომ რუსეთში საზოგადოდ ბეჭვდის შესახებ არ არის კარგად გარკვეული, განსაზღვრული კანონები.

აქედამ წარმოსდგება გაურკვევლობა რუსეთის სტამბის მდგომარეობისა. დღეს ერთის თქმის ნებაა, ხვალ არა, ზეგ შეიძლება, მაზეგ კიდევ არა — როგორ

უნდა გამოიკვლიოს ჟურნალისტმა გზა ამისთანა მდგომარეობაში?

თვით ჩვენმა უმაღლეს მმართებლობამ იგრძნო ამისთანა მდგომარეობის მოუხერხებლობა და ამიტომაც ამ უკანასკნელის სამის წლის განმავალობაში პეტერბურღის გაზეთებში ხშირად იწერებოდნენ, რომ დანიშნული არისო ცალკე კამისია, რომელსაც ბეჭდვის შესახებ კანონების გამოცემა აქვს მინდობილიო.

მთელი რუსეთი მოუთმენელად მოელის ამ ახალ კანონებს ბეჭდვის შესახებ. ყველას ჰსურს, რომ ახლანდელი გაურკვეველი მდგომარეობა შეიცვალოს და მტკიცე, თუნდაც უფრო სასტიკი კანონები გამოიცეს, მხოლოდ კანონი კი იყოს; იყოს კანონი და ვიცოდეთ, რომ ვალდებულნი ვართ ამ კანონს ვემორჩილებოდეთ.

მაშ, ვინატროთ, რომ რაც შეიძლება მალე შეიცვალოს ახლანდელი მდგომარეობა, განსაკუთრებით პროვინციალურ ჟურნალ-გაზეთებისა, და რაც შეიძლება მალე დამყარდეს იმისთანა წესი, რომელიც ამ ჟურნალ-გაზეთებს ერის ნამდვილ სამსახურის შეძლების ღონეს მისცემს.

[1882 წ.]



ქართველთ ქონება ათონის მთაზე

თფილისი, 19 თებერვალს.

ძველის-ძველიდგანვე ღვთისნიერ ქართველებსა და იმათ მეფეებს ჩვეულება ჰქონიათ, რომ, თავიანთ სულის მოსახსენებლად, ანუ რაიმე საქმეში გასამარჯვებელად, მამულებს, ფულს, ძვირფას ნივთს შესწირავდნენ ხოლმე მონასტრებსა და ან ეკკლესიებს. ამ შეწირულიდგან შესდგა ის დიდი და მდიდარი ქონება, რომელიც ზოგიერთ მონასტრებსა ჰქონდათ დღემდინ ჩვენს ქვეყანაში და რომელიც დღეს სახაზინოდ ჩამოერთვათ.

იერუსალმეთი, ათონის მთა და იმის ივერიის მონასტერი განთქმული ყოფილან ძველად ჩვენში. ისტორია გვაჩვენებს, რომ თითქმის ქრისტიანობის მიღებისთანავე (მეოთხე საუკუნიდამ) დაუწყიათ ქართველებს იერუსალმეთსა და ათონთან კავშირი; სწირავდნენ ამ წმინდა ადგილებსა და იმის მონასტრებს მამულს, ფულს და ძვირფას განძეულს. ათონში ჩვენ წინაპართ თავის საკუთარი — ივერიის მონასტერი აუგიათ; იერუსალმეთის მონასტრებშიაც ჰქონიათ ქართველებს თავშესაფარი; აქაურ ბერებს შეუდგენიათ მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ახლაც არსებობს თურმე და პლ. იოსელიანსა და ნიკ. ჩუბინაშვილს უნახავთ. ათონის მონასტერს, როგორც მოგეხსენებათ, ახლაც დიდი მამულები აქვს საქართველოში და რუსეთშიაც.

მაგრამ რა! როგორც მონასტერი, აგრეთვე მთელი იმის ქონება და შემოსავალი, ქართული ბიბლიოთეკაც ამჟამად, რაღაც მანქანების ძალით, ბერძნის ბერებს ჩაუგდიათ ხელში და მხოლოდ ისინი სარგებლობენ.

ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა ათონის მთიდამ ერთი ჩვენებური ბერი ბენედიქტე ბარკალაია, რომელსაც იქაურ ქართველ ბერებისაგან (რომლის რიცხვი ამჟამად თურმე ოცამდინაა) მინდობილობა ჰქონდა, საცა და როგორც რიგი იყო ეშუამავლებინა და ეცადნა რომ ათონის ივერიის მონასტერი ბერძნებს ჩამორთმეოდათ და, სულ თუ არა, ერთი წილი მაინც იმის შემოსავლისა ჩაჰბარებოდა ამ მონასტრის ნამდვილ მეპატრონეებს — ქართველებს.

ვის არ მიჰმართა მ. ბენედიქტემ? დიდ მთავარ კავკასიის ნამესტნიკს რამდენიმე არზა მიართვა, ქუთაისისა და თფილისის თავად-აზნაურთა კრებებზედ ილაპარაკა და ითხოვა შუამავლობა უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ეს ძვირფასი მამაპაპეული ნაშთი არ დაჰკარგოდა ქართველობას, ქართველ დიდკაცებს კიბეები გაუცვითა, რედაქციებში დაიარებოდა, — ერთის სიტყვით, ყველას ეხვეწებოდა დახმარებას, ვისაც კი რაიმე ხმა და გავლენა შეეძლო ჰქონოდა ამ საქმეში.

საუბედუროდ, ამ ერთის კაცის მეცადინეობით ჯერ-ჯერობით არა გამოდის-რა. დიდმა მთავარმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო, რამდენჯერმე მიაწერინა რუსეთის სტამბოლელ ელჩთან, რომ ყური ეგდო ამ საქმისათვის და კანონიერი თხოვნა ქართველებისა, თუ შესაძლებელი იყო, დაეკმაყოფილებინა. მაგრამ, ვიმეორებთ, ყველა ეს მიწერ-მოწერა და თხოვნა-ვედრება ჯერ-ჯერობით უნაყოფოდ რჩება.

ახლა, როგორც შევიტყეთ, ათონის მთიდამ ჩამოსულან თფილისში რამდენიმე ბერძნის არხიმანდრიტები და ქართველებთან მორიგებას თხოულობენ. მორიგებით, მშვიდობიანობით საქმის გათავება, რასაკვირველია, ყოველთვის კარგია და განსაკუთრებით ამისთანა სასულიერო საქმისა. მაგრამ სამართლიანობის დავიწყებაც კი არ შეიძლება; და ეს სამართლიანობა თხოულობს, რომ ბერძნის ბერებს ჩამოერთვას ის, რაც იმათ არც ისტორიით, არც კანონით და არც სინიდისით არ ეკუთვნის და ჩაბარდეს ნამდვილ მეპატრონეებს.

ერთ დროს ათონის მთაზე ქართველ ბერებს უმაღლესი სასწავლებელი ჰქონიათ, სადაც სწავლისმოსურნე ქართველები მუდამ წელიწადს გზავნიდნენ თავიანთ

შვილებს და ზრდიდნენ. როგორც ისტორია მოგვითხრობს, ამ სასწავლებელში თითქმის მუდამ ორმოცდაათამდინ ქართველები იზრდებოდნენო. ამას გარდა იერუსალმეთში და ათონის მთაზე არის მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, რომელიც ვინ იცის — რამდენ ძვირფას მასალას შეიცავს ჩვენი ძველ ისტორიისა და ლიტერატურისათვის.

სულის საქმეს გარდა, ეს ორი გარემოება უნდა გვაიძულებდეს, უნდა ხელს გვანძრევინებდეს ჩვენ, ახლანდელ ქართველებსა და გვაფიქრებინებდეს ამ ჩვენ ძვირფას საუნჯის უკან დაბრუნებაზედ. ვიმეორებთ, იერუსალმეთისა და ათონის მთისაკენ მარტო სულის საქმე კი არ მიგვიზიდავს, არამედ საერო საქმეც.

და ამიტომაც ჩვენი საზოგადოება ვალდებულია, რითაც და როგორც კი შეუძლიან, ხელი მოუმართოს ამ საქმეში მ. ბენედიქტეს, რომელსაც მარტო, თუ დამხმარი და თანამგრძნობი არ ეყოლა, არაფრის გარიგება არ შეუძლია.

[1882 წ.]



ჩვენი საჭიროებანი

(სტატია პირველი)

ტფილისი, 18 მარტს.

უმაღლესად გამოცხადებულის ბრძანებით, ამ ერთის წლის განმავლობაში ჩვენს მხარეს დიდი ცვლილება მოელის; თვითონ მთავრობამ აღიარა, რომ ახლანდელი გამგეობის წესი კავკასიისა ვერ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას, ვერ ასრულებს რიგიანად თავის პირდაპირ მოვალეობას და ამის გამო, როგორც მოგეხსენებათ, დაინიშნა ცალკე კამისია, რომელმანც აქვე, ტფილისში, ადგილობრივ უნდა განიხილოს ყველა ადმინისტრატიული, თუ სამოსამართლო, თუ სამხედრო და სხვა უწყებანი და შემდგომ, როდესაც კარგად გაიცნობს ყველა ამ საგამგებო უწყებათა ნაკლულევანებას, როდესაც კარგად გაიცნობს ადგილობრივ ხალხის საჭიროებასა და მოთხოვნილებას, კამისია შეადგენს თავის პროექტს, კავკასიის გამგეობაში შემოსაღებ ცვლილებისა და ეს პროექტი უმაღლესს მთავრობას წარედგინება დასამტკიცებელად.

ზემოხსენებულის კამისიის თავსმჯდომარედ დანიშნულია ახლანდელი უფროსი მთავარმმართებლის სამმართველოსი ღენ.-ლეიტ. სტაროსელსკი. ბ. სტაროსელსკი თითქმის ადგილობრივ მცხოვრებად ჩაითვლება, ის იცნობს ჩვენს მხარეს; მაგრამ დანარჩენი პირები კამისიისა, პეტერბურღის სამინისტროების წარმომადგენელნი კავკასიას იქნება წიგნებით და კანცელარიით იცნობენ; ხალხის საჭიროებისა და მოთხოვნილების იმათ, რასაკვირველია, ბევრი არა ეცოდინებათ რა.

თვითონ ახალმა მთავარმმართებელმა როდესაც სამოქალაქო უწყების მოსამსახურე პირები მიიღო სასახლეში, გამოაცხადა, რომ კავკასიაში ახალ ცვლილების შემოსაღებად ამ ქვეყნის კარგათ გაცნობა მეჭირებაო, ჩვენი პროექტი ამ ენკენისთვემდინ უნდა წარვუდგინოთ უმაღლესს მთავრობასაო და მომავალი წლის 1 იანვარს ახალი წესები, რეფორმა შემოღებულ უნდა იქმნეს კავკასიაშიო; ამის გამო მე მომიხდება თითქმის მოუსვენრად მოგზაურობა, ყველა მაზრების დავლა, უკანასკნელი ოცი ათასი ვერსი უნდა გავიაროვო, რომ ჩემის თვალით ვნახო ყველა ადგილები კავკასიისა და გავიცნო ხალხის საჭიროებაო.

ესე ყოველი დიდ გონიერებად უნდა ჩაითვალოს, რომ კამისია აქვე, თფილისში იმუშავებს და არა პეტერბურღის რომელიმე დეპარტამენტის კაბინეტში; ყოვლად ჩინებული აზრია, რომ თვითონ მთავარმმართებელი აპირებს მთელის კავკასიის დავლას და თავის თვალით გაცნობას და ნახვას ყველაფრისას, — მაგრამ საქმის რიგიანად წასაყვანად, კავკასიის საჭიროებისა და მოთხოვნილების გასაცნობად, და ამის-და-გვარ რეფორმების მოსახდენად, ჩვენის აზრით, მარტო ეს არა კმარა.

ამის გამო, როგორც ამას წინათაცა ვთქვით, მმართებლობის კამისიები იმგვარს შემთხვევებში, ხალხის ნამდვილ საჭიროების გაცნობაში ბევრს ვერას გაარიგებენ, თუ თვითონ ადგილის კაცებს ადგილობრივ ხალხისა და გარემოების ზედმიწევნით მცოდნე პირთ არ დაეკითხნენ, იმისთანა პირთ, რომელნიც ამ ადგილობრივ გარემოებათა ცოდნის გარდა, თავის პატიოსნებით, მიუდგომლობითა და ხალხის გულშემატკივრობით არიან ცნობილნი.

მთავრობამ რამდენიმე მაგალითათ დაგვიმტკიცა, რომ ამგვარ პირთ, თუმცა ისინი სამსახურშიაც არ ითვლებოდნენ, ის არ ერიდება. რუსეთის ერობის წარმომადგენელნი ადრეც იყვნენ მოწვეულნი და ახლაც მუშაობენ პეტერბურღის სხვა-და-სხვა კომისიებში, რომელნიც ხალხის შესახებ საქმეებზე სჯიან და პროექტებს არდგენენ.

ამის გამო სრულებით კანონიერი იქნება ჩვენი სურვილის გამოცხადება, რომ როდესაც ასეთს მძიმე რამეზედ არის სჯა, როგორც კავკასიის გამგეობაში რეფორმების შემოღება, ამგვარი მცოდნე პირები, ექსპერტები, პრაქტიკები ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდამაც მიიწვიონ და ამათაც მიეცეთ, გადამწყვეტი ხმა კიარა, უფლება თავის აზრის წარდგენისა, რჩევისა.

ამგვარი პირები, ღვთით, მოიპოვებიან ჩვენში და ამათის დახმარებით კამისია, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ერთი-ორად უფრო მალეც, უფრო რიგიანადაც შეასრულებს თავის მძიმე საქმეს, საქმეს, რომელზედაც ოთხი მილიონი მცხოვრების და რუსეთის იმპერიის ერთი საუკეთესო კუთხის ბედ-იღბალი არის დამოკიდებული.

(სტატია მეორე)

ტფილისი, 19 მარტს.

ათასჯერ თქმულა, და ეს უთქმელადაც ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენ, ქართველები, იმთავითვე, ისტორიულ დროებიდამვე მეურნეობის მიმდევარი, მიწისმომქმედი ხალხი ვართ. მართალია, იყო დრო, როდესაც ჩვენ წინაპართ ერთს ხელში ხმალი ეჭირათ და მეორით გუთანს მიუძღოდნენ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც გარეშე და, საუბედუროდ, ხშირად შინაგანი მტერიც, მოსვენებას არ გვაძლევდნენ, თავს გვესხმოდნენ, ომს აგვიტეხდნენ. მოვიშორებდით თუ არა თავიდამ მტერს, იმ წამსვე ისევ გუთანს დაუბრუნდებოდით, მიწის მუშაობას შეუდგებოდითო, რადგან ამ მიწიდამ მოველოდით ჩვენ საზრდოსაცხოვრებელს. ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას ქართველის ერთობ რაინდული ხასიათი როგორღაც ვერ შეეთვისა; ქარხანა-ფაბრიკები ჩვენში ბლომად არასოდეს არ ყოფილა და თუ ყოფილა, ისიც არაქართველებისაგან გამართულა.

ამიტომაც ახლა, როდესაც გარეგანი მშვიდობიანობა მაინც არის ჩვენში დამყარებული, როდესაც აღებ-მიცემობისა და ქარხნულ წარმოებისათვის გული არ მიგვიძღვის, როდესაც ყოველ ჩვენ საცხოვრებელ-

საბადებელს დედამიწისაგან მოველით, — ამიტომაც ვიმეორებთ, უმთავრესი ყურადღება ამჟამად ადგილ-მამულის საქმეს უნდა ჰქონდეს მიქცეული.

ვერც ერთი საზოგადო მნიშვნელობიან საქმის რიგიანად განწყობასა და გამართვას ვერ დავიკვეხებთ ჩვენ ამჟამად, მაგრამ, საუბედუროდ, არც ერთი ამათგანი არ არის ისე დარეული, დაფუშული, ისე გამოუკვლეველი და განუსაზღვრელი, როგორც ადგილ-მამულისა, მიწა-წყლის საქმე. ნამდვილი ბაბილონის ენათა აღრევაა ამ შემთხვევაში ჩვენში. ასს მემამულეში ერთმა არ იცის რიგიანად და დაბეჯითებით — რა ეკუთვნის იმას უდავოდ და რა არა; ათასში ერთი არ არის დარწმუნებული, რომ ხვალ იმას თავის მამა-პაპეულ სამკვიდრო ადგილ-მამულის მოდავე არ გამოუჩნდება, არ დაუწყებს სამართლებში თრევას, არ დააკარგვინებს ტყუილუბრალოთ ძვირფას დროს და ხარჯში არ შეიყვანს; ასში ერთს ძვლივს ნახავთ, რომ სულ ამ ადგილ- მამულის გამო, გაუთავებელი დავა, ხშირად ჩხუბი და თავ-პირის მტვრევა არა ჰქონდეს თავის მეზობლებთან, ერთ მოგვარებთან და ხშირად სულ გარეშე პირთანაც, ასში ერთს მემამულეს ძლივს ნახავთ ჩვენში, რომელმანც წრფელის გულით არ გითხრათ, რაც ჩემად მიმაჩნია, რაც მამა-პაპისეული მამული მაქვს, იმის ნახევარი მომეცით, მხოლოთ ამ დავიდარაბასა და საჩივრებიდგან კი განმათავისუფლეთ და დიდ მადლობას გიძღვნიო!

ეს ერთი მხარე ჩვენი საადგილმამულო, საქმისა ახლა სხვა მხარე.

აგერ ოცი წელიწადი სრულდება მას აქეთ, რაც ბატონყმობა მოისპო ჩვენში და დაწესდენ ესრედწოდებული საგლეხო პრისუტსტვიები და მომრიგებელი შუამავალნი (მიროვოი პოსრედნიკები), რომელთა პირდაპირ მოვალეობა და დანიშნულება იყო, რომ მორიგებით, მშვიდობიანად მოესპოთ ის ადგილ-მამულის დამოკიდებულება, რომელიც ადრინდელს ნაბატონარსა და განსაკუთრებით ნაყმევს შორის რჩებოდა მას შემდეგ, რაც გლეხების „სულები“ განთავისუფლებულ იქმნენ. ორივე მხარეს, ნაბატონარსაც და განსაკუთრებით ნაყმევს, ძალიან გულით ჰსურდათ, რომ ეს დამოკიდებულება მართლა მოსპობილიყო ამათში; მემამულეებს უნდოდათ შეესყიდვინებინათ გლეხებისათვის მამულები და გლეხებიც თავის მხრით ცდილობდნენ და იხვეწებოდნენ: რომ შემოგვყიდეთ — ჩვენთვის აუცილებელად საჭიროა მამულებიო.

მაგრამ რა გამოვიდა! სამესამედოთაც არ გაუთავებიათ ბბ. მომრიგებელ შვამავლებს ჯერ ამ ნაბატონარ-ნაყმევთა შორის ნადელების შესყიდვის საქმე და რაც გაათავეს, იმაზედაც ათასი დავები და საჩივრები ტყდება.

საუბედუროთ, თვით კანონის [მხრითაც] ჩნდება ამ საქმეში არა-მცირედი დაბრკოლება: ათასნაირი ფორმალური რამეებია საჭირო, ათასი თრევა ნოტარიუსებში, სხვადასხვა სასამართლოებში და კანცელარიებში, ათასი ხარჯი, სანამ, როგორც იქნება გლეხი ეღირსება მებატონისაგან მამულის შესყიდვას.

ეს მეორე დამბრკოლებელი მიზეზი ჩვენი საადგილ-მამულო საქმის წარმატებისა. ერთიც კიდევ:

ამისთანა ქვეყანაში, რომლის არსებობა მეურნეობასა და მიწის წარმოებაზედ არის დამოკიდებული, ამისთანა ქვეყანაში, ვამბობთ, ამჟამად არცერთი, არათუ უმაღლესი, პირველდაწყებითი სასწავლებელიც კი არ მოიპოვება. და ჩვენ დღეს სწორედ იმავე იარაღებით, იმავე გუთნით, იმავე თოხითა და ბარით ვმუშაობთ ჩვენს ყანებში და ვენახებში, როგორც ამ ათასის წლის წინად ჩვენი წინაპარნი მუშაობდნენ.

როდესაც მამულის მეპატრონე ამისთანა მდგომარეობაშია, როდესაც ადგილ-მამულის საქმე ასე გამოუკვლეველი და განუსაზღვრელია, რა სიკეთეს და რა წარმატებას უნდა მოველოდეთ იქ საადგილ-მამულო საქმეებში და მეურნეობის მიმდევართ, ე.ი. მთელს საქართველოს, იქ რა ბედი, რა ნივთიერი კეთილდღეობა უნდა მოელოდეს?!

დასკვნა ამ პატარა შენიშვნისა ცხადია:

ჩვენი მეურნეობის წარმატებისათვის, საადგილ-მამულო საქმის კეთილ გზაზე დასაყენებლად და საზოგადოთ მატერიალურ მდგომარეობის განკეთილებისათვის აუცილებელად საჭიროა:

ა) გამიჯვნის დაჩქარება საქართველოში;

ბ) გლეხებისაგან მამულების გამოსყიდვის საქმის დაჩქარება და ამგვარ საქმეთა წარმოების გაადვილება და

გ) უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლისა და რამდენიმე პირველდაწყებით სამეურნეო სკოლის გამართვა ჩვენის მხრის სხვადასხვა ადგილებში.

ამას გარდა, რასაკვირველია, ბევრი, ბევრი სხვა საჭიროება გვაქვს, ბევრი სხვა რამ აბრკოლებს ჩვენ ნივთიერ და გონებით წარმატებას, — და ყველა ამაებზე შემდეგში მოვილაპარაკებთ.

(სტატია მესამე)

ტფილისი, 24 მარტს.

კარგი სამართალი თითქმის ისეთისავე საჭიროებას შეადგენს ერისათვის, როგორც საჭმელი, ჰაერი. ორი რამ არის საჭირო რომელსამე ქვეყანაში კარგის სამართლის დადგენისათვის: გონიერი კანონები, კანონები ხალხის ხასიათზე, ჩვეულებაზე და ზნეზე გამოჭრილი და რიგიანი, პატიოსანი და მცოდნე აღმასრულებელნი ამ კანონებისა.

საუბედუროთ, ჩვენი მხარე ვერც ერთითა და ვერც მეორეთი ვერ დაიტრაბახებს ამჟამად.

მართალია, ადრინდელი სამართალი და სასამართლოები ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას; უბრალო საქმეს ოცი, ორმოცი წელიწადი და ხან უფრო დიდხანსაც აწარმოებდნენ ამ ძველს სასამართლოებში; დავა და საჩივრები ერთი შთამომავლობიდამ მეორეზე გადადიოდა; სამართალს უფრო პოლიციის ხასიათი ჰქონდა და პოლიციას სასამართლოსი.

ეს ძველი სასამართლოს წესი მოისპო და შემოიღეს ახალი რეფორმა; მომეტებული ნაწილი ძველი მოსამართლეებისაც გამოცვალეს და მათ მაგიერ ახლები დანიშნეს; ახალი ღვინო ახალს ტიკებში ჩაასხეს.

მაგრამ აგერ თხუთმეტი წელიწადი გადის მას აქეთ, რაც ახალი სასამართლო რეფორმები შემოიღეს ჩვენს ქვეყანაში, რაც ახალი კაცები — აღმასრულებელნი გამოგვიგზავნეს ამ რეფორმებისა, და ჯერ ვერა ვხედავთ, რომ ამ ახალ სამართალს ახალი სამართლიანობა და უკეთესი წესები დაემკვიდრებინოს ჩვენში. პირ-იქით

ახლა თითქმის უფრო ხშირადაც ისმის ხალხში საჩივარი ყოველგვარ უწესოებაზე და ბოროტმოქმედებაზე, გაუთავებელ დავებზე და საჩივრებზე.

უმთავრესი მიზეზი ამისა, ჩვენის აზრით, ის არის, რომ ახალს სასამართლო რეფორმას არ მიუღია მხედველობაში ჩვენი ვითარება, ჩვენი ხალხის ჩვეულება და ხასიათი. ამას გარდა, რაც საუკეთესო მხარე ჰქონდა ამ რეფორმას, იმის ღირსი არ გაგვხადეს ჩვენ: ჩვენში არ არის ნაფიცი მსაჯულები, არ არის მომრიგებელ მოსამართლეების ამორჩევით დანიშნვა ისე, როგორც რუსეთში არის.

მაგრამ ამაზე უფრო მომეტებულად ხელისშემშლელი და დამაბრკოლებელი ჩვენი სასამართლოებისა ის გარემოებაა, რომ სამართლის აღმასრულებლებად და გამჩენად ისეთი პირები დაგვინიშნეს, რომელთაც ჩვენი არც ენა იციან, არც ხასიათი, არც ჩვეულება, არც ძველი კანონები და არც ახალი ცხოვრება და ამ ცხოვრების მოთხოვნილება. ამგვარ მოსამართლეების ხელში სრულიად უნაკლულო და ჩვენს ცხოვრებაზე ზედგამოჭრილი კანონებიც რომ იყოს, ცხადია, რიგიანი სამართალი მაინც არ დაწესდებოდა ჩვენში.

საჭიროდ არა ვთვლით ყველა ამას დაუმატოთ კიდევ — თუ როგორ ბრკოლდება და ხშირად ბრუნდდება კიდეც სამართალი ჩვენი სასამართლოების თარჯიმნების, მთარგმნელების ხელში. იმათი თარგმნა ხომ ანდაზად გადაქცეულია ჩვენში! ათასი მახვილობაა ამათზე იმის მსგავსი მაგალითად, რომ „გოჭებს“ „მალენკი სვინიად“ სთარგმნიანო, „ერთი თოფი ჩითი“ „ადინ რუჟიო სიტეც“ და სხვ. და სხვ. ჩვენ ვიცინით, დავცინით თარჯიმნებს და ამათის წყალობით-კი, ხშირად უმანკო კაცი ციმბირში მიდის!

მოგეხსინებათ, რომ ამჟამად თფილისში დაწესებულია კამისია, რომელმანც უნდა შეადგინოს პროექტი კავკასიის ყოველგვარ უწყებათა გამგეობაში ცვლილებათა შემოსაღებად. ეს კომისია, უეჭველია, ჩვენებურ სასამართლოების ნაკლულევანებასაც გაიცნობს, დაინახავს და, იმედია, იმისაგან შედგენილს პროექტში გასწორებული იქნება ყველა ის წესები, რომელნიც

ხელს უშლიან და აბრკოლებენ კავკასიაში რიგიან, მოწყალე და „სამართლიან სამართლის დადგენას“.

ადგილობრივ ლიტერატურას არაერთხელ უჩვენებია — თუ რა არის ეს დამაბრკოლებელი მიზეზები, თუ რა მხრით ეჭირება შეცვლა ახლანდელს ჩვენს სასამართლოებს; მაგრამ. ლიტერატურას გარდა, თვით გაცნობა ამ სასამართლოებისა, თვით ცხოვრება დაარწმუნებს და ნათლადაც აჩვენებს ხსენებულ კომისიას, რომ ჩვენი სასამართლოები და მოსამართლეები მართლა რიგიანად ვერ ასრულებენ თავიანთ წმინდა და მძიმე მოვალეობას.

[1882 წ.]



ერთიც ახალი გამოლაშქრება

ტფილისი, 3 აპრილს.

ამას წინად ბ. კატკოვი იყო, ახლა იმის ღვიძლი, ღირსეული თანამოძმე ბ. სუვორინი თავის „ახალ დროებით“!

ერთიცა და მეორეც, ბეზღობაში განვითარებულ-დახელოვნებულნი, ქართველ-სომეხ პატრიოტებზე იწერებიან, ახალგაზდა ქართველებზე და სომხებზე უჩვენებენ, მიუთითებენ ვისიც რიგია.

ერთიცა და მეორეც ტფილისის რუსულ თეატრის დაცემაზე სტირიან, ჯავრი მოსდით — რატომ ქართველ-სომხების წარმოდგენებზე ხალხი ბლომად დაიარება და ჩვენს, რუსულს წარმოდგენების დროს კი თეატრი ცარიელიაო.

ერთიცა და მეორეც აგინებენ ქართულ-სომხურ ნაციონალურ თეატრებს, უბრაზოთ ვერ უხსენებიათ ეს ქართველებისა და სომხების სცენა.

განსხვავება ამათში მხოლოდ ის არის, რომ ბ. კატკოვი ქართველებს ურჩევს, თავიანთი ნაციონალური დროშები გოდფრუას ცირკში მიჰყიდონ, სადაც სამასხაროდ გამოდგებაო და ბ. სუვორინი — კი ამ დროშებს არ ეხება.

მეორე განსხვავებაც კიდევ ის არის, რომ რუსულ თეატრის დაცემას ბ. კატკოვი ქართველ-სომეხ პატრიოტების რაღაც ბოროტ განზრახვას აბრალებს და ბ. სუვორინი კი უმაღლეს მმართებლობისაგან დანიშნულს თეატრის დირექციას. „ნოვოე ვრემიას“ ტფილისელი კორრესპონდენტი (№2180) პირდაპირ ამბობს, რომ თეატრის დირექციის ბრალია რუსული სცენის

დაღუპვა ტფილისშიო, რადგან ეს დირექცია სომხებსა და ქართველებს სწყალობსო, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევსო, თეატრის ანტრეპრენიორები ვალდებული გახადესო, რომ ქართველ-სომხებისათვის უეჭველად რამდენიმე დღე დაეთმოთ კვირაში საზაფხულო რუსული თეატრის ზალაო.

ვინც საქმის გარემოება არ იცის, მართლა ეგონება, რომ დირექცია ქართველებისა და სომხებისაგან მოსყიდულია და რუსის თეატრს კი მტრობს. მაგრამ ვინც იცის საქმის გარემოება, ის დაგვემოწმება, რომ ყველა ქვემომოყვანილი ფაქტები ნამდვილი ფაქტებია და ზემოხსენებულ მოსაზრებას არ ამართლებენ. და ფაქტები აი როგორია:

ყველაზე პირველად უნდა ითქვას, რომ საზაფხულო თეატრი არც რუსებისაა, არც ქართველებისა და არც სომხებისა, ის არის ტფილისის თეატრი, ტფილისის მცხოვრებთათვის გამართული და ტფილისში კი, როგორც მოგეხსენებათ, მარტო რუსები არ ცხოვრობენ. მაშასადამე, თეატრის დირექცია და უმაღლესი ჩვენი მთავრობა უკანონოთ არ მოქცეულა, თუ ეს თეატრი მარტო ერთს რომელსამე სცენას არ დაუმკვიდრა, არ დაუსაკუთრა ეს თეატრი.

ახლა ცოტა ისტორიაც მოისმინეთ ტფილისის საზაფხულო თეატრის და ამ ისტორიიდამ გაიგებთ, თუ რამდენად უდგება და მხარს იჭერს დირექცია ქართველებისას ანუ სომხებისას.

მოგეხსენებათ, რომ გავლილ ომიანობის დროს საზაფხულო თეატრის ანტრეპრენიორად და სრულ ბატონად იყო ბ. ს. პალმი. ეს იყო ის დრო, როდესაც ბ. პალმის თეატრში მუდამ საღამოს ხალხისაგან ტევა აღარ იყო და ბილეთებისათვის თავის მტვრევა ჰქონდათ. ორი თუ სამი წელიწადი ეჭირა ბ. პალმს ჩვენი თეატრი და ამ ხნის განმავლობაში პირველად ქართველებსა და სომხებს კვირაში თითო დღეს აძლევდა მოწყალებასაც და ამ მოწყალებისათვის თითო საღამოს ორასს და ხან ორას ორმოცდაათ მანეთს ახდევინებდა. შემდეგ, როცა ომიანობა გათავდა, როცა კარგი ტრუპპა წაუვიდა და ამის გამო საზოგადოებამ ნაკლებად იწყო იმის თეატრში სიარული, ქართველებსა და სომხებს

უფრო გაუადვილა თეატრის თხოვება და თითო საღამოში ათ-თხუთმეტ თუმანზე მეტს არ ართმევდა.

და გითხრათ ახლა, როგორ ავიწროებდა კიდევ დირექცია ბ. პალმს? — იმ ორი თუ სამი წლის განმავლობაში, როდესაც ის ანტრეპრიონერად იყო, დირექციის შუამდგომლობით იმან მიიღო ხაზინიდამ ერთხელ სამი ათასი მანეთი, მეორედ თვრამეტი ათასი და მესამედაც ოცდაათი ათასი მან., სულ 51,000 მან! ბ. პალმის მაშინდელი ეკიპაჟები და პატარა ცხენები /პონები/ მთელს თფილისში განთქმული იყო...

ქართველებსა და სომხებს კი, როგორც ყველამ იცის, ხაზინიდამ ფარაც არ მიუღიათ, ამათ თავის საშუალობით, თავის მეცადინეობით შეადგინეს პატარ-პატარა ტრუპპები და დაიწყეს წარმოდგენები.

და ამის შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან, რომ დირექცია ქართველ-სომხებს სწყალობს და რუსულ თეატრზე კი გული აცრუებული აქვსო!

მაგრამ განვაგრძნოთ ჩვენი თეატრის ისტორია. ბ. ს. პალმი-შვილი, როგორც მოგეხსენებათ, შარშან ოდესაში წავიდა, იქ გაკოტრდა და აქ კი თავის მაგივრად დასტოვა თავის მამა — ბ. ა. პალმი. ამან თავიდამვე ისე წაიყვანა რუსულ თეატრის საქმე, ისეთი უნიჭო მოთამაშეები მოიყვანა, ისე საძაგლად მიჰყავდა ანგარიში, თითქმის სრულიად აღარავინ დაიარებოდა რუსულ თეატრში.

ამის გამო პალმებს ჩამოართვეს ანტრეპრიონორობა. ახლა გამოგვიჩნდა ვიღაც ვლადიკავკასელი ადვოკატი ბ. კუპმანი და ამან იკისრა ჩვენი რუსული სცენის საქმის გასწორება. მაგრამ, საუბედუროთ, არა თუ გაასწორა, — რაც ბ. ა. პალმმა დააკლო, ის იმან შეასრულა: ამის ტრუპპა ისეთი არ იყო, რომ იმის წარმოდგენებს საზოგადოება მიეზიდა და რუსული თეატრის საქმე მაგრად დაეყენებინა ფეხზე ტფილისში.

დირექციამ ესეთი პატარა მაგრამ სამართლიანი საქმე ჩაიდინა: ბ. კუპმანი ვალდებული გახადა, რომ ქართველებსა და სომხებსა კვირაში ერთი დღე დაუთმოს თეატრი და ამისთვის გადაახდევინოს მხოლოთ ის, რაც თვითონ ერთს საღამოს ხარჯი აქვს.

ახლა, ამ წლის 1 ივლისიდამ, საზაფხულო თეატრის ანტრეპრიონერობა ბ. ი. ფითუაშვილმა იკისრა და, მთავრობის წინადადებით, ის ვალდებულია, რომ თვეში სამი დღე ქართველებს ათხოვოს თეატრის ზალა და სამი დღეც სომხებსა და ამისთვის ზალის ფასი არაფერი გადაახდევინოს, გადაახდევინოს მხოლოდ სხვა ხარჯი, რაც ექნება ანტრეპრიონერს, მაგ. მუზიკის, განათების, მოსამსახურეებისა და სხვ.

აი სულ ეს გახლავთ დირექციის მიდგომა ადგილობრივ სცენებისა და მტრობა რუსულ თეატრისა!

რაიცა შეეხება სხვა ყბედობას „ნოვოე ვრემიას" ტფილისელ კორრესპონდენტისას, მაგ. რომ ქართველებსა და სომხებს ტრუპპა არ უვარგათ, არც ერთი საკუთარი პიესა არა აქვთ, იმათ წარმოდგენებზე მარტო მიკიტნები და მედუქნეები დაიარებიანო და სხვა და სხვ., — ყველა ამაზე ლაპარაკი და ბაასი კორრესპონდენტთან არა ღირს ამიტომ, ერთის მხრით, რომ, ეტყობა, ის როგორღაც გულდამწვარია და ეს ალაპარაკებს, და მეორე მხრით იმიტომ, რომ ის სრულიად ვერ იცნობს ვერც ჩვენ სცენას, ვერც ტრუპპას და არც ჩვენი დრამმატიულ ლიტერატურისა გაეგება რა, — და ჩვენ მკითხველთან ლაპარაკი იმაზე, რა გვაქვს და რა არა, საჭირო არ არის, რადგან ეს იმან უჩვენოთაც კარგათ იცის...

[1882 წ.]



<ალექსანდრე ბატონიშვილის ძის — ერეკლეს გარდაცვალების გამო>

ახლადგარდაცვალებული ერეკლე, ბატონიშვილის ალექსანდრეს ძე, იყო მეფის ერეკლე მეორეს შვილისშვილი და გიორგი მეფის ძმისწული. დაიბადა 1818 წელსა ერევანში.

მისი ცხოვრების ამბავი შეერთებულია საქართველოს ისტორიულ გარემოებასთან ამ საუკუნის პირველ წლებში.

აქამომდე თითქმის ყველას გაუგონია და იცის, რომ ერეკლე მეფის გარდაცვალების წინათ სამეფო ოჯახში დარეჯან დედოფლისაგან მოუსვენრობა მოხდა, და, როგორც მაშინ ამბობდნენ, მოხუცს ირაკლის მემკვიდრეობის წესი შეაცვლევინა, ასე რომ გიორგის შემდეგ მეორე ძმებს უფროსობის რიგით უნდა რგებოდათ მეფობა და არა გიორგის შვილს. ამ გარემოებამ გიორგისა და ძმებს შუა უკმაყოფილება ჩამოაგდო და ერეკლეს შემდეგ ალექსანდრე, უმცროსი შვილი ერეკლესი, გავიდა ბორჩალოში და ბრძანებლობდა იქა.

როდესაც მეფე გიორგი გარდაიცვალა და საქართველოში დამკვიდრდა რუსთ მფლობელობა, ალექსანდრე გავიდა სპარსეთში და სცხოვრებდა ერევანში. იქ ერევნის მელიქის ისააკის ქალი ითხოვა, აწ მგლოვარე დედა ერეკლესი, მარიამ.

ალექსანდრე ბატონისშვილი იმედოვნებდა საქართველოში დაბრუნებას და გამეფებას, და ამისათვის 1811 წელს, კახეთის არეულობის დროს, დაღისტნიდამ გამოჩნდა თუშ-ხევსურებში და ალაზან გაღმა. მას შემდეგ 1827 წლამდე, სანამ რუსები აიღებდნენ ერევანს, იქა სცხოვრებდა. როდესაც ერევანი აიღეს, მელიქმა

თავისი ქალი და ყმაწვილი ერეკლე მაშინ 8-9 წლისა, გადმოიყვანა ტფილისში.

ალექსანდრე ბატონიშვილი არ შეურიგდა რუსებს, დარჩა სპარსეთში; ქალაქ ხოსროვაბადში გამგებელ ხანად იჯდა და ქალდაველ (აისორ) ნესტორიანთ სარწმუნოების კათოლიკოზის (მარშიმონის) და ითხოვა მეუღლეთ. გარდაიცვალა 1852წ., დასაფლავებულია თეირანში, სომხის ეკკლესიის კარებთან. მასთან ხლებულნი ქართველნი თავად-აზნაურნი ვინც დარჩენილიყვნენ ხოსროვაბადში, ზოგი დაბრუნდა საქართველოში, ზოგი, აისორებში ოჯახ-მოკიდებული, იქვე დარჩა.

ერეკლე, აქ მოყვანილი, რამდენისამე ხნის შემდეგ რუსეთში გაგზავნეს სამხედრო სასწავლებელში (კორპუსში). შემდეგ სამსახურში იყო ცოტაოდენს ხანსა, სიკვდილამდე მუდამ ტფილისში სცხოვრობდა.

სამს წელიწადს 1862,1863 და 1864 წლებში ერეკლეს თავოსნობით შრომობდა ქალაქში წერა-კითხვის კომიტეტი, რომელსაც ორი სკოლა ჰქონდა გამართული: ერთი მთა-წმიდაზე, მეორე ავლაბარში. ეს სკოლები, რომელსაც ხალხი ერეკლეს სკოლას ეძახდა, პირველი წესიერად გამართული ქართული სკოლები იყო, რომელზედაც იხარჯებოდა წელიწადში ერთად ორსავეზე ას სამოცდაათ თუმნამდე. ამ სკოლებში საგნების სწავლა ქართულად იყო; ამას გარდა სომხებს სომხურ ენას და საღმრთო წერილს სომხურად ასწავლიდნენ. შაგირდები თითოში 75 სულამდე ითვლებოდა, სწავლისათვის შაგირდებს ფასი არ ერთმეოდა, სასწავლო ნივთები და წიგნები მუქთად ურიგდებოდა. მუქთმა სწავლებამ თუ სხვა ბოროტმა კაცებმა ხალხში პირველსავე ხანში ხმა დააგდეს, ვითომც სალდათების გაყვანა უნდათო და ეგ სკოლა იმიტომ გამართესო. ამ ხმამ ცოტათი დააფრთხო შაგირდები, მაგრამ მაინც საგრძნობელი იყო. შემდეგ ამ ხმას ზედ დაურთეს ის ხმაც, ვითომც სომხის ყმაწვილების გაქართველება უნდოდესთო. ამასთანავე როდესაც ერეკლე 1863 წელს სამზღვარ გარეთ წავიდა, კომიტეტმა, (რომელშიაც ითვლებოდა თ. ივანე პავლეს ძე თუმანოვი და ექიმი

იოანესიანი) ვერ გამოიჩინა მხნეობა და 1864 წელს დაიკეტა ეს სკოლები უსახსრობისა გამო.

ერეკლე იყო შუათანა ტანისა, მხრებში წახრილი, როგორც მის პაპას მეფეს ერეკლეს სურათს ვხედავთ. სახითაც მას ამსგავსებდნენ, ვისაც ნეტარხსენებული პაპა მეფე ენახათ; ტიპი წმინდა ბაგრატიონთ (მეფის შტოს) ტიპი ჰქონდა. ხანგრძლივმა ავადმყოფობამ წაართვა მის სახეს სისრულე; შავ თვალ-წარბი, სწორე, ცოტა მოზდილი, მაგრამ ზომიერი ცხვირი, გონივრული სახის გამომეტყველება, საკმაოდ მაღალი და ზრუნვის ბეჭდით აღბეჭდილი შუბლი — კაცის გულს მიიზიდავდა. ყმაწვილ-კაცობაში დიდს ღონიერს ამბობენ, როგორც ბაგრატიონთ ჩამომავლობას მოსდევს, ვერცხლის მანეთს ხელში მოჰკეცდა და რკინის ჯოხს ჰგრეხდაო. უყვარდა ქართული კაბით სიარული.

ბატონიშვილი ერეკლე გარდაიცვალა 63 წლისა, დარჩა ორი პატარა ქალი და მამრობითი სქესი ალექსანდრე ბატონიშვილისა მოისპო. სხვა ბატონიშვილები ერეკლეს გარდა არავინა სცხოვრობს ამჟამად ტფილისში ისინი მოსკოვში და პეტერბურღში სახლობენ.

[1882 წ.]



რუსის ცრუ-პატრიოტს

ტფილისი, 18 მაისს.

გაზეთს „გოლოსში“ დაბეჭდილი იყო ამას წინათ ტფილისიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომლის ავტორი ეხებოდა ქართლის თავად-აზნაურთა კრების გარდაწყვეტილებას, რომ აშუამდგომლონ ერობის შემოღებისა, ქართულ ენის კათედრის და ზოგიერთ სხვა საგნების შესახებ, რომელიც ჩვენმა მკითხველმა კარგათ იცის. კორრესპონდენტი ამბობდა, რომ ერობისა და, ნაფიც ვექილების სასამართლოს შემოღებაში უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზად ის გარემოება მიაჩნიათო, რომ ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე სხვადასხვა ტომის ხალხია, რომელნიც სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ და რომელთაც რუსული ენა არ ესმისთო. მაგრამ ამ დაბრკოლების თავიდამ აცილება ადვილად შეიძლებაო: თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში და ბათუმის მხარეში, სადაც თითქმის მარტო ქართველები სცხოვრობენ, სასამართლოებში და სხვაგან ქართულ ენას უნდა ჰქონდეს უპირატესობაო: ბაქოს გუბერნიაში, საცა უმრავლესობა თათრები არიან, თათრულს ენასაო; განჯისა და ერევნის გუბერნიებში — სომხურსაო, სტავროპოლის გუბ. და ყუბანის მაზრაში — რუსულსა და სხვ.

რა უნდა ითქვას ამის წინააღმდეგი? გონიერი კაცი როგორ იტყვის, რიგი არ არისო, რომ ქართველების მოსამართლემ ქართული იცოდეს, სომხებში მყოფმა მოსამართლემ — სომხური და თათრებში მყოფმა — თათრული? გონებით ბრმას გარდა, ვინ უნდა ამოჩნდეს ისეთი, რომელმანც გაბედოს თქმა, რომ ქართვლის

შვილს ქართულის სწავლა არ ეჭირებაო, სომხისასსომხური და თათრისას-თათრული?

აღმოჩნდა ამისთანა გაზეთი, და ეს გაზეთი არის ბ. სუვორინის გაზეთი — „ნოვოე ვრემია“, რომელიც გაცხარებით ამბობს, რომ ამგვარი აზრისა და წინადადების შემოტანა „შეგინება, შეურაცხყოფა არის რუსეთისა და რუსის ხალხისაო, — რუსეთის სახელმწიფოში, გარდა რუსულის ენისა, სხვა ენას არ უნდა ჰქონდეს ადგილიო, რას მიქვიან ვიღაც ქართველები და თათრებიო და სხვ. და სხვ.! და უშვერის სიტყვებით ლანძღავს გაზ. „გოლოსს“ ამგვარი „სულელური“ კორრესპონდენციის დაბეჭდვისა და აზრის გამოთქმისათვის.

ამგვარ პირებს და ამ მიმართულების გაზეთებს ათასი ელაპარაკო, ათასი მეცნიერული საბუთები წარმოუდგინო და ლოღიკური სჯა, — სულ ერთია: ამით ვერაფერში ვერ დაარწმუნებ, რადგან თავიანთი ვითომ პატრიოტული აზრი გულწრფელ რწმენაზე და ნამდვილ საქმის შეხედულობაზედ არა აქვთ დარწმუნებული. ათასი უთხრათ ამათ, რომ არ შეიძლება ადვილად გადარჯულება, გადასხვაფერება იმ ხალხისა, რომელსაც ორიათასი წელიწადი უცხოვრია თავის ისტორიულის ცხოვრებით, რომელსაც თავის საკუთარი წარსული აქვს, თავის ენა, ლიტერატურა, ხასიათი, ჩვეულება, ზნე და სხვ., — არ გაიგონებენ, არას შეისმენენ; ათასი უთხრათ, როგორც ორჯელ ორი-ოთხია, დაუმტკიცოთ პედაგოგიურად და პსიხიურად, რომ უმჯობესია ყმაწვილმა სწავლა თავის სამშობლო ენაზედ მიიღოს, ვინემ უცხო ენაზედ....., — არ დაგიჯერებენ, არას შეისმენენ, და არ დაგიჯერებენ განა იმიტომ, რომ თქვენს წინააღმდეგს აზრში მკიცედ დარწმუნებულნი იყვნენ, — სულაც არა, იმიტომ რომ, იმათის აზრით, ამას მოითხოვს პატრიოტობა, მამულისმოყვარეობა და სახელმწიფო ანგარიში!

რუსის სახელმწიფოში ყველა რუსი უნდა იყვესო! გაიძახიან ესენი. რუსეთში ყველა რუსულს უნდა ლაპარაკობდესო! რუსეთში არავის არა აქვს უფლება რომელსამე სხვა ენაზედ ისწავლოს, ილაპარაკოს, სამართალი აწარმოვოსო და სხვ.!

სამწუხარო ის არის, რომ ჩნდებიან ისეთი პირები, რომელნიც მომხრეთ ითვლებიან ამ..... მოთხოვნილების საფუძვლიანობისა, რომელნიც ბატ. სუვორინისთანა ცრუ-პატრიოტებას მისდევენ და იმასავით გაჰყვირიან: არიქა, ... ქართველების სკოლაში ქართულად ასწავლიანო! სომხები თავიანთ ეკლესიაში სომხურად სწირვენო და სხვ.!

მაგრამ ამისთანა გონებით ბრმა ხალხთან ლაპარაკი და ბაასი არა ღირს.

ნუგეშათ მხოლოთ ის დაგვრჩენია, რომ ახლანდელს დროში თვით მთავრობაც კი დარწმუნდა, რომ სახელმწიფოს, თუ არ შეემატება, არ დააკლდებარა, ქართველებმა რომ ქართულად შეევედრონ ღმერთს, ქართულად ასწავლონ თავიანთ შვილებს და ქართულად ილაპარაკონ სასამართლოებში, სომხებმა-სომხურად, ნემეცმა-ნემეცურად, პოლშელმა-პოლშურად და სხვ...

[1882 წ.]



საყურადღებო შედარება

ტფილისი, 2 ივნისს.

ქვემოთ, დღევანდელ ნომრის „დღიურში“ მკითხველი ნახავს გაზეთის „არძაგანგიდამ“ ამოკრებილს ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობებს სომხურს სასწავლებლებზე.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ეს ცნობები. იქიდამ დავინახავთ, რომ ამ ორმოცდაათის წლის წინათ სომხებს რუსეთში ჰქონიათ სულ 14 სასწავლებელი და ამ თოთხმეტიდამ კავკასიაში მხოლოდ 5. შარშან 1881 წელს კი, ე.ი. ორმოცდაათის წლის შემდეგ, მთელს რუსეთში სომხებს ჰქონიათ სულ 330 სხვადასხვა გვარი სასწავლებელი!

ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა ეს სასწავლებელნი სომხების ხარჯით არიან გამართულნი და საყურადღებოც მხოლოდ ეს არის; ამათ შესანახავად სომხობა მუდამ წელიწადს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს ხარჯავს (562,899 მან.).

ახლა ვიკითხოთ: ჩვენი საზოგადოება ნეტავი რამდენს ხარჯავს წელიწადში თავის მომავალ თაობის, თავის შვილების გასაზრდელად? რამდენს ხარჯავს განსაკუთრებით ესრედწოდებული მაღალი საზოგადოება, მოწინავე პირნი ჩვენი ერისა, თავადაზნაურობა, რომელსაც ყველაზე უკეთ უნდა ესმოდეს სწავლისა და განათლების საჭიროება?

ქართველობა უმთავრესად ორს გუბერნიაში ვცხოვრობთ: ტფილისისა და ქუთაისის. რიცხვით მეტი თუ არა, ჩვენში და რუსეთში მცხოვრებ სომხებზე ნაკლები

არა ვართ. სამწუხაროთ, ხელად არა გვაქვს დაწვრილებითი სტატისტიკური რიცხვები იმის თაობაზედ, თუ ამ ორს გუბერნიაში რამდენი სასოფლო სკოლაა გამართული და ყველა ამ სასწავლებელზე წელიწადში რამდენი იხარჯება. დაახლოებული რიცხვი რომ მივიღოთ ტფ. და ქუთ. გუბერნიებში სულ 150-ზე მომეტებული სასოფლო სკოლა არ იქნება, ე. ი. ისეთი სკოლა, რომელსაც ხალხი ინახავს თავის ხარჯით. თითოეულ სკოლაზე რომ წელიწადში ორმოცი თუმანი ხარჯი ჩავაგდოთ, გამოვა, რომ ჩვენი გლეხკაცობა სულ ექვსი ათას თუმანს (60,000 მან.) ხარჯავს წელიწადში თავის შვილების გასაზრდელად.

თუმცა ეს დიდი ფული არ არის თითქმის ერთ მილიონ ხალხისათვის. მაგრამ, თუ ჩვენი გლეხკაცობის სიღარიბეს და იმის ათას გვარ გადასახადს მივიღებთ მხედველობაში, ეს რიცხვი მაინცდამაინც მცირე რიცხვად არ უნდა მოგვეჩვენოს.

ახლა ჩვენი დაწინაურებული საზოგადოება, ჩვენი თავად-აზნაურობა. ამათ რაღა მსხვერპლი მოაქვთ, ესენი რაღას სწირავენ, რას ხარჯავენ თავიანთ შვილების გასაზრდელად? როგორც მოგეხსენებათ, ჯერ-ჯერობით, ჩვენი თავად-აზნაურობის ხარჯით და თაოსნობით, მხოლოთ ორი სააზნაურო სკოლაა გამართული, ერთი ტფილისში და ერთიც ქუთაისში და ერთიც „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლა ბათუმში, და ყველა ამაზე წელიწადში ოთხი ათას თუმნამდინ ეხარჯება თავადაზნაურობას.

მაშასადამე გამოდის, რომ როდესაც ჩვენი მეზობელი სომხები წელიწადში თითქმის სამოცი ათას თუმნამდინ ხარჯავენ თავიანთ შვილების აღსაზრდელად, ჩვენ, ქართველები, ამავე საგნისათვის ათი ათას თუმანს ძლივს ვიმეტებთ! და ამის შემდეგ კიდევ გავიძახით: — განათლებისათვის არაფერს ვზოგავთო!

გვიპოვნია ერთი თავის გასამართლებელი საბუთი — ჩვენ ღარიბი ვართ და სომხები კი მდიდრებიო — და ამით ვინუგეშებთ, ვიმართლებთ თავს! ტყუილი საბუთია! მართალია, ჩვენ სომხებზე უფრო ღარიბები ვართ, მაგრამ მხოლოთ ფულით. მაგიერად მიწა-წყალი, ადგილ-მამული ჩვენს ხელშია და ესეც ხომ ფულია, ესეც ხომ სიმდიდრეა!

საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ დროს მართალია, ჩვენ ცოტა არ იყოს განათლებას გემო შევუტყვეთ, მაგრამ, არც ისე, როგორც სომხებმა. ისე სომეხი არ მოკვდება, რომ შეძლებისადაგვარად ცოტა რამ მაინც არ შესწიროს სკოლას, განათლების საქმისათვის; სომეხს ვერ ნახავთ, რაც უნდა ღარიბი იყოს, ორი სამი მანეთი მაინც რომ არ გადადვას წელიწადში თავის სამრევლო სასწავლებლის სასარგებლოდ. ჩვენში ბევრი მოინახება ამისთანები? ათასში ათი თუ მოსძებნეთ, რომელიც ორ მანეთს აძლევს სახალხო განათლებისათვის, ისიც ბევრია; დანარჩენი ოთხას ოთხმოცდარვა კი მთავრობას შესჩერებია და ყველა სიკეთეს იმისაგან გამოელის!

[1882 წ.]



სახალხო დროსგატარება

ტფილისი, 17 ივნისს.

ძველმა რომაელმა სთქვა: „ჯანმთელს სხეულში ჯანმთელი სულიაო“, ესე იგი, ვისაც ჯანი მთელი აქვს, ვინც სხეულით სრულია, ის სულითაც, გონებითაც, ჭკუითაც უნაკლულო არისო. რასაკვირველია, აქედამ იმის გამოყვანა არ შეიძლება, რომ ყველა ჯანოვანი კაცი მაინცდამაინც ჭკვიანი და გონება გახსნილიც უნდა იყვეს, მაგრამ საზოგადო კანონი, რომელთაგან აღვიარებული, ეს არის, ვინც სხეულით სუსტია, იმას არც სულის, ჭკუის სიმაგრე მოეთხოვება.

ეს კანონი კარგათ ესმისთ ახლანდელ განათლებულ ხალხთა და ამიტომაც არის, რომ იქ, იმ განათლებულ ქვეყნებში ყმაწვილობიდამვე აქცევენ ყურადღებას კაცის ჯანმთელობას, ყოველ ხუთსავე გრძნობის გავარჯიშებას, სხეულის სისაღეს; ამიტომაც არის იქ გიმნასტიკა ასეთს პატივში, ამიტომაც ყოველ სასწავლებელში მარტო სწავლაზედა და გონების გავარჯიშებაზედ კი არა, სხეულის ვარჯიშზედ დიდი ყურადღებაა მიქცეული. რომაელთ კანონის ჭეშმარიტება მეცხრამეტე საუკუნ[ეში] მეცნიერულად დაამტკიცეს და კანონადვე აღიარეს.

საუბედუროდ, ეს კანონი და ჭეშმარიტება ჩვენში არ არის აღიარებული და ცნობილი. ერთს დროს, მართალია, სხეულის ვარჯიშობას ჩვენშიაც დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული: ყველგან სცოდნიათ ჩვენში ჯირითი, ბურთაობა, ჭიდაობა, კრივი, თოფის

სროლას სწავლობდნენ, შემოღებული იყო დოღი ცხენებისა, ქვევითების მარულა და სხვ. და სხვ.

უეჭველია, ამას მიეწერება ის გარემოება, რომ იმ ერთ დროს ქართველი კაცი უფრო მხნეც ყოფილა, უფრო მარჯვეც, უფრო ღონიერიც, უფრო მაგარი ხორცითაც და სულითაც.

ეს დრო წავიდა. ახლა რას ვხედავთ ჩვენში? ჩვენებური გლეხი წელში გაწყვეტილია სოფლის მუშაობით სხეულის ვარჯიშობისათვის, იმას სად სცალია, როდესაც ათასი შინაური და გარეგანი წურბელა გარს შემოხვევია და ხელებში შესჩერებია: აბა მოიტანე შენი ოფლის ნაყოფიო! როგორც არის, კიდევ თავადაზნაურობაში თუ მოიპოება აქა იქ ცოტაოდენი მხნეობა, სხეულის ვარჯიშობა და სიმამაცე, თორემ სხვა წოდებაში აღარ; მაგრამ აქაც, ამ თავადაზნაურობაშიაც ახლა იმის ნახევარს ვაჟკაცობას, მხნეობას, სხეულის სიმაგრეს და სიმარდეს ვერ შეხვდებით, რაც ადრე, ძველად ყოფილა. საზოგადოდ, რომ ვსთქვათ, ახლანდელი ჩვენი თაობა ლაჩარი, სუსტი, უღონო, სულმოკლე და ავადმყოფი თაობაა და ამას, როგორც ზევით მოგახსენეთ, უეჭველად დიდი გავლენა აქვს ჩვენს სულიერ გონებით და ზნეობით მდგომარეობაზედაც.

თუ ყველა ამას წარმოიდგენთ, ადვილად გაიგებთ — თუ რატომ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის სასიამოვნო ერთი ამბის შეტყობა, რომელიც ერთის შეხედვით, მართალია, დიდი არაფერია, მაგრამ ახლანდელს დროში და გარემოებაში ჩვენ ამ საგანს დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. ჩვენ მოგახსენებთ იმაზედ, რომ, როგორც ამბობენ, იმ ბურთაობის და ჭიდაობის წყალობით, რომელიც ამ უკანასკნელ დროს შემოიღეს ჩვენს ქალაქში, გამოჩენილა რამდენიმე ქართველი კაცი, რომელნიც ჰკისრულობენ და აპირებენ „ქართულ სახალხო დროს გატარებათა საზოგადოების“ შედგენას.

ამ საზოგადოებას, როგორც გვითხრეს, განზრახვა აქვს თავის წევრთა საშუალობით და სხვა ღონის ძიებით მოაგროვოს ფული და ამ ფულით, როდესაც და სადაც საჭიროდ დაინახავს, გამართოს დოღი, ჭიდაობა, ბურთაობა, თოფის სროლა და სხვა ისეთი სახალხო შექცევა, რომელსაც ხალხის ჯანმრთელობის და

სხეულის ვარჯიშობისათვის ასეთი კარგი და სასარგებლო მნიშვნელობა აქვს.

მალე სისრულეში მოყვანას და ყოველ წარმატებას ვისურვებთ ამ საზოგადოებისათვის. ვისურვებთ, რომ იმას ისე წაეყვანოს საქმე, რომ ცოტა მაინც აემაღლებინოს, გაემაგრებინოს ჩვენი დალაჩრებული, დაჩაგრული, დასუსტებული სხეული და სული.

[1882 წ.]



ბათუმისა და ფოთის შესახებ

თფილისი, 19 ივნისს.

„დროების“ 122 ნომერში წერილი რედაკტორთან“ შეეხება ამას წინათ დაბეჭდილ სტატიას „დროებაში“ №110, რომელშიაც ყურადღება იყო მიქცეული ბათომზე. როგორცა ჩანს, ბატონი ფოთელი ამ საგანს არ დაჰკვირვებია და კარგათ არ აუწონია; მეტათ სავნებელი იქნება ჩვენის მხრით, თუ ყური ასე მოვიყრუეთ და თვალი არ გავახილეთ, სანამ დრო არ წასულა.

სწორეთ უფრო იმედ დაკარგული ყოფილა ფოთის მომავალზე ბატონი ფოთელი, თორემ ასე სუსტათ არ დაიცავდა თავის ქალაქსა. მაინცდამაინც იმას მადლობა უნდა უთხრათ, რომ ერთმა კაცმა მაინც ხმა ამოიღო ფოთის გულმტკივნეულობით და ამით მიზეზი მოგვცა კიდევ დავუბრუნდეთ ბათომის და ფოთის შედარებასა. ეს საგანი იმდენათ საჭიროა საქმეა ჩვენის შავი ზღვის ვაჭრობისათვის, რომ ყოველივე შენიშვნა მასზე უყურადღებოთ არ უნდა დავაგდოთ.

ბატონი ფოთელი თავის წერილში გვაყვედრის, ფოთელების მეცადინეობას ნავთსადგურისათვის ტირილად რად სთვლითო და არ აქებთო. ჩვენ ფიქრათაც არ მოგვსვლია მეცადინეობა ვისიმე გავკიცხოთ. ვაქებთ მოცადინეთა და დიაღაც მოუწონებთ, ფოთის ნავთსადგურის გაკეთება და მალე გაკეთება დიაღ საჭიროდ მიგვაჩნია და უუსაჭიროესათაც. განა არავის ახსოვს, რომ „დროება“ ყოველთვის ამ ნავთ-სადგურის კეთებას თვალყურს ადევნებდა, ბოროტ მოქმედებას აცხადებდა, ღაღადებდა მის მალე-დაბოლოვებაზე და კვლავაც ყოველთვის იმის საჭიროებას იტყვის; მაგრამ ამ ჩვენის

თქმით ბათუმის წინ წასვლა ვერ შედგება. ეს კარგათ უნდა დავიხსომოთ ტირილს რო ვამბობთ ფოთელებისას და მეგრელებისას, იმაზე ვამბობთ, ბათუმი თუ ხელიდამ გაუშვით, სატირელი გაგიხდებათ-მეთქი.

ბატონი ფოთელი გვებაასება, დღეს თუ არ გაკეთდა ფოთის ნავთ-სადგური, ოცს-ორმოცს წელს მაინც გაკეთდებაო; ბათომის ნავთსადგურს ფოთისაზე ნაკლები ხარჯი არ მოუაო; ბათომი მოსავლიანი, მდიდარი მაზრების უქონლობით ვერ გადიდდება და მშვიდობიანობის დარღვევით ცუდი მომავალი უნდა ჰქონდესო.

ეს აზრებია გამოთქმული ფოთელის წერილში და ხშირად გაიგონებთ კიდეც ფოთის მოვაჭრებისაგან.

თუმცა ამას წინათ მოკლეთ მოვიხსენეთ ზოგი საბუთები ბათომის წარმატებისა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, საჭირო ყოფილა უფრო ვრცლად შევადაროთ ბათომი და ფოთი ერთმანეთს, რომ ნათლად შევიტყოთ, რომელს მოელის უპირატესობა.

უპირატესი მნიშვნელობა ორისავე ქალაქისა ის არის, რომ ზღვის პირას მდებარებს და სავაჭრო ქალაქებია. მაშასადამე რომელსაც ბუნებითი ნავთსადგური აქვს, ახლოს მისადგომი ნაპირი გემებისათვის, ის უფრო მალე და ადვილად უნდა წარმატებას მიეცეს, ბათომს ისეთი ნავთსადგური აქვს ბუნებითვე და ისეთი ღრმაა, რომ უუდიდეს ხომალდს შიგ ნებიერად შესვლა შეუძლია, ზედ ნაპირას სამ ოთხს საჟენზე მიდგომა ხმელეთთანა და პირდაპირ საქონლის გადაწყობა. ამ ნავთსადგურში ყოველთვის მშვიდობიანათ თავს აფარებს ყოველ ფურთვნის დროს მთელი კავკასიის ნაპირის ხომალდები სამსონამდე. ნავთსადგურში ქვიშა არ შემოაქვს ზღვასა და სიღრმე არ ევსება.

აბა შეადარეთ ამას ფოთი. გემები ხმელეთზე ახლოს ვერ მიმდგარა: პატარა გემებზე და ფილუკებზე უნდა გადააწყონ საქონელი, მერე გადაიტანონ ნაპირას. როცა ფურთვნაა, დატვირთული და დაუტვირთავი გემი ნაპირს უნდა მოშორდეს და თავის გადასარჩენათ ბათომში უნდა წავიდეს და თავი შეიფაროს.

დღეს ეს ასეა; მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ფოთში ნავთსადგური გაკეთდა. საქმე იმაზეა, რას უშველის ეს ნავთსადგური, რომ მალე იცის ქვიშის ავსება?

ყველას თვალით ნახული აქვს, რა სახით ქვიშა ჩნდება რიონის შესართავზე, სადაც წყალს მდინარება აქვს. აბა რა იქნება როდესაც რიონის ჩატანილს წანალეკს და ზღვის ქვიშას წყლით ღელვა ნავთსადგურში შეიტანს? რასაკვირველია, ის მოხდება, რომ სიღრმე დააკლდება, ადგილი დაპატარავდება და ხუთიოდე გემის მოსათავსებელი ადგილი არცკი იქნება. მოუნდება ქვიშის წმენდა და მოთხრა ხშირ ხშირად ყოველ ფურთვნის და ქარის შემდეგ.

ახლა ვიფიქროთ, ფოთის ვაჭრობით იმდენი შემოსავალი იქნება, რომ მმართებლობამ მუდამ ხარჯოს ეს ფული დიდის ნავთსადგურის წმენდისათვის? სასურველია, რომ ფოთს ნავთსადგური გაუკეთდეს, რასაკვირველია, მაგრამ ჩვენი ნატვრა ხომ არ კმარა?

ღმერთმა ინებოს და გაკეთდეს ეს ნავთსადგური; მაგრამ, როდის გაკეთდება? სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო. ამჟამად ბათომს ნავთსადგური აქვს მზამზარეულად.

ბატონი ფოთელი ამბობს ბათომზე, მის ნავთსადგურს ნაკლები ხარჯი არ მოუვა ფოთისაზეო. ეს ჩვენ არ გვესმის. დღეს გაუკეთებელში ხომალდები ოცობით და ორმოცობით ფოთიდამ იქ მირბის თავშესაფარებლად, ნუთუ ბატონმა ფოთელმა ეს არ იცის ან არ გაუგონია? აი ქართველური დაუდევრობა რა არის! თქვე დალოცვილო, ერთი შეიხედავდით და თქვენის თვალით ნახავდით, ხომ ახლოსა ხართ, მთაში დათვებმაც კი შეიტყეს, რომ ბათომში ლიმანია, ბოღოზია, ბუნებითი ნავთსადგურია და თქვენ იძახით, ხარჯი მოუნდებაო. რასაც დახარჯავენ ინჟინერების წყალობით, ეგ სხვა საქმეა; დღეს რაც არის, ის კარგათ უნდა ვიცოდეთ.

ბათომის ლიმანი უძვირფასესი ნავთსადგური ადგილია ბუნებითვე გაკეთებული, ისეთი მოზდილი, რომელშიაც მრავალს, დიდს ხომალდს დგომა შეუძლია. ბერლინის კონგრესსის დროს ლაპარაკი ძალიან გაჯანჯლდა ბათომის თაობაზე, რადგანაც კარგა არ იცოდნენ იმისი სიდიდე და ბოლოს სთქვეს: ეჰ არც არა მაგდენი საფასურიაო, სულ ცხრამეტი გემი ძლივს მოთავსდებაო.

ეს ამბავი გავრცელებულია დღესაც ბევრში და თურმე ფოთელიც იმათს ხმას აჰყოლია. ნამდვილათ კი ბათომის ნავთსადგური ბევრის ხომალდისათვის დასატევათ დიდი ადგილია. ამას გარდა, უძვირფასესია იმითი, რომ ძალიან ღრმაა და ნაპირს პირდაპირ მიადგება ხოლმე; მხოლოდ ოთხი-ხუთი საჟენის სიგრძე უბრალო ხის მისადგომი (პრისტანი) უნდება, რომელსაც სამოც-ოთხმოცი თუმანი მეტი არ მოუნდება.

აბა შეადარეთ ეს გარემოება ფოთის მისადგომს.

გადავიდეთ მეორე საგანზე; ვითომც ბათომს მდიდარი მოსავლიანი მაზრები არა აქვსო.

როდესაც სავაჭრო გზაზე და ქალაქზე ლაპარაკია, ორი რამ უნდა კარგათ გავარჩიოთ: ერთი გზა ან ქალაქი არის შემაერთებელი მაზრის ვაჭრობისა და მეორე გზა და ქალაქი მრთელის ქვეყნის მაზრების ვაჭრობისა. აქამომდე ფოთი მთელის საქართველოს და კავკასიის შემაერთებელი ადგილი იყო რუსეთთანა და ევროპასთან, რადგანაც ზღვის პირას იმაზე მარჯვე სხვა ადგილი არ იყო და უკეთესი გზა, რკინისა, იქ მიდიოდა. ეხლა რუსეთმა ჩვენს მხარეში უკეთესი ნავთსადგური იშოვა, რკინისგზა ამ წელს გათავდება.

ახლა, დაფიქრდით: ბაქოდამ მოყოლებული სამტრედიამდის მოტანილი საქონელი ფოთში მოვა, რომ მანდ რამდენსამე დღეს დადგეს, პატარა გემებზე ან ფილუკებზე გადააწყოს, მერე დიდ გემებში გადასაწყობად, ან ფურთვნაში მთელი კვირები უცადოს, სანამ ზღვა დამშვიდდებოდეს, — თუ პირდაპირ ბათომში წავა, ფურთვნის მიუხედავად მაშინათვე პირდაპირ დიდ გემებში გადასაწყობად? შავის ზღვიდამ მოტანას ხომ ნუღარ იტყვით: ვაჭარი არ იფიქრებს ფოთამდის ვაი თუ ზღვა აღელდესო და ისევ უკან უნდა დავბრუნდე ბათომშიაო, ბარემც აქვე გავათაო და სამშვიდობოს გავიდეო? რაღა თქმა უნდა და გაგრძელება, რომ ბათომი დასძლევს.

ცხადია რომ აქ საკუთრად ბათომის ან ფოთის მაზრებზე (ესე იგი უეზდებზე) ლაპარაკი არ შეიძლება. აქ მთელ რკინისგზაზე მდებარე ქვეყნები უნდა მივიღოთ მხედველობაში ბაქოდამ მოყოლებული სამტრედიამდის.

მაგრამ რა ვიცით, სამტრედიიდამ მოყოლებული ფოთამდე უფრო ბევრს გასატანს მასალას მისცემს რკინისგზას წასაღებად, თუ სამტრედიიდამ ბათომამდე. ეს ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ გურია თავის მოსავალს თავის კუთვნილ ქალაქს ბათომს მიმავალ რკინისგზას დაუდებს. ამგვარად, ძალაუნებურად გურია და ბათომის გუბერნია ბათომს მიაწყდება. დარჩება მარტო სამეგრელო. გასატანი საქონელი სამეგრელოსი სიმინდი და ღომია; რამდენათ აღემატება ეს მოსავალი საკუთრად ბათომის გუბერნიის მოსავალს ჩვენ არ ვიცით. ფოთელი ამბობს, მარტო ხილი მოდისო. მაგრამ ხილი რამდენის საფასურისა მოდის, ეს რომ ვიცოდეთ, კარგი იქნებოდა. ამას კი ვიტყვით, რომ ბათომის გუბერნიიდამ დიდძალს ხილს (ყურძენს და ვაშლს) ეზიდებიან რუსეთში; ბათომში მთელი გემები ივსება, იგზავნება რუსეთის შავი ზღვის პირა ქალაქებში. უეჭველია, ბაღების მოშენება უფრო გახშირდება, რადგან მთიანი ადგილებია და ჰაერიც საბაღოა. ამასთან სხვადასხვა მოსავალი უეჭველად ფრთას გაიშლის.

მაშასადამე ჯერ ვერაფერს ვიტყვით, რომელი მაზრები უფრო მდიდარია გასატანის მოსავლით. მაგრამ თუნდა ბათომის მაზრამ ვერა მოიყვანოს-რა, როგორცა ვთქვით, მთელი კავკასიის ნამუშევარი ბათომს მოუვა რკინის გზითა და ბათომი ამით გადააჭარბებს ფოთსა და მასზე უმეტესად გადიდდება. ფოთი შეიქნება პატარა სამაზრო, სამეგრელოს სავაჭრო ზღვისპირა ქალაქად და არა კავკასიის მხრის ნავთსადგურ ადგილად.

ბოლოს ბატონი ფოთელის აზრი შეეხება ბათომის მომავალს მშვიდობიანობის დარღვევის დროსა. ეს გარემოება ყოველთვის სავაჭრო ქალაქზე და მეტადრე ზღვის პირა ქალაქზე ყველას ფიქრში მოუვა. დღეს რომ მშვიდობაა, ხვალ შეიძლება ომი ასტყდეს და მაშინ რა მომავალი ექნება ამ ქალაქსაო?

ძალიან საფუძვლიანი ფიქრია, მაგრამ ბ. ფოთელო, სჯობდა ამაზე დაჩუმებულიყავით. შე დალოცვილო, ბათომს რაღა უარესი უნდა დაემართოს ფოთზე? გახსოვთ, ამ უკანასკნელის ომის დროს რა დაემართა ფოთსა? გასატანი და შემოსატანი საქონელი ხომ არ ტრიალებდა ფოთში, ფოთელებმა დუქნები დაკეტეს და

გაიკრიფნენ, მტერი კი არ შემოვიდა ფოთში, მაგრამ რა? სახლებს კარი და ფანჯარა კი აღარ შეარჩინეს. თითონვე მეგრელებმა წაიღ-წამოიღეს.

სულ უარესი რო ვთქვათ, ბათომს მეტი რა უნდა მოუვიდეს? ხალხი გავა, კარ-ფანჯრებს თან წაიღ-წამოიღებენ და ცარიელ კედლებს თუ ორიოდე ყუმბარა მოხვდა, ძნელად საფიქრებელია, რომ იმისთანა ყუმბარები ფოთსაც არ მოხვდეს.

ხუმრობა იქით და შეადარეთ ომიანობის დროს დაცვისათვის რომელს უფრო მარჯვე მდებარეობა აქვს. ფოთი გაშლილ მინდორ ადგილსა მდებარებს, გარშემო პატარა ბორცვიც კი არა აქვს, რომ ჩვენის მხრით ზარბაზნები დაიწყოს და მტერს გზა შეუკრას. დარჩენია მხოლოდ ვაკე ადგილი და ზღვაში ტორპედების (ნაღმების) ჩაწყობა, რომ მტრის მომავალი გემები უკან დააბრუნონ და ვაკე ნაპირებიდან ზარბაზანი დაუშინოს.

ბათომში სულ სხვაა, ზღვაში ტორპედების და ნაპირას ზარბაზნების დახმარების გარდა, მაღალი მთები აქვს. აი ეს მთებია, რაც არის. მთელი ოცდახუთი თუ ოცდათუთხმეტი ვერსის სიგრძეზე კინტრიშის ვაკედგან ჭოროხის შესართავამდინ მაღალი მთებია, რომელზედაც ოსმალოსაგან დარჩენილი ბატარეების ადგილები ეხლაც ჩანს. ციხისძირიდამ დაიწყეთ და მიჰყევით ბათომს, რამდენი მაღალი მთები და სერებია: თვით ბათომს თავს აყუდვია სამება, კვეცელური, ნამანდრევი, ბათომიდამ ჭოროხამდე კახაბერის მთის წვერები და სერები. ამ სიგრძეზე იმდენი წვერები და სერებია ზარბაზნის მარჯვე საწყობი, რომ თვლა არა აქვს. თუკი ხმელეთით რუსის ჯარი ციხისძირს ვერ მიუახლოვდა ჯოჯოხეთის ცეცხლისა გამო, რომელიც ამ მთებიდამ მოგრიალებდა, ზღვიდამ მოსულ მტერს როგორ მიაკარებს ხმელეთსა?

მას უკან, რა ანგარიში უნდა ჰქონდეს მტერსა ბათომში შესვლისა? შავ ზღვაზე ომის ატეხაში თუ იქნება ვინმე გარეული, ოსმალო იქნება და ოსმალეთმა კარგა იცის გარეშემო მდებარება ბათომისა; ყოველის მხრით მთები აკრავს და ხეობეები. ჯარების ტარება, მერე ეხლანდელს დროს, ხეობებში ზარბაზნების გადატანა, ყოველ ნაბიჯზე ბრძოლა ჯართან და ბუნებასთან, ეს დიდს უუკიდურესს შემთხვევაშიაც გასაბედი არ იქნება მტრისათვის, მეტადრე მაშინ, როდესაც ახლოს გაშლილი, ვაკე და ნაკლების დაბრკოლებით სატარებელი ადგილი იპოვება (მაგალითად, როგორც ფოთი). უბედნიერეს შემთხვევაში მტერს მხოლოდ ბათომში შესვლა შეუძლია. მაგრამ დადგომა და გაძლება ყოვლად შეუძლებელია. რადგანაც გასასვლელი ვაკე გზა არა აქვს, მუდამ მთებიდამ მოსულ ცეცხლის ქვეშე უნდა იდგეს.

ამგვარად ცხადია, რომ, თუ კი უკანასკნელ ომებში, მტერმა, ფოთში შემოსვლა ვერ გაბედა, ბათომში ერთი-ასად ძნელი გასაბედავია. რაც უნდა მოხდეს, ომიანობის დროს, ბათომი ბუნებითვე უფრო დაცულია ფოთზე.

ეს სამი დედააზრი აქვს შესადარებლად გამოთქმული ბატ. ფოთელს. შეადარეთ ყოველი ესე, რაც ბათომზე და ფოთზე ვთქვით, და დაფიქრდით, რომელს უფრო კარგი მომავალი მოელის, ბათომსა თუ ფოთსა?

ვთქვათ, წინათ, რომ ფოთის დაცემა სასიხარულო არ არის, სამწუხაროა ჭეშმარიტად, მაგრამ რაც უნდა სამეგრელოს მოსავალი გადიდდეს, და დაწინაურდეს, ფოთი ბათომს წინ ვერ გაურბენს, ფოთი ის აღარ იქნება, რაც აქამომდე იყო. ეს საქმე ასე გადასწყვიტა თვით მდებარეობამ ბათომისამ და მომავალმა რკინისგზამა.

ჩვენი დასკვნა მაინც და მაინც კარგად ყურადღების ღირსია ფოთელებისა და მეგრელ ვაჭრებისათვის. ჩვენ გავაფრთხილეთ, რომ შემდეგში ტირილი არაფრად გამოადგებათ, ეხლავე თადარიგს უნდა შეუდგნენ და ბათომში გადაიტანონ თავიანთი ვაჭრობა. ამ საქმეს ყველაზე ისინი უფრო მოახერხებენ, რადგანაც ახლოს არიან; ადვილად შეუძლიათ, რომ საცა ეხლა ვაჭრობენ, იმასაც გაუძღვენ და ნელ-ნელა შემოაკლონ, და ბათომშიაც ნელ-ნელა ხელი მოჰკიდონ და გაადიდონ თვისი აღებ-მიცემობა.

ბერლინის კონგრესსში რუსეთის დესპანმა თავადმა გორჩაკოვმა სხვა საბუთებს შორის მოიხსენა, ბათომი საქართველოს კუთვნილებაა ისტორიულად და მდება-

რეობითაო, სიმართლით იგი კავკასს უნდა ეკუთვნოდესო.

ამ სიტყვებს ჩვენთვის სასიამოვნო მხარე აქვს: შავი ზღვის ნაპირების ვაჭრობა არ უნდა ჩავუგდოთ მოსულ სომხებს და ბერძნებს, ისევე ქართველ, მეგრელებს უნდა გვეჭიროს. ბათომიც ფოთელებისაა და ხელი უნდა მიაწვდინონ, სანამ მოსულ ხალხს არ დაუჭერიათ, თვარემ, ეს კარგად უნდა დავიხსომოთ, თუ ფეხი გაიმაგრეს ბერძნებმა და სომხებმა ბათომში, მოედებიან ფოთსაც, სამეგრელო-გურიასაც და იმერეთსაც; ყოველ სავაჭრო ქალაქებს და სოფლებს ხელში ჩაიგდებენ ისე, როგორც ეხლა ქართლი და კახეთი უჭირავთ.

დიდი ხანი უზრუნველად ვიყავით, ვაჭრობა მთელის საქართველოს მომეტებულის ნაწილისა სომხებმა დაიჭირეს, ჩვენ პირდაღებულები ვრჩებით, ვტირით და წინათვე თვალის გახილება არ ვიცით. ამიტომ ქონებით და ფულით ჩვენ ვღარიბდებით, მოსულები მდიდრდებიან.

დროა, სანამ უბედურება შეგვემთხვევოდეს, წინათვე მოვემზადოთ და ავიცდინოთ.

[1882 წ.]



ახალი გაზეთი „ბათომის ფურცელი“

(БАТУМСКИЙ ЛИСТОК)

ამ დღეებში „დროების“ მკითხველებმა წაიკითხეს რამდენიმე შენიშვნა „ბათომის ფურცელზე“, რომელმაც ბათომში დაიწყო გამოსვლა რუსულ ენაზე ივნისის პირველიდამ.

ეს გაზეთი ჯერ არ გვენახა და იმის გამო ვერ შევიძელით სწორედ დაგვეფასებინა, ბათომის შენიშვნა ამ გაზეთზე რამდენათ იყო საბუთიანი. ახლა რაკი ვნახეთ და უნდა გულწრფელად აღვიაროთ, რომ შენიშვნებში ფიცხი მსჯელობაა გამოთქმული და არ შეეფერება ნამდვილს სამართლიანობას. სიხარულით და სიამოვნებით წაიკითხავს ყოველი განათლებული და ქვეყნის სიკეთის მოსურნე კაცი ამ გაზეთს, რომელიც პირველად გამოდის ბათომში. ეტყობა რედაქციას, პირველის ნომრების მიხედვით, ფხიზლად და გამორკვევით ესმის დანიშნულება ადგილობრივის გაზეთისა, ესმის რომ იგი უნდა იყოს შეგნებული, მოაზრე, სამართლისმოყვარე და განათლებული, დამცველი საზოგადოების და ხალხის ინტერესებისა. რედაქციას ეტყობა სიმარჯვე, რომ თვალ-ყურს ადევნებს ისეთს საგნებს, რაც მართლა და უმეტესად ეხლა უსაჭიროესი საგანია ადგილობრივ ბათომის მცხოვრებლებისათვის და გარემოებისათვის.

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შინაარსი წინა სტატიებისა. 4 №-ში ლაპარაკია გამგეობისათვის საჭიროებაზე ადგილობრივის ხალხისა, გარემოებისა და ხასიათების შესწავლისა.

„ამ მხრით შეგვიძლიაო დამყარება ხალხის ცხოვრებისა კაცობრიულს საფუძველზე და ამით შეიძლება მოპოვება ხალხის ნდობისაო.”

ერთი უვრცელესი და სალაპარაკო რამ ეხლა ბათომის დაცლილ ადგილებზე დასახლებაა. ამაზე სხვადასხვა გაზეთები ლაპარაკობენ, თითქოს მართლა და ბათომის გუბერნია სულ დაცლილიყოს და გაჰკივიან: — არიქა რუსის გლეხები დაასახლეთო, ბერძნები და სომხები დაასახლეთ ოსმალეთიდამაო!“ არც იმას ფიქრობენ, მართლა ცარიელი ადგილი რაც არის, ჯერ ეს მიწები ადგილობრივ მკვიდრ დარჩენილ გლეხებს რომ მისცენ, ეყოფათ თუ არა? ან რუსები, ბერძნები და სომხები ბათომის გუბერნიის ჰაერს გაუძლებენ თუ ამოიჟლიტებიან, როგორც აფხაზეთში ამოიჟლიტნენ. შენც არ მომიკვდე. ამაზე 5 №-ში ორი სტატია, რომელიც ხეპრულს აზრებს არღვევს და ამბობს, რომ, გადასახლებულთ მიწებს დარჩენილები იღებენო, რადგანაც უმიწობით დიდათ შეწუხებულნი იყვნენო...

საზოგადოთ ბათომის გუბერნიაში სახნავ სათესი მიწა ფრიად ნაკლებიაო. ბოლოს ამბობს, თუ დანარჩენი ცარიელი ადგილების დასახლება საჭიროაო, ყველაზე სამართლიანი და სწორი გადაწყვეტა ამ საქმისა ისე შეიძლებაო, რომ ისევ ადგილობრივის ხალხის მომმე ქართველებს მიეცეს, რომელთაც ქუთაისის და ტფილისის გუბერნიაში მიწები არა აქვთო“. აქვე მოხსენებულია, რომ, ჩვენდა სანუგეშოდ ქალაქ ბათომს გარეთ, გუბერნიაში მამულები არ დაურიგებიათ საჩუქრათაო.

№ 7-ში სტატია არის „ნოვოე ვრემიას“ დაცინვაზე, რომელზედაც „დროებაშიაც“ მოვილაპარაკეთ. მკითხველთ ეხსომება რას ლაპარაკობდა „ნოვოე ვრემია“ ქართული ენის შემოღებაზე სასამართლოებში. „ბათომის ფურცელი“ ურჩევს ვინც რუსი არ არის, სხვა ხალხებს „სიყვარულით და ნდობით მოეპყარითო, დაცინვას თავი დაანებეთო“. „ეგ ხეპრული და დაცინვის კილო არ შეშვენის პატიოსანს კაცსაო... მაგისთანა კილოს ადგილი არა აქვსო ბეჭვდაშიო, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს სამართლიანობით და მეცნიერულის საფუძვლით“.

ეს ამოწერილი ადგილები საკმაოდ გვგონია, რომ ჯერჯერობით კარგი შთაბეჭდილება აწარმოოს პატიოსანს კაცზე. საზოგადოთ გაზეთს აზრიანობა და მსჯელობა პატიოსნური ეტყობა.

სამწუხაროდ, გარეგანი შეხედულობა ცუდს შთაბეჭდილებას აწარმოებს პირველ მნახველზე. ძალიან უხეირო ქაღალდია და სტამბაშიაც ეტყობა მოუხერხებლობა, მქრალად იბეჭდება. გაზეთი ჩვენს „დროებაზე“ პატარაა, კვირაში ეხლა სამჯერ გამოდის, და მომავალში მუდამ დღე აპირებს.

შენიშვნა უნდა გაუკეთოთ, რომ წვრილი ამბები ძალიან არეულია, და არ არის გაყოფილი, ასე რომ ადგილობრივი და ქალაქის ამბები ერთათ არის რუსეთის ამბებთანა და ნარევის ნაწილთანა. გაზეთს საპოლიტიკო ჰქვიან, მაგრამ პოლიტიკის ნაწილი ჯერ არა ჩანს.

რასაკვირველია, პირველში ძნელია, რომ იმისთანა ქალაქში, როგორც ბათომია, (სადაც მწერლები და ინტელიგენციის კაცები ძნელი მოსაპოებელია), პირველ ხანებში ყოველი ფერი შინაგანით და გარეგანით მოწყობილი იყოს. ამ მხრით ვგონებ შეცდომა უნდა იყოს გაზეთის მუდამ დღე გამოსვლა.

ბოლოს ერთი შენიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია. გაზეთი რომ ნახევრად ქართულად ყოფილიყო, დიდ სარგებლობას მოუტანდა ადგილობრივ ჩვენ მოძმეებსა. მართალია, ჯერ ჯერობით კითხვა ხალხში გავრცელებული არ არის, მაგრამ ვინმე წაუკითხავდა მცოდნე და ამით გავარჯიშდებოდა მოაზრებაში, თან ამბავს შეიტყობდა. ეხლა რუსულათ კითხვა მარტო ჩინოვნიკობას ხვდება წილათა.

[1882 წ.]



ქუთაისის ბანკის მდგომარეობა

ტფილისი, 22 ივნისს.

უკანასკნელ თავად-აზნაურთა საზოგადო ყრილობაზედ პარტიების განაწილებამ და ბბ. ღოღაბერიძეების მხრით ზოგიერთ არა-საქებ მოქმედების გამოაშკარავებამ ახირებულს მდგომარეობაში ჩააგდო ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი. მოგეხსენებათ, რომ ღოღაბერიძეების პარტიის თითქმის ყველა დედაბოძებმა და ბურჯებმა ერთხმად გამოაცხადეს, ბეჭდვით, რომ დღემდინ შემცდარი ვყოფილვართ, რომ თქვენი მხარე გვეჭირა, დღეს გაგიცანით რა შვილებიც ყოფილხართ და დღეის შემდეგ არცერთს საზოგადო საქმეში თქვენთან ერთობა და კავშირი აღარ შეგვიძლიანო.

ამ წერილზე ხელი აქვსთ მოწერილი ყველა წევრთ ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისას, გარდა ერთისა (ბ. ა. ი. ფიფინაშვილისა), ორივე დირექტორებს ამავე ბანკისას, კასსირს, ზოგიერთ დამფასებლებს და სხვ. ასე რომ ერთის მხრით ბანკის გამგებელი დარჩა, ბ. ნ. ბ. ღოღაბერიძე, და მეორეს მხრით თითქმის ყველა დანარჩენი პირები, რომელნიც ამავე ბანკში მსახურებენ.

საქმე იქამდინ მისულა, რომ, როგორც ქუთაისიდამ გვწერენ, ეს ორი მხარე, რომელნიც ერთსა და იმავე საქმეს უნდა ემსახურებოდნენ, ერთსა და იმავე უღელში არიან გაბმულნი, ხმასაც კი არა სცემენ თურმე ერთმანეთს: მოდიან ბანკში, ერთმანეთს ერიდებიან, ემალებიანო და როდესაც საქმე აქვთ ერთმანეთთან, მწერლის საშუალებით, მოციქულობით არიგებენ ამ საქმესაო.

თქვენ წარმოიდგინეთ — როგორ უნდა წავიდეს ამნაირად ბანკის საქმე, როდესაც იმის გამგე პირებში ამისთანა დამოკიდებულება და განხეთქილება ჰსუფევს! რა საზოგადო საქმე უნდა აწარმოვონ იმ პირებმა, რომელთაც ერთმანეთის დანახვა, ხმის გაცემა და დალაპარაკება არ შეუძლიანთ?

ჩვენი აზრი ეს არის, რომ ამ მდგომარეობაში დატოვება ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისა შეუძლებელია. ორში ერთი უნდა დარჩეს: ან მარტო ბ. ნ. ღოღაბერიძე თავის ბ. ა. ფიფინაშვილით და დანარჩენებმა ყველამ უნდა მიატოვოს ბანკის სამსახური, და ან ბ. ნ. ღოღაბერიძე უნდა გამოვიდეს ბანკიდამ, ერთმა დირექტორთაგანმა უნდა დაიჭიროს ამის ადგილი და დანარჩენი გამგეობა ბანკისა ხელ-უხლებელი იქნება და კვლავინდებურად განაგებს ბანკის საქმეებსა.

ჩვენ გვაკვირვებს ბ. ნ. ღოღაბერიძის მოქმედება და მდგომარეობა: ყველა იმის მომხრეებმა გაზეთით გაჰკიცხეს იმის მოქმედება და გამოაცხადეს, თქვენთან საერთო არა გვინდარაო: ბანკში იმასთან მოსამსახურე პირებმა, როგორც ამბობენ; შეუთვალეს, რომ სამსახურისათვის თავი დაენებებინა, ამბობენ აგრეთვე, სამეგრელოს თავადაზნაურობამაც საერთო წიგნი მისწერა და მოსთხოვა თუ ურჩიაო, რომ ბანკის გამგეობის თანამდებობაზედ ხელი აეღო; ყველა ესეც რომ არ იყოს, — მას შემდეგ რაც იმის მოქმედებაზედ და საზოგადოთ ბანკის მდგომარეობაზედ გაზეთებში საქვეყნოდ გამოცხადდა, განა არ იცის — რა ნდობა ექნება ამ ბანკს ბირჟაზე, რა ფასი და ღირსება ექნება ამ ბანკის გირავნობის ფურცლებს, თუ ეს მდგომარეობა არ შეიცვალა, თუ გამგებელნი არ დაიცვალნენ? და ყველა ამის შემდეგ, ვიმეორებთ, ჩვენ გაკვირვებული ვართ, რომ ბ. ნ. ღოღაბერიძე კიდევ ჩასჭიდებია თავის გამგებლის ხელს და თავის ნებით არ ანებებს თავს ამ თანამდებობას! ჩვენის აზრით, იმის თავმოყვარეობა მოითხოვს, მოითხოვს აგრეთვე უფრო თვით ბანკის პირდაპირი სარგებლობა, რომ იმას თავი დაენებებინა თავის ერთობ დამძიმებულ თანამდებობისათვის და, თუ კი რამ იმედი აქვს ამ საქმეში თავის გამართლებისა და პირნათლად გამოსვლისა, შემდეგ შეეძლო ოფიციალურ

სასამართლოს ანუ მედიატორეთ სასამართლოის წესით გაემართლებინა თავი.

თუ ამაზედ არ დათანხმდა ბატ. ნ. ღოღაბერიძე, თუ თავის ნებით არ მიატოვა თანამდებობა, მაშინ ერთიღა სახსარი რჩება: მოწვეულ იქმნეს უჩვეულებრივო კრება ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთა და ამათ გარდაწყვიტონ ეს საქმე, ამათ გაასწორონ თავის ბანკის დახლართული და საშიშ მდგომარეობაში ჩავარდნილი საქმე.

[1882 წ.]



მაკნებელი დედაზრები

ტფილისი, 3 ივლისს.

ერთობ ბევრი ადგილი დაუთმეთ წელს ჩვენს პატარა გაზეთში ქუთაისის თავად-აზნაურთა და საადგილ-მამულო ბანკის კრებებს. მაგრამ მკითხველი, მოგვიტევებს ამას, თუ წარმოიდგენს — რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოთ დასავლეთ საქართველოსათვის წლევანდელს კრებებზე პარტიების განაწილებას, შეხეთქებას და გამოაშკარებას. ჩვენის აზრით, ამ ბრძოლას და პარტიების შეტაკებასა მარტო იმერეთ-გურია-სამეგრელოსთვის კი არა, მთელი საქართველოსთვისაც არა-მცირედი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მკითხველმა უნდა გაიგოს ჩვენი გრძელსიტყვაობის მიზეზი.

დღეს ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ესრედწოდებულ ღოღობერიძეების პარტიის განაწილებაზე და ამ პარტიაში მომხდარს განხეთქილებაზე.

საქმის გარემოება იცის მკითხველმა. ყველა ახალგაზდებმა და ბევრმა არა-ახალგაზდებმაც ღოღობერიძეების პარტიისამ, გარდიწყვიტეს, რომ, რადგან გუბერნიის მარშლის არჩევას ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვსო, ამის გამო ისეთი კაცი ამოვარჩიოთ, რომელიც თავის სწავლით, პატიოსნებით და კეთილმიმართულებით უფრო შეეფერება ჩვენს დროს, ჩვენს ახლანდელს საზოგადო საჭიროებასა და მოთხოვნილებასაო. ამისთანა კანდიდატად იმათ აღმოარჩიეს თ. სიმონ გიორგის ძე წერეთელი, რომელიც პირდაპირ დაუყენეს ძველს მარშალს თ. ნესტორ დიმ. წერეთელს.

ამოარჩიეს და სთხოვეს ერთს მოთავეთაგანს თავის პარტიისას ბ. ნიკ. ბ. ღოღობერიძეს, რომ ისიც თავის

მომხრეებით დახმარებოდა ამათ ამ საქმეში. ესენი ამბობენ, ბ. ნ. ღოღობერიძემ თავის თ. ალმასხან ნიჟარაძით აღგვითქვა დახმარება და ბოლოს გვიღალატაო. თვითონ ბ. ნიკ. ღოღობერიძე კი ამტკიცებს, არც აღმითქვამს და, მაშასადამე, არც მიღალატნიაო.

ვინ არის აქ მტყუანი და ვინ მართალი, დღეს ჩვენ ამის განხილვას არ შეუდგებით. ჩვენთვის დღეს ყველაზე უფრო საინტერესოა ის მოსაზრება, რომლითაც ბ. ნ. ღოღობერიძე იმართლებს თავს; იმის წერილში („დროება“ № 135) სხვათა შორის, შემდეგ სიტყვებს ვპოულობთ:

„...გუბერნიის მარშლის თანამდებობას მე სრულიად არ ვაძლევ იმ მნიშვნელობას, რომელსაც ისინი მიაწერენ. ჩემის აზრით, ეს თანამდებობა არა ღირს იმ უსიამოვნებად და განხეთქილებად, რომელთაც აღძრავს ჩვენში ხოლმე მარშლობის კენჭისყრა.

„მე მაინც ამ შემთხვევაში სხვანაირს მდგომარეობაში ვარ. როგორც თავსმჯდომარე საადნაურო ბანკის გამგეობისა, მე არ შემიძლია გაცხარებული მონაწილეობა მივიღო თავად-აზნაურობის არჩევანში და ამგვარ მოქმედებით ვაწყენიო დიდს ნაწილს საზოგადოებისას. მე მეყოფა ის აუცილებელი ტვირთი, რომელიც მაწევს ბანკის კრების დროს“.

ჯერ ერთი ეს, რომ მარშლების თანამდებობას მე არ ვაძლევ მნიშვნელობასაო — ცარიელი და მხოლოდ მკითხველისათვის თვალის ასახვევად დაწერილი ფრაზაა. ღოღობერიძეები, რომელნიც ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში მუდამ სამ წელიწადში ერთხელ მთელ თავის სიცოცხლეს, შეძლებას და ენერგიას ლევდნენ იმისთვის, რომ ეს იქნეს მარშლად ამორჩეული და არა ისაო, — ამას როგორ იტყვიან? მეორე, თუ მთელი ჩვენი გაუნათლებელი და უსწავლელი თავადაზნაურობა მიხვდა წლევანდელს არჩევებს რა მნიშვნელობა და ძალა ჰქონდათ, როგორ დავიჯეროთ, რომ ეს მხოლოდ ბ. ნიკ. ღოღობერიძემ ვერ გაიგო? ვიმეორებთ, ეს მხოლოდ სხვისთვის თვალისასახვევი ფრაზაა და არა საბუთი.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ყველაზე შესაძრწუნებელი, მავნებელი და საძაგელი აზრი ბ. ნ. ღოღობერიძის წერილში შემდეგს სიტყვებშია გამოთქმული: „მე, როგორც ბანკის თავსმჯდომარეს, არ შემიძლია გაცხარებული მონაწილეობა მივიღო თავად-აზნაურთ არჩევანში და ამგვარ მოქმედებით ვაწყენიო დიდს ნაწილს საზოგადოებისას“.

ვისაც ამგვარი პრინციპები, ამგვარი დედააზრი აქვს, ის საზოგადო მოქმედების ასპარეზზე არ უნდა გამოვიდეს, თუ მართლა საზოგადო საქმე აქვს მხედველობაში და არა საკუთარი თავის სარგებლობა, საკუთარი პიროვნება, თავის მშვიდობიანობა და სხვ. როგორ თუ ვაწყენიოო! საზოგადო საქმეში სიტყვა „ვაწყენიოს“ განა ადგილი უნდა ჰქონდეს? ყოველი პატიოსანი და გონიერი საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოდ გამოსული კაცი მხოლოდ იმას უნდა ჰფიქრობდეს, რომ ამ საზოგადო საქმეს რაიმე სამსახური გაუწიოს, ხელი მოუმართოს, დაეხმაროს; და ეს იმის მოქმედება თუ კერძო პირებისათვის საწყენი და სავნებელიც იქნება, იმას იმან იმდენი ყურადღება უნდა მიაქციოს, რამდენიც შარშანდელს თოვლს. სიძაბუნეა, სიმხთალეა, კაცი იმიტომ ჩამორჩეს უკან კარგ საზოგადო საქმეს, რომ ვაი თუ ვინმემ იწყინოს, გამიჯავრდნენ და გამკიცხონო! როგორ სამწუხაროდ არ უნდა მიგვაჩნდეს, რომ საზოგადო მოქმედების ასპარეზზე გამოსული კაცი ამგვარის მოსაზრებით ხელმძღვანელობდეს. ღოღობერიძეების მოქმედებაში, სხვა ნაკლულევანებათა შორის, ესეც გამოაშკარავდა საქვეყნოდ; ისე კი ადრეც ყველამ იცოდა: ისინი ყველაზე უფრო იმას ცდილობენ, რომ არავის აწყენინონ, ტკბილად მოექცნენ, ყველას გაუღრიჭონ დროზე, საცა საჭიროა ყველას ფეხქვეშ გაეფინონ, რომ ამით, და არა პირდაპირის, მხნე, პატიოსნურის მოქმედებით, მხარი მისცენ და გაიტანონ საქვეყნო საქმეები.

საზოგადოების გამრყვნელ დედააზრად მიგვაჩნია ჩვენ ზემოხსენებული დედაზრი და ამიტომ სასურველია, რომ ამ აზრსა და პრინციპებს ჩვენში არასოდეს არ ჰქონდეს ძალა და ასპარეზი.

[1882 წ.]



ერთი საინტერესო საგანი

ტფილისი, 21 ივლისს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკკლესია დღეს ითვლება რუსეთში, მთელს აღმოსავლეთ ქრისტიანობაში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ძველ პირველ დროების ეკკლესიად, იმგვარადვე, როგორც საბერძნეთისა და სომხეთისა. ყოველ ამ ეკკლესიებს ჰქონდა და ზოგს აქვს დღესაც თავისი განსაკუთრებული თვითმმართველობა, შინაური ადათი, წესები თავისის მართვისა და გაძღოლისა, საკუთარი მღვდელთმთავრობა, საკუთარი წყობილება სამღვდელოებისა, საკუთართ წმიდანებს ესავს და საკუთარი ენა აქვს მღვდელმოქმედებისა და წირვა-ლოცვისა.

ყველა ძველ ეკკლესიების თვითმმართველობის განსაკუთრებული წესები და მხარეები ისტორიულად გამოკვლეულია საკმაოდ, ხალხის მეხსიერებაში დარჩენილა ეკკლესიის მსახურთა გარდმონაცემით.

სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ძველი საქართველოს ეკკლესიის ისტორია ჩვენში ძალიან ნაკლებათ იცის თვით სასულიერო წოდებამა. ეს უცოდნელობა მავნებელია, როგორც თვით მისთვის, აგრეთვე სამწყსოსთვის. ამიტომ შესწავლა და გამოკვლევა საჭიროა. ისტორიაში ბევრი რამ დღევანდლამდე გამოუკვლეველია და გამოურკვეველი. ამისი გამოკვლევა და შესწავლა არც ძნელი იქნება, რადგანაც დოკუმენტები უეჭველად მოიპოვება.

ერთი ნაკლულევანება ჩვენის ეკკლესიის ისტორიისა მეტადრე შეეხება ეკკლესიის თვითმმართველობას. ამაზე არეულ-დარეული აზრია ჩვენში და ნათლად

იმისი ცოდნა ბევრს იმისთანა მხარეს გაგვაგებინებდა, რომელიც ახლა არ გვესმის.

ჩვენში გარდმონაცემით ხალხის მეხსიერებაში დარჩენილა ის აზრი, რომ საქართველოს ეკკლესია იმგვარივე წესებით იმართებოდა, როგორც ახლა სომეხთ ეკკლესია; ესე იგი ჰყავდა კათალიკოზი, მთავარეპისკოპოზნი და მღვდელ-მონაზონნი დიაკვნებითურთ. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში არ მდგომარეობს.

მღვდელნი, ეპისკოპოსნი და კათალიკოზი როგორის წესით ინიშნებოდნენ? ისე როგორც ახლა, თუ სხვა გვარად?

ხალხის გადმონაცემი და ზოგი ისტორიული ფაქტები, რომელიც ვიცით, გვაჩვენებს, რომ მღვდელთა და მათ უფროსთა დანიშვნა ძველს საქართველოში იმგვარივე ყოფილა, როგორც ახლა სომეხთ ეკკლესიაშია და რომელიც უძველესს დროებში აღმოსავლეთის ყველა ეკკლესიებში ყოფილა.

ეს განსაკუთრებული წესი ამგვარი ყოფილა, რომ მღვდელი პირდაპირ ეპისკოპოზისგან კი არ ინიშნებოდა, არამედ უნდა ამოერჩია თვითოეულ ეკკლესიის მრევლსა თავისთვის. ამოარჩევდნენ მთავარდიაკვნებში, რომელნიც ღირსად მიაჩნდათ; იმას წარუდგენდნენ ეპისკოპოზს, იგი აკურთხებდა და დაამტკიცებდა. ამომრჩეველ მრევლის ეკკლესიაში სადიაკვნონი მღვდლის და მრევლის ამორჩევით მიიღებოდნენ და შემდეგ მათისავე წარდგენით ეკურთხებოდნენ მთავარდიაკვნად ეპისკოპოზისაგან.

ეს რაც შეეხება სამრევლო ეკკლესიებსა, მასზე მოვიხსენეთ. დღეს სომეხთ ეკკლესიებში, თვით ქალაქში, როდესაც მართლწესიერებაა, ასე სწარმოებს საქმე.

მეფის კარის ეკკლესიებში და თავადთა ეზოს ეკკლესიებში სხვა წესი იყო, რომელიც თითქმის დღევანდლამდე დარჩენილია თავადთა ეზოს ეკლესიებში: სამღვდელოს ირჩევდა მეფე და თავადი, წარუდგენდა ეპისკოპოზსა და იგი აკურთხებდა და დანიშნავდა მეფის კარის ანუ თავადის ეზოს ეკკლესიაში.

აქ უნდა მოვიხსენოთ ის გარემოება, რომ ხშირად მღვდლობა რომლისამე სამრევლო ეკკლესიისა, თუმცა საშვილიშვილოდ გარდადიოდა (ახლაც ბევრნი მოსთ-

ვლიან ქართველებში და სომხებში, სამოცზე მეტს თაობას), მაგრამ მაინც მღვდლის შვილებში ერთს ამჯობინებდნენ მეორესა, ერთს უპირატესობას აძლევდნენ მეორეზე.

ეპისკოპოზი ინიშნებოდა კათალიკოზის ამორჩევით მონასტრის წინამძღვრებისაგან. ამ ამორჩევაზე ადათით არავითარი გავლენა არა ჰქონდა მრევლს. ჩვენ არ ვიცით მონასტრის წინამძღვარი პირდაპირ ინიშნებოდა თუ მონასტრის ბერ-მონაზონთა არჩევის შემდეგ.

ბოლოს კათოლიკოზის დანიშვნა როგორ ხდებოდა?

სომხებში — ეხლა საცა კი სცხოვრობენ, თუ თვით სომხეთში, ანუ სხვაგან ყოველ სამრევლო ეკკლესიებში ხალხი იყრება, მსჯელობა აქვთ, სიებს ადგენნენ კანდიდატებისას, ვისაც მრევლის ხმის უმრავლესობა ერგება, მას წარუდგენენ ეპისკოპოზს, რომ ჩვენი საკათოლიკოზო კანდიდატი ეს არისო. ამ ამორჩევაში მღვდელთა და ერსა ერთი ხმა აქვს. შემდეგ სამრევლოთაგან ამგვარად ამორჩეულ კანდიდატების სიებს ეპისკოპოზები ჰგზავნიდნენ ეჩმიაძინში და აქ საზოგადო კრება ჰხდება მთავარეპისკოპოზთა, ამ კრებაში სინჯვენ წარმოდგენილ კანდიდატების სიებს, ამოწმებენ და ვისაც მომატებული ხმა ერგება, ის ითვლება კათოლიკოზად ამორჩეული და იმას წარადგენენ ხელმწიფესთან დასამტკიცებლად. რაც ეჩმიაძინი რუსებს უჭირავთ, მაგალითი არ ყოფილა, რომ ამორჩეული კათოლიკოზი არ დამტკიცებულიყოს. ძველ დროს სომხეთის მეფენი ამტკიცებდნენ; მერე მეფობის გაუქმების შემდეგ — ხვანთქარი ანუ შაჰი, ანუ ერთად თანხმობით.

საქართველოში ვიცით ისტორიით, რომ კათოლიკოზის ამორჩევა ხდებოდა მცხეთას, სვეტიცხოვლის ეკკლესიაში მთავარეპისკოპოზებისა და ეპისკოპოზებისაგან; მერმე მეფეს წარუდგენდნენ დასამტკიცებლად; მეფეს ყოველთვის უნდა დაემტკიცებინა. თუ რასმე ეკკლესიის საწინააღმდეგოს შეამჩნევდნენ საქართველოს კათოლიკოზს, მეფეს თავისით არ შეეძლო გადაყენება; უნდა გაერჩიათ ისევე მცხეთის კრებაში კათოლიკოზის მოქმედება და როდესაც დანაშაულობას დაუნახავდნენ, გადააყენებდნენ და მის ნაცვლად სხვას ამოარჩევდნენ.

ამგვარად, საქართველოს კათოლიკოზი ყოველის მცხეთის კრებისაგან უნდა ყოფილიყო ამორჩეული და შემდეგ მისის წარდგენისა, დამტკიცებული. თავისით მეფეს კრების ამოურჩევლად არ შეეძლო დანიშვნა კათოლიკოზისა.

მცხეთის კრებაში ყოველთვის უნდა ყოფილიყვნენ მთავარეპისკოპოზნი საქართველოს ყველა ნაწილიდგან. მაგრამ როდესაც რომელიმე მიზეზი აბრკოლებდა სრულის კრების მოხდენასა, (მტრის შემოსევა და დაპყრობა რომლისამე ნაწილისა, საშიშო მდგომარეობის გამო საჭიროება, რომ მალე ჰყოლოდა ქვეყანას მღვდელმთავარი), მაშინ მარტო ქართლ-კახეთის ან მარტო ქართლის მთავარ ეპისკოპოზნი იყრებოდნენ კრებაში, და იძულებულნი იყვნენ სხვების მონაწილეობის მიუღებლობით ამოერჩიათ ეკკლესიის უფალი.

არის ერთი მხარე ისტორიისათვის გამოსაკვლევი; ზემოხსენებულ მცხეთის კრებაში მთავარეპისკოპოზნი და ეპისკოპოზნი პირდაპირ თვითონ არჩევდნენ საკათოლიკოზო კანდიდატსა, თუ წინად თავის სამწყსო საეპისკოპოზოში, სამრევლო ეკკლესიებში ახდენდნენ სამრევლო კრებებს და მათგან ამორჩეულების სახელებს არდგენდნენ მცხეთის კრებაში, როგორც სომეხთ ეჩმიაძინის კრებაშია ხოლმე?

ამას გარდა, თუ ეს სამრევლო კრებები იყო, ვის ჰქონდა ამ კრებაში ხმის უფლება: ყველა წოდებას, მღვდელთა, თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა, გლეხთა და ყმათა, თუ მხოლოდ მღვდელთა და თავადთა?

ჩვენს ისტორიაში რამდენიმე გაკვრითი სიტყვა არის, რომელიც შეეხება კათოლიკოზის წინააღმდეგ ამბოხებას, ეს ამბოხება, უნდა ვგონებდეთ, რამდენადმე ხდებოდა იმ მონაწილეობისაგან, რომელიც ერის კაცთ სამრევლო ეკკლესიის კრებაში უნდა ჰქონოდა. ეს კითხვა მაინც კითხვად დარჩება, სანამ ისტორიულად არ აიხსნება.

სასურველია და ვალიც არის, რომ ეს მხარეები შეამუშაონ ჩვენის ისტორიის მშრომელთა, სამღვდელოს და ერის კაცთა.

ეს მით ძვირფასი იქნება, რომ ეხლა ჯერ კიდევ საქართველოს ეკკლესიას თუმცა შერჩენია რამდენადმე

თვითმმართველობა, მაგრამ მაინც ბრწყინვალეს მდგომარეობაში არ არის. ვინ იცის ისტორიულს გამოკვლევას ეკკლესიის გაბრწყინვალებისთვის რამდენი შემწეობა მიეცა და აღედგინა ის ღირსეული, მაღალი სასურველი მდგომარეობა, რომელიც ეკკლესიას უნდა ეპყრას საქართველოს მწყემსთა და სამწყსოს საკეთილოდ.

[1882 წ.]



შენიშვნა

ტფილისი, 18 აგვისტო.

ახალ სამსაჯულო კანონების შემდგენელნი ხელმძღვანელობდენ ერთის ფრიად მაღალის აზრით, როცა ისინი ადგენდენ 1864 წლის უსტავსა: მართლმსაჯლობა ისეთ საფუძველზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, რომ განმაუმჯობესელი გავლენა უნდა ჰქონებოდა ხალხის ხასიათზე.

ხალხი, როგორც უმაღლესი წოდება, ისე გლეხობა დროთა ვითარებისა და ამათი ურთიერთ დამოკიდებულობისაგამო მრუდე და ზნეობის დამამახინჯებელ გზაზე იდგა. რაც წინა საუკუნოების ცხოვრების პირობებს არ ეწინააღმდეგებოდა, ჩვენს დროში მავნებელი შეიქნა; კაცობრიობის განათლება და ცხოვრების მიმდინარეობა განსხვავებულს კალაპოტში ჩადგა. ცხოვრებამ ისეთი საგნები გაგვიხადა თვალსაჩინოდ, რომ აშკარა იყო, ძველი მდგომარეობის დედაბოძები უნდა შეცვლილიყო. თუ ამგვარი ცვლილება მრთელის ჩვენის სახელმწიფოისათვის შეადგენდა აუცილებელ საჭიროებას, მითუმეტესად ჩვენის ქვეყნისათვის, საქართველოსთვის.

წინედ, წარსულ დროებში, ურთიერთი დამოკიდებულობა წოდებათა შორის ჩვენს ქვეყანაში სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე მას შემდეგ, როცა ჩვენი მამულის ბედ-იღბალის ხელმძღვანელობისთვის თავი უნდა დაგვენებებია. ის მაღალი და კეთილშობილი გრძნობა, რომელიც აერთებდა გლეხსა და თავად-აზნაურსა და ჰთესავდა მათ შორის ძმობას და სიყვარულს, ის გრძნობა მოისპო; ნათქვამია, საზოგადო უბედურობა

აახლოვებს და ამეგობრებს ადამიანებსო. საქართველოს უბედურობა, მამულის მწუხარება აახლოვებდა და მჭიდროდ აკავშირებდა სხვადასხვა წოდებას ერთმანერთან, ერთი და იგივე განსაცდელი მოელოდა მტრისაგან როგორც გლეხის ცოლ-შვილს და ოჯახს, აგრეთვე თავადისას, ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმ სამაგალითო ძმურის ურთიერთ დამოკიდებულობისა ბატონთა და ყმათა შორის, რომლის მზგავს მაგალითს ძვირად ვიპოვით სხვა ქვეყნებში.

გავშორდით რა გარეგან მტერსა და მუდმივ შიშსა, ჩვენის ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებას სხვა ფერი დაედვა. ბატონთა და ყმათა შორის მოისპო ძველი კავშირის საგანი: მათ შორის დაარსდა დიდი ზღვარი. რა შედეგი მოიტანა ამ მოვლენამ? ორთავე წოდების გარყვნა და ზნეობითი გახრწნა. მეცხრამეტე საუკუნის ბატონყმობის ისტორია ჩვენში შეადგენს ერთს სამწუხარო ფურცელთაგანს იმ წიგნისას, რომელსაც უნდა დაერქვას საქართველოს ცხოვრება.

როცა ამ მდგომარეობაში ვიყავით, ყმების განთავისუფლება მოგვესწრა. ცხოვრებამ ფერი იცვალა. მრთელი სახელმწიფოს და ხალხის სხეულის ძარღვებში სულ სხვანაირად დაიწყო სისხლმა მუშაობა. მმართებლობამ სცნა, რომ უმთავრესი საშვალება ძველის ცუდის ხასიათების მოსპობისა უნდა იქმნეს მართლმსაჯულობის რიგიანს გზაზე დაყენება; მართლმსაჯულობა უნდა ყოფილიყო ერთ უმთავრეს საგნად ხალხის ზნეობის გაუმჯობესობისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დედააზრი რედაკციონური კომმისიისა არ აღსრულდა; 1864 წლის წესდებულობამ სრულიად გარყვნა ჩვენი ხალხი ზნეობით, დასთესა შური გლეხსა და თავადაზნაურთა შორის, დაჰბადა ძალადობა, შური, ცრუ ფიცი და სხვა ამგვარი საზიზღარი მოვლენა.

ძალიან ძვირად მოხდება ხოლმე, რომ გლეხმა აჩვენოს სასარგებლოდ თავადისა, რაგინდ სიმართლე უნდა ჰქონდეს თავადს. ასე რომ განხეთქილობა ორთა წოდებათა შორის ღებულობს საშიშ ხასიათს.

მოსპობა ამისი შეიძლება: 1) ამ წესდებულობის მუხლების შეცვლით, რომელნიც არ ეთანხმებიან ჩვენს ცხოვრებას, და რომელთა შესახებ უკვე იყო

ჩვენს ჟურნალ გაზეთებში მოხსენებული; ამ ვალდებულებას, იმედია, აღასრულებს სენატორი ბერი, რომელიც გვესტუმრა და რომლის აზრს ამის შესახებ, უეჭველია, მიიღებს სახეში ახალი კომმისია; ამ კომმისიას მინდობილი აქვს 1864 წ. წესდებულების გადამუშავება; 2) გამიჯვნის დაჩქარებით; 3) დაჩქარებით გლეხებისაგან მამულის შესყიდვით და 4) სასამართლოებების რიცხვის (სუდების) განმრავლებით.

ეხლანდელი მოსამართლენის რიცხვი ვერ აკმაყოფილებენ მეოცედ მოთხოვნილებას ხალხისა. რა თქმა უნდა, მართლმსაჯულობაზე ცუდი გავლენა აქვს ამ გარემოებას.

[1882 წ.]



კავკაზიის რეფორმები

ტფილისი, 13 ენკენისთვეს.

მე შევხვდი ამას წინათ რუსეთიდამ ახლადჩამოსულს ერთს განათლებულს რუსს, რომელმაც ჩემს კითხვაზე — თუ როგორი პირველი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა-მეთქი, სხვათა შორის, მითხრა შემდეგი:

— პირველად რომ კავკასიის მთებზე გადმოვედი და დავინახე მაღლა, თვალუწვდენელ მთაზე, თითქო ღრუბელში დასახლებული ხალხი, დავინახე აქაური ბუნება და აქაური ხალხის სახე — იმ წამსვე ყველაზე პირველად იმ აზრმა გამიელვა თავში, რომ ეს ხალხი არაფერში არ უნდა გვანდეს ჩვენს, რუსეთის ხალხს, რომ ეს სულ სხვა ხალხია, რომ ამას სულ სხვა ცხოვრება და ხასიათი უნდა ჰქონდეს და, მაშასადამე, სხვა წყობილებაც, განსხვავებული გამგეობა და კანონები ეჭირება-მეთქი.

ამასვე ამბობს ჩვენში ყოველი ახლადჩამოსული გონიერი რუსი. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ გონიერი აზრი და შეხედულობა რაღაც სხვა ანგარიშებსა და მიმართულებას უთმობს ადგილს და იგივე რუსი ხშირად გაუგებარის ბრაზით გაიძახის:

— რის ქართველი, რის სომეხი, რის თათარი! ყველანი რუსის ქვეშევრდომნი არიან და უნდა გარუსდნენ!

მადლობა ღმერთს, ჩვენი უმაღლესი მთავრობა ამ აზრისა არ არის. იმას კარგად ესმის, რომ ჩვენ მართლა სხვა ხალხი ვართ, სხვა ისტორია გვაქვს, ჩვენი საკუთარი ენა, ხასიათი, ზნე, ჩვეულება...

რუსეთის და, საზოგადოთ, ყველა სხვა ხალხთან საერთო ჩვენ მხოლოდ ერთი რამა გვაქვს: მშვიდობით, წარმატებით და ჩვენის ისტორიის მოთხოვნილების თანახმად ცხოვრების სურვილი. და ყოველი მმართებლობა ვალდებულია, რომ ეს კანონიერი მოთხოვნილება დაუკმაყოფილოს ერს...

რუსეთის უმაღლესს მთავრობას, ამ ოთხმოცის წლის განმავლობაში, არასოდეს აშკარად და პირდაპირ არც სიტყვითა და არც მოქმედებით არ დაუმტკიცებია, რომ იმას ჰსურს რასშიმე დაარღვიოს და უარჰყოს ეს ჩვენი ერის ისტორიული მოთხოვნილებანი და საჭიროებანი. მაგრამ მაგიერად ძალიან ხშირად ჩნდებოდენ ჩვენში ისეთი გავლენიანი პირნი, მთავრობის ვითომ ერთგულნი და ვითომ რუსის ინტერესებისათვის მზრუნველნი, რომელთაც თითქო განგებ განიზრახეს, რომ ჩვენი ერის მომაგონებელი კი რაც რამ იყო, ფეხით გაეთელათ, დაეთრგუნათ, მოესპოთ. ამგვარ პირების წყალობით არის, რომ ჩვენ, მაგალითად, ქართველებს, თითქმის მოგვესპო ჩვენს ეკკლესიებში ჩვენს დედაენაზე ღვთის ვედრების ღონისძიება, რომ ჩვენს შვილებს უკუღმართი სწავლა ეძლევათ, რომ ჩვენს სასამართლო ადგილებში ქართული ენა აღკრძალულ ენად შეიქნა, რომ ჩვენს სულიერ მამებს სასულიერო სასწავლებლებში სლავიანურ ენას ასწავლიან და ქართულს კი არა. რომ თითქმის არავითარს და არაფერს ქართულს პატივი და გასავალი აღარა აქვს! როგორ გასაკვირველი არ უნდა იყოს, ჩვენს ქვეყანაშივე სომხებს, თათრებს, სპარსელებს აქვთ ნება თავიანთ ეკკლესიებში სამშობლო ენაზე ილოცონ, თავიანთ სკოლებში შვილებს სამშობლო ენაზე ასწავლონ და ჩვენ, ქართველებს კი ერთიც და მეორეც თითქმის სრულიად მოსპობილი გვაქვს. რად უნდა ვიყვნეთ ჩვენ ასე შერისხულნი? ორგულობა გამოვიჩინეთ როდისმე თუ ღალატი?

უეჭველია, ყველა ამას მიიღებს მხედველობაში ის კამისია, რომელიც მოგეხსენებათ, ჩვენს ქალაქში იმყოფება ამჟამად და რომელმანც, უმაღლესის მთავრობის მონდობილობით, უნდა ყოველის მხრით გაიცნოს ჩვენი ქვეყანა და წარადგინოს თავის პროექტი

იმის შესახებ — თუ რა ახალი ცვლილება და წესები ეჭირება ამ ქვეყანას და იმის ხალხს. უმაღლესი მთავრობა კარგად ჰხედავს და გრძნობს, რომ ჩვენი ქვეყნის გამგეობასა და ცხოვრებას ცვლილება, ახალი წესები ეჭირება. როგორი უნდა იყვეს ეს წესები, რაზედ უნდა დაფუძნდეს ამ საგნისათვის გამოგზავნილი კამისია, როგორ უნდა მუშაობდეს ეს კამისია — ყველა ამაზე შემდეგში მოვილაპარაკოთ.

[1882 წ.]



<უყურადღებობა ქართული ენის მიმართ>

ტფილისი, 28 სექტემბერს.

ჭეშმარიტებაა, რომ ერი ერად არ ჩაითვლება, თუ იმას თავის საკუთარი ენა არა აქვს; ერის წარმატება შეუძლებელია, თუ საკუთარი ლიტერატურა არა აქვს, რომლითაც სწავლა-განათლება ვრცელდება ამ ერში, რომლის შემწეობითაც ერი თავის თავსაც ცნობილობს და სხვა ერსაც.

ამ ჭეშმარიტების განმარტება არ ეჭირება არავის, ვისაც კი აქვს მხედველობაში რომელიმე ხალხის კეთილდღეობა, წარმატება და არა მისი დედამიწასთან გასწორება.

ამას წინად ჩვენ წავიკითხეთ გაზეთ „კავკაზში“ შენიშვნა, თათრულ გაზეთ „ზიადამ“ გარდმობეჭდილი, რომ ურიგო არ იქნება სამასწავლო ინსტიტუტში შემოიღებდნენ თათრულ ენასო, რადგანაც აქ თითოოროლა თათარიც არიან მოსწავლეებიო. ამ შენიშვნამ იქონია თავის მოქმედება ალექსანდროვის ინსტიტუტის დირექტორზე ბ-ნ კოლლოვიჩზე და დღეს, როგორც შევიტყვეთ, კიდეც დაუწესებიათ თათრული ენის სწავლება და მასწავლებლად თვით ბ-ნი „ზიას“ რედაქტორი დაუნიშნავთ.

ჩვენ არ შეგვიძლია არ თანაუგრძნოთ ამ ფრიად გონივრულს განკარგულებას, არ ვისურვოთ, რომ მას კარგი და ხანგრძლივი დღე მისცემოდეს, რომ ეს ახალი წესი სადღესსვალიო კი არა, არამედ საუკუნო ყოფილიყოს.

ეს, რასაკვირველია, ძალიან კარგი; ამით თათრებმა თავისი გაიტანეს, მაგრამ ჩვენ ქართველებმა რა დავაშავეთ? რატომ ქართულს ენას კი არ ასწავლიან ამ ინსტიტუტში?

რატომ ბ-ნი კოლლოვიჩი არ მიაქცევს ყურადღებას ამ საზოგადო ღაღადებას? ახსოვს ამას თუ არა შარშან უფროსი კლასის შაგირდების თხოვნა, რომ ინსტიტუტში ქართული ენის სწავლება შემოეღოთ? ახსოვს იმას თუ არა, რომ ზოგიერთა ამ შეგირდთაგანი გაგზავნა თ-დ რაფიელ ერისთავთან სათხოვრად, რომ მიეღო მას შრომა და ეკისრნა ამ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლობა? რამდენადაც ჩვენ დარწმუნებით ვიცით, ეს თხოვნა, (როგორც მოველოდით), დიდის სიამოვნებით მიიღო თ-დ ერისთავმა და გამოაცხადა კიდეც, თითქმის უსასყიდლოდ ვიშრომებ ამ კეთილ საქმისთვისაო. შემდეგ, როდესაც თ-დი ერისთავი მობრძანდა ბ-ნ დირექტორთან შესატყობლად შედეგისა, რა პასუხი მისცა იმან? — ჯერ ბატონი მზრუნველის ნება-დართვა არ ამიღიაო! კარგი, მას აქეთ რამდენმა ხანმა გაიარა! თუ აქ სხვადასხვა მიზეზები არ ყოფილიყვნენ (რომელნიც მარტო ბ-ნ კოლლოვიჩმა და იმისთანებმა იციან), ნუთუ ამდენს ხანს ნებართვის მიცემა ან მიღება არ შეიძლებოდა?

კარგათ მოეხსენება ბ-ნ კოლლოვიჩს, რომ ინსტიტუტი ქალაქშია და ქალაქი თითქმის შუაგული ადგილია საქართველოსი; მაშასადამე, ამ სასწავლებელში ნახევარზედ მეტი ქართველი მოსწავლეები არიან, რომელნიც შემდეგ აქ სწავლის გათავებისა, უნდა დაიფანტონ სხვადასხვა საქართველოს ადგილებში, სადაც ხალხს ქართულის ენის მეტი არა ენა არ ესმისთ. როგორ გონიათ ჩვენს პედაგოგებს, რომელს ენაზედ უნდა ელაპარაკონ მასწავლებლებმა ამ ხალხს, თუ თავისი საკუთარი, სამშობლო ქართული ენა არ ეცოდინებათ?

ორიოდე კითხვა კიდევ: თუკი ერთის შენიშვნით თქვენ დააარსეთ ინსტიტუტში თათრული ენა, რატომ ჩვენს დიდის ხნის თხოვნას კი არ დასდ[ვე]ს პატივი ქართული ენის შესახებ? და მეორე, ეღირსება ოდესმე ინსტიტუტს ქართული ენა თუ არა?

ყოველი ამგვარი ჭირი ჩვენ, ქართველებისათვის, ბ-ნო კოლლოვიჩო, თქვენისა და ბევრი სხვა თქვენებიანთაგან არ ახალია, ძველია.

ამასთანავე ძნელიცაა, მაგრამ ჩვენ გაძლებაც ვიცით და ღმერთს მხოლოდ ერთსა ვსთხოვთ: რომ სხვა უარესისაგან გვიხსნას!..

[1882 წ.]



ბათომის სკოლის თაობაზედ

ტფილისი, 19 ნოემბერს.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ჩვენგან დაშორებულ ბათომის ქართველების ხელ-ახლად დაძმობილებისათვის ერთი საუკეთესო საშუალება არის, უეჭველია, სკოლა.

ეს ჭეშმარიტება კარგად გაიგო ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ და ბათომის მხრის რუსეთთან შემოერთებისათანავე გახსნა იქ სკოლა.

საუბედუროდ, ამ სკოლის საქმე იმთავითა როგორღაც რიგიანად და სასურველად არ მიდიოდა. მაჰმადიან ქართველებმა თითქო ეჭვით და განზე დაუწყეს ამ სკოლას ყურება: თავიანთ შვილებს არ აბარებდნენ იქ გასაზრდელად. სკოლა გაივსო დროებით იქ მისულ იმერლებ-გურულებ-მეგრელების შვილებით და ამნაირად სკოლა თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ ასრულებდა.

მაგრამ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მაინცდამაინც იმედი არ ეკარგებოდა, რომ ჩვენი მოძმე მაჰმადიანი ქართველები ადრე თუ გვიან გაიგებდნენ ქართულ სკოლის საჭიროებასა და სარგებლობას, დაინახავდნენ, რომ სკოლას მხოლოდ ერთი განზრახვა აქვს — სწავლა და ყმაწვილების აღზრდა — და გულღიად მიანდობდნენ იმას თავის შვილებსა.

გავლილ მაისში, „წერა-კითხვის საზოგადოების“, წლიურ კრების დროს, ზოგიერთი პირები აღმოჩნდნენ, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ბათომის სკოლას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო, შინ რომ მიცვალებული გყავდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო (თითქო ბათომის ქართველები იგივე ქართველები არ არიან, როგორც ქართლ-კახეთისა, იმერეთისა და სხვ.), უმჯობესიაო სადმე ჩვენში გავხსნათ სკოლა და იქ დავხუროთო და სხვ. და სხვ.

საზოგადო კრება არ დათანხმდა მაშინ ამ წინადადებაზე და არა თუ ბათომის სკოლის დახურვა გადაწყვიტა, თუ შეძლება გვექნება, კარგი იქნებაო, ერთი სკოლა შავშეთში ან სხვაგან სადმე ბათომის მაზრაში კიდევ გავხსნათო.

დღევანდელს ნომერში დაბეჭდილი განაჩენი ბათომის ბეგებისა გვიმტკიცებს, რომ ის ზოგიერთი პირები, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ ბათომის სკოლისა, ტყუოდნენ და საზოგადო კრება კი გონივრად მოიქცა.

ჩვენი მკითხველი, უეჭველია, წაიკითხავდა ამას წინად ჩვენს გაზეთში (№ 238) დაბეჭდილ ბათომის კორრესპონდენციას იმავე საგნის შესახებ, რაზედაც ქვემომოყვანილი განაჩენია დაწერილი. გაიგებდა, რომ ბათომის ბეგებს, ჩვენს მოძმე მაჰმადიან ქართველებს გარდაუწყვეტიათ, პირობა დაუდვიათ და ამ გარდაწყვეტილებას აცნობებენ „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომ თქვენს სკოლაში მივცემთ შვილებსაო და ნივთიერადაც დაგეხმარებით ამ სკოლის რიგიანად გასამართავადაო.

ჩვენ შევიტყეთ, რომ „ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა ერთს თავის წევრს გზავნის ამ დღეებში ბათომში ამ საქმის რიგიანად მოსათავსებელად.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. სასიამოვნოა, ჩვენგან დაშორებულ ძმებმა ისევ ჩვენთან ძმობის სურვილი რომ გამოაცხადეს და საქმითაც ამტკიცებენ ამას, არა მარტო სიტყვით. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ ეს საქმე კეთილად და ყველა ქართველისათვის სასურველის წარმატებით შესრულებულიყოს.

[1882 წ.]



ბათომი და ბათომელები

ტფილისი, 8 დეკემბერს.

ამ სტრიქონების დამწერმა რამდენიმე დღე დავყავი ამ უკანასკნელ დროს ბათომში და მსურს ჩემი შთაბეჭდილება, რაც ვნახე და რაც გავიგონე, მკითხველს ვაცნობო. იმედი მაქვს, ეს ნახული და გაგონილი საინტერესო იქნება ჩვენებურ მკითხველისათვისაც.

პირველად მე ვნახე ბათომი იმ დღეს, რა დღესაც ის რუსებმა დაიჭირეს (26 მარიამობისთვეს 1878 წ.) ეს იყო ის დღე, როდესაც ოსმალოს მთავრობა და ჯარი თავის დერვიშ-ფაშით სტოვებდნენ ამ ქვეყანას და მაგივრად, შიგ რუსის ჯარი და რუსის მთავრობა შედიოდა.

მთელი ქალაქი, მთელი ეს მხარე არეული იყო მაშინ; არ იცოდნენ — როგორ მიგებებოდნენ, როგორ დახვედროდნენ რუსებს; არ იცოდნენ — დღეს რა იქნებოდნენ და ხვალ რა მოელოდათ რუსების ხელში. ამიტომაც ბევრმა მაშინვე გადაწყვიტა თავის მამაპაპეულ მიწა-წყლის და ადგილ-მამულის მიტოვება და მიატოვა კიდეც, გაჰყვა მიმავალ ოსმალოს ჯარს. მომეტებული ნაწილი კი, რასაკვირველია, დარჩა. მაგრამ ეს დარჩენილებიც იმ მოსაზრებით დარჩნენ, რომ ჯერ სამი წელიწადი კიდევ ვადა გვაქვსო, ვნახავთ, შევიტყობთ და თუ ვერ მოვთავსდით რუსობასთან, მერეც შეგვიძლია წასვლაო.

მაშინდელი ბათომი ახლანდელს გორზე უფრო პატარა და უშნო ქალაქი იყო. ორ-სამ რიგიან სახლს ვერ ნახავდით; ტალახიანი, ოღრო-ჩოღროიანი, ბნელი ქუჩები, აზიური ბაზარი და სხვა, როგორც საზოგადოდ აღმოსავლეთის პატარა ქალაქს შეჰფერის.

ერთის წლის შემდეგ კიდევ მომეცა შემთხვევა ბათომის ნახვისა.

რუსის მთავრობა დამკვიდრებული იყო. ხალხში აქა-იქ თავის ბედზე უკმაყოფილება და გაჭირებულ მდგომარეობაზე ჩივილი ისმოდა — ომიანობამ თავის ნაყოფი მოიტანა. ზოგიერთ მაზრებში ხალხი შიმშილით სწყდებოდა.

მაგიერად თვითონ ქ. ბათომში უჩვეულებრივი მოძრაობა ჩნდა: გაჩენილიყვნენ უანგარიშო პირნი, უცხო ქვეყნებიდამ მოსულნი, რომელნიც ამ ახლადდაპყრობილ ქვეყანაში ხელის მოთბობას, ჯიბის გავსებას ჰლამობდნენ და მეძებარ ძაღლებივით იშვერდნენ ხან იქით და ხან აქეთ ცხვირს — საიდამ მოდის ფულის სუნიო.

ერთი გაუწყნარებელი, გახურებული ძებნა და ტაცება იყო მაშინ ბათომში თავისუფალ ადგილებისა; ვინც არ გინდა, მამულს იძენდა, სახლების აშენებას ჰფიქრობდა.

ადგილობრივი ხალხი ყველა ამას ხედავდა და ჰფიქრობდა... მაგრამ რას ჰფიქრობდა, ამას ყველა უჩვენოდაც ადვილად მიხვდება.

დღეს მესამედ ვიყავი ბათომში.

პირველი ჩემი შთაბეჭდილება იყო, რომ ეს „გავსილა, გაზრდილა“, როგორც გ. ერისთვის იმერელი ამბობს. მართლაც გარეგანი შეხედულობით დიდი განსხვავებაა მაშინდელს და ახლანდელს ბათომს შუა. სად ახლანდელი ორ-სამ და ოთხ-ეტაჟიანი უზარმაზარი ქვითკირის სახლები და სასტუმროები და სად მაშინდელი მინგრეულ-მონგრეული ხის ქოხები და უწმინდური ყავახანები. სად ახლანდელი ნამდვილ ევროპიული მდიდარი მაღაზიები, რომლებშიაც მგონი ჩიტის რძესაც კი იშოვნის კაცი და სად მაშინდელი დუქნები, რომლებშიაც მუხლმოკეცილი ბათომელი ორიოდ თოფ ტრაპიზონის ჩითეულობით ვაჭრობდა. ქუჩები ახლაც მართალია სანატრელს მდგომარეობაში არ არის, მაგრამ აქა-იქ ღამით ფანრები მაინც ანთია. საცა არ გაიხედავთ, ყველგან ახალი შენობები გაუშენებიათ ან

აშენებენ. მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს, ჰმართვენ, ქალაქი „გაპლანულია“, ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნავთსადგურის გაფართოებას აპირებენ, რკინისგზა გაჰყავთ და სხვ. და სხვ.

ეს გარეგნი შეხედულობით, ერთის თვალის გადავლებით. ამ მხრით, ვისაც ადრე, ოსმალოს ხელში უნახავს ბათომი და ახლაც ჰხედავს, ყველა დარწმუნებით იტყვის, რომ ამ ქალაქს დიდი მომავალი აქვს, კარგი ბედი მოელისო.

საუბედუროდ, სურათი იცვლება, როცა ცოტათი მაინც დავაკვირდებით აქაურ ხალხს, აქაურ ცხოვრებას და გარეგან შეხედულობიდამ ხალხის ცხოვრების, იმის მდგომარეობის განხილვაზე გადავალთ.

მაგრამ ამაზე შემდეგ.

ტფილისი, 9 დეკემბერს.

დიდი დაკვირვება აქაურ ხალხის ცხოვრებისა და გამჭრიახე გონება არ არის საჭირო, რომ ერთი დასკვნა გამოიყვანოთ: ბათომის ხალხი — მე ვამბობ ადგილობრივ ხალხზე და არა მოსულებზე — ხალხი არ არის კმაყოფილი თავის ახლანდელ მდგომარეობისა.

ამ უკმაყოფილებას არც მალავენ. პირდაპირ ამბობენ: — რასაც მოველოდით, არ აგვისრულდაო. ახლანდელი ბათომის სამხედრო გუბერნატორი ბ. სმეკალოვი რომ ჩასულიყო პირველად ბათუმში, ბეგები და საზოგადოთ ადგილობრივი გავლენიანი პირები მოეპატიჟნა და ეკითხნა იმათთვის:

— კმაყოფილნი არიან ისინი ახლანდელ თავის მდგომარეობისა, თუ არა?

— რატომ არა, კმაყოფილნი ვართო, — ეპასუხნა ერთს ბეგს, — ჯერ-ჯერობით ღვთით სული გვიდგია კიდევ და ერთი კარგი რამ ვისწავლეთ თქვენგან...

— რა ისწავლეთო ? — ჰკითხა, ბ. სმეკალომა.

— „ზავთრა“ ვისწავლეთო. — უპასუხა ბეგმა.

ბ. სმეკალოვს სიცილი დაეწყო ამგვარ ბეგის მახვილობაზე და ეთქვა — ვეცდებიო, რომ ეგ სიტყვა დაგავიწყოთო.

— ალლახმა ინებოს, რომ „პოსლე ზავთრა“ არ გვესწავლოს თქვენს ხელშიო! — უპასუხა თურმე იმავე ბეგმა.

მაგრამ ეს იმათი საქმეების დაგვიანება და საზოგადოდ ბიუროკრატიული წესების შემოღება ამ ქვეყნის გამგეობაში როდია მარტო ერთი მიზეზი ხალხის უკმაყოფილებისა.

მართლაც, სადაც არ გაიხედავთ ბათუმში, ყველგან ჩინოვნიკების სახლებს და ადგილებს დაინახავთ. ვერ გაგიგია — საიდამ და როგორ შეიძინა იმდენი ფული რომელმამე წვრილ ჩინოვნიკმა, რომელსაც წელიწადში, ექვსას-შვიდასი ან ათასი მანეთი ჯამაგირი ეძლევა, რომ ამ ფულით თვითონაც ცხოვრობს, ცოლ-შვილსაც არჩენს და კიდევ ადგილ-მამულს იძენს და ორსართულიან სახლებსაც კი იშენებს!

საინტერესო იქნებოდა, რომ ვისმე შეეგროვებინა ცნობები — რამდენი სახლი ეკუთვნის ბათუმში იქაურ ჩინოვნიკებს, რამდენი ღირს თითო ამ სახლთაგანი და რამდენი ჯამაგირი აქვთ წელიწადში ამ სახლის მეპატრონეებს...

რას უნდა ჰფიქრობდნენ ამაზე ადგილობრივი მცხოვრებნი? რა სიკეთეს უნდა შეყროდა ამგვარ პირებისაგან ხალხი, რომლის ბედსაც ისინი განაგებდნენ, რომელთანაც პირდაპირ კავშირი და დამოკიდებულება ჰქონდათ?

— რაც გონჯი ხალხი იყო, ის გამოგვიგზავნეთო, — მითხრა ერთმა პატივცემულმა პირმა, როდესაც ადგილობრივ მოხელეებზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

საუბედუროდ, ამ „გონჯაი“ მოხელეებში ზოგიერთი ქართველებიც ერივნენ და, მე მგონია, ამათის წყალობით არის, რომ ისინი ისე დაუნდობლად, ასე განზე გვიყურებდნენ, რომ იმათ ჩვენი არა სჯეროდათ და ჩვენს ძმობაზე თითქმის უარს ამბობდნენ. დიდის სიამოვნებით შევნიშნე, რომ დღეს ეს დაუნდობლობა თანდათან ისპობა და დღე-დღეზე რწმუნდებიან იქაურები, რომ იქაურ ქართველ ჩინოვნიკებს გარდა, უკეთესი ქართველები კიდევ მოიპოვებიან და ამათთან ძმობა და ერთობა ორივე მხრისთვის საჭირო და სასარგებლოა.

სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვა, რომ აქაურ ქართველ მოხელეებში რამდენიმე ისეთი კეთილსინდისიანი და გონიერი პირებიც ურევიან, რომელნიც რიგიანად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ადამიანურის თვალით და არა ისე, როგორც მეწველ ძროხას, უყურებენ ადგილობრივ ხალხს.

განსაკუთრებით უჩივის ხალხი ადგილ-მამულის საქმეების დახლართვას და არევ-დარევას, მართლაც, თითქმის მომეტებული ნაწილი ბათომისა და იმის მაზრის მამულებისა სადაოდ გადაქცეულა... ყველას დავიდარაბა აქვს, ყველას ედავებიან, ყველას სასამართლოებში გაუჩნდა საქმე. და რადგან ახალ წესებს, რუსის სამართალს არ არიან გაცნობილნი, ბევრი სამართლიან საქმეს აგებს. საადგილმამულო კამისია იყო იქ დაწესებული და თითქმის ორი წელიწადი მუშაობდა ამ საგნის გასარკვევად, მაგრამ ამ კამისიას იმდენი დაბრკოლება დახვდა წინ, რომ რაც უფრო არ არია საქმეები, არა გაურკვევიათ-რა. ახლაც მუშაობს რაღაც კამისია, რომელმანც ჯერჯერობით იმით იჩინა თავი, რომ რაც ადრინდელმა კამისიამ ადგილ-მამულები დაარიგა და დაუსაკუთრა, ის ამან ჩამოართვა და საქალაქოდ ჩარიცხა.

აქაურ მომრიგებელ მოსამართლეზე თითქმის ყველა კმაყოფილნი არიან; მაგრამ აქაც იმას სჩივიან, რასაც თითქმის ყველგან ჩვენს მხარეში; მოსამართლეს (რუსია) ჩვენი არა ესმის-რა და ჩვენ იმისიო.

„მუხაჯირების“ (გადასახლებულების) თაობაზე დიდის სიამოვნებით შევიტყე, რომ ამჟამად ოსმალეთში გადასახლებას თითქმის აღარავინ აღარ ჰფიქრობს. და არა თუ დარჩენილები აღარ ჰფიქრობენ გადასვლას, არამედ ვინც გადასულან, იმათაც ისე გაჭირებიათ იქ საქმე, ისე შეწუხებულები არიან თურმე, რომ შეძლება რო ჰქონდეთ, დიდის კმაყოფილებით დაბრუნდებიან ისევ თავიანთ მამა-პაპის ქვეყანაში.

ორიოდე სიტყვაც აქაურ ხალხის ხასიათზედაც.

ბათომის მაზრის ადგილობრივი ხალხი თითქმის არაფრით არ განირჩევა ნამდვილ ქართველებისაგან. იგივე გულუხვობა და გულღიაობა, იგივე მხნეობა და სიმარჯვე, იგივე პურმარილიანობა და სტუმართმოყვარეობა, საუბედუროდ იგივე მცონარეობა და ხანდისხან სიზარმაცეც, განსაკუთრებით კეთილშობილებში. ზოგიერთები თითქმის მთელ დღეებს ყავახანებში აღამებენ და ვისაც იმათი ნახვა უნდა, ან საქმე აქვს რამე, აქ უნდა მოვიდეს. შინ კი მხოლოდ სალოცავად მიდიან და პურის საჭმელად. აქ, ამ ყავახანებში სწყვეტენ ისინი ყველა საზოგადო და კერძო საქმეებს; აქ ხშირად გაცხარებული ბაასი ტყდება ქვეყნის საქმეებზე, აქ მასლაათობენ, ზღაპრებს ამბობენ, ქაღალდს თამაშობენ და სხვ. და სხვ.

მტკიცედ დაცვა მაჰმადის რჯულისა, ქალების ჩაკეტა და ეს ყავახანური ცხოვრების სიყვარული — ეს სამი ცვლილება შევნიშნე მე ამათში, სამი ცვლილება, რომელიც ოსმალოს მფლობელობას მოუხდენია. ყველა დანარჩენის მხრით ესენი ახლაც ისეთი ნამდვილი ქართველები, გულით და სულით ივერნი დარჩენილან, როდესაც ოსმალომ დაიპყრა იმათი ქვეყანა და ძმა ძმას მოაშორა.

ჩვენდა სასიამოვნოდ და სანუგეშოდ, ახლა ისინი იგონებენ და თანდათან აღვიარებენ ამ დაკარგულ ძმობას. ჩვენი აქაურ ქართველების სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს ძმური სიყვარულის გრძნობა ნამდვილად, მტკიცედ გაღვიძებულიყოს ჩვენს შორის და მტკიცედვე დამკვიდრებულიყოს.

[1882 წ.]



საახალწლო

ტფილისი, 31 დეკემბერს.

— „ღმერთმა მრავალ ამ დღეს დაგასწროსთ ბედნიერად და კარგად“!

ეს ძველი, მამა-პაპური სალამი და მილოცვა, ხშირად არ სჭირებია ისე ჩვენს მკითხველებსა კერძოდ და საზოგადოდ მთელს ჩვენს საზოგადოებას, როგორც დღეს ეჭირება. ვინ არ ჰნატრობს, მართლა, ახლა „ბედნიერად“ და „კარგად“ ყოფნას? განა ბევრი მოიპოება ჩვენში ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს თქმა: — „მე ბედნიერი ვარ და კმაყოფილიო“! არა მგონია და ამიტომაც ამ ძველს, გაცვეთილს მოლოცვასა და ნატვრას დღეს, ჩვენის აზრით, უფრო მომეტებული ძალა და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოდესმე ჰქონია.

რაღაც გვაწუხებს, რაღაც გვადევს გულზე ლოდივით, დამძიმებულ სუნთქვას ვგრძნობთ, და ამისაგან განთავისუფლებას, ხსნას ყველა ახალ წელიწადში, შემდეგში მოველით.

ეს ყოველთვის ასეა ხოლმე: დიდის სიხარულით ვისტუმრებთ ძველს, მიხრწნილს წელიწადს; ვხედავთ და ვგრძნობთ, რომ იმან, არათუ არ აგვისრულა ის იმედები და ნატვრანი, რასაც იმისაგან მოველოდით, არამედ რაც სიკეთე ხელში გვეჭირა, რაც ბედნიერება გვქონდა, თითქმის ისიც კი გაგვინახევრა და წაგვართვა.

ამიტომაც გვიხარიან, როდესაც ძველს წელიწადს იმ უფსკრულში ვისტუმრებთ, რომელსაც ჟამს, დროებას ეძახიან.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ახალ წელიწადს ჩვენ მაინც ისეთის იმედითა და სიყვარულით მოველით, როგორც შეყვარებული თავის სატრფოს მოელის ხოლმე; წელს გამოიცვლება ჩვენი ცხოვრებაო, ვფიქრობთ ჩვენ, წელს აგვისრულდება ის ნატვრა, რომლის შესრულებას დიდი ხანია მოველითო, წელს განგვიხორციელდება ის იმედი, რის განხორციელებასაც მთელს ჩვენს სიცოცხლეში ვნატრობთო და სხვ.

საუბედუროდ, ხშირად, როგორც ძველი წელიწადი, ისე ესეც უნუგეშო და უნაყოფო მიდის და ჩვენ კიდევ ძველის იმედითა და ნატვრით ვრჩებით.

ესეთია კაცის ბუნება და, ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ეს ბუნება ადამიანისა, ეს მუდამ იმედის ნუგეში მოჰკლებოდეს იმას; მაშინ ბევრისთვის სიცოცხლე სიცოცხლედ არ ჩაითვლებოდა.

ამ განვლილ მძიმე წელიწადებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია ჩვენის საზოგადოებისათვის. ერთი სანუგეშო მოვლენა შევნიშნეთ ამ ჩვენს საზოგადოებაში და მოვლენა ზემოხსენებულ მძიმე წელიწადების ნაყოფად და ნაშობად მიგვაჩნია. ეს სანუგეშო მოვლენა მდგომარეობს შემდეგში:

თითქმის ჩვენში ვერ იპოვნით, რომ თავის მდგომარეობაზე, თავის თავზე და ბედ-იღბალზედ არ ჰფიქრობდეს, ყველას ზრუნვა, დაფიქრება ეტყობა სახეზედაც, მოქმედებაშიაც, ცხოვრებაშიაც. ადრინდელი განთქმული უზრუნველობა და უდარდელობა ქართველის კაცისა თანდათან ისპობა; ქართველმა დაიწყო ფიქრი იმაზედ, თუ ვინ არის ის, რა არის, რა მდგომარეობაშია დღეს და რა მოელის ხვალ.

ეს მოვლენა, კარგად შენიშნული და განმარტებული დღევანდელს ჩვენს „საახალწლო საუბარში“, პირველი ნიშანია ჩვენის ერის გამოღვიძებისა და წარმატებისა. „გამოიცან შენი თავიო“! ამბობს ძველი საბერძნეთის ბრძენთა ბრძენი ფილოსოფოსი სოკრატი. ჩვენ ვცდილობთ ახლა ჩვენი თავის, ჩვენი ვინაობის და რაობის გამოცნობას და როცა დავინახავთ, გამოვიცნობთ, რომ დღევანდელს ჩვენს მდგომარეობას ბევრის მხრით შველა, დახმარება, განკარგება და გაუმჯობესება ეჭივრება. უეჭველია, ამ გზას დავადგებით და მაშინ უკეთესი მომავალიც მოსალოდნელია.

[1882 წ.]

1883 წელი



გავლილი წელიწადი ევროპაში

ტფილისი, 4 იანვარს.

ბედნიერი წელიწადი არ იყო გავლილი 1882 წელიწადი ევროპისათვის. ომით დაიწყო და თოფის წამლის სუნით გათავდა. ბევრი წარჩინებული პირი, მეცნიერებისა და საზოგადო თუ პოლიტიკურ ცხოვრების წინწამწევი, მოაკლდა ამ წლის განმავლობაში ევროპას და, მაშასადამე, მთელს ქვეყანას.

პირველი თოფი ეგვიპტეში გავარდა. მამულისშვილმა არაბი-ფაშამ განიზრახა თავის ქვეყნის დახსნა უცხო ტომის ხალხის (განსაკუთრებით ინგლისის) გავლენისა და ბატონობისაგან. ეს განზრახვა, ეგვიპტის საუკეთესო ძველ ქალაქის (ალექსანდრიის) დანგრევითა და თვითონ არაბის დამარცხებითა და შემდეგ თავის ქვეყნიდამ განდევნით გათავდა. ინგლისმა კი უფრო მაგრად ჩაავლო კლანჭები ეგვიპტეს.

ამგვარივე საქმე ჩაიდინა საფრანგეთმა თუნისში. აქაც რაღაც უბრალო მიზეზით ასტყდა ომი და ფრანცუზის ჯარებმა დაიმორჩილეს თუნისის ბეი. ახლა მადაგასკარის კუნძულს უღრჭენს კბილებს საფრანგეთი; ამ პატარა სახელმწიფოს დაპყრობაც ჰსურს.

მთელი გავლილი წელიწადი გაზეთებში თითქმის გაუწყნარებელი ლაპარაკი იყო ხან გერმანიასა და რუსეთს შორის დაკავშირებაზედ, ხან გერმანიასა და ავსტრიას შორის; ხან საფრანგეთსა და ინგლისს შუა უკმაყოფილებაზე და კავშირზე; იტალიასაც ხან ერთს სახელმწიფოს მიუკედლებდნენ, ხან — მეორეს.

ყველა სახელმწიფო მეგობრებს ეძებს; ყველა ძალისა და ჯარების შემატებას ცდილობს, ყველა საომრად ემზადება.

ეს საზოგადო მოვლენაა ახლანდელ დაუდგრომელ დროში.

ისეთი წყობილებაა ამჟამად ევროპაში, ისეთი წესები ჰსუფევს, ხალხთა შორის ისეთი უსამართლო და უსწორმასწორო დამოკიდებულებაა, რომ, ათასიც იყვირონ და იქადაგონ ფილანტროპებმა, რომ ომი და სისხლისღვრა მხეცობაო, — უომოდ, უბრძოლველად, სისხლის დაუღვრელად ახლანდელი ქვეყანა ვერ მოთავსდება. სანამ ერთი მეორისაგან დაჩაგრულია, მანამ მშვიდობიანობას არავინ არ უნდა მოელოდეს.

რასაკვირველია, სამართლიანობის დრო თანდათან ახლოვდება; კაცობრიობაში თანდათან იდგამს ფესვს ის აზრი, რომ ყველა ადამიანი ერთნაირის ბედნიერებისათვის არის გაჩენილიო, ყველას ერთი უფლება უნდა ჰქონდესო; მაგრამ, სანამ ის დრო მოაწევს, როდესაც ამგვარი აზრი განხორციელდება და ხალხთა და კაცთა შორისი სამართლიანობა დამკვიდრდება, მანამ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ბევრს ზარბაზნის ხმას გავიგონებთ, ბევრ ტირილსა და ვაი-ვაგლახს ვნახავთ.

ამ მხრით საგრძნობელია კაცობრიობისათვის იმისთანა კაცის სიკვდილი, როგორც შარშან მიცვალებული გარიბალდი, რომელმანც მთელი თავის შესანიშნავი ცხოვრება თავის ქვეყნის განთავისუფლებასა და ერის წარმატებას შესწირა. ამგვარ კაცების ცხოვრებასა და მოღვაწეობას ტყუილად კი არ ადარებენ ქვეყნის მანათობელ და გამთბობელ მზეს: როგორც მზე ქვეყანას, ისე გარიბალდისთანა კაცები უნათებენ ადამიანს ერთობ გამშრალ-გაციებულ გრძნობას და უჩვენებენ იმას ნამდვილ გზას წინმსვლელობისა და წარმატებისას.

გამბეტტას სიკვდილიც გავლილ წლის შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. რაც უნდა იყოს, საფრანგეთი მაინც მთელი ევროპის მოწინავე ქვეყნად არის ცნობილი და, თუ გამბეტტას სიკვდილმა იმას რაიმე უბედურება მოუტანა, თუ იმის პოლიტიკური ცხოვრება შეაფერხა, ეს უეჭველია, იქნება შეფერხება მთელის ევროპის პოლიტიკურ ცხოვრების წარმატებისა.

ამას კარგად მიხვდა ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“, რომელიც უბრალოდ სიტყვის სროლას არ არის ნაჩვევი, და რომელმაც გამბეტტას სიკვდილის თაობაზედ სთქვა, რომ ამ გარემოების შედეგი — ევროპის სახელმწიფოების თანასწორობის დარღვევა იქნებაო.

და ეს ადვილად შესაძლებელია, თუ წარმოვიდგენთ, ერთის მხრით, გამბეტტას პოლიტიკურ პლანებს (რუსეთთან და ინგლისთან დაახლოვება გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად) და, მეორეს მხრით იმასაც, რომ ევროპის თითქმის არც ერთს სახელმწიფოს არ მიუღწევია ჯერ ისეთს პოლიტიკურ ცხოვრებამდინ, რომ იმის რომელიმე გავლენიან ერთის კაცის სიკვდილს ხშირად მთელს იმის ბედზე და მომავალზე არა ჰქონდეს გავლენა.

[1883 წ.]



გავლილი ფელიფადი
რუსეთში

ტფილისი, 5 იანვარს.

პოლიტიკურის მხრით შარშანდელ რუსეთის მდგომარეობა „გამოუკვლეველ მდგომარეობად“ უნდა ჩაითვალოს. ახლანდელის იმპერატორის გამეფებისთანავე გავარდა ხმა, რომ იმპერატორი ალექსანდრე მესამე საფრანგეთის თანამგრძნობად ითვლებაო, ამის გამო მოსალოდნელიაო, რომ რუსეთი და საფრანგეთი მეგობრულის კავშირით დაუახლოვდებიან ერთმანეთსაო.

მაგრამ ეს იმედი გამტყუვნდა; თუმცა ახალს იმპერატორს საფრანგეთის მტერობა არაფერში არ აღმოუჩენია, მაგრამ ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ იმის თანაგრძნობა და სიმპატია ჯერჯერობით უფრო გერმანიას ეკუთვნის, თუმცა ცხადი მეგობრული კავშირი რუსეთს ჯერ არც ერთს სახელმწიფოსთან არა აქვს შეკრული.

„გამოუკვლეველი მდგომარეობა“ რუსეთისა გამოიხატება უფრო შინაგან საქმეების გამგეობაში. წესდება ახალი კამისიები ყოველ უწყებაში ცვლილებათა შემოსაღებად, სამინისტროები და „მცოდნე პირთა“ რჩევანი სჯიან რეფორმების შესამუშავებელად. მმართებლობის წრეებში ყოველგან გაცხარებული მუშაობაა. მაგრამ გაკვლეულს გზაზედ ჯერ კიდევ ვერ დავმდგარვართ; შემდეგში მოველით მთავრობის ცხადს პროგრამას.

ჯერ კი ცხადი და გაკვლეული მხოლოდ ერთი მოვლენა გამოაშკარავდა რუსეთის შინაგან ცხოვრებაში: გასაშტერებელ და თითქო გადამდებ სენად გარდაქ-

ცეული ტაციობა, ჭამა სახაზინო ფულებისა სხვადასხვა ჩინოვნიკებისაგან და ბანკების გაკოტრება. მთელი გავლილი წელიწადი ტელეგრამა ისე არ წაუკითხავს ჩვენს მკითხველს, რომ ერთი ბანკის გაკოტრების ანუ რომელიმე ჩინოვნიკისაგან სახელმწიფო ფულების შეჭმის და გაქცევის ამბავი მაინც არ ამოეკითხოს. დამაგვირგვინებლად ამგვარ ამბებისა შეიძლება მოვიყვანოთ ამბავი სკოპინის საქალაქო ბანკისა, რომლის გამგებლებმაც ცამეტი მილიონი მან. ქვეყნის ფული შესჭამეს.

დასაფიქრებელია ეს მოვლენა რუსეთის ცხოვრებისა, თითქო არავის აღარ ესმის, რომ სახელმწიფო ხაზინა იგივე სახალხო ხაზინაა; თითქო სინიდისი, მამულისშვილობა, პატიოსნება გაუგებარ საგნებად შეიქნა, ისე მოქმედობენ. მომავალი ისტორიკოსი რუსეთისა, უეჭველია, დაფიქრდება ამ თითქმის საზოგადო მოვლენაზედ და სანუგეშო დასკვნას არ გამოიყვანს აქედამ.

ამ უკანასკნელ დროს გრაფ ტოლსტოის დანიშნვამ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრად ცოტაოდენი ფერი მისცა მთავრობის მიმართულებას. ეს მიმართულება ჯერ-ჯერობით იმით გამოცხადდა, რომ ზოგიერთ რუსულ გაზეთებს, მაგ. „გოლოსს“, „რუსკი კურიერს“, „მოსკოვის ტელეგრაფს“, რომელნიც ლიბერალურ ბანაკის გაზეთებად ითვლებიან, ცოტა არ იყოს ფრთები შეაკვეცეს და ძველებურის სითამამითა და თავისუფლებით წერის ნება მოუსპეს.

მთელი რუსეთი გრძნობს ახლა ამ „გამოუკვლეველ მდგომარეობას“ და დღე-დღეზე მოელიან, რომ ეს მდგომარეობა გათავდება და ერთს გარკვეულს გზაზე დადგება ხალხის ცხოვრება...

[1883 წ.]



გამბეტას დამარხვა

ტფილისი, 8 იანვარს.

ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენია ის დიდება და პატივისცემა, რომლითაც გამბეტა დაუმარხავს საფრანგეთის ხალხს, ორას ათასზე მეტი ხალხი გაჰყვა იმის კუბოს; რვა ვერსზე პარიჟის ქუჩები გაჭედილი იყო მაყურებლებითა; ქალაქი და თვით სოფელიც არ დარჩენილა თითქმის საფრანგეთში, რომ თავის წარმომადგენელი არ გამოეგზავნოსთ ამ დასაფლავებაზედ დასასწრებლად; სამი კარეტა მარტო გვირგვინებითა და თაიგულებით იყო სავსე. უცხო ხალხი, რომელსაც თვალითაც არ ენახა თავის დღეში მიცვალებული და რომელიც საქმითა და სიტყვით იცნობდა იმას, ცხარე ცრემლით სტიროდა, ქვითქვითებდა; ყოველის მხრიდამ, უცხო ქვეყნებიდამ, ამერიკიდამაც კი უანგარიშო ტელეგრამები მოუვიდა იმის მოხუცებულ მამას, მეგობრებსა, იმის გაზეთის რედაქციას და თავის მწუხარებასა და თანაგრძნობას აცხადებენ ამ უბედურებაში. ერთის სიტყვით, ამბობენ, არც ერთი ხელმწიფე და არც ერთი კერძო დიდებული პირი არ დამარხულა ჯერ ამისთანა დიდებითაო; გაზ. „გოლოსის“ პარიჟელი კორესპონდენტი სწერს: ამისთანა არა მინახავს რა და ათასი წელიწადიც ვიცხოვრო, მგონი მაშინაც ვერა ვნახო რაო.

რას მიეწერება ამისთანა პატივი, ამისთანა დიდებით დამარხვა ერთის უბრალო მეწვრიმალე ვაჭრის შვილისა?

ამის პასუხი ადვილია, თუ წარმოვადგენთ — ვინ იყო და რა იყო ეს უბრალო ვაჭრის შვილი.

ის გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე იმ დროს, როდესაც საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ მესამის წინააღმდეგ ვერავინ ხმის ამოღებას ვერ ჰბედავდა; გამოვიდა და პირველი თამამი სიტყვა იმან სთქვა; პირველად იმან გაბედა თქმა, რომ ნაპოლეონმა თავის გაიძვერა ამალით, მოტყუილებითა და გაიძვერობით ჩაიგდო ხელში საფრანგეთის ხალხი.

შემდეგ, როდესაც პრუსიასთან ომი ატყდა და დამარცხებულს საფრანგეთს ბისმარკი და მოლტკე ფეხქვეშ სთელავდა, კიდევ იგივე გამბეტა აღმოუჩნდა საფრანგეთის ხალხს სახელისა და პატივის დამცველად; იმის ენერგიულ მოქმედებისა და განკარგულების წყალობით, ახალი ჯარები მოგროვდა, ახალის ხალისით შეებნენ მტერს და ხუთ თვეს კიდევ ებრძოლეს.

ომის შემდეგ გამბეტა საპოლიტიკო ასპარეზზე წამოდგა და აქაც ის გამჭრიახობა და ენერგია აღმოიჩინა, რაც ომამდინ და ომის დროს. იმის თაოსნობასა და გამჭრიახობას მიეწერება, თუ დღეს საფრანგეთში თავისუფლება და რესპუბლიკა არის დამყარებული; იმის მხნეობასა და შორსმჭვრეტელობას უნდა უმადლოდეს საფრანგეთის ხალხი, თუ ვერცერთმა ადრინდელ მეფეების შთამომავალმა დღემდინ ვერ ჩაიგდო ხელში საფრანგეთის ტახტი, იმის ენერგიას უნდა მივაწეროთ, თუ საფრანგეთის ხალხში რესპუბლიკის სიყვარული და თანაგრძნობა აღიძრა.

თვით გამბეტას მტრებიც კი აღიარებენ ყველა ამას და ამიტომაც ყველაზე უფრო ის სძულდათ, ყველაზე უფრო იმის ეშინოდათ.

ახლა, როდესაც ის აღარ არის, როდესაც ეს რესპუბლიკისა და თავისუფლების უძლიერესი სვეტი ძირს დავარდა, ახლავე წამოჰყვეს თავი ტახტის მაძებრებმა: ტელეგრამით გაიგებდით პრინცის ჟერომ ნაპოლეონის მანიფესტის ამბავს. გამბეტას სიცოცხლეში ეს ბატონი ამას ვერ გაბედავდა; ეს დარაჯი საფრანგეთის ერის თავისუფლებისა ამგვარ ხალხს თავის მოხერხებულ მოქმედებითა და ენერგიით მხნეობას უკარგავდა და ამგვარ სურვილებს გულშივე უკლავდა.

გამბეტა იყო საუკეთესო მამულისშვილი ახლანდელ საფრანგეთისა; ეს სახელი დაუსაკუთრეს ახლა იმას უკვე, სახელი დიდებულ პატრიოტისა.

და, აი, ამით აიხსნება ის დიდება და პატივი, რომელიც მიცვალებულს უძღვნეს, ბედნიერია მამულისშვილი, რომელსაც ამისთანა დამფასებლები ჰყავს; მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერია ის ერი, რომელსაც ამისთანა მამულისშვილი — გზის მანათობელი ვარსკვლავი აღმოუჩნდება ხოლმე.

[1883 წ.]



შარშანდელი წელიწადი
ჩვენში

ტფილისი, 10 იანვარს.

ისე მკვიდრად, ისე მაგრათა ვართ ჩვენ რუსეთთან დაკავშირებული და შეერთებული, რომ ყოველს იმის სუნთქვაზედ ყოველს იმის ცხოვრების ავსა და კარგს მოვლენაზედ ჩვენი ქვეყანაც ბანს უნდა აძლევდეს. თუ რუსეთში კარგად მიდის საქმეები, ჩვენც კარგათა ვართ; თუ იქ რომელიმე მოვლენამ შეაფერხა საზოგადო ცხოვრება, უეჭველია, ეს შეფერხება არც ჩვენ აგვცდება.

და რადგან, როგორც ამას წინად მოვიხსენიეთ, („დრ.“ №3) რუსეთისათვის შარშანდელი წელიწადი მძიმე იყო, ამის გამო ეს გავლილი წელი ჩვენი ცხოვრებისათვისაც მძიმე წელიწადად უნდა ჩაითვალოს.

მართლაც, არც ერთს ჩვენ საზოგადო მნიშვნელობიან საქმეს, არც ერთს ქვეყნის წინ წამწევ მოვლენას, არც ერთს ჩვენის ცხოვრებისათვის სასიკეთო ნიშანსა და არც ერთს ჩვენს იმედს, წარმატება და განხორციელება არ ღირსებია წარსულ წლის განმავლობაში.

ნივთიერად ჩვენი ცხოვრება მუდამ წელს უკან თუ იწევს, თორემ წარმატებაში არ შედის ზნეობით და გონებით ისეთის კიბოს ნაბიჯით მივხოხავართ წინ, რომ თუ არ რამდენიმე წლის განმავლობაში, გამჭრიახე თვალი ვერ შენიშნავს ამ წინსვლას. ქართულ ენისა, მეტყველების და მწიგნობრობის საქმე შარშან უფრო სუსტად მიდიოდა ვინემ წინა წლებში;...

მაგიერად შარშანდელის წლისაგან სანუგეშო ანდერძსა და მემკვიდრეობის მიღებას წელს მოველით: იმ

ცვლილებაზედ მოგახსენებთ, რომელიც თ. დონდუკოვ-კორსაკოვის პროექტით უნდა მოხდეს კავკასიის მხრის გამგეობაში. უეჭველია, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელმანც თავის მოკლე ხნით აქ მყოფობის დროს არაერთხელ დაგვიმტკიცა, რომ იმას უყვარს თავის ქვეყანა, რომ იმისთვის, როგორც თვითონა სთქვა ერთს თავის სიტყვაში, სულ ერთია ქართველი, რუსი, სომეხი და სხვ., ყველასთვის თანასწორად იზრუნავს, ყველასთვის ბედნიერებისა და კეთილდღეობის მინიჭებას ეცდება, — ვამბობთ, უეჭველია, რომ ეს ახალი მთავარმმართველი ახლა საქმით დაგვიმტკიცებს თავის სიტყვებს, თავის თანაგრძნობას და რითაც შეიძლებს, ეცდება სიკეთე მიანიჭოს ჩვენს ხალხსა და ქვეყანას.

და ეს ჩვენი ქვეყანა და ხალხი ბევრს არ მოსთხოვს თავის ბედის გამგებელს; იმას ჰსურს მხოლოდ მშვიდობიანობა იქმნეს დამყარებული, რომ კანონი ყველასათვის თანასწორი და სამართლიანი იყოს, რომ სამშობლო ენასა და მწერლობას უფრო მომეტებული მსვლელობა და უფლება ჰქონდეს მინიჭებული, ვიდრე დღესა აქვს, რომ ადმინისტრაცია იყვეს ხალხის შემბრალე და კანონის რიგიანად აღმასრულებელი და სხვ. ამგვ.

და ყველა ამას მოველით ჩვენ იმ ახალის მთავარმმართველისაგან, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა თავის ძმის მაგივრად გამოგვიგზავნა და იმ პროექტის განხორციელებისაგან, რომელიც თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა შეადგინა და, როგორც ისმის, უმაღლესმა მთვრობამ უკვე დაამტკიცა.

ამას გარდა ერთი სანუგეშო მოვლენაც შევნიშნეთ საკუთრივ ჩვენს საზოგადოებაში, მოვლენა, რომელიც ამას წინადაც აღვნიშნეთ გაზეთში: ის, რომ რაც ხანი მიდის, თანდათან უფრო ნათლად ვხედავთ ჩვენს მდგომარეობას, ვცნობულობთ ჩვენს თავს, ჩვენს ვინაობას. სანუგეშო ეს იმითია, რომ ამ წერტილიდამ, ამ დროიდგან იწყება ხოლმე ხალხის წინსვლა, წარმატება და თავის საერო საქმეებზე ზრუნვა...

ნატვრით შევასრულოთ ეს შენიშნვა: რომ აწმდგომარე წელიწადი უფრო სასიკეთოდ და ბედნიერად გა-

თავებულიყოს ჩვენთვის, ვინემ გავლილი, 1882 წელი-
წადი, გათავდა.

[1883 წ.]



გახშირებული ავადმყოფობა

ტფილისი, 11 იანვარს

ცუდი ტაროსების გამო, ამ უკანასკნელ დროს ერთობ გახშირდა ჩვენს ქალაქში სხვადასხვაგვარი ავადმყოფობა. თითქმის ოჯახს ვერ ნახავთ, რომ ერთი ავადმყოფი მაინც არ იწვეს. მომეტებული ნაწილი ყელის ტკივილით, ციებ-ცხელებით, გაციებით, მუცლის და სხვა ავადმყოფობით არის ავად.

ეს შეძლებულ ოჯახში, რომელთაც სადგომიც კარგი და თბილი აქვთ, საჭმელ-სასმელიც მარგებელი ახალი და საკმაო და, საზოგადოდ, ცხოვრება უფრო რიგიანი. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი უნდა იყვეს ღარიბ-ღატაკ ხალხის მდგომარეობა, რომელიც ამ საშინელ ზამთარში სიცივით იყინებიან, რიგიანი არც საჭმელ-სასმელი აქვთ, არც ტანთსაცმელ-სახურავი!

და რა საშუალება აქვს ღარიბ ხალხს, რომ ავადმყოფობის დროს იაქიმოს და თავის თავს რიგიანად მოუაროს.

მოგეხსენებათ, თუ როგორ ძვირად ჯდება ჩვენ ქალაქში ექიმის მიწვევა და წამლების ყიდვა აფთიაქებში. ისიც მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქალაქის საავადმყოფო თითქმის მუდამ სავსეა ავადმყოფებით და, მაშასადამე, იმით სარგებლობა ათასში ერთს შეუძლიან.

ქალაქის თვითმმრთველობის მოვალეობაა ამ საგანზე იზრუნოს და რომ — ყოველი ქალაქის შეძლება და კეთილმდგომარეობა უბრალო მუშა ხალხის ბედზედ და მდგომარეობაზედ არის დამყარებული და არა რამდენიმე მდიდარზედ. ამიტომაც, ვიმეორებთ, თვითმმართ-

ველობაც, რომელსაც ამ უბრალო ხალხისაგან უდგია სული, მოვალეა ამ ხალხის გაჭირებულ მდგომარეობაზედ იზრუნოს და მოაგვაროს იმისთვის რაიმე.

ამ საგნის შესახებ ჩვენ მივიღეთ ერთის ექიმისაგან გაზეთში დასაბეჭდად წერილი, რომელიც უფრო ნათლად გამოხატავს — თუ როგორ მდგომარეობაშია ამჟამად ქალაქის ღარიბი ხალხი და რა მალამო არის საჭირო ამ სენის მოსასპობელად.

აი ეს წერილი:

„ნება მიბოძეთ, ბ. რედაქტორო, თქვენის გაზეთის საშუალობით, ჩვენი ქალაქის გამგებელთ ყურადღება მივაქციო ერთს დიდს ნაკლულოვანებაზედ ქალაქის თვითმმართველობისა, ნაკლულოვანებაზედ, რომლის შედეგი პირდაპირ ქალაქის ღარიბ ხალხს აწვება კისერზედ: მე მოგახსენებთ იმაზედ, რომ ეს ღარიბი ხალხი ამჟამად ყოველ ექიმობით სახსარს მოკლებულია.

„ამ მხრით ტფილისზე უფრო უბედური ქალაქი ძნელად წარმოსადგენია. ქალაქში სულ ასი ათასი მცხოვრებელი ითვლება; ამ ასი ათას მცხოვრებელში უკანასკნელი ოთხმოცი ათასი ისეთია, რომელნიც ღარიბებად უნდა ჩაითვალონ; და ამათთვის ქალაქს აქვს მხოლოდ ერთი საავადმყოფო ორასის კრავატით, რომელიც მუდამ დაჭერილია თითქმის მაშინაც, როდესაც ქალაქში არავითარი ავადმყოფობა არ არის: ამის გამო ხსენებული საავადმყოფო იძულებულია, მუდამ დღე უარი უთხრას საავადმყოფოში მიღებისა მძიმე და გაჭირებულ ავადმყოფებსა.

„უნდა საკუთრის თვალით ნახოთ ავადმყოფობისაგან დავრდომილ და საწყალ ხალხის მდგომარეობა, როდესაც საავადმყოფოს ექიმები უცხადებენ, რომ ადგილი აღარა გვაქვს და ვერ მივიღებთო! ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამათი მდგომარეობით არ შეძრწუნდეს.

„მუდამ დღე ათობით მოჰყავთ ან მოდიან აქ ავადმყოფები, რომელთაც ხშირად მხოლოდ მყუდრო და მშვიდობიანი სიკვდილი ეჭირებათ, მაგრამ საავადმყოფოს კარებს დახშულს რომ ჰხედავენ, უკანვე ბრუნდებიან, მყრალ მიკიტან-ხანაში, საძაგელ, ცივს ქოხში, ან

კომლიან სამზარეულოში მიდიან, იქ კვდებიან და თან მიაქვთ გრძნობა კაცობრიობის უსამართლობისა და შეუბრალებლობისა.

„მეცნიერება ზოგიერთ ეპიდემიურ ავადმყოფებისათვის სრულებით უძლურია; ის არჩენს საოფლეს (ტიფს), გადამდებ ფილტვების ანთებას და სხვ. თუ ავადმყოფს ექიმი ჰყავს და კარგი მოვლაც აქვს; სადაც ადრე ამგვარი ავადმყოფები ასში ნახევარი და ხშირად მეტიც კვდებოდა, ახლა ასში თხუთმეტ-ოცზე მეტი არ კვდება.

„მაშასადამე ცხადია — თუ რა მნიშვნელობა აქვს საავადმყოფოს ამგვარ ეპიდემიურ ავადმყოფობის გავრცელების დროს. მაგრამ ჩვენ, ტფილისელები, არა თუ ამისთანა, გადამდებ ავადმყოფობის გავრცელების დროს, იმ დროსაც კი მოკლებული ვართ ექიმების და რიგიან მოვლის საშუალებას, როდესაც ქალაქში არავითარი შესამჩნევი ავადმყოფობა არ ჰსუფევს. ჩვენებურ ღარიბი კაცის ბედი ისეთია, რომ ის ხშირად უპატრონოდ, მოუვლელად ქუჩაში კვდება!

„აი, ვთქვათ, ახლა; ეს დრო ჯანმთელობის დროდ ჩაითვლება ტფილისისათვის; გადამდები ავადმყოფობა მხოლოდ თითო-ოროლა ჩნდება. მაგრამ დღე ისე არ გავა, რომ რამდენიმე მძიმე ავადმყოფი არ გამოისტუმრონ უნუგეშო საავადმყოფოდამ.

„და რა გააკეთა, რა ღონისძიება იხმარა ქალაქის თვითმმართველობამ, რომ ამგვარი მდგომარეობა აეცდინა ქალაქის გაჭირებულ ხალხის თავიდამ?

„სრულიად არაფერი. ერთს გროშსაც არ ხარჯავს ის ამ მხრით ხალხის დასახმარებლად, — აქაურს საავადმყოფოსაც ხომ პრიკაზი ინახავს თავის ხარჯით.

ამ უპირველეს საგანზე ფიქრი თავშიაც არ მოსდით ჩვენის ქალაქის ბედის გამგებელთ. 750,000 მანეთს სესხულობენ ხიდების ასაშენებლად, მუნიციპალურ სასახლის ასაგებად, ამ უკანასკნელ საქალაქო სახლის მარტო პლანის დასახატავად რამდენსამე ათას მანეთს ხარჯავენ, და მუშა ხალხი თუ უექიმოდ და მოუვლელობით კვდება — ეს ფეხებზე ჰკიდიათ! რამდენიმე სხდომაზე აქვთ გაცხარებული ბაასი იმის შესახებ, თუ ქართულ-სომხურის თუ თათრულ-ბიზანტიურის სტი-

ლის არხიტექტურით უნდა იქმნეს აშენებული საქალაქო სახლი, და იმაზე კი ერთი ხმოსანთაგანიც ხმას არ იღებს, რომ ქალაქის ღარიბთ ხალხისათვის აუცილებელად საჭიროა ექიმობითი შემწეობის აღმოჩენა!

„მართალია, მომეტებული ნაწილი ჩვენი ხმოსნებისა ისეთი ჯურის ხალხია, რომელთაც არაფერი მოეთხოვებათ. მაგრამ მიკვირს — რას აკეთებს უმცირესობა ამ ხმოსნებისა, რომელთ რიცხვში რამდენიმე ექიმიც ურევია? რატომ ესენი არ ამოიღებენ ამაზედ ხმასა? ნუთუ ამათ მაინც არ ესმისთ, რომ ამ მხრით ხალხის დახმარება უფრო აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ვინემ რომელიმე შენობის აგება?

„ამ ღარიბ ხალხის სახელობით, იმ გაჭირებულ ხალხისა, რომელიც დახმარებას თხოულობს და ვერ პოულობს, ჩვენ მივმართავთ ქალაქის კეთილგონიერ წარმომადგენელთა და ვთხოვთ — აღძრან ამ საგანზედ სჯა ჩვენის ქალაქის რჩევაში“.

ამ სიტყვებს ჩვენის მხრით არაფერი დამატება არ ეჭირება.

[1883 წ.]



წმინდა ნინოს დღესასწაული

ტფილისი, 13 იანვარს

დღეს ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს თავის განმანათლებელის, მოციქულთა სწორის ნინოს დღესა.

ეს დღე ბრწყინვალე დღეა საზოგადოდ ქართველთათვის. რაღაცა ძლიერი სარწმუნოებითი, მაღალი გრძნობა აღელვებს ყოველ ქართველსა, რაღაცა ზეციერი, წმინდა მოწიწებით შეპყრობილია ქართველის გული ამ დღესა.

წმინდა ნინომ გაანათლა უმაღლესის სწავლით 318 წელს საქართველო; მოეფინა მას სიტყვა ღვთაებრივის მოძღვრისა და შეაერთა ჩვენი ერი ერთს მკვიდრს ოჯახად, რომელიც მრთელის ევროპის ოჯახებში შეერაცხა ერთ მოძმე ოჯახად და აზიაში პირველ და ერთადერთ განმარტოებულად. მრთელის ათას ხუთასის წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიამ წმ. ნინოსაგან დაფუძნებულმა, გამოიარა მრავალი კვეთება ცეცხლის მსახურთაგან, მაჰმადიანთაგან; მრავალ მსოფლიო მპყრობელთა, რომელთაც შეარყიეს არაერთი სახელმწიფო აზიისა და ევროპისა, როგორც არაბებმა, სპარსებმა, ჩინგის-ყანმა, ლანგ-თემურმა და ოსმალებმა, შეარყიეს და შემუსრეს სომხეთი, საბერძნეთი, ესპანია და სხვანი; ამისთანა მსოფლიო დამპყრობთა მრავალჯერ შეარყიეს საქართველოს ქრისტიანობა, მაგრამ ვერ შემუსრეს მისი სიმკვიდრე.

თვის სისხლშებღალულ ნაოხართა და ნანგრევთაგან ქრისტიანობა ქართველთა ისევე განახლებული გამოდიოდა. ესე ძლიერი იყო ნინოსაგან დამკვიდრებული სწავლა ქართველთა ერში.

სხვა ყველა ქრისტიანთა სარწმუნოების აღმსარებელ ხალხებში ჩნდებოდა სხვადასხვა მფლობელობა და აქედამ ამბოხება და შუღლი. საქართველოს ერში სარწმუნოების ამბოხება და მწვალებლობა დღეისამდე არ გვინახავს. პირიქით, საქართველოს დაყოფილის ნაწილების ერთმანერთთან ბრძოლის დროს ეკლესია იყო შემაერთებელი და შემაკავშირებელი ყველა ქართველებისა.

რა იყო მიზეზი ასეთის სიმტკიცისა?

ნინოს მიერ დამყარებული სწავლა და მის მერმედ ეკლესიის მოძღვარნი, რომელნიც წინ უძღოდნენ ერსა წმიდის სახარების ცოცხალის სიტყვითა და ცოცხალის საქმითა.

რა იყო მიზეზი, რომ დღეისამდე შეურყეველად რჩებოდა ქრისტეს სწავლა ჩვენში?

ცხოველად შეკავშირებული სწავლა ქრისტესი ქართველ ერობასთან. ქართველობა და ქრისტიანობა საქართველოში ერთსა და იმავესა ნიშნავდა, იგი ერთმანეთისაგან არ იყო განუშორებელი. ცხოველი ქადაგება სიყვარულისა და კეთილის ცხოვრებისა, როდესაც ხალხს ხშირად ესმოდა ეკკლესიებში და გარედ, სკოლებში და მონასტრებში, როდესაც ამ ქადაგებასთან შეერთებული იყო მოძღვართა სათნოება, ამ სიტყვას და ამ მაგალითს ძლიერი მოქმედება ჰქონდა ხალხზე.

დავხედოთ ეხლანდელს ჩვენს ყოფას, სადა გვყავს მოქადაგენი ? ახლად მობრძანებულ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარს, ძველს ჩვენს ქათოლიკოზების მოადგილეს, ერთმა ქართველმა მოძღვარმა მესხმაც კი ვერ უთხრა.

რა არის მიზეზი?

გადაეჩვივნენ ჩვენი სამღდელონი სიტყვას, სიტყვას თუ ათასში ერთხელ ვინმე იქადაგებდა, ისიც სახალხოდ გასაგონ ენაზედ არ იცოდნენ, არამედ მხოლოდ ვისისამე შესხმას რუსულად იტყოდნენ თავის გამოსაჩენად და ჯილდოს მისაღებად. იმ დრომაც გაიარა და ან რა ქადაგება შეიძლება, თუ თვით ნამდვილი მიზეზი არ შეაგულიანებს მოქადაგესა.

წავიდა დრო და ქადაგებას გადაეჩვია ჩვენი სასულიერო წოდება. ჩვენი სამღვდელოება ხალხს აღარც ეკლესიაში უხსნის და ასწავლის ქრისტეს სახარებასა და არც გარედ. ხალხის ზნეობაზე მართალია ბევრს გარეშე საგანსა აქვს ზედმოქმედება, მაგრამ მოძღვრის სიმუნჯესაც დიდი ზემოქმედება აქვს. ცხოველის სიტყვით ჭეშმარიტების ქადაგება უნაყოფოდ არასოდეს არ დარჩება, თუ ეს ქადაგება ცხოვრების საგანს შეეხება. რა არის მიზეზი, რომ სომხების და ფრანგების ეკკლესიებში ხალხი დიდძალი იარება? ქადაგებაა. ქართველობა სომხების და ფრანგების ეკკლესიებშიაც დაიარებიან, რადგან გასაგონ ენაზე ქადაგება ესმისთ. ამასთან უნდა აღვიაროთ, რომ საზოგადო ზნეობა, საზოგადო საქმის შეგნება ჩვენშივე მცხოვრებელ სომხებში თანდათან სხვა სიკეთესთან წინ მიდის და ქართველებში კი უკანდაუკან იწევს.

ჩვენ მარტო იმითი კმაყოფილი კი არა ვართ, რომ ქალაქში წელიწადში ერთხელ, როგორც აქამდის იყო, წმინდა ნინოს დღესასწაულს, სიონში ქართულადვე ქადაგებას ანუ სიტყვას მოვისმენდეთ. საჭიროა, ხშირად ესმოდეს ხალხს მოძღვრება და წვრთნა თავისის ენითა.

ქალაქში რომ ასე დამუნჯებულა ჩვენი სამღვდელოება. სოფლებში რაღა უნდა ვთქვათ. და ახლა იფიქრეთ ქრისტიანობის მდგომარეობა, კავკასიაში, რომელშიაც უმრავლესობა მაჰმადიანია და გარს ახვევია ქრისტიან ქართველობასა. ყოველიფერი უკან მიდის, რაც კი ქართველ ქრისტიანობას აძლიერებდა; თვით გარეგანი ბრწყინვალება ეკლესიისა, გალობა და ქადაგება, რომელიც ყოველგან ხალხის მიმზიდველია, ესეც კი დაეცა.

დღეს, ნინო წმინდის დღესასწაულის მომლოდინეთა, ეს გაგვახსენდა. და დეე, ჩვენმა მოძღვრებმაც გაიხსენონ.

[1883 წ.]



ქალაქის თავის არჩევანი

ტფილისი, 18 იანვარს.

ახალი რჩევა ქალაქისა შესდგა; პირველი სხდომა ამ რჩევისა, როგორც ამბობენ, ამ ერთის კვირის განმავლობაში უნდა მოხდეს.

ყველაზე პირველად ის ქალაქის გამგეობის წევრთა აღრჩევას უნდა შეუდგეს, ე.ი. ქალაქის თავისა, გამგეობის სამის წევრისა და სეკრეტრისა.

ჯერ უკანასკნელი არჩევანი (პირველ ხარისხის ხმოსანთა) გათავებული არ იყო, ქალაქში წარმოუდგენელი ფაცა-ფუცი და მოძრაობა შეიქნა ქალაქის თავის ამორჩევის თაობაზედ.

ორ პარტიად არიან გაყოფილნი ქალაქის წარმომადგენელნი, ეს პარტიობა მთელს ჩვენს ქალაქსაც დაეტყო; ერთს ჰსურს თ. იაზონ დ. თუმანოვი აირჩიოს ქალაქის თავად, მეორენი ისევ ძველი თავის ბ. ალექ. სტ. მატინოვის დატოვებას ცდილობენ.

განსაკუთრებულის სიცხარით და ენერგიით მოქმედებენ ორთავე კანდიდატების მომხრენი.

უფრო გაცხარებული მოლაპარაკება და ჩურჩული თვითონ ხმოსნებთანა აქვთ, რომლებზედაც პირდაპირ არის დამოკიდებული ქალაქის თავის არჩევ... ერთს, ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის დროს, მოსკოვში გაგზავნასა და კამერ-იუნკრობას ჰპირდებიან; მეორეს იაზონის შემდეგ ქალაქის თავად დანიშნვას, მესამეს გამგეობის წევრობას და სხვ. და სხვ.

და ამგვარის ღონისძიებითა და საშუალებით უნდათ თავისი გაიტანონ.

დღეს ჩვენ არ შევუდგებით იმის განხილვას — თუ რომელი ამ კანდიდატთაგანი ამჯობინებს ჩვენი ქალაქის თავად; ჯერჯერობით არ გამოვუდგებით იმის განხილვას — თუ რომელ ამათგანს რა ღირსება აქვს და რა ნაკლულევანება. ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ მხოლოდ ამ საშუალებებზე და ღონისძიებაზე, რომელითაც ერთი ამ კანდიდატის მომხრეთაგანი ცდილობენ თავის მიზნის შესრულებას, თავის კანდიდატის გაყვანას.

ყველაზედ პირველად იმათი მოქმედება უკანასკნელს, პირველ ხარისხის ხმოსანთა ხელმეორედ არჩევანის დროს აღმოჩნდა. ამ არჩევანის დროს იმათ დაივიწყეს უპირველესი საფუძველი ყოველ ამგვარ არჩევანისა: გამოსადეგნი, სასარგებლო იქნებოდნენ ქალაქისათვის ის პირნი, რომელთაც ისინი ხმოსნებად არჩევდნენ, თუ არა. ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ იმით ხელმძღვანელობდნენ: მომხრე იქნებოდა ხმოსნად ამოსარჩევი პირი იმათის კანდიდატისა — თუ არა. თუ მომხრე იყო, თეთრს უგდებდნენ, თუ მოწინააღმდეგე — აშავებდნენ. ვის ჰქონდა მხედველობაში ქალაქის ინტერესი, პატიოსნად და ღირსეულად აღსრულების შეძლება კანდიდატისაგან თავის მძიმე მოვალეობისა?

აქედამ წარმოსდგა ის, რომ ზოგიერთი ისეთი პირები იყვნენ ამორჩეულნი ამ კენჭისყრის დროს, რომელთაც საქალაქო კანონები თავის დღეში თვალითაც არ უნახავთ, რომელთაც ქალაქის ინტერესი და სარგებლობა ფეხზედ ჰკიდიათ.

ამას გარდა, რა არის ეს ჩუმ-ჩუმად დაძრომა მაღაზიებში და სახლებში, და, რაღაც ქაღალდზე ხელისმოწერის მოგროვება? განა ქვეყანამ არ იცის — როგორ აწერინებენ ხოლმე ხელს უმეცარ ხალხს მაგგვარ ქაღალდებზე?, რომ, თუნდაც ოცი-ათას კაცს მოაწერინოთ ხელი, ეგ საზოგადო აზრს არ შეადგენს და ქალაქის ხალხის სურვილს ვერ გამოხატავს?

რა მნიშვნელობა აქვს ამ სხვადასხვა დეპუტაციებს, რომელთაც დაათრევთ აქეთ-იქით, ხან ერთს მიუგზავნით და ხან — მეორეს?

ის ფუჭი დაპირება რაღაა, რომელსაც ასე გულუხვად არიგებთ?

ამგვარის საშუალებით გინდათ, ქალაქის რჩევის ხმოსანთა ძალა დაატანოთ და უეჭველად გინდათ ზნეობითი ზედმოქმედება იქონიოთ ზოგიერთ სუსტ და გზაგაუკვლეველ ხმოსნებზედ და იმათი ხმა თქვენის კანდიდატისათვის შეიძინოთ?

ჩვენა გვგონია, რომ ეს შემცდარი ანგარიშია; რომ ქალაქის რჩევა მაგით არ შეშინდება, მაგას არ მოერიდება და თავისუფლად გამოსთქვამს თავის აზრს.

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ სრულიად წინააღმდეგნი არა ვართ მოძრაობისა; ყოველი კაცი ვალდებულია ეცადოს, რომ თავის აზრი გაატაროს საზოგადო საქმეში, ისეთს კაცს მიემხროს თვითონაც და სხვებსაც ურჩიოს მიმხრობა, სხვებიც ჩააგონოს, რომელიც იმას მოსწონს, რომელიც იმას უფრო სასარგებლო და გამოსადეგად მიაჩნია რომელიმე საზოგადო ასპზრეზზე.

მაგრამ ჩვენ როგორღაც არ გვჯერა, რომ ბ. იაზონის მომხრეთ ამ შემთხვევაში, ამ მოძრაობაში მხოლოდ ქალაქის სარგებლობა ჰქონდეთ სახეში, მხოლოდ იმიტომ ფაცურობდნენ ასე გულმხურვალედ, რომ ქალაქისათვის იმისაგან უფრო მომეტებულ სიკეთეს გამოელიან, ვინემ ბ. მატინოვისაგან. ჩვენ გვგონია, რომ აქ უფრო პიროვნება, პირადი, კერძო ანგარიშები უფრო მუშაობს, ვინემ საზოგადო, საქალაქო.

თუ ესენი კარგის განზრახვით მოქმედებენ, თუ მხოლოდ საზოგადო სარგებლობა აქვთ მხედველობაში, რატომ, თავის კეთილშობილურ აზრის განსახორციელებლად, კეთილშობილურ საშუალებასაც არ ხმარობენ? რატომ პირდაპირ, აშკარად, საქვეყნოდ არ გამოდიან და არ აღიარებენ — ჩვენ ეს გვსურს და გვსურს იმიტომ, რომ ამადაამ მხრით, ამადაამ საბუთით ეს ემჯობინებაო? ქვეშ-ქვეშ, მალულად, თეატრალურ დეპუტაციებით და ფუჭ იმედების ჩაჩურჩულებით რად მოქმედებენ?

[1883 წ.]



ჩვენი თავადაზნაურობა და ერობა

ტფილისი, 20 იანვარს.

შრომობს თუ არა ის კამისია, რომელიც იყო შარშან ამორჩეული ჩვენი თავად-აზნაურობისაგან „ერობა“-ზე მოსალაპარაკებლად? ნუთუ ეს კამისია ისეთივე გულგრილობით მოეკიდება ამ საქმეს, როგორც სხვა კომისიები? — ეს კითხვა დავადგინეთ ჩვენ ამას წინად „დროებაში“.

ამაზე შემდეგი პასუხი მივიღეთ კამისიის ერთი წევრისაგან.

„ტფილისის თავად-აზნაურობის კრებამ, იწერება ეს პირი, შეხედა ერობას ცუდის თვალით, თუმც კარგად არც კი იცოდა, რა არის ერობა. მიზეზი ამისა ბევრი იყო და უმთავრეს მიზეზად კი ჩაითვლება ის, რომ „ზემსტვო“ (ერობა) დაადარეს „ზემსკის“ — გარდასახადს, რომელიც ეხლაც არსებობს. თავადაზნაურობას ეგონა, რომ „ზემსტვოს“ შემოღება ნიშნავს „ზემსკის გარდასახადის“ მომატებას და გავრცელებას, გლეხების გარდა, თავადაზნაურობაშიაც.

„თუმცა შარშანდელ კრებაში ახალგაზდობა უმტკიცებდა იმას, რომ თუ ნამდვილი ერობა შემოვიდა, „ზემსკის გარდასახადს“ სრულებითაც არ ექმნება ის მნიშვნელობა, რომელსაც ეხლა ათვისებენ, მაგრამ კრება არავის ყურს არ უგდებდა და ისეთ გვარად ამოირჩია ამ საგნისათვის კამისიები, რომ მაშინვე შეიძლებოდა მიმხვდარიყავით იმათ უნაყოფობას.

„კომისიებში ამოირჩიეს უმეტეს ნაწილად ისეთნი პირნი, რომელნიც ერობის წინააღმდეგ იყვნენ. კომისიები ამოირჩიეს ბევრი, თითო უეზდისთვის ცალკე.

ამათ წევრებათ დანიშნეს პირნი, რომელნიც სცხოვრობენ ოცს და ორმოცს ვერსტის სიშორეზე ერთიერთმანერთისაგან. კამისიებს არა ჰყავთ თავსმჯდომარეები და ამიტომაც იმათ არავინ უძახის კრების შესადგენად.

„ყველა ეს ისეთი ნაკლულევანებაა, რომელიც მოსალოდნელი იყო“.

ამას გვწერს კამისიის წევრი და ჩვენც მწუხარებით ვეთანხმებით. ჩვენს საზოგადოებას ვერ გაუღვიძია მაშინაც კი, როდესაც არის იმედი იმის სურვილის დაკმაყოფილებისა. უიმედობა — ცუდი ამხანაგია და ძილი კი — უარესი.

ჩვენ შევიტყეთ, რომ კამისიის ერთი წევრთაგანი, გ. თუმანიშვილი არდგენს ერობის წესდებას, რომელიც იქნება შეთანხმებული როგორც რუსეთში შემოღებულ ერობის წესდებასთან, ისე ჩვენის ქვეყნის მოთხოვნილებასთან.

სასურველია, რომ ეს საქმე ჩქარა დაბოლოვდეს, რომ ახლად შედგენილი წესდების განხილვას გულმოდგინედ შეუდგნენ კამისიის ის წევრები, რომელნიც მტრულის თვალით არ უყურებენ ყოველ ახალ საქმეს ჩვენში და ამგვარად შევსებული წესდება გაიგზავნოს პეტერბურღში, კახანოვის კამისიაში, რომელიც, როგორც გაზეთები აცხადებენ, დიდის სიამოვნებით მიიღებს ყოველს წერილს შესახებ ადგილობრივ თვითმართველობისა.

რაც შეეხება თავადაზნაურობის არაჩვეულებრივ კრებას, რომლისთვისაც უნდა წარედგინა კამისიებს თავის პროექტი. ჩვენ გვგონია, რომ ამ არაჩვეულებრივი კრების უკან სიარული საქმის გაჭიანურება იქნება. გამოცდილება ვისაც კი აქვს, ის ბევრს არაფერს უნდა მოელოდეს ამ მხრით ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ კრებებს თავადაზნაურობისას.

[1883 წ.]



საფრანგეთში

ტფილისი 21 იანვარს.

ერთი თვეც არ გასულა გამბეტას სიკვდილის შემდეგ და საფრანგეთის საქმეები სულ აირ-დაირია.

ერთი თვე!.. ჯერ წაღებიც არ გაუცვეთიათ, რომლებშიაც გამბეტა გააცილეს საფლავზე.

ჯერ ნაპოლეონის პარტიამ გამოჰყო თავი. მიიხედ-მოიხედა პარიჟის ბულვარებზე ამ პარტიამ, დარწმუნდა რომ გამბეტას თვალი იმას არ უყურებს და, ღამე გააკრა პარიჟის კედლებზე უშნო, უფერული გაპრტყელებული მანიფესტი, რომელშიაც ნაპოლეონ I-ის მემკვიდრედ უწოდებს თავისთავს ქეიფის მოყვარე პრინცი, რომლის წასული წაბღალულია. საფრანგეთის ხალხმა დიდის ხარხარით და დაცინვით მიიღო ეს „პლონ-პლონის“ მანიფესტი და სამეფო ტახტის მაგიერ სატუსაღო სახლის სკამი მიართვა. მოკლეს დროში ნაპოლეონ I-ის დიდების მემკვიდრე, როგორც უბრალო პარიჟელი გასამართლებული იქნება და დამსახურებულ ჯილდოს მიიღებს მსაჯულებისაგან.

ორლეანისტებმა და ლეგიტიმისტებმა მანიფესტების ქუჩა-ქუჩა აკვრა კი ვერ გაბედეს, მაგრამ თავიანთ სურვილს და ნატვრას პალატებშიაც არ მალვენ და დიდს მზადებაში არიან პროვინციაში. გუშინდელი დეპეშები ამბობენ, რომ შამბორი იტალიაში აპირებს გამგზავრებას. ესენიც ფაცურობენ. ფული ბლომად აქვთ, კაცების მოსყიდვის იმედი აქვსთ, ბაირაღზე „სარწმუნოება“ უწერიათ და იმედს არა ჰკარგვენ...

თითონ რესპუბლიკელების ბანაკზეც არეულობაა. გამბეტის პარტია, რომელიც გამბეტის ხელ-ქვეშ იყო

და გამბეტის პოლიტიკურ „მრწამსს“ აღიარებდა, მოთავეს სიკვდილის შემდეგ დაიქსაქსა და სხვადასხვა პარტიებს მიეკედლა. პალატების კანონმდებელ მუშაობას ამ პარტიების გადასვლ-გადმოსვლა არ შეიძლება რამე რიგად არ დააჩნდეს.

რას შვრება მმართებლობა?

ეს ლამის რევოლუცია არ მოხდეს პარიჟში. მაგრამ მმართებლობა არავითარ ადმინისტრაციულ ზომას არ ხმარობს პარტიების წინააღმდეგ. პრინცი ნაპოლეონი მარტო დაიჭირეს. მაგრამ ისიც მართებლობის ბრძანებით კი არა, დაიჭირეს პროკურორის გადაწყვეტილებით, რადგანაც მანიფესტების მწერალთ და მართებლობის დამხობის ბეჭდვით მქადაგებელთ წინააღმდეგ კანონებში საკუთარი „სტატია“ არის. ზოგიერთებმა პალატის წევრებმა მარტო დაჰკარგეს ამ საქმეში საჭირო სულგრძელება და მოსთხოვეს მართებლობას ყველა იმ პოლიტიკურ პარტიების მოთავეთ განდევნა საფრანგეთიდამ, რომელნიც საფრანგეთის ტახტის იმედით სულდგმულნი არიან.

მინისტრებმა ამისი წინააღმდეგი აზრი წარმოსთქვეს რჩევაში, მაგრამ რადგანაც პოლიტიკური ქიშპი ძლიერ მაღლა ასწია სულ ყველა ამ გარემოებამ, ის მინისტრები, რომელნიც „განდევნის“ წინააღმდეგნი იყვნენ, იძულებულნი შეიქმნენ თავიანთ პორტფელს გამოსთხოვებოდნენ.

ეხლა მინისტრების თავმჯდომარედ არის ერთი 40 წლის დეპუტატი ფალიერი, რომელიც უფრო გამბედოვანია თავის მოწინავეებზე. თუ გამბედოვანებასთან გამოცდილებაც ექმნა ამ ახალ კაცს პოლიტიკური პარტიების დაწყნარება ადვილი საქმე იქნება იმისთვის. კიდევ რესპუბლიკას უფრო ჰყავს მომხრეები საფრანგეთში, კიდევ ის არის ის „მართებლობა, რომელიც უფრო აერთებს საფრანგეთის ხალხს“, როგორც სთქვა ტიერმა. ამ მართებლობის ენერგიის წინაშე განიბნევიან ყოველნი მტერნი მისნი და კერძო კაცების დაკარგვა ვერ მოუღებს ბოლოს. ერთადერთი შიში არის საფრანგეთის ჯარის მხრით. თუ ჯარი ისეთმა ვინმემ ჩაიგდო ხელში, როგორც 1851 წელში ჩაიგდო ის ლუი ნაპოლეონმა მაშინ კი დიდი განსაცდელი შეხვდება საფრანგეთს, მაგრამ ეს გარემოება მარტო განსაცდელი იქნება და დროებითი შეწუხება. უფრო დასაჯერებელია, რომ წასრულის მაგალითით ისარგებლებს საფრანგეთი და ჩვენ არ მოვესწრობით სხვა 2 დეკემბერს, რომელშიაც სხვა ლუი ნაპოლეონი დაიდგამს თავზე საფრანგეთის გვირგვინს.

[1883 წ.]



ქალაქის თავის არჩევანი

გავლილ კვირას, 23-ს, იყო პირველი სხდომა ახლად არჩეულ ქალაქის რჩევისა.

სულ 69 ხმოსანი მოგროვდა.

დიდი მოძრაობაა ზალაში. მაყურებელ საზოგადოებისათვის დანიშნული ადგილი სავსეა გარეშე ხალხით.

თვითონ ხმოსნები გუნდ-გუნდ მოგროვილან აქა-იქ და ზოგან გაცხარებული ბაასია, ზოგან ჩურჩული, ზოგან ტკბილი საუბარი; ერთმანეთს არწმუნებენ რაღაცაში, აჯერებენ, უმტკიცებენ.

ეს ლაპარაკი, ჩურჩული და ბაასი, რაღა თქმა უნდა, სულ ქალაქის თავის არჩევანზედ არის.

თ. იაზ. თუმანოვის მომხრეები მატინოვის მომხრეებსა და „გზაგაუკვლეველ“ ხმოსნებს აჯერებენ, რომ ჩვენ გვინდა მხოლოდ „ვაგრძნობინოთ“ „წკიპურტი ვკრათ მატინოვსო; ამიტომ დღეს გავაშაოთო, ჰქადაგობენ ისინი და ხვალ ისევ ამოვირჩევთო. მაგრამ ამ ოინს მალე მიუხვდნენ...

სწორედ 11 საათზე ძველმა ქალაქის თავმა ბ. მატინოვმა ჩამოიცვა ჯაჭვი, დაიჭირა თავსმჯდომარის ადგილი და გამოაცხადა:

— ყველაზე პირველად ფიცის მიღებას უნდა შეუდგეთ. რადგან ყველა კათოლიკე სარწმუნოების ხმოსნები აქ ბრძანდებიან, ამიტომ, ჩემის აზრით, ჯერ იმათ მიიღონ ფიცი.

წამოდგნენ კათოლიკე ხმოსნები, სულ 7 კაცი და მიიღეს ფიცი თავიანთ პატრისაგან.

შემდეგ სომეხ-გრიგორიანის სარწმუნოების ხმოსნები გამოიხმეს. მთელმა ზალამ გრიალი შეჰქნა.

ბოლოს დააფიცეს ექვსი კაცი მართლმადიდებელ სარწმუნოებისა. სომხებს სომხურ ენაზე მიაღებინეს ფიცი, კათოლიკეთ და მართლმადიდებელთ — რუსულზე.

ფიცის მიღების შემდეგ, რჩევამ განიხილა სამი საჩივარი, შესახებ ბ. არ. ალ. თამამშევის, პ. ა. იზმაილოვისა და ი.ს. ისარლოვის არჩევანზედ.

არც ერთი საჩივართაგანი რჩევამ კანონიერად არ იცნო და არ შეიწყნარა.

—ახლა ქალაქის თავის არჩევანს უნდა შეუდგეთო! გამოაცხადა თავსმჯდომარემ, — და ამის გამო გთხოვთ, ჯერ ქაღალდზე დასწერეთ — თუ ვინ გსურთ კანდიდატებად.

კრებაში მოძრაობა და მღელვარებაა.

ამატუნი (ერთი მოთავეთაგანი თ. იაზ. თუმანოვის პარტიისა). რადგან მებელი ამ ზალაში ისეა დადგმული, რომ საიდუმლოდ კენჭისყრა არ მოხერხდება, ამის გამო ვითხოვთ, რომ გადავდვათ კრება და ისე დავაწყოთ სკამები და კენჭისსაყრელი ყუთები, რომ კენჭისყრა დაფარული იქმნეს...

არწრუნი (აგრეთვე წინააღმდეგი მატინოვისა). დღეს ორმოცამდინ ახალი ხმოსანია აქ, იმათ შორის მეც. გამოუცდელნი ვართ, არ ვიცით — რა გზას დავადგეთ, ვინ ამოვარჩიოთ, — ამის გამო მე შემომაქვს წინადადება, რომ ერთის კვირით გადავდვათ ქალაქის თავის არჩევანი.

რჩევამ, რაღა თქმა უნდა, ამგვარი უსაბუთო (მეტი რო არა ვთქვათ), საბუთები კენჭისყრის გადადებისა არ შეიწყნარა და გადაწყვიტა, ახლავე შეუდგეთ თავის არჩევანსაო.

ხმოსნებს დაურიგეს ქაღალდის ნაჭრები თავიანთ კანდიდატების ჩასაწერად.

ეს ქაღალდები რო მოაგროვეს და დათვალეს, აღმოჩნდა, რომ ბ. მატინოვის კანდიდატობას 45 ხმა თხოულობდა, თ. იაზ. თუმანოვისას — 10, ხოჯამინანოვისას, იზმაილოვისას და ი. ს. ხატისოვისას თითო ხმა.

ბ. მატინოვის გარდა, ყველა კანდიდატებმა უარი განაცხადეს კენჭისყრაზედ. ამბობენ, თ. იაზ. თუმანოვის

მომხრეების პლანი ეს იყოვო, რომ იმ დღეს გაეშავებინათ მატინოვი შემდეგ კვირის არჩევანზე, ვითომ დიდის თხოვნითა და მუდარით დააჯერეს თ. იაზონ კენჭისყრაზედ, უყრიდენ კენჭს და ამოარჩევდნენ. მაგრამ აქაც გაუმტყუნდათ ოინი:

მატინოვს ამოუვიდა 47 თეთრი კენჭი და 21 შავი. ამნაირად ხელახლად არჩეულ იქმნა.

ხანგრძლივი ტაშის კვრა და მილოცვა ახლად არჩეულ ქალაქის თავისა.

კრება პირველ საათზე გათავდა.

[1883 წ.]



წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი

ტფილისი, 25 იანვარს.

დღეს 26 ამ თვისას საქართველოს ეკლესია თვისას საყდრებში დღესასწაულობს ერთის თვისის გამაბრწყინვალებელის და მცველის წმინდის მეფის დავითის დღესა.

ეკლესია დღესასწაულობს ამ დღეს თვის გამარჯვებასა საქართველოში შემოსეულთ მაჰმადიან მფლობელ არაბებზე და ოსმალებზე, რომელთაც დაისაკუთრეს ქრისტიან ქართველების მეფობა და მიწა-წყალი, შემუსრეს სიმტკიცე სარწმუნოებისა და გაანადგურეს დაშენებული ადგილები, ააოხრეს კეთილდღეობა მკვიდრთა მოსახლეთა. საქართველო დაიყო ნაწილ-ნაწილად მთავრობის ხელში; ეკკლესიის და სარწმუნოების ერთობასთან დაირღვა ერში ერთობა; გაძლიერდა შფოთი და ამბოხება მთავრებში და ხალხში.

გამოჩნდა ძლიერი მეფე დავით მესამე, რომელიც ეკკლესიამ წმინდათა შორის შერაცხა: ამან შეაერთა საქართველოს დაყოფილი ნაწილები ერთს სამეფოთა და ამით მოსპო ქრისტიანობის წინააღმდეგი შური, მტრობა და შფოთი ქართველებს შორის; მთავრების უფლება მოსპო და დაუმორჩილა ერთს მეფის უფლებასა. აღარ იყო ბრძოლა და სისხლის ღვრა მოძმეთა: კახელებისა ქართლელებთან, კლარჯელებისა იმერეთ-ქართლელებთან და სხვათა ერთმანეთშორის.

საქართველოს ეკლესია დღესასწაულობს ამ დღეს, როგორც დიდებულს დღეს მოძმეთა სისხლის ღვრის შემწყვეტელისას და მშვიდობიანობის ჩამომგდებისას,

თვის შვილთა შეერთებისას ერთს ოჯახად და ერთ ერად.

მტრობის დათრგუნვა და შეერთება ნაწილ-ნაწილად დაყოფილის საქართველოსი არ შეიძლებოდა, სანამ ქრისტიანობის მტრებს არაბებს და ოსმალებს უფლება რამ ექნებოდათ. ამიტომ აღძრა ვახტანგმა ქართველი ქრისტიანობა და ყოველ მხარეს დასცა ზარი მის მტერთა. განდევნა ოსმალოთ სულთანი, წაართვა მაჰმადიანთა საქართველოს კუთვნილება და თვით სომხეთის ნახევარი თვისის ანის ქალაქით და ყოველგან, ტრაპიზონიდამ კასპიის ზღვამდე აღმართა ჯვარი ქრისტეს გამარჯვებისა, განაახლა დანგრეული და აღაშენა ახალი ტაძრები, გაამხნევა დაცემული და იმედმიხდილი სარწმუნოება.

ამიტომ ამ დღეს ჩვენი ეკკლესია დღესასწაულობს ქრისტიანობის ძლევამოსილებასა და მაჰმადიანობაზე გამარჯვებასა, რომლის ბრძანებლობის ქვეშე დათრგუნვილი ვაებდა ოთხასის წლის განმავლობაში.

ამ დღეს ჩვენი ეკკლესია დღესასწაულობს თვის ძალასა აღორძინებისას და ერის კეთილდღეობისას, რადგანაც წმინდა დავით იყო დამშენებელი აოხრებულ და გავერანებულ საქართველოისა. სადაც იმ დრომდე სიცოცხლე შესწყდა, წმინდა მეფემ ააყვავა მოსახლეობითა და გააღვივა ცხოვრებითა.

მისმა ძლიერმა გონებამ უჩვენა ქართველებს ახალი გზა, რომ იგინი ეკუთვნიან ევროპის ქრისტიანთა ოჯახს და მათს საქვეყნო ცხოვრებაში წილი აქვთ: აღძრა ხალხი ქრისტეს საფლავის განთავისუფლებისათვის, რომლისათვისაც მთელი ევროპა აღტაცებით მიისწრაფოდა, როგორც ერთი კაცი. ქართველნი პირველად შეუერთდენ ევროპის ხალხთა დიდს ოჯახსა, იმ დროის დიდებულ საქმის ასასრულებლად და პირველსავე ქრისტიანთა გამარჯვებაში, ანტიოქიის აღებაში, წინად მისვლა და ქალაქის სიმაგრის გატეხა ქართველთ შეხვდა.

გზა სწავლისა და განათლებისა ქრისტიანობის დამკვიდრებისა და გაძლიერებისათვის წმინდა მეფემ გააფართოვა მონასტრებთან სკოლების დაფუძნებით და ევროპაში ყმაწვილ-კაცობის გზავნითა.

ასე ამ დღეს საქართველოს ეკკლესია დღესასწაულობს თვისის განმათავისუფლებელის, ამყვავებელის, განმაძლიერებელის და მცველის დღესასწაულსა. 1125 წელს იანვრის 26-ს დავით მესამე წარსდგა სხივგვირგვინოსანი წინაშე საუკუნის მსაჯულისა შემდეგ 36 წლის თვისის მეფობისა. აგერ მერვე საუკუნეა ეკლესია ილოცავს მისს კვალად მფარველობასა და ისტორია ჰქადაგებს მისს საქმეთა შთამომავალთა შესამეცნებელად.

კაცი მეფის დიდების მექონე, ყოველის ძალითა და ძლიერებით შემოსილი იღწვის დაცემულის ქრისტიანის ქართველობის ზნეობითის და ნივთიერის კეთილდღეობისათვის და იმავე ჟამს როგორც კაცი შემოსილია იშვიათის კაცობრივის სიკეთითა, მისი აზრი მიმართულია როგორც მთელის სამეფოს სიკეთეზე, აგრეთვე თვითოეულად ყოველს კაცზე. იმისი სიყვარული ზეციური სიყვარულია, რომელიც აკავშირებს მას ცასთან და ქვეყანასთან.

„აღშენება“ ქვეყნისა სწორედ ამ კაცის და ქვეყნის სიყვარულისაგანა სწარმოებს. სარწმუნოება მას აღაფრთოვანებს და შარავანდედითა ჰმოსავს. ეს „აღმაშენებელი“ სიყვარულია მიზეზი, რომ საქართველო დიდებულ მდგომარეობაში შედის თამარ დედოფლის უკანასკნელ წამამდე. ამ მაგალითმა წმიდის დავით აღმაშენებელის ცხოვრებისამ მრავალჯერ ქართველობა გაჭირებიდგან გამოიყვანა და მაჰმადიანებს ხელიდამ გამოჰგლიჯა ქრისტიანობა. აღმაშენებლის მაგალითი გზას უჩვენებდა არა მხოლოდ მეფეთა, არამედ თვითოეულ ქართველ კაცსაც. ამიტომ მის შემდეგ ქართველობაში მრავალნი თუ სამღვდელო და თუ ერის კაცნი მრავალ ღვაწლსა სდებდნენ თუ ეკლესიისა და თუ მეფობისათვის, თუ მოქალაქობრივის ცხოვრებისა წარმატებისა და განათლებისათვის.

დავაკვირდეთ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, რას ვაკეთებთ ქვეყნის „აღშენებისათვის?“

აგერ ოთხმოცი წელიწადია, რუსთ ხელმწიფობის მფარველობის ქვეშე გარეშე მტრის შემოსევისაგან დაცული ვართ, რაც სახელმწიფოს გამგეობას შეეხება ამაზე ჩვენ არ გვინდა ლაპარაკი და საზოგადოებასაც

არ შევეხებით. აქ მხოლოდ იმას დავაკვირდეთ, რაც თვითეულად განმარტოებით ყოველის ადამიანის მოქმედებას უნდა ეკუთვნოდეს, როგორც წევრს კაცთა საზოგადოებისას და ოჯახისას.

რა გაუკეთებია ქართველ კაცს ქვეყნის „ასაშენებლად", თავისის მხრით. ნეტა ბევრს ქართველს მოსვლია ფიქრში, რომ კაცო, მეც ხომ ადამიანი ვარ, იმ წრეში საცა ვარ და ვცხოვრობ, ოჯახია, სოფელია თუ ქალაქი, პატარა საქვეყნოდ სასარგებლო რამ განა არ უნდა მოვიმოქმედო? ძალიან მცირეთაგან მცირეს.

სულ პირველი საგანი ავიღოთ ჩვენ — სარჩოსაბადებელი. გვიფიქრია, რომ სვინიდისიანად ვიმუშაოთ და გავაკეთოთ მამა-პაპასაგან დატევებული მამული; გვიფიქრია, რომ უშრომლად და უანგარიშო ცხოვრებით ვშლით ჩვენის ოჯახობის ბედნიერებასა და ამით ვშლით მთელის ჩვენის ქვეყნის დაწინაურებასა? ეხლანდელი ქართველი გადაქცეულია მცონარა მჭამელად, რომელიც მარტო ლხინსა და ჭამასა ფიქრობს, სხვის გაგლეჯასა და ტაცებასა და უშრომლად ცხოვრებასა. ამ საზიზღარ მდგომარეობასთან მეზობლობისა და სახლიკაცების შური ძირსა უთხრის იმ დიდებულ ქრისტიანულ კავშირს, რომლისთვისაც იღვაწა წმინდა მეფემა და რომლის უქონლობა პირველი და უძლიერესი მტერია ყოველ კეთილდღეობისა.

თქვენ მიზეზებს ჩამოსთვლით. მართალია, მიზეზებია მიზეზებია, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ძვალში და რბილში გამჯდარს მტრობას, შურსა და სიძულვილსა. რამდენი ათასობით შეიძლება ჩამოვთვალოთ იმისთანა კაცები, რომ დაეძებდეს „მიზეზ მიზეზ, დოს მარილი აკლიაო". საშინელი წარმოსადგენია ამისთანა ყოფა ქართველებისა.

მოვხედოთ ახლა ნასწავლ ხალხსა. რას წარმოგვიდგენს ნასწავლთ ქართველთ უმრავლესობა? წარმოგვიდგენს უაზროდ, უგზოუკვლოდ მავალსა, რომელსაც აზრადაც არა აქვს, იკისროს ცოტაოდენი შრომა ჩვენის მშვენიერის ქვეყნისათვის, რომელიც ათასის წლის მტრების შემოსევამ ააოხრა და დღეს ყოველი შვილის

მცირედი კეთილი შრომა წყლულს შეუმცირებს და კეთილდღეობას დაუახლოვებს.

ვინ უნდა ჰფიქრობდეს მომატებულად ქვეყნის „აღშენებას" თუ არ მეცნიერების სხივით შემოსილი ნაწილი საზოგადოებისა?

მაგრამ დღეს დაუფიქრდეთ საზოგადო წარმატებასა და ქვეყნის ბედნიერებასა. იმედი მივცეთ ჩვენს თავსა, რომ, ღვთის მინიჭებულ შეძლებისამებრ, მსწავლულსაც, სამღვდელო-საეროსაც, მდიდარსა და ღარიბს — ყველას შეგვიძლია ქვეყნის „აღშენება" და გაბედნიერება ჩვენის კაიკაცობით, შრომისმოყვარეობით ერთმანერთის დახმარებით და გზის მიცემით. ყველას გულში გვიღვივის ღვთისაგან აღგზნებული ლამპარი, რომელიც გვინათებს ცხოვრებაში გასავლელ გზასა და ქვეყნის მავნებელსა და სასარგებლოს სახილველად გვიხდის. დანახვა ორისავე ადვილია, ოღომც კი თვალი არ დავხუჭოთ.

[1883 წ.]



დრონი იცვალნენ

ტფილისი, 29 იანვარს.

ჩვენდა სასიხარულოდ და სასიქადულოდ ჩვენმა საზოგადოებამ ამ უკანასკნელს სამს-ოთხს წელში რაღაც განსაკუთრებითი ყურადღება აღმოუჩინა საზოგადო საქმეებს. თვით ურწმუნო თომა, ამ თანაგრძნობის მომხედი, დასტოვებდა ჩვეულებრივს საყვედურს ჩვენს გულგრილობაზე და იმედნეულად შეხედავდა მომავალს.

არცერთი საინტერესო და სასარგებლო კითხვა არ აღძრულა ჩვენში, რომ საზოგადოებას რამდენადაც არის მაინც არ მიეღოს მონაწილეობა კითხვის შემუშავებაში. ხშირად ეს მონაწილეობა მარტო გონებით შრომაზე არ შეჩერებულა, — საზოგადოება დახმარებია საქმეს ხან მორალურად, ხან მატერიალურად...

მოვიგონოთ თუგინდ წვრილმანი. ჩვენს გაზეთში გამოგვიცხადებია ამ უკანასკნელს დროებში, რომ დიდს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს სიტყვიერებას ხალხური ანდაზების, გამოცანების და ლექსების შეკრება, სოფელში გაგონილი ლეგენდების შედგენა, ისტორიული ადგილების აღწერა და ამ გამოცხადების შემდეგ, მოკლეს დროში, მიგვიღია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდამ მთელი რვეულები ამგვარი, ხალხის მეტყველების ნაწარმოებით გარდათეთრებული. ამათგანი ზოგი დაგვიბეჭდია და ზოგი ჩვენს პორტფელში დაბეჭდვას ელის...

ღმერთმამც ინებოს, რომ ამგვარი თანაგრძნობა საზოგადოებისა საუკუნოდ დარჩეს ჩვენს ხალხში, მაგრამ სანამ ეს თანაგრძნობა ჯერ ახალია, სანამ დროღა ითმენს, ჩვენ გვინდა ჩვენის პატივცემულ თანამშრომელთ

და მკითხველთ ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთს ფრიად საჭირო მხარეს ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურისა.

ჩვენ ვამბობთ ჩვენი მწერლებისა და გამოჩენილი კაცების ბიოგრაფიის მასალის შეკრებას.

ტფილისში, ქუთაისში, ქართლში, კახეთში, იმერეთში კიდევ ბევრნი არიან ისეთნი პირნი, რომელნიც იცნობდნენ წარსულ საუკუნეში ნაცხოვრ გამოჩენილ კაცებს, პირნი რომელიც ნათესაობდენ, ან მეგობრობდენ ამ საუკუნეში გამოჩენილ მწერალთა, თუ სხვაგვარად შესანიშნავ ქართველთა. ეს პირნი, ან ამ პირთ საშუალებით სხვა თანამგრძნობელნი დედა-მეტყველების წარმატებისა, დიდს სამსახურს გაუწევენ მას, რომ, გაგონებისდაგვარად, დასწერდნენ სულ ყველაფერს, რასაც კი მოკრავენ ყურს ზემოაღნიშნულ პირთა შესახებ. ოდესმე ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებით შედგება სრული ცხოვრების აღწერა ჩვენთა საპატიო კაცებთა.

ჩვენ ბედნიერად შევთვლით ჩვენს თავს, მივცეთ ადგილი გაზეთში ყოველნაირ ამგვარ ცნობებს.

[1883 წ.]



ერთი სახსართაგანი ჩვენში მეურნეობის წარმატებისათვის

ტფილისი, 1 თებერვალს.

როდესაც ამას წინათ ჩვენს საზოგადოებაში და კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაში ბ. მეისნერის აქციონურ კამპანიის თაობაზედ იყო სჯა და მომეტებული ნაწილი ამგვარ კამპანიის დაარსების წინააღმდეგი გახდა, ბ. მეისნერის აზრის მომხრენი ერთს სამართლიან კითხვას გვაძლევდნენ:

— კარგი და პატიოსანი, თქვენ არ გინდათ, რომ უცხო კაცმა ისარგებლოს თქვენის ნაწარმოებით; არ გინდათ არც იმის ფული და არც იმისაგან თქვენი ნაწარმოების წაღება. მაშ, როგორ აპირებთ ამ საქმის გაძღოლას? განა უკეთესი იქნება, რომ ისევ ჩარჩებისა და სირაჯების ხელში დარჩეთ? განა ის გირჩევნიათ, რომ თქვენს ნაწარმოებს ასე ვიწრო ბაზარი ჰქონდეს გასაღებისა და ასე ცოტა სარგებელს გაძლევდესთ ეს თქვენი ოფლი და შრომა?

მართლაც, ყველა ჰხედავს და გრძნობს, რომ თავის ოფლითა და ნაღვაწით ქართველ კაცს იმის ნახევარი შემოსავალი და სარგებელიც არა აქვს, რამდენიც შეიძლებოდა რო ჰქონოდა, თუ კი ამ ნაშრომ-ნაღვაწის რიგიანად გასაღება მოეხერხებინა. ყველა ვხედავთ და ვგრძნობთ, რომ ქართველ კაცის მამული თითქმის ნახევარ ფასად უვარდება ხელში უცხო ხალხს, ვაჭარს და ეს სარგებლობს ამით, ეს იდებს ჯიბეში იმას, რაც სამართლით მიწის მუშასა და მიწის პატრონს ეკუთვნის.

ათასი მაგალითები, ათასი შემთხვევები ვიცით, ჩვენს გაზეთშიაც გამოცხადებული ყოფილა ამის დასამტკიცებლად და ახლა ამაზე სიტყვის გაგრძელებას საჭიროდ აღარა ვთვლით.

მაშ რა გვიხსნის ამ მდგომარეობიდამ? რა საშუალებაა ისეთი, რომ მუშას თავის ნაშრომი ერგოს, პატრონს თავის საკუთრება და სხვის ნაშრომითა და საკუთრებით გარეშე კაცი არ სარგებლობდეს?

რაღა თქმა უნდა, რომ აქ ჩვენ საფუძვლიანად ამ საგნის განხილვას, ამ საშუალების მოძებნას არ შეუდგებით. ჩვენ გვინდა მხოლოდ ორიოდე სიტყვა ვთქვათ ერთს პატარა ღონისძიებაზედ, რომელიც დღეს ამ მდგომარეობაში ცოტათი მაინც დაგვეხმარება, ცოტათი მაინც განგვათავისუფლებს იმ ხალხისაგან, რომელნიც არც ხვნენ, არც სთესვენ და მკით კი მკიან.

ეს საშუალება არის ისე მოწყობა, ისე მოხერხება საქმისა, რომ მწარმოებელს თავის ნაწარმოების მიწოდება შეეძლოს პირდაპირ იმ ხალხისათვის, რომელსაც ეს ნაწარმოები ეჭირება; რომ პურის ან ღვინის მომყვანმა, ვთქვათ, უშუაკაცოდ, უვაჭროდ მიაწოდოს ამ საგნის მომხმარს თავის გასასაღებელი საქონელი.

ამისათვის ერთი საშუალება არის დიდი ხანია მოგონილი: ისეთი მაღაზიების, ანუ სალაროს, ანუ, როგორც ეხლა უძახიან ჩვენში, ისეთი დეპოს გამართვა შუა ადგილებში, სადაც მიწისმომქმედსა და მწარმოებელს შეეძლოს თავისი საქონლის მოზიდვა და გასაღება.

რამდენიმეჯერ იყო ლაპარაკი ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს თავად-აზნაურებში ამგვარ სალაროს გამართვაზედ ტფილისში, მაგრამ, როგორც საზოგადოდ გვჩვევია ხოლმე ხშირად, ეს ლაპარაკი ლაპარაკითვე გათავებულა და საქმე საქმედ კი ვერ მოსულა.

ამგვარი სალარო, მარტო ტფილისში კი არა, ყველა სამაზრო ქალაქებში და დიდ სოფლებშიაც უნდა გაიმართოს. ყველას, ვინც იქ თავის ნამუშევარს მოიტანს, უნდა მიეცეს იმთავითვე ნახევარი ან მესამედი მაინც მოტანილ საქონლის ფასისა.

ჩვენ რომ ახლანდელ ჩვენებურ გზების მდგომარეობას და სოფლის ხალხის (თავად-აზნაურებისაც) ფუ-

ლის გაჭირებას ვხედავთ, ამგვარი საქმის რიგიანად დაწყობა ბევრ სიძნელეს წარმოადგენს.

ყველაზე პირველად საჭიროა, რომ ამ საქმის მოთავეთ, სალაროს დამაარსებელთ საკმაო ფული ჰქონდესთ ხელში, რომ იმთავითვე, საქონლის გასაღებამდინ, შეიძლონ გაჭირებულ პატრონს ნამუშევრისას ხელი მოუმართონ. ხშირად სოფლის ხალხს იმდენი საშუალებაც არა აქვს, რომ გასასყიდი საქონელი ქალაქში ჩამოზიდოს, — აქაც ნდობა და ხელის გამართვა არის საჭირო. ამას გარდა, თუ სოფლის გზები არ იქმნა ჩვენში გაყვანილი, როგორც ახლა ოხრდება და ნახევარ ფასად საღდება ხოლმე დიდძალი ნაწარმოები ჩვენი ხალხისა, ათასი სალაროც გაკეთდეს, ბევრ სარგებლობას ვერ მოუტანს მიწისმომქმედს.

საჭიროა აგრეთვე ისე წაყვანა ამ საქმისა, რომ აქაც ქართველობა არ დაგვეტყოს: ცოდნით, ვაჭრულის ანგარიშით და ბეჯითად.

ბევრი სხვა რამ ეჭირება ამისთანა საქმის რიგიანად წაყვანას, ბევრი სხვადასხვა დაბრკოლება დაუდგება წინ, ბევრი მტრები და მოწინააღმდეგენიც აღმოუჩნდება, მაგრამ შესრულება მაინც შეიძლება, თუ ენერგიულად, მხნედ და ვაჭრულ ანგარიშით მოჰკიდებენ ხელს.

და თუ მართლა შეასრულეს, უეჭველია, ეს დიდ სარგებლობას მოუტანს მწარმოებელსაც და ნაწარმოების მომხმარსაც და ამას გარდა, თავიდამ აგვაცდენს ბ. მეისნერის მსგავსის „მოკეთესაგან“, რომელიც დღეს, მგონია, მოვიშორეთ თავიდამ, მაგრამ რომლის მსგავსი შეიძლება ხვალ გვეწვიოს და დიდი ზარალი მისცეს მთელს ჩვენს წარმოებასა, მთელს ჩვენს ხალხსა.

ამაზედ კარგად უნდა დაფიქრდეს ჩვენი მოწინავე საზოგადოება; ეს არის იმისათვის არსობითი საგანი, ამაზედ, ამ უცხო ხალხის თავიდამ აცილებაზედ ქვეყნის ბედ-იღბალი არის დამოკიდებული.

[1883 წ.]



სამღვდელოებაზედ

ტფილისი 7 თებერვალს.

დიდი ხანი არ არის, რაც გაზეთებს მიენიჭათ უფლება სამღვდელოს წოდებაზედაც სწერონ ისე, როგორც სხვა წოდებაზე; საერო უწყების ჟურნალ-გაზეთებმა დაიწყეს წერა საეკკლესიო და სასულიერო საქმეებზედაც. ამ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში მაინც ერთობ ბევრი რამ დაუწერიათ სამღვდელოების წოდებათა პირებზე. ყველას თავისი აზრი აქვს შედგენილი სამღვდელოებაზედ. უნდა სთქვას მართალი კაცმა, ბევრი ახირებული უსაფუძვლო აზრი გამოითქვა ამ საგანზედ, მაგრამ ბევრიც ძლიერ მართალი და საფუძვლიანი.

სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ დროებში ისეთ საქციელს მოგვითხრობენ გაზეთებში სამღვდელო პირთა, რომ მის კითხვაზედ ვწითლდებით, გვრცხვენია; მაგრამ რუსულ ანდაზით ვნუგეშობთ, რომ „ოჯახობაშიაც გამოერევა ერთი ართვალი“.

აიღეთ თუ გინდათ ხარაგაულის მღვდელ მ. კიკნაძე. შორაპნის მაზრაში ასორმოცი მღვდელი იქნება, მაგრამ ჯერ არავის არ დაუმდაბლებია ისე თავი თავის სამრევლოს წინაშე, როგორც ამან დაამდაბლა თავისი საქციელით. სამწუხაროდ, მისი საქციელის წაკითხვა და გაგონება საკმაოა მრავალთათვის, რომ ამისთანავე აზრი შეადგინონ სხვა მღვდლებზედაც...

ასე იქცევიან სამღვდელოების შესახებ. ვერ წარმოუდგენია ზოგიერთს, რომ მღვდელიც, როგორც კაცი, განსაკუთრებით უსწავლელი, ხშირად ჩავარდება იმის-

თანა საქმეში, რომელიც არ მიეტევება უბრალო გლეხკაცსაც.

მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამისთანა პირები კანონისაგან არ ისჯებიან; გათამამებული ერთი საქციელით, შემდეგ უარეს საქმეს ჩადიან და ამნაირად მრთელს სამღვდელოებას სვრიან და უკარგვენ ყოველ ზნეობით გავლენას სამწყსოზედ. ეს ძლიერ აწუხებს დანარჩენ სამღვდელოებას, მაგრამ რა ეკითხებათ მათ?

ეხლანდელი წყობილება და სამართლიანობა სასულიერო წოდებისა მრთელ რუსეთის იმპერიაში ისეთია, რომ ამისთანა ცუდი საქმის ჩამდენნი პირნი ხშირად რჩებიან დაუსჯელად...

ამას ჰხედავს კარგად საზოგადოება და გაზეთები. ამისათვის ზოგიერთი გაზეთები ურჩევენ უმაღლესს სასულიერო მთავრობას, იხმარონ სხვადასხვა საშუალება სამღვდელო წოდების ასამაღლებლად ზნეობითად ხალხის წინაშე და მოსასპობლად მათ შორის ცუდთა და მავნე პირთა.

სხვათა შორის, ამის თაობაზე „საზოგადო და საეკლესიო მახარებელი“ ამბობს:

„საჭიროა სამღვდელოებას თვითონ მიენიჭოს უფლება, რომ თვითონ იხმაროს საშუალება თავის მოძმეთა ზნეობით გასასწორებლად. მღვდლებმა უფრო კარგად იციან — თუ ვინ არის მათ შორის ცუდი ყოფაქცევისა. უნდა ვალდებულნი გახადონ ყველა მღვდლებთან პასუხისგებისა, როდესაც ერთი მღვდელი ცუდად იქცევა მათ ოლქში. მათ უნდა მიენიჭოს უფლება, რომ შემდეგ ორი-სამი დასჯისა, განაძიონ მღვდელი თავის ოლქიდამ“.

იქნება იფიქროს ვინმემ, რომ ეს მოუხერხებელი რამე იყოს. არა; ძლიერ ადვილი მოსახერხებელია, რომ უუწმინდესი სინოდი გამოსცემდეს ამგვარ წესდებულებას.

საერო წოდებაში წესიერების დასამყარებლად და ბოროტ და მავნებელ პირების განსარინებლად პოლიციის და სასამართლო უწყების ყოველ ღონისძიებანი ხშირად უქმად რჩებიან. ამისთანა შემთხვევაში ეს წოდებანი მიიქცევიან ისევე საზოგადოებისადმი და სთხოვენ მათ, რომ თვითონ გაასამართლონ მათ შორის მყოფნი ცუდი და საზოგადოების მავნებელნი პირნი. საზოგადოება სასამართლოს ხელში აძლევს მავნებელ პირთა და ამით ბოროტი პირები ისპობიან.

თუ ამას სჩადის უსწავლელი ხალხი, რასაკვირველია, სამღვდელოება უფრო მოფიქრებულად მოიქცევა ამ შემთხვევაში და ამ ღონისძიებით ან გაასწორებს თავის ცუდი ზნეობის მოძმეს და ან სრულებით მოიშორებს თავიდამ.

[1883 წ.]



ჩვენი ჟურნალ-გაზეთების საქმე

ტფილისი, 12 თებერვალს

ორმოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც პირველი გაზეთი დაარსდა ქართულ ენაზე (სოლ. დოდაევის „ტფილისის უწყებანი“ 1832 წ.) მას აქედ ჩვენმა პერიოდიულმა ლიტერატურამ, რასაკვირველია, ნაბიჯი წაზდგა წინ: გამოდიოდა „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“ და „კრებული“, რომელთაც სხვადასხვა გარემოებათა და საზოგადოების გულგრილობას ვერ გაუძლეს და ერთიმეორეზე მიიცვალნენ. და დღეს ჩვენ დაგვრჩენია ორი გაზეთი და ორიც ჟურნალი.

თუ მივიღებთ მხედველობაში, ერთის მხრით, თითქმის ერთს მილიონნახევარს მცხოვრებ ქართველებს და, მეორეს მხრით, ორმოცდაათი წლის არსებობას ჩვენი დროგამოშვებით ლიტერატურისას — ეს დიდი ნაბიჯი არ იქნება, ეს მხოლოდ ოთხი პერიოდულ გამოცემათა არსებობა დიდს წარმატებას არ გვიჩვენებს ქართულ მწერლობისას.

ეს ნაბიჯი და ეს წარმატება კიდევ უფრო პატარად გვეჩვენება, თუ მოვიგონებთ, რომ ყველა ამ დროგამოშვებით გამოცემათა ხელისმომწერლების რიცხვი, ერთად რომ შევკეცოთ, ორი ათასამდინაც არ მიაღწევს. მილიონნახევარ ქართველებში ორი ათასიც რომ არ იყოს ჟურნალ-გაზეთების მკითხველი — დამეთანხმეთ, ეს დიდი ნუგეში არ არის!

რა არის ამის მიზეზი? რას უნდა მიეწეროს ამგვარი კუს ნაბიჯით მსვლელობა ჩვენი დროგამოშვებით ლიტერატურისა?

პირველი და უმთავრესი მიზეზი ამისი გახლავთ ის, რომელიც ფრთებს ჰკვეცს და აწუხებს მთელი რუსეთის პერიოდულ ლიტერატურას და განსაკუთრებით კი ჩვენსას — მივარდნილ ქვეყნისას და ხალხისა ბეჭდვის კანონების სისასტიკეზე მოგახსენებთ, იმ კანონებზე, რომელსაც ემორჩილება ახლანდელი მწერლობა და რომლის წყალობითაც ამ მწერლობას მოსპობილი აქვს ყოველი გზა და სახსარი გაცხოველებისა, საზოგადოებაში ინტერესის აღძვრისა, ათასგვარ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისა, თავისუფლად თავის აზრისა და შეხედულობის გამოთქმისა და სხვ. და სხვ.

რა წარმატება უნდა მიეცეს პერიოდიულ ლიტერატურას, რამ უნდა მიიზიდოს იმისაკენ მკითხველი საზოგადოება, როდესაც ეს საზოგადოება, სხვადასხვა გარემოებათა წყალობით, ვერ ჰპოულობს ამ ლიტერატურაში პასუხს თითქმის ვერც ერთ იმ უანგარიშო კითხვაზე და საგნებზე, რომელნიც დღე და ღამ იმას მოსვენებას არ აძლევენ, რომელიც იმის არსებით საჭიროებას შეადგენს და რომლის დაკმაყოფილებას ამ ლიტერატურაში ის ამაოდ ეძიებს? რად დაუწყებს მკითხველი საზოგადოება გაზეთებსა და ჟურნალებს კითხვას, როდესაც გარდა ზოგიერთ ახალ ამბებისა (ისიც ხშირად უმნიშვნელო ამბებისა) ვერაფერს ვერ ჰპოულობს ამ ჟურნალ-გაზეთებში?

და აკი არ კითხულობს, არ იწერს, და აქედამ წარმოსდგება, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები საზოგადოდ ისე ღარიბები არიან, რომ იმ მხრითაც ვერ მოუხერხებიათ თავის მკითხველების დაკმაყოფილება, რა მხრითაც ახლანდელ მდგომარეობაშიაც შეეძლო დაკმაყოფილება, ნივთიერი ღონისძიება, ესე იგი ბევრი მკითხველი რომ ჰყოლოდათ.

ეს ერთი.

მეორე მიზეზი ჩვენი დროგამოშვებით ლიტერატურის სისუსტისა თვითონ ჩვენი დაწინაურებული საზოგადოებაა.

აი როგორ: ახლანდელ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ხელის მომწერთა სია რო გადაათვალიეროთ, ერთს მოვლენას შენიშნავთ: თითქმის ორი მესამედი ხელის მომწერლებისა ისეთი პირები არიან, რომელთაც რუ-

სული სრულიად არ იციან და ქართულსაც კი ჩათვლით ჰკითხულობენ. ესრეთწოდებული ჩვენი განათლებული და დაწინაურებული საზოგადოება, რომელმაც რუსული იცის ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ათასში ერთი არ ჰკითხულობს: ის უფრო რუსულ გაზეთებსა და ჟურნალებს ეტანება; ქართულის კითხვა თითქო სათაკილოდ მიაჩნია.

— რას გვეტყვის ისეთს „დროება“ ან „ივერიაო“, — ამბობენ ეს ვაჟბატონები, რომ რუსულ გაზეთებიდამ და ჟურნალებიდამ უფრო მალე და უკეთაც არ შევიტყოთო?

უკაცრავად ნუ ვიქნები და ამ სიტყვაში თქვენი უმეცრება სჩანს, ჩემო განათლებულო ქართველო კაცო! თამამად შემიძლია მოგახსენო, რომ ყოველი ქართული ჟურნალი და გაზეთი, რაც უნდა უხეირო და სუსტი იყოს, იმას გეტყვის თქვენ და იმას შეგატყობინებს, რასაც ვერც ერთი რუსული და, საზოგადოდ, უცხო ქვეყნის გაზეთი და ჟურნალი ვერ გეტყვის და ვერ შეგატყობინებს: თქვენივე ქვეყნის მდგომარეობას, თქვენივე მოძმის ლხინსა და დარდს; ის გაგაცნობს თქვენს თავს, თქვენს ბედ-იღბალს; შეგატყობინებს — რა ეჭირება და აწუხებს ქართველ ხალხს, რის დაკმაყოფილება უნდა იმას, ერთის სიტყვით — რა აწუხებს და რა ალხინებს.

და თუ შენ მართლა ქართველი კაცი ხარ, თუ მართლა შენი ქვეყნისა და ერისათვის გული შეგტკივა — ყველა ამის შეტყობა და გაცნობა შენთვის აუცილებელ საჭიროებას უნდა შეადგენდეს. საუბედუროდ, თუმცა განათლებულს უძახი შენს თავს, მაგრამ ეს უბრალო ჭეშმარიტება კი არ გესმის.

ერთს დიდს მიზეზს ჩვენი დროგამოშვებით მწერლობის სისუსტისას, უეჭველია, ის გარემოებაც შეადგენს, რომ ჩვენ არა გვაქვს ესრედწოდებული „საზოგადო ცხოვრება“. ყველა თავის საკუთარს სოროში შემძვრალა და, თავის ცხვირს იქით თუ ცხოვრებაა, არ ჰხედავს და არც დასდევს; საზოგადო ინტერესი რა არის — არ ვიცით, საზოგადო საქმეებისათვის თითის განძრევა გვეძნელება; ცხოველი ცხოვრება, რომელიც უმთავრეს საზრდოს აძლევს ლიტერატურას, ჩვენს ქვეყანას ჯერ არ უგემებია და რაღა თქმა უნდა, რომ ამ უფერულ და მკრთალ ცხოვრების სარკედ ჩვენ გვაქვს უფერული და მკრთალი დროგამოშვებითი მწერლობაც.

ყველა ამას გარდა, არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც საგრძნობელად აბრკოლებს ჩვენი ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას და წარმატებას: უფოჩტობას, უგზოობას მოგახსენებთ. არა თუ სოფლის მცხოვრებნი, რომელნიც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში თითქმის სულ ქართველები არიან, მოკლებულნი არიან ჟურნალ-გაზეთების მიღების საშუალებას, არამედ, იმ უწესოებისა და ურიგობის გამო, რომელნიც რკინის გზის სტანციებზე და ფოჩტებზე არსებობს, ეს საშუალება ამ სტანციებზე და ქალაქებშიაც კი გაძნელებულია.

— რად გამოვიწეროთ თქვენი გაზეთი, რად დავკარგო ტყუილად ფული, როდესაც სამ ნომერში ძლივს ერთი მომდისო! — ამისთანა წერილები ხშირად მოგვსვლია ჩვენ არათუ სოფლის, ქალაქის ხელისმომწერლისგანაც.

შემდეგში ჩვენ მოვილაპარაკებთ იმ ღონისძიებებზე, რომლითაც შესაძლებელია და მოსალოდნელი ჩვენი დროგამოშვებით ლიტერატურის ცოტათი მაინც წარმატება და აღორძინება.

ტფილისი, 14 თებერვალს.

რა საშუალებითა და ღონისძიებით შეიძლება ჩვენი დროგამოშვებით ლიტერატურის გაცხოველება და აღორძინება? რა საშუალება არის საჭირო, რომ ერთის მხრით, მკითხველმა საზოგადოებამ იპოვოს ამ ლიტერატურაში ის, რასაც ეძიებს და, მეორეს მხრით, თვითონ ამ დროგამოშვებით ლიტერატურამ შეიძინოს მკითხველი საზოგადოება? ამ კითხვის პასუხი თითქმის მოხსენებულია ჩვენი გაზეთის წინანდელ ნომერში, სადაც ჩამოვთვალეთ ის მიზეზები, რომელნიც ჩვენს ახლანდელ დროგამოშვებით ლიტერატურის წარმატებას აბრკოლებენ! უნდა მოიპოს ის მიზეზები და, ცხადია, მაშინ მოისპობა ის შედეგიც — ლიტერატურის

სისუსტე — რომელიც დაბადებულია ხსენებულ მიზეზებისაგან.

პირველი ამ მიზეზთაგანი, რომელზედაც სჯა მთელ რუსეთის ლიტერატურას აქვს ახლა, რომელიც ჩვენთვისაც და რუსეთისთვისაც საერთო დამაბრკოლებელ მიზეზს შეადგენს, არის ბეჭდვის კანონების სისასტიკე და გამოუკვლევლობა. რუსული გაზეთები თითქმის ერთხმად თხოულობენ ამ კანონების შეცვლას და ისეთის წესის დადგენას, რომელიც ცოტათი მაინც შეღავათს მისცემს, ცოტათი უფრო მომეტებულის თავისუფლებით აზრის გამოთქმის ღონისძიებას მიანიჭებს საზოგადოდ მწერლობას და განსაკუთრებით დროგამოშვებით მწერლობასა.

მართლაც, ყველა გრძნობს ბეჭდვის შესახებ ახლანდელ კანონების შეცვლის საჭიროებას; ყველანი მოუთმენლად მოელიან იმ დროს, როდესაც ეს გამოცვლილი ახალი კანონები ცოტათი მაინც შეამსუბუქებენ ახლანდელ ლიტერატურის გაჭირებულ მდგომარეობას.

მაგრამ საზოგადოებას აქ, გარდა თავის სურვილისა და ნატვრის გამოცხადებისა, არა შეუძლია რა. ეს მარტო უმაღლესს მთავრობაზედ არის დამოკიდებული.

ამავე მთავრობაზედ არის აგრეთვე დამოკიდებული მოსპობა მეორე მიზეზისა, რომელიც აბრკოლებს დროგამოშვებით ლიტერატურის წარმატებას: ფოსტის, გზების მხრით დაბრკოლებაზედ მოგახსენებთ. გადაუჭარბებელად შეგვიძლია ვთქვათ, ჩვენში რომ ისეთი სოფლის გზები და ფოჩტები იყოს გამართული, როგორც, ვთქვათ, გერმანიაშია, ან საფრანგეთში, ან პატარა შვეიცარიაში, მაშინ ჩვენებურ ჟურნალებსა და გაზეთებს, ერთი-სამად თუ არა, უეჭველია, ერთი-ორად მაინც ახლანდელზე მომეტებული მკითხველი ეყოლებოდა და, მაშასადამე, ერთი-ორად უფრო მომეტებული ღონისძიება, რომ თავის მდგომარეობა გაეკარგებინა და მკითხველის კანონიერი მოთხოვნილებაც დაეკმაყოფილებინა.

მაგრამ არის ერთი ისეთი სხვა მიზეზი, რომელიც ამას წინად მოვიხსენეთ და რომლის მოსპობა საკუთრივ ჩვენზედ, ჩვენს საზოგადოებაზედ არის დამოკიდებული: ჩვენ ვამბობთ დაწინაურებულ და შეძლებულ საზოგადოებისაგან სამშობლო ლიტერატურისადმი უფრო მომეტებულ თანაგრძნობის და ხელის მომართვის სურვილის გამოცხადებაზედ, ვიდრე დღემდინ ვხედავთ ამას ჩვენში.

საქმე იმაშია, რომ სანამ ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლიტერატურად ჩაითვლება, სანამ იმას მაგრად ფეხი არ გაუდგამს ხალხში, სანამ მკვიდრი ფესვები არა აქვს, მანამ გარედამ, თანამგრძნობთაგან, სამშობლო საქმის გულშემატკივართაგან ეჭირება დროებით დახმარება და ხელის მომართვა. ყველგან ასე ყოფილა და ჩვენშიაც ასე უნდა მოხდეს: თანამგრძნობი პირნი უნდა ამოგვიჩნდენ, რომელთაც თუ ნივთიერად, თუ ლიტერატურულად, თუ გამხნევებით, თუ რჩევით და თუ სხვა ათასის საშუალებით დაეხმარონ ჯერ კიდევ ნორჩს, ფესვგაუმაგრებელს ჩვენს ლიტერატურასა. და როცა ის გამაგრდება, როცა დამწიფდება, მერე სხვის დახმარება საჭირო აღარ იქნება, მერე თვითონ ის დაეხმარება ათასგვარ ჩვენ საზოგადო საქმეების წარმატებასა და წინსვლას.

საუბედუროდ, ამას ვერ ვხედავთ დღეს ჩვენში. პირიქით ბევრი ქართველთაგან, რომელთაც განათლებულს ეძახიან და რომელთაც, მაშასადამე, უნდა ესმოდეს სამშობლო ლიტერატურის მნიშვნელობა, თითქოს მტრულის თვალით შესცქერიან ქართულ მწერლობას. იმის სისუსტე თითქო ახარებს იმათ, სამწუხარო მოვლენაა ეს მოვლენა ახლანდელს ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში და, სანამ ეს არ მოისპობა, მანამ, არათუ დროგამოშვებით ლიტერატურის აღორძინებას და აჰყვავებას, არც ერთ ჩვენი საერო საქმის წარმატებას არ უნდა მოველოდეთ. მაგრამ, ღვთით, თანდათან ვატყობთ ნიშნებს ამ სამწუხარო მოვლენის მოსპობისას; თანდათან ნაკლებად ვხედავთ ისეთ ქართველს, რომელსაც თავის ქვეყნისა და ერის საზოგადო საქმეების დაბრკოლება ახარებდეს. და შემდეგში, იმედია, ამგვარ პირთ კიდევ უფრო ნაკლებად შევხვდებით.

აი ეს არის უმთავრესი საშუალებანი ჩვენი დროგამოშვებით ლიტერატურის წარმატებისათვის, საშუალებანი, რომელნიც დღეს, ამჟამად დაგვეხმარებიან ჩვენ და ხელს მოუმართვენ ამ ლიტერატურის გაძლიერებას თუ არა, ცოტათი წინწაწევას მაინცა. დღეს ესეც ვიკმაროთ.

ტფილისი, 14 თებერვალს.
[1883 წ.]



ვიწროობა

ტფილისი, 19 თებერვალს.

მარტო ამ ქვეყნად კი არა, იმ ქვეყნის შესავალშიაც ვერ ეტევა კაცი. სასაფლაოები გაივსო, ერთ და იმავე სამარეში ორ-სამ კაცს მარხვენო, ტევა არ არისო, იწერებიან სოფლებიდამ.

მართლაც და,

ადამის დროიდან ერთს სასაფლაოში იმარხება ჩვენი მკვდრები. ეკლესიის გარშემო, გალავანს შიგნით დაუსახავთ ჩვენთ წინაპართ მათი განსასვენებელი. წლითი-წლად, შთამომავლობამდე, ეს სასაფლაოები ივსება მიცვალებულებით, ყოველ წლივ ემატება იმათ რიცხვს და გალავანი კი ისევ ის არის, რაც ეკლესიის დაფუძნების დროს იყო. როგორც სწერდენ ამ დღეებში „კავკაზს“, სოფელს ჭკადუაშში უადგილობის გამო ორი მკვდარი ერთ სამარეში ჩაუმარხავთ; იმავე სოფელში ორი გვარის კაცებს მოსვლიათ ჩხუბი სასაფლაო ადგილისათვის და ამ ჩხუბში ცხრა კაცი დაუჭრიათ.

ეს ცილობა სასაფლაო ადგილისათვის პირველი არ არის და არც უკანასკნელი, უფრო სარწმუნო იქნება რომ ვთქვათ, რომ ეს სამწუხარო შემთხვევა დასაწყისია იმ საყოველთაო ცილობისა, რომელსაც გვიქადის ჩვენ მომავალი იმ სივიწროის წყალობით, რომელიც ყველგან არის ჩვენს სოფლებში.

უნდა როგორმე ავიცილოთ თავიდამ ეს გაუხარებელი და სამწუხარო მომავალი.

სხვაგან, ტფილისში, მაგალითად, როდესაც ადრინდელი სასაფლაო ავლაბარზე გადაიტანეს. რამდენიმე ათი, ასი წლის შემდეგ, როცა ავლაბარიც შევიწროვდება მკვდრები ხელახლა გამოიცვლიან თავიანთ განსასვენებელ ადგილს.

ამ გზას უნდა მიჰყვნენ ჩვენი სოფლებიც, სხვა ღონე არ არის.

უნდა გადიტანონ ეკლესიის გალავნიდამ ის სასაფლაოები, რომელშიაც ადგილი არ არის მეტი მიცვალებულთათვის.

ძნელია ეკლესიის მოშორებაო, წინაპართა სასაფლაოს დაგდებაო, იტყვიან ჩვეულების მიმდევნი. მართალია, სამძიმოა ეკლესიის მოშორება, მაგრამ ის უფრო სამძიმო არ იქმნება რომ ერთის წლის მიცვალებული საფლავიდამ ამოაგდო და ახალი დაასაფლაო იმის მაგიერ? ის უფრო სამძიმო არ იქნება, რომ ძმამ ძმა დააკლას მიცვალებულს ამ უადგილობის გამო და მკვდარს მკვდარი დაამატონ? ყოველი გონიერი კაცი, ყოველი ნამდვილი ქრისტიანი დათანხმდება, რომ ისევ გალავნის მოშორება სჯობს ამგვარ ცოდვას. განა გალავნის გაშენებას სხვა ადგილზე ვერ შეიძლებს ხალხი, განა ეკლესიის მაგივრობას ვერ გაუწევს მიცვალებულს ქრისტეს ჯვარი, რომელსაც დაადგმენ მის საფლავზე?

რაც უნდა იყოს, როგორც უნდა იყოს, მიუცილებელი საჭიროება არის ჩვენს სოფლებში ახალი სასაფლაოები გაიხსნას, რომ მოისპოს ის უთანხმოება, რომელიც სუფევს მეზობელთ შორის, ის უპატიობა, რომელსაც ახვედრებენ მიცვალებულთ. სასულიერო მთავრობის მოვალეობა არის ამ საქმის მოფიქრება და ცოტ-ცოტად განხორციელება. თორემ დრო დადგება, როდესაც ადმინისტრაციას დასჭირდება მიშველება და თვით მოსამართლეებთაც. ღმერთმა გვაშოროს ესეთი ბედი.

დასასრულ ერთი ქვეყნიური მოსაზრებაც. საზოგადოდ ჩვენი ეკლესიები სოფლის შუა ადგილზე არიან გაშენებულნი. რა საჭიროა ჩვენი სიმრთელისთვის, რომ სასაფლაო ადგილი შუა სოფელში იყოს. ცოტა სოფლის გარე რომ იყოს ის ყოველთვის საუმჯობესო

იქმნება. ზოგიერთი ავადმყოფობაა, რომელიც სასაფლაოს წყალობით შეიძლება სოფელში გავრცელდეს. მუდმივი სუნია, რომელიც მავნებელია სიმრთელისთვის.

[1883 წ.]



ლექციების შესახებ

შარშან „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ გვპირდებოდა დიდმარხვაში რამდენიმე ლექციის გამართვას ქართულს ენაზედ. სამწუხაროდ, ეს დაპირება დარჩა ცარიელი დაპირებად და აღსრულებაში ვერ მოიყვანეს.

ჩვენის აზრით, ამგვარი ლექციები, ნამეტნავად მედიცინისა, ნამდვილ საჭიროებას შეადგენს ჩვენი საზოგადოებისათვის, რადგანაც უმეტეს ნაწილს ჩვენის ხალხისას ელემენტარული ცნობაც კი არა აქვს ექიმობისა და გიგიენისა. ამის გამო ბევრჯერ უბრალო ავადმყოფობა მოურჩენელ სენად ექცევა ხოლმე ჩვენს ხალხს, რომელმაც მოვლა არ იცის ავადმყოფისა და ბევრჯერ წამალს საწამლავად აქცევს და საწამლავს წამლადა.

მაგალითად მოვიყვანთ ერთს უბედურს შემთხვევას, რომელიც პირდაპირი შედეგი იყო იმ უმეცრებისა, რომელიც წარმოსდგება წამლის ხმარების უცოდნელობით.

ერთს ყმაწვილს ქალს ასტკივდა თვალები; ურჩიეს მუშკები დაეკრა ყურს უკან; პატრონებმა იფიქრეს, წამალი თუ ყურს უკან დადებით თვალებს არგებსო, ზედ თვალებზედ დადებით უფრო არ უნდა არგოსო! დააკრეს საცოდავს ქალს თვალებზედ და ორივე თვალით კი დააბრმავეს.

ამგვარი მაგალითები ათასობით ხდება ხალხში; მეტი სარგებლობა რაღა იქნება, რომ რაოდენადაც შეიძლება ჩვენმა ყმაწვილმა ექიმებმა გააცნონ ხალხი წამლების ხმარებას და ავადმყოფების მოვლას.

ჩვენი ყმაწვილი ექიმები მოვალენი არიან, აღასრულონ შარშანდელი თავიანთი განზრახვა და არ დააგდონ ეს საკეთილო საქმე.

ბევრი იმისთანა ურწმუნოები იპოვებიან, რომელთაც არ ვიცით — რა საბუთით, ჰგონიათ, რომ ქართულს ენაზედ ლექციები არ წაიკითხებაო; მაგრამ ეს ისეთი უაზრო, მოუფიქრებელი სიტყვებია, რომელსაც არც ერთი რიგიანი კაცი ყურს არ დაუგდებს.

მართალია, ლექტორები დიდს გაჭირვებას ნახვენ ტერმინების გამოკვლევაში, მაგრამ უშრომლად ვის რა ეძლევა.

პირველში ლექციები ნაკლულევანებას არ ასცდებიან, ტერმინები შეცდომით იხმარებიან, მაგრამ ამგვარი ლექციების დაწყება მაინც ნაბიჯის წადგმა იქნება. დაწყებაა ძნელი, თორემ, რა ერთხელ დაიწყება საქმე, დღითიდღე შესწორდება, გაუმჯობესდება და დაადგება წესიერს კვალს.

[1883 წ.]



სამართალი მწრაფლი და მართალი

ტფილისი, 9 მარტს.

ჩვენი სასამართლო იმით არის კარგი, რომ მალე ასამართლებს ბრალდებულებს, ხშირად მოხდება, რომ საქმით არ მტკიცდება ეს ცხოვრებაში, მაგრამ ბრალი ამისი, უმეტეს ნაწილად მაინც, სასამართლოს კანონები არ არიან, არამედ მისი განურჩეველნი მსახურნი. მთელს რუსეთში გაისმის საყვედური ამ ძველის, კანცელიარიულ წესის შემოღებაზე სასამართლოებში, სამართლის დაგვიანებაზე და იმ რეფორმამ, რომელსაც ეხლა ამზადებენ რუსეთში, უნდა ნამდვილი საშუალება გამოსძებნოს, რომ სამართალი იყოს მწრაფლი და მართალი საქმით და არა მარტო სიტყვით.

ამ ორი კვირის წინად პარიჟში არეულობა მოხდა, რომელშიც ხუთათასმა მუშებმა მიიღეს მონაწილეობა, მართებლობა იძულებული შეიქნა ჯარის შემწეობით დაემშვიდებია აჯანყებულები, დაეჭირა მოთავე პირები და სამართალში მიეცა. სხვა ქვეყანაში, სადაც სამართალს დედაბოძად კანცელარია აქვს შემდგარი, ამგვარი საქმე რამდენიმე თვე მაინც გაგრძელდებოდა, თუ არ წელიწადი. პარიჟში კი, აჯანყების მეორე დღესვე, გაასამართლეს დამნაშავენი და სასჯელი გაუჩინეს. აი, ამგვარ სამართალს კი შეიძლება დაარქვას კაცმა სამართალი მწრაფლი და მართალი.

თორემ, ვთქვათ წაგართვა ვინმემ შენი საკუთრება. იცი, ვინც არის ეს წამრთმევი, საბუთები ხელში გიჭირავს, რომლითაც შეგიძლია დაუმტკიცო, რომ წართმეული საგანი შენია და უფლების ნება შენს მტერს არას გზით არ შეუძენია და, ვთქვათ, შენ სასა-

მართლოში უჩივლე და შენსას ითხოვ. რა აზრი უნდა შეადგინო შენ იმ სამართალზე, რომელიც ჯერ რამდენიმე თვე ერთს ინსტანციაზე შეგაჩერებს, მერე — მეორეზე, მესამეზე და ერთის, ორის წლის შემდეგ გეტყვის: შენი ყოფილა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, წაიღეო.

ან ვთქვათ, შენ უბრალო ხარ, გაგრიეს რაღაც დანაშაულში და ციხეში ამოგაყოფიეს თავი. დაიწყება გამოძიება, რომელიც რამდენსამე თვეს გაატანს, ეს გამოძიება გადაეცემა პროკურორს, მერე ბრალმდებითი აკტი შედგება, როდის საქმე დაინიშნება გასარჩევად და როდის გათავდება ის საქმე პირველს ინსტანციაზედ. ვთქვათ გაგამტყუნეს პირველ ინსტანციაზე და მეორეზედაც. მესამე ინსტანციამ შენი საქმე ხელ-ახლა დააბრუნა და ორი-სამი წლის შემდეგ შენმა ბედმა და სიმართლემ გასჭრა და შენ გაგამართლეს. თითქო გამადლიან რასმესო — „სამსაჯულომ გიცნო შენ მართალ კაცადო“. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს ამდენი ხანი რომ მოკლებული იყავი თავისუფლებას, ცოლს, შვილს, მოკეთეს, რომ სახელი გაგიტყდა და პატიოსანი კაცები განზე გიყურებენ, ეს არაფერი? „უკაცრაოდო“ — მაინც გითხრას ვინმემ. ესეც კარგი ნუგეში იქნებოდა.

ამგვარი მდგომარეობა ბრალდებულთა, რომელთაც არა აქვთ დამნაშავეობა, იმდენად სამწუხაროა და ამაღელვებელი, რომ დღეს, როდესაც მმართებლობის განკარგულებით მთელი რუსეთის სასამართლოს თანამოზიარენი პირნი ცდილობენ კანონების განკარგვას, გაუმჯობესობას, ისეთი პირნიც აღმოჩნდნენ, რომელთაც მიაქციეს ყურადღება ამგვარს მათ მდგომარეობას. რუსულს გაზეთებში სწერენ, რომ პეტერბურგის იურიდიულ საზოგადოებაში ერთმა საზოგადოების წევრმა — ფოინიცკიმ, აღძრა კითხვაო, რომ უბრალოდ დატუსაღებულ და ბრალდებულ პირთ მმართებლობამ უზღოს რომელითამე საწყაულითო. სხვათა შორის, ფოინიცკის აზრი ის არის, რომ მართებლობამ, გამოაცხადოს ბეჭდვით, საკუთარის საფასით, ბრალდებული კაცის სიმართლე. ამას გარდა მართებლობამ უნდა უზღოს იმ კაცს ყველა ის ზარალი, რომელიც

მას მოუვიდა უმიზეზოდ ციხეში ჯდომის დროს. ზარალს გარდა, თუ კაცი ღარიბი არის, დღის ანგარიშით, მისცეს ქირა ყველა იმ დღეებისთვის, რომელიც იმან გაატარა საპყრობილეში. რაც შეეხება იმათ, ვისიც ცილისწამებით და დასმენით იქნა დამწყვდეული ბრალდებული მართალი კაცი, ისენი კანონით სასტიკად უნდა დაისჯებოდენ.

ფოინიცკის აზრი ჯერ კერძო კაცის აზრია. ღმერთმა იცის, მიეცემა იმას განხორციელება, თუ არა. სასურველი კი იქნება, რომ მთავრობამაც მიაქციოს ამ საგანს თავისი ყურადღება. ნათქვამია:

„უმჯობესია ათი დამნაშავე გამართლდეს, ვინემ ერთი მართალი დაისაჯოსო“.

[1883 წ.]



წინამძღოლი არა გვყავს

ტფილისი, 11 მარტს.

იმგვარ ქვეყანაში, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა, სადაც პირდაპირი კავშირი და ურთიერთობა შეუძლებელია მრავალ შემთხვევაში მმართველთა და ქვეყნის შორის, სადაც მაშასადამე, პირველთა გულშემატკივრობა მეორის წყლულთა განსაკურნებლად საეჭვოა და საბაასო, იქ აუარებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებლად საჭიროა შუამავალი და წინამძღოლი. ამ შუამავალთ და წინამძღოლთ დასი უნდა გამსჭვალული იყოს ქვეყნისათვის გულმტკივნეულობით და მუდამ ჟამს მზად — მის სასარგებლო სამსახურისათვის.

მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა, ჩვენი ქვეყანა სრულიად მოკლებულია ამგვარს შუამავალს და წინამძღოლს. ჩვენი ქვეყნის ბედი და ინტერესები არავისგან მტკიცედ და მედგრად არ არის დაცული და სრულიად ღვთის ანაბრობაზეა მიგდებული.

როცა გვაქვს შემთხვევა, რომ რამ საქმე საქვეყნო და საშვილიშვილო გარიგდეს, მაშინ ჩვენ დაქსაქსულნი აქეთ-იქით მივიწევთ და თუ თავი მოვიკრიბეთ, მხოლოდ ვიყაყანებთ და საქმეს წინ არ წავწევთ ხოლმე. ან კამისიებს ამოვარჩევთ და სამუდამო მდუმარების და სიკვდილის ზეწარს ვაფარებთ მას, ან ვენზელებზე მოვყვებით სჯას, ან რომელიმე კერძო პირის პატივებას და მისთვის წყალობას შევთხოვთ უმაღლეს მთავრობას, ან და სრულიად უსარგებლო საგანზე ფიქრით ვიღალავთ გონებას.

25 წარსულს თებერვალს იყო მოწოდებული თავად-აზნაურთა არაჩვეულებრივი შეკრებილება, რომელმაც ისე ჩუმად ჩაიარა, რომ მრავალს არც კი გაუგონია დღე კრებისა. კრება შესდგა ხელმწიფის დაგვირგვინების გამო, რაისათვისაც მან გადასწყვიტა მირთმევა ხელმწიფე-იმპერატორისათვის ჩვენებურად გაკეთებულის ვერცხლის ხონჩისა.

ამ კრებაზედ ხმა არ დაძრულა, რომ ჩვენს საზოგადოებრივს საჭიროებაზედ მოგვეფიქრნა რამ და იმ სადღესასწაულო დღით, როგორიც არის ხემწიფის მირონცხება და დაგვირგვინება, გვესარგებლნა და რამ წამალი გამოგვეთხოვნა ჩვენ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საარაკოა ჩვენი ბედი. იმ ქვეყანას, რომელსაც საკუთარის დამოუკიდებელის არსებობის დროს, როცა საკუთარი მეფენი კარზედ ჰყავდა, მოეპოვებოდა ამ მეფეთ წინაშე სხვადასხვა შუამავალი და ხალხის ინტერესების დამცველი, ჰყავდა ჯვარის მტვირთელი, რომელიც მეფის წინაშე მხსნელი იყო ქვეყნის ყოველ გაჭირვებულს და დავრდომილობის დროს ხალხისა და ერისა, კათალიკოსი-პატრიარქი, თვითმდგომარეობით თვისით ვალდებული ზრუნვად თავის სამწყსოს მოთხოვნილებისათვის, ზნეობით და გონებით აღზრდისათვის, იმ ქვეყანას, ვამბობთ, დღეს, როცა უფრო საჭიროა, ჩვენის ქვეყნის განსაკუთრებულის მდგომარეობის გამო ყველა ესეები, არა ჰყავს არცერთი პირი, ძალით და უფლებით მოსილი, არ მოეძებნება არცერთი დაწესებულება, თავად-აზნაურების წარმომადგენლობის გარდა, თავის საკუთარი წოდებრივის ინტერესების დასაცველად, რომ ქვეყნის დარდი და ვარამი, ქვეყნის ტკივილი და საჭიროებანი აცნობოს უმაღლეს მმართველობას ადგილობრივი მთავრობის შუამავლობით და ხმამაღლა უშიშრად იღაღადოს ჩვენ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

[1883 წ.]



ავსტრიის ვარამი

ტფილისი 14 მარტს.

„ავსტრია, გეოგრაფიული ტერმინია“-ო სთქვა ერთმა გამოჩენილმა დიპლომატმა. ეს სიტყვები დიდი ხანია ითქვა, მაგრამ ისე აშკარად არსად გამართლებულა ცხოვრებაში, როგორც ამ წარსულ კვირებში.

ერთი გამოჩენილი ნემეცის მუზიკანტი მოკვდა ამას წინად. ამ კაცის სიკვდილის გამო ავსტრიის ნემეცებს ჰქონდათ ყრილობა და ერთს ამგვარს ყრილობაზე დეპუტატმა შენერერმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც გაატარა ის აზრი, რომ ავსტრიის ნემცები გერმანიას უნდა შეუერთდენო. ამ უბრალო სიტყვამ, რომელსაც არავითარი პრაკტიკული შედეგი არა ჰქონდა, ავსტრიის მართებლობას ძილი დაუფრთხო. ყოველმა კაცმა „პოლიტიკური ორგულობა“ დაიძახა და სამსჯავრო იძულებული შეიქნა ეთხოვა პალატისათვის, ნება მიეცათ, გაესამართლებინათ დამნაშავე დეპუტატი. პალატამ პატივდებაში მიიღო პროკურორის წინადადება და 156 ხმით (107 ხმის წინააღმდეგ) დაადგინა, რომ შენერერი პასუხისგებას მიეცეს.

„ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკაო“... რომ იტყვიან სწორედ ასე დაემართა ავსტრიის კაბინეტს, რომ ამ უბრალო სიტყვას ასე დიდი მნიშვნელობა მისცა, ეხლა მთელი ევროპა ამ სიტყვაზე ლაპარაკობს და ყველას თვალწინ წარმოუდგა ავსტრიის ნემეცების სურვილი. ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ეს სურვილი მარტო უბრალო ხალხში კი არ სუფევს; თითონ პალატაში მას 107 თანამგრძობი დეპუტატი ჰყავს.

ჯერ, ამ სამის წლის წინად, ავსტრიის მართებლობა იმას სცდილობდა, რომ ნემეცური ელემენტი გაეძლიერებინა ჩეხების, ფოლიაკების, სლავიანების ხარჯით, მაგრამ როდესაც დაატყო, რომ მისი მეცადინეობა უნაყოფოდ რჩებოდა, პოლიტიკა გამოიცვალა და ტაფეს სამინისტრომ ყველა იმ ხალხებს, რომელნიც შეადგენენ ავსტრო-ვენგრიას, მოვლა და მფარველობა დაუწყო. ამ პოლიტიკით გერმანიის შიშსაც იგერებდენ მინისტრები.

მაგრამ არც ამ პოლიტიკამ გასჭრა და ავსტრიის ნემცები მაინც გერმანიისკენ იწევენ. სლავიანურ ელემენტსაც სხვაგან აქვს თავისი სიმპატია. რომ ყველას წადილი აუსრულდეს, ავსტრია სწორედ გეოგრაფიული ტერმინი გამოვა.

ავსტრიის მართებლობა გრძნობს ამგვარ თავისს მდგომარეობას და ყოვლის ღონისძიებით სდევნის ნემეცების სურვილს გერმანიასთან გაერთებისას. ის პროცესი, რომელიც სამსჯავრომ აუტეხა დეპუტატ შენერერს დიდმნიშვნელოვანია ავსტრიისთვის, დეპუტატი, რასაკვირველია, დაისჯება, მაგრამ რა შედეგი ექნება ამ პროცესს გერმანიის და ავსტრიის ერთმანერთთან მეგობრულ განწყობილების დაცვისათვის, ეს კი ძნელია ითქვას ეხლა. ყოველს შემთხვევაში ეს გავლენა არ იქნება ავსტრიის სასარგებლოდ.

[1883 წ.]



დიდი ოჯახი დაგვერღვა

ტფილისი, 15 მარტს.

არის ხოლმე დრო გაჭირვებისა და სასოწარკვეთილებისა, როგორც თვითეულის კაცისათვის, ისე ერისა და ქვეყნისათვისაც. ეს ის დროა, როცა ერისა და ქვეყნის არსებობას გზა აღარ ეძლევა წარმატებისათვის, როდესაც მისი გული და გონება გარეგან და შინაგან მიზეზებისა გამო დახშულა და მარტო იმაზედღა მიბყრობილა იმის ძალა, იმისი უკანასკნელი ღონე, რომ არსებობა ქვეყნისა, მისი მაჯისცემა სრულიად არ შეწყდეს და სიცოცხლე ერისა არ განქრეს სამუდამოდ.

ამგვარი გაჭირვებული დრო დგება ქვეყნისათვის ან მაშინ, როცა მტერი შემოესევა ქვეყანას, აოხრებს მას და გრიგალივით მუსრს ავლებს ყოველსავე, რაც დიდის შრომით და ჯაფით შეძენილი და მოხვეჭილი ყოფილა მკვიდრის ერისგან. ან კიდევ მაშინ, როცა მტერი იდუმალად შემოსულა და არა გარეგანის ძალით, ფიზიკურის ღონით დაუძალავს მკვიდრი ერი, არა ცეცხლით და იარაღით ამოუწვავს ადგილობრივი კულტურა და გაუმეფებია თავისი მის სამაგიეროდ, არამედ, როცა მშვიდობიანად დამყარებულა ქვეყანაში, მიუღია ყოველგვარი აღმატებულება უფლებრივი და ეკონომიური ერზედ და დაუტრიალებია ქვეყანაში ძალუმად ყოველივე თავისი კულტურული ძალა, უფლებრივი და ეკონომიური უპირატესობა აღმოსაფხვრელად ადგილობრივის კულტურისა, ჭკუა-გონების მონაღვაწობისა, ეკონომიურის და პოლიტიკურის დამოუკიდებლობისა.

ამ უკანასკნელად აღნიშნულს მდგომარეობაში ჩვენ ვხედავთ ბევრს სხვადასხვა ერს ევროპაში და აზიაში. და ყველგან მკვიდრი ებრძვის მოსულსა, პირვანდელი და თვითმდგომარე კულტურა მკვიდრია და ებრძვის მოსულების კულტურას, რომელიც ისე ძლიერია, რომ საკმარისია რამდენიმე ათასი კაცი წარმომადგენელი ჰყავდეს ამ უკანასკნელს, რომ დაჰსჩაგროს, გაანიორწყლოს და სასოება და იმედი წარუკვეთოს მკვიდრის კულტურის წარმომადგენელთა, თუნდ ეს უკანასკნელნი ერთი ათად, ერთი ასად მომეტებულნიც იყვენ რიცხვით და რაოდენობით მოსულებს კულტურის წარმომადგენლებზე.

ამის ცხადს მაგალითს წარმოგვიდგენს ინდოეთი, სადაც ერთს მოსულს დაუჩაგრავს ათასი მკვიდრი, სადაც ას და ათას დაუუძლურებია მილიონი.

მაგრამ ეს ერთგვარ შემთხვევაში. მეორეგვარ შემთხვევაშიაც, ე.ი. როცა მოსულების რიცხვი მომეტებულია მკვიდრზე, ხომ მკვიდრთა გაქარწყლებას და გაბედოვლათებას სამზღვარი აღარა აქვს ხოლმე.

ამის მაგალითებიც ცხადად ექმნება წარმოდგენილი და გამოცდილიც ჩვენს მკითხველს. მას ეცოდინება, რომ ამ შემთხვევაში ყოველივე ერის საუნჯე და ძვირფასი საბუთი მისის არსებობისა ფეხქვეშ ითვლება და შეგინებული და შეურაცყოფილი ხდება, ეცოდინება, რომ ყოველივე, რაც კი კაცს მოაგონებს თავის ეროვნობის დამოუკიდებელის, სიცოცხლის ნიშანს, მას ტლანკი ხელი ბრიყულად უსპობს სიცოცხლეს. სკოლა, ოჯახი, სარწმუნება და ეკკლესია, მწერლობა და ლიტერატურა, სამართალი და ჩვეულება, საზოგადოებრივი და ეროვნული ცხოვრება ყოველივე ეს თვითოეულად საშიშროებაში ვარდება, ან სულ ჰქრება სამუდამოდ, ან და ძლივსღა ჰფეთქავს, ძლივსღა ბეუტავს სიცოცხლის ალით, მომაკვდავსა და სულთმაბრძოლსავით.

ამ გაჭირვებულს დროს მკვიდრი ერის საერთო დიდი ოჯახი იშლება, ირღვევა და დიდი და მადლიანი იდეა სამშობლო ქვეყნის აღორძინებისა და განვითარებისა, დამოუკიდებლის არსებობისა და თავისუფალი წარმატებისა, ჰქრება და ილევა, დანაწილებას და დაკ-

ნინებას ეძლევა. დიდის იდეას დარღვევის და დანაწილების შემდეგ წვრილმანდება თვით ერიც და ერის თვითოეული წარმომადგენელნიც და მაშინ, როცა უწინ სამშობლო ქვეყანას ჰყავდა გმირნი, ძალუმის ვნებათა მექონენი, კაცნი, განმადიდენი ქვეყნისა დიდსულოვნობით, ხასიათით და ენერგიით, ამ დროს ეს უკანასკნელნიც აღარ იბადებიან, აღარ ჩნდებიან, თითქო განჰქრენ სამუდამოდ, შავ მიწას ამოეფარნენ და იქიდან ათასში ერთხელღა მათი აჩრდილი მოჩვენებასავით ელანდება დაწვრილმანებულს შთამომავლობას და ძილს უფრთხობს, სულის სიმშვიდეს და მოსვენებას ურღვევს წვრილს გმირებს და ქონდრის კაცებს, მამულის სამსახურისა და განთავისუფლებისათვის დაუძლურებულებს, ხასიათით გალაჩრებულებს და გაბედოვლათებულებს. საყოველთაო მიძინარების, საყოველთაო უძლურების ჟამს თითო-ოროლა შეშინებული ხმა თუღა ისმის უმთავრესის ბოროტების წინააღმდეგ, ქვეყნის დამმონებელთა და მტარვალთა გასაკიცხველად, მაგრამ ეს თითოეული ხმა რჩება უძლურ ღაღადებად ქვეყანაში, რომელიც უდაბნოდ არის გადაქცეული.

მაგრამ ამ დროს არავინ უნდა იფიქროს, რომ ქვეყნის საქმე წავიდა, ერი მოკვდაო. ეს შეცდომა იქნება. პოეტმა ამგვარ დროსთვის სთქვა: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო“. ასეთი დრო დიდხანს არ გასტანს ხოლმე. დარღვევისა, ხრწნისა და დაშლის პროცესის შემდეგ იწყობა პროცესი აღდგომისა, განახლებისა, სიკვდილს მოსდევს სიცოცხლე, სიკვდილი ჰბადებს ცხოვრებას და ერი, ერთხელ ჩაგრული და მიძინარებული, მკვდარ გვამად გადაქცეული კვლავ აღსდგება ხოლმე მკვდრეთით, კვლავ იმოსება ძალით და ახლდება ფენიქსისაებრ.

რითი და როგორ იწყობა ეს აღდგომა მკვდრეთით ჩაგრულ ერისათვის, ეს სულ სხვა საგანია...

[1883 წ.]



უკანასკნელი რეფორმები

ტფილისი, 18 მარტს.

დიდი ხანია, რაც ძველებურს წესებს, ძველებურს წყობილებას აეგო ანდერძი. ის დრო, როცა ერი და ქვეყანა იმართებოდა და განიგებოდა ცენტრალურ დაწესებულების მიერ, ჩაჰბარდა ისტორიას და ჩაილუღის წყალს მიეცა. ასე ფიქრობს ზოგიერთა გულუბრყვილი და გატაცებული ცხოვრებით ქვეყნის გულწრფელი მოკეთე და გულშემატკივარი. იმას კი აღარ დაეძებს ეს უკანასკნელი, რომ სუყველა მხოლოდ თეორეტიულად არის აღიარებული და ცხოვრებაში კი ისევ მეფობს, როგორც ძველი წესი და წყობილება, ისე ცენტრალური სისტემა მართველობისა.

თქვენ სეტყვასავით დაგაყრიან ყველა იმ ფაქტებს, რომელნიც ქვეყნის წინწაწევას ამტკიცებენ, მამაო ჩვენოსავით ჩამოგითვლიან იმ რეფორმებს, რომელთაც მოჰყავთ საზოგადობრივის ცხოვრების გაუმჯობესება. ეს ერობაო, ეს „საქალაქო დებულებაო“, რომელთაგანაც ერთი მაზრას აძლევს დიდს უფლებას თავის სამაზრო საქმეების განგებისას და მეორე — ქალაქს — თავისთავის მოვლისას და ქალაქის განთავისუფლებისას პოლიციის მზრუნველობისაგან; მოგიყვებიან სამსაჯულო რეფორმებზე გაცხარებულ ბაასს, რომლის საფუძვლად და ქვაკუთხედად აღსაარებულია საგულისხმიერო უმაღლესად წარმოთქმული სიტყვები: სამსჯავრო მსწრაფლი, მალი და მოწყალე, ან კიდევ ძველთაგან თქმული: სჯობს ათი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი უბრალო დაისაჯოსო.

ამისთანა გატაცებულთ ბევრი რამ ავიწყდებათ და ბევრს დამაფიქრებელს და სავარამო საგანს უმალავენ თავის თავს.

აიღეთ თუნდა საგლეხო რეფორმა, ბედნიერება მოჰყვა მას გლეხთათვის? ეხლა დამტკიცებულია, რომ რუსეთში გლეხის მდგომარეობა უმჯობესი იყო მატერიალურად მის განთავისუფლებამდე, ვიდრე ეხლაა, განთავისუფლების შემდეგ, რაც შეეხება ზნეობრივს მის მდგომარეობას, ესეც სანატრელს მდგომარეობაში არ არის ეხლა. ხომ მოგეხსენებათ, სადაც დიდი გაჭირვება ჰსუფევს, იქ ყოველგვარ ზნისა და კაცობის დამამცირებელს გარემოებას მკვიდრად აქვს ფესვი გამდგარი ისე, რომ ბავშვიც აღარ დაიჯერებს ეხლა, როცა საზოგადოების ცხოვრების შესწავლამ განსაცვიფრებელი ფაქტები აღმოაჩინა, რომ, ვითომ ღარიბ და ღატაკ საზოგადოებაში რამე მოიძებნებოდეს ისეთი, რაც ამაღლებს და აკეთილშობილებს კაცს.

ის სიცრუე, ვითომ რუსეთის ხალხი სიღარიბეშია თუმცა, მაგრამ მაინც ყოველივე სიკეთის ბუდე და კოლოფია — ეს სიცრუე და უსაფუძვლო შეხედულება მოგონილია წრესგადასულ რუსეთის პატრიოტებისა — სლავიანოფილებისაგან, რომელთაც ამ უკანასკნელს დროს ბანი მისცეს ესრეთწოდებულის სახალხო მიმართულების ლიტერატურის ზოგიერთა წარმომადგენელთა (მაგ. ზლატოვრაცკი და სხვ.).

იმაზე, თუ რა გავლენა იქონია ჩვენს გლეხობაზე მისმა განთავისუფლებამ, ისე ცოტა ფაქტები მოგვეძებნება, რომ სჯა სრულიად შეუძლებელია.

რაც შეეხება ერობას, ეს ჩვენთვის აღთქმის ქვეყანას დაემზგავსა. ჩვენი მწერლობა ღაღადებს მის საჭიროებას, თავადაზნაურობა ითხოვს მის შემოღებას, მაგრამ აქამდინ ჯერ კიდევ ჩამი-ჩუმიც არ არის ამ საგნის შესახებ, იქიდამაც მას გამოველით.

რუსეთში კი ერობას ისე აღარ უცქერიან, როგორც ჩვენში. ერობა იქ ისე ფთაშეკვეცილი განხორციელდა ცხოვრებაში, რომ მას გულგრილობის მეტი არა დაუმსახურებია რა საზოგადოებისაგან. საუკეთესო მოღვაწეთ ამ მხრივ თავი დააწესეს ამ დაწესებულებას და ერობა დღეს თითო-ოროლა კაცის ინტერესების დასაკმაყოფილებლად და გასაძღომად საუკეთესო ჭახრაკი გამხდარა.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ჩვენმა მწერლობამ უყურადღებოდ დასტოვა და რომელსაც ჩვენთვის საგულისხმიერო მნიშვნელობა აქვს. ამ გარემოების მიზეზით, ჩვენში ერთი-ათად და ერთი-ასად, დიდი და პატარა მოწადინებულნი უნდა ვიყვნეთ ერობის შემოღებისა. საქმე ის არის, რომ დღეს ჩვენში არ არის ისეთი სამმართებლო დაწესებულება, სადაც ქართული ენის ხმარება სავალდებულოდ იყოს კანონიერად ცნობილი, — არც სკოლაში, არც სასულიერო უწყების უმაღლეს სფერაში, არც სამსაჯულო ნაწილში, არც ადმინისტრაციაში. ამგვარ გარემოებათა შორის ერთი ისეთის დაწესებულების შემოღება, რომელიც თუნდ ათასჯერ ფრთამოკვეცილიც იყვეს. მაგრამ შეძლებას მოგვცემს დედა ენის ვარჯიშობისას, დიდად სასარგებლო იქნება, რადგანაც როგორც სამაზრო ერობაში, ისე საგუბერნიო ერობაშიაც, უმრავლესობა მოქმედთა და მოღვაწეთა არ იქნება მცოდნე რუსულის ენისა. ჩვენ დაგვრჩა, დასასრულ, კიდევ მოსახსენებად „საქალაქო დებულება“, რომლის ძალითაც ქალაქებს მინიჭებული აქვთ უფლება თვითმართველობისა. მაგრამ რადგან ყოველ ჩვენებურ ქალაქში გაბატონებულან ვაჭრები და ვაჭრები კი ჩვენს ეროვნობას არ ეკუთვნიან, ამიტომ ამ საქმეში ქართველობის ელემენტს მხოლოდ ოდნავშესამჩნევი ხმა და მნიშვნელობა აქვს. ესეც იქიდამ წარმოსდგება, რომ „საქალაქო დებულების“ ძალით ამომრჩეველნი და ხმის მექონენი მხოლოდ ისინი არიან, ვინც ვაჭარია, ან სახლისა და უძრავის ქონების პატრონია — თვით ქალაქში. ვინც კი ქალაქში სცხოვრებს მუდამ, იხდის სახლის ქირას, სამსახურშია, თუ რამ კერძო მოვალეობას ასრულებს, ესენი ყოველნივე ხმას მოკლებულნი არიან.

აქედამ ცხადია, რომ ქალაქის საქმეები იქნება და არის კიდეც სომხობის ხელში. ესეგვარი მოვლენა კიდევ ასატანია იქ, საცა ვაჭარიც და სხვა მცხოვრებელიც ქალაქისა ერთი და იგივე ერის წარმომადგენელია და სხვადასხვა ინტერესებით, ხანდახან, სულ

ერთმანერთის წინააღმდეგობით, არ არიან განცალკევებულნი.

ჩვენში კი სწორედ ასეა და ჯერ თუ დიდი რამ ვნება არ მოგვცემია ამგვარ მდგომარეობისაგან — ეს კიდევ საბუთი არ არის, რომ აშკარა უსამართლობას მოვალენი ვიყვნეთ გულდამშვიდებით უცქიროთ. ორიოდე სამართლიანი შესწორება რომ მოხდეს „საქალაქო დებულებაში“ ეს უსამართლობა განჰქრებოდა.

[1883 წ.]



ქალაქის რჩევას

ტფილისი, 19 მარტს.

დიდი საქმეა ქალაქისთვის „კონკის“ გამართვა, რომელიც ვერიდამ მუშტაიდამდის ორ შაურად გაიყვანს ტფილისის მოსახლეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გზის გაყვანას ისეთი ცუდი შედეგი მოჰყვა, რომელიც, თუ როგორმე დროზე არ გასწორდა, ბევრს ზიანს მოუტანს ქალაქელებს.

უმთავრესი ნაკლულევანება ამ გზისა ის არის, რომ მთელს ხაზზე, კუკიის ხიდიდამ დაწყებული მუშტაიდამდის, რელსები ძლიერ მაღლა არიან ამოწეულნი ქუჩის ზედაპირიდამ. ამ გარემოების გამო, როდესაც ეკიპაჟი მიდის ამ გზის გასწვრით (ორფად დაწყობილ რელსებს მთელი შუა ადგილი უჭირავს ქუჩისა) კუჩერს არ შეუძლია ადვილად გზის გადახვევა, რადგანაც ეკიპაჟის ბორბლები მიეკვრებიან რელსებს და იმას მისდევენ რამდენიმე საჟენის სიგრძეზე, უეცრივ გზის გადახვევა შეუძლებელია მისთვის და ისიც, როცა ბორბალი გადაახტება ამ რელსებს ისეთნაირად ააგდებს ეკიპაჟში მსხდომ პირთა, რომ გუშინწინ ერთი ყმაწვილი ჩამოუგდია თურმე „კოზლიდამ“, რომელიც რაღაც ბედად გადარჩომია სიკვდილს. ამგვარი შემთხვევა, როგორც ამბობენ, ძლიერ ხშირია. ამასთან ის ცუდი შედეგიც მოსდევს ამ რელსების სიმაღლეს, რომ ერთ-ორ თვეზე ქალაქში ცხენებს ფეხები არ შერჩებათ.

მეორე ნაკლულევანება ამ გზისა ის არის, რომ ვიწრო ქუჩებში ძლიერ გაძნელდა მოძრაობა მას აქეთ, რაც ამ ქუჩებით „კონკა“ დადის. რეალური სასწავლებლიდამ დაწყებული ვარანცოვის ძეგლამდის და აქედამ

ელისაბედის ქუჩით რეალურ სასწავლებლამდისვე ვიწრო ქუჩებია და ამ ქუჩებზე სიარული მეტისმეტად გაძნელდა. ხან ვაგონი ჩამოდის რელსებიდამ, ხან ბევრი ფაეტონები და ეკიპაჟები მოდის, ხან ფეხით მოსიარულენი არიან ბევრნი.

ამ ადგილებზე ყოველ წამში მოსალოდნელია რამე უბედური შემთხვევა. მიხაილოვის ქუჩის ბოლოზე რელსები ისე ახლო არის ტროტუარიდამ, რომ ერთი ფეხი რომ დაუცდეს კაცს, ერთი ხელი რომ ჰკრას ვინმემ „კონკის“ ბორბლებქვეშ მოყვება. რაღაც საუბედუროდ ამ ადგილზე ტროტუარიც მეტად ვიწრო არის.

ესეთივე ცუდი პირობაები დაუხვდება „კონკას“, როცა იმას გამოიყვანენ რუსის ბაზარში, სასახლის ქუჩაზე და სხვ.

ეს არის ძირითი, ორგანიული ნაკლულევანება ქალაქის რკინისგზისა. ზოგი ნაკლულევანება ადმინისტრაციის წყალობითაც ხვდება. დილით, თორმეტ საათამდის, მაგალითადა, ძლიერ ცოტა ვაგონები დადის, ასე რომ ხალხის საჭიროებას ვერ აუდის.

მიუცილებელი საჭიროა, რომ რაც შეიძლება, ის მაინც გასწორდეს ამ გზის ნაკლულევანებათგან. ნამეტურ რელსების დაწევაა მეტისმეტად საჭირო და საჩქარო. უეჭველია, ქალაქის რჩევა არ მიუცლის იმ სამწუხარო შემთხვევებს, რომელიც დღე-დღეზე მოსალოდნელია და წინადადებას მისცემს „კონკის“ პატრონებს გზის გადასწორებისას. თორემ „სამწუხარო შემთხვევა აუცილებლად მოხდება და მაშინ ყოველი კაცი ამას იტყვის“ ქალაქის რჩევაზე: გლეხკაცი მანამ პირჯვარს არ დაიწერს, სანამ ქუხილს არ გაიგონებსო.

[1883 წ.]



ხიზნების მდგომარეობა

ტფილისი, 4 აპრილს.

ამ სამი წლის წინედ ჩვენს ლიტერატურაში დიდი ლაპარაკი აღძრა ხიზნების მდგომარეობამ, მაგრამ, საუბედუროდ, ამ საყურადღებო საქმეს ჯეროვანი განსაზღვრა ვერ მიეცა.

ხიზნების მდგომარეობა ისევ ისე აუხსნელი და გახლართულია. არაფერი იურიდიკული ნორმით ანუ კანონით არ არის განსაზღვრული მამულის პატრონების უფლება და დამოკიდებულება ხიზნებთან. პირიქით, ამ უკანასკნელების ბედი და სული მამულის მეპატრონეთა ხელშია და მათ ქეიფზედ არის დამოკიდებული მამულზედ იჯარის აწევ-დაწევა, რასაკვირველია, რადგანაც ცხოვრება თანდათან ძნელდება, რთული საგანი ხდება და მასთან მოთხოვნილებანიც მრავალგვარდებიან, მამულის პატრონების მადასაც ემატება და მასთან თითქმის გეომეტრიული პროგრესიით იწევს მაღლა ხიზნების გადასახადიც. ეს გარემოება ჩვენ მეტისმეტ უსამართლობად მიგვაჩნია შემდეგი საბუთის ძალით. მამულის პატრონები, მაგალითებრ დუშეთის მაზრაში, ხიზნებს იმისთანა უვარგისს ადგილებში ასახლებდენ, სადაც შეუვალი ტყეები, ჭაობები და ხევები იყო. ხიზნებმა, მართალია იმ დიდრონი ტყეების გაკაფვით დიდი ზარალი მოუტანეს ჩვენ მხარეს, — თუმცა ეს ცოდვა უფრო მებატონეებს უნდა დაეწეროთ კისერზედ, სანამ ხიზნებს, მაგრამ იმდენი სისხლი და ოფლი ჩააქციეს, რომ ის უდაბური ღრე-ხევები ბოლოს მშვენიერ სახნაურ მიწებად აქციეს. უვარგისი მიწები ხიზნების მუშაობით და შრომით საუკეთესო მამულე-

ბად გარდაიქცნენ და რამდენიც მამულები კეთდება, იმდენად პატრონებიც ივჯარას მაღლა სწევენ, ეს შემთხვევა ხიზნებს ენერგიას ართმევს, მამულის შემუშავებას უგულოდ ეკიდებიან და ამის გამო არამც თუ მარტო ხიზნები და მამულის პატრონები არიან წაგებაში, თვით მიწის კულტურაც ერთ ალაგას ჩერდება ჩვენ ქვეყანაში.

თითქმის ჩვენი ხიზნებისთანა მდგომარეობაში არიან ზოგიერთი გლეხები სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში და პოლშაში, რომლებსაც იქ „ჩინშევიკებს“ ეძახიან. ჩინშევიკებზე კითხვა ვრცლად შეიმუშავა პოლშურმა და რუსულმა ლიტერატურამაც. მართებლობამაც ყურადღება მიაქცია ჩინშევიკების მდგომარეობას და ამ ცოტა ხანში კარგად თუ ავად გათავდება მათი საქმე.

ერთხელ თითქოს ხმა გაისმა, რომ მართებლობამ ხელი მოჰკიდაო ჩვენი ხიზნების საქმესაც, მაგრამ არც ეს საგანი წაუვა იმ საზოგადო ხვედრს, რომელიც თან მოსდევს ჩვენში ყველა რეფორმებს.....

სასურველია, რომ მართებლობამ ხიზნების საქმეს მალე მოჰკიდოს ხელი და დაიხსნას ეხლანდელი უსწორ-მასწორო მდგომარეობიდან როგორც მამულის პატრონები, ისე ხიზნები.

ჩვენის აზრით, სამართლიანი იქმნება, რაც ეხლა ხიზნები მამულებსა ხმარობენ, ის მამულები მებატონეთაგან მართებლობამ შეისყიდოს იმავე წესით, რა წესითაც ხდება უწინდელი ყმების მამულების გამოსყიდვა. სამწუხარო უფრო ის არის, რომ ზოგიერთი მამულები, რომელზედაც ხიზნებია დასახლებული, ვალებში ისყიდება და იმის მაგიერ, რომ თვით ხიზნებს შეასყიდვინონ, ისე კერძო პირთ ხელში გადადის, მაგ. დუშეთის მაზრაში არის ორი სოფელი ჭონტილი და ქათამამზვარე, რომლებიც ჭილაშვილებს ეკუთვნით.

ეს მეხუთე თაობა მოდის, რაც ამ ალაგებში დასახლებულან ოსები. ის ალაგები, სადაც უწინ გარეული ნადირის მეტი არავინა ბუდობდა, დღეს საუკეთესო სახნავ მიწებად არიან გადაქცეულნი ამ ოსების შრომით და მებატონებს მანეთიდან ეხლა ოცდაოთხ მანეთამდენ აუწევიათ კომლზედ გადასახადი. ჭონტილსა და ქათამამზვარეში მოსახნავი მიწებია სულ ექვსასი

დესიატინა, ანუ ათას ორასი დღიური, და ეს ამოდენა მამული წლეულ ვალში გაიყიდა ტორგით სულ 1,615 მანეთად. ტორგი მოახდინეს ტფილისში და თვით ხიზნებს ჯერაც არ შეუტყვიათ. სიმართლე მოითხოვდა, რომ საკუთარი უწყებით შეეტყობინებინათ ტორგის დანიშნვა იმათთვისაც, ვისაც ოფლი დაუღვრია და ამაგი დაუდვია ამ მამულზედ. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ჭონტილელი და ქათამზვარელი ოსები თითქმის დატყვევდებოდენ და ამ მამულებს კი სხვის ხელში არ ჩააგდებდენ.

[1883 წ.]



უცხოეთში

ტფილისი, 6 აპრილს.

ბოკლის შემდეგ ისტორიულ ლიტერატურაში ძალიან გავრცელდა ის აზრები, ვითომც კერძო პირი ისტორიაში არაფელს როლს არა თამაშობდეს, არაფერი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, თუმცა ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი და სხვა სულ წინააღმდეგს გვიმტკიცებენ. მართალია თავის დროზედ ცხოვრების კანონები და ისტორიის მსვლელობა თავისას იქს, მაგრამ კერძო პირს შეუძლიან რამოდენიმე ხანი ააჩქაროს, ან სულ შეაფერხოს ისტორიის მსვლელობა არა მარტო თავის ხალხისა, არამედ მთელი ქვეყნის ბედის ჩარხი თავის სურვილზედ დაატრიალოს.

დღეს ამისთანა ძლიერი კაცი ევროპაში არის გერმანიის კანცლერი ბისმარკი. ბევრსა ჭინჭყლობენ საფრანგეთის მოთავე კაცები და მათთან ერთად სხვა სახელმწიფოების დიპლომატები, მაგრამ ბისმარკი შეურყევლად სდგას და იმის გზის გადაღობვა ვერავინ შესძლო, ვინ მოიფიქრებდა, რომ იტალია, რომელიც ნემენცების სისხლსა სვამს. ავსტრიას და გერმანიას გაუწვდიდა მეგობრულ ხელს და მათთან კავშირს შეჰკრავდა, მაგრამ ეს დღეს ფაქტია, რომელიც იტალიის პირველმა მინისტრმა განჩინიმ ჯერ სადეპუტატო პალატაში და მერე სენატში ეს კავშირი საქვეყნოდ და დიდ სიამოვნებით აღვიარა. ეს კავშირი, რასაკვირველია, ბისმარკის წყალობით მოხდა და ამ შესანიშნავმა კაცმა ერთხელ კიდევ გაუცრუა საფრანგეთის პოლიტიკებს თავიანთი წადილები. დიპლომატები და პოლიტიკები თავისას აკეთებენ, მაგრამ იტალიელ ხალხის

გულში ვერ გააქრობენ იმ ნემენცების სიძულვილს, რომელიც მას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ბისმარკმა, მანჩინიმ და ანდრაშიმ რამდენიც უნდა ხელი ხვიონ ერთმანეთს და ესირინიზონ, მაინც იტალიის ხალხს ვერ გაუმრთელებენ ავსტრიელებისგან მათ გულის ჭრილობას, ვერ დაავიწყებენ მაძინისა და გარიბალდის ანდერძს... ამ კავშირით მხოლოდ იმას მიაღწევენ, რომ მარტოდ დარჩენილმა საფრანგეთმა ჯერ გულში უნდა ჩაიმარხოს გერმანიის ჯავრის ამოყრის განძრახვა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზედ პარპაშობასაც უნდა უკლოს, რომელიც იტალიას არაფრად ეჭაშნიკებად.

[1883 წ.]

1884 წელი



<სიტყვა წარმოთქმული თბილისელ ფრანგთა საზოგადოებისათვის გამართულ საღამოზე>

დღეს ჩვენმა პატარა ლიტერატურამ, პატარა თეატრმა ამ პატარა გაზეთის პატარა რედაქციაში მიიღო დიდი მადლობა პატარა ძღვენისათვის დიდის ერის წარმომადგენელთაგან.

მე მგონია, რომ ქვეყანაზედ დიდთან პატარაც არ გაჩენილიყო, ქვეყნიერობის მშვენიერებას ბევრი რამ დააკლდებოდა და თვით შემოქმედობის სიბრძნეზედაც ეჭვს შევიტანდით.

ნუთუ ქვეყანა მით უფრო მშვენიერ, მდიდარ და სავსე არ არის, რომ დიდს, უშველებელს მუხასთან პატარა მდელოზედ პატარა იაცა ჰყვავის თავის საკუთარის ფერითა და სურნელებით, ანუ თვალგადუწვდენელ ზღვისა და ოკეანეს ტალღების გრიალთან ისმის ნელი ჩუხჩუხი და კამკამი პატარა წყაროსიცა?! ბატონის კონსულის სიტყვამ დაგვიმტკიცა, რომ დიდისა და პატარის შუაც შესაძლოა ხიდი გაიდვას.

ჩვენ გვიხარიან, რომ, როცა აქ მცხოვრები გაჭირებული ფრანსიელი თავის გაჭირებას შეისუბუქებს თავის მოძმეთა სულგრძელ შემწეობითა, იმ შესუბუქებაში ჩვენც ცოტაოდენი წილი გვედება. ჩვენ ვწუხვართ, რომ ჩვენის სიღარიბის გამო, ჩვენს სინამეტნავეს გულისას ვერ შესწვდა ესეთი სიპატარავე ჩვენის ძღვენისა, მაგრამ მაინც მოგვირთმევია ეს პატარა ძღვენი და გვსურს ირწმუნოთ, რომ ამ პატარა საქართველოს ერს არ ეუცხოება დიდი გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა. აი, აქაც დიდი და პატარა, დიდი გრძნობა და პატარა ერი

ერთმანეთის შემავსებელნი, ერთმანეთს ამკობენ და ამშვენიერებენ.

ჩვენ ვართ ღარიბნი ოქროთი და ვერცხლითა, მაგრამ გულით მდიდარნი ვართ და თუ ოქრო და ვერცხლი საუნჯეა ხორცისა, გულის სიმდიდრე ხომ საუნჯეა სულისა. აი ამ სიმდიდრით მოგვირთმევია ჩვენი ღარიბი ძღვენი თქვენთა გაჭირებულ ძმათა საშველად.

შესაწირავის შეწირვას სულგრძელობა უნდა განა მარტო შემწირველისა, არამედ იმის სულგრძელობაცა, ვინც შესაწირავის მიმღებია.

ღარიბის დედაკაცის გროში ძვირად დააფასა იესო ქრისტემ იმიტომ, რომ იესო ქრისტე სულგრძელია.

ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ხელმოკლეობას ქართველისას წინ დაჰხვდა ესეთი სულგრძელობა ფრანსიელისა, — სულგრძელობა, რომელიც კეთილმოქმედების საქმეში ფასსა სდებს იმას კი არა, რომ სავსე მუჭა მოაქვს საშველად გამოწვდილს ხელსა, არამედ იმ მზადყოფნას, იმ ხალისს, იმ სითბოს გულისას, რომელმაც თვით ხელი გამოაწვდინა და რომელიც მცირეოდენს ძღვენსაც ძვირფასადა ჰხდის.

[1884 წ. 30 ნოემბერი]

1900 წელი



სიმვოლო სარწმუნოებისა

შედგენილი მსოფლიოსა კრებასა ზედა ქალაქსა შინა ნორპატისასა და გამოცხადებული სამეუფოსა ქალაქსა შინა ქვათათისს, ადგილობრივსა კრებასა ზედა მესამისა დასისასა, წელსა დასაბამითგან „კვალისა“ მეშვიდესა, ხოლო გაჟორდანიებისა მისისაგან მესამესა.

1. მრწამს ერთი მარკსი, ტომით ურიასტანელი, თავბრუდამსხმელი ყოველთა უმეცრებით-მოცულთა ჩჩვილთა და უპოვართა, მოჯადოებული სახელ-განთქმულისა გეგელის მიერ, მამა-შემქმნელი ყოვლისა მეცნიერებისა, არსისა და უარსისა, გარეშე რომლისა არა იყვნენ მეცნიერნი უცხონი სოფელსა ამას შინა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე;

2. და ერთი ოდენ ჭეშმარიტი მოციქული მისი ჟორდანია, გურჯისტანელ მარკსად წოდებული, რომელი მარკსისაგან გამოვალს, მის მიერვე გაცოფებულ არს მსგავსად ჯიბლაძისა და მისთანათა, უარმყოფელი ყოველთა მეცნიერთა გარეშე მისსა, რომელი ჩვენის დასის თავად აღსაარებულ და ხელდასხმულ იქმნა წინასწარმეტყველისა გიორგის მიერ უწინარეს დაბადებისა მისისა, ჟამსა მას გოდებისასა, დასაფლავებასა ზედა ინგოროყვასასა, ნათელი ნათლისაგან, მეცნიერი ჭეშმარიტი მეცნიერისაგან უჭეშმარიტესისა, ქმნილი და არა შობილი, თანაარსი მოძღვრისა მისისა, რომლისაგან შეიქმნა ყოველი მეცნიერება;

3. რომელი ჩვენთვის, მესამე დასის კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გადმოხტა ცისკიდით, დასავლით კერძო და ფრთანი შეისხნა წინასწარმეტყველისა გიორგისაგან და განკაცდა და მპყრობელ არს დროშისა მის, შთაბარებულისა წინამორბედისა მისისა გიორგის მიერ;

4. რომელი ჟამსა ამას არა ჯვარცმულ არს, არცა ვნებულ და არცა დაფლულ მსგავსად წინამორბედისა მისისა, არამედ ჯვარმცმელ არს ყოველთა მათ, რომელნიცა არიან გარეშე ჩვენსა;

5. რომელი სდგას თავსა შინა მესამისა დასსასა მსგავსად წერილისა წინასწარმეტყველისა მის გიორგისასა;

6. და ამაღლებულ არს მერყევსა ტახტსა ზედა „კვალისასა“ და მჯდომარე არს მარჯვენით ხელდამსხმელისა მისისა;

7. და მოვლენილ არს დიდებით ქვეყანასა ამას გურჯისტანისასა განსჯად ყოველთა ცხოველთა და მკვდართა ეროვნებათა და მრთელისა კაცთა ნათესავისა მსგავსად მაზაკვალისა, რომლისა სიჭაბუკესა არა აქვს დასასრული;

8. და ერთი წმინდა სულიერი, წინასწარმეტყველი და წინამორბედი ჟორდანიასი გიორგი, რომელი გურჯისტანისაგან გამოვალს, გურჯისტანელთაგან და აიასტანელთაგან ჟორდანიასთანა და ჯიბლაძესთანა თაყვანისიცემების და იდიდების ამა ჟამსა შინა, რომელი იტყოდა და აწცა იტყვის ივანიკასა და გოჯასპირის მიერ;

9. ერთი წმინდა მართლმადიდებელი და სამახარაძო მესამე დასი და ყორანი მისი „კვალი“;

10. აღვიარებ ერთსა ოდენ მცნებასა გაჟორდანიებულის მარკსისა და გამარკსებულის ჟორდანიასასა მოსატევებელად ყოველთა ცოდვათა, ურიგობათა, უწესობათა და სულელობათა;

11. მოველი სასოებით დამხობასა ყოველთა წოდებათა და ეროვნებათა და უწინარეს ყოველთა გურჯისტანის განადგურებასაცა;

12. და ცხოვრებასა გაღატაკებულთა, გაუმეცრებულთა და მხეცებრივის ბრძოლით გაპირუტყვებულთა ბრბოთა მერმისა მის საუკუნისასა, ამინ.

[1900 წ.]

1902 წელი



ტფილისი, 1 იანვარი 1902 წ.

სწორედ დამდეგ 1902 წელს შესრულდა ერთი საუკუნე, რაც ჩვენი სამშობლო რუსეთს შეუერთდა. მართალია, შეერთების მანიფესტი 1801 წელს გამოცხადდა, მაგრამ ქართველმა დიდკაცობამ და ერის სხვა წარმომადგენელებმა ქვეშევრდომობის ფიცი მიიღეს 1802 წელს აპრილის თვეში და იმ დროიდგან დაიწყო ფაქტიური შეერთება. ამიტომ ამ დამდეგ საუკუნის ამ მეორე წელს სრულდება ასი წელიწადი, რაც საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება.

ასი წელიწადი ხალხის ცხოვრებაში მცირე და მოკლე ხანი არ არის. ამ ხანის განმავლობაში, ხალხი, თუ იმას ბედმა და დროთა ვითარებამ უმუხთლა, შეიძლება ძირიან-ფესვიანად ამოვარდეს. ხოლო თუ ისტორიულმა მსვლელობამ საქმე საბედნიეროდ განაგო, მაშინ ერი ფენიქსებრ ახლდება და საკეთილდღეო გზას ადგება.

ღვთით და ბედის წყალობით, ჩვენმა საქართველომ ცუდ-უბრალოდ არ განვლო მთელი საუკუნე და ახალ საუკუნის ახალ წელს – იმედითა და სასოებით მიაღწია.

წარსული საუკუნე ჩვენის ერის ცხოვრებაში ორ დიდ ხანად ანუ ეპოქად განიყოფება. პირველ ხანის განმავლობაში, რომელიც თითქმის საუკუნის ნახევარს შეიცავს, ჩვენი დაღლილი ერი თითქო თვლემასა და ძილს მიეცა. ეს ის დრო იყო, როცა მღელვარე და მჩქეფარე ცხოვრება დაწყნარდა და დადუნდა და ისტორიულ ზვირთთა და ტალღათა ადგილი მყუდროებამ და მშვიდობიანობამ დაიჭირა. მუდმივის ბრძოლისა და მოუსვენრობისაგან შელახულმა და ნერვებაშლილმა ჩვენმა დიდ-კაცობამ დიდი სიამოვნება ჰპოვა იმ

შინაურს მყუდროებასა და მშვიდობიანობაში, რომელიც მას მიეცა. გარეგან განათლების შემოტანა ხელს უწყობდა ასეთს განცხრომას და, „ამაოთა ამაოს“ გარდა, ჩვენს საზოგადოებას თითქმის სხვა აღარა ეპრიანებოდა-რა, აღარა ახსოვდა-რა. დროთა ვითარება ამ მისწრაფებას და მიდრეკილებას მხარს უჭერდა, ჰკერძავდა, ეხმარებოდა. საქმე ისაა, რომ იმ დროს ნელ-ნელა და თანდათან ირღვეოდა ჩვენი ძველი ცხოვრება, რომელიც მრავალ საუკუნეთა მიმდინარეობით ისტორიამ შექმნა და თავისებურს ყალიბში ჩამოასხა.

1802 წელს 12 აპრილს სიონის ტაძარში ხმამაღლა წარმოთქმულმა ფიცმა, რუსეთის ტახტის სრულს ქვეშევრდომობის აღვიარებით, სრულად მოსპო ფეოდალობა, რომელიც ჩვენის ძველ ცხოვრების ქვაკუთხედს შეადგენდა. ფეოდალობის მოსპობას ზედ მოჰყვა საზოგადოდ მთელ წარსულ ცხოვრების დარღვევა და, რასაკვირველია, რომ ასეთს მდგომარეობაში მყოფმა საზოგადოებამ „ნავთ-საყუდელი“ ვერ ჰპოვა და ცხოვრების ახალ ნაკადულის ნაპირას დატოვებული ცხოვრების სიტკბოებას და სიამოვნებას ასეთის ხალისით დაეწაფა. დიაღ, ის დრო ძველის დარღვევისა და ცვალებადობის ხანა იყო. დიდკაცობა საქვეყნო საქმეს მოშორდა, საზოგადო საზრუნველი და საერთო სადარდელი აღარა ჰქონდარა და უქმად დარჩა. ძველ აღთქმის საზოგადოება საასპარეზოდ ვერ გამოდგებოდა, თუმცა ნება და უფლებაც მიენიჭებინათ და ამიტომ მთლად თავკერძობას მიეცა. თითქო შესწყდაო საზოგადო მაჯის ცემა, თითქო ეროვნულ ცხოვრების დედა-ძარღვი სრულიად მოდუნდაო. ეროვნების ყოველ ზღუდეში არარაობა გაბატონდა. ეს ხანა განსაცდელის ხანა იყო, სულის კვეთებას წარმოადგენდა. თვით ბესიკებური ბაიათი, რომელიც ჩვენს პოეზიასა და ცხოვრებაში გაისმოდა, გლოვის ზარს მიაგავდა და უწინდელ უდარდელს და ეპიკურულს სიმთა ჟღერას სრულიადაც არვის აგონებდა. იმდროინდელი სულთა სწრაფვა მეტად დიდის ნიჭით გამოჰხატა დიდებულმა ნ. ბარათაშვილმა, რომლის „სულის მარტოობა“

ცხადად გვიჩვენებს, რომ იმდროინდელი ცხოვრება ზნეობისა და გონების უდაბნოს წარმოადგენდა.

მაგრამ საწუთრომ მაინც არ გასწირა ღონე-მიხდილი და სიცოცხლე-მიხრწნილი ჩვენი საზოგადოება. აღმოჩნდა, რომ ერს მხოლოდ სძინებია და ეგეთი ძილი საღათის ძილი სრულიადაც არ ყოფილა. საჭირო იყო ახალი სიო, და როდესაც ამ სიომ დაჰბერა, ჩვენი საზოგადოებაც უმალ გამოერკვა ძილისაგან. ვგონებთ, ყველამ უწყის, რომ ეს გამოფხიზლება სამოც წლებიდგან დაიწყო, როცა „ძველ არწივს“ ახალი „წიწილნი“ წამოეზარდნენ... ამ საგნის გამო იმოდენა თქმულა და დაწერილა, რომ განმეორება საჭირო აღარ არის. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ თუ პირველი ხანა დარღვევისა და უსაქმობის ეპოქა იყო, მეორე ხანა აღშენებისა და შემოქმედების დროს შეადგენდა. „არწივთა მაღლის მთისათა“ დარღვეულ და დაქცეულ ეროვნულ ტაძარს მიჰმართეს და მართლაც საჭიროებაც ამას თხოულობდა. დაიწყო მედგარი ბრძოლა, თავგამოდებული შრომა. ბატონ-ყმობის მოსპობამ ფეოდალობის ნატამალიც-კი სრულიად შთანთქა და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ახალ მებრძოლთა და მშრომელთა. ჩვენი დიდკაცობა და მაღალი საზოგადოებაც მომზადებული დახვდა „ახალ აღთქმას“, ვინაიდგან რღვევისა და რყევის დროს უნებლიედ „ძველ აღთქმას“, ცოტად თუ ბევრად, მნიშვნელობა უნდა დაეკარგა...ჩვენდა სასახელოდ და საბედნიეროდ, თვით ამ დიდკაცობასა და მაღალ საზოგადოებაში აღმოჩნდნენ „ახალ აღთქმის“ მოციქულნი და საოცარის სისწრაფით მოჰფინეს ერს დიდებული მოძღვრება ეროვნულ აღორძინებისა, ეროვნულ ძმობისა და ერთობისა. თუმცა აწინდელი უმეცრება და ევროპიულ ყავა-ხანებში შეძენილი უსუსური კადნიერება გაიძახის, რომ მესამოცე წლების მოღვაწეთა რაზმი ვერ შეჰკრეს და შეადგინესო, ცხოვრების ალღო ვერ აიღეს და ერის გული ვერ მოიგესო, მაგრამ ეს ცალიერი უმადურობა და უსამართლობაა, რომელიც სიკეთეს ვერასოდეს ვერ მოიტანს. აწინდელი ჩვენი შეგნებული საზოგადოება უწინდელი საზოგადოება როდიღაა! ახლა ჩვენი ეროვნული მისწრაფებანი უკვე განმტკიცებულნი არიან, თვით ერიც ახლა განახლებულია, გადახალისებულია. ძველი ფეოდალობა და წოდებრივობა ფაქტიურად მოისპო. ანახრონიზმად გარდაიქცა. ახლა იმათ ნანგრევებზედ სხვა შენობა დაიწყო, დიდი და ტურფა შენობა, რომელსაც მხოლოდ ერთი ბრჭე აქვს და ამ ბრჭეზედ „ქართველობა“ აწერია. ამ შენობაში ახლა არც ძველებური დიდებული და არც ძველებური გლეხი არ არის. აქ ბინადრობს და იღვწვის **ქართველი** და მხოლოდ **ქართული**. ამ ბრწყინვალე შენობის საძირკველი წარსული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ჩაიდგა და იმავე საუკუნის დამლევს თითქმის შენობა დასრულდა.

იმედითა და სასოებით ვეგებებით ახალ საუკუნის ახალს 1902 წელს. ჩვენმა ერმა დაამტკიცა, რომ მხნეობა და შემოქმედებითობა ჰქონია, ძალითა და ღონით აღჭურვილი ყოფილა. ასეთი ერი არასოდეს არ „წასწყდება“. მხოლოდ საჭიროა, რომ ეს ერი ძმობისა და ერთობის გრძნობით უფრო აღიგზნას. ურთიერთს შურსა და ღვარძლს ერიდოს. წარსულის საუკუნის მიერ უკვე შეძენილი სიკეთე უნდა ახლა საფუძველად დაიდოს და ამ ახალმა საუკუნემ ზედ დაამყაროს თავისი მოღვაწეობა, განაგრძოს და განამტკიცოს საფუძველნი ეროვნულის არსებობისა. ეს მომავალი შრომა ისე უნდა იყოს მიმართული, რომ მისი მადლი მთელს ერს ეფინებოდეს, მთელს ქვეყანას ათბობდეს. აწინდელი უსუსურობა და ლიტერატურული თუთიყუშობა ამაოდ ექიშპება ამ ეროვნულს ძმობასა და ერთობას და ქართველობისათვის უცნაურს „ეკონომიურს მტრობას“ ღაღადებს. არა, მტრობას, თუნდა იგი ეკონომიურიც იყო, თავის დღეში არა აუშენებია-რა და მხოლოდ დაურღვევია და დაუქცევია. ამ მტრობისა, ამ საეკონომიო წინააღმდეგობის თესვა ცალიერ ფილოსოფიურ წყლის ნაყვად დარჩება, რადგანაც ჩვენის ერის გულისთქმა სხვაა და, უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა სხვაფრივ სძგერს... მერე იციან კი გზა-დაბნეულთ ჟღერა ჩვენის ეროვნულ სიმებისა? —

„თავზედ დამექცეს ცა რისხვით,

სხივი ვერ ვნახო მზისა მე,
მაღალი ღმერთი გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომო სხვისა მე“!...

აი ასე მღერის ჩვენი **გლეხი**, ჩვენი **მუშა** და სწორედ ასეთს ზეციურს მოძღვრებაშია ჩვენი იმედი და მერმისი...

[1902 წ.]



საქართველოს ახალი ეგზარხოსი

მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ალექსი

გაზ. „Нов. Вр“-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია ახლად საქართველოს ეგზარხოსად დანიშნულ მთავარეპისკოპოზ ალექსის შესახებ. კორესპონდენტი წერს, რომ ამ დღეებში ვიატკის სამწყსო დიდის მწუხარებით გამოეთხოვა თავის მწყემსმთავარსაო. თუმცა სულ ხუთი წელიწადია, რაც საქართველოს ახალი ეგზარხოსი იჯდა ვიატკის კათედრაზედ, მაინც ყოვლად-სამღვდელომ ამ მცირე ხნის განმავლობაშიაც სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა აქაურ მკვიდრთა, დიდთა და მცირეთა თავისის გულკეთილობით, ქველმოქმედებით, გონივრულის ქცევითა და თავდაბლობითაო. მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის მეცადინეობით ვიატკის ეპარქიაში გამრავლებულა რიცხვი სამრევლოთა და ეკკლესიათა. თვით ეკკლესიანი, ძველნი და ახალნი, დიდად გამშვენებულან, გარეგან და შინაგან, მხატვრობითა და ფრესკებით. განსაკუთრებული ყურადღება მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას მიუქცევია სამღვდელოების მოღვაწეობისათვის საერო განათლების ასპარეზზედ. მისის მეცადინეობით სამღვდელოებას მრავლად დაუმართავს სამრევლო სკოლები და დაუმართავს იქ, საცა ძალიან ნაკლებ იყო მოსალოდნელი ამისთანა სკოლების გამართვა, ესე იგი იქ, საცა საერობო სკოლები ყოფილა. ერობისა და სამღვდელოების ქიშპობასა და დავიდარაბას სწავლა-განათლების საქმეში ახალი ეგზარხოსი ადვილად გადასწყვეტდა ხოლმე: „დაე, ერობამ ასწავლოს ვაჟებს თავის სკოლებში, ხოლო ჩვენ

ქალებს ვასწავლოთო“, — ეუბნებოდა თავის ხელ-ქვეით სამღვდელოებას და ერობის სკოლებთან ერთად ჩნდებოდა სამღვდელოების სკოლები, რომელიც ივსებოდა პატარა ქალებით. თვითონაც სცდილობდა განსაკუთრებულ წყაროთა აღმოჩენისათვის სკოლების შესანახად და თან ერობასაც სთხოვდა შემწეობას. ასეთის ქცევით საქართველოს ახალმა ეგზარხოსმა ის მოახერხა, რომ, თუ ბევრგან ერობა ჯიბრზედ ერთს მანათსაც არ იღებს სამრევლო სკოლებისათვის, ვიატკის საგუბერნიო ერობამ 1900 წელს, მაგალითად, გადასდო სამრევლო სკოლების შესაწევრად 36,228 მან. ამიტომ დღეს ვიატკის ეპარქიაში სულ 64 სამრევლო სკოლაა ვაჟებისათვის, 174 ქალებისათვის და 585 ქალებთა და ვაჟებისათვის, ხოლო მოსწავლეთა რიცხვია 18.011 ვაჟი და 10.285 ქალი, სულ ქალი და ვაჟი 28.296.

ფრიად სასიამოვნოა კერძოდ ჩვენთვის ყოველ ამის წაკითხვა. ვისურვებთ, რომ საქართველოშიაც ისეთის მხნეობით და ისეთის გულ-კეთილობითვე ემოქმედოს საქართველოს ახალს ეგზარხოსს, როგორც ვიატკის ეპარქიაში უმოქმედნია. ჩვენი ქვეყანა სავსეა დიდებულ ტაძართა ნანგრევებით, დაძველებულ საყდრებით, რომელთა, თუ სრული განახლება არა, შეკეთება მაინც შესაძლოა, მით უმეტეს, რომ გარშემო მოსახლობს ძველის დროდგანვე ღვთის მოსავი, ეკკლესიების მოყვარული ერი. ჩვენშიაცა, როგორც ვიატკაშიც ყოფილა, ბევრგან არის მრევლი და მწყემსი კი ზოგან არა სჩანს მისთვის. მეტადრე სამწუხაროა გაუქმება საეპისკოპოსო კათედრებისა. ყოვლად სასურველია, რომ არა თუ ალავერდის კათედრა, დღეს უეპისკოპოსად შთენილი, აღარა მგლოვიარობდეს, არამედ კვლავ დაარსდეს ძველი კათედრა ბოდბელისა ქიზიყისათვის, ნიქოზელისა, ან მროველისა, ან ურბნელისა — ქართლისათვის, წილკნელისა ან მცხეთელისა — არაგვისა და ხევისათვის და მანგლელისა — თრიალეთისათვის.

რაიცა შეეხება სამრევლო სკოლების გამრავლებას და მათში წარმატებით სამღვთო წერილის სწავლებას, ეს ხომ მისწრება იქნება ჩვენის ქვეყნისათვის. სხვა ისეთი მტერი არა ჰყავს დღეს ჩვენს ქვეყანას, როგორც უმეცრება და გონების სიბნელე. ჩვენში

გაძლიერებულს სარწმუნოებრივს გულგრილობას საფუძვლად უდევს უმთავრესად უმეცრება და უცოდნელობა ქრისტეანობის მოძღვრების მაღალ ჭეშმარიტებისა და იმ როლისა, რომელიც ჰქონდა საქართველოს წარსულში ქრისტეანობას.

ამისთანა საქმეს, რასაკვირველია, ფული უნდა ბლომად, წყარო უნდა აღმოეჩინოს სამუდამო.

ჩვენში ერობა არ არის შემოღებული, რომ ვიატკის ერობასავით, ხელის აღმპყრობელად ის მოევლინოს ჩვენებურ სამრევლო სკოლას. უწმინდეს სინოდისგან გადადებული ფული კი საკმაო არ არის. სასურველია, ამ მხრივ ყურადღება მიექცეს ერთს გარემოებას, სახელდობრ, სამზღვარ-გარედ მყოფ ქართველთ მონასტრების შემოსავალს, რომელიც საქართველოდან იგზავნება ათონსა და იერუსალიმს. ის მონასტრები უცხო სამღვდელოთა ხელშია და იმ მამულების შემოსავალი-კი, რომელიც იქ მყოფ ქართველთა სამღვდელოებისათვის იგზავნებოდა ოდესმე, დღესაც ისევე იგზავნება, თითქო არავითარი ცვლილება არ მომხდარიყოს იმ მონასტრების თავს. მცოდნე კაცების გამოანგარიშებით, 200.000 მანათამდე მიდის ასეთი შემოსავალი საქართველოდან იერუსალიმს, სინას, ათონს. ეს ფული სრულიად საკმარისი იქმნებოდა, როგორც სამრევლო სკოლების გამრავლებისათვის საქართველოში, ისე ძველ ეკკლესიების და ტაძრების განახლებისა და შეკეთებისათვის.

აი, ჩვენის ფიქრით, დიდი ამაგი ჩვენის ქვეყნის წინაშე სწორედ ის იქმნებოდა, რომ ეს ამოდენა ფული დაბრუნებოდა თავის ნამდვილ პატრონებს, ესე იგი საქართველოს და მოხმარებოდა მის საქმეთა საკეთილოდ წარმართვას.

[1902 წ.]



დედათა განათლება ჩვენში

,,ივერიის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი იყო საყურადღებო წერილი ჩვენის ცნობილის საზოგადო მოღვაწე და ბელეტრისტის ქალის ეკ. გაბაშვილისა დედათა განათლების შესახებ. პატივცემული ავტორი სჩივის, რომ ჩვენი საზოგადოება ნაკლებად სცდილობს დედათა სწავლა-განათლების საქმე წინ წასწიოს და, ცოტად თუ ბევრად, მტკიცე ნიადაგზედ დააყენოსო. ამოდენა ხანია სათავადაზნაურო სკოლები არსებობს ვაჟებისათვის და ქალებისათვის-კი ერთი მათი მზგავსი სკოლა არ მოგვეპოვებაო. ახლაც უმაღლესად ნაბოძები ფული შვილების აღზრდისათვის თავადაზნაურობას სურს მოახმაროს უფრო ვაჟების სწავლა-აღზრდას, ვიდრე ქალებისასაო. თვით ის ფულიც, რომელიც, უმაღლესის ბრძანებითვე, სათავადაზნაურო ბანკების დამფუძნებელთ უბრუნდება და რომელზედაც ხელს იღებენ ისინი, ვისაც ის ფული ეკუთვნის, ხელს იღებენ იმ აზრით, რომ ეგ ფული ჩვენს საერთო საჭიროებას მოჰხმარდეს და რაიმე საშვილიშვილოდ სასარგებლო საქმე მოვაგვაროთ, არ ემეტებათ დედათა სწავლა-აღზრდისათვის და სულ სხვა დანიშნულება უნდა მისცენო.

ფრიად სამართლიანია ჩივილი ჩვენის ავტორისა. დღევანდელს ჩვენს გარემოებაში, ერთს უმთავრესს, ერთს ძირითად საჭიროებას შეადგენს უკეთესად მოწყობა ქალების სწავლა-აღზრდისა. ეს გარემოება კარგად ესმის ქართველობას, განურჩევლად წოდებისა, ხარისხისა და სქესისა. ჩვენის ფიქრით, საერთო საზრუნავი საქმე სხვა ისეთი იქნება არც-კი გვაქვს, რომ თვისის მნიშვნელობით, თვისის საკეთილო შედეგით

შეედრებოდეს დედათა განათლების უკეთ მოწყობის საჭიროებას.

მართლაცა-და, დღევანდელს გარემოებაში, როცა ნივთიერი დაქვეითება, თითქმის სრული გაკოტრება, საკეთილოს არას გვიქადის, როცა ყოველსავე ჩვენებურს მცირე შიში და განსაცდელი არ მოელის, როცა დედა-ენა, ლიტერატურა ძლივს-ღა იბრუნებს სულს და ჩვენი საეროვნო თანხები ფეხს ვეღარსად იკიდებს განსამტკიცებლად, მხოლოდ განათლებულს, განვითარებულს, მამულის მოყვარულს ოჯახს შეუძლიან, სხვათა ხელ-შემწყობ გარემოებათა დახმარებით, მცირედ მაინც გაამაგროს, გააღონიეროს საფუძველნი ჩვენის არსებობისა. გარნა ასეთი ოჯახი გაჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა ამ ოჯახში დატრიალდება გაგებული, სწავლა-განათლებით აღჭურვილი, მამულისშვილობით გამსჭვალული დედაკაცი, ეს ბურჯი ოჯახისა, როგორც სამართლიანად ამბობს ჩვენი ავტორი.

ესე ყოველივე კარგად იცის ჩვენმა საზოგადოებამ და დარწმუნებულიცა ვართ, რომ გულითა და სულით მონდომებულია, მოაგვაროს რამე დედათა სწავლა-განათლებისათვის. ამ გარემოებით აიხსნება, რომ ამ თოთხმეტიოდე წელიწადში თითქმის გროშობით მოგროვდა ორი ათას თუმნამდე დედათა განზრახულის სკოლის ფონდათ. თანაგრძნობა რომ არ ყოფილიყო, ერთობილი შეგნება რომ არ ჰქონოდა ქართველობას დედათა განათლების საჭიროებისა, არც ამოდენა თანხა შეგროვდებოდა. მაგრამ ეს თანხაც მცირეა და არ კმარა მკვიდრად საქმის დაწყებისათვის. თვით სათავადაზნაურო სკოლებსაც ვერ გასწვდომია დღეს ჩვენი ნივთიერი ძალ-ღონე. არცერთს სკოლას ყოველი წლიური სამყოფი ფული არა აქვს და ნივთიერად უზრუნველი არ არის. წლის ბოლოს, და ხან ადრეც, ორივეს შემოაკლდება ხოლმე საჭირო ფული და მათი ადმინისტრაცია იძულებულია ავანსები სთხოვოს იმ დაწესებულებათ, რომელნიც არიან ერთად-ერთნი წყარონი მათის ნივთიერის არსებობისა.

რაიცა შეეხება დამფუძნებელთათვის უკან დასაბრუნებელ ფულს, ამ საგნის გამო მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა და დამფუძნებელთა საქე-

ბური გარდაწყვეტილება არსებობს, რომ ეს ფული მოჰხმარდეს რაიმე საერთო საჭიროებას. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა და დამფუძნებელთა შესახებ-კი ესევე არ ითქმის. აქ ჯერ ასეთი გარდაწყვეტილება არ არსებობს. რამდენადაც ვიცით, ზოგიერთმა დამფუძნებელმა მოითხოვა უკან ფული და დაიბრუნა კიდეც.

დაგვრჩა, მაშ, მხოლოდ ის 40 ათასი მანათი, რომელიც უმაღლესად ებოძა თავად-აზნაურობას ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიისას თავიანთ შვილთა და ასულთა სწავლა-აღზრდის საქმეში მოსახმარებლად. ამ ფულის განაწილება იმ სახით, როგორც კომისიამ გარდასწყვიტა, ჩვენ სამართლიან საქმედ მიგვაჩნია. კომისიამ არც ვაჟებს გამოსწირა ეს ფული, არც ქალებს. კომისიას, ალბად, ფრიად პატივსადები და ღრმად შესაწყნარებელი მოსაზრება ჰქონდა, როცა იმ სახით ანაწილებდა 20.000 მანათს, მაგრამ საგუბერნიო კრებამ მაინც ეს საქმე გაზაფხულამდე გადასდო.

ჩვენის მხრით, მზადა ვართ და დიდის სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს ჩვენს გაზეთში ყველას, ვინც ამ საგნის შესახებ მოისურვებს თვისის აზრის გამოთქმას. საგანი ფრიად საგულისხმიეროა და დიდმნიშვნელოვანი და, თუ კი შესაძლო იქნება, რომ ჩაეყაროს საძირკველი ქართულს დედათა სკოლას იმ ღონისძიებით, რომელიც ამჟამად მოგვეპოვება, ჩვენ პირველნი ვიქნებით დიდად მოხარულნი.

[1902 წ.]



<ᲒᲚᲔᲮᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ>

ტფილისი, ივნისის 23.

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ის სამწუხარო ამბავი, რომ სამი თათარი ბერდანის თოფებით შეიარაღებულნი, დასცემიან იორზედ ათთხუთმეტს ქართველ მთიბავს და შემდგომ ტანთსაცმელის გაძარცვისა და ცხენების თავიანთ შეკაზმულობით წაყვანისა, ეს ამოდენა ხალხი დედისშობილად წინ გაუგდიათ და იქამდის უტარებიათ, მანამ მცარცველნი სამშვიდობოში გადასულან; ასე რომ 11 მაისიდამ 15-მდე არავინ არ იცოდა, სად დაიკარგნენ მთიბავები. ეს ამბავი ფრიად შესანიშნავია მით უმეტეს, რომ დღეს გლეხი და აზნაური, მდიდარი და ღარიბი დიდს ხარჯს ვაძლევთ ქურდებისა და ავაზაკებისაგან ჩვენის საცხოვრებლის დასაცველად. მართალია, ამ ხარჯით დიდი ძალი ჩაფრებია მთავრობისაგან დანიშნული, რომლებიც დღე და ღამ დაიარებიან გზაზედ, მთასა და ბარში, მაგრამ, ჩვენ-და სამწუხაროდ, ეს ამოდენა ჩაფრები მაინც კიდევ ვერაფერს ჰშველიან ჩვენს მუშა ხალხს, რომელიც ოთხის თვის განმავლობაში სახლიდამ გასულია და დღესა და ღამეს მთასა და ბარში ათევს: ზოგი სთიბავს, ზოგი მკის, ზოგი ანეულსა ჰხნავს, ზოგი სიმინდსა თოხნის და რწყავს და ზოგი კიდევ ძნასა და თივას ეზიდება და საქონელს უვლის. მაისიდამ დაწყებული ენკენისთვემდე ჩვენი სოფლები სულ მთლად დაცარიელებულია; ვაჟკაცობა და ბიჭბუჭობა სოფლიდამ სამუშაოდ გასულია. ირიჟრაჟებს თუ არა, მუშა თავის საქმეს დაადგება და სიცხე-პაპანაქებაში მძიმე ჯაფით მოქან-

ცული, მოსვენებას მხოლოდ მაშინ მიეცემა, როდესაც კარგა დაღამდება.

ამგვარ ტანჯვაში დაღამებულ დღის შემდეგ, ჩვენი გლეხი კაცი ღამის ტკბილს, უზრუნველ ძილსაც მოკლებულია, რადგანაც ყოველ წამს მოელის, რომ ავაზაკი თავს მეხად დაეცემა და ან მოჰკლავს, ან დედისშობილას გაუშვებს. უწინ, როდესაც ჩვენს გლეხობას უფლება ჰქონდა ახალის თოფების (ბერდან-პიბოდის) შეძენისა და მათის საშუალებით მტრის მოგერებისა, არცერთს ავაზაკს არ შეეძლო ასე თამამად ჩვენის გლეხობის ცარცვა-გლეჯა, როგორც დღეს, როცა ჩვენს ხალხს მთავრობამ ეს უფლება ჩამოართვა. ეხლა-კი ერთი მურდალი, თოფ-იარაღში ჩამჯდარი თათარი ისე იბრიყვებს ათსა თუ ოცს ქართველს, როგორც ცხვრის ფარას. გარდა იმისა, რომ ჩვენს ღარიბს ხალხს თითქმის ყოველ დღე ეკარგება არა მცირე ნაწილი მისის საცხოვრებლისა, თვით ყოველდღიური ცარცვა-გლეჯა საშინლად აფუჭებს ჩვენის გლეხი-კაცის ვაჟკაცობას და, თუ ამგვარი გარემოება დიდხანს გასტანს, ისეთი მხდალი თაობა დაიბადება, რომ გინდ თითო კაცს ორ-ორი თოფი მისცეთ, ვეღარც-კი მოიხმარებენ.

დროა ამ სამწუხარო გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ და ჩვენს გლეხობას მოვაშოროთ დღევანდელი შემთხვევითი მხდალობა, რომელიც ბოლოს შეიძლება მის ხასიათად გარდაიქცეს.

ჩვენის აზრით, თავადაზნაურობა მოვალეა იშუამდგომლოს საცა საჭიროა, რომ ყოველს ჩვენს სოფლის საზოგადოებას საკმაო თოფები დაურიგდეს, რასაკვირველია, სოფლის მმართველების იმ თავდებობით, რომ ეს თოფები სასოფლო საკუთრება იყოს და მათი შესყიდვა კერძო კაცს არ შეეძლოს.

დარწმუნებული ვართ, რომ ამგვარი უფლება ბევრს ავაზაკობას ბოლოს მოუღებს და თვით მთავრობისაგან დაყენებულს ჩაფრებს დიდს შეღავათს მისცემს.

[1902 წ.]



<მუსულმან ქართველთა საკითხი>

ტფილისი, ივნისის 25.

ბევრგვარი შემცდარი მოსაზრება ტრიალებს საზოგადოებაში და მწერლობაშიაც, რომელსაც, ასე თუ ისე, საიმისო გასავალი არა აქვს, მაგრამ ზოგი-კი ისეთია, რომ გასავალიც დიდი აქვს და დიდი ვნების მოტანაც შეუძლია.

ამგვარ მავნებელ მოსაზრებად უნდა ჩავთვალოთ მუსულმან ქართველებზე ლაპარაკი ბათუმის და ახალციხის მაზრებში.

დღევანდლამდე ის ცრუ აზრი დამკვიდრებულა, რომ ქართველად უეჭველად ის უნდა ჩავთვალოთ, ვინც ქრისტეანია და მართლმადიდებელი. ამ აზრმა დიდი ვნება მოუტანა ახალციხის მუსულმან ქართველობას. როდესაც ახალციხის მაზრა რუსეთმა დაიჭირა, დაბალი მოხელეები ხშირად ქართველები იყვნენ, ჰხედავდნენ, რომ ხალხიც ქართველია, მაგრამ სარწმუნოებით მუსულმანი. უქადაგებდნენ ხალხს, რაკი სისხლით ქართველი ხართ, სარწმუნოებაც ქართველისა უნდა მიიღოთ, მოინათლოთო.

რა თქმა უნდა, სარწმუნოებაზე ლაპარაკი ხალხს ყოველთვის აშინებს და აშფოთებს. ამას ის მოჰყვა, რომ ხალხი ყოველ მათ ლაპარაკს ავი გულით უხვდებოდა და ბოლოს პირდაპირ უპასუხა, მე ქართველი — კი არა, თურქი ვარ, ოსმალო ვარო. ამ გარემოებამ ისე იმოქმედა, რომ მუსულმან სოფლებში ქართულის ენის ხმარებაც საშიშრად მიაჩნდათ და თუ ერთმანეთში ქართულად ილაპარაკებდნენ, გარეშე კაცს ოსმალურად აძლევდნენ პასუხსა. დღესაც ამისთანა შიშია ახალ-

ციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ამ გარემოების მიზეზით, სამწუხარო ამბებიც-კი გვესმის, რომ მთელი სოფლობით იყრებიან და ოსმალეთში გადადიან საცხოვრებლადაო.

ბათუმის და ართვინის მაზრების შემოერთების დროსაც, 1878 წ. ეს შიში დაიბადა იქაურ ქართველობაში და 1879 წ. დიდძალი ხალხი გადასახლდა აჭარიდან, მაჭახლიდან და ქობულეთიდანაც. ხალხი შიშობდა, სისხლით ქართველები ვართო და მუსულმანობას დაგვიშლიან, გაგვაქრისტიანებენო.

არ შეიძლება არ მოვიხსენოთ, რომ იმავე 1879 წელს გაზაფხულზე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მაშინდელი ნამესტნიკი. ბათუმში ყოფნის დროს დიდ ჯამეში (მეჩეთში) ბრძანდებოდა და ხალხს დასამშვიდებელი სიტყვები უთხრა, რუსეთს მრავალი მილიონი მუსულმანი მცხოვრებელი ჰყავს, სარწმუნოებას არვინ უშლის და ნურც თქვენ შიშობთო. ის დასამშვიდებელი სიტყვა მუსულმან ქართველობაში მოიფინა, აჭარის და მაჭახლის მიყრუებულ სოფლებშიაც-კი მიაღწია ამისთანა ამბავმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხანდახან ისევ თავს იჩენს ლაპარაკი, რომ მუსულმან ქართველობაში ქრისტეანობა უნდა შევიტანოთო. ამისთანა ლაპარაკი ხომ, დარწმუნებული ვართ, ლაპარაკად დარჩება, მაგრამ ხალხს ისევ შიშს აღუძრავს და კიდევ ოსმალოში გადასახლებას აფიქრებინებს.

საზოგადოდ, ეს ხომ ვიცით, რომ რუსის კანონით ძალის დატანება არ შეიძლება. მუსულმანებს ნება აქვთ თავის სარწმუნოებაზე იცხოვრონ, ჯამე (მეჩეთი) აიშენონ და სასულიერო წოდება იყოლიონ. ამას გარდა, ყველამ კარგა იცის, რომ მუსულმანობიდამ ხალხი სხვა რჯულზე არ გადადის. მაგალითად მოვიყვანთ ალჟირს. თუმცა ალჟირი აგერ 70 წელიწადი მეტია, საფრანგეთს უჭირავს, მაგრამ ფრანგ გათქმულმა მისსიონერებმა თითქმის ვერაფერი შეიძლეს მუსულმანების გაქრისტიანებისათვის.

ამის გამო ჩვენებურ კაცების მოსაზრება ახალციხის და ბათუმის მაზრების მუსულმანების გაქრისტიანების შესახებ არაფერს სარგებლობას არ მოგვცემს. პირიქით, დიდ ვნებას-კი მოიტანს იმით, რომ ხალხს დააშინებს და ოსმალეთში გადასახლებას ხელს შეუწყობს.

თუ ჩვენის, მუსულმან ქართველების დაახლოვება გვინდა, სხვა ღონისძიებას უნდა მივმართოთ: სკოლების გავრცელებას მათ შორის და ქართველ მასწავლებლების დანიშვნას იმ სკოლებში. ამის მაგიერად ახლა ყაზანის თათრებს ჰგზავნიან ხოლმე იქ მასწავლებლებად, რაკი ხალხი სარწმუნოებით მაჰმადიანია.

ბათუმის მაზრის სკოლებმა თავისი გავლენა კიდეც იქონიეს. იქ გაზდილებს სოფლებშიაც შეაქვთ წერა-კითხვის ცოდნა. ქართული წერა-კითხვა იფინება ნელნელა მაგრამ იმედია, დრო მოვა, რომ აჭარა-ქობულეთსა და ჭოროხის ხეობაზე და აგრეთვე ლივანაშიაც სკოლები ისევე გამრავლდება და გახშირდება, როგორც დღეს გურიაშია. არც საკვირველი იქნება ესა, რადგან იქაურები ნამდვილი გურულები არიან.

სწავლა-განათლების გარდა, სხვა საშუალებაც ბევრია. მოქალაქობრივი, რომელიც დაგვიახლოვებს ჩვენს ძმებს. აი, სასურველი ის არის, რომ ასეთი მოქალაქობრივი ურთიერთობა გახშირდეს ჩვენსა და მათ შორის.

[1902 წ.]



<ქართული საგალობლების მნიშვნელობა>

ტფილისი, ივნისის 26.

ეს რამდენიმე დღეა, რაც ქართულმა გაზეთებმა გვამცნეს, რომ საქართველოს ექსარხოსის ბრძანებით უნდა შესდგეს კრებული ქართულ საგალობლებისა, რომლებიც მიღებულ უნდა იყოს სახელმძღვანელოდ სკოლებში ყრმათა მიერ საგალობლების შესასწავლად; ამ საგნისათვის უკვე შემდგარა კომისია ეპისკოპოზ დიმიტრის თავმჯდომარეობით, რომელსაც დავალებული აქვს ეს საქმე აღსრულებაში მოიყვანოს.

თუ რამდენად სასიამოვნო და სასურველია ეს ამბავი ყველა ქართველისათვის, ამაში ეჭვი არ არის, ამას ყველა იგრძნობს, ვისაც გული გულის ალაგასა აქვს. საუბედუროდ, ბოლო აგვირგვინებს ყველა ჩვენ საქმეს; მრავალჯერ ეს ჩვენი განუსაზღვრელი ამთავითვე სიხარული სამგლოვიაროდ შეგვქმნია და ვითომდა ჩვენს ბრწყინვალე ბედს „ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაჰფარებია“. არ ვიცით, ეს ბუნებიდგანვე დაწესებულია, თუ როგორ, მაგრამ ხშირად-კი გვინახავს, რომ რაც უნდა პატივისაცემი და კეთილი რამ საქმე იქმნას დაწყობილი, ბოლოს იგი მალე აუხვევს ხოლმე სწორე გზას.

მაშასადამე, ჩვენის ხალხის მოღვაწე ამ საქმეშიაც რომ სინანულში არ ჩავარდეს, სასურველია, რომ ხსენებულ კრებულის შემდგენთაც გაითვალისწინონ, რა ნიადაგზედ უნდა დამყარდეს ეს ფრიად რთული პირველი ნაბიჯი საგალობლების სახელმძღვანელოებისა ქართულ სკოლებში.

სიმღერა-გალობა ერთი უმთავრესი ძარღვია, რომელზედაც ფუძნდება კაცის ესტეტიური და ზნეობრივი განვითარება. მოსიყვარულე, ტკბილად მოალერსე დედა ნაზის ხმით თავის პირმშო შვილს, მუხლებზედ ანგელოზებრ მომღიმარეს, ჩასცქერის თვალებში.

მათი მფარველი ანგელოზი ეტრფის ფარულად „და დაჰფრენს მათ ნიავი შურით და მტრულად“; გაისმა ნაზი ხმა და ჩამოიკრა დედის გულში ჰანგზედ მომართული სიმები: მამულისათვის, შვილო, სიკვდილს ნუ დაიზარებ... ნანა, შვილო, ნანინა!

აი, აქ ჩაიყარა საძირკველი ქველობისა, ვაჟკაცობისა, პატიოსნებისა, იმ პატიოსან გრძნობისა, რომელმაც უნდა გაუწოდოს ხელი ყოველ დავრდომილს გაჭირვებაში და მოსწმინდოს მწარე ცრემლი თავის მოძმეთ გაუკუღმართებულ ბედ-იღბლისა. ეხლა ვაჟკაცობაშიაც კი ყოველთვის სანატრელი და სასიამოვნია ის წარსული ხმები. ერთი მოგონება გადასტყორცნის მთელის კაცის არსებას იმ საუკუნოდ წარსულს, დაუბრუნებელს ყრმობის დროს და რა განუსაზღვრელ სიამოვნებას ჰბადავს გულში: უნდა მოჰხვიოს მთელს ქვეყანას ხელი და მიიკრას გულს...

ამნაირად, სიმღერა-გალობა განამტკიცებს ყრმათა აღზრდაში ზნეობრივ და ესტეტიურ გრძნობას; აპატიოსნებს და ამაღლებს სულს და აღავსებს სიხარულითა და სინათლით, აღვიძებს ყრმის გულში ეროვნულ თვითშეგნებას; მასთანავე აორკეცებს მის ჭეშმარიტ პატრიოტულ გრძნობას. სიმღერა-გალობა, არამც თუ დროშაა ერისა, არამედ თვით შეგნებაც თავის არსებობისა. სიმღერა არაერთხელ აღაფრთოვანებს კაცის მიძინებულ გრძნობას და აბედვინებს დიადს საქმეს. ყოველს დიპლომატიაზედ მარჯვედ მას უფრო შეუძლიან შეჰკრიბოს ერთ დროშას ქვეშ ჟამთა ვითარებისა და ბედისაგან დაქსაქსულნი და ერთმანეთისაგან დავიწყებულნი მოძმენი.

ეს არის ჩვენი აზრი სიმღერა-გალობაზედ და ეს უნდა დაედოს სარჩულად იმ ზემოხსენებულ საქმეს, თუ სურს ვისმე, რომ ხალხს სიმღერა-გალობამ სამსახური გაუწიოს.

მაშასადამე, საგალობლების სახელმძღვანელოს შედგენას დიდი სიფრთხილე ეჭირვება; შემდგენელის არამცთუ ყური უნდა ისმენდეს ქართულად, არამედ მისი გულის-ყურიც-კი ქართულად უნდა მუშაობდეს. ყოველ ამ გრძნობათა გუნდში ხელმძღვანელად მუსიკისა და საქმის ცოდნა უნდა იყოს, თორემ რწმენა უსაქმოდ მკვდარია. საქმე ის არის, რაგვარნი მცოდნენი მიიღებენ მონაწილეობას ამ კრებულთა შედგენაში. კარგად მოგეხსენებათ, ამ ბოლოს დროს მეტიჩრობა ყველგან გამეფდა ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში: კერძოდ, მუსიკაში შესამჩნევად იჩინა თავი ამ არასასურველმა გარემოებამ: საკმარისია იცოდე ხუთ ხაზზედ შვიდი ნოტის დაწერა-გამოხატვა და ამით გათავდა მუსიკის განვითარება, მაშინ, როცა ბერძნულ ჰარმონიის ცოდნას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ სიმღერა-გალობის შესწავლაში, ვიდრე ზეპირად გალობის თქმას. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ბერძნულ ჰარმონიას ქართულ ერის საგალობლებში, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს წერილი პეტერბურგის სასახლის გუნდის გამგის ბ-ნ სმოლენსკისა,* მოწერილი ბ-ნ კლენოვსკისთან, როცა ეს უკანასკნელი დაინიშნა იმის ხელქვეითად: „ნიკოლოოზ სვიმონის ძევ, თქვენ მიერ შემუშავებულ ქართულ გალობას რუსულის სიტყვებით უკვე გალობს კაპელლა და დიდადაც მოსწონთ. ამ მოწონებას ის აორკეცებს, რომ ლიდიური და ფრიგიული ჰარმონიები ესე ხელოვნურად არის ერთმანეთში გადაწნული. რა მშვენივრებაა, რა დიდებაა ამ საგალობლებში. ამ ძველებურს ჰარმონიებზედ აგებულს ქართულს ჰანგებს კაცი ლოცვის გუნებაზედ მოჰყავს და კიდევ უნდა, რომ იწამოს მუსიკის განუსაზღვრელი შემოქმედება.“

პირადად ჩვენთვის ამ წერილის ავტორი საეკლესიო გალობაში ავტორიტეტია და ვრწმუნდებით, რომ ყველა ამ ასპარეზზედ მოღვაწე აღჭურვილი უნდა იყოს მუსიკის ცოდნით. მხოლოდ ცოდნას შეუძლიან გამოააშკარავოს ის, რაც მუსიკის არცოდნით ამახინჯებს გალობის ჰანგების სიწმინდეს. მაგალითად: განა, რა სასიამოვნო იქნება, რომ კრებულში მოთავსებული იქმნას ახლანდელი ოთხ-ხმოვანი ვითომდა ქართული გალობა, ან კიდევ ის „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ“ კამარინსკის ჰანგზედ, რომელსაც სამრევლო სკოლაში ასწავლიდნენ ბავშვებს, ვითომ-და მუსიკის მცოდნენი. ვიმედოვნებთ, რომ საგალობლების შემდგენელნი ამისთანა ხიფათს მხარს აუქცევენ და სახელოვნად დააგვირგვინებენ ამ სასურველ საქმეს.

[1902 წ.]

* ბ. სმოლენსკი ერთ დროს პროფესორადაც იყო მოსკოვის კონსერვატორიისა და მოსკოვშივე დირექტორად გალობის სასწავლებლისა, სადაც მოსწავლეები ლოტბარნი გამოდიან.



<რკინიგზის მოლოდინი კახეთში>

ტფილისი, ივნისის 29

დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია ის სასიამოვნო ამბავი, რომ უცხო ქვეყნის ერთს კაპიტალისტს განუზრახავს კახეთის რკინის გზის გაყვანა.

მადლობა ღმერთს!

როგორ არ უნდა სთქვას კაცმა „მადლობა ღმერთს“, როდესაც ამ გზის გაყვანას მთელი კახეთი ელის და ელის და აი თითქმის ორმოცი წელიწადია და, იმედგადაწყვეტილი დღესაც, ორთქლის მატარებლის მაგივრად, ურემსა ჰხმარობს.

რა უბედურება არ გამოიარა ამ კახეთის რკინის გზამ! ჯერ მაშინ აუქციეს მხარე კახეთს, როცა ბაქოს რკინის გზა გაჰყვანდა მთავრობას, რა არის ყარაიაზედ გავიყვანოთ გზა და ამ საშუალებით ღვთისაგან დადაგული უდაბნო ავამწვანოთო, მაგრამ ეს უცნაური განზრახვა არ აღსრულდა, რადგანაც ყარაია მაინც ვერ ამწვანდა, ვერც ხალხი დაესახლა, თუმცა მეცადინეობა ყოვლის მხრივ დიდი იყო, და ამას-ამასობაში კვლავ ამწვანებული კახეთი კი თითქმის დაიწვა, რადგანაც გზის უქონლობის გამო ყველამ თავი მიანება — ერმაც, მღვდელმაც და მთავრობამაც.

ჩვენმა თავადაზნაურობამ დიდი ხანია ჯეროვანი ყურადღება მიაქცია კახეთის ამ საცოდავს მდგომარეობას და ამიტომ ამ უკანასკნელ ოცდაათის წლის განმავლობაში არაერთხელ წარუდგინა უმაღლესს მთავრობას თავისი უქვეშევრდომილესი თხოვნა კახეთის რკინის გზის გაყვანისა.

1891 წელს მთავრობამ შეისმინა თხოვნა თავადაზნაურობისა და დაადგინა სახელმწიფო ხარჯით

გაეყვანა კახეთის გზა. მაგრამ აქაც გაცუდდა იმედი! სწორედ იმ დროს დიდს გაჭირვებაში ჩავარდა ჩვენი სახელმწიფო სალარო და, როდესაც ფინანსთა სამინისტრო ს. ი. ვიტტეს ხელში გადავიდა, აღმოჩნდა, რომ ხაზინას არც ერთი გროში თავისუფალი არ ეგულება, რომ კახეთის გზა გაიყვანოს.

რაკი თავადაზნაურობამ მთავრობისაგან ამგვარი პასუხი მიიღო, მეტი ილაჯი არ იყო, თავის გახრეკილს ჯიბეს მიუბრუნდა. რაც უნდა იყოს, გახრეკილ ჯიბიდამ ათას-ხუთასი თუმანი გამოიღო და ექვსის თვის განმავლობაში ამ ფულით კახეთის გზის ტეხნიკური გამოკვლევა მოახდინა და ეს გამოკვლევა საჩქაროდ სამინისტროში წარადგინა და მისი დამტკიცება ითხოვა.

გამოკვლევა კი დამტკიცდა, მაგრამ საჭირო თანხა — ექვსი მილიონი თავადაზნაურობამ ვერსად ვერ იშოვნა და საქმე ისევ შეჩერდა.

ამ დროს ინჟინერმა სიმბერგმა განიძრახა კახეთის რკინის გზის მეორე პროექტი, ესე იგი, ნაცვლად იმისა, რომ გზა ბაკურციხეზე გადასულიყო, როგორც თავადაზნაურობასა სურდა, თიანეთზე მოაწყო. სიმბერგის და თავად ნ. დ. ჭავჭავაძის მეცადინეობით კონცესია მათ სახელობაზედ დამტკიცდა კიდეც. მაგრამ, საუბედუროდ, გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ თიანეთზედ გზის გაყვანა დაჯდება არანაკლებ ოცდასამის მილიონისა.

რასაკვირველია, საცა თავადაზნაურობამ ექვსი მილიონი ვერ იშოვნა, იქ ბ-ნი სიმბერგი და კამპანია ოცდასამს მილიონს ვერ იშოვნიდა და ამისათვისმათმა კონცესიამაც ფუჭად ჩაიარა.

მკითხველი დაგვეთანხმება, რა საცოდავად არის გაზვიადებული ეს ადვილი და მასთან საჭირო საქმე.

რად არის გაზვიადებული? ჩვენის საკუთარის უმეცრებით. განა სადმე გაგონილა, რომ კაცს ხელში დამტკიცებული ტეხნიკური გამოკვლევა ჰქონდეს, კონცესიაც მინიჭებული ჰქონდეს, და ფული კი ვერსად ვერ იშოვნოს, რომ მთავრობისაგან მინიჭებული უფლება აღსრულებაში მოიყვანოს?

[1902 წ.]



<საერო დაწესებულებანი>

ტფილისი, 2 ივლისს.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ პატივცემულ ნესტორ წერეთლის საყურადღებო წერილს. ეს წერილი აღგვიძრავს ბევრს საგულისხმიერო ამბებს ჩვენის წარსულიდგან.

ამ 20-30 წლ. წინად საქართველოში დაარსდა დეპოები და სხვადასხვა ამხანაგობანი გორს, საგარეჯოს, მაჩხაანს, თელავს, ტფილისს და სხ. პირველად ეს დაწესებულებანი ჩინებულად ემსახურებოდნენ საზოგადოებას და მათ დამაარსებელ ამხანაგობათ. გარნა მალე ამხანაგთა შორის ასტყდა უსიამოვნო აურზაური, კეთილის საქმის დამამხობელი შფოთი და უთანხმოება და თვით ჩინებული დაწესებულებანიც დაძაბუნდნენ, სული ვეღარ მოითქვეს და მალე მოისპნენ, ჩვენდა სამწუხაროდ და ჩარჩ-მღვეჭელთა სასიხარულოდ.

საქართველო ერთს დროს ძლიერი სამეფო იყო და თაოსნობდა დიდ-დიდ მსოფლიო საქმეებსაც კი, არათუ წვრიმალებს, ვითარცა არხების გაყვანა უდაბნო ადგილების მოსარწყავად, კედლების გავლება ველურ სკვითების მოსაგერებლად, დიდებულ ტაძრების აგება საუკუნო ძეგლად ერის შემოქმედებით ნიჭისა და ჰაეროვნებისა, აკადემიებისა და მრავალთა სკოლათ დაარსება სწავლა-განათლების მოსაფენად სამხრეთიდგან ჩრდილოეთამდის, პონტოდგან გურგენამდის. მაშინ ჩვენში სუფევდა ერთობა, ძმური მუშაობა და ჭაპანწყვეტა. ვინ არ იცის, რომ ერთობა დიადი, თითქმის უძლეველი ძალაა.

გავიდა დრო. დაიბადნენ თავმოყვარე კაცები, მთავრობის უფლების მეძიებელნი და მისთვის სულწასულები, მთელი სამეფოც დასუსტდა, დაძაბუნდა: ქართველის ჭკუა მოუნდა გაიძვერა თავმოყვარეთა პირადობის დაცვას და საზოგადო, სამამულიშვილო საქმეები თითქმის მთლად მიივიწყა. მოისპო ერთობა შინ — კერის გარშემო, ერთობა სოფლად — მეზობლობაში, ერთობა საქვეყნოდ — საქართველოს არემარეზე და ჩვენმა თავისუფლების ჩარხმაც ტოკვა იწყო.

დღეს ჩვენ, ქართლოსიანნი, კვლავ შეერთებულნი ვართ სულიერადაც და ხორციელადაც, განათლება, განვითარება, ძმობა და ერთობა კიდევ შეიქმნა ჩვენ საერთო მიზნად და სანუგეშო მისწრაფებად. მაშასადამე, თუ გვსურს რაიმე კეთილი საქმე, რაიმე საზოგადო დაწესებულება აღგვიყვავდეს და გაგვიბრწყინდეს, ჯერარს დავივიწყოთ პირადი მისწრაფებანი, ჯერარს საზოგადო მიზნით ვემსახუროთ საერთო ანუ საერო დაწესებულებას. წარმატება ამგვარ დაწესებულებათა ყველას წარმატებაა, ხოლო ყველას წარმატება, ხომ საერო მისწრაფებათა მაჩვენებელი კანდელია, მის აღორძინების წინამორბედი მოციქულია.

რაღა თქმა უნდა, ძველებურს გზაზე გამწევსა და წინდაუხედავს მთავრებს არ ვადარებთ დღევანდელ ქართულ დაწესებულებათა გამგეთ, წევრთ ამგვარ დაწესებულებათა და ამხანაგობათ და მათ ავ-კარგის გამომჯღაპრებელთ. ჩვენი აზრია მხოლოდ ერთხელ კიდევ გავუთვალისწინოთ მთელს ქართველობას, თუ რა შეუძლიან სიყვარულით და სიტკბოებით გამსჭვალულ ამხანაგობასა თუ დასს და რა შედეგი მოსდევს იმ საქმეს, საცა ესეთი სიყვარული და სიტკბოება არ სუფევს.

უბრალო და მარტივმა კითხვებმა ჩვენ არ უნდა აგვაღელვოს, მითუმეტეს, როდესაც ამ კითხვების, ასე თუ ისე, გადაწყვეტა შეკავშირებულია ჩვენის სანუგეშო დაწესებულების დღეგრძელობასთან. აღელვებულს და გაშფოთებულს კაცს არ შეუძლია დამჯდარი და დალაგებული მსჯელობა, მრავალთაგან დაარსებული დაწესებულება კი ხანგრძლივი აწონ-დაწონვის, მშვიდობიანად გაბჭობის ნაყოფია და ყოველთვის და

ყოველთაგან მოითხოვს მშვიდობიანს და წინდახედულს ჩხრეკა-ძიებას, განმარტებას და, ბოლოს, მსჯავრის დადებას.

ქართველთ თაოსნობით ქართულ დაწესებულებათ კარგის სმენა ყველას გვახარებს, ავის შეტყობა — ყველას გვაღონებს და გვაჭმუნვებს. მაშასადამე, ყველანი უნდა ვეცადნეთ, მეთაურნიცა და მიმყოლნიც, რომ ესრეთნი დაწესებულებანი ძმურის შრომით აღვაღორძინოთ და აღვაყვავილოთ სასიხარულოდ ყოველის ქართველისა, შესაქმნელად უკეთესის მერმისისა.

[1902 წ.]



ხ ი ლ ა დ
„კვალის“ მოსაუბრეს
(„კვალი № 27)

დააჭირა მზემ, დადგა პაპანაქება და „კვალმაც“ მოუმატა ბოდვას. ტყუილად კი არ მარწმუნებდა ერთი მესამედასელი, რომ ბუნებასა და აზროვნებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს და პირველს გავლენა აქვს მეორეზედაო. ჰოდა, ნამდვილი არ არის თუ?! აიწია თუ არა ტერმომეტრმა, სამეცნიერო „კვალის“ პუბლიცისტებიც უეცრივ ახტნენ მაღალ ფარდებში და იქ ისეთი როტვა და როშვა მორთეს, რომ განსვენებულ კოდელ ნინოსაც კი შეშურდებოდა. ამ ვარჯიშობაში ყველაზედ მეტად თავი ისახელა „კვალის“... მოტიტინემ, უკაცრავად, — მოსაუბრემ...

თქვენ რა მოგახსენოთ და ჩემთვის კი აქამომდე ეს ბატონი მოსაუბრე ნამდვილს სფინქსს წარმოადგენს და ჩვენებურად, რუსთველისებურად რომ ვსთქვათ, დღესაც ვერ გამიგია, „კვალის“ მოსაუბრე „ფრინველია ანუ მხეცი“? არა[ვითარი] ლიტერატურული ფიზიონომია და თავისებურება ამ ვითომდა პუბლიცისტს არ მოეპოვება. ლიტერატურულ ნიჭს და მადლს ვინღა სჩივის: მოგეხსენებათ, რომ ლიტერატურის მეუფე ამ საუნჯეს მაგრე ადვილად არ იმეტებს და რა საწყენი და სათაკილოა, თუ მოსაუბრესაც არა ერგო რა... სავალალო და სავაგლახო აქ უფრო ისაა, რომ „კვალის“ მოსაუბრე მარტო სხვის ნაღეჭსა და ნაცოხნს იმეორებს, მაგრამ ამის შნოსა და ლაზათსაც კი მოკლებული ყოფილა, თუმცა რიხი და გაბედულება დიდი ჰქონია. ამ დოვლათისა და ქონების პატრონი ამდგარა და ერთს კალმის მოსმით ანადგურებს და მი-

წასთან ასწორებს „ივერიის“ ოცდახუთის წლის მოღვაწეობას!.. დიაღ, დააჭირა მზემ, დადგა პაპანაქება და „კვალმაც“ მოუმატა ბოდვას!..

—

ამ წლის მარტის სამს გაზეთ „ივერიას“ შეუსრულდა ოცდახუთი წელიწადი არსებობისა. ამ ამბის გამო ჩვენს მწერლობაში არა ითქვა რა. პ. უმიკაშვილმა აღნიშნა ეს სამწუხარო მოვლენა და ის აზრი დაასკვნა, რომ ოცდახუთის წლის საგაზეთო მოღვაწეობის აღნუსხვას ცოდნა და სპეციალური შრომა ეჭირვებაო, ხოლო ჩვენ პროფესიონალური პუბლიცისტი არ მოგვეპოვებაო... მართალიც არის: ადვილი საქმე როდია, რომლისამე გაზეთის და მეტადრე ასეთის გაზეთისა, როგორიც „ივერიაა“, ოცდახუთის წლის არსებობისა და მოღვაწეობის აღწერა. ამ საქმისათვის მომზადება და ბევრი კიდევ სხვა რამე ესაჭიროება მემატიანეს. სახუმარო და საცოდვილო ვარჯიშობა ხომ არ არის, „კვალის“ მოსაუბრისა არ იყვეს, აიღო კალამი და რაც პირზედ მოგადგეს, დაჯღაბნო და მკითხველებს მიართვა. აგერ საუკუნის მეოთხედი გავიდა, რაც „ივერია“ ქართველ საზოგადოებას ემსახურება. ამ დროის განმავლობაში არცერთი საყურადღებო ამბავი არ მომხდარა და არცერთი საგანი არ გაჩენილა ჩვენს ცხოვრებაში, რომ იმის გამო „ივერიას“ ხმა არ ამოეღოს, იგი ამბავი და საგანი არ განემარტოს, მათთვის თავისი მსჯავრი არ დაედოს. შეიძლება ვსთქვათ, რომ „ივერიის“ ოცდახუთწლიური ისტორია ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ავისა და კარგის ისტორიაა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თითქმის არცერთი ქართველი ლიტერატორი არ მოიპოვება, რომ თავისი წვლილი „ივერიის “ სალაროში არ შეეტანოს. თვით განსვენებული გ. წერეთელი, ის წერეთელი, რომელმაც აკაკის თქმისა არ იყვეს „მესამე დასი დასვა“, ოდესმე გულმოდგინედ იღვწოდა ჩვენს გაზეთში... შეიძლება, რომ „ივერია“ ხანდახან სცდებოდა, მოსაუბრის სიტყვისა არ იყვეს, იქნება კიდეც ცხოვრების ალღოს ხანდისხან ვერ იღებდა, გზის მაჩვენებლად ვერ ხდებოდა... მაგრამ შეუცდომელი და უცოდველი ვინაა?..

საქმე რომ ცდომასა და ცოდვაზედ მივარდეს, მაშინ „კვალს“ რაღა ეშველება!?

—

ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ „ივერიის ოცდახუთის წლის არსებობა უბრალო ამბავი არ გახლავთ და ამ ამბის აღწერა და დაფასება ადვილი საქმე როდია, თორემ აი, ნოე ჟორდანიამაც დასტამბა „ქართული პრესსა“, რომელშიაც განხილულია „ივერია“, მაგრამ რა გამოვიდა: ყველა შეგნებული, გულმართალი და მიუკერძავი ქართველი დამეთანხმება, რომ ჟორდანიას „ქართული პრესსა“ ჩვენებურ პრასადაც არა ღირს და მხოლოდ ვიწრო დასებრივი ნაცოდ[ვ]ილარია. ბ-ნი მოსაუბრეც სამსჯავროს წინაშე აყენებს „ივერიის“ ოცდახუთის წლის მოღვაწეობას, მაგრამ... გეცოდინებათ, რომ მსაჯულს თავისუფალი აზრი და პირუთვნელობა ესაჭიროება, ამაზე კი მოსაუბრე მწყრალად ბრძანებულა და თუთიყუშივით იმეორებს მხოლოდ „ქართული პრესსის“ ლათაიებს: „ივერია მაშინ დაარსდა, როცა დიფერენციაცია და კლასიური დაყოფა ჩნდებოდა და ამის ალღო ვერ აიღო გაზეთმაო... „ივერია“ ერთსა და იმავე დროს ყველას მომხრეც იყო და ყველას მოწინააღმდეგეც, ხოლო ასეთი მიმართულება უპრინციპობაა და ამიტომ გაზეთმა ვერავის გული ვერ მოიგოვო...“ რასაკვირველია, აქ ეს მარქსიზმისაგან მონაბერი დიფერენციაცია და კლასიური დაყოფა ცალიერი ტიტინია და სხვა არაფერი. სოციალურმა ევოლუციამ, კლასიურმა ცვალებადობამ თავი იმის შემდეგ იჩინა, როცა საქართველოს თვისება მოისპო (წარსულ საუკუნის პირველ ხანს), ხოლო „ივერია“ დაარსდა მაშინ, როცა ეროვნული თვითცნობიერება დაიბადა და ხალხოსნური მამულიშვილობა დაიწყო და იმ დროიდგან აქამომდე ეს გაზეთი ეროვნულ გზას ადგია. „ივერიას“ თავის მიმართულებისათვის არასოდეს არ უღალატნია და მუდამ ფხიზელი და ერთგული დარაჯი ყოფილა ჩვენის საეროვნო ვინაობისა. მცოდნე და გამჭრიახის ლიტერატურისათვის ცხადზედ ცხადია, რომ „ივერიამ“ დროთა ვითარებას ალღო სწორედ და მარჯვედ აართვა და ამიტომ სამ-

შობლოს ნამდვილი სამსახურიც გაუწია. ამას აწინ-
დელი ჩვენი ეროვნული გამოცოცხლება ჰმოწმობს.

სოციალურ „დიფერენციაციის“ და „კლასიურ
დაყოფის“ ნეოფიტს, შეიძლება ეროვნული აღორძინება
არაფრად ეპიტნავებოდეს, მაგრამ ქართველს გულიდგან
არასოდეს არ აღმოიფხვრება „ევერიის“ ღვაწლი, მისი
ბრწყინვალე ეროვნული დროშა.

„ევერია“ დევნიდა და დევნის ყოველგვარ აზრს
და მიმართულებას, როგორც თავის თანამშრომლებში,
ისე მკითხველებში და ამნაირად მან მოკლა და დაას-
ახიჩრა ქართველ მკითხველის გონება და აზრიო“,
ბრძანებს უხეირო ქართულით „კვალის“ პუბლიცისტი.
მართლაცდა, ლიტერატორი არა თუ მარტო დასიცხ-
ული ,არამედ თავში დაკოდილი უნდა იყვეს, რომ
ასეთი სიტყვები წამოროშოს!.. ჰმ! „ევერია“ სდევნის
„ყოველგვარს აზრს და მიმართულებასაო“... და იმავე
დროს თითონვე კი „ევერიას“ არ უსვენებენ — ფეოდა-
ლურ-კლერიკალურ მიმართულებას ემსახურები და
მარქსი ღმერთად და ხატად არა გწამსო, — „ევერიამ“
დაასახიჩრა ქართულის გონება და აზრიო“... და თითონ
კი გაიძახიან — ქართველობა რის მაქნისია, ენა
უბრალო იარაღია, გონებისა და აზრის მსვლელობა
ჯერ რა საჭიროა, საქმე კუჭი და სტომაქიაო!.. დიაღ,
ქართულ მკითხველს გონებაცა და აზრიც თითონ
დაუბნიეს და „ევერიას“ კი ბრალს თავზედ ახვევენ და
თუ ჩვენი გაზეთი ყოველ მავნებელ აზრს და მიმარ-
თულებას სდევნიდა და ახლაც სდევნის, ეს პატიოსანის
გაზეთის საღმრთო მოვალეობას შეადგენს. იქნება დი-
დადაც ჰსურდეთ, მაგრამ ამ მოვალეობაზედ ხელს ვერ
აგვაღებინებენ. ჩვენ კარგად გვესმის, რა მუცლის
გვრემა აწუხებს მოსაუბრეს, როცა აზრისა და მიმარ-
თულების დევნას გვიკიჟინებს.

—

მერე მოჰყოლია მოსაუბრე და ნიმუშად „ევ-
ერიის“ თანამშრომელს ბ-ნს ნინია გარეჯელს ასახ-
ელებს. თქვენი არ ვიცი და მე კი სასაცილოდ არ
მეყო, როცა მოსაუბრემ ნინია გარეჯელს ხელი წა-
მოჰკრა. ვინ იცის, იქნება ეს ხელის წამოკვრა მოსაუ-
ბრეს იაფად არ დაუჯდეს, ეს სხვა საქმეა. ჩვენ ის

გვაკვირვებს, რომ საბრალო „კვალის“ პუბლიცისტს
ჰგონია, ნინია გარეჯელს პირველად ესმის „დიფერენ-
ციაცია“, „კლასიური დაყოფა“ და სხვა ამგვარი სი-
ბრძნე. მაგრამ რა სიბრმავე და უმეცრების ამაყობაა!
მოსაუბრემ როდი იცის, რომ „დიფერენციაცია“,
„კლასიური დაყოფა“ და სხვა ამგვარი ფრაზეოლოგია
დიდი ხანია გაცვდა და გახუნდა. ნინია გარეჯელს ამ
ფრაზეოლოგიით ვინმე ღიმილს თუ მოჰგვრის, თორემ
აბა როგორ გააკვირვებს... ბ-ნი მოსაუბრე კი უპრაგო-
ნოთ“ და პანტა-პუნტით ისვრის მარქსის ტერმინებს,
წარმოუდგენია, რომ ამ ტერმინების პენტაშია ცხონება
და ცხოვრებაო და თანაც თავისს თავს ეკითხება: „ვერ
გაგვიგია, რისთვის ან ვისთვის სწერს ბ-ნი ნინია გა-
რეჯელიო“? — დალოცვილო, რა ცოდნის მადანი და
ჭკუის კოლოფი თქვენ ბრძანდებით, რომ თუ რამე
თქვენ ვერ გაიგეთ, იმას სხვაც ვერ გაიგებს... კარგს
მთქმელს კარგი გამგონი უნდაო, ქართული ანდაზა ამ-
ბობს და ვისი ბრალია, რომ ვერ გაგიგიათ, — ვისთვის
და რისთვის სწერს ბ-ნი ნინია გარეჯელი?.. ბ-ნი ნინია
გარეჯელი ამბობდა „ევერიაში“: „ქართული მწერლის
აზრი და გულისნადები ვერ აღწევს იქ, სადაც ჯერ
არს, ხმად მღაღადებლად რჩება უდაბნოშიო, რუსულ
გაზეთის მეოხებით შეიძლება ჩვენი დარდი და ვარამი
ვაუწყოთ იმათ, რომელთაც ეს უნდა იცოდნენ, ხოლო
რუსული გაზეთობა სომხების ხელშია და ამიტომ
ქართველ მწერლის ღვაწლი და შრომა თითქმის ფუჭი
და უნაყოფოაო. „კვალის“ მოსაუბრეს ეს უბრალო და
მარტივი აზრიც კი ვერ გაუგია და ნინია გარეჯელს
სწამებს ქართული ლიტერატურის გაუქმებას და ძირ-
იან-ფესვიანად ამოგდებას ქადაგებსო... საიდგან სადაო,
წმინდაო საბაო! მართლაცდა საოცარი და საკვირველი
ყოფილა მოსაუბრის გაუგებრობა. ვაი „დიფერენცია-
ციის“ და „კლასიურ დაყოფის“ ბრალიც ასეთის გონე-
ბამახვილ პუბლიცისტის ხელში!..

ბზიკი

[1880 წ.]



<როგორ ავაღორძინოთ სოფლის მეურნეობა>

ტფილისი, 5 ივლისს.

ამ ბოლოს დროს ჩვენი საზოგადოება მიეჩვია, რომ მეტი ყურადღება ათხოვოს ხოლმე ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას და სცდილობს გაითვალისწინოს ყოველივე, რაც-კი ახასიათებს ამ მხრივ ეხლანდელს დროს. ამასთანავე იკვლევს მიზეზს, რომელიც აფერხებს, ანუ წინ-სვლას ჰშველის გართულებულ ცხოვრებას და ამა თუ იმ ღონისძიებასა სთვლის იმ მალამოდ, რომელმაც უნდა გაჰკურნოს ნივთიერად დასნეულებული ერი და მოუმზადოს უტყუარი ნიადაგი სულიერის გაძლიერებისათვის. თუ აქამდე მხოლოდ ერთი და ორი მისდევდა ამ საგნების კვლევასა, ეხლა ეკონომიურ საგნებზედ ლაპარაკი ჩვენის ჟურნალ-გაზეთობის უმთავრეს კილოდ არის გადაქცეული და ჩვენში ყოველი მწერალი თავის მოვალეობადა სთვლის ამგვარ საგნების შესახებ თავისი საკუთარი აზრიც გამოსთქვას. როგორც ყოველ ახალ საქმეს სჩვევია, აქაც ზოგი რამ უნიადაგო და უსაბუთო აზრი წარმოითქმის ხოლმე, მაგრამ ბევრი ისეთი სასარგებლოც გამოქვეყნდა, რომ ყველა ის, რაც-კი დაწერილა ჩვენში საეკონომიო საგნებზედ, სასარგებლო განძს წარმოადგენს; ამ განძს, ეჭვი არ არის, შემდეგნი მკვლევარნი გამოიყენებენ და მით გაიადვილებენ ჩვენის ცხოვრების ნამდვილ სურათის დახატვას. ამნაირად, აწინდელი შრომა ჩვენის ჟურნალ-გაზეთებისა საეკონომიო საგნების ასახსნელად, უმთავრესად, ამითია ძვირფასი, რომ მასალას ამზადებს სამერმისოდ. გამოჩნდებიან შემდეგ მკვლევარნი, რომელნიც პრესსაში წარმოთქმულს მოსაზრებათა დაწვრილებით გაარჩევენ: შეიწყნარებენ შესაწყნარებელს და უარ-ჰყოფენ უნიადაგოს, უსაბუთოს და იმ მრავალ აზრთა და მიმართულებათა შორის, რომელიც ეხლა სუფევს ჩვენში, გამოირკვევა საბოლოოდ ორიოდე განსაზღვრული მიმართულება და იმით იხელმძღვანელებენ ჩვენის ერის ბუნებრივად დაყოფილნი ჯგუფნი.

დიაღ, სულ ეს უნდა მოჰხდეს შემდეგში, მაგრამ ცხოვრება არ იცდის. ამჟამად უკვე არის წარმოდგენილი ისეთი პრაქტიკული საგნები, რომელთა გადაწყვეტას ცხოვრება ახლავე ითხოვს, მასთან, ითხოვს გადაჭრით. ამნაირ მდგომარეობაში საჭიროა საერთო ძალ-ღონე მწერლობისა და საზოგადოებრივის აზრით გამსჭვალულ მოღვაწეთა, რათა ცხოვრების მოთხოვნილებას უკან არ ჩამოვრჩეთ და ხახა გამშრალნი არ დავრჩეთ.

როდესაც მოგახსენეთ რომ ზოგიერთი პრაქტიკული საგანი არის უკვე წარმოდგენილი-მეთქი, ამით ამჟამად მინდა მკითხველს მოვაგონო, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისთვის ამ წლის დამლევს, ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით დაარსებულს პეტერბურგის ცენტრალურ საბჭოს, რომელსაც უმაღლესად მიენდო გამოიკვლიოს, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული, რომ სასოფლო მეურნეობა აყვავდეს, მის წარმატებისთვის მთავრობამ რა უნდა შემოიღოს და რა უნდა უარჰყოს. როგორც მკითხველს ეხსომება, ხელმწიფემ კეთილ ინება და ბრძანა, რათა ყველა გუბერნიებსა და მაზრებში დაწესებულ იქმნას განსაკუთრებული კომიტეტები, რომელთაც ადგილობრივ უნდა განიხილონ, რას საჭიროებს ხალხი, რომ მეურნეობა მკვიდრ ნიადაგზედ დამყარდეს; ეს თავისი მოსაზრებანი კომიტეტმა უნდა წარუდგინოს ზემოხსენებულ ცენტრალურ საბჭოს, რათა გამოცემულ იყოს შესაფერი კანონები და განკარგულებანი.

ეს წყალობა ჩვენს ქვეყანას ჰხვდა წილად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, რადგან ჩვენში ერობა არ არის შემოღებული ამიტომ აქ მხოლოდ საგუბერნიო კომიტეტები იქმნება დაარსებული და სამაზროები-

კი არა. თუმცა დიდად სასურველი იყო, რომ ჩვენშიაც ყოფილიყო სამაზრო კომიტეტები, რომელთაც, ჩვენის აზრით, იქ უფრო აქვს მნიშვნელობა, სადაც ერობა არ არის შემოღებული, მაგრამ საგუბერნიო კომიტეტების მინიჭებაც დიდი წყალობა არის, რადგან ყოფილა მაგალითები, რომ როცა ახალ წესის შემოღებას შესდგომიან, განაპირა ქვეყნები, როგორც ჩვენი სამშობლოა, მხედველობაში სულაც არ მიუღიათ. ახლა-კი ჩვენც ჩაგვირიეს ამ საერთო წყალობაში და ეს, რასაკვირველია, სასიამოვნოა. საგუბერნიო კომიტეტები იკრიბება გუბერნატორის თავმჯდომარეობით და წევრებიც იქმნებიან მიწვეულნი საგუბერნიო დაწესებულებათა უმაღლესნი მოხელენი. ამათ გარდა წევრებად მიიწვევენ გუბერნიის და მაზრის მარშლებს, სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარეს და კიდევ იმათ, ვის მოწვევასაც ინებებს გუბერნატორი. ესენი იქმნებიან წევრებად ჩვენის გუბერნიების კომიტეტებში.

სადაც ერობა არის შემოღებული, იქ კომიტეტებში ერობის წარმომადგენელნიც იღებენ მონაწილეობას. მხოლოდ სადაც მაზრის კომიტეტები არიან, იქ თავმჯდომარედ მაზრის მარშალია, წევრნი — სამაზრო ერობის წარმომადგენელნი და სხვა მიწვეულნი.

რუსეთის მწერლობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საგუბერნიო და თვით სამაზრო კომიტეტებიც ვერ მოიტანენ სასურველ სარგებლობას, რადგანაც ამ კომიტეტის წევრთა შორის უმრავლესობა წარჩინებული მოხელე-ჩინოვნიკები არიან, რომელნიც ძალიან ნაკლებად იცნობენ სასოფლო-მეურნეობას და იმათ მსჯელობას პრაქტიკული ხასიათი ნაკლებად ექმნებაო. ისევ თუ იმედი აქვთ ვისიმე, ერობის წარმომადგენელთა იმედი აქვთ, რადგან მხოლოდ ისინი არიან ჩახედულნი სოფლის ლხინსა და ჭირში; მაგრამ ამასაც-კი ეჭვობენ რუსეთის გაზეთები და აცხადებენ, რომ უმეტესი ნაწილი კომიტეტის წევრთა ერობათა წარმომადგენელნი უნდა იყვნენო, თვით ერობისაგან არჩეული დეპუტატებიო.

ასეა საქმე რუსეთის შიდა გუბერნიებში და, რაღა თქმა უნდა, რომ რუსეთის მწერლობის აზრი ამ საქმის შესახებ ჩვენს ქვეყანასაც უფრო შეეხება. ჩვენის გუ-

ბერნიების კომიტეტებში ერთადერთ წარმომადგენლად სოფლის ჭირ-ვარამის ცოდნისა ისევ ჩვენი მარშლები თუ ჩაითვლებიან, მაგრამ რამდენად?! ჩვენში ისეთი ვითარება სუფევს, რომ მარშლებს კომიტეტში რომ მივაშველოთ ისინიც, რომელთა მოწვევას მოისურვებს ბ. გუბერნატორი (ე. ი. მეურნენი), მაშინაც ძნელად ითქმის, რომ საგუბერნიო კომიტეტში სოფლის ჭირ-ვარამის დახასიათება ნამდვილად და ყოველ მხრივ შესაძლო იქნებაო. ჩვენში არ არის ის დაწესებულებანი, რომელნიც ამზადებენ ამისთანა მოღვაწეთ. რუსეთში ერობამ საკმაოდ ბევრი მოღვაწე დაჰბადა, რომელნიც ჩაითვლებიან ადგილობრივის ვითარების მცოდნეებათ. — ჩვენში-კი ასე არ არის. ცარიელი სურვილი არას წარმოადგენს, თუ მასთან არ არის სკოლა, რომელიც სწრთვნის და ჰზრდის ამნაირ მოღვაწეთა. რასაკვირველია, ჩვენი ამნაირი მდგომარეობა იქამდის გასტანს, მანამ ერობას არ ვეღირსებით. მაგრამ ახლა რაღა ვუყოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ უმაღლესი წყალობა კეთილად გამოვიყენოთ და კომიტეტს და ცენტრალურ საბჭოს უტყუარი სურათი წარვუდგინოთ ჩვენის სოფლისა, მისი საჭირ-ბოროტო საგნები დავუყენოთ წინ?.. აი აქ გვიჭირს მარშლების დახმარება და აქ გვებადება იმედი, რომ ამ საქმეშიაც არ დაიშურებენ ისინი მეტს ჯაფასა და შრომას, რათა კეთილი წინამძღოლობა გაგვიწიონ.

ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭირო არის, რომ ყველა მაზრაში, მარშლების თავმჯდომარეობით, შესდგეს ადგილობრივი კერძო კომიტეტები. ამნაირმა კომიტეტმა უნდა განიხილოს ის პროგრამა, რომელიც ცენტრალურ საბჭოსგან იქმნება გამოგზავნილი ჩვენში. ჩვენის ფიქრით, მხოლოდ ამ კომიტეტს ექმნება კომპეტენცია, ასე თუ ისე დაახლოვებულის სინამდვილით წარმოსთქვას ის, რაც საჭიროა მეურნეობისა და მეურნეთა აღსადგენად, განურჩევლად წოდებისა. ამნაირად ცალკე მაზრებში შეკრებილი ცნობები ერთად უნდა განიხილონ, გუბერნიის მარშლის თავმჯდომარეობით და ასე მოაზრებული უნდა წარუდგინონ კომიტეტს. ჩვენის აზრით, ეს საშუალება სრულებით კანონიერია და პრაქტიკულის მხრივაც მისაღები. თუ ასე

არ მოვიქეცით, საგუბერნიო კომიტეტში ყოველი მარშალი წარმოსთქვამს თავის საკუთარს აზრს და აბა, ვინ იკისრებს იმნაირ მოვალეობას, რომ იქ, სადაც საქვეყნო საქმე სწყდება, იხელმძღვანელოს მხოლოდ თავის აზრით და სხვათა აზრს არ შეუფარდოს.

მართალია, მაინც-და-მაინც არც ამგვარად შემუშავებულს აზრს ექმნება ის ფასი, რასაც რუსეთის პრესა ეძებს, მაგრამ სულ არარაობას ისევ ეს საშუალება სჯობია.

ამ ცოტა ხანში თავად-აზნაურთა კრება უნდა მოხდეს. კარგი იქნება, რომ ამ კრებაზედ ყოველმა მაზრამ დაასახელოს რამდენიმე მცოდნე და გამოცდილი კაცი და მარშლების თავმჯდომარეობით მიანდოს მათ გამოიკვლიონ, რა ღონისძიებანი უნდა იყოს მიღებული, რომ ჩვენი დაცემული სასოფლო მეურნეობა აყვავდეს. ვიმეორებ, რომ კეთილ-შობილის წოდების ინტერესებთან არ უნდა იყოს დავიწყებული გლეხკაცობაც, რადგან მეურნეობის გაჭირვება არის საერთო გაჭირვება ყველა წიდებისა.

საზოგადოდ ჩვენში წესად უნდა შემოვიღოთ, რომ სწორედ ამნაირად შემუშავდეს ხოლმე ის საგნები, რომელნიც მთავრობას უნდა წარედგინოს განსახილველად. ამ ბოლოს დროს ხშირად ყოფილა, რომ ჩვენი წარმომადგენელნი მიუწვევიათ მთავრობის დაწესებულებაში აზრის გამოსათქმელად, მაგრამ ამნაირ წარმომადგენლობას, უმეტეს ნაწილად, უნაყოფოდ ჩაუვლია, რადგან მიწვეულნი მოუმზადებლად იღებდნენ მონაწილეობას ბჭობაში. ეს წესი რომ წინადაც გვეხმარა, იქნებ ნაკლები შეცდომები მოგვსლოდა, აი, თუნდა ახალის გადასახადის განაწილების დროს... მაგრამ აქ გასამტყუნარი არავინ არის. ჩვენ მხოლოდ ახლა ვეჩვევით საზოგადოებრივ ცხოვრებასა და თანდათან ვიძენთ იმ გამოცდილებასა, რომლის დახმარებითაც ჩვენს სურვილს მალე მივაღწევთ.

ვგონებთ, რომ ის ღონისძიება, რომელიც ჩვენ აქ დავასახელეთ და რომლისადმი მიმართვას პატივცემულ მარშლების მხრივ სასურველადა ვსთვლით, სწორედ ამ აზრს გაუწევს სამსახურს.

[1902 წ.]



< ბამოცდები სემინარიაში >

ტფილისი, 6 ივლისს.

ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო სამწუხარო ამბავი, რომ წელს 60 ყმაწვილიდგან, რომელთაც კურსი დაამთავრეს ტფილისის გუბერნიის სამს სასულიერო სასწავლებელში და ჩამოვიდნენ სემინარიაში შესასვლელად, მხოლოდ 29-მა დაიჭირა ეგზამენებიო. დანარჩენი 31 ყმაწვილი არ მიუღიათ მოუმზადებლობის გამო, თუმცა „ვაკანსია“ კიდევ ბევრი იყო სემინარიაშიო.

ესეთი სამწუხარო ამბავი პირველი არ არის. უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში თითქმის ყოველ წლივ ერთი და იგივე ისმის: „იმ ყმაწვილთაგან, რომელნიც ეგზამენებს იჭერენ, ნახევარზე ნაკლებს მიიღებენ ხოლმეო“.

რა არის მიზეზი, რომ 18-20 პროცენტი შეგირდებისა გამოდგება ხოლმე მომზადებული და დანარჩენი-კი არა?.. რამდენჯერ თქმულა და ახლაც ვიტყვით, რომ ეგზამენი „ლოტარეიას“ წარმოადგენს. ეგზამენი იმგვარად, როგორც ზოგიერთ სასწავლებელშია, დიახაც ბედის ცდა უფრო არის, ვიდრე გამოცდა ყმაწვილებისა. ბევრჯელ მომხდარა, რომ კარგად განვითარებულს ყმაწვილს და საგნების კარგად მცოდნეს-კი არ დაუჭერია ეგზამენი, არამედ იმას, ვისაც იმ სამოოთხი კითხვის პასუხის მეტი, რომელიც ეგზამენზე მიუცია მასწავლებლისათვის, სხვა არაფერი სცოდნია თითქმის.

მაგრამ, როცა ჩვენ სახეში გვაქვს სისტემატიური მოვლენა, მაშინ ამისთანა შემთხვევითი მიზეზები უნდა

მივატოვოთ ხოლმე და მოვძებნოთ ის ძირითადი მიზეზი, რომელიც მუდამ სუფევს და ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს იწვევს. სჩანს, მართლადაც, რომ სასულიერო სასწავლებლებში კურს დაამთავრებინებენ ხოლმე ისეთ ყმაწვილებს, რომელთაც არ შეუძლიანთ სემინარიაში შესასვლელი ეგზამენები დაიჭირონ. თუ ეს ასეა, ჩვენ გვიკვირს, როგორ ათავებინებენ ამ ყმაწვილებს სასულიერო სასწავლებლებს.

სასულიერო სასწავლებელი მოსამზადებელი სასწავლებელია. მისი დანიშნულება ის არის, რომ ყმაწვილი სემინარიაში შესასვლელად მოამზადოს. მაშ, როგორ უნდა მოხდეს, რომ ყმაწვილს ერთ ალაგას სასულიერო სასწავლებელში მომზადებულად სთვლიან სემინარიაში შესასვლელად, ხოლო მეორე ალაგას-კი, სემინარიაში, მოუმზადებლად სთვლიან. ჩვენ არ გვესმის ეს მოვლენა და ვგონებთ თვითონ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებიც-კი ვერ ახსნიან ამ უცნაურ ამბავს.

ასეა თუ ისე, ეს-კი ცხადია, რომ თითქმის 55% ყმაწვილთა, რომელნიც ათავებენ სასულიერო სასწავლებელში კურსს, რჩება სემინარიაში შეუსვლელი. წლოვანობით ასეთი ყმაწვილი ისეთ ხანშია, რომ სხვა სასწავლებელში არსად არ მიიღებენ, ცხოვრებისათვის გამოსადეგი ცოდნა სასულიერო სასწავლებლიდან არა გამოაქვს-რა; სამსახურში შესვლა ეხლანდელს დროში მისთვის ძნელია, თითქმის შეუძლებელი, მეურნეობას და მუშაობას გადაჩვეული, სოფლის მეურნეთაც არ ვარგა.

მაშ, რა უნდა ჰქმნას ამ წყალ-წაღებულმა ყმაწვილმა?!. ცხადია, ამისთანა კაცს მოელის არა სანატრელი მომავალი და ის სწავლა, რომელიც მიიღო სასულიერო სასწავლებელში, სარგებლობის მაგიერად, მარტო ტანჯვასა და წამებას არგუნებს ხოლმე.

ჩვენი სამღვდელოება ამ სასულიერო სასწავლებელზე ჰხარჯავს დიდ-ძალს ფულს და თურმე რისთვის?! იმისათვის, რომ ნახევარზე მეტი მათის შვილებისა ამ სასწავლებელმა ასეთს უბედურებაში ჩააგდოს. ცხადია, სამღვდელოება არ დაჰკვირვებია ამ მოვლენას. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, ჩვენი მღვდლები

ისეთი გაუგებარნი იყვნენ, რომ ვერ მიჰხვდნენ სასულიერო სასწავლებლის ამგვარ მდგომარეობის უვარგისობას. დიდი ცოდნა და სწავლა არ უნდა იმის გასაგებად, რომ თუ სასულიერო სასწავლებლები ასეთ მდგომარეობაში იქნება, სჯობს სრულებით მათი უქონლობა; ისევ ისა სჯობია, ამ სასწავლებლის მაგივრად, ქალაქში ისეთი „პანსიონი“ დაარსდეს, საცა ამ ფულით სამღვდელოთა შვილებს უთუოდ მოამზადებენ სემინარიისათვის, ვიდრე ტყუილად აკარგვინონ შვიდი და რვა წელიწადი თავიანთ შვილებს. თუ კიდევ ამ სასწავლებლების არსებობა აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ, ის მაინც უნდა ხეირიანად მოიფიქრონ, რომ თავიდან აცილებული იქმნას დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის სამღვდელოთა შვილებს სემინარიაში ეგზამენის დაჭერას. ამგვარ საქმეში ყურის წაყრუება და უზრუნველობა დიდი დანაშაულობაა.

აღსანიშნელია ისიც, რომ ბევრს დაუჩემებია: ჩემი შვილი იმიტომ არ მიიღეს, რომ რუსული არა ჰქონდა ხეირიანად შესწავლულიო. დაუკვირდა როდისმე სამღვდელოება იმას, თუ რა არის მიზეზი, რომ მათ შვილებს არ შეუძლიანთ ხეირიანად თავისის აზრის რუსულ ენაზედ გამოთქმა?!..

დღეს ჭეშმარიტებად არის აღიარებული, რომ რუსულის უცოდინარობა, სხვათა შორის, აიხსნება მით, რომ ყმაწვილებს სწავლის დაწყების დროს ხეირიანად ვერ ასწავლიან თავისის აზრის გამოთქმას დედა-ენაზედ. ხოლო, როგორც პედაგოგია გვიმტკიცებს, აზრის მკაფიოდ გამოთქმისათვის საჭიროა, რომ ყმაწვილს აზრის სწორე გამოთქმა ასწავლო უცხო ენაზე-კი არა, არამედ სამშობლო ენაზე. ეს ანბანი ყველა მღვდელს კარგად ეცოდინება, მაგრამ ბევრმა იხელმძღვანელა ამითა?! ბევრმა კარგად იცის, როგორც აწყობინებენ მათ სასწავლებლებში ბავშვს აზრის გამოთქმას?! სამღვდელოება ამაზედ არასოდეს დაფიქრებულა და არ გამოურკვევია, როგორ არის სასულიერო სასწავლებელში სწავლის დაწყების საქმე დაყენებული.

რუსეთში კაი ხანია, რაც სამღვდელოებამ დაიწყო ცდილობა, რომ სასულიერო სასწავლებელში დამ-

თავრებული ყმაწვილები სემინარიაში უეგზამენოდ მიიღონ ხოლმე და მთავრობა კიდეც აპირებს ამ ზოგიერთა ეპარქიის თხოვნის დაკმაყოფილებას. მართალია, ჩვენმა სამღვდელოებამ თავის დროზედ მოიპოვა ეს უფლება და სასულიერო სასწავლებელში წარმატებით კურს-დამთავრებული სემინარიაში უეგზამენოთ უნდა მიეღოთ ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უფლება სასულიერო სასწავლებლებს დღეს აღარა აქვთ, სამღვდელოება მოვალეა კვლავ ეცადოს, რომ ერთხელ მინიჭებული უფლება ისევ დაიბრუნოს.

დროა ხეირიანად ასწონ-დასწონონ ჩვენმა მღვდლებმა თავიანთ შვილების აღზრდის მდგომარეობა. ჩვენ, ქართველები, როგორღაც დაჩვეულნი ვართ, რომ ჩვენის საქმისთვის სხვებმა იზრუნონ და, როცა-კი ეს სხვა დაიწყებს ზრუნვას და თავისებურად გააუმჯობესებს საქმეს, ჩივილს დავიწყებთ, ჩვენს საქმეში სხვა გაერიაო. მოდი და ნუ გაერევი! სასწავლებლის ერთადერთი პატრონი, ის, ვის ნებაზედაც არის სასწავლებლის არამც-თუ გადაკეთება და ისეთი მოწყობა, როგორიც სურს, არამედ სრულიად გაუქმებაც-კი, ის არაფერს აკეთებს და სასწავლებელი უპატრონოდ რჩება. რა გასაკვირველია, რომ ამისთანა გარემოებაში სხვამ აიმაღლოს ხმა, სხვამ გამოიჩინოს გულმტკივნეულობა, ჩაერიოს საქმის მართვაში და განაგოს სასწავლებელი ისე, როგორც თვითონ მიაჩნია საუკეთესოდ და სასარგებლოდ.

ასე არ იქნება. მეტი მხნეობაა საჭირო, მეტი შეგნება საკუთარის უფლებისა და მოვალეობისა.

[1902 წ.]



< ნუ დავუკარგავთ შთამომავლობას მამულ-დედულს >

ტფილისი, 7 ივლისს.

დიდ-დიდი მამულები გაიყიდა და უცხოთა ხელში გადავიდაო, გვწერენ. მამა-პაპათა სისხლით მორწყული, მილიონის საღირალი ტყე-ველი საყდრებით და ძველის კოშკებით, სულ უფასოდ გაეყიდა ქართველსაო, გვატყობინებენ. ყოველ-დღე მოგვდის ამისთანა სამწუხარო ამბები და ნიშანი არ არის, რომ მამულების ყიდვა შეჩერდეს და ჩალის ფასად არ დაეკარგოს შთამომავლობას მამაც წინაპართაგან დაცული და გაპოხიერებული მამულ-დედული, ეს უშრეტი წყარო დამოუკიდებელ ცხოვრებისა, ეს ძვირფასი თვალი და ობოლი მარგალიტი.

ძველად თქმულა: მეგობარს პირში უზრახე, მტერს პირს უკანაო. დღეს ისეთი დრო დაგვიდგა, რომ უშიშრად შეგვიძლია ორთავეს, მეგობარსაც და მტერსაც, პირში ვუზრახოთ, ორივე ვამხილოთ, თუ სამხილებელნი არიან.

მართლაც, რომელი ვნება შეედრება იმ ვნებას, რომელიც თავს ატყდება სამშობლოს მამულების სხვის ხელში ჩაგდებით და თავისიანებისაგან გამოწირვით!

კაცი შეიძლება შესცდეს სამამულიშვილო კითხვების გარჩევაში, გარნა ეს შეცდომა, ვითარცა შეცდომა, გასწორდება, თვით შემცდარი ისევ მობრუნდება და, შეიძლება, ყველას გადააჭარბო მამულისშვილობით. ამის მაგალითები ბევრი ვიცით ჩვენ ყველამ. გუშინდელნი, ვითომ საქართველოს და მის ლიტერატურისა და განათლების მტერნი, დღეს უპირველესნი მზრუნ-

ავნი და გულ-შემატკივარნი არიან თავისის მამულისა და ენისა.

სულ სხვაა დედა-მიწის გაყიდვა. გინდ ნებსით გაიყიდოს მამული, გინდ უნებლიეთ, ორივე შემთხვევაში გამყიდავი დიდს დანაშაულს იდებს კისერზე წინაშე თავის მემკვიდრეებისა და წინაშე მთელის სამშობლოსი. მისი საქციელი ვეღარ გასწორდება ვერც სინანულით და ვერც დრო-ჟამის მსვლელობით. ძვირფასი თვალი ერთმა ბრიყვმა წყალში ისროლაო და ათასმა ჭკვიანმა ვეღარ ამოიღოო. ასეა მამულის გაყიდვის საქმეც.

მისი მყიდველი შიგ სახლდება მკვიდრად, ღობეყორეს უახლებს, არხებსა და რუებს უწმენდავს, ვენახებსა, ზვრებს და ტყეს ასუფთავებს და ყველგან ასახლებს თავისიანებს. მოსული ხდება ბატონად და უფლად ბინადართა სასახლეებისა, კერიისა, საყდრებისა და საფლავებისაც-კი. მასში აღებული ფული-კი იფლანგება და ქარქთვეტასავით ნიავდება და წყალდება.

ერთი იძენს საუკუნო სამკვიდრებელს, მეორე ჰკარგავს იმ მასაზრდოებელ წყაროს, რომელსაც ჩვენ, ქართველნი, სამართლიანად ვუწოდებთ **დედა-მიწას.** ერთი იძენს უშრეტს წყაროს ცხოვრებისას, მეორე ითვლის ბრჭყვიალა ლითონს, რომელიც იმდენად არას ჰმატებს კაცს, რამდენადაც თვისს მონად ჰხდის მანამდე თავისუფალს არსებას.

ამიტომაც დედულ-მამულის სხვა ტომ მოდგმის ხელში ჩამგდებელს ყველა ქვეყნებში ზიზღით უყურებენ, მას აღარ სთვლიან თავის სისხლ-ხორცად, მას აცხადებენ მამულის მოღალატედ და ყველას ავალებენ მასთან შესწყვიტონ ყოველივე კავშირი და დამოკიდებულება.

ჩვენში-ღა?.. ჩვენში ჯერ ეს ესრე არ არის. ჩვენში თვით მამულის გამყიდავნი დიდ პატრიოტებად ითვლებიან, და ამ „პატრიოტებს“ ის გაბედულებაც აქვთ, რომ სხვანი გამოაცხადონ მამულის მოღალატედ... ეს საცინელი იქნებოდა, რომ სამწუხარო არ იყოს. სამწუხარო-კი იმიტომ არის, რომ დღევანდლამდის ჩვენ ვერ გაგვირჩევია, რაა ჭეშმარიტი მამულიშვილობა და

რაა ნამდვილი მოღალატეობა წინაშე მამულისა და კერიისა, ამ ყოველ გაგებულთა წმიდათა უწმიდესისა.

როგორც არ გაიყიდება დედა, ისე არ გაიყიდება დედამიწა, თუ რასაკვირველია, მისი მტკეპნი ირაო და უძღები შვილი არ არის. განათლებულნი ერნი, თუ ვიწროდ არიან სამშობლოში, მიდიან შორ ქვეყნებში, ხშირად ხაშმიანსა და გველიან ადგილებში სახლდებიან, მხნეობენ, ირჯებიან, იძენენ დიდ-ძალ ქონებას, აარსებენ კოხტა ქალაქებს და იშენებენ ტურფა სასახლეებს.

ჩვენში-კი მდიდარ დედა-მიწას, ტურფასა და უხვს ნიადაგს, თვალ-წარმტაც მინდორ-ველებს მოკამკამე წყლებით, მშვენიერ სასახლეებს, საცა დაბადებულან და აღზრდილან თვითონ და მამა-პაპანი მათნი, საცა დარწებულა მათი აკვანი, საცა შეუძენიათ წინაპართა გარდმოცემანი და მისწრაფებანი, — ყველა ამას უგულებელ-ჰყოფენ, ყველა ამას სცვლიან ოქროზე და მალე გლახაკდებიან.

ისტორიამ არ იცის ამგვარების პატიება. ნერონს ჰგმობს შთამომავლობა, რადგან იგი, სხვათა-შორის, პატივით ვერ მოეპყრო თვით მის გამჩენელ დედას. ჩვენი ისტორია და ერის მსჯავრი შეაჩვენებს იმათ, რომელთაც მუშაობა, ოფლითა თავისით პურის ჭამა მეტ ბარგად მიაჩნიათ და გასასყიდად იმეტებენ მათ მაწოვნებელ-მარჩენელ დედა-მიწას, შეძენილს ქართველის მკლავით, ქართველის ოფლითა და სისხლით. შრომა, შრომა და კვალად შრომა გვეწეროს მისწრაფებად, ძმანო ქართველნო, თუ არ გვინდა აღვიგავნეთ პირისაგან ქვეყანისა, თუ არ გვინდა შევიქნეთ ცხოვართა ფარად, რომელსაც კვერთხით ხელში მწყსიან ხოლმე და კომბალით მიერეკებიან საყასბოსაკენაც დასაკლავად და ზაფხულის და ზამთრის იალაღებისკენაც სასუქებლად და საკრეჭად.

[1902 წ.]



<ისევ მამულების გაყიდვის შესახებ>

ტფილისი, 11 ივლისს.

წინა წერილში ვსაუბრობდით იმის შესახებ, თუ რა დიდი ვნება მოაქვს მამულების გაყიდვას და თავისიანებისაგან გამოწირვას. ჩვენ, რაღა თქმა უნდა, არ ვამბობთ, რომ მამულის პატრონს ნება არ ჰქონდეს თვისი საკუთრება ისე მოიხმაროს, როგორც ეპრიანება. გარნა ესეც სათქმელია, რომ თუ მიწის გაყიდვა მოისურვა, ვალდებულია უწინარეს ყოვლისა, მოიკითხოს მეზობლობაში, თუ ვის უნდა და ვის ძალუძს მის მიერ გასაყიდად გამეტებულ მამულის შეძენა. ურიგოდ მიგვაჩნია, მამულის მფლობელი ისე მოიქცეს, როგორც მოიქცნენ ამ დღეებში პანკისის ხეობის ზოგიერთნი მესაკუთრენი, რომელთაც თვისი მიწები ადგილობრივ მკვიდრთ-კი არა, ჯავის ხეობის ოსებს მიჰყიდეს. შინ რომ წვრილფეხობა გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო, თქმულა. რაც უნდა მოიძულო შენი ღვიძლი მეზობლობა და თვისტომი, მაინც უიმათოდ ვერ იცხოვრებ, ჭირსა და ლხინში მაინც დაგჭირდება მათი მზრუნველობა, მხოლოდ მათი ღიღინი დაგატკბობს, რადგან ეს ღიღინი ყრმობითვე შეჰსისხლხორცებია შენს სულს-გულს, მხოლოდ მათი ალერსი გაგამხნევებს, რადგან მშობლიური ალერსი უზადოა და თაფლზედაც უტკბილესი. ვინც ვერ მოიპოვებს ნდობას და სიყვარულს მეზობლობასა და თავისიანებში, იგი ვერც იხეირებს: მოუკვდება შვილი, საფლავს არ გაუთხრიან, მოედება ცეცხლი მის სახლს, ჩამქრობი არ გამოუჩნდება, მოჰპარავენ საქონელს, საძებრად

არავინ გაჰყვება, მოუნდება შემწეობა და შველა, მენადი არ მიეკარება. ნურვინ იფიქრებს გარეშე საზოგადოებისა ვინმე გაბედნიერებულიყოს. იტყვიან: ხელი ხელს ჰბანსო, ხელიც ბრუნდება და პირს ჰბანსო. უერთმანეთოთ, გაბუტვით და განდეგილობით ცხოვრებას მოაქვს მარტო სიმწარე, კვნესა, ვაება და სულის ობლობა. მაშასადამე, ვისაც ჰსურს, რომ არ გაირიყოს, ობლად და უნუგეშოდ არ დარჩეს, ტკბილად და ძმურად უნდა იცხოვროს მეზობლებთან, მათი ლხინი თავის დალხინებად მიიჩნიოს, მათი ჭირი საკუთარ ჭირად და წუხილად დასახოს.

დიაღ, პანკისელ მემამულეებმა სხვაგნებურებს მიჰყიდეს თავისი მიწები და მეზობლების გაჭირვება და სივიწროე-კი უგულებელ-ჰყვეს. ჩვენ ვიცით, არიან ისეთი მემამულენი, რომელთაც სავსე რუს წყლები ხევებში და ხრამებში მიუგდიათ, რომ, რა არის, მითი არ ისარგებლონ მეზობლად მოსახლე გლეხებმა თავიანთ ნათესების მოსარწყავადაო... რაღა თქმა უნდა, ამისთანა მესაკუთრეებს თვით უვიცი გლეხობაც-კი ზიზღით უყურებს და აღარც თვითონ ეკარება და აღარც იმათ იკარებს.

თქმულა, ვისაც ორი პერანგი გაქვს, ერთი ტიტველას ჩააცვიო. ამისი არ იყოს, ვისაც გასამეტებელი მამული გაქვს, მცირე მამულიანებს შეაძლიე და შეაძლებინე მისი შესყიდვა. ჩვენი გლეხი მიწის მოყვარეა, მისი საკვირველი მესაიდუმლე და მარად მოტრფიალე. იგი მზათაა, თავიც-კი დაიგირაოს, ოღონდ საკუთრებად შეიძინოს ერთი მტკაველი მიწა.

არა თუ მარტო იმერეთში იციან დიდი ფულის მიცემა ქცევა მიწის ფასად, არამედ ბევრგან ამერეთშიაც. ამ რამდენსამე წლის წინად ერთაწმინდელები დიდს გაჭირვებაში იყვნენ, რომ არ ჰქონდათ საკუთარი საბალახე, ტყე და მინდვრები. ამ სოფელში რაღაც ასიოდე მეკომურია. შეიყარნენ, გადასწყვიტეს და წინანდელ ბატონისაგან 9.000 მანეთად იყიდეს 1.000 დღიურზე მეტი მშვენიერი ტყე და ველი. წინად თუ უბაჟოდ სახრის გამოტანა არ შეეძლოთ ტყიდგან, დღეს ყველას აქვს თავისი სამყოფი ტყეცა, ველიცა და წყალიც. ბევრი ვიცით კიდევ ამისთანა სოფლები და

საზოგადოებანი. მიწის გულისათვის არა ერთი ქართველი გადასახლდა ჩრდილოეთ კავკასიაში და, ვინ იცის, იქნება სრულიადაც დაეკარგნენ იგინი თავის სამშობლოს, რომელსაც მხოლოდ სივიწროემ განაშორა. მამულების გაყიდვის საქმე რომ მოეწესრიგებინათ მათ პატრონებს, უეჭველია ჩვენებურ მუშტარს ბევრს იშოვნიდნენ, და მოწესრიგება-კი თავსატეხ საგანს არ შეადგენს, თუ მემამულეებმა მოინდომეს და თავი დაუდვეს ამ ფრიად დიდს სამამულიშვილო საქმეს.

ტფილისი, 12 ივლისს.

გუშინდელს წერილში იმაზედ შევჩერდით, თუ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში მამულების გაყიდვის საქმე და ვის უნდა მიეყიდოს ეს მამულები.

ყველამ ვიცით, საქართველო ერთი უმდიდრესი, უმშვენიერესი და ჰავით შეზავებული კუთხეა მსოფლიოსი. თვით ერიც, ვით მისი კოხტა და ტურფა სამშობლო, აგრეთვე შემკულია გარეგნობით და შინაგან, სულიერ ძალთა აღმატებულებით: ნიჭიერება, გონიერება, ლმობიერება, ვაჟკაცობა, გამბედაობა, შეწყნარება, ჩაგრულთ სიყვარული, პურადობა და მრავალი ამგვარი სათნოება იმ თავითვე ქართველის უეჭველი ღირსებაა.

იყო დრო, როდესაც ტურფა საქართველოში ტურფად ჰყვაოდა ქართველთ განათლება, როდესაც გონებრივ და ქონებრივ წარმატებულ ერს შეეძლო კიდეც შეექმნა საოცარი ხელოვნების შენობანი, კიდეც ეწერა ხელითხელ საგოგმანებელი თხზულებანი, კიდეც მოეგერებინა აუარებელნი მტერნი და კიდეც მოევლო მათში აგებულ ციხე-ტაძარ-კოშკებისათვის.

თუ ყველა ეს შეიძლებოდა წინა დროს, რატომ არ შეიძლება განმეორდეს დღეს, როდესაც კაცობრიობის გენიოსობით შექმნილი ყოველგვარი ტეხნიკა ხელს გვიწყობს და ძალას გვმატებს?

ჩვენი მიწა-წყალი და მამულ-დედული, მაინცა და მაინც ისე არ არის გამოფიტული და მოღალული, რომ ვერ გამოჰკვებოს და, თუ გარჯილობას ვუმატეთ, ვერ გაგვამდიდროს და ქონებრივად ვერ გაგვაღონიეროს.

ამის უტყუარი მაჩვენებელი, თუ გინდ ის არის, რომ ჩვენებური გლეხი ხშირად ქცევა მიწაში იძლევა 1000-1500 მანათს. მან, რასაკვირველია, იცის, რომ კარგის მოვლით სანუკვარ მიწას გააპოხიერებს, ჩაუდგამს ახალს სულს, აინაზღაურებს თავის დანახარჯს და თავის შვილებსა და მომავალ თაობას გაუჩენს უშრეტ წყაროს ცხოვრებისას.

ვიმეორებთ, წინად ჩვენი სამშობლო გათქმული იყო, არა თუ მის მკვიდრთა სიმამაცით მარტო, არამედ მის მრავალგვარ წარმოებითაც. მსოფლიო ბაზარი იცნობდა ჯერ აქაურ კანაფსა და სელს და მათგან ნაკეთობას, მერე ეგვიპტურს. აქაური თაფლი, აქაური აბრეშუმეულობა, უხუნო საღებავები, მოვლილი და უხვად მსხმოიარე ვენახები, კრამიტით დახურული სახლები, გზები, მრავალნაირი ხილეულობა, ზეთი, მადნეულობა (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი) და, საზოგადოდ, სიმდიდრე და ძლიერება, — ყველა ეს დიდს ყურადღებას იქცევდა, არა თუ მარტო ბერძენ-რომაელების მოგზაურებისას, არამედ თვით გაყვინიზებულ მსოფლიო რომისასაც.

იგივე მიწა გვიჭერია დღესაც; იმავე შთამომავლობისანი ვართ, რომელნიც მსოფლიო ყურადღებას იპყრობდნენ თავის ცხოვრებით, თავის, სოფლურად რომ ვსთქვათ, კაცურ კაცობით. დღეს-კი, ვინც უნდა ვიყვნეთ მარილნი ამა ქვეყნისანი, მტრად გადავქცევივართ ჩვენს რამდენისამე ათას წლობით მარჩენალ დედა-მიწას, უპატიოდ ვექცევით დედულ-მამულს და ის-კი გვავიწყდება, რომ დედ-მამის შეურაცხმყოფელი კეთილად ვერ იცხოვრებს და დღეგრძელ ვერ იქნების.

ერთგულად მოვკიდოთ ხელი საქმეს, გავაპატივოთ მამულები, მეტის ცოდნით მივყოთ ხელი ხვნა-თესვას, მევენახეობას, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, კანაფისა და სელის მოყვანას, „ვარდის წყლის“ გამოხდა-დაყენებას (რომელიც ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ და რომლისაგანაც დღეს მილიონები შემოსდის ზოგიერთ სახელმწიფოს) და მრავალგვარ სხვა დარგს მეურნეობისას.. თუ ფინნის შთამომავლობამ აღაყვავა თავის ფინლანდიის ხრიოკები და გადოვლათიანდა,

მხნე ერის სახელი მოიხვეჭა, როგორ იქნება, ჩვენ ვერ აღვაყვავოთ ჩვენი შედარებით უხვი საქართველო!

ოღონდ საჭიროა გარჯა და გამუდმებული შრომა, ხოლო ვისაც დიდი მამული აქვს და არ შეუძლიან მისი მოვლა, უკეთესი იქნება მოიწვიოს თაოსანი ქართველი მუშაკები და გადასცეს მათ იჯარით, თუ არა-და, პირობით, რომ გააშენონ, მამა-პაპათა ჩვეულებისამებრ, სანახევროდ.

ხშირად გვსმენია დიდ მემამულეთაგან: მოურავისა და ყარაულების ფასსაც არ გვაძლევს ჩვენი მიწაო. რა საჭიროა უვიც მოურავისა და ყარაულების დაჭერა, როდესაც შეიძლება ამგვარი მამულები ჩაჰბარდეს თვით მხნელ-მთესველს, თვით მეურნეს, რომელმაც იცის ტყისა და ველის ყადრი, რომელიც თავის საკუთარის შრომითა და ოფლით დიდს სარგებლობას მოუტანს მამულსაც, მისს პატრონსაც და თავისს თავსაც.

გასაყიდ, ანუ როგორც სოფლად იტყვიან, გასაჩქერებელ, მამულების მოწეს-რიგება და გადაცემ-გადმოცემა რთული და ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი საგანია და მოითხოვს ხანგრძლივსა და ყოველ მხრივ განხილვას. იმედია, ჩვენი მკითხველები გულდასმით ჩააკვირდებიან ამ საჭირბოროტო საგანს და თავიანთ აზრს შეგვატყობინებენ მის შესახებ; ჩვენ-კი ჯერ ხნობით გვგონია, რომ შესამჩნევად წინ წავწევდით საქმეს, თუ ყოველის მარშლის კარს დავაარსებდით განსაკუთრებულ ბიუროებს და დავავალებდით, შეეკრიბათ ცნობანი, თუ სად რა მამულია, რამდენს კომლს დაიტევს, რა პირობით იყიდება, იჯარავდება, ანუ გასაშენებლად სანახევროდ იძლევა, რა და რა ძვირფასი მცენარე უნდა მოშენდეს, ანუ რა ჯიშის საქონელი. ამგვარ ბიუროების არსებობას მალე შეიტყობდნენ მკვიდრნი და, ვისაც ჭკუა უჭრის და ძალა შესწევს, ეცდებოდა, არ დაეკარგა შემთხვევა შეეძინა მამული, ანუ მისი მოვლა-პატრონობა ეკისრა. ვიმეორებ, ეს საგანი მოითხოვს საფუძვლიანს განხილვას მთელის საზოგადოებისაგან, და ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით მას, როდესაც სხვების აზრსა და შეხედულობასაც გავიგებთ. ახლა-კი ვიტყვით, რომ

საცა ერთურთის ნდობით, სიყვარულით და თანხმობით კეთდება საქმე, იქ ადგილი არა აქვს სასოწარკვეთილებას, ადამიანის დამჩაგვრელ ნაღვლიანობასა და სიღარიბე-სიღატაკეს. ერთმანეთის მიბაძულობით, საღვთო შურით და მეცადინეობით საშვილიშვილო საქმეც კეთდება და ერიც იმართება წელში, მანამდე ჩაქინდრულ თავს მაღლა იწევს და, შუბლ-გახსნილი, ნათელის ღიმით შეჰხარის თავისს უკეთესს მერმისს.

[1902 წ.]



<ცრუმორწმუნოების მორევში>

ტფილისი, 14 ივლისს.

მიაქციეთ ყურადღება ქვემოდ დაბეჭდილს, რაჭიდგან მოწვდილს წერილს.

ცრუ-მორწმუნოება ჰრყვნის ერს და აჩანაგებს მისს მონაგარს.

პარასკევს „მიწა არ იძვრის“, არ ითოხნება, არ იხვნება, არც არა საქმე კეთდება.

შაბათს კოხინჯობის უქმეა.

კვირა ღვთის დღეა.

უსაქმოდ დარჩენილი სოფლელები ერთად გროვდებიან, ყაყანებენ, ღრეობენ, აყალ-მაყალს სტეხენ, ირევიან, ხანჯლებს ატრიალებენ, სჩეხავენ და იჩეხებიან. მშველელი არ არის. ვინც მოწოდებულია მათ წინამძღოლად და ხელმძღვანელად, ის არა-თუ სცდილობს მოსპოს ერში ასეთი მავნებელი ჩვეულებანი, პირ-იქით, მეცადინეობს, ხალხი დიდხანს დარჩეს ამგვარს უმეცრებაში და მის უმეცრებით თვითონ ისარგებლოს, თავისი წადილები ადვილად შეისრულოს...

გულსაკლავი სურათია, მით უმეტეს გულ-საკლავი, რომ მარტო რაჭა არ არის ამგვარს ყოფაში, ბევრი ჩვენებური სოფლები სცურავენ უმეცრების და ცრუ-მორწმუნეობის მორევში, მრავალი დაბა-სოფელნი მოკლებულნი არიან თაოსანსა და ერის გულ-შემატკივარ კაცებს. თითქმის ყველგან „მოსე მწერლები“ აწრიპინებენ თავიანთ შხამიან კალამს. ზოგან წინამძღვარიც აღარ წინამძღვრობს, მამასახლისიც მამინაცვლად გადაქცეულა. ჯან-მრთელნი, ძალით და ღონით აღსავსე ვაჟკაცნი საქმეს გადაჩვეულან, ზოგი

მოსვენებით ზის, ზოგი ყაჩაღად გავარდნილა და ძილს უფრთხობს მშრომელს. სძარცვავს ყველას, ვისაც მოიხელთებს: მღვდელს, ბერს, გლეხს, აზნაურს, დიდებულს და მცირებულს.

წინამძღოლად მოწოდებულთ-კი სჯერათ, რომ ერის უმეცრება ჩვენ გაგვამდიდრებსო, ქონებას შეგვმატებსო. დასაგმობი შეცდომაა, უსუსური წინდაუხედაობაა! გერმანიასა თუ სხვა წარმატებულს ქვეყნებში ერი უმეცარი არ არის, გარნა მათი წინამძღვრები ღარიბად არ ითქმიან. ასრეც არის, საცა ერი განათლებულია, იქ მათი წინამძღვრებიცა და მოთავე კაცებიც დოვლათიანნი არიან; პირ-იქით, საცა უმეცრება, უსწავლელობა და სიბრიყვე მეფობს, იქ თვით უმეცარ-უსწავლელთა წინამძღოლნიც ღარიბ-ღატაკნი არიან.

ფრიად სამართლიანია ბ-ნ პორფირე იაშვილის, რაჭიდგან მოწერილ ამბის ავტორის, დასკვნა. ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთო. დიაღ, ჩვენვე უნდა ვუშველოთ.

ჩვენში ზოგიერთნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სხვები შეეწეოდნენ, ისხდნენ უსაქმოდ და ეგონათ, ცა ქადა-ნაზუქს ჩამოგვიყრისო. ხელს არ ანძრევდნენ, ელოდებოდნენ სასწაულს, ზოგნი დღესაც ელოდებიან... რაღა თქმა უნდა, ამაოდ. უსაქმოს, უმაქნისს, თავის თავის ვერ მომვლელს აწინდელს დროში არავინ ყურადღებას არ აქცევს, არავინ კაცადაც არა სთვლის. პირ-იქით, ვინც ირჯება, თაოსნობას, ხერხს, გამჭრიახობას იჩენს, იმას ყველანი პატივს სცემენ, ყველანი ჰშველიან და უვლიან. უსაქმო მეტი ბარგია და ვინ არის სულელი, რომ აიკიდოს და მისთვის წელი მოიწყვიტოს. გამრჯე და თაოსანი-კი სულ სხვაა. იგი ყველგან და ყველაფერში გამოდგება, საკუთარს საქმეშიაც და საზოგადოშიაც. პირველი „ცოცხალი“ მკვდარია, მეორე — სიცოცხლით სავსე ნიჭიერი არსება. პირველს ზიზღით უყურებენ, მეორეს მეგობრულად ხელს აწვდიან და, თუ გაუჭირდა, კიდეც ეხმარებიან.

ნუ ვიქნებით „ცოცხალი“ მკვდრები, თუ გვსურს გვყავდეს ბევრი მეგობრები, თუ გვსურს ხანგრძლივი ცხოვრება და ქონებრივ უზრუნველი სიცოცხლე.

ვთესოთ ერში სიყვარული ურთიერთისადმი, მივცეთ მას ცოდნა კანონიერებისა, მეურნეობისა და სიქველისა, თუ მართლაც ვართ „მარილნი ამა ქვეყნისანი“, თუ გვსურს მოვიხვეჭოთ სახელი კეთილის მთესველისა, მხნე მესვეურისა და ხელოვან-მეხოპისა.

[1902 წ.]



<დასობანა – სახიფათო თამაში>

ტფილისი, 17 ივლისს.

ჩვენი დასი მდაბიო ხალხისათვის ზრუნავსო, მათი დასი — ბურჟუაზიისათვისო და თქვენ-კი — კლერიკალებისა და, საზოგადოდ, „წმინდა“ სისხლიანებისათვისო, ხშირად გვესმის ასრეთი მსჯელობა ოჯახებშიაც და კრებებზედაც.

წინადაც არა ერთხელს გვითქვამს, რომ არავითარს დასს არ ვეკუთვნით, არავითარს დასს არ შევადგენთ, ჩვენ პირ-იქით, ვგმობთ ყოველგვარ დასობანას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ — ჯერ სტრაბონის დროსვე საქართველო ხუთ წოდებად ანუ დასად დაყოფილი იყო. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, ერთ წოდებად ანუ ერთ სამწყსოდ ყოფილიყო, ვინაიდგან ერთობა ძლიერებაა, დაყოფა ანუ დასობა — სისუსტე... ვიმეორებ, დასობანას თამაშმა ერთხელ წელი მოგვწყვიტა და დღესაც ჯერ ვერ აღვმართულვართ და რაღად დავადგებით იმავე დამღუპველს გზას. არა, ჩვენ ყველანი ვემსახურებით საქართველოს და მით კაცობრიობასაც, ვინაიდგან საქართველოს წარმატება იმავე დროს წარმატებაა თვით კაცობრიობის ერთის მოდგმისა, ერთის ნაწილისა. ჩვენ არ ვემსახურებით არც კეთილშობილს, არც სასულიეროს, არც მოქალაქეს, არც სოფლელს, არამედ მხოლოდ ქართველს; ჩვენ არ ვადიდებთ არც ერთს წოდებას, არამედ მხოლოდ კარგს, ჰაეროვანს ქართველს; ჩვენს დროშას აწერია მხოლოდ ღვთიური სიტყვები გენიოს ქართველისა, რომელიც მრავალ გამოჩენილ ფილოსოფოსთა უწინარეს მიხვდა, რა საზა-

რელი შედეგი მოსდევს დასობანას, წოდებად დაყოფას. იმ გენიოსმა-კი ეს ბრწყინვალე იგავი მოგვცა:

„ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა“.

ყველა კაცი გონიერი არსებაა, ყველას ერთნაირი სისხლი სდის, ყველას შეუძლიან მიაღწიოს უმაღლეს განათლებამდე, ყველას ძალუძს დაგვანახვოს თვისი შარავანდედი, ქველობით აღსავსე სწრაფვა.

ქართველობა, ვითარცა მთელი კაცობრიობაც, თუმცა წოდება-დასებად დაყოფილი იყო, გარნა თაყვანს სცემდა მხოლოდ ნიჭს, ნიჭი-კი იბადებოდა და იბადება ქოხშიაც და ბრწყინვალე სასახლეშიაც. ქართველთა კლასიკურ დროის გენიოსი მწერლები, მგოსნები და მთარგმნელები უწინარეს ყოვლისა იყვნენ „ვინმე მესხები“, ვინმე „მოსე ხონელები“, ვინმე „ჩახრუხაძენი“, ვინმე „მცირეები“, „ოლთისრები“ და არა თავადები, აზნაურები ანუ მთავრები. გლეხს თევდორე-მღვდელსაც, მდაბიო თურმანიძესაც და დიმიტრი თავ-დადებულსაც ერთი აზრი უელვებდა თავში და ერთი სისხლი უფეთქავდა გულში — მამულის, ენის, სარწმუნოების დაცვა. მხოლოდ კლასიკურ ხანას შემდეგ გამოჩნდნენ თავმოყვარე კაცნი, მხოლოდ მის შემდეგ სხვადასხ. „ვინმეები“, „მცირეები“ გამოვიდნენ მთავრის, თავადის, დიდ-მოურავის დროშებით.

დიაღ, ჩვენ ვმსახურებთ მხოლოდ ქართველს და არა რომელსამე წოდებას. წოდება ჩვენ მიგვაჩნია მხოლოდ ისტორიულ ფაქტად და მტკიცედ გვწამს, დრო-ჟამის მსვლელობა მას მოსპობს, ამოაგდებს...

ჩვენ არას დროს არ ვივიწყებთ ჩვენის ერის მიერ შექმნილს მოწოდებას კაცისას. ერის ტკბილს ღიღინს მასთან ერთად ჩვენც ვიმეორებთ მარადის:

„რა კარგია კაი კაცი,
კარგს საქმეზედ აგებული,

ქვეყანა ჰყავს მადლიერი,
სწორის გული მოგებული“.

პატივს ვსცემთ მხოლოდ კარგს კაცს, სიქველითა და სათნოებით აღსავსეს, გამრჯელს, მყუდროდ მშრომელს, პატიოსანს, ჰაეროვანს და არა მყვირალას, ერში შურისა და ღვარძლის მთესველს, გველაძუას, უმაქნისს.

ჩვენ არ ვდევნით არც მოხუცს, არც ვაჟკაცს, არც ჭაბუკს, თუ ერთიცა და მეორეც პატიოსნად და ჯერ-ჩინებით ემსახურება თავის თავსაც და მსოფ[ლიო კაცობრიობასაც.]

[1902 წ.]



<ქართული ტაძრების ბედი>

ტფილისი, 27 ივლისს

ბ-ნი ივანე ჩიქოვანი შულავერიდგან (ბორჩალოს მაზრა) „ივერიის“ 153 ნომერში სწერდა 20 ივლისს: „ამ დიდის ხნის წინად აშენებულ და ხავსმოკიდებულ ციხის (შულავრის) კედლებზე შევამჩნიე ახლად ჩასმული თეთრი ქვები სომხურ წარწერებით, გეგონებათ გუშინ ჩაუსვამთ! ქართული ნაწერი კი გადაუფხეკიათ.

მღვდ. სტ. ბაიდოშვილი ბორჩალოდანვე, იმავე ივლისის 25 დღის „ივერიაში“ სწერს: „ბორჩალოს მაზრაში, მოშავრის ხეობაზე, ს. დმანისიდგან დაყოლებული, ახლანდელ არახლომდე მთელი ჩვენი ძველი ნაშთნი ან თათრების ხელშია და ანადგურებენ, ანდა „არამიანცებ“ უპყრიათ. ავიღოთ ახლა ის ეკკლესიები, რომლებიც კი არიან მებატონის მამულებზე. ეს ორი თუ სამი წელიწადია, აშკარად ვეღარ ჰბედავენ „ძმათა შვილები“ ტაციობას, მაგრამ აქა-იქ ხუცურად ნაწერ ქვებს აქრობენ და მათ მაგიერ კედლებში სმენ სხვა ქვებს ზედ წარწერით „არამიანცულს“ ენაზე. არავინ ჰყავს დამშლელი, ვინაიდგან ჩვენმა „აღმაშენებლებმა“ დაათავეს, დაყიდეს მამულები და სამუდამოდ გადასცეს მელიქ-აღებს.

„ვისაც ეს საქმე ეინტერესება, ნუ დაიშურებს ორიოდ მანეთს და ერთი ამოიხედოს, შეჰხედოს კვირაცხოვლის ეკკლესიას. აკაურთაში, დაათვალიეროს მისი შიგნითი და გარეთი კედლები, რომ ნათლად დაინახოს და შეიტყოს „არამიანცების“ საქმენი საზღაპრონი.

„ს. ტანძიანში გაუქმებული მშვენიერ გეგმაზე აშენებული ღვთისმშობლის სახელობაზე ეკლესია მხედრულის ზედწარწერით, დღეს თუ ხვალ, რჩებათ სომხებს; აგრეთვე ს. ქვეშიც. რატევანში კიდევაც გადაუკეთებიათ თავიანთ წესზე და არ შერცხვენიათ იმისი, რომ თვით ეკკლესიის ამშენებელი ქართველი თავადი ბარათაშვილი შიგ ასაფლავია. ბოლნისის (ხატის სოფელი) წმინდა გიორგის ეკკლესია დიდი ხანია მონათლეს „სურფ გეურქათ“. ასეთი ამბავი არ ახალია ჩვენის მეზობლებისაგან, მაგრამ რას ჰფიქრობს ჩვენი სამღვდელოება, ნეტა ვიცოდეთ? ნუთუ ჰგონია, სამწყსოს მარტო მრევლი შეადგენდეს და ეკკლესიებს პატრონობა აღარ ეჭირვებოდეს, რაკი მამა სტ. ბაიდოშვილისა არ იყოს, „ჟამთა უწყალო ტრიალით გაციებულან? თუ ქართველი თავადიშვილი ჰყიდის სომეხზე თავისს მამულსა და ახალის პატრონის ანაბარად სტოვებს ბედს საქართველოს ამა თუ იმ საქრისტიანო-საისტორიო ძეგლისას, რომელიც ამ მამულში იპოვება. თუ ჩვენ არას დავდევთ იმ ძეგლების ბედსა, სამღვდელოება ხომ მარტო იმისთვის არის მოწოდებული, რომ ემსახუროს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას და დაიცვას იგი და მისი ტაძრები, როცა ვინმე ან რამე ემუქრება.

არა. ჩვენს სამღვდელოებას ჩვენის მებატონეების აყოლა არ არგია; როცა იგინი ჰყიდიან, ან ეყიდებათ მამული, ქართველი მღვდლები ხელ-ფარხმლიან დარაჯად უნდა უდგნენ მართლმადიდებელ ტაძრებს და არავინ მიუშვან მის დასაპატრონებლად, რადგანაც იმათი მფარველია კანონი, რომლის ძალით ეკკლესიებზე ხანგასულობის უფლება არა ვრცელდება.

ჩვენ კიდევ იმედს არ ვკარგავთ, რომ ჩვენი სასულიერო მთავრობა ხელს გამოიღებს მართლ-მადიდებელის ეკკლესიების პატრონობის საქმისათვის და მით უზრუნველ-ჰყოფს თვით მართლმადიდებლობას, რომელიც დღეს განსაცდელშია ჩავარდნილი და რომლის გამარჯვებისათვის ასე კი ოცნებობს.

[1902 წ.]



<მთავრობის მხარდაჭერა>

ტფილისი, 31 ივლისს.

მთავრობა ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს წამოსწიოს ერთს დროს ძლიერი და შემძლებელი თავადაზნაურობა; ახლა-კი დროთა ბრუნვის მეოხებით სრულიად დაქვეითებული და დაღარიბებული. ამ „ავადმყოფის წოდების“ გამოსაბრუნებლად იგი არავითარს საშუალებას არ იშურებს. ამ წლის 10 ივნისს გამოქვეყნებული კანონი „თავად-აზნაურთა დაწესებულებათა“ გაუმჯობესების შესახებ ეკუთვნის იმ კანონებს, რომლის საშუალებით მთავრობა სცდილობს ამ წოდების გაძლიერებას.

ამ ღონის-ძიებას, როგორც თვით კანონმდებელი ხსნის, აქვს საგნად: „გაძლიერება კავშირისა თავადაზნაურთა საზოგადოების წევრთა შორის და წოდებრივ დაწესებულებათა მართველობის გამტკიცება“. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც ეტყობა, მთავრობას დიდი შეცვლა არ დასჭირებია სათავადაზნაურო აწინდელ კანონებისა. ახალი კანონი უმთავრესად წარმოადგენს დამატებასა და ცვლილებას ამ კანონებისა. ამ ახლის კანონის შემდგენელი „გაუმჯობესობას“ ჰხედავს უმთავრესად იმ წესების დაკანონებაში, რომელნიც გამოცდილებამ და ცხოვრებამ გამოიწვია, აგრეთვე იმ უფლებასა და უპირატესობაში, რომელნიც მინიჭებული აქვს ამ წოდებას და მის წარმომადგენლებს: მარშლებს და დეპუტატებს.

უმთავრესი ნაწილი ამ კანონმდებელობითის აქტისა შეეხება უფლებისა და მოვალეობის გამოკვლევას და წინამძღოლთა და დეპუტატთა მოქმედებას. ამას აქვს

მინიჭებული მნიშვნელობა „სააზნაურო დაწესებულებისა“, ე. ი. წოდებრივის სამმართველოს მუდმივის ორგანოსი.

აქამდის მარშლების და დეპუტატების კრება მხოლოდ სააზნაურო კრებისათვის საქმეებსა და მოხსენებებს ამზადებდა, გარნა ახალმა კანონმა ამ კრებებს სხვა უფლებანიც მიანიჭა. 10 ივნისის კანონის გამოცემის დიდის ხნის წინად ბევრს გუბერნიებში ფაქტიურად მარშლების და დეპუტატების კრება სააზნაურო კრების აღმასრულებელ ორგანოდ გადაიქცა. იგი განაგებდა და დღესაც განაგებს სააზნაურო ხაზინას, მის უძრავ ქონებას. გარდა ამისა, ამ კრებას ვალად აძევს შეიმუშაოს რთულნი საკითხნი, რომელნიც სააზნაურო კრებამ უნდა გადასწყვიტოს. 10 ივნისის კანონი სავალდებულოდ ჰხდის ამ უფლებებს და კიდევაც აფართოვებს მათ. იგი მარშლების და დეპუტატების კრებას ანიჭებს დისციპლინარულ უფლებას სააზნაურო კრების წევრთა შესახებ. გარდა ამისა, სააზნაურო საზოგადოებას ამ კანონით ეძლევა უფლება, თუ საჭიროება მოითხოვს, აირჩიოს სხვა-დასხვა მაზრებში მაზრის მარშლების თანაშემწენი, რომელთაც სახელმწიფო სამსახურის უფლება და უპირატესობა ენიჭებათ.

ახალი კანონი ეხება წესსა და რიგს იმ აზნაურების სიის შედგენისას, რომელთაც აქვთ უფლება კრებაში მონაწილეობის მიღებისა. ეს სიები საყოველთაოდ გამოცხადებულნი უნდა იქმნას კრების ერთის თვის წინად. ახალი კანონი ეხება აგრეთვე თავადაზნაურობის საზოგადოებისა ბევრს ქონებრივს მხარესაც. საზოგადოებას ნება ეძლევა სამსჯავროში თავის ინტერესების დაცვისა იმ წესით, როგორც ეს დადგენილია სახაზინო დაწესებულებათათვის.

მაგრამ ყველაზედ სამნიშვნელო და ჩვენთვის საყურადღებო ის ერთადერთი მუხლია, რომელსაც აქვს საზოგადო, და არა კერძო წოდებრივი, მნიშვნელობა, და რომელიც ეხება არა ქონებრივს, არამედ პოლიტიკურს უფლებას სააზნაურო საზოგადოებისას, სახელდობრ უფლებას უუქვეშევრდომილესის შუამდგომლობისა ადგილობრივ სარგებლობასა და საჭიროებაზედ.

თქმა არ უნდა, ეს უფლება თავად-აზნაურობას მინიჭებული ჰქონდა 10 ივნისის კანონის გამოქვეყნებამდისაც, ძალისამებრ მე-153 მუხლის IX, რომელიც ამბობს: „თავად-აზნაურობას ნება აქვს უქვეშევრდომილესის თხოვნის მირთმევისა“; მეორეს მხრივ 169 მუხლი იმავე IX ტ. ავალებს თავად-აზნაურობას გააგებინოს უმაღლესს მთავრობას „ბოროტ მოქმედებას, რომელსაც შენიშნავს ადგილობრივ მართვაში“. ამ კანონებიდგან ცხადად სჩანს, რომ თავად-აზნაურობას ფართო უფლება ეძლევა მოქმედებისა და ყურის გდებისა ადგილობრივ ინტერესებისათვის, მაგრამ, საუბედუროდ, როგორც ვიცით, ამ უფლების განხორციელებას ამ ბოლოს დრომდის დიდი დაბრკოლება ეღობებოდა წინ; 10 ივნისის კანონი ყოველ ეჭვს ჰფანტავს ამ უფლების შეკვეცის შესახებ.

ეს კანონი იმეორებს ზემოხსენებულ მუხლებში მინიჭებულს უფლებას და თან დასძენს: „საჭირო შემთხვევაში სააზნაურო საზოგადოება გუბერნიის მარშლის პირით მიმართავს უქვეშევრდომილესის თხოვნით მათს იმპერატორებითს უდიდებულესობასაო“. ამგვარი თხოვნების და ადრესების შედგენას ახალი კანონი ავალებს მარშლებისა და დეპუტატების კრებას. ამ კრებაზე ყოველი საკითხი სწყდება დამსწრე საზოგადოების ორი-მესამედის უმრავლესობით. ეს წესი სავალდებულოა მხოლოდ მარშლების კრებისათვის სხვა-და-სხვა საკითხებისა და თხოვნების წინასწარ გარჩევის დროს, სააზნაურო კრებებზე-კი საკითხების გარჩევა და გადაწყვეტა ძველის წესით მოხდება.

ეს კანონი ჩვენ დიდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, თუმცა ახალი შიგ არაფერია: ეს უფლება თავად-აზნაურობას უწინაც ჰქონდა მინიჭებული, მაგრამ ჩვენმა თავად-აზნაურობამ ან ვერ გამოიყენა, ან მხოლოდ ქურდობისა და ავაზაკების ციმბირიდგან დასაბრუნებლად იყენებდა. ახლა-კი ახალი კანონი არათუ ნებას აძლევს თავად-აზნაურობას თავისი უფლება გამოიყენოს, არამედ ასწავლის კიდეც, ვისის ხელით და რა წესით და რიგით უნდა განხორციელდეს მისი უფლება.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, როგორ გამოიყენებს ჩვენი თავად-აზნაურობა და მისი წინამძღოლნი მათდამი მონიჭებულს ფართო უფლებას.

[1902 წ.]



<თავადაზნაურთა მოვალეობა>

ტფილისი, 15 აგვისტოს.

იშვიათად მოჰხდება ისეთი შემთხვევა, როგორც ეხლანდელი გარემოებაა, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ გამოიჩინოს თავისი სიკეთე, თავისი ჭკუა და გამჭრიახობა, ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის მოსაწყობი ერთგულება და საზოგადო საქმის კეთილ გზაზე დაყენების ზრუნვა.

დღეს უმაღლესი მთავრობა სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნავს და საგუბერნიო კომიტეტებს იწვევს. ამ კომიტეტებში საზოგადოების დახმარებასაც ადგილი აქვს. ჩვენ უკვე („ივერია“ № 140, ივლისის 5) გამოვთქვით ის აზრი, რომ მაზრების თავად-აზნაურობამ სამაზრო კრებანი გაჰმართოს, უმაღლესად დამტკიცებული კომიტეტის პროგრამა განიხილოს და თავისი ნამუშევარი გუბერნიის კრების და მარშლის შემწეობით ზემოხსენებულ სამეურნეო კომიტეტს აცნობოს.

საქართველოს ორსავე გუბერნიის, ტფილისისა და ქუთაისის, კომიტეტებში მონაწილენი იქნებიან გუბერნიის მარშლები. ამათ დიდი საზრუნველი ვალი ადევთ, საგუბერნიო კომიტეტს მოახსენონ კარგად შემზადებული და დასაბუთებული მოსაზრებანი ჩვენის მეურნეობის საჭიროებათა შესახებ.

უმაღლესად დამტკიცებულ კომიტეტის პროგრამმა ვრცელია და ამას გარდა ნებას აძლევს კომიტეტს ისეთს საგნებსაც შეეხოს, რომელიც პროგრამაში მოხსენებული არ არის, ხოლო ადგილობრივ მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყოველთვის გავიძახით ხოლმე, პატრონი არ არის, ამასა და ამაზე ხმა ამოიღოსო. სულ სხვის იმედი გვაქვს, სულ ცას შევყურებთ, ღმერთმა წყალობა ზამბილებით და პარკებით ჩამოუშვასო. ახლა თვით მთავრობა იწვევს საზოგადოებას, მოეცით კომიტეტებს თქვენი ცოდნა და მოსაზრებაო, და ნუ თუ გუბერნიის და მაზრების თავად-აზნაურთა კრებას სათქმელი არა ექნება-რა?!.

თუ დღეს ჩვენი მარშლები იმერეთში და ამერეთში ამისათვის არ იზრუნებენ და შინაურულად ორიოდ საგულვებელ კაცთან მოლაპარაკებით გაათავებენ საქმეს თავის აზრების წარსადგენად, ეს აზრები სრულიად მოკლებული იქნება სისრულესა და სავსეობას, რომელიც მთავრობას სწადიან და უსაფუძვლო, მოუმზადებელი და ყოველგვარ ნაკლულევანებით სავსე იქნება, როგორც ეს მოხსენებული იყო „ივერიის“ ზემოხსენებულ 140 ნომერში.

დღეს ვინც ბრმა არ არის, კარგა ჰხედავს, რამდენი საზრუნველი საქმე ასტეხია ჩვენს მეურნეობას, ჩვენს მიწად-მფლობელობას, თავად-აზნაურთა და გლეხთა ურთიერთობას.

მიწებზე სახელმწიფო გადასახადის კანონიერად შეწერა მოითხოვს საქმის გამორკვევას გულდადებით. დღეს შეწერილ გადასახადზე ბევრი ლაპარაკია, რომ გამოურკვევლობის მიზეზით, ბევრგან დიდი შეცდომა მომხდარა, მაგალითად, ერთი და იგივე მამული რამდენისამე სახელით დატვირთულია გარდასახდელ ფულით.

სასოფლო მეურნეობას ხელფეხს უკრავს ხიზნების საქმე, რომელიც ასეთის უბედურის დავი-დარაბით სავსეა. მშვიდობიანად წარმოება მეურნეობისა შეჩერებულია, როგორც მემამულისათვის, ისე ხიზნებისათვის.

ტყისა და საძოვარ ადგილების შესახებ დავა გაბმულია დროებით ვალდებულ გლეხთა და მებატონეთა შორის. როგორც გლეხს, ისე მებატონეს ვერ გამოურკვევია თავისი მდგომარეობა, ხან ერთისკენ არის უკანონობა, ხან — მეორესკენ; ხან გლეხია დამნაშავე, ხან — მებატონე. მთავრობამ დიდი საქმე გადასწყვიტა, ბატონ-ყმობა გააუქმა. დრომ ახლა სხვა გარემოება და-

ჰბადა და მთავრობამაც ამას მიჰხვდა, რომ მეურნეობა წინ წასწიოს. კომიტეტების დანიშვნა სწორედ ამას მოასწავებს.

საჭიროა, რომ მთავრობის წინაშე ყოველის მხრივ გამორკვეული აზრი გამოითქვას. ერთის ნაბიჯის წინ გადადგმა იქნება, რომ თავად აზნაურობათა კრებამ ორივე გუბერნიაში მთავრობას წარუდგინოს მოსაზრება დროებით ვალდებულთა და ხიზანთა საქმის მოწესრიგების შესახებ, რომ ამგვარად შესწყდეს ის გამოურკვეველი ურთიერთობა, რომელიც დარჩა ყმების განთავისუფლების შემდეგ. ეს მდგომარეობა თვით მთავრობამ სცნო დროებითად, და ამიტომ ადრინდელ ყმებს დროებით ვალდებულ გლეხებს უწოდებს. კანონს იმედი ჰქონდა, რომ განთავისუფლებული ყმები ან სახელმწიფოს შემწეობით, ან საკუთარის ღონის ძიებით გამოისყიდდენ მამულს და სრულიად განთავისუფლდებოდნენ. ეს იმედი მართლაც და ასრულდა ბევრგან ქუთაისის გუბერნიაში. მრავალმა გლეხმა მამული გამოისყიდა სახელმწიფოს დაუხმარებლად. ქართლ კახეთში-კი უფრო ნაკლებმა. მაგრამ კიდევ საკმაოდ ბევრია ისეთი გლეხი, მეტადრე ტფილისის გუბერნიაში, რომ დღესაც სახელმწიფოს დახმარებითაც თავს არ იხსნის. მიზეზი ამისი არის ის გარემოება, რომ ტყისა და საძოვრის დაკარგვისა ეშინიან. დღეს დროებით ვალდებულ გლეხს უფლება აქვს კანონით მებატონის ტყით და საძოვრით ისარგებლოს. ძველის საქართველოს ადათი ასე იყო და დღესაც კანონის ძალით, როგორცა ვსთქვით, სარგებლობს. ეს დიდად საგულსხმო რამ არის, რომ დაუფიქრდეს ჩვენი თავადაზნაურობა.

ამას წინად ჩვენ მოვიყვანეთ ბ-ნ კ. ყიფიანის აზრი საძოვრების შესახებ, თავად-აზნაურობამ მთავრობას სთხოვოსო გლეხობისათვის საჭირო საძოვრები (ან ტყე) თავად-აზნაურობისაგან გამოისყიდოს და მისცენ გლეხობასაო; უამისოდ, ამტკიცებდა ბ-ნი ყიფიანი, გლეხ-კაცობა გაწყდებაო და შიშველ-ტიტველი ავაზაკობის კერძი უნდა შეიქნასო.

ამ ჩამოთვლილს გარდა მრავალი საფიქრებელი რამ არის ეხლანდელ მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობაში. ორივეს ინტერესი შერყეულია და ამით მეურნეობაც წინსვლას მაგიერ უკან იწევს.

დღეს თავად-აზნაურობას შეუძლია სასახელო საქმე ჰქმნას ქვეყნის და თავის საკუთარის სარგებლობისათვისაც. გლეხისაც და მებატონის კეთილდღეობა დამოკიდებულია კარგ მეზობლობაზედ, კარგ ურთიერთობაზე. ვიცით, ჩვენი ქვეყანა სოფლის ხალხით არის დასახლებული და სოფელი აცხოვრებს ჩვენს ქვეყანასა. გლეხი გვაჭმევს პურს და არა ვაჭარი და მრეწველი. მრეწველობას ჯერ ფეხი არ აუდგამს. სოფლის დაცემას მოჰყვება მებატონის დაცემაც, რადგანაც სოფელი გლეხითა სცხოვრობს.

დიაღ, მრავალი საგანია საზრუნველი, რომელიც მოითხოვს დინჯად, სინიდისიერად, სიმართლით მსჯელობას, მოსაზრებას.

თავად-აზნაურთა წოდებაში მოიპოვებიან განათლებულნი, საზოგადო საქმის მცოდნენი და გულშემატკივარნი. მათი მოვალეობაა ფხიზელის თვალით შეხედონ საშვილიშვილო საქმეს, როდესაც დღევანდლისთანა შემთხვევა ხელს უწყობს. მისი ვალდებულობაა ამ ფრიად საჭირო საქვეყნო საქმეში გამოიჩინონ ინიციატორობა და ჩვეულებრივის გულგრილობისაგან გამოაფხიზლონ თავად-აზნაურთა წოდების წევრნი. გაზეთები გვაცნობებს, რომ მეურნეობის წინ წაწევის შესახებ მთავარ კომიტეტს პეტერბურგში მისდის კერძო კაცთა მოხსენებანიცა. ცხადია, რომ ამისთანა დროს საზოგადოების მოსაზრებასაც დიდი ადგილი ეჭირება. ჩვენმა საზოგადოებამ მთავრობის მოწოდებაზე უნდა იფიქროს და მიჰმართოს თავად-აზნაურთა მარშლებს, რომ მაზრებში, და შემდეგ საგუბერნიო კრებაში მსჯელობა იქონიონ. მეორეს მხრით გუბერნიების და მაზრების მარშლების მოვალეობაა მოიწვიონ კრებანი მაზრებში და შემდეგ გუბერნიებში.

თუ თავად-აზნაურთა წოდებამ ამისთანა დროს არ მოახერხა სასარგებლო დახმარება საქვეყნო საქმეში, იგი დაჰკარგავს საზოგადოდ ქართველობის ნდობასაც და თვით მთავრობისასაცა. კეთილშობილ წოდების სურვილს, აზრს, მსჯელობას შემდეგში აღარაფერი ფასი არ ექმნება არც მთავრობისა და არც ხალხის თვალში.

[1902 წ.]



საკენკად „სამშობლოს ცაზედ“ ხეტიალას
(„კვალი“ №52)

კაი ხანია, რაც „კვალის“ ფართო „სამშობლოს ცაზედ“ კრიკინებს მარქსის ერთი ჩვენებური ჭუკია. უაზრო და უსაგნო ფარფატმა სულ გამოულაყა თავი ამ ბეჩავ ფრთოსანს. მაშ რაღა საკვირველი უნდა იყვეს, რომ ფრატუნა და ხეტიალა ჭუკიას ყველგან ბარტყები ელანდებოდეს და ეზმანებოდეს: „ივერიამ“ ლაყე კვერცხებიდგან სამი, ერთი მეორეზე მიყოლებული, ბარტყი გამოუშვაო: ერთი — ნინია გარეჯელი, მეორე — ულეველი და მესამე ქსნის პირელი... თუ-კი ბარტყების გამოჩეკაზედ საქმე მივარდა, „ივერია“ რა ხელწამოსაკრავი იყო, „კვალი“ იქ არ იყო. იმ თავითვე „კვალმა“, ნოე ჟორდანიას პირით აკი აღგვითქვა, რომ გამოჩეკა მარტო ჩემი მოვალეობაა, „ჩვენი მიზანია მომავლის დაბადებას დავეხმაროთო*) ამ ბებიამ, ღვთის წინაშე, აღთქმა არ გასტეხა, მომავლის დაბადებას დაეხმარა და მალე ერთი მეორეზედ „გამოუშვა“... ჯერ ლილიპუტი პუბლიცისტი რიგოლეტო და მერე მიკროსკოპიული პოეტი ევდოშვილი!... მოჰყოლია მარქსის ჭუკია და რიგოლეტოს ხმით კრიკინებს: „ივერია“ ხან ძმობასა და ერთობას ქადაგებს და ხან კიდევ ამის წინააღმდეგს გაიძახისო — „მეტიც არის, რომ ქართველ ხალხს უქადაგო, ძმობა და ერთობა იქონიე მეზობელთანაო“, „ივერია“ ეტაკება „ივერიასაო“... მართლაც-და, „ლაყის კვერცხიდგან“ გამოჩეკილი უნდა იყვეს „სამშობლოს ცაზედ“ მოხეტიალე ვითომდა პუბლიცისტი, რომ ვერ გაიგოს წინად რას ამბობდა „ივერია“ და ეხლა რას ამბობს. წინად ჩვენმა გაზეთმა აღიარა, რომ ქართველთა შორის წოდებრივი განცალკევება უნდა განიდევნოს, მის ნაცვლად მიღებულ იქმნას ძმობა და ერთობა. და ეს უნდა იყვეს ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპიო. ბ-ნ ქსნის პირელმა-კი სულ სხვა სთქვა. იგი შეეხო მხოლოდ სამეზობლო ურთიერთობას, სომხებთან დამოკიდებულებას და დასძინა: ჩვენ რას მოგვდგომიხართ და ჩაგვჩიჩინებთ — ძმობა და ერთობა იქონიეთ მეზობლებთან, მაგის წინააღმდეგი არასოდეს არ ვყოფილვართ და ეგ მოძღვრება იმათ უქადაგეთ, ვინც არღვევს ძმობასა და ერთობასაცაო... როგორც ჰხედავთ, წინად ერთს საგანზედ იყო ბაასი და ახლა მეორეზეა. ამ უბრალო ლოგიკასაც ვერ მორევია რიგოლეტო და „სამშობლოს ციდამ“ კი გადმოიძახის — „წარსული „ივერია“ გადათელა ახალმაო“!.. მაგრამ ჩვენ რაღას ვამბობთ, ლოგიკა რა რიგოლეტოს საქმეა! „სამშობლოს ციდამ“ რიგოლეტო უმეტეს ნაწილად ხატსა, საკმელსა და წმინდა სანთელზედ გველაპარაკება. კილოსაც ხომ ნამდვილ „დიაკვნურსავე“ ჰხმარობს. უკაცრავად-კი ვართ და ამისთანა „პუბლიცისტს“ უფრო დავითნი უნდა ეჭიროს ხელში, თორემ სხვა-და-სხვა აზრის გამო კამათი და ლოგიკური ვარჯიში, აბა, თქვენს მზეს, რა იმისი შესაფერი და საკადრისი საგანია!..

თუმცა კი ასეა, მაგრამ რიგოლეტო თავისას არ იშლის და უფრო დიდ-დიდ აზრებს ებღაუჭება. მაინც ასეთია ყველა კაცუნა-კაცის თვისება! ქონდრის კაცმა თავისი ადგილი არასოდეს არ იცის და ყოველთვის მაღლა მიიწევს. რიგოლეტომაც ამიტომ ამოჰყო თავი დედამიწიდან ცაში! მაგრამ ხომ მოგეხსენებათ — „ჭიანჭველას რომ ფრთები გამოესხმის, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო“. რიგოლეტოსაც ეგრე დაემართა — ღმერთი მაშინ გაუწყრა, როცა დედა მიწას არ დასჯერდა, ფრთები შეისხა, „სამშობლოს ცაში“ აფრინდა და ამ სიმაღლიდგან დაიწყო მოძღვრება. მოგეხსენებათ, რომ „ივერიაში“ ამას წინად დაბეჭდილი იყო პლებსის „მასლაათი“, სადაც ავტორი ამბობდა: „წოდებრივი

*) იხ. ნოე ჟორდანიას საპროგრამო წერილი „რედაქციისაგან“.

თავ-კერძოობა თითონ თავად-აზნაურობას აზარალებს, ვინაიდან თითოეულ წოდების ხსნა და შველა ერთობასა და ძმობაშიაო“... „სამშობლოს ცაში“ მყოფს ფრთებგამოსხმულ ლიტერატურულ ჭიანჭველას არ მოსწონებია ეს „ციური“ ძმობა და ერთობა და გვეკითხება — „ნეტა შეგვატყობინა, რომელ წოდებასთან უნდა რომ დააძმობილოს მედროშე თავად-აზნაურობა „ივერიის“ პლებსმაო? „მოგეხსენებათ: მთელ ქართველობასთან, თითოეულ წოდებასთან. მაგრამ მარქსის ჭუკიას მარტო „მუშა“ და „კრუა“ ეპიტნავება და „ძმობილობაც“ მასთან ჰსურს. ჰო და, აბა, რას ეგვანებოდა, რომ ყოველნი ქართველნი ერთი ძმანი ყოფილიყვნენ? იქნებ თქვენც გსმენიათ ის სიბრძნე, რომელსაც „კვალის“ რიგოლეტო აღიარებს: თავადაზნაურობა სოციალურ სხეულის მეჭეჭი და ხორცმეტია, რომელიც დოსტაქრის დანით უნდა მოიჭრასო. ამ წოდებასთან ძმობას რიგოლეტო აბა რად იკადრებს! თუმცა, ღვთის წინაშე, არავინ ემუდარება, მაგრამ მაინც-კი თავს იდებს და დიდ უარზედაც არის: „დაგვილოცნია გზა, ბ-ნო პლებსოო, მაგისთანა მედროშეს (თავად-აზნაურობას) შეგიძლიანთ თქვენვე მიჰყვეთო“... და თვითონ კი „კრუებს“ და „ყარაბაღელებს“ მისდევს, იმათ უდგია გვერდით და თავს ევლება!.. ქართველობაც სწორედ აი ესეთი უნდა, თორემ რის მაქნისი იქნებოდა ქართველ აზნაურს და ქართველ გლეხს ერთად უღელი და ჭაპანი ეწიათ! ეროვნობა რას მიქვიან — იგი ხომ კონსერვატორობის და რეტროგრადობის ნიშანია!..

ჩვენც გზას გილოცავთ, ბ-ნო რიგოლეტო, მაგრამ ნახავთ კი, სადაც ეგ გზა მიგიყვანთ!..

„პლებსისთვის ქართველ ხალხის, გლეხობის მეურნეობა არ არსებობსო“, ასე ამბობს რიგოლეტოს ტყუპი... რა მოკლე-ფეხა ტყუილია! რა ბალღური ტიტინია!... პლებსმა მარტო თავად-აზნაურობასა და მის მეურნეობაზედ იმასლაათა და ეს განა ამტკიცებს, რომ პლებსი გლეხის მეურნეობას უარჰყოფს?!

პლებსი ამტკიცებდა, თუ თავად-აზნაურობას ხელიდან მამული გამოეცლება, მაშინ ირიღაცია და ჰაერში სასროლი არტილერია რა ჯანდაბად უნდა ამ თავადაზნაურობასო. რიგოლეტოს ღირსეულს ტოლს-კი ეს აზრი ისე გაუგია, ვითომ პლებსი ამბობდეს, საზოგადოდ სამეურნეო რეფორმა რა საჭიროა, თუ თავად-აზნაურებს მამული აღარ ექმნებაო. აი სწორედ ამაზედ იტყვიან: — „საიდგან სადაო, წმინდა საბაო!“ კარგს მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო!..

მაგრამ კმარა, ხომ მოგეხსენებათ: ჩიტი ბდღვნად არა ღირდა და დევნა მეტი იყოო!“ რიგოლეტოს და იმის დამქაშს თუნდ მილლის ლოგიკაც თავზედ დაებერტყოთ, მაინც ვერას შეასმენთ. თუნდ ეგრეც არ იყვეს, რიგოლეტო თავისას არ დაიშლის: ჩვენი საკენკი წაიტყუებს და „სამშობლოს ცაზედ“ ხეტიალსა და ფარფატს უფრო მოუმატებს. მაშ ზოგი იმ დროისათვის იყვეს...

ბზიკი.

[1902 წ.]



<თავკაცთა უვარგისობა სოფლად>

ტფილისი, 14 სეკდემბერს.

დღე არ არის, აქაურმა გაზეთებმა არ გამოაცხადონ, მავანსა და მავან დაბა-სოფელში კაცი მოკლესო, დახანჯლესო, იქ სახლი გადასწვესო, აქ ვაზი გადასჭრესო და სხ.

მერე უმეტესად ვინ არიან ეს მკვლელები, მხანჯლავები, გადამბუგველები? სომხები? არა. ლეკები? არა. თათრები? ძალიან ნაკლებად. მაშ, ვინ არიან? ვინა და ჩვენი ძმები, ჩვენი ქართველები.

გვახსოვს ის დრო, როდესაც ქართველსაც, სომეხივით, სისხლისა ეშინოდა. სისხლის დამქცევი სისხლითვე შეიკვრისო, საცა სისხლს დააქცევს, იქვე გაშეშდება და გაითანგებაო.

დღეს ეგრე აღარ არის. დღეს ისევ თითქო მობრუნდა ის დრო, როდესაც ხმამაღლა და თავმოწონებით გაიძახოდნენ homo hominis lupus est-ო, ანუ ჩვენებურად რომ ვსთქვათ, კაცი კაცისათვის მგელიაო.

კაცს ისევ მოსწყურდა კაცის სისხლი. ზოგიერთისთვის კაცისკვლა, ე ი ღვთის მეექვსე მცნების დარღვევა, ისეთივე ადვილი შეიქმნა, ვითარცა ბუზის გაჭყლეტა, ჭიანჭველის გასრესა.

ძმაკაცები, ორი ვაჟკაცი ძმობილი აუხირდებიან ერთმანეთს უბრალო საქმესა თუ სიტყვაზედ, იძრობენ ხანჯლებს და აფთრებივით ერთურთს ეცემიან...

ტკბილი მეზობლები, შენი ხბო თუ მოზვერი რად გადმოვიდა ჩემს ნაფუძარშიო, სტეხენ ერთს აურზაურს, იწყებენ ჩხუბს და კომბლებით ერევიან ერთმანეთს...

სუფრაზედ მსხდომი ძმურად მოლხინე ნათესავები და ჭირისუფალნი მოიგონებენ ძველისძველ დარდსა, ნაწყენობას, აშლიან „ციციანთ დავას“ და წმინდა სუფრას სისხლით მორწყავენ. ზოგიერთგან საქმე იქამდეც მივიდა, რომ სუფრაზე დასხდომამდე ფრთხილი სახლის პატრონი იარაღს ჰყრის მოწვეულ სტუმრებს. მან უკვე იცის ჩვენებური **ახალი დროის** სუფრის თვისება და წინდაწინვე საჭიროდ სცნობს, თადარიგს შეუდგეს და, როგორც ვსთქვით, იარაღი აჰყაროს მოწვეულებს, რომ სისხლი არ დაიღვაროს გახშირებულ ნადიმობის დროს.

ძველად ამბობდნენ, სტუმარი ღვთისაა და მას ხელი არ შეეხებაო. დღეს კი თვით ეს სტუმარი და ღვთის კაცი ხელშესახები შეიქმნა.

კაცს აღარ სცხვენიან არც მამა-პაპათა მტკიცე ჩვეულების დარღვევისა (და ან ახსოვთღა ეს ჩვეულებანი?!) და არც ეშინიან სამართლისა.

კაცი სწორედ გამხეცდა, დაავიწყდა ძმობა, ნათესაობა, მეგობრობა, სტუმართმოყვარეობა, გამტანლობა, ერთურთის შეწყნარება, პატივისცემა.

აი, ერთი მხეცური სურათი, რომელიც ამ რამდენისამე დღის წინად დაგვიხატეს აქაურმა გაზეთებმა:

გზად მიდის თავისთვის პატიოსანი კაცი, ღიღინით, უდარდელად. უკანიდგან ეწევა პატიოსან კაცივითვე ჩაცმულ-დახურული მგზავრი. ეწევა, ახლის ზედიზედ დამბაჩას, ჰკლავს, მერე შადლუხად ერთსორსაც ჰაერში ისვრის და მიდის და თანაც მიიმღერის...

აბა, ეს არ არის მხეცობა!

სამარიტელმა დაჭრილი შეიწყნარა, შეიბრალა, დღევანდელ მხეცმა კი სიცოცხლით სავსე კაცი გამოასალმა წუთისოფელს და შადლუხებითა და სიმღერით განშორდა თავის მიერვე მოკლულს ადამიანს!

წინად გმირი გმირს და მორკინალი მორკინალს რომ სძლევდა და ძირს დასცემდა, დაცემულს იბრალებდა, მისთვის სტიროდა, მის მოსარჩენად დოსტაქრებს იწვევდა. დღევანდელი გმირი და მორკინალი კი მის მიერ ჩადენილს საზიზღარს საქციელს სიმღერისა და შადლუხების ეშხში მოჰყავს!

რა არის ყოველისავე ამის მიზეზი, ძნელია სთქვას კაცმა. დღევანდელი კანონი და სამართალი უწინდელს სჯობია. ამას ცილობა არ უნდა. ერთადერთ მიზეზად ჩვენებურის კაცის წახდომისა, ჩვენ ვთვლით სოფლელთა მოწინამძღვრებისა და მოთავეების უვარგისობას. ეს ვაჟბატონები სმა-ჭამისა და ლოთობის მეტს, თითქმის არას აკეთებენ, ხალხს არ უქადაგებენ, არ ასწავლიან, არ სთესვენ ერში სახარების უჭკნობელს თესლს, ყოველს მოვახშეს, ყოველს გაიძვერას იმეგობრებენ და ითვისებენ და ამ მგლების შესაჭმელად სტოვებენ მდაბიოთ, მცირებულთ.

ამას გარდა ჩვენი სოფლის მოთავე კაცები, მოწინავენი ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ შვილების და ახალმოზარდების გაწურთვნას, განათლებას. პატარაობისას მათ აყვინიზებენ, ანებივრებენ. ეს გაყვინიზებულ-განებივრებულები ორს-სამ კლასს ძლივს ასრულებენ და მერე სოფელს უბრუნდებიან მის შესაჭმელად, სახრავად; სხვა რა აკეთონ, როდესაც არა იციან რა, კაცურკაცობისა არა შეუგნიათ რა.

თუ არ ეს, მაშ რაა მიზეზი, რომ ყველას თანასწორი კანონი და სამართალი გვფარავს, და ჩვენში კი თითქო მეტია კაცისკვლა, ვიდრე ჩვენს მეზობელს სომხებში, ლეკებში და გვგონია თათრებშიაც კი.

მხნე და გამრჯელის და ამასთანავე მართალის კაცის ძლიერი ქადაგება, ჭკვიანის მშობლის სიტყვა და საქმე მალამოდ გამოადგებოდა ჩვენს დაძაბუნებულს სოფელს, მაგრამ სად არის ან ერთი, ან მეორე.



<მოსწავლეთა ჯანმრთელობა – უპირველესი საზრუნავი>

.

ტფილისი, 18 სეკდემბერს.

წინა წერილში ჩვენ ვსთქვით, სოფელს დიდს სარგებლობას მოუტანდა მართალის კაცის წინამძღვრობა, ჭკვიანი კაცის სიტყვა და საქმეო.

რასაკვირველია, ქვეყანა დიდია და უკაცური არ არის, მადლიანი, საქმიანი, გამჭრიახ-გონებიანი და მართალი ადამიანებიც მოგვეპოვებიან. გარნა ასეთების რიცხვი ძლიერ მცირეა. და ვინც-კი არიან, მათი სახელები ჩვენ ყველამ ვიცით; ვიცით ისიც, თუ რას აკეთებენ, როგორ უვლიან თავის თავსაც და თავისიანებსაც, რას ნატრობენ, რას ეტრფიან და საით მიისწრაფებიან.

საქართველოს ყოველს მხარესა და კუთხეში ამისთანა მოღვაწენი თითო-ოროლა გვეგულება და ეს თითო-ოროლა რას გააკეთებს იქ, სადაც უნდა იმოღვაწოს არა ერთმა და ორმა, არამედ ბევრმა და მრავალმა.

ღმერთს თავისი უხვების კალთა საქართველოში დაუბერტყიაო, ვამბობთ, და მართალიც არის. რა გინდა, სულო და გულო, რომ აქ არ მოიპოვებოდეს, მრავალგვარი მადანი, სასარგებლო მიწები, წყლები, ხე-ტყე, ქვა-ნახშირი, ქვა-გუნდა, ნავთი, საღებავი და სამკურნალო ბალახი, ნოყიერი მიწა ხვნა-თესვისათვის; ყოველივე ეს მოუნიჭებია ღმერთს ჩვენთვის და ჩვენ-კი მაინც ღარიბები ვართ!

რად ვიქნებოდით ღარიბნი და უქონელნი, რომ გვყოლოდა მრავლად განათლებულნი მოწინამძღვრენი,

მრავლად გაგებულნი და საქმიანი კაცნი. დიდი რაზმიც უძლურია იქ, საცა ამ რაზმს არ წინამძღვრობს ჩინებული სარდალი.

დიდი რამ არის შეგნებული მოთავე. თაოსანი კაცი, ხშირად, სულ არარაობიდამაც დიდს რასმე საქმეს მოაგვარებს. მაგალითების დასახელება საჭირო არ არის. ყველამ იცის, ან გაგონილი მაინცა აქვს, რაც შეუძლიან თვით ერთის კაცის ცდას, მარჯვენას, მესვეურობას.

სამწუხაროდ ვიმეორებთ, ამისთანა მესვეური კაცები, ამისთანა მოჭირნახულე და სოფლისათვის თავდადებული ადამიანები ჩვენში ნაკლებად არიან.

ზრდილნი იყვნენ იმერნიო, დარბაისელნი — მესხნი, პურადი და გულადი — ქართლელნი, მხნე და მეომარი — კახნი და მრეწველობისა და აღებ-მიცემობის მიმყოლი ერთობ ყველა ქართველი. როგორ იქნებოდნენ ან ზრდილნი, ან დარბაისელნი, ან გამრჯენი, რომ არ ჰყოლოდათ შესაფერნი აღმზრდელნი, გამრჯე მოძღვარი-მასწავლებელნი, ნიჭიერნი მეთაურნი და მესვეურნი...

———

საღ გონებას ჯანიც საღი უნდაო, ამბობს რომაული ანდაზა, მაგრამ ეს სიბრძნე, რომელიც ყოვლად საჭირო იყო, მეტადრე სწავლების საქმეში, ისე ვერავინ შეიგნო, როგორც აწინდელმა სახალხო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ზენგერმა. ამას ამტკიცებს მისი უკანასკნელი განკარგულება, რომლითაც სწავლების საქმის გამძღოლთ დაევალათ, ეხლავე დიდი ყურადღება მიაქციონ მოწაფეთა ბუნებრივ განვითარებას სხვა-და-სხვა საამისო ღონისძიების ხმარებით.

ამიერიდგან იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვიდრე ჩვენი შვილები სწავლაში იქმნებიან, აღარ დასჩემდებათ დაქანცულობა, თვალის ჩინის სისუსტე და სხვა სენი, თავის მოუვლელობისა და უპატრონობისაგან მოვლინებული და მოზარდი თაობა, გონების გარდა, ბუნებითაც სრულ-ყოფილი გვეყოლება, მაგრამ დავიჯეროთ, სკოლაში ყოფნის დროს ჩვენის შვილების ჯანმრთელობას არავითარი ხიფათი მოელის? არა გვგონია. ხიფათი დიდია და მოსალოდნელი თვითონ იმათგან, რომელნიც მოწოდებულნი არიან მათდა გონებრივ და ბუნებრივ გასავითარებლად. რამდენად სანატრელია ჯანსაღი მოწაფე, იმდენადვე სანატრელი უნდა იყოს ჯანსაღი მოძღვარი, ამ მოწაფის გონებისა და ჯანის გასახსნელად მოწვეული. დიაღ, სანატრელია და საჭიროც არის, მაგრამ ბ-ნ მინისტრის განკარგულება ამის თაობაზე არაფერს გვეუბნება. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი გარემოებაც თავისთავად იგულისხმება სწავლების საქმეში, ისე როგორც აქამდე იგულისხმებოდა მოწაფეთა ჯან-ღონის განვითარებაც, მაგრამ აკი საჭირო გახდა მაინც განსაკუთრებული საამისო ღონისძიება დაკანონებულიყო. ისევეა, ჩვენის ფიქრით, საპატრონო მასწავლებელთა ჯანმრთელობის საქმეც, თორემ წარმოიდგინეთ, ქორფა, ჯანსაღი ბუნების მქონე მოწაფე, რომელიც ადვილად იტვიფრება ყოველის გავლენისაგან, და გადამდების რამ სნეულებით დაავადებული მასწავლებელი, რომელიც იძულებულია თავის ჯანსაღ მოწაფეს თავს ადგეს, პირში ელაპარაკოს, ხელი მოჰკიდოს და ასუნთქებინოს თავისი გვამითგან ამონასუნთქი შხამიანი ჰაერი. ცხადია, ადრე იქნება თუ გვიან, ეს მოწაფე მსხვერპლი შეიქნება თავისი სნეული მასწავლებლისა და რა ჰქმნას საწყალმა მშობელმა? შვილის უსწავლელობა იტიროს, თუ ზედ დართული მისი ავადმყოფობა? დიაღ, როგორც ჯანსაღი მოწაფეა სანატრელი, ისევე სანატრელია ჯანსაღი მასწავლებელი და კარგი იქნება ყოველი სასკოლო მთავრობა ამ გარემოებასაც მიაქცევდეს ყურადღებას მასწავლებელთა მოწვევის საქმეში.

[1902 წ.]



<საგზაო საქმის მნიშვნელობა>

ტფილისი, 21 სეკდემბერს.

წინა წერილებში, რომელიც „ივერიის“ ორ ნომერში იყო დაბეჭდილი და რომელიც შეეხებოდა პეტერბურგში დაარსებულის სამეურნეო საბჭოს სურვილის უკეთესად აღსრულებას ჩვენში, ის აზრი გამოვსთქვით, რომ ბ-ნ მარშლების თავმჯდომარეობით ყველა მაზრაში უნდა შესდგეს კომიტეტები, განიხილონ საბჭოს პროგრამმა და ეცადნენ იქ გამოთქმული აზრები და სურვილი გუბერნიის კომიტეტს შეაწყნარებინონო.

ამას გარდა, ჩვენ ისიცა ვსთქვით, რომ კარგი იქნებოდა ეგ პროგრამმა შეგვემსო ახალის მუხლით და გამოგვეთქვა ის აზრი, რომ უძლიერესი და უახლოვესი ღონისძიება, რათა მეურნეობა აღყვავდეს, ერობის შემოღება არის და ამიტომ გვეთხოვა მისი მონიჭება ჩვენის გუბერნიებისათვისაც.

ჩვენც ვცდილობდით ის აზრი დაგვემყარებინა, რომ ყოველი ღონისძიება, რომელიც უერობოთ იქნება შემოღებული — ცალმხრივი ღონისძიებაო და არ გვიქადის იგი მეურნეობის საყოველთაოდ აყვავებასაო.

ამითი ჩვენ, რასაკვირველია, არ გვინდოდა გვეთქვა, რომ თუ ერობა არ იქნება შემოღებული, სხვა რამ ღონისძიება მეურნეობისათვის მავნებელი იქნებაო. ქართული ანდაზისა არ იყოს: სულ არარაობას ცალ ულელი ხარიც სჯობიაო, ჩვენც სწორედ ამიტომ არ ვაკლებთ მნიშვნელობას სხვა საშუალებათაც, რომელთა მიღება ასე თუ ისე უკეთეს ვითარებაში ჩააყენებს ჩვენში მეურნეობასა.

ამ რწმენით გამსჭვალულნი ჩვენ შევუდგებით პროგრამმის ზოგიერთა მუხლის განხილვასა და სულ პირველად იმ საგანს შევეხებით, რომლის უდიდესი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია და მის გაწესრიგებისათვის, ჩვენის აზრით, ყოველთ უწინარეს უნდა ვიზრუნოთ.

მას შემდეგ, რაც მეურნეობამ, ახალის დროს მოთხოვნილებით, კარ-ჩაკეტილობას თავი მიანება, მისი ავკარგიანობა დიდად არის დამოკიდებული მასზედ, თუ რა ხდება მსოფლიო ბაზარში. ახალმა ვითარებამ ის საქმე ჰქმნა, რომ სადმე ამერიკაში მოყვანილი ხორბალი დაუპირდაპირეს მაგ. შიდა გუბერნიებსა და ზემო-ქართლში მოსულ ხორბალს, გვერდით ამოუყენეს ერთი მეორესა და გამარჯვებაც იმას არგუნა, ვინც უკეთეს გარემოებაშია: აჯობა იმან, ვინც სამეცნიერო ხერხითაა შეჭურვილი და ვინც ამასთანავე ჯერ იაფად დაისვა დათესვა და მერე მომკა. მრავალი პირობაა საჭირო, რათა მეურნეობაში ცოდნა და გონივრულის ხარჯის სიმცირეც დაცულ იყოს. ამათ შორის ერთი უპირველესი ალაგთაგანი უჭირავს კარგს გზებსა.

კარგი გზები იმას ჰქვიან, როდესაც ეს გზები გაყვანილია სწორედ იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს, იმ მანძილზედ, რაიცა საკმაოდ არის აღიარებული და იმდენად მკვიდრად არის გაკეთებული, რომ მიმოსვლა არა ბრკოლდება არას დროს.

ევროპისა და მეტადრე ამერიკის სახემწიფონი დასერილნი არიან რკინისა და შოსსე გზებითა, ზღვანი და მდინარენი იქ სავსე არიან გზებითა და სწორედ ამითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქვეყნებიდგან პური ადვილად მოდის ჩვენკენ და ქიშპობასაც-კი უწევს ჩვენს შინაურს პურსა. გზებმა გააადვილა იქაურ პურის მოტანა ჩვენში. გზებმა დააახლოვა შორეული ქვეყნები, ის სასწაულიც-კი მოახდინა, რომ ორი, თუნდა ძალიანაც დაშორებული ქვეყანა, ერთმანეთს დაუშინაურა, დაუმეზობლა, მაშინ როდესაც უგზოობა ორ მეზობლად მდებარე ქვეყანას აშორებს ერთმანეთსა და კავშირსა სწყვეტს მათ შორის.

ამნაირი თვისებანი გზებისა საყოველთაოდ არის აღიარებული და ცხად-ჰყოფენ, სხვათა შორის, ერთ-

ერთ მიზეზს იმისას, თუ რად ვართ ჩვენ მოწყვეტილნი ქვეყანას, რატო ვერ ვახერხებთ მეტოქობას და რათა ვართ დამარცხებულნი ჩვენს სახლშივე უცხო ქვეყნის მეურნეობისაგან. მაგრამ უცხო ქვეყნები რად გვინდა, როდესაც ჩვენს საკუთარს სამშობლოში ვხედავთ მაგალითს იმისას, თუ რა ხდება უგზოობისა გამო.

კახეთი და ქართლი ამ მიზეზით ისე არის დაშორებული, რომ აღებ-მიცემობა მათ შორის თითქმის შეწყვეტილია. ხშირი ამბავია, რომ როცა ქიზიყში შიმშილობაა, ქართლს პური თავზედ საყრელიც რომ ჰქონდეს, თითქმის ვერასა ჰშველის იქ და ამის გამო ერთს ალაგას იგი მამა-სისხლად იყიდება, მეორე ალაგას-კი ფასი არა აქვს. ამ მოვლენის დასასურათებლად ყველა მაგალითის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და თქმულიც საკმარისად მიგვაჩნია, მეტადრე იმიტომ, რომ ჩვენში ისედაც ყველა ჰხედავს უგზოობისა გამო ჩვენს უკან ჩამორჩენასა.

დღევანდელი ჩვენი წერილი იმიტომ არ არის დაწერილი, რომ ეგ საანბანო ჭეშმარიტება განგვემარტნა. ჩვენ გვინდა მხოლოდ ჩვენის უგზოობის გახსენების შემდეგ დავასახელოთ ის ღონის-ძიებანი, რომელიც უნდა იქმნას მიღებული, რათა გზების გაკეთების სურვილი საქმედ გადიქცეს და მით მოგვემატოს ერთი ფაქტორი ჩვენის ეკონომიურად გაძლიერებისა.

მთავრობა დიდ მნიშვნელობას აწერს ამ საგანს და, დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ყოველ წლივ ხუთს მილიონს მანეთს აძლევს ამა თუ იმ სახით თავისის ხაზინიდგან იმ გუბერნიებსა, სადაც ერობა არის შემოღებული, და ავალებს, რომ ეს მილიონები განსაკუთრებით გზების გაყვანასა და შეკეთებას მოახმარონ. თუ გავიხსენებთ, რომ თვით ერობანიც დიდ-ძალს ფულსა ჰხარჯავენ გზებზედ, დავრწმუნდებით, რაოდენად სასურველ საქმედ მიაჩნია მთავრობას გზების განკარგება.

რომ უფრო ნათლად დავინახოთ, რამდენად ჰზრუნავს უმაღლესი მთავრობა გზების გაუმჯობესებისათვის, მოვიყვანთ შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრს, რომელიც გამოქვეყნებულ იქმნა სწორედ იმ დროს, როდესაც ერობათა სახელმძღვანელოდ გადმოცემული იყო ახალი დებულება **საგზაო კაპიტალისა**.

როდესაც საგზაო კაპიტალის ახალი კანონი დაწესდაო, — ამბობს სამინისტრო, — ყველას ფიქრად ის ჰქონდა, რომ მეურნეობის კრიზისის ასაშორებლად და უკეთესის ვითარების დასამყარებლად გზების გაყვანა უნდა იყოს იმნაირ ღონისძიებად ჩათვლილი, რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც გზათა სიკეთესა და სიმრავლეზედ არის დამოკიდებული დაქვეითებულ მეურნეობა-მრეწველობის საქმის გაწეს-რიგებაო.

ამნაირად შიდა-გუბერნიებში გზებზედ ყოველ-წლივ ორ გვარი ფული იხარჯება: ერთი თვით ერობათაგან და მეორე — ხაზინისაგან. ამავე დროს, ამ საქმეს აქ ორი მეთვალყურე ჰყავს — სახელმწიფოცა და ერობაც. თუმცა ამოდენა ფული იხარჯება იმ გუბერნიებში, მაგრამ ეს კიდევ არ მიაჩნიათ საკმაოდ.

გზების შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელიო, — ნათქვამია სამინისტროს დებულებაში, — იმდენად ბევრი, რომ ეს ფული ვერ დააკმაყოფილებს ამ დიდს საჭიროებასო. ამიტომ, სადაც საჭირო იყოს, იქ შეიძლება თვით ხალხიც გამოიყვანოთ სამუშაოდ, მხოლოდ ისე, რომ მუშა კაცი თავისს საქმესაც არ მოსცდესო.

ამნაირად შეერთებული ძალა ხაზინისა, ერობისა და მუშა-ხალხისაც-კი არ არის საკმარისად ცნობილი ვაკე რუსეთში და იქ კიდევ უგზოობას უჩივიან, მაშ, რა უნდა იყოს ჩვენში, სადაც არ არის განსაკუთრებული დაწესებულება, რომელიც იმ რიგად, როგორც რუსეთის გუბერნიებშია, განაგებდეს გზების გაყვანის საქმესა, ჩვენში, სადაც ადგილმდებარეობა ასე მთაგორიანია.

მაგრამ ფულიც რომ იყოს გადადებული და შეგროვილი, ეს კიდევ საკმაო არ იქმნება გზების გასაყვანად. აი, რას ამბობს ზემორე ხსენებული სამინისტრო ამის შესახებ: ,,შეუძლებელია საგზაო საქმის რიგიანად წარმართვა, თუ შეცვლილი არ იქმნება აწინდელი უწესოება ზედამხედველობისა, როგორც ტეხნიკის მხრივ, ისე ხარჯის გაწევის საქმეში. მაშასადამე, სამი

პირობა უსათუოდ უნდა იყოს ასრულებული, თუ გვინდა კარგი გზები გავიჩინოთ: 1) ფული, 2) სატეხნიკო ზედამხედველობა და 3) ყაირათიანობა ფულის დახარჯვაში და მასთანავე დაფიქრებით არჩევა იმ ადგილებისა, სადაც გარემოება ითხოვს გზის გაკეთებასა.

ამ რიგად ჩვენი ფიქრი და ზრუნვა სულ იმას უნდა მოვახმაროთ, რომ ეს პირობანი ჩვენც გავიჩინოთ, თუ გვსურს ასეთი უაღრესი ნაკლი შევივსოთ. როგორც მკითხველს მოეხსენება, ჩვენშიაც არსებობს საერობო გადასახადი, ე. ი. ჩვენც გვაქვს ის წყარო, რომლიდგანაც რუსეთის ერობანი ჰხარჯვენ ფულსა გზებისათვის.

ჯერ-ჯერობით ეს თანხა მიგვაჩნია ერთად-ერთ წყაროდ, რომლის შემწეობითაც შესაძლებელია გზები გაგვიკეთდეს. ამიტომ სასურველია საგუბერნიო კომიტეტში აზრი იყოს გამოცხადებული, რომ საერობო გადასახადიდგან ყოველ წლივ სწორედ იმდენი იყოს ხოლმე გადადებული გზების გასაყვანად, რამდენიც საჭირო იქნება, რათა გზების შეკეთების მხრივ, საერობო გუბერნიებს მოვეწიოთ. ამ საგნისათვის საჭირო თანხის გადაწყვეტა ყოველ წლივ უნდა მიენდოს განსაკუთრებულ საგზაო კომიტეტს.

აი, ის წყარო, რომელიც უნდა მოხმარდეს ჩვენში გზების საქმესა.

იმედია, ასეთს შუამდგომლობას მთავრობა შეიწყნარებს. იმედია, იმიტომ, რომ შიდა გუბერნიებში, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მთავრობა ყოველწლივ 5 მილიონით ეშველება ერობას ამ საქმეში. ეშველება ამ სახით: ყველა ერობა ერთად 5.800.000 მანეთს ჰხარჯავდა ყოველ წლივ სასამართლო და საგლეხო დაწესებულებაზედ. 1895 წელს მთავრობამ უთხრა ერობათ: — მაგ ხარჯს მე გავწევ ჩემისავე ხაზინიდგან, მხოლოდ იმ პირობით, რომ განთავისუფლებულის ფულით თქვენ ახალი გზები დააკეთოთო.

სადაც ერობა არის შემოღებული, იქ უფრო გაადვილებულია ადგილობრივის ტეხნიკურ ზედამხედველობის დაწესება. ჩვენში-კი ეს ჯერ ძნელია და უამისოდ-კი, ფულიც რომ გქონდეს, გზები მაინც ვერ გაგვიკეთდებიან.

ვიდრე ერობას შემოიღებდნენ ჩვენში, საჭირო არის ვითავოთ, რომ საგუბერნიო ტეხნიკური დაწესებულების გარდა მაზრებშიაც იყოს ამნაირი დაწესებულებანი. თუ არ შეიძლება, რომ ამ დაწესებულებისათვის იყოს გადადებული ყოველ წლივ ხაზინიდგან ფული, მაშინ შემოღებულ იყოს მაზრებსა და დაბებში საგზაო კომიტეტები, სადაც წევრნი უნდა ინიშნებოდნენ, როგორც კეთილშობილთა კრების არჩევით, ისე გლეხთა საზოგადოებათაგანც. საერთო ზედამხედველობა მაზრებში უნდა მიენიჭოს ან მათს მარშალს, ან მაზრის უფროსსა. სამაზრო კომიტეტებს უნდა ჰყვანდეთ მთავრობისაგან გამწესებული ტეხნიკებიც.

რათა ფულის ხარჯვა შეღავათით სწარმოებდეს და ამასთანავე არ იყოს მივიწყებული რომელიმე ადგილი — ყოველ წლივ უნდა შესდგეს გეგმა მოქმედებისა და მასთანვე მოსაზრებული იყოს იმ წლის ხარჯთაღრიცხვა. ეს უნდა მოხდეს საგუბერნიო საგზაო კომიტეტში, რომელიც იხელმძღვანელებს მაზრებიდან წარმოდგენილ პროექტებით.

ბევრი გზა არის, რომ სახელმწიფო მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე ადგილობრივი, ან სხვა გუბერნიებსაც აქვს მისგან სარგებლობა, — ამნაირი გზები უნდა კეთდებოდეს უმეტეს ნაწილად სახელმწიფო ხარჯით და სხვა გუბერნიების დახმარებით. ამ რიგად თვითეულ გუბერნიას მეტი ღონისძიება მიეცემა სწორედ ის გზები გაიყვანოს, რომელიც მის მეურნეობას წინ წასწევს.

ერთი სიტყვით, თუ გვინდა დღევანდელ არა სასურველ მდგომარეობიდგან გამოვიდეთ, ამნაირი რამ უნდა მოვისაზროთ, თორემ ცარიელი ჩივილი და ცარიელივე სურვილის გამოთქმა — თუ მოსაზრებული არ გვექნება გეგმა მოქმედებისა — ვერაფერ სიკეთეს ვერ მოგვიტანს.

ჩვენ ჩვენის მხრივ დავასახელეთ ერთი გეგმა მოქმედებისა. შესაძლოა, სხვამ უფრო პრაქტიკული რჩევა მოგვცეს.

ყოველ შემთხვევაში უნდა ჩავუკვირდეთ „საგზაო საქმეს“ ჩვენში და ყოველის ღონის-ძიებით ვეცადოთ, გზები გაკეთდეს და მით მისვლა-მოსვლა გაადვილდეს,

ზიდვა ყოველგვარის საპალნისა და ტვირთისა შემ-
სუბუქდეს. ერთ-ერთი უპირველესი და აუცილებელი
საქმე ეს არის მეურნეობის წარმატებისათვის.

[1902 წ.]



<ვაშა, ბ-ნო ქართველო დეფო!“>

ძლიერ თავმდაბალი კალმოსანი გამოდგა ბ-ნი
სიტყვა, მთავარი ბურჯი „ცნობის ფურცელისა“. მან
არც აცივა, არც აცხელა და თავისი თავი დაადარა
სახელოვანს ინგლისის მწერალს დანიელ დეფოს.
ხოლო თავისი საკუთარი „ქმნილება“, მეგობრის წერ-
ილის სახით გამოქვეყნებული, გვერდში ამოუყენა,
როგორც ღირსეული ტოლი და სწორი, ამ დიდებულს
ინგლისელის სატირასა. ვაშა თქვენ თავმდაბლობას, ბ-
ნო ქართველო დეფო.

მაგრამ გავბედავ და მოვახსენებთ ამ დიდებულს
ქართველს დეფოს, რომ მას დაავიწყდა მცირედი რამ
განსხვავება, დიაღ, მცირედი რამ. ინგლისელის დეფოს
სატირამ თავზარი დასცა მდევნელთ, შეაძრწუნა, მოშხ-
ამა, დაადამბლავა; ხოლო დევნულნი აღავსო სიხარუ-
ლით, მიანიჭა შვება და ლხენა. ქართულ დეფოს
ნაქნარმა-კი სრულიად წინააღმდეგი ნაყოფი გამოიღო;
უკუღმართნი და სულმდაბალნი გაამხნევა, გაათამამა,
წააქეზა, წელში გაჰმართა, შარბათი დაალევინა; ხოლო
წაღმართნი შეაშფოთა, შეაძრწუნა, უკიდურესად
შეურაცხყო მათი წმინდათა წმინდა, საწამლავი მისცა,
ხელები ძირს ჩამოაშვებინა, დიდს საგონებელში
ჩააგდო.

და განა შესაძლებელი იყო ეს არ მომხდარიყო? რა
სთქვა ჩვენმა გადაბრუნებულმა დეფომ? სთქვა ისა,
რომ თუ ქართველებს ჰსურთ განახლდნენ, პროგრესის
გზას დაადგნენ და ბედნიერებას ეწივნენ, უნდა ზურგი
შეაქციონ ქართულს ენას, ლიტერატურას, თეატრს,
კულტურას, რომელთაც „აზის ბეჭედი აზიურის უნი-

ჭობისა და სიმკვდარისა“, შევითვისოთ რაც შეიძლება მალე ევროპიული ენა და მის შემწეობით ევროპიული კულტურა გადმოვნერგოთო. ეს აზრი გამოთქმულია მოკლედ, კატეგორიულად, მადიანად, სრულის თანაგრძნობით, სწორედ ისე, როგორც გამოსთქვამდა ჩვენის ერის გადაგვარების მოტრფიალე. არც ერთს სიტყვაში, არც ერთს ფრაზაში არ ისმის მცირეოდენი სატირა, იოტის ოდენა ირონია. ავტორი-კი სცდილობს დაგვაჯეროს, რომ ეს აზრი სავსებით ეწინააღმდეგება ჩემ შეხედულებასაო.

ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს. კალმოსანი ჰხმარობს მარჯვე ღონის ძიებას, რომ მკითხველს დააჯეროს ის, რასაც თვითონ უარჰყოფს, შეაყვაროს ის, რაც თვითონ სძულს, გაამხნევოს ის, ვისიც შეძრწუნება უნდა, შარბათი ასვას იმას, ვისიც მოწამლა ჰსურს, დაადამბლოს იგი, ვისიც გამხნევება სწყურიან და საწამლავი მისცეს იმას, ვისაც უნდა ასვას შარბათი.

და ამას ეძახის ბ-ნი „სიტყვა“ მაცხონებელს სატირასა. ვის ატყუებს ავტორი: თავის თავსა თუ მკითხველებსა? მისი საქციელი სავსებით ჰგავს იმას, რომ რომელმამე უკუღმართმა ყუმბარა მტრის ბანაკშიკი არ გაისროლოს, არამედ თავისიანების ბანაკის შიგ შუა გულში გაჰხეთქოს, და ესეც იმისთანა დროსა, როდესაც მტერი იერიშით მოდის ამ ბანაკისაკენ.

[1902 წ.]



<გათეთრება შავისა>

ტფილისი, 21 დეკემბერი

ყველაზე სახიფათო მხარე „ცნობის ფურცლის“ ყოვლად უბედურის ფელეტონისა ის არის, რომ ავტორი აღვიარებს, ვითომც ჩვენ შორის მოიპოვება არა ერთი და ორი, რომელიც [მონატრულია] გადაგვარებისა და ამით ციხეს შიგნიდგანვე სტეხს.

ასეთი ბრალდება უსაფუძვლოა, უსამართლოა, ტყუილია და ცილისწამებას უდრის. მართალია, ჩვენში ბლომად ვხედავთ გულგრილთა და დაუდევართა, მაგრამ თვით ის სულდგმულნიც, რომელნიც პირად სიკეთის გულისათვის, საზიზღრად ღალატობენ თავის ეროვნებას, დარწმუნებულნი არიან, რომ გადაგვარებას მოჰყვება დაცემა, გადაშენება, გაქრობა ერისა.

თვითონ ის ცნობილი ადამიანი, რომელმაც ოცის წლის წინად დასწერა წიგნაკი რუსულად ჩვენის ერის გადაგვარების შესახებ, ვერ გაამართლებს სავსებით ფელეტონის ავტორის ბრალდებასა. თ. გ. მუხრანსკი როდი ამბობდა თავის წიგნაკში, რაც უფრო მალე ავიღებთ ხელსა ჩვენს ენასა და ლიტერატურაზე, მით უფრო მალე მივეწევით განახლებასა და ბედნიერებასაო. პირიქით, იგი შუამდგომლობასაც კისრულობდა სამასწავლო მთავრობის წინაშე, რომ ქართულს ენას შესჩენოდა ჯეროვანი ადგილი სასწავლებლებში. წიგნაკის ავტორს სახეში ჰქონდა არა აწმდგომი, არამედ მერმისი, მომავალი. იგი ამტკიცებდა, რომ შორეულს მომავალში ქართული ენა წააგებს ბრძოლასა და თავის ადგილს დაუთმობს უფრო მრავალრიცხოვანის ხალხის ენასაო.

თუმც ეს ასე იყო, თუმცა მუხრანსკის აზრი მოკლებული იყო მეგობრის წერილის უდიერობას და მხოლოდ თეორეთიული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ იგი მაინც დაჰგმო და შეაჩვენა ჩვენმა მწერლობამ, ინტელიგენციამ, თავდაზნაურობამ, სამღვდელოებამ, მთელმა ქართველობამ. თვით მშვიდობიანი და მომთმენი მწყემსთმთავარი გაბრიელ ეპისკოპოზი ააღელვა, შეაძრწუნა ამ უკუღმართობამ და მოაწერინა ავტორისათვის წერილი, რომელშიაც იგი აბრალებდა მას ულმობელობას, უდიერებას. ეს ღვაწლით შემოსილი სამღვდელო გვამი უმტკიცებდა უკუღმართის წიგნაკის ავტორს, რომ როგორც ქრისტეანობა უფალმა გაავრცელა ერთა შორის მხოლოდ დედაენის საშუალებით და ამ მიზნით სასწაულებრივ მიანიჭა მოციქულებს სხვადასხვა ხალხის ენის ცოდნა, — ისე განათლება, ყოველი პროგრესიული მიმართულება ჩვენს ხალხში შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ქართულის ენის მეოხებითაო. ამის გამო ამ ენის შევიწროება, შესუსტება და გაქრობაო აუცილებლად დაჰბადებს ჩვენის ერის შეჩერებას, უკან-უკან წასვლას, გადაშენებას და მიწასთან გასწორებასაო.

ერთის სიტყვით, ჩვენმა სასიქადულო მღვდელთმთავარმა ქრისტეანულის შეხედულობის თანახმად გამოსთქვა სწორედ იგივე აზრი, რომელიც დიდმა პედაგოგმა რუსეთისამ — უშინსკიმ პედაგოგიურ მოსაზრებით გამოხატა შემდეგის მოკლე ფრაზითა: "Умер язык? умер и народ". „მოკვდა ენა? მოკვდა ხალხიც“. და განა ქართველთა შორის შეიძლება მოიპოვებოდეს იმისთანა მახინჯი სულით და გულით, რომ თავისი ღვიძლი ერის სიკვდილი უნდოდეს?

არა, ამისთანა ბრალს ვერ დავდებთ ვერცერთს ქართველს, ვერცერთს კერძო კაცსაც კი, მით უმეტეს ვერ დავაბრალებთ ამას იმისთანა ქართულ კოლლეკტიურს დაწესებულებას, როგორც არის რედაქცია „ცნობის ფურცლისა“. ვერ დავაბრალებთ ჯერ იმიტომ, რომ ეს იქმნება ჩვენის მხრივ ციხის დაზიანება შიგნიდგანვე, ჩადენა იმავე ცოდოსი, რომელშიაც მაცდურმა ეშმაკმა ჩააგდო ფელეტონის ავტორი. მეორედ, ხსენებულ რედაქციის მიერ უარყოფა ეროვნებისა

იქნება უარყოფა თავისის თავისა, საკუთარის არსებობისა და აღორძინებისა, საკუთარის სანუგეშო მომავლისა, მტრობა თავის თავისა. ხოლო მკითხველმა კარგად უწყის, რომ ამ რედაქციას თავიოსი თავი ძალიან მადიანად უყვარს. ჩვენ ვაბრალებდით და ვაბრალებთ ამ რედაქციას სხვა რამეს, სახელდობრ მიუტევებელს დაუდევრობას ამისთანა ძირითადის და მწვავი საკითხის შესახებ, როგორაც არის საგანი „მეგობრის წერილისა“. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით და ვართ, რომ რედაქციას დაბეჭდვამდე არ წაუკითხნია ეს უბედური წერილი, თორემ ფიცხლავ სანაგვე კალათში ამოაყოფინებდა თავსა, რადგანაც თავისივე ბედნიერი თვალით დაინახავდა, რომ აქ ირონია და სატირა კი არ გამოდის, არამედ გათეთრება შავისა, ქადაგება დამღუპველის უკუღმართობისა.

[1902 წ.]

1903 წელი



ხ ი ლ ა დ

ახალ თაობის რაინდს

წარსულ წლის დამლევს ჩვენს პრესაში დიდი აყალმაყალი ასტყდა, ცხარე შეხლა და კამათი გაიმართა. რასაკვირველია, გეხსომებათ, რომ ამის მიზეზი ეროვნება იყო. იქმნება იცოდეთ, რომ „ცნობის ფურცელს“ პირზედ სულ „ინიციატივა“ აკერია (ქართულ „თაოსნობის“ მაგიერ) და ლიტერატურულ დავიდარაბის „ინიციატივაც“ იმან იტვირთა, იმან უარჰყო... ეროვნება!.. ეს მოსალოდნელიც იყო. მას აქედ, რაც ბ-ნმა გუნიამ თავისი ბრძოლის იარაღი სხვას გარდასცა და ამ იარაღის ახალი პატრონი ვანქის უბანში დაბინავდა, „ცნობის ფურცელმა“სრულიად იერი იცვალა. ახლა ყველასთვის ცხადია, რომ ვანქის უბანი „ცნობის ფურცლის“ ნამდვილ თაბორის მთად გარდაიქცა. ვანქის უბნელ პუბლიცისტებმა მალე, ძრიელ მალე შეაქციეს ზურგი ქართულ სალოცავს... აკი ამიტომ მადლობაც მიიღეს „მშაკისა“ და „ნორდარისაგან“. ღმერთი მოწყალეა, — ლოცვა-კურთხევასაც მალე მიიღებენ. მხოლოდ მოთმინება და ერთგულობაა საჭირო, თორემ ყველაფერი თავისს დროზედ იქნება. რუსულ ასოებით აღბეჭდილი სომხური გაზეთ-ჟურნალობა დიდს სიხარულს მიეცა. აკი ვამბობდით, ჩვენი კულტურა და გავლენა ძლიერია და მთლად კავკასიონს იმორჩილებსო. ღვთის წინაშე, საბუთიც კი აქვთ, რომ ზარი და ზეიმი ასტეხონ: რატომაც არა — ქართველი ახალთაობის გაზეთი სრულიად განოვოობოზრიენდა და გალისტოკდა და მისი რედაქცია კიდევ სრულიად გათუმანიანცდა

და გახეჩატურიანცდა. ამის შემდეგ მოდი და სიხარულს ნუ მიეცემი!.. ჩვენ სრულებით ვერ წარმოვიდგენდით, თუ ბ-ნ თუმანიანცის ლიტერატურული ხაშხაში ასე ბლომად იმოქმედებდა ქართველ ახალთაობაზედ. ფიქრადაც არ მოგვივიდოდა, თუ ბ-ნ თუმანიანცის თავისებური „ძმობა და ერთობა“ ასრე გასჭრიდა, მაგრამ გასჭრა... ჰო, იმას ვამბობდი, აყალმაყალის საბაბად ეროვნება შეიქმნა.

წინად საეროვნო საგანს ყველა შეგნებული ქართველი მოწიწებითა და თაყვანისცემით ეკიდებოდა. ჩვენმა აწინდელმა სახელოვანმა „მამებმა“ პირველ საღმრთო მცნებად სწორედ ეს საგანი დაგვიდეს და თითონაც ამ მცნების აღორძინებას შეალიეს მთავარი ღონე და ძალა. ახლა კი, როცა ამ მცნებაზედ ახალთაობის წინამორბედი ბაასობს და სწერს, სიტყვა სრულიად იბილწება და კალამი სრულიად იმწიკვლება. რას ვიზამთ, დრონი იცვალნენ! ახალთაობის რაინდებს კილვად და კიცხვადაც არ ჰყოფნით ეროვნება და უცნაურის სიმამაცით სდევნიან და სწყევლიან ჩვენს მამულისშვილობას“... ცილისწამება კი არ გეგონოთ, აბა, მოიგონეთ, „ცნობის ფურცლის“ ნამდვილმა მეგობარმა რა ახალი მოძღვრება მოჰფინა ქართველობას: ყველაფერ ქართულზედ ხელი უნდა ავიღოთ, ყველაფერი ეროვნული უნდა დავუტევოთ, — ენა, ლიტერატურა, ზნე-ჩვეულება და დავადგეთ გადაბირებას, რომელიც ერთადერთი გზაა პროგრესისა და ცხონებისა... ცნობიერი და გონიერი ნაწილი საზოგადოებისა აშფოთდა და აღელდა, მაგრამ რაო? — ვანქის უბნის ახალთაობამ და მისმა სამრევლომ მაინც წარბიც არ შეიხარა...

როცა „ცნობის ფურცლის“ რაინდი სამსჯავროს წინაშე წარადგინეს და პასუხი მოსთხოვეს, იგი შეკრთა და უკან დაიხია ფერმიხდილმა, ვითომდა თავის მართლება დაიწყო, — მე ეროვნებას კი არ უარვყოფ, მე მხოლოდ „მამების“ შეცდომას ვსწერ... „არც წინად და არც ახლა არ ესმით ჩვენს მამებს, რომ მათი ეროვნული შემეცნება ფორმალური შემეცნებაა, უსიცოცხლო, უსულო; მათი ერი, თუ განვითარდა, ადამიანს დაახრჩობსო“. ღვთის წყალობით, ჩვენის

„მამების“ ეროვნულ შემეცნებას ჯერ არავინ დაუხვრჩვია და თუ ვანქის უბანში ვისმე დაახჩობს, ამ ჭირსაც გავუძლებთ. მაგრამ უფრო სასაცილო აქ სიტყვების რახა-რუხია. „მამების“ ეროვნული მოძღვრება უსიცოცხლო და უსულოაო“... ძნელია ამაზედ მეტი უმეცრება! თითქმის გონებით ბრმისთვისაც კი ცხადზედ ცხადია, რომ „მამებმა“ ჩვენი ეროვნება ცხოველმყოფელ ძალად გარდააქციეს, პატივი და დიდება მოუპოვეს, მთელ ქართველობის სალოცავად გარდაქმნეს და ამ „მამებს“ უსაყვედურებენ — თქვენი მოძღვრება ფორმალური და უსიცოცხლოა და ადამიანს ახრჩობსო!.. ჩვენი მამები — პოეტები თვით ზოგიერთ უცხოელებსაც კი სულს უდგმენ და გულს უტოკებენ და ჩვენებური ჯაგლაგი კალამი კი წრიპინებს — იმათი ეროვნული შემეცნება მკვდარი მოძღვრებააო.

წარსულ საუკუნის სამოც წლებიდგან დაწყებული აქამომდე ქართველობა ეროვნების ფერხულშია ჩაბმული და მწყობრად აღორძინების სიმღერას ღიღინებს და ამის შემდეგ „მამებს“ უკიჟინებენ — თქვენი ეროვნული შემეცნება ადამიანს ახრჩობსო...“ მერე მოჰყოლიან და, თითქო მწვანე კიტრიაო, თავი მოაქვთ: „ახალთაობამ შეიტანა ეროვნულ პრინციპში ზნეობრივი ელემენტი, სიცოცხლე და დაუდვა მას უფრო ადამიანური საფუძველიო...“ („ცნ. ფურცელი“, № 2007) რასაკვირველია, ადვილად მიხვდებით, თუ რად გაიძახიან, — მამების ეროვნული მოძღვრება უზნეო და უადამიანოაო. ახალთაობის რაინდს ჰგონია, რომ ჩვენს „მამულისშვილობას“, თავისის თავის გარეშე, სხვა არა სწამს-რა და ყველა მეზობელ ერს სდევნის. აკი ამიტომაც ცილი დაგვწამეს და ხმა დაგვიყარეს, — „ივერია“ სომეხთა ჭამიააო... მაგრამ მხოლოდ ჩვენის ლიტერატურის და ცხოვრების სრული უმეცარი თუ იტყვის — ეროვნულ პრინციპში ახალთაობამ შეიტანა „ზნეობრივი ელემენტი“ და „ადამიანური საფუძველიო“. ჯერ ერთი, რომ თვით ეროვნულ პრინციპის თვისება, სხვათა შორის, ზნეობა და ადამიანობაა. ეგრეც რომ არ იყოს, ვინ არ იცის, რომ ჩვენის „მამების“ ლიტერატურულ მოღვაწეობას ღრმა ბეჭედი

აზის მაღალ ზნეობისა და ადამიანობისა. ამ მოღვაწეობის სათავედ ევროპიული ჰუმანიური მიმართულება შეიქმნა და პირველადვე ჩვენმა „მამებმა“ უარჰყვეს ყოველივე აზიური და ეროვნებასაც ვრცელი და ფართო გზა გაუკაფეს. კარშეკეტილი, თუ გნებავთ, ჩინური მამულისშვილობა ნამდვილი სულთამხუთავი მაჯლაჯუნაა ყველა ხალხისთვის და მიზეზიც ეს იყო, რომ „მამებმა“ პირველად, ზნეობრივი და ადამიანური ეროვნება დასწერეს ბაირაღზედ. ძველი თაობა მკაცრად შეება აწინდელ „მამებს“, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა, მაგრამ ვერა გააწყო-რა. აბა მოიგონეთ აკაკისა და ი. ჭავჭავაძის შეხლა გრ. ორბელიანთან და სხვა მსგავსი ამბები... ამის შემდეგ, განა მართლაც და უზნეო და უადამიანო ქცევად არ უნდა მივიღოთ, როცა ახალთაობის რაინდი ჩვარში ახვევს აწინდელ „მამების“ ეროვნულ მოძღვრებას?. თუ არადა, აბა ერთი დაგვისახელონ და გვიჩვენონ, — სად, როდის მოსცხეს „მამებმა“ ეროვნულ პრინციპს უზნეობისა და უადამიანობის ჩირქი. საბუთია საჭირო, თორემ ლიტერატურულ ჭორიკანობაზედ ადვილი არა არის-რა. შინ და გარედ ჩვენი ლიტერატურული მიკროცეფალები სახელსა და პატივს უტეხდნენ ჩვენს ეროვნულ მისწრაფებას და ასე ჰგონიათ, ამით დიდს საუნჯეს, ახალს და ხალასს ელემენტს ჰმატებენ ქართულ მამულიშვილობას. ვაი თქვენს უკუღმართობას!..

ერთი რამე კი მართალია. ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენს ეროვნულს ღაღადისს გადაჭარბება ეტყობა, ხანდახან ჩვენი „წარსული“ მეტის ქებით და დიდებით იხსენიება, მაგრამ აქ არაფერი უზნეო და უადამიანო არა არის რა. პირიქით, გაზვიადებული ეროვნული თავმოყვარეობა ბევრჯელ სასარგებლოც არის და იმედსა და სასოებას უღვიძებს ხალხს. არც ერთი პაწია ერი არ ასცდენია ამ გზას. რა არიან ლუჟიჩანები გერმანელთა ხელში და ისინიც კი მედიდურებენ! სუდრის გადაფარება და საფლავში ჩასვენება იქმნებოდა, რომ ჩვენისთანა პაწია ერმა თავმოყვარეობა დაჰკარგოს...

თვით ისტორიული სკოლა, რომელმაც მკვიდრი საფუძველი დაუდო ეროვნულ მოძრაობას, უკიდურესობას ვერ აშორდა. უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ამ სკოლამ ეროვნების მნიშვნელობა მეტად გააზვიადა, წრეს იქით გადააცილა, თუ ასე ითქმის – ერივე განადიდა... ისტორიულმა სკოლამ დიდი გავლენა იქონია ეროვნულ პრინციპის აღორძინებაზედ და თითქო თავისი უკიდურესობა კიდეც უანდერძა ამ პრინციპს. დიაღ, ყველგან ეროვნული აღორძინება თავმოყვარეობით დაწყებულა და ამ გზით უვლია. ჩვენშიაც ასე მოხდა. მაშ რა არის აქ უზნეო და უადამიანო?!

ახალთაობამ შეიტანა ზნეობა, სიცოცხლე და ადამიანობა ეროვნებაშიო. და რაკი ამ ახალ თაობის ბაირახტრად „ცნობის ფურცლის" რაინდიც ითვლება, ამიტომ მისი ზნეობრივი, ადამიანური და სიცოცხლით სავსე ეროვნული „ელემენტი" უნდა გავაცნოთ „მამებს". მართალია, ამ ელემენტს ეროვნული სრულიად არა აცხია-რა, მაგრამ ახალ თაობის რაინდის „ეროვნება" მაინც საყურადღებო უნდა იყვეს „მამებისთვის"

ზემოდ აღვნიშნეთ, როცა „ცნობის ფურცლის" რაინდი სამჯავროს წინაშე წარადგინეს, იგი იჯმნა თავისის „ნამდვილ მეგობრისაგან" და სიტყვითა და კალმით აღიარა – მე იმის თანამოაზრე არა ვარ, „მე მთელის არსებით ნამდვილის მეგობრის აზრებს ვებრძვიო"... („ცნობის ფურცელი" № 2007) შჩედრინი ამბობდა, ამ ლიტერატურულ გახრწნილობის დროს ბოდიშის მოხდაც დიდი გმირობაა და ჩვენი რაინდიც ბარაქალას ღირსია, რომ უარჰყო თავისის „ნამდვილ მეგობრის" ველური მოძღვრება. მაგრამ... მაგარი ჯერ ისაა, როგორც ხე ნაყოფით, ისრე კაცი მეგობრით იცნობება. ტყუილად კი არ ამბობს ერთი ანდაზა, – მეგობარი მიჩვენე და მოგახსენებ, ვინც ბრძანდებიო. ამიტომ „ცნობის ფურცლის" რაინდის ბოდიში, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მიიღეს. მართლაცდა ამაოდ ირჯება ახალთაობის რაინდი – „მე მთელის არსებით ნამდვილ მეგობრის აზრებს ვებრძვიო"..." არა და არა! „ცნობის ფურცლის" რაინდსა და მის ნამდვილ მეგობარ შორის სრული

ერთსულობა და ერთგულობა სუფევს, იგინი ტყუპნი არიან და მათი „ზნეობრივი, ადამიანური და სიცოცხლით სავსე ეროვნული ელემენტი" ერთი და იგივეა. საუბედუროდ, რაინდს ან ძალა დაადგა, რომ განუდგა ნამდვილ მეგობარს, თუ არადა – მეხსიერებამ უღალატა და დაავიწყდა, წინად თვითონ რასაც სწერდა.

ნამდვილ მეგობარზედ ადრე „ცნობის ფურცლის" რაინდმა საქვეყნოდ გამოამზევა მისი ეროვნული ელემენტი და ღაღადჰყო ხმითა დიდითა: ჩვენ არასოდეს არ გაგვიხდია ღმერთ-კერპად ეროვნული არსებობა. ჩვენთვის პირველი საქმეა ადამიანობა და არა ქართველობა. ეროვნება არ არის თვითმიზანი. იგი მხოლოდ საფეხურია უმაღლეს ერთობისა – საზოგადოებისადმი"... („ცნ. ფურ. № 1922) როგორც ჰხედავთ, აქ არსებადი თვისება ეროვნებისა უარყოფილია, – საქმე ქართველობა როდია, საქმე ადამიანობაა. ეროვნება სოციალური ტაძარი კი არა, არამედ შენობის კიბის უბრალო საფეხურიაო... ეს გახლავთ სასიქადულო ახალი ეროვნული ელემენტი! ამაზედ მეტს არც „ნამდვილი მეგობარი" ამბობდა! მერე ამდგრა ჩვენი რაინდი და უმაღლესის ერთობის საფეხურზე" მიფოფხავს და საცოდავად ეპოტინება – „კაცობრიობაა ჩვენი ღმერთი, რომლის დიდების წინაშე თავი უნდა მოიხაროს ქართველის დიდებამაო" (ibid)

ჩვენც თავს მოვიხრიდით, მაგრამ გვეშინის რომ რაინდს ფეხი არ მოუსხლტეს და ერთობის საფეხურიდგან" ძირს ტყაპანი არ გასძვრეს და ზედ არ დაგვატყდეს!.

მართლაცდა სასაცილოა, როცა პუბლიცისტს ეროვნების ანბანიც არ ესმის და ეროვნულ ელემენტის ძიებაშია. ჩვენს რაინდს ასეთ ელემენტად ადამიანობა მიაჩნია, მაგრამ ეს ადამიანობა ზოგადი სიტყვაა და სრულიად არ შეადგენს ეროვნების ნიშნობლივს თვისებას. მაგალითებრ, ქართულ ეროვნების აღსანიშნავად უპირველეს ყოვლისა ქართველობაა საჭირო. თუ ქართველობა მოისპო, მაშინ eo ipso ქართული ეროვნებაც უნდა აღიგავოს. ამიტომ პირველ სალოცავად ქართველობა უნდა ვიწამოთ. ჩვენმა

წინაპრებმა უბრალოდ კი არ აღმართეს ქართლოსის სახსენებლად უპირველესი და უდიდესი კერპი... შემდეგ ამ კერპის ადგილი ეკლესიამ დაიჭირა, მაგრამ იგი ეკკლესიაც ქართული იყო და თავის სასიქადულოდ მედგრად იბრძოდა ქართველებისათვის. ჩვენს რაინდს ჰგონია, ვითომ „პირველი საქმე ადამიანობაა და არა ქართველობა“. მაგრამ რამდენი ადამიანია, რომელსაც ქართველი არ ეთქმის. ეროვნებას ჯერ ერადობა ესაჭიროება და მერე ადამიანობა. თვით ადამიანობა უფრო ზნეობრივი ცნებაა, ვიდრე ეროვნული და ამიტომ იგი ეროვნებას არ ახასიათებს...

„კაცობრიობაა ჩვენი ღმერთიო“ თუმცა შეუძლებელია ასეთი უწმინდესი ღმერთი ვანქის უბანში მოთავსდეს, მაგრამ მაინც პატივი და დიდება ამ უბანს... ხოლო ჩვენის რაინდის უმეცრება კი ისევ საოცარია. ამ რაინდს ეროვნება, ადამიანობა და კაცობრიობა ერთი-ერთმანეთში დომხალივით აურევია და თანაც გაიძახის — ახალი ეროვნული ელემენტი აღმოვაჩინეო. სად ეროვნება და სად კაცობრიობა! სად პატრიოტობა და სად კოსმოპოლიტობა! ღმერთო, შენ უწყი, რომ აქ საერთო არაფერია!..

ჰმ. კაცობრიობაა ჩვენი ღმერთიო... დიაღ ეგღა გვაკლდა, რომ ქართველობაზედ ხელი ავიღოთ, ეროვნული ტაძარი დავაქციოთ და კაცობრიობის დიდებას შევუდგეთ!.. მაშინ ვიშ ჩვენს ნეტარებას!.. ამაზედ შორს ვეღარ წავა ქართველ ლიტერატორის ფანტაზია. მაგრამ აკი მოგახსენეთ, ლიტერატურულმა ხაშხაშმა გასჭრა მეთქი. მართლაც რომ, ღონივრად გასჭრა და ამიტომაც ვანქის უბანში ეროვნულმა უკუღმართობამ ასე ფეხი აიდგა. მაშ რაღა საკვირველია, რომ იქ სიტყვა აირია და კალამი გაბრუნდდა...

ბზიკი

[1903 წ.]



<თავისი სამწყსოს „სარკე“ და „სანთელი“>

ტფილისი, 25 იანვარს, 1903 წ.

ღვაწლი საქართველოს უწინდელ სამღვდელოებისა ყველასთვის და ყოველგან თვალსაჩინოა.

მის ზედამხედველობით იდგმებოდა დიდებული ტაძრები.

მის ზრუნვით ტაძრის არემარეს შენდებოდა წალკოტები, ვენახები, ზვრები.

ტაძრის საჭიროებისათვის მღვდელს დიდის ხელოვნებით გამოჰყავდა სარწყავი წყალი, იმართებოდა წყაროები.

მღვდელი მარად რუდუნებდა: სწერდა, თარგმნიდა, ქადაგებდა, სულიერ საზრდოს არ აკლებდა მრევლს.

მტრის შემოსევის დროს მღვდელი უსარდლებდა თავისს სულიერს შვილებს.

მშვიდობიანობის დროს ქალთა და ვაჟთ ასწავლიდა წიგნს, წერა-კითხვას, გალობას, წამლებისა და საღებავების შემზადებას.

მღვდელი ღვთისმოშიში იყო, „სარკე“ და „სანთელი“ თავისს სამწყსოსი.

მათ შორის ავი და დუხჭირიც ჩნდებოდა, გარნა იშვიათად. ამისთანაების რიცხვი მთელს სამღვდელოებასთან შედარებით წვეთი იყო ზღვა-ოკეანეში.

კეთილმან მწყემსმან თავი თვისი დასდვას ცხოვართა თვისთათვის. ეს ღვთიური და კაცთმოყვრული სიტყვები ჩვენს სამღვდელოებაზედაც ითქმოდა.

მეათე საუკუნეშივე ნათობდა დიდი მქადაგებელი იოანე ბოლონელი.

ანტონი ჭყონდიდელის ქადაგებანი მჭევრმეტყველების უაღრესი ნიმუშია და სახე.

ნეკრესელის, ჯანდიერიშვილის და სხ. ქადაგებამოძღვრებანი ფრიად საგულისხმოა იმ მხრივ, თუ რაბამი ძალა ჰქონია ქართველ სამღვდელოებას, რაოდენად განვითარებული იყო იმ ძველს „არა ია-ვარდით", არამედ ეკლითა და ნარით მოფენილს გზა-სავალზედ...

მთელმა წარსულმა საუკუნემ საქართველოს ეკლესიას აღმოუბრწყინა ერთადერთი დიდი მქადაგებელი, მხოლოდ ერთადერთი მოსიყვარულე მასწავლებელი.

ეტლებითა და ტახტრევნებით არ დაიარებოდა იგი სოფლით სოფლად, დაბით დაბად, ბარით მთას და მთით ხევ-ხუვს.

იგი, მსგავსად განკაცებულ მაცხოვრისა, მგზავრობდა სოფელსა ამას ფეხით და არა კიცვსა ზედა ჯდომით. უღრან ტყეებს ივლიდა, ციცაბო კლდეებს სწვდებოდა, მიდიოდა უშიშრად, გაბედულად, ვითარცა ჭეშმარიტი მწყემსი მოსავლელად თავის ცხოვართა.

ეცვა მას, წმინდად, ბერულად, ქართველ ბერულად. ქადაგებდა მოკლედ, მორჭმით, ტკბილად.

მისი ღვთიური სიტყვა მსმენელს სულს უფრთოვანებდა, სასოებას ჰგვრიდა კაცს.

მისი სახიერება, მამობრივი ქცევა მსმენელს უნერგავდა გულში სიყვარულს, სათნოებას, მერმისის სასოებას.

არ დარჩა სოფელი, საცა მას არ დაეთესოს თესლი წარმატებისა.

არ დარჩა დაბა-ქალაქი, საცა მრავალგზის არ ჩამდგარიყოს ერის შუაში, სადმე ჩრდილოვან ხის ქვეშ, ანუ თვით საყდრის წინაშე და არ ექადაგნოს ყველასათვის გასაგების ენით, მარტივად, დალაგებით, მამაშვილურად.

დღეს აღარა გვყავს ეს ნეტარი და ბრწყინვალე მწყემსთმთავარი. იგი გარდაიცვალა 25 იანვარს, 1896 წელს. იმერეთის სამასმა მღვდელმა და ქართველთა ყველა მოწინავე კაცებმა იგი დაიტირეს და უწინდელ მეფეთა განსასვენებელს — გელათს დაასაფლავეს. ეს დიდი მამათმთავარი, ყველამ იცის, იყო გაბრიელი.

გაბრიელისთანა კაცებით საქართველო მრავალს საუკუნეს უმაგრდებოდა აუარებელს ბარბაროსებს.



აი ძმობა !?

კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოსდინდების

გასულ კვირას (იხ. „ივერია“ № 33) ერთი სწორედ ხელისხელ საგოგმანები მარგალიტი გადმოაგორა ჩვენმა კლდიამ გაზეთ „ნორდარ“-იდგან.

აბა, მკითხველო, გადაავლე შენი პატიოსანი თვალი, რამდენი საგულისხმო რამ ჰპოვო ამ მარგალიტში.

„ნორდარ“-ის ამქარი თავის დოვლათიანს, მსუქან ხელს გვიწვდის; — მოდით, ძმებოჯან, ქართველებო, რის მტრობა, რის შური; მუდამ ძმები ვყოფილვართ, ვართ და ძმურადვე ვიცხოვროთო. განა რა უმადურნი გვნახეთ, რომ ძველთაძველი პურმარილი და ძმური სიყვარული ქართლოსიანთა ჰაოსიანთადმი — ოდესმე დავივიწყოთ! თუ თქვენი წინაპარნი თავს ასრესდნენ ჩვენს დასაფარავად სარკინოზთ, ბერძენთ, რომაელთ, მონღოლთ, სპარსთა და ოსმალთ; თუ მათ შეგვივრდომეს, მშიერ-მწყურვალნი განგვაძღეს, შიშველ-ტიტველნი შეგვმოსეს, შიშისაგან ბოცორ-კურდღელივით დამფრთხალნი და დაქსაქსულნი, თავის ძლიერს ფრთას ქვეშ შეგვიყუდრეს და გვიპატრონეს, — ეხლა ჩვენ გიხდით სამაგიეროს, ჩვენა გპატრონობთ, ვზრუნავთ თქვენთვის, — ფარეშ-მზარეულად სულ ქართველები გვყვანან (კურსივი ჩვენია) და ხანდახან ქართველების სასარგებლოდ საქველმოქმედო აზრით გამართულ ნადიმ-მეჯლისებსაც ვესწრებით ხოლმეო.

საუცხოვო ძმობა-ერთობაა, ვფიცავ „ნორდარ“-ის ამქარს მისის უსტაბაშით, ერთის მხრით ფარეშ-მზარეულობა და მეორეს მხრით — აღა-ბატონობა!

ჰოი, „ივერია“! რა შეუნდობელი ცოდვა მიგიძღვის ივერთა წინაშე, რომ ასეთს სანეტარო ძმობა-კეთილისმყოფლობას უარობდი. არა სჯობდა, რომ ბარემ ადრევე შევდგომოდით სომეხთა ფარეშ-მზარეულობას, გვემზადებინა მათთვის ფლავ-ბოზბაში (ჰაი, თუ შესთქვლეფდა და რომელიმე „ნორ-დარის“ ამქართაგანი გირვანქიან-ადლიანცი, დაისვამდა კოლოტა ფაშვზე ხელსა და მორთავდა ნეტარების კვნესას, — იფ, იფ, ტერ-ასტვაც, შატ ლავ ბოზბაშო!) ნასუფრალი ხომ ჩვენ დაგვრჩებოდა!

იცი, რა გითხრა, ძვირფასო მკითხველო: მოდი ისევ ჩვენს ყბადაღებულ და წყალწაღებულ მამლაყინწა ლიტერატორებს, რომელნიც „ივერიის“ ტაქტიკასა და გამჭრიახობას სძრახავდნენ, იმათ დავუთმოთ, „ნორ-დარის“ ამქარს ეძმონ, ე. ი. მზარეულობა გაუწიონ (ლაქიად ჯერ-ჯერობით ზოილიც ეყოფათ!) თორემ მე და შენ მათ გემრიელ საჭმელს ვერ მოვუმზადებთ.

„ნორ-დარის“ ქამანჩაზე ბასტი-ბუკუს მოთამაშე ღიპიანცი ისე ყოფილა ჭამა-კვნესით შეპყრობილი ამ აღებაში, რომ ფლავ-ბოზბაშის მეტი მის თავში არა ყოფილა რა, თორემ რომელ კარაბადინში ამოიკითხა — საქართველოს წარჩინებული გვარის შვილნი (ბაგრატიონნი, ჯორჯაძენი და სხ.) სომხები არიან შთამომავლობითაო!

თქვენ ძალად ამახინჯებთ ისტორიასაო, — განაგრძობს უსტაბაში ბოდვას — თორემ ჩვენისთანა დიდებული არისტოკრატია სიზმრადაც კი არა გზმანებიათ ქართველებსაო. მაგრამ, როცა დაქვეითდებოდა ჩვენი არისტოკრატი, ზიზღით უარჰყოფდა თავის დიდკაცობასაო (ანკი რადღა მოეწონებოდა. მეთულუხისა და მეკურტნის ხარისხთან სახელოვანი გვარიშვილობა!) თქვენა ხართ ისე ბედოვლათნი, რომ დიდება აღარა გაქვთ და ცალიერ დიდებულობას მაინც არ უარჰყოფთ, თორემ ჩვენ მაგისთანა ფუქსავატობას კარგა ხანია დავანებეთ თავიო.

რაიცა შეეხება იმ აზრსა, ვითომ ქართველებს დავეფარნეთ მოსრა-მოჟლეტისაგან, ესეც ჭორია, — პირიქით, ჩვენ ვიფარავდით ქართველებს, თორემ დღეს მათი სახსენებელიც არ იქნებოდაო (ჰო, მართლა, დავით აღმაშენებლის, თამარ-მეფის, გიორგი ბრწყინვალესი, ერეკლე მეფისა და სხ. ძლევამოსილება სულ კროათა წყალობა იყო!).

ერთის სიტყვით, „ნორდარ“-მა გვამცნო, — ქართველებს ჩვენისთანა არც ძალა გქონიათ, არც დიდკაცობა გყოლიათ, თუ ორიოდე გამოჩენილი გვარიშვილი გყავთ, ეგეც ჩვენის წყალობიათაო. რადგან მაინცდამაინც თქვენი ნაამაგარი ვართ, თუ გაგიჭირდეთ, ნუ გეშინიანთ, ჩვენთან მოდით და გიყმობთო.

ნაიბი

[1903 წ.]



ბ-ნ ალ. ხატისოვის „ღაღადი“

ამ თვის 13-ს „ნოვ. ობ“-ეს ფურცლებზე ერთი ისეთი უსტარი გაუჭრელებია ბ-ნ ალ. ხატისოვს, რომ რაღა მოგახსენოთ, — ქვას კი გაჰხეთქს და, მგონია, ავტორს კი სახელს ვერ მოუხვეჭს.

აი რაზედ აუშენებია სათამაშო ხუხულა ამ ქართველ-სომეხთა „ერთობის მოძღვარს“.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა ამასწინად გაებუტა ბ-ნ ალექსი-მესხიშვილსა. — თქვენს შემოწირულებას, რადგან ჩვენ არ დაგვკითხებიხართ, ვერ მივიღებთო.

ეს უცნაური განაჩენი გამგეობისა გაზეთებშიაც გამოცხადდა, მხოლოდ ყოვლად დამახინჯებული და გადასხვაფერებული. ბ-ნ მესხიშვილის შემოწირულობაზე იმიტომა სთქვა უარი გამგეობამ, რომ მის მიერ ნათარგმნი ილ. ჭავჭავაძის თხზულება „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ სომეხთადმი სიმძულვარითაა გაჟღენთილი და ამგვარ წიგნში მოგებული ფული არმად შეერგებოდა ღარიბ სტუდენტებსაო და სხ. და სხ.

მაგრამ დადგა დღე განკითხვისა: ამ თვის 8-ს შეკრბენ ამ საზოგადოების წევრნი და, სხვათა შორის, მოითხოვეს, რომ თავქეიფა გამგეობას ეუწყებინა, რა უფლებით უარჰყო ბ-ნ მესხიშვილის შეწირულება. შეიქნა „თითზე კბენანი“, — გეთაყვათ, ნუღარ შეეხებით მაგ საქმეს, რაც მოხდა, მოხდა, ეხლა მხოლოდ გვიბრძანეთ, მომავალში როგორ მოვიქცეთ და ჩვენც ისე გავირჯებითო, ერთი ალილუია მღვდელსაც კი შესცდებაო. წარმოიდგინეთ, თვით ქართველთა დიდი უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ აღარ გაეღვიებინა მიფერფლილი ღადარი, აღარ შეჰხებოდა ამ საკითხს,

რადგან სულით და გულით მოწადინებული იყო ურთიერთობის გამწვავების კი არა, სიამტკბილობისა და თანხმობის დამყარებას ამ ფრიად სასარგებლო საერთო საქმეში.

სწორედ იშვიათი სიდარბაისლე გამოიჩინეს ქართველებმა ამ დღეს. მხოლოდ არამკითხე გამგეობას აუხსნეს, რომ „დიდგულა მთხოვარა ღმერთსა სძულდაო“ და აწ მაინც აღარ აჰყვე გულისთქმასა, მეტი აზრი დაატანე შენს საქციელსაო; შემოწირულების მიღება, თუ უკუგდება, ჩვენი, კრების საქმეა და არა გამგეობისაო. „წახთა“ გამგეობა, ხოლო მისნი დამქაშნი მაინც ბუზღუნებენ.

დაჰკრეს, თუ არა, „ნორდარაკანებმა“ ეროვნულ ვნებათა აღმძვრელს დაფდაფსა, ბ-ნ ხატისოვსაც ვერარ გაუძლო გულმა და ისეთი ბუქნა ჩამოუარა, რომ სულ ფეხის ცერებზე დგება.

ბ-ნ ხატისოვს დასამტკიცებლად იმისა, რომ „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ მართლა სომეხთა მძულვარებით აღსავსე თხზულებაა, ამოუგლეჯია იქიდგან სამი, თუ ოთხი წინადადება და იმაზედ ამყარებს თავის მსჯელობას. აიო — გაიძახის ბ-ნი ხატისოვი — ჩვენი სასიქადულო მწერლები, მეცნიერნი და ინტელიგენცია სრულიად მიწასთანაა გასწორებული: ზოგს ცრუპენტელას უწოდებს, ზოგს ცარიელს ტიკსა, ზოგს სიყალბის ჩამდენსა და სხ. ერთის სიტყვით, მთელი ჩვენი ეროვნული დიდება და სიქადული გაჰკიცხა და დაჰგმო. თუმცა თავ. ჭავჭავაძე იქვე ამბობს — მე სრულიადაც არა ვდებ ბრალსა საზოგადოდ სომეხთა ერსაო, მაგრამ ვინღა დარჩა სომხებს შორის გაულანძღავი და შეუგინებელი, თუ მისის საუკეთესო ნაწილი ყოველსავე ღირსებას მოკლებული ყოფილაო.

ბ-ნ ხატისოვს სწორედ აქ ეშლება ნახტომი. ნუთუ ილია ჭავჭავაძეს იმიტომ არ უნდა ამოეღო ბ. ბ. პატკანოვისა, ემინისა, ქიშმიშევისა, ერიწოვისა, ხუდაბაშევისა, არწრუნისა, ეზოვისა და სხ. შესახებ ხმა, რომ იგინი სომეხთა სასიქადულო მამულიშვილნი იყვნენ, როდესაც ცხადლივ, თუ ფარულად, სადაც კი შემთხვევა ეძლეოდათ, შხამსა და გოლომანს ანთხევდნენ ქართველთა მიმართ?! თქვენთვის კარგნი იყვნენ, — აქეთ და ადიდეთ. ჩვენთვის ვნების მეტი არა მოუტანიათ რა აღარც კი დავასახელოთ მათნი „საქმენი საგმირონი?!“ თუ მათთვის სათაკილო არ იყო თავ. ჭავჭავაძის თხზულებაში ჩამოთვლილი ყალბი აზრები ქართველთა შესახებ მთელის ქვეყნიერებისათვის მოედოთ, თავ. ჭავჭავაძეს მიტომა ჰგმობთ, რომ მათი სიყალბე და თაღლითობა გამოამზევა?!

რომ ბ-ნ ხატისოვს მართლა წრფელი გულისწყრომა ალაპარაკებდეს, და არა გუდაფშუტა პატრიოტობა, აიღებდა და ჭავჭავაძის მიერ ჩამოთვლილ ფაქტებს სათითაოდ დაარღვევდა. ამით, მერწმუნეთ, საყოველთაო პატივისცემას დაიმსახურებდა და სომეხთათვის ხომ ხელისხელ საგოგმანები მარგალიტი გახდებოდა. მაგრამ უბედურობა ისაა, ფაქტებს ძვრაც ვერ უყვეს და ლიტონ სიტყვით უნდათ გაიტანონ ლელო.

ვისაც კი ჭავჭავაძის თხზულება წაუკითხავს (რასაკვირველია, თუ კუდკვეცილ ეროვნულ სენით არაა შეპყრობილი), ადვილად მიხვდება, რომ იგი ჰკიცხავს და ჰგმობს მხოლოდ **იმ სომეხთ, რომელნიც განგებ სცდილობდნენ ქართველთა დამცირებას,** და არა საყოველთაოდ ყველა სომხებს; მაგრამ ზოგიერთნი ძალად იბრძავებენ თვალსა და სწადიანთ გამოკვარახჭინებულ ტყუილებით სხვასაც აუბან თვალი, დაარწმუნონ, — თავ. ილ. ჭავჭავაძე სომეხთა მოსისხლე მტერია, კაცთმოძულეა და სხვაო.

დასასრულ, ეს ახლად მოვლენილი დელინგერგიაცინტი მოუწოდებს ქართულ პრესსის საუკეთესო ნაწილსა, როგორმე იხსენით ჩვენი საზოგადოება ამ შემოწირულებისაგან, თორემ გაჭირვებულ სტუდენტებს უეჭველად ყელზე დაადგებათო.

ოლოლო შენ, მკითხველო! ხომ ვერ გამოიცან, ვინ უნდა იყოს ეგ საუკეთესო ნაწილი ქართულის პრესისა. ჩვენ, „ივერიელებს“ უკვე დიდი ხანია თავზედ მოგვახვიეს „ნორდარაკანებმა“ და „მშაკაკანებმა“ სომხიჭამიაობისა და კაცთ მძულვარების სახელი და, რასაკვირველია, საუკეთესო ნაწილი ქართულის პრესისა ჩვენ არა ვართ. დარჩნენ, მაშ, „ცნობის ფურცელი“ და

„კვალი“. — ეგების ამათ აისხან იარაღი და გაუწიონ მფარველობა „სომეხთა მეცნიერთა“ და ჩააჩუმონ „ქვათა ღაღადი!“

ნაიბი

[1903 წ.]



კუდაბზიკობის მოსარჩლე

ამასწინად ჩვენმა გაზეთმა (იხ. „ივერია“ № 86) აღნიშნა ის სამწუხარო და სავალალო მოვლენა, რომ ერთი ნაწილი თავადაზნაურთა, „თავადაზნაურულ ცრუმორწმუნეობით“ გამსჭვალული, შრომას გაურბის, არას აკეთებს და მუქთახორად გარდაიქცა; თუ თავის წოდების შესაფერისი საქმე არ აღმოუჩნდა, ან მოხელედ არ გახდა, შიმშილითაც რომ კვდებოდეს, მდაბიურ შრომას (როგორც, მაგ, მიწის შემუშავება, აღებ-მიცემობა, ჩალვადრობა, მეურმეობა და სხ.), არ იტვირთებს იმ ცრუმორწმუნეობისაგან წარმომდგარ ამპარტავნობით, რომ კეთილშობილს არ ეკადრება ამგვარი შრომა, ვითომც უბირ ხალხსა; ეს დაამცირებს ჩვენს გვარიშვილობასაო და სხ. გარდა იმისა, რომ ეს მუქთახორა ვაჟბატონნი მეტ ბარგად აჰკიდებიან მთელს საზოგადოებას, რადგან თავად არას აკეთებენ და სხვის ხელის შემყურენი არიან, სახელს უტეხენ მთელს თავადაზნაურობას და ხელს უშლიან დანარჩენ წოდებასთან დაახლოვებას, სოლიდარ ურთიერთობის დამყარებას სხვადასხვა წოდებათა შორის. ყოველივე ეს შედეგია ჩვენის გაუნათლებლობა-განუვითარებლობისა და გონებრივ დაქვეითებისა, რასაც კვალდაკვალ მოსდევს ზნეობრივი და ქონებრივი სიღატაკეც. ერთადერთი საღსარი, რომელსაც შეუძლია ჩვენი ხსნა — სწავლა-განათლების გავრცელებაა. ამ აზრს უნდა ემსახურებოდეს ყოველი გულშემატკივარი წევრი საზოგადოებისა და განსაკუთრებით მწერლობა, რომელიც ამასთანავე მოვალეა აღნიშნოს და პირუთვნელი მსჯავრი დასდოს ყოველ საზოგადო მოვლენას, კარგი მოიწონოს და მაგალითად დაუყენოს ხალხსა; ცუდი — აძაგოს და გაჰკიცხოს.

ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ ხშირ-ხშირად მივუთითოთ ხოლმე ჩვენს მკითხველებს იმ „უძღებ შვილებზედ“, რომელნიც ასე მომრავლდნენ საუბედუროდ და ხრწნიან ჩვენს მოწინავე წოდებას.

ეს აზრი იყო გატარებული ზემორე დასახელებულ წერილში და ვგონებდით, რომ არც ერთი ჭკუათამყოფი არ იუცხოებდა ამ უბრალო ჭეშმარიტებას; მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა; აქა-იქ მაინც იჩინეს თავი კუდაბზიკა ჭირისუფლებმა და მორთეს განგაში: „ივერია“ მთელის თავადაზნაურობის წინააღმდეგ ამხედრდა, ათასგვარ უსამართლო ბრალსა სდებსო“ და სხ. ერთმა არამკითხე ჭირისუფალმა კალამსაც კი წამოავლო ხელი, რომ უკეთ გამოჰქომაგებოდა „ივერიის“ მიერ შეურაცხყოფილ თავადაზნაურობას.

ეს არამკითხე ჭირისუფალი გახლავთ — თავადი ი. რ. ვაჩნაძე, რომელმაც უშველებელი ლანძღვა-გინების წერილი უძღვნა „ივერიას“ ოფიციალურ გაზ. „კავკაზის“ ფურცლებზე (იხ. №114, 2 მაისს) მისი ლანძღვა-გინება არ გვაკვირვებს, გვაკვირვებს მხოლოდ მისი ლოღიკა, ანუ უკეთა ვსთქვათ, ულოღიკობა.

თავადი ი. რ. ვაჩნაძე ბრძანებს: ბატონყმობა სულ რამდენიმე წელიწადია, რაც გადავარდა ჩვენში და, გარდა ამისა, ეხლაც ბევრს თავადსა ჰყავს კიდევ ეგრედწოდებულნი დროებით ვალდებულნი გლეხნი. თუ ეს ასეა, რა გასაკვირველია, რომ თავადებს თავისი თავადური ამპარტავნობა (гонор) ჰქონდეთ? ნუთუ ამ პუბლიცისტმა (ივერიის) არ უწყის, რომ თავადაზნაურული ცრუმორწმუნეობა ბევრად უფროა გავრცელებული ევროპაში და არა აქ — აზიაში?“ ეს პირველი ხელისხელ საგოგმანები მარგალიტი თავადაზნაურთა ძალადმაცხონე ადვოკატისა. ცოტა ქვევით ბრძანებს: „ნეტავ ვიცოდეთ, როდის მსჯელობდა ევროპის მწერლობა ისეთ უმნიშვნელო (пустяк) საგნებზე, როგორიცაა თავადაზნაურული ამპარტავნობა? განა რომანებს, კომედიებსა და ვოდევილებში სასაცილოდ იყო აგდებული თავადაზნაურული მედიდურობა და ამპარტავნობა?“ კიდევ ცოტა ქვევით: „ვინ არ იცის, რომ ინგლისელ ლორდებს ყველაზედ მეტად აქვთ გამჯდარი თავადაზნაურული ამპარტავნობა, მაგრამ თვით ჩვენმა

(ივერიის) ავტორმა ბრძანოს: მოიპოვება ქვეყნიერობაზე ინგლისელებზე უფრო განათლებული ხალხი?“... „აბა, ერთი გულწრფელადა სთქვას, — შინ ოჯახი შიმშილით, ან წყურვილით რომ უწყდებოდეს (ღმერთმა კი ნუ ჰქმნას ესა), ხომ მაინც არ წამოიკიდებს ტომრით ფქვილს, ან კოკით წყალს არ შეიდგამს მხარზე და ასე არ გაატარებს სოფელს, ან ქალაქსა შინ მისატანად... არ იზამს ამას, რადგან თვით ფარეშიც (ლაქია) არ იზამს ამასა. უბრძანეთ რიგიან ფარეშსა, — ეზო დაჰგავეო, გიპასუხებსთ, — მე მეეზოვე არ გახლავარო, უბრძანეთ მეეზოვეს, — ძროხები წყალზედ მიჰრეკეო, — გიპასუხებსთ, — მწყევსი არა ვარო“... და სხ.

დავიწყოთ თავიდგან, რაც ბატონყმობა გადავარდა, ორმოც წელზედ მეტია; მას აქეთ მთელი ერთი თაობა წარმოიშობა და დაბერდა, განა ეს ცოტა დროა, რომ ჩვენი თავადაზნაურობა უფრო ღრმად ჩაჰკვირვებოდა თავის მდგომარეობასა და მიეყო ხელი მომავალზედ მზრუნველობისათვის? თუ ასე ცოტა დროა ორმოცი წელიწადი, როგორ მოასწრო ნახევარზედ მეტ ადგილმამულის გაფლანგვა და მეორე ნახევრის ვალებით ავსება? ის, რაითაც თავი მოჰქონდა — ძლიერება და გავლენა, — დაჰკარგა და თავადი ი. რ. ვაჩნაძე კი გვეუბნება, რათ გიკვირთ, რომ ცალიერი ამპარტავნობა შერჩათო. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ცილისწამება მთელს თავადაზნაურობას მოვახვიოთ თავზე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ საბედნიეროდ თავადაზნაურთა უდიდესმა ნაწილმა, რომელსაც ცხოვრების პირი უჩანდა, ადრევ უარჰყო წოდებრივი ცრუმორწმუნეობა და ხელი მიჰყო პატიოსანს შრომას, რაითაც თავი კი არ დაიმცირა, არამედ აღიმაღლა, საყოველთაო თანაგრძნობა და პატივი მოიხვეჭა; კეთილშობილურად იღვწის და არა სწამს-რა სხვისი დანამადლი.

დიაღ, ჩვენ გვწამს ასეთი თავადაზნაურობა და მისი გულითადი პატივისმცემელნიც გახლავართ. მაგრამ, რა აქვთ საერთო ამ პატიოსან, მშრომელ ხალხთან ჩვენს „ლხინიკო-უქმაძეებს“ გარდა იმისა, რომ ერთსა და იმავე წოდებას ეკუთვნიან? თუ რამ გააჩნიათ ამ ვაჟბატონებს მამულ-დედული, ღვინოსა და ყომარბაზობას ანდომებენ, საუკეთესო დროს თავის სიცოცხლისას

ტრაქტირ-რესტორნებში ატარებენ ჯიბე დაუცალიერ-
დათ, თავი ღვინომა და გარყვნილებამ გამოულაყა, დარ-
ჩათ მხოლოდ დიდი გული. ამპარტავნობაც რომ განსა-
კუთრებული, სრულიად თავისებური აქვთ ამ ვაჟბა-
ტონებს! შრომა და გარჯა საუკადრისოდ მიაჩნიათ,
ხოლო სხვისის ჯიბით დროსტარება, კარისკარ
მეალილოესავით სიარული, სათაკილო ყოფაქცევის
მანდილოსნებთან დამეგობრება და მათის ხარჯით
ცხოვრება, ვალების აღება და არგასტუმრება, მათის
აზრით, უფრო რიგიანი ხელობაა, ვიდრე აღებ-
მიცემობა, ან მიწის მუშაობა; ნუთუ ამგვარმა ცხოვრე-
ბამ, ამ უმწვერვალესმა ზნედაცემულობამ, გაპირუტყ-
ვება-გაარარავებამ თავი უნდა იმართლოს იმ წოდებრივ
ამპარტავნობით, რომ კეთილშობილს მუშაობა არ
ეკადრებაო?! ნუთუ ამგვარ წოდებრივ უკუდო ამპარ-
ტავნობას ამართლებს თავ. ი. რ. ვაჩნაძე?! თუ არ
გინდა მოიშალო ამპარტავნობა, ცოტა რამ მაინც უნდა
გქონდეს, რომ შეგეძლოს ამპარტავნობა. თავის მო-
წონება იმით, რომ მამაჩემი ან პაპაჩემი სახელოვანი
კაცი იყოო, თუ აღარავითარი მგვანება აღარა გაქვს
მისა, ერთის მხრით იმ სახელოვან წინაპართა
შეურაცხყოფაა, რომ ასე უღირსი შთამომავლობა
დაუტოვებიათ და მეორეს მხრით თავის დამცირებაა —
მე კი არაფერი შვილი ვარ, მაგრამ სამაგიეროდ ჩემი
წინაპრები სახელოვანი მამულიშვილები იყვნენო, თავის
ჭკუითა და მარჯვენით სახელი მოიხვეჭეს, აუარებელი
ქონება შეიძინეს, ჩვენ კი არამცთუ არა შეგვიძენია რა,
რაც ჩაგვაბარეს იმასაც ვერ მოვუარეთ, — ბანქოსა და
გარყვნილებაში წავაგეთ ყოველივეო. ამას ჰქვია წოდე-
ბრივი თავმოყვარეობა? ამ კუდალა ამპარტავნობას უკ-
მევს გუნდრუკს თ-დი ი. რ. ვაჩნაძე, რომელიც
ბრძანებს, — რიგიანი ფარეშიც კი არ იკადრებს წყლის
მოტანასაო? დიაღ, „ლაქიურ“ ამპარტავნობას ჰქადაგებს
თ-დი ი. რ. ვაჩნაძე, ის გაუხდია მისაბაძ მაგალითად.
ღმერთმა შეაბეროს ამგვარ აზრებსა, მაგრამ ჩვენს თა-
ვადაზნაურობას კი ჯვარი სწერია „ლაქიურ“ ამპარტავ-
ნობის წამხედურობისაგან.

ინგლისი განათლებული ქვეყანაა, მაგრამ იქაური
ლორდები ჩვენზედ უფრო გულზვიადნი და ამპარტა-
ვანნი არიანო. აი, შედარებაც ამასა ჰქვიან! ინგლისელი
ლორდი — სწავლა-განათლებით აღჭურვილი და აუარე-

ბელ შეძლების პატრონი, მხურვალე მონაწილე ყოველ
საზოგადო საქმისა — ჩვენებურ „ლხინიკო-უქმაძეებს“
დაადარა! ინგლისელი ლორდი თუ ამპარტავნობს, საამ-
პარტავნო საგანიცა აქვს; ჩვენ „ლხინიკო-უქმაძეებს“ კი
საამპარტავნო აღარა დარჩენიათ-რა, მაგრამ მაინც ამ-
პარტავნობენ და შრომასაც კი უკადრისობენ მათდა
საუბედუროდ.

ანკი რა შედარებაა ჩვენსა და ინგლისს შორის?
ინგლისმა რომ დღეს დაჰკარგოს თავისი ლორდები,
თითქოს ბუზიც არ აჰფრენიაო, მაინცადამაინც არაფრად
მოისაკლისებს, იმდენად ძლიერი ჰყავს სხვადასხვა
წოდება; მაგრამ ჩვენთვის თითო კაცის დაკარგვაც კი
ძნელია, არამც თუ მოწინავე, ხელმძღვანელ წოდების
კარგა დიდ ნაწილის სრულიად გადაგვარება-გადაშენება.
ამიტომ უნდა ვცდილობდეთ, რომ უარვყოთ ყოველი
დამაბრკოლებელი მიზეზი, რაიცა ხელს უშლის
სხვადასხვა წოდებათა დაახლოვებას და საერთო შრო-
მას მთელის საზოგადოების სადღგრძელოდ.

დასასრულ არამკითხე ჭირისუფალი გაკვირვებით
ჰკითხულობს, — როდის მსჯელობდა ევროპის მწერ-
ლობა ისეთ უმნიშვნელო საგანზედ, როგორიცაა თა-
ვადაზნაურული ცრუმორწმუნეობაო; ისეთის რიხით
ჰკითხულობს, თითქოს მთელი ევროპიული მწერლობა
ზედმიწევნით ჰქონდეს შესწავლილი, მაგრამ შპილ-
გაგენის თხზულებანი რომ მაინც წაეკითხნა, ასეთ
გულუბრყვილო კითხვასაც აღარ მოგვცემდა.

დასასრულ, სწორედ ვერ მივხვდით, რად უწოდებს
ეს ფარეშთა და მეეზოვეთა ამპარტავნების ჭირისუ-
ფალი თ-დ ი. გ. ჭავჭავაძეს ქართულ მწერლობის
დედას (sic!)? გარდა ამისა ქართულ ენასთანაც მეტად
მწყრალად ბრძანებულა. არამც თუ თავისი აზრი ვერ
გამოუთქვამს ქართულად, სიტყვებსაც კი ამახინჯებს;
მაგ. ჩალვადარი — ბარიშნიკად მოსჩვენებია; შავი ქვა —
კამენნი უგოლად, და სხ. მაგრამ რაღა ბევრი ვეჩიჩი-
ნოთ ამ „ლხინიკო-უქმაძეთა“ მოსარჩლეს, რომელსაც
ქართულიც კი აღარ ეხერხება!

ნაიბი

[1903 წ.]



<სამწუხარო ცნობა>

ტფილისი, 9 ივლისი.

უსიამოვნო ამბავი მოგვიტანა გუშინდელმა დეპეშამ: ივლისის 7-ს, საღამოს 4 საათზედ, ღვთივ განისვენა კათოლიკეთა ეკკლესიის სულიერმა მამამ, პაპმა ლეონ მე-XIII-ემ.

გამოესალმა კათოლიკე ეკკლესია თავის დიდებულ წინამძღვარს და სრულიად კათოლიკობა — სულიერს მამას, რომლის გულიც უმწვერვალეს სათნოებითა და განუსაზღვრელ სიყვარულით იყო გამსჭვალული არა მარტო თავის სამწყსოსა, არამედ მთელ საქრისტეანოსადმი. სახარებაზედ აღზრდილი ლეონ მე-XIII სახარებისამებრვე სცხოვრობდა: იგი არა სცდილობდა ერთს ფარგალში მოექცია თავისი სამწყსო და განეცალკევებია უცხო მორწმუნეთაგან; პეტრე მოციქულის დიდბუნებოვან მოადგილეს ასე ცალმხრივად არ ესმოდა თავისი წმინდა დანიშნულება: მთელი თავისი ხანგრძლივი და ნეტარი სიცოცხლე „ქვეყანასა ზედა მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების“ დამყარებას მოანდომა; ამ დიადის აზრით იყო გამსჭვალული მთელის მისი არსება.

ლეონ მე-XIII სწორედ იმ დროს დამკვიდრდა რომის ტახტზედ, როცა პაპის ძლიერება ნახევრად შესუსტებული იყო — უკვე ჩამორთმეული ჰქონდა საერო უფლებანი და მარტოოდენ სულიერი ხელმწიფება-ღა ჰქონდა მინიჭებული. ეს სათნო ღვთის მსახური არ გაიტაცა პატივ-მოყვარეობამ, როგორც ზოგი მისი წინამოადგილეთაგანი, და არ მოჰყვა დაუსრულებელს დავას საერო უფლებათა მოსაპოებლად. რადგან დარწმუნებული იყო, კიდეც რომ გაემარჯვნა, მაინც უსიამოვნობა-უთანხმოებას დაჰბადებდა თავის სამწყსოში და ამას-კი ყველაზედ უფრო ერიდებოდა.

ლეონ მე-XIII-ეს კარგად ესმოდა, რომ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო მდრტვინავ კათოლიკობის დაშოშმინება მხოლოდ მშვიდ და სათნო მოპყრობით შეიძლებოდა. იგიც ამ გზას დაადგა და, მისდა სასახელოდ და სადიდებლად, იშვიათი ნაყოფიც მოიმკო: გარდა იმისა, რომ თავის ძველ სამწყსოში სანატრელი ურთიერთობა დაამყარა და დიდ-ძალი მისიონერი მოჰფინა აზიას, აფრიკას, ავსტრალიასა და ამერიკაში, 50 ახალი სამოციქულო ვიკარიატი და 27 სასულიერო პრეფექტურა დააარსა სხვა-და-სხვა ქვეყანას. აი, რამდენი შეჰმატა მთელს საქრისტიანოს და კერძოდ კათოლიკობას ამ წმ. მამის ლმობიერმა პოლიტიკამ; ბევრნი მისნი წინამოადგილეთაგანნი, რომელთაც სულიერ ხელ-მწიფებასთან, საერო უფლებაც ხელთ ეპყრათ, შეჰნატრებდნენ ლეონ მე-XIII ძლიერებას და იმ უმწიკვლო სახელს, რომელიც მთელს განათლებულ ევროპაში მოწიწებითა და კრძალვით წარმოითქმის.

ამ ყოვლად ღირსს მღვდელმთავარს ჰგლოვს დღეს მთელი კათოლიკობა და ჩვენც, ქართველები, ვუერთდებით მის მწუხარებას. ის განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა, რომლის ღირსიცა ჰყო ლეონ მე-XIII-ემ ჩვენი ძმები, ქართველ-კათოლიკენი, სამარადისოდ აღმოუფხვრელად დარჩება ჩვენს გულში. სულიერმა მამამ არ უგულვებელ ჰყო სულიერი მოთხოვნილება შორეულ საქართველოში მყოფ შვილთა, რომელნიც კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შეუბღალავად იცავენ მამა-პაპათა სარწმუნოებას და მტკიცედ ადგანან მათს წმინდა ანდერძს — მუდამ განუწყვეტელი კავშირი ჰქონდეთ რომთან.

დიაღ, დიდი დასაკარგი დაჰკარგა მთელმა კათოლიკობამ და განსაკუთრებით ქართველ-კათოლიკობამ, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ლეონ მე-XIII მოადგილეც იგეთსავე მამობასა და მზრუნველობას გაუწევს დაობლებულს ქართველ-კათოლიკეთ, როგორსაც უწევდა ყოვლად ღირსი ლეონი. რომის წმ. ტახტის მიერ წმინდად დაცვა ერთხელვე მიღებულ კანონ-

ჩვეულებათა საუკეთესო თავმდებია, რომ მომავალი პაპიც მხურვალე გულ-შემატკივარი იქნება ქართველ კათოლიკეთათვის.

[1903 წ.]



<ძვირფასი განძი>

ტფილისი, 18 ივლისი.

ქართული საეკლესიო გალობა ისეთივე ძვირფასი განძია ქართველთათვის, როგორც საშშობლო ენა და მწერლობა. ამისათვის დიდი დანაშაული იქნებოდა ქართულის თანამედროვე მწერლობისათვის, უკეთუ უყურადღებოდ დასტოვებდა ყოველ იმ გარემოებას, რაც საეკკლესიო გალობას შეეხება, — მის შეულახავად დაცვას, შეფერხებას ანუ გაძლიერებას. ეს საერო საქმეა და არა კერძო კაცისა, ანუ ჯგუფისა და დასისა. ამისათვის არავინ უნდა დაგვემდუროს, როდესაც ამ საგანს შევეხებით და ჩვენს აზრს გულწრფელად განვუზიარებთ ჩვენს მკითხველებს და თვით იმ მშრომელთაც, რომელნიც ეკკლესიასა და ქართველს ერს უანგაროდ ემსახურებიან. მხოლოდ ამ ყველასათვის ადვილად მისახვედრის აზრით გამოვაქვეყნეთ ამას წინად საოცარი ამბავი ქართულის საეკკლესიო ნოტების შესახებ. ჩვენ გვსურდა ამ მცირე შენიშვნით გამოგვერკვია: ვისგან და რა ნოტები იწერება, მცოდნე კაცს უდვია კისრად ეს მძიმე ტვირთი, თუ არა. ჩვენი მოაზრება და სურვილი გამართლდა, — ეხლა საქმის ვითარება თითქმის გამოირკვა. ჩვენს მცირე ამბავს მეტად გაუცხარებია ბ-ნი გ. ჩახნაშვილი, რომელიც ხარფუხის (ტფილისშია) სამრევლო სკოლებში გალობას ასწავლის. მის მკაცრსა და ცოტად არა ზრდილობიანს წერილს ქვემოდ ადგილს ვუთმობთ და ვბეჭდავთ უცვლელად (მისი ორფოგრაფიაც-კი დაცულია), რომ არავინ შეგვწამოს მომხრეობა ანუ საქმის შეფერხების სურვილი. თვით ამ წერილით და იმ ცნობებით, რომ-

ლებიც ბ-ნ ჩახნაშვილმა პირადად გვაუწყა რედაქციაში, გამოირკვა შემდეგი:

ქართულის საეკკლესიო გალობის ნოტებად გადაღება მოუწადინია აქაურ სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოს. ეს მეტად სასიამოვნოა. კავკასიის მთავარ-მართებელს თ-დ გ. ს. გოლიცინს ამ საქმისათვის შეუწირავს 1.000 მანათი. თვით საბჭოს გადაუდვია 4.000 მანათი. ასე რომ ნოტების გადასაღებად და დასაბეჭდათ საკმაო თანხა უკვე არის. ნოტების შემუშავება მიუნდვიათ ბ-ნ ჩახნაშვილისათვის, რომლის შრომა განხილულ და მოწონებულ უნდა იქმნას განსაკუთრებულ კომისიის მიერ. ამ კომისიას შეადგენს: დეკანოზი ვოსტორგოვი, დეკანოზი ესტატე ელიაშვილი, მღვდელი ნანბაშვილი, ბ-ნები მონადირაშვილი, ჩახნაშვილი, წერეთელი და შარაბიძე. მიწვეულია კომისიაში სემენარიის მასწავლებელი ვოსკრესენსკი, როგორც რუსულის საეკკლესიო გალობის მცოდნე. ამ კომისიის მიერ მოწონებული ნოტები პატარა რვეულებად დაიბეჭდება და სამრევლო სკოლებში გავრცელდება. კარბელაანთ გალობის კილო დაცული იქმნება, თუმცა არც ერთი კარბელაშვილი არც კომისიაში და არც ნოტების წერაში მონაწილეობას არ იღებს. ამასთანავე ნოტები სამს ხმაზე-კი არ დაიწერება, არამედ ერთს ხმაზე, რადგანაც ეს უფრო ადვილიაო.

ბ-ნი ჩახნაშვილის ლაპარაკით ისიც გამოირკვა, რომ მას მუდმივი თვისი კერძო გუნდი არა ჰყავს, ხოლო სამრევლო სასწავლებელთა შეგირდებს-კი აგალობებს ეკკლესიაში და ანჩხატობას კი არა, სხვა დროს უგალობნიათ შეგირდებს მის ლოტბარობით, ანჩხატის ეკკლესიაში. „ჩვენთან არს ღმერთი“ სხვადა-სხვა კილოზედ იგალობება თურმე და ერთი მათგანი, რომელიც ჩვენს თანამშრომელს მოუსმენია, შესაძლოა, მართლა არ წააგავდეს ქართულ გალობას.

განმარტება ამ ფაქტებისა მეტად მიგვაჩნია. დავუმატებთ მხოლოდ, რომ ქართული სასოებიანი საეკკლესიო გალობა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მთელის ქართველის ერის-მიერ შემუშავებული და უკანასკნელ დრომდე მტკიცედ დაცული, არ უნდა გადასხვაფერდეს, თორემ ხალხს სასოება დაეკარგება.

[1903 წ.]

ქართული თეატრი და მისი რეჟისურა

I

უეჭველია, ყველამ უწყის, თუ რა არის რეჟისორი, რა თანამდებობა, რა ძალაა სცენისათვის და რის მომქმედია.

რეჟისორის მთავარი საგანი არის პიესის ხელოვნურად დადგმა, დრამატიულ ნაწარმოების სრულიად გაპიროვნება, ბუნებრივი სისხლ-ხორცის შესხმა, სინამდვილის — ცხოვრების დამსგავსება.

ყოველისავე წარმოდგენის სულის ჩამდგმელი მხოლოდ რეჟისორია, ისე, როგორც გუნდის სიმღერებში მისი ლოტბარი, და როგორც ორკესტრში მისი კაპელმეისტერი — დირიჟორი.

რეჟისორს განვითარებული ჭკუა და გემოვნება უნდა ჰქონდეს და ამასთანავე განსაკუთრებული უნარიც — პიესების ყოველ მხრივ დაფასებისა და ავტორის [ჩანაფიქრის შეგნებისა.

რეჟისორი წარმოდგენებს ჰმართავს დრამის მასალის შემწეობით; ეგ არის — პიესა, მსახიობი და სცენიური მოწყობილება — აქსესუარი.

რა თქმა უნდა, რაც უფრო შინაარსიანი და მდიდარია ზემოდ ჩამოთვლილი მასალა, მით უფრო ადვილდება რეჟისორის საქმე და მოღვაწეობა: — დიდი რამ არის კარგი პიესა, ნიჭიერნი და განათლებულნი მსახიობნი, მდიდრული და სრული მოწყობილება. ამისთანა გარემოებაში გამარჯვებაც ადვილია და მაყურებლებზე მძლავრი და ნაყოფიერი ზეგავლენაც!..

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ზოგი რეჟისორი შეიძლება ყველა ამ საუცხოვო გარემოებაშიაც იყოს და მაინც ვერას გახდეს, იმიტომ-კი არა, რომ თვითონ არ ვარგოდეს. არა, შესაძლო, რეჟისორი ცოდნითა და გემოვნებით იყოს აღჭურვილი, შესაფერი ნიჭი და უნარიცა ჰქონდეს, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიოს სასურველ ნაყოფს...

ამაზე დაწვრილებით ქვემოდ მოვილაპარაკოთ და ეხლა-კი წარმოვიდგინოთ ისეთი ორკესტრი, სადაც დამკვრელებად სხედან გამოჩენილნი და ცნობილნი მე-მუსიკენი: ვაგნერი, ვერდი, შოპენი, [...] იერბერი, რუბინშტეინი, ლისტი, ბეთჰოვენი, მასენე, პუჩინი, მასკანი და სხვა. ხოლო მათ დირიჟორად — ჩვეულებრივი მომაკუდავი, მაგრამ მუსიკის მცოდნე ნიჭიერი ლოტ-ბარი.

როგორ გგონიათ, ამისთანა ორკესტრის მიერ დაკრული მუსიკა დიდებული იქნება, თუ ჩვეულებრივი და, პირიქით სუსტი და უფერულიც! შეიძლება ასეც იყოს და ისეც. ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ექნებათ წარმოდგენილი თავიანთი მოვალეობა ორკესტრში მსხდარ მემუსიკეთ: პირად ღირსებათა გამოჩენა, თუ გადაწყვეტილ სიმფონიის შესრულება. პირველ შემთხვევში მათ მიერ შესრულებული მუსიკა უფერული და სუსტი იქნება, ხოლო მეორეში — ფეროვანი და მძლავრი.

ეხლა თუ წარმოვიდგენთ ორკესტრს ნორმალურ ვითარებაში, ესე იგი, როცა ორკესტრში სხედან ჩვეულებრივი მემუსიკენი, გამსჭვალულნი იმავე აზრით, როგორც მათი ლოტბარი, ესე იგი, საუკეთესო ნაყოფის გამოღებით, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ ამ ორკესტრის მიერ შესრულებული სიმფონია ბევრად სრული იქნება და საამოც, ვიდრე იმ ორკესტრისა, რომლის წევრნი (დიდად ნიჭიერნი) მხოლოდ თავიანთ თავზე ფიქრობდნენ და არა საერთო ზედგავლენაზე მსმენელებისათვის.

ამასვე ვხედავთ ყველა სცენაზე. რა თქმა უნდა, იმ განსხვავებით, რომ ზოგან თავგასული პიროვნება შეზღუდულია, ზოგან-კი არა.

შეუძლებელია, რომ ყველა მსახიობი ერთისა და იმავე ნიჭისა და ერთნაირი დახელოვნებულნი იყვნენ. ერთი უფრო ნიჭიერია, მეორე ნაკლებ, მესამეს მარტო უნარი ღა აქვს, მეოთხესაც არც ნიჭი და არც უნარი აქვს, გამოცდილებისა და დაკვირვების გარდა, და მე-ბრვე სხვა. რა თქმა უნდა, ნიჭიერს უფრო ბევრი ეძლევა, მეტი პატივიცა აქვს, მაგრამ ზოგნი ამით როდი კმაყოფილდებიან და ბოროტად სარგებლობენ თავიანთის ნიჭის უპირატესობით; სცენაზედაც „პირველობას“ ჩემულობენ და ეგ მათი „პირველობა“ უწინარეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ რაც შეიძლება მეტი თვითნებობა გამოიჩინონ, ითამაშონ მხოლოდ „პირველი“, ესე იგი, საუკეთესო როლები, და, თუ ვინიცობაა პიესაში „პირველი“ როლები არ არის ან არა და „პირველ“ მსახიობს როგორმე როლი არ შეჰფერის, მაშინ, არა თუ არ თამაშობენ ამისთანა პიესაში, პირ-იქით, პიესასაც იწუნებენ და სწორედ ეგ არის მიზეზი, რომ ხშირად სხვა-და-სხვა სცენაზე ისეთი პიესები იდგმება, რომელიც საზოგადოებას დიდი ხანია მობეზრებული აქვს, მაგრამ „პირველი“ მსახიობნი-კი პირველ როლში იპრანჭებიან...

ეს „პირველობა“, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ძალმომრეობა ყველა ნიჭიერ მსახიობს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი და, არა თვითონ მსახიობთ, არამედ თეატრის გამგეთაც, რეცენზენტებს და თვით მაყურებელ საზოგადოებასაც აგრე ესმის პირველობა, თითქოს პირველობა ის იყოს, რომ ნიჭიერი მსახიობი მარტო საუკეთესო როლებს ასრულებდეს და არა პიესას, მის დედა აზრს, ავტორისა და რეჟისორის განზრახვას ეხმარებოდეს.

რა ჰქმნას ამისთანა გარემოებში რეჟისორმა, რა ღონე იღონოს? ეს კიდევ არაფერი. „პირველები“, იმას გარდა, რომ თავიანთის „პირველობით“ ხელს უშლიან რეჟისორს, სხებსაც ჰრყვნიან და აფუჭებენ. საქმე ის არის, რომ, რაკი სცენაზე „პირველობა“ დაწესდება, ამ პირველებს „მეორენიც“ მისდევენ და „მესამენიც“. განუვითარებელ კაცთა შორის წახედულობისთანა მავნე არაფერი არა არის-რა. ეს „მეორენი“ პირველებისაგან

განსწავლულნი, უმეტეს სიჯიუტეს და უვიცობას იჩენენ; ხშირად ესენი უფრო აჭირებენ საქმეს.

განა ჭკვათა მყოფელი კაცი იტყვის, რომ როლებში პირველი იყოს, მეორე, ან მესამე? ყველა როლი როლია, დიდი თუ პატარა, დრამატული თუ კომიკური, ქალისა თუ კაცისა. ყველა როლი შესაფერ ნიჭსა და უნარს თხოულობს, ყველა როლს შესრულება უნდა და ვაშა და დიდება იმას, ვინც უფერულს, ან თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, „ნაკლებ მასალიან“ როლს დიდის ხელოვნებით გააპიროვნებს და ცხოვლად დაასურათებს!...

II

ეხლა თვალი გადავავლოთ ჩვენს სცენას, მისს წესრიგსა და გამგებლობას, მისს რეჟისურას.

სცენა ყოველგან ერთია. მისი მთავარი ხასიათის თვისება ერთი და იგივეა, როგორც საფრანგეთში ანუ რუსეთში, ისე ჩვენში. იქაც, როგორც ჩვენშიაც, ბევრი ინტრიგები და კისრის ტეხაა, იქაც ხშირია თავგასვლა და აღვირ-წახსნილობა, იქაც ხშირია სიმთვრალე, ლოთობა, მსახიობისაგან უწესოების ჩადენა — შუა წარმოდგენიდგან გაქცევა და სხვა მაგისთანა უბადრუკობა, პირშავობა და სიდუხჭირე იმ განსხვავებით, რომ იქ ყოველს დანაშაულს შესაფერი სასჯელი მოსდევს, ჩვენში კი... მაგრამ ეჰ, ღირს-ღა მაგაზედ ლაპარაკი?..

მიუხედავად ამ განსხვავებისა ქართული თეატრი და სცენა მაინც კიდევ უფრო განსაკუთრებულს პირობებშია და მიტომაც მისი რეჟისურაც სხვანაირ კალაპოტშია ჩაყენებული. ჩვენებური რეჟისურა, იმის გარდა, რაც წინა წერილში გვქონდა აღნუსხული, — მოითხოვს კიდევ სხვანაირ თვისებებს, რომელნიც სიზმრადაც არ უნახავთ უცხო სცენების რეჟისორებს.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ჩვენ აღვნიშნავთ იმ ფრიად საგრძნობელსა და სახასიათო განსხვავებას, რომელსაც ყოველ-დღე ვისმენთ და ვხედავთ ჩვენსა და სხვა სცენათა შორის. ჩამოვთვალოთ მხოლოდ ზოგიერთნი: ა) მსახიობთა სიმცირე ჩვენში, სხვაგან კი

სიმრავლე და ჭარბობა (მსახიობი ქალი კი ჩვენში სანთლით საძებნელია); ბ) მსახიობთა სიღარიბე ჩვენში, მაშასადამე, მათს დამშეულ მუცელთან ჩაუცმელობა, მოუწყობლობა, ნაკლი ყოვლისფერში, — სხვაგან კი სრული უზრუნველყოფა, სიმდიდრე და ფუფუნება; გ) ჩვენში შრომა-გარჯისათვის გროშია სასყიდელი და ისიც ოთხი-ხუთის თვის განმავლობაში, იქ-კი ბრწყინვალე სამსახური და ჯილდო ყოველთვის და მთელ წლობით; დ) ჩვენში სცენის მოყვარეობა, დილეტანტობა, იქ-კი — მსახიობთა პროფესიონალობა, კორპორაციობა; ე) ჩვენში მსახიობთა ხელუხლებლობა, სხვაგან-კი დამნაშავის დასჯა, რადგან აქ ერთის დათხოვნილის მაგიერ ასი სხვა არის, — ჩვენში უკანასკნელ ჩხირ-პაიკ მსახიობსაც ვერ დაითხოვ, რაც უნდა უსაქციელობა ჩაიდინოს; ვ) ჩვენში სცენის მოუწყობლობა, სიღარიბე დეკორაციებსა, ტანისამოსებსა, რეკვიზიტსა, ავეჯსა და საზოგადოდ ყოველს აქსესუარში, სხვაგან კი ყველაფერში სიუხვე და ჭარბი სიმდიდრე და სხვა ათასი წვრილმანი თუ მსხვილმანი განსხვავება ჩვენსა და უცხო სცენათა შორის.

აი ამისთანა პირობებში უნდა ისაქმოს ჩვენებურმა რეჟისორმა და ზედ-მეტი — ჩვენებური რეჟისორი მოვალეა სწრთვნას მსახიობნი, ახალგაზდებს სასცენო ანაბანა ასწავლოს — ლაპარაკი და სიარული, პატარა როლების მოთამაშენი და სტატისტები ქუჩიდგან შემორეკოს ხოლმე სცენაზედ წარმოდგენის წინ ნახევარის საათით, მოსძებნოს ახალი მსახიობნი და გზა და კვალი მისცეს, დღე და ღამ შემოსავალზედ იფიქროს და იზრუნოს, თავ-პირი იმტვრიოს რეპერტუარზედ, იკითხოს პიესები, მათ შორის მრავალი სისულელე; შეაკეთოს ისინი და ასწოროს მათი ბარბაროსული ენა, კვირაში ერთი და ზოგჯერ ორი ახალი პიესა მოამზადოს თითო-ოროლა რეპეტიციით მაშინ, როდესაც უცხო სცენებზედ ერთ პიესას ორ-სამ თვეს ამზადებენ და ხშირად ასე მომზადებულ პიესას მთელის წლის განმავლობაში თამაშობენ; ჩვენი რეჟისორი მოვალეა თვითონვე ითამაშოს და იმავე დროს სცენარიუსობაც გასწიოს, გარდერობშჩიკობაც, მებელ-

შჩიკობაც და კიდევ სხვა ათასი რამ, რაც მისს ჯანს, მკლავს და გოგრას შეუძლიან!..

რა ჰქმნას სცენის გამგებელმა რეჟისორმა ასეთ უკიდურეს პირობებში? როგორ იწარმოვოს საქმე და ისიც უნაკლულოდ?! რა გზას დაადგეს: იპოლიტიკოსოს და იდიპლომატოს სასტიკ ბატონ-გამგებელთა და ავ-ზნე მსახიობთა შორის, თუ ხელი მაგრად წაუჭიროს მათ და ერთ კვირაში ყველანი განფანტოს და მარტო დარჩეს ცხრა-თავა გამგეობის ანაბარად? ან კიდევ წელებზედ ფეხი დაიდგას, შეუძლებელი შეიძლოს და ავად თუ კარგად სეზონი როგორმე ბოლომდე მიიყვანოს, თუმცა გამგეობის წევრნი, იმის მაგიერ, რომ ხელი შეუწყონ, ყოველ ნაბიჯზედ აბრკოლებენ და ათასგვარ ღვარძლიან კილოს გამოსძებნიან, რომ ისედაც დატვირთულ-გაბრუებული რეჟისორი უფრო გააალმასონ და გადარიონ!..

რომელ ერთს გაუძლოს ჩვენებურმა რეჟისორმა: მსახიობთა უდიერობასა და დაუდევრობას, გამგეობის თვითეულ წევრთა მეტიჩრობას, რეცენზენტების უვიცობას, თუ საზოგადოების საყვედურს, რომელიც ორ შეუსაბამო ჯგუფად არის დაყოფილი!..

ვერა, ბატონებო, ვერაფერი გულთმისნები ვყოფილვართ, თუ ვფიქრობთ, რომ სადმე მოიძებნებოდეს იმისთანა რეჟისორი, რომელსაც ჩვენს სცენაზე რისამე გაწყობა შეეძლოს! არა თუ ბატონნი კრონეკები და სტანისლავსკები, ქრისტე ღმერთიც რომ მოიყვანოთ, მაინც ვერას გახდება ჩვენს სცენაზე, მერე ისიც ხუთ-ექვს თუმნად თვეში, და ესოდენ დიდებული სასყიდელიც ოთხი-ხუთის თვის განმავლობაში...

დიდი გულუბრყვილობაა და უვიცობაც ვიფიქროთ, რომ რეჟისორი რასმე გახდეს ჩვენში, სანამ მთელი სისტემა საქმის წარმოებისა ძირიან-ფესვიანად არ შეიცვლება. დროა დავრწმუნდეთ, რომ იოტის ოდენას ვერას მოიგებს ჩვენი სცენა, თუ რეჟისორათ კოტეს მაგიერ ვასო იქნება, ან პირიქით ვასო კოტეს მაგიერ, ვალიკო ლადოს მაგიერ ან ლადო ვალიკოს მაგივრად, ან კიდევ ყველანი იქნებიან ერთად ან მორიგეობით, მით უფრო ფუჭად მიგვაჩნია გარეშე პირის რეჟისორობა, რადგან ჯერ ერთი ვერსად გვეგულება ეგეთი და

რომ იყოს კიდეცა მისი ღვაწლი დიაღაც „სასაცილო იქნება, რომ საბწუხარო არ იყოს!“

ვიმეორებთ, აქ საქმე რეჟისორის პირადს ღირსებაზე როდია, არამედ თვით საქმის ორგანიზაციაში, საქმის წარმოებაში, მთელ სისტემაში, იმ თავითვე დღევანდლამდე დაკანონებულ უწეს-რიგეობასა და უკუღმართობაში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ კერძოდ კოტეც საუცხოვო რეჟისორია და ვასოც; ლადოს და ვალიკოს ჩვენზე უკეთ ესმით სასცენო ხელოვნება და რეჟისორობაც; იქნება კერძო პირებში მოუმზადებლივ და ბუნებითვე საგანგებო რეჟისორები აღმოჩნდნენ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ჯერ ხანად, როგორც პირველ ჩვენს წერილში გვქონდა მოხსენებული, ვერც ერთი ვერ გამომდგარა, ვერც ერთს ვერ დაუმსახურებია გულწრფელი მადლობა, ხოლო საყვედურები-კი ბევრი გვახსოვს. ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ზემოდ ხსენებული პირები არ ვარგოდნენ რეჟისორებად, სულაც არა, ყოველს მათგანს ცოტა თუ ბევრი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს სცენაზე და პირუთვნელი კრიტიკა და ისტორია თავის დროზე ყველას მიუზღავს შესაფერ საფასურს მათ მიერ გამოღებულ ნაყოფისა დაგვარად.

ამჟამად-კი ჩვენ პირდაპირ და მოურიდებლად ვაყენებთ შემდეგ კითხვას:

— შეიძლება თუ არა აწინდელ პირობებში ნაყოფიერი რეჟისორობა ქართულ სცენაზე?

— არა, არ შეიძლება! გულწრფელად და თან გულის ტკივილით ვუპასუხებთ ჩვენ.

დროა შევიგნოთ ყველამ — საზოგადოებამ, გამგებლებმა და მსახიობებმა ის უტყუარო ჭეშმარიტება, რომ თეატრი და სცენა ხალხისათვის არსებობს და არა ხალხი თეატრისათვის. გამგეობის წევრებმა და მსახიობებმა ქართული ხელოვნება უნდა გაიხადონ სათაყვანებლად და არა პირადი სიამოვნება და კერძო ინტერესები.

ყველამ უნდა შეიგნოთ ძველებური თქმულება განთქმულის მენენი აგრიპპასი ადამიანის სხეულის შესახებ, რომელთაც, „პირველობის“ დასამტკიცებლად, განცალკევება და განკერძოება მოინდომეს და ამით

კინაღამ თავიანთი თავი დაიღუპეს და ადამიანსაც ბოლო მოუღეს.

შეუძლებელია თეატრის დაწინაურება, თუ „პირველობა“ იქმნა გამეფებული ისეთ ერთობილ საქმეში, როგორც სცენაა. სხვა არა იყოს-რა, ჩვენს დროში პირადობა, პირველობა სრულებით შეუფერებელია; გმირობის ხანა წარვიდა, ეხლა ყველაფერი ერთობრივია, შეთანხმებული. ამ ერთობრივობამ და ანსაბლით მოქმედებამ ყველგან და ყველაფერში იჩინა თავი — ცხოვრებაში, აღებ-მიცემობაში, პოლიტიკაში, ომიანობაში და სხვა. ჩვენი დრო კოპერატიული და კოლექტიურია. და როდესაც ეს პრინციპი ანსაბლისა, შეთანხებისა და შედუღებულის უმეტ-ნაკლებო მოღვაწეობისა ძვალ-რბილში გაუჯდება ჩვენის თეატრისა და სცენის ბედ-იღბლის გამგებლთ და ყველა მსახიობთა, დიდისა და მცირეს გაურჩევლად, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება რეჟისორის ნაყოფიერი შრომა-მეცადინეობა!

III

ჩვენ სამართლიანად გვისაყვედურეს, რატომ იმაზე არა სთქვი რა, რაც ეხლა გამგეობას შემოუღია რეჟისურაშიო და რაც ზოგიერთ გაზეთმა უკვე გამოაცხადა, ვითარცა უებარი საშუალება „სარეჟისორო კრიზისის“ წინააღმდეგ — მორიგეობით რეჟისურაზეო.

უკაცრავად-კი ნუ ვიქნები გამგეობის წევრთა და ზოგიერთ რეცეზენტის წინაშე, მაგრამ ყველა ამათ უნდა მოვახსენო, რომ რეჟისორობა მორიგეობით ჩვენთვის სულაც არ არის ახალი ამბავი და ვინც ქართულ სცენისათვის მორიგ რეჟისურას უებარ მალამოდ სთვლის, იგი ორნაირად სცდება — პირველად როგორც ავტორი და მეორედ, როგორც მრჩეველი ამგვარ რეჟისურისა.

საქმე ის არის, რომ თუ მეხსიერება არ გვღალატობს, მორიგი რეჟისორობა ჩვენს სცენაზე შემოღებულ იყო პირველად ამ ხუთისა თუ ექვსის წლის წინად და მორიგ რეჟისორად ბრძანდებოდნენ ჩვენის დასის ორნი წარჩინებულნი მსახიობნი ბ-ნნი ვ. აბაშიძე

და კ. მესხი. ასე რომ ავტორობა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ინიციატივა ასეთის რეჟისორობისა, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ ავტორებს არ ეკუთვნით. ხოლო მეორე — რავდენად უებარია ეგ მორიგი რეჟისორობა, ამაზე ეხლავე მოგახსენებთ.

მართლაც და, რა არის ეგ მორიგი რეჟისორობა? რამ შეჰქმნა იგი, რის მომქმედია და რას უნდა მოველოდეთ მისგან? ამ საგნების განმარტებისათან ერთად ჩვენ კვალ-და-კვალ ყოველს ჩვენს დასკვნას შესაფერ მაგალითსაც ამოვუყენებთ გვერდში.

1900 წლის სეზონის დაწყების პირველსა თუ მეორე თვესვე გაზეთებმა გვაუწყეს, რომ პეტერბურგის ალექსანდრეს საიმპერატორო თეატრში დაწესდა ეგრედ წოდებული, მორიგი რეჟისორობა, განაწილებული პირველ მსახიობთა შორისაო... და, თუ არ ვსცდები, მგონი ეს მეორე სეზონი თავდება, რაც პეტერბურგს მოსკოვმაც მიბაძა და იქაც პატარა საიმპერატორო თეატრში მორიგი რეჟისორობა შემოიღეს „პრემიერთა“ შორის... აი ასე გახლდათ მორიგ რეჟისორობის ამბავი ჩვენსა და რუსეთის ორსავე სატახტო თეატრში, მაგრამ რა დასამალია, რომ უპირატესობა მაინც ჩვენს სცენას ეკუთვნის, რადგან, როგორც ზემოდ თქმულით დაინახავთ, პირველად მორიგი რეჟისურა შემოუღიათ ჩვენში.

ახლა ვიკითხოთ, რა მიზეზმა და რა გარემოებამ შეჰქმნა ჯერ ჩვენში და მერე ჩვენს წამბაძავ პეტერბურგში და მოსკოვში ეგ ვითომდა უებარი მორიგი რეჟისორობა?.. ჩვენში, ვსთქვათ, რომ იმ თავითვე არ იყო და დღესაც არ არის შესაფერი რეჟისორი კერძო კაცთა შორის და იმიტომ, რაკი სხვა გზა არა გვქონდა, მორიგეობას დავადექით რეჟისურაში, მაგრამ დავიჯეროთ, რომ უსამზღვრო რუსეთში და ისიც ორს სატახტო ქალაქში და მათ საუკეთესო საიმპერატორო თეატრებისათვის ვერ გამოსძებნეს შესაფერი რეჟისორი, განათლებული და განსწავლული, ნიჭიერი და გამოცდილი, რომელსაც ღირსეულად შესძლებოდა ღირსეულ სცენის გამგებლობა-რეჟისორობა?!

მერე ისიც რა ნაირ სცენაზე? სადაც ყველაფერი უხვად და ჭარბად არის, სადაც მსახიობთა რიცხვი და

ვინაობა სამაგალითო და თითით საჩვენებელია მთელის რუსეთისა! ნუ თუ, ვიმეორებთ, შესაძლებელია დავიჯეროთ, რომ რუსეთის მთავრობამ ვერ მოუპოვა თავის თავ-მოსაწონებელ თეატრებს შესაფერი რეჟისორი? ოღონდაც რომ დაუჯერებელია და ნურც დავიჯერებთ, რადგან რუსეთში ამჟამად ბევრია ცნობილი და სახელმოპოვებული რეჟისორი და, შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია დავასახელოთ თუნდა მოსკოვის სალიტერატურო-სამხატვრო თეატრის რეჟისორი ბ-ნი სტანისლავსკი.

ჩვენი აზრი რომ უფრო საბუთიანი ეჩვენოს მკითხველს, ცოტათი გზას ავუხვევთ ჩვენს საუბარს და მივუთითებთ ამ რვა თუ ცხრა წლის წინად ვიქტორ კრილოვის გამოსულ წიგნზე „სათეატრო საქმე ევროპაში“ („Очеркъ театрального дела въ Европе“), რომელშიაც დაწვრილებით აღნუსხულია ყველა, ცოტად თუ ბევრად, ცნობილი თეატრი ევროპისა, მათი წესრიგი, რეჟისურა და რეპერტუარი და ჩვენ ვერსად ვერ შევხვდით ამ წიგნში „მორიგ რეჟისურის“ არსებობას.

რუსეთის ორსავე სატახტო სცენებზე დიდს ხნიდან სხვათა მრავალთა თვალსაჩინო და სამაგალითო ღირსებათა შორის დამკვიდრებული იყო ტრადიციები, რომლის ძალითაც პირველობა და პრემიერობა იყო დაჩემებული რამდენისამე ნიჭიერისა და სახელოვან მსახიობთა მიერ. ხოლო თუ მკითხველებს ახსოვს, ჩვენ საკმაოდ განვმარტეთ მეორე წერილში, თუ რავდენად ხელ-შემშლელი და მავნებელია საქმის რიგიანის მსვლელობისათვის და დამაკნინებელი პირველობა და მისგან წარმოშობილი ყოველივე ავზნეობა და თავხედობა.

ჩვენს სცენას-კი რეჟისორი ფაქტიურად არას ოდეს არ ჰყოლია და არც საკვირველია: დაარსდა თუ არა სამუდამო სცენა, ჩვენდა საბედნიეროდ, თითქმის ერთბაშად გამოჩნდნენ დიდად ნიჭიერნი და იშვიათის ხელოვნების მსახიობნი, ქალნი და კაცნი. ამ გარემოებამ ნება უნებურად შეჰქმნა ამ ნიჭიერ მსახიობთა, — თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, — „გაბატონებელი მდგომარეობა“ და ხშირად, უხასიათობისა თუ განუვითარებლობისა გამო, უმართებულობა და ძალმომრეობა იმ

ძვირფას საქმის წინააღმდეგ, რომელსაც თვითონვე სიამაყით ემსახურებოდნენ და რომელიც, ცოტად თუ ბევრად, არჩენდა კიდეც ამ მსახიობთ.

ჩვენში რეჟისორის თვით მოქმედი ძლიერება ამ თავითვე გარდაიქმნა უბრალო თანამდებობად. ვერც ერთმა რეჟისორმა, თავად მიხეილ პეტრეს ძის ბებუთაშვილის მეტმა, ვერ დააღწია თავი დაჯაბნულ მდგომარეობას და, იმიტომ კი არა, ხასიათის სიმტკიცე, ცოდნა და ნიჭი არ ჰქონოდათ: არა, ვერ გასწირეს საზოგადოების „პირველნი“ მსახიობნი. ჩვენს მსახიობთ საოცარის სიადვილით შემოუფანტნიათ და მოუცილებიათ თეატრისათვის ისეთნი პატივცემულნი კაცნი, როგორც ილია ჭავჭავაძე, გიორგი თუმანიშვილი, დავით ერისთავი, რაფიელ ერისთავი და სხვანი!..

ჩვენი სცენა დღესაც დამყარებულია ძველს ანდერძზედ — მსახიობის ჟინსა და თვითნებობაზე (მაგალითების მოყვანა საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან გვჯერა, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ უჩვენოდაც იცის მრავალი უსაქციელობა ჩვენის პრემიერებისა). ჩვენს სცენაზე დასი-კი არ მოქმედობს, ვითარცა კრებული და შედუღებული ძალა, არამედ რამდენიმე კაცი გინა ქალი, რომელთაც, საპატიო ამალასავით, გარს ახვევიან დანარჩენნი მსახიობნი... ესეთი წესი, ესეთი სისტემა ოცდახუთი წელიწადია არსებობს და ჩვეულებად გადაექცა ყველას: მსახიობთ, გამგებელთ, ჟურნალისტებს და პუბლიკასაც... ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო და ამიტომ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ყოველთვის წრე უფრო ძლიერია, ვიდრე თითოეული მომქმედი, ბრბო უფრო ძალ-მომრევია, ვიდრე მისი წინამძღოლი და არსებული სისტემა — რუტინა ბევრად მძლავრი და ღონიერია, ვიდრე საქმის კაცი. ბევრის ხნიდან გამრუდებულ საქმეს, ბევრი ხნის რანდვა და შალაშინის სმა უნდა. დიდი ცოდოა, რჯულად ქცეულ მავნე ჩვეულებისათვის პასუხის მგებლობა მოვსთხოვოთ ახლად ჩაყენებულს გამგებელს — რეჟისორს.

რომ ვერ იქმნა და ვერ იწამეს ვერც ერთი რეჟისორი ვერცა ჩვენში და ვერც მოსკოვ-პეტერბურგის საიმპერატორო თეატრებში, — რომლებთანაც ჩვენ

გვაერთებს ბიუროკრატიზმი, — თეატრის ბედ იღბლის გამგებელნი ღობე-ყორეს მოედვნენ, პალიატივ საშუალებას მიჰმართეს. ესე იგი, მორიგ რეჟისორობას. აქედან აშკარაა, რომ მორიგი რეჟისურა პირმშო შვილია პრემიერების ძალმომრეობისა.

მართლაც, ვინ არიან მორიგი რეჟისორნი, თუ არ ისევ ის პრემიერნი, რომელნიც ვერც ერთს კალაპოტში ვერ თავსდებიან, თუ არ თავიანთ „საკუთარში"! ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ აქამდინ თუ ცოტათი მაინც წეს-რიგი და სამართლიანობა სუფევდა ჩვენს სცენაზე, დღეის იქით, მორიგ რეჟისურის წყალობით ესეც გაქარწყლდება და დამყარდება ისეთი ანარქია, რომლის მსგავსი არა თუ არ გვენახოს, გაგონებითაც არ გაგვეგონოს... თორემ აღდგომა და ხვალაო!

ზოგი შემდეგ იყოს.

IV

ჩვენის უკანასკნელის წერილის შემდეგ, უეჭველია, ბევრი გულის ტკივილით წამოიძახებს, ნუ თუ არავითარი სახსარი არ არის, რომ როგორმე პრემიერები აილაგმოს და საქმეც მოწესრიგდესო. ჩვენც გამოტეხილი უნდა ვსთქვათ, რომ აწინდელ გარემოებათა შორის ვერავითარ საშუალებას ვერ ვხედავთ საქმის გამოსაწესრიგებლად, სანამ დასის შენახვა, ანტრეპრიზა დრამატიულ საზოგადოების ხელში იქნება.

ჩვენის აზრის უკეთ გასათვალისწინებელად, ერთს წუთს თვალი გადავავლოთ მოსკოვისა და პეტერბურგის საიმპერატორო დრამატიულ სცენებს და აშკარად დავინახავთ, რომ იქაც ძნელია და თითქმის მოუხერხებელი პრემიერების მორჯულება და ჩვენში ხომ ეგ ყოვლად შეუძლებელია, რადგან გამგეობა არჩევანობითი დაწესებულებაა და, ხომ მოგეხსენებათ, საზოგადო კრება რა ცვალებადი და შემთხვევითის ხასიათისაა. მოვიგონოთ შარშანდელი კრება. რაები არ ითქვა გამგეობის წინააღმდეგ! ზოგი იმასაც-კი გაიძახოდა, ესა და ეს მსახიობი რატომ არ აიყვანეთო, ამასა და ამას რატომ ამდენი არ მიეცითო და სხვა მრავალი მაგისთანა უვიცობისა და უზრდელობის მარგალიტები. ერთი მსახიობი-კი იქამდინ გაკადნიერდა, რომ წარბშეუხრელად თავის თავი შეაქო და ჯილდოთ ბენეფისი მოითხოვა.

განა შესაძლებელია რაიმე წეს-რიგისა და რეჟიმის დამყარება იქა, სადაც ურიგობასა და უკულმართობას კანონიერი მედასტურე ჰყავს?! გამგეობა, თუ იგი ფხას და გამგებლობის რიხიანობას მოკლებულია, თავის ღღეში ვერას გააწყობს პრემიერების თვითნებობასთან...

მოსკოვის და პეტერბურგის პრემიერებს კიდევ თავისი საკუთარი ძლევამოსილი ბობოლები ჰყავთ, თავიანთი წრე და მექომაგე გაზეთები აძლევენ მხარს. აბა, მოიგონეთ, რა აურ-ზაურს ასტეხენ ხოლმე ხანდისხან ზოგიერთი გაზეთები თავიანთ „ლუბიმცების" მისაქომაგებლად, როგორ ააჭრელებენ ხოლმე თავიანთ ფურცლებს შემდეგით შენიშვნების: „ჩვენ შევიტყეთ, რომ სახელოვანი არტისტი ბ-ნი დავიდოვი (ან კიდევ ვარლამოვი, თუ ქ-ნი სავინა, აპოლონსკი და სხვა) სცენას თავს ანებებს, რადგან დირექციასთან უთანხმოება მოსვლიაო" და სხვა მრავალი ამისთანა ტყვიაწამალი იხარჯება ხოლმე დირექციის დასატუქსავად. „რა უბედურებაა, ვინც-კი ნიჭიერია ყველას ერეკებითო"! ცეცხლს აფრქვევენ შესყიდული გაზეთები; „ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო"! — ოხუნჯობენ მეორენი.

ხოლო თუ ახლო დააკვირდებით და გამოიკვლევთ „უთანხმოებას" პრემიერებსა და რედაქციას შორის, დარწმუნდებით, „უთანხმოება" ის არის, რომ სახელოვანი პრემიერი არ ემორჩილება არც დირექციას, არც რეჟისორს, არც ლოღიკას და არც სამართლიანობას; სწორედ ეგ ნიჭიერი არტისტი გზას არ აძლევს ახალგაზდა, ნიჭიერ მსახიობთ და სხვა ამისთანა უსაქციელობას კადრულობს, ღრმად დარწმუნებული, რომ მისი ტყუილი ჭეშმარიტებად გავა და მისი ძალმომრეობა — დირექციისა თუ რეჟისურის ინტრიგად!

აი, ასე მიმდინარეობს საქმე ორს საუკეთესო საიმპერატორო თეატრებში. ჩვენში-კი... ჩვენში საქმე ასე რთული არ არის და უფრო მარტივია. „თავი ქვისათ-

ვის გიხლიათ, რასაც მინდა იმას ვიქ, უჩემოდ ვერ გასძლებთო!“ გაიძახიან ჩვენში.

სწორედ მორიგ რეჟისორობის დროს იძულებულ იქნა თავი გაენებებინა ალექსანდრეს სცენისათვის ჯერ ცნობილ არტისტ ქალს ვ. ვასილიევას, მერე არტისტს მ. დალსკის და შარშან კიდევ ვერა კომისარჟევსკის ქალს, რომელიც ნიჭითა და ხელოვნებით ეცილებოდა მარიამ სავინას. თუ ნიჭიერი ვინმე გამოერია დასში, ისე შეუკრავენ გზა და კვალს, რომ მთელის წლობით როლს არ მისცემენ, ახალგაზდებს ხომ ახლოსაც არ იკარებენ; თუმცა ორსავე სატახტო ქალაქებში ოცზე მეტი დრამატიული კლასები და სკოლებია და საიმპერატორო თეატრებს საკუთარი სკოლებიცა აქვთ, მაგრამ, აბა, დაასახელონ ერთი მაინც ამ სკოლებიდან საიმპერატორო სცენებზე მიღებული. რა თქმა უნდა, ჩვენ ვამბობთ ნიჭიერ ახალგაზდობაზე, თორემ უხეიროებით ისედაც სავსეა ორთავე სცენა.

ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ ხსენებულ თეატრების მთავარ გამგეობას — საიმპერატორო სასახლის სამინისტროს — მრავალი ღონე არ ეღონოს საქმის მოსაწესრიგებლად. პირ-იქით, იგი მუდამ თეატრის ზრუნვაშია: ვის არ მიჰმართა, რამდენი მცოდნე კაცი არ მოიწვია, რამდენი ახალი და გარეშე კაცი არ დანიშნა საქმის სათავეში, რამდენი არ გამოსცვალა და გადააყენა, მაგრამ სულ ამაოდ! ძველი სისტემა და რუტინა, პრემიერების ოლიგარხია შეუცვლელია და იმიტომ არის, რომ რუსეთის ორი საუკეთესო დრამატიული თეატრი, წარმატების მაგიერ, უკან-უკან მიდის, რაიცა დიდი ხნით საზოგადოებამაც იგრძნო და მწერლობაც ჰმოწმობს. სწორედ ამით აიღსნება, რომ ხსენებულ თეატრებთან ერთად ცხოველ-ნაყოფიერად ჰმოქმედებენ ორსავე დედა-ქალაქში ბევრი დრამატიული სცენები, ხოლო ორივე დედა-ქალაქის ეგრედ წოდებულ სალიტერატურო-სამხატვრო თეატრები გაცილებით სჯობიან საიმპერატორო სცენებს რეპერტუარით, მსახიობთა ანსამბლით და ხელოვნებით, საქმის წარმოებითა და ახალის, დროების შესაფერის საშუალებითა და ძალღონით.

ფრიად საგულისხმოა ეს ამბავი, განსაკუთრებით ჩვენთვის, რადგან ჩვენის თეატრის ორგანიზაცია ბევრში წააგავს საიმპერატორო სცენების დახშულ და ძველებურ მართვას. საჭიროა მეტი სინათლე და განსაკუთრებით წმინდა და სუფთა ჰაერი. ჩვენ შეგვეძლო მრავალი მაგალითები მოგვეყვანა იმისი, თუ ჩვენთა მსახიობთა პირადის ინტერესების გაღმერთებისა, თუ მათის ავადმყოფურის განდიდებისა, მაგრამ ჯერხანად მხარი ავუქციოთ ამ მაგალითებს; ხოლო ერთს სახასიათო ამბავს მაინც აღვნიშნავთ. შარშან, ქართულ სეზონში, ზოგიერთ ჩვენებურ მსახიობს თურმე განეზრახათ თავისი „საკუთარი“ წარმოდგენების მართვა, რა არის — რაკი ჩვენი ვერ გავიტანეთ, ხელს მაინც შეგიშლითო!.. რაღა თქმა უნდა„ რუსულ-სომხური გაზეთები განგაშსა და ტაშს უკრავდნენ ამ უმსგავსო განზრახვას და დაუფარავის სიამოვნებით გაიძახოდნენ „в добрый час“-ო! მაგრამ კმარა! კარგი რამ გვჭირდეს — გვიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო“! — ტყუილად კი არა ჰკვნესოდა ჩვენი გენიოსი პოეტი.

სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენის თეატრის გამგეობა უფრო მძლავრის ხასიათისა და შეურყეველის მიმართულების ყოფილიყო, ან არა და ანტრეპრიზა კერძო კაცს სჭეროდა: მაშინ მსახიობნიც მორჯულდებოდნენ და საქმეც უკედ წავიდოდა: მტკიცე ხასიათის გამგეობა ანუ კერძო ანტრეპრიზა არ მოერიდებოდა პრემიერებს, — ფოლადისებური უფლებით შეჰზღუდავდა მათს თვითნებობას; დიდსა და პატარას საერთო საჭიროების კალაპოტში ჩააყენებდა და, თუ ვინიცობაა, პრემიერები ძველს რჯულზედ ხელს არ აიღებდნენ, ისეთს კუკუს ამოუჭერდა, საჭიროებისადაგვარად, რომ ხელად ეწამებინათ ახალი მოძღვრება. კერძო ანტრეპრიზას ვერავინ ვერ გაუბედავდა იმას, რასაც ეხლა გამგეობას მუქარით ავალებენ. ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ კერძო ანტრეპრიზა ხუთის-ექვსის წლის განმავლობაში, მიუხედავად ბევრისა და უცილობელის ნაკლულევანებისა, ყველა მსახიობთ ერთს კალაპოტში ჩასვამდა და თვი-თვითეულს ისე ასაქმებდა, როგორც სცენის სარგებლობა მოითხოვდა; იგი ისე შეჰხედავდა მსახიობს, როგრც ხელის შემ-

წყობ ძალას და არა როგორც ბობოლას, რომელსაც გამგეობა დღე-მუდამ ელოლიავება და წითელ კვერცხს უგორებს. კერძო ანტრეპრიზა ანუ მტკიცე გამგეობა ყველა მსახიობს გაათანასწორებდა კანონად დადებულ წეს-რიგისა და რეჟიმის წინაშე. ასეთს ვითარებაში სცენის თეატრის მერმისი ერთი-ორად უფრო უზრუნველყოფილი იქნებოდა.

მაგრამ არა გვგონია, რომ ეს სანატრელი, მტკიცე და შეურყეველი გამგეობა ანუ ანტრეპრიზა მალე გამოჩნდეს და მანამდე კი მორიგი რეჟისურა ერთადერთი საღსარია გამგეობისათვის საქმის ორჭო ფორჭოდ საწარმოებლად. უფერული და სუსტი გამგეობა, ძლიერაც რომ იყოს მოწადინებული, ვერას გააწყობს თავისის პიროვნებას მოკლებულის რეჟისორით, ხოლო ჩვენი პრემიერები კი არც ერთს რეჟისორს არ შეითვისებენ, არ იწამებენ და არავის ავტორიტეტს, გარდა თავის ჟინისა, არ დაემორჩილებიან.

ჰო და, სწორედ ეგ უნდა იყოს მიზეზი, რომ გამგეობის წევრნი და თვით პრემიერები სიხარულით მიეგებნენ მორიგ რეჟისორობას, რომელსაც, ეჭვს გარეშეა, პრემიერები გაინაწილებენ თავიანთ შორის. თუმცა ჩვენ, როგორც ყოველივე ზემოდ თქმულიდგანა სჩანს, წინააღმდეგნი ვართ მორიგი რეჟისურისა, ვითარცა სრულის ანარქიის მომასწავებელისა, მაგრამ სხვებთან ერთად ჩვენც მხარს მივცემთ ამას, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ იმ უცილობელმა ანარქიამა და საქმის დაქვეითებამ, რომელიც ლოღიკურად მოჰყვება მორიგ რეჟისურას, — შეუძლებელია ბოლოს მაინც არ გამოაფხიზლოს და თვალები არ აუხილოს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და მსახიობთ. ჩვენა გვწამს, რომ დასასრულ თვითონ პრემიერებივე დაიწყებენ დრტვინვას და გოდებას: „არიქა, გვიშველეთ, ვიღუპებით, ისევ ძველებური რეჟისურა დაგვიბრუნეთ, ისევ ერთმა აწარმოვოს საქმე, ისევ ერთმა იუფლოსო!“

აი, ამ მხრივ ჩვენ ოღონდაც ვინატრით მორიგ რეჟისურას, ვითარცა წარმავალ ხანას, ახლო მომავალის განსაკარგებლად.

V

ჩვენს ორს წინა წერილში, ვგონებთ, საკმაოდ გამოვარკვიეთ მორიგის რეჟისურის სრული უნაყოფობა და თან მავნებლობაც ქართულს სცენისათვის; ეხლა ჩვენ შევეხებით მორიგ რეჟისურის უხერხულობას პრაქტიკულად და ამით ამ საგანზე ბაასი სრულებით გათავებული გვექნება. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ უნდა წარმოებდეს ჩვენის სცენის საქმე მორიგ რეჟისორობის დროს, როდესაც თვითონ ხელმძღვანელობა წარმოდგენებისა გაერთიანებული არ იქნება ერთის კაცის ცოდნითა და მოსაზრებით. პეტერბურგისა და მოსკოვის მაგალითები ჩვენთვის ვერ გამოდგება, რადგან იქ მორიგი რეჟისორები განაგებენ წარმოდგენების მარტოდ-მარტო ხელოვნურ-მხატვრულ მხარეს, დეკორატორებისა, მონტიორებისა, მაშინისტებისა და სხვათა შეთანხმებით; ხოლო საქმის წარმოება და გაძღოლა მინდობილი აქვთ განსაკუთრებულსა და მცოდნე კაცებს.

ჩვენში-კი, აბა რა დასამალია, რომ იმ თავიდან დღევანდლამდე ერთად ერთი გამძღოლი და მწარმოებელი საქმისა მხოლოდ რეჟისორია და სხვა არავინ. გამგეობა პრაქტიკულად de facto სცენის საქმეს არაოდეს აწარმოებდა და ვერც აწარმოებს, რადგან მისთვის ორგანიულათ შეუძლებელია, ვითარცა კოლლეგიისათვის; ხოლო კოლლეგიას, როგორც ყველამ ვუწყით, ადგილობრივ მოქმედება არ ძალუძს, იგი გამგე ორგანოა და არა აღმასრულებელი.

რაც შეეხება მორიგ წევრებს გამგეობისას და მათს მოქმედებას, უნდა გამოვტყდე, რომ ისინი მომეტებულ შემთხვევაში ყრუ-მუნჯებს ჰგვანან და არც საკვირველია, რადგან რეჟისურა და მით უფრო სასცენო ტეხნიკა მეტად სპეციალი საგანია, რომელსაც, სხვა არა იყოს-რა, გასაცნობად ბევრი დროც უნდა და უფრო-კი განსაკუთრებული ხალისი. ათასში ერთხელ თუ გამოჩნდება „საქმიანი“ მორიგი წევრი, ისიც უფრო ხელს უშლის საქმის სწორ-მსვლელობას და მომეტებულად უსიამოვნებას იწვევს მსახიობთა შორის.

ამიტომ ჩვენა გვგონია და სრულებით საბუთიანად, რომ მორიგის რეჟისურის წყალობით, ჩვენი ისედაც აჭრელებული სეზონი სრულებით ცალ-ყბა და დაქუცმაცებული იქნება, ყოვლად მოკლებული იმ სისრულესა და ერთიანობას, რაზედაც მწერლობაცა და საზოგადოებაც წლით წლობამდე სჩივის და დრტვინავს...

ხოლო რაც შეეხება მსახიობებს, მათს თამაშს და მეცადინეობას, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ აირ-დაირევა ყოველივე ესა მორიგ რეჟისორების ხელში. ყველა დაგვეთანხმება, რომ ყოველს რეჟისორს: რაც უნდა უხეირო იყოს იგი, თავისი ალღო აქვს, თავისებური საშუალება, ხერხი და უნარი წარმოდგენის გასამართავად, პიესის დასადგმელად, როლების გასანაწილებლად, ტეხნიკურის მხარის, mis-en-sce ne-ის მოსაწყობად და სხვა-და-სხვა.

თუ მართალია, რომ ყოველს რეჟისორს თავისი საკუთარი თვალთახილვა და აზრი აქვს საქმის წარმოებაზე, პიესის მეტ-ნაკლებობაზე და მსახიობთა ავ-კარგიანობაზე, მაშინ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ რასაც დღეს მსახიობთაგან ვ. აბაშიძე მოითხოვს, როგორც რეჟისორი, ხვალ ის შეიძლება სრულებით უარჰყოს ვ. მესხიშვილმა; ან რაც კ. მესხს დიდს ეფექტად მიაჩნია, ვ. გუნიამ სრულებით არ იწამოს და სხვა. ერთი რეჟისორი მეტად აჩქარებულია სიტყვა-პასუხში და მუდმივ ფუსფუსებს, მეორე ძალზე დინჯია და უმოძრაოც. ერთი როლების განაწილებაში მსახიობთა ნიჭით და უნარით ხელმძღვანელობს, მეორე უფრო ანსაბლის საზომით და განსაკუთრებულის მოსაზრებით ანაწილებს როლებს, და მებრვე სხვა.

ეხლა წარმოვიდგინოთ მსახიობთა მდგომარეობა, მათი არევ-დარევა და გამობრუება ოთხსა და ხუთს სხვა-და-სხვა ტემპერამენტისა, ხასიათის, ცოდნისა და გემოვნების რეჟისორების ხელში... ამისთანა ვითარებაში მსახიობთა დაწინაურება და დახელოვნება-კი არ იქნება მოსალოდნელი, არამედ მათი უკან ჩამორჩენა და დარეტიანება. განსაკუთრებით ცუდს მდგომარეობაში იქნებიან ახლგაზდა მსახიობნი, რომელთა ხელის შეწყობა, განვითარება და გამოყენება უნდა იყოს

უპირველესი საგანი და მთავარი საზრუნავი ჩვენის რეჟისორისათვის.

არა, ბატონებო, რაც უნდა იყოს, ოთხსა და ხუთს თუნდაც სახელოვანს — რეჟისორს ერთი სჯობიან, რაც გინდ უხეირო იყოს, ოღონდ ნუ შეზღუდავთ, ნუ შებღალავთ მის უფლებას, ნუ დასჯაბნით მის პიროვნებას, ნუ დააბრკოლებთ მის თუნდაც მცირე ცოდნა-მეცადინეობას, ნუ დააქვეითებთ მის შრომა-გარჯას და, უმთავრესად, ნუ დაიბრიყვებთ. ჩალვადრის ცხენისავით რეჟისორს ნუ აჰკიდებთ ზურგზე ყოველისფერს, ისე ნუ დატვირთავთ, რომ მოძრაობის სახსარი არა ჰქონდეს... უნდა ეცადოთ, რომ გაუადვილოთ ისედაც მძიმე მოვალეობა, უნდა გაუტკბილოთ ისედაც უმადური საქმე. უნდა შეითვისოთ იგი, ვითარცა უფროსი ამხანაგი, თავისა და სხვის მაგიერადაც საზოგადოების წინაშე პასუხის მგებელი. აი ამისთანა პირობებში უხეირო რეჟისორიც ბევრს რასმე გახდება და ფხიანი და ძალოვანი-კი თვით ისახელებს და ჩვენც გვასახელებს. მართალია, შეუძლებელია რეჟისორმა ყველას გული მოიგოს და ყველა მოიმადლიეროს, მაგრამ მომადლიერება სულაც არ არის რეჟისორის მთავარი საგანი: რეჟისორმა ხელოვნურად უნდა ჰმართოს წარმოდგენები და მართებულად აწარმოვოს სცენის სამთავრო.

ვინ არის, ან ვინ უნდა იყოს რეჟისორად ჩვენს სცენაზე? — ვინც უნდა იყოს, ოღონდ-კი ერთი იყოს.

ჩვენ ხშირად გვსმენია და ეხლაც ყველანი იმას გაიძახიან, რომ შეუძლებელია რეჟისორად მსახიობი იყოსო. ერთი ვიკითხოთ, რადა? პირიქით, ჩვენა გვგონია, რომ სწორედ მსახიობია სასურველი რეჟისორი. ვინ არის უფრო ახლოს მსახიობებთან, თუ არ მსახიობი რეჟისორი; ვის ესმის ისე ახლო მსახიობის გასაჭირი, ვინ დააფასებს ისე მსახიობის სამსახურს და მეცადინეობას, თუ არ მსახიობი-რეჟისორი. რეჟისორები ყველგან რუსეთსა და საზღვარ გარედ ყოველთვის თეატრთან დაახლოვებულნი იყვნენ და დღესაც არიან. ნამდვილი რეჟისორები გამოდიოდნენ ყოველთვის მსახიობთაგან, ან კიდევ დრამატიულ მწერალთაგან და რეცენზენტებისაგან.

როდესაც მსახიობ-რეჟისორზე ჩამოვარდება ლა-პარაკი, მაშინვე ერთს საფრთხეს წამოაყენებენ ხოლმე: მსახიობ-რეჟისორმა შეიძლება უსამართლობა რამე ჩაიდინოსო: მიდგომით იმოქმედოს. რა თქმა უნდა, ეგ შესაძლებელია, მაგრამ ვინ არის თავმდები, რომ რეჟისორი იმავე ან უფრო მეტს უსამართლობას არ ჩაიდენს. ჩვენ ბევრი მაგალითები გვახსოვს უცხო რეჟისორის, გამგეობის წევრთა უსამართლო მიდგომილობისა თუ „საჩოთირო საქმისა". ხოლო მსახიობ-რეჟისორმა რომ ბევრი „პირველი" როლის შესრულება მოინდომოს... დაე, ითამაშოს „საუკეთესო" როლი, თუ-კი მაგისათვის ღონე შესწევს, ამით საქმე ისე არ გაფუჭდება, როგორც ზოგიერთი სიმპატია-ანტიპატიასაგან...

მეორე დაბრკოლებას იმაში ხედავს, რომ ერთსა და იმავე დროს წარმოდგენის მოწყობა და თამაში მსახ-იობ-რეჟისორისათვის ძნელი არისო. ოღონდაც, რომ ძნელია, მაგრამ სიძნელე [ხომ] შეუძლებლობას არ ნიშნავს. და თუ მართლა ისე ძნელია თამაშიც და რეჟისორობაც, ეცადეთ, რომ ეგ სიძნელე შეუმსუბუ-ქოთ მსახიობ-რეჟისორს მათ თანაშემწეთა დახმარებით. აქ ჩვენდა უნებლიედ გვაგონდება კიდევ ერთი საგრძნობელი ნაკლი ჩვენის რეჟისურისა. ოცდა ხუთი წელიწადი გადის და ჯერ არ გამოუჩეკია ჩვენს სცე-ნას ეგრედ წოდებული „რეჟისორის თანაშემწენი", რო-მელნიც ყველა თეატრებში არიან. ჩვენში რეჟისორის თანაშემწის მოვალეობას ასრულებენ ეგრედ წოდებული სცენარიუსები, რომლებიც ისე განირჩევიან პირველთა-გან, როგორც ცა დედამიწისაგან. თანამდებობა და სიტყვა „რეჟისორის თანაშემწე" ნიშნავს ამხანაგს, თანამოზიარობას, თანამშრომლობას, ხოლო რომელი სცენარიუსი შესძლებს ჩვენში რეჟისორის თანაშემწეო-ბას, ან-კი იყო როდისმე ესეთი? არასოდეს. ეგეც ერთი დამახასიათებელი ნაკლია ჩვენის უფერულის რეჟისურისა და პრემიერების დაუდევრობისა, რომელ-თაც ვერ შეჰქმნეს ეგ უსაჭიროესი წევრი სცენის კეთილდღეობისა. ამ საგანზე ჩვენ სხვა დროს მოვილა-პარაკებთ უფრო დაწვრილებით, ეხლა-კი იმას ვიტყ-ვით, რომ მსახიობ-რეჟისორს ძლიერ ხელს შეუწყობდა

და შრომასაც გაუნახევრებდა გამოცდილი თანაშემწე, რომელიც, ვიმეორებთ, რეჟისორზე, თუ მეტად, არა ნაკლებ საჭიროა. ჩვენი თეატრის ბედ-იღბალის გამგე-ბლებმა ამ საჭირ-ბოროტო საგანსაც უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება და დროისით შეუდგნენ რეჟის-ორის თანაშემწეთა გამოძებნასა და გამოყენებას.

ჩვენ ზემოთაც ვსთქვით, რომ მეტად ძნელია რეჟისორმა ყველა მოიმადლიეროს და განსაკუთრებით მსახიობნი, რომელნიც, თუ მხარს არ მისცემენ რეჟისორს, ერთი ათად უფრო გააძნელებენ რეჟისორის ნაყოფიერ მოქმედებას. ამ მხრივ, დიახაც საჭიროა, რომ რეჟისორს, — ვინც უნდა იყოს იგი, მსახიობი თუ კერძო კაცი, — ცოტად თუ ბევრად ზედ გავლენა უნდა ჰქონდეს მსახიობებზე ანუ ცოდნა-გამოცდილებით, ანუ ავტორიტეტით ან სხვა რაიმე უპირატესობით თუ ღირსებით. მაგრამ სადღაა ასეთი ბედნიერი შემთხვევა, რომ ჩვენ მსახიობთა შორის მწარე და გესლიანი კრიტიკა არ გამოიწვიოს თავის პიროვნების მიმართ.

ამიტომ, ჩვენის აზრით, ერთადერთი უცილობელი გზა, აწინდელის გარემოებისა და ვითარების მიხედვით, არის არჩევანობითი წესი, რომელიც, როგორც ყველამ ვუწყით, ჩვენი შფოთიანის დროების იდეალია. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ დღეიდან რეჟისორი მარტო გამგეობისგან-კი არ ინიშნებოდეს, არამედ გამგეობის წევრთა და მსახიობთა შეერთებულის რჩევა-თათბირით ირჩეოდეს. არჩევანი უთუოდ კენჭის ჩამოტარებით უნდა მოხდეს და არჩევანი კანონიერად მაშინ უნდა იქმნეს აღიარებული, როცა რეჟისორი ორ მესამედის უმრავლესობით იქმნება არჩეული. ამ საშუალებით და ამისთანა ნდობით აღჭურვილი რეჟისორი, მტკიცედ დამყარებული გამგეობისა და დასის უმრავლესობაზე, ცოტად თუ ბევრად, მაინც შესძლებს ჩვენის ძვირ-ფასის ეროვნულის სცენის პირნათლად გაძღოლას და ნაყოფიერს ხელმძღვანელობას.

ამაზედ უკეთესი საშუალება ქართულის თეატრის რეჟისურის მოსაწესრიგებლად ჯერ ხანად ჩვენ სხვა ვერა მოგვიგონია-რა. ხოლო ვინც სხვა რამე სახსარს

გვიჩვენებს, დიდად დაავალებს ქართულს თეატრს და პირადად ჩვენც გვასიამოვნებს.*

სცენის მოყვარე

[1903 წ.]

* სასურველია, ამ წერილებში აღძრულ საგანს, როგორც მსახიობნი, ისე სათეატრო ხელოვნების მცოდნენიც შეეხებოდნენ. ჩვენ ყოველ ახალ აზრს სიამოვნებით დავუთმობდით ადგილს. რედაქცია.



წლიურად შენახვა ქართულ დასისა

შარშან ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიურ კრებაზე გამგეობამ, სხვათა პროექტთა შორის, კრებას წარუდგინა დასამტკიცებლად მეტად სიმპატიური წინადადება: ქართველ მსახიობთა ცოტად თუ ბევრად უზრუნველ-ყოფა — დრამატიულ დასის წლიურად შენახვა. კრებამ ერთხმივ მოიწონა რა ხსენებული პროექტი, დაავალა გამგეობას და ამ საგნისათვის განსაკუთრებით არჩეულ კომისიას პროექტის უფრო საბუთიანად შემუშავება და დამდეგის, ე. ი., წრევანდელის კრებისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

წრეულს კი კრება, როგორც შარშან გვპირდებოდა, უნდა მომხდარიყო მაისის პირველ რიცხვებში. ეხლა-კი აგერ აგვისტოს შუა რიცხვები დადგა, სეზონიც კარზედ მოგვდგომია, გამგეობას კიდეც დასი შეუკრებია და საცაა, თურმე, მოქმედებასაც დაიწყებენ, მაგრამ შარშანდელ კრების მიერ აღძრულ პროექტებზე არა ისმის-რა.

ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რავდენად უხერხულია ჯერ სეზონის დაწყება და მერე კრებისაგან სავარაუდო ანგარიშზე დასტურის აღება, ხოლო არ შეგვიძლიან კანონიერი სურვილი არ გამოვუცხადოთ იმის შესახებ, რომ საზოგადო კრება დროით იქმნეს დანიშნული და ყოველ შემთხვევაში უფრო ადრე, ვიდრე ქართულ წარმოდგენების სეზონი დაიწყებოდეს.

ამჟამად-კი ჩვენა გვსურს შევეხოთ ზემოდ ხსენებულ წინადადებას — ქართულის დრამატიულ დასის წლიურად შენახვას. ყველამ კარგად ვუწყით ქართველ

მსახიობთა აწინდელი უნუგეშო მდგომარეობა — ნივთიერი უსაღსრობა და სრული უმწეობა, რაიცა, ეჭვს გარეშეა, ყოველთვის ხელს უშლიდა ჩვენის ეროვნულის ცხოვრების სრულს გაშლა განვითარებას.

თეატრი ვითარცა ცხოვრების საღსარი ჩვენში არასოდეს არ იყო ვინმესათვის მ ვიდელი და ვერც ვერავის ჰკვებავდა (ჩვენ არ ვეხებით ორს განსაკუთრებულს შემთხვევას: ვ. აბაშიძეს იუბილეის და ავადმყოფ მსახიობის ვ. მესხიშვილის უხვ დახმარებას), ხოლო ზოგიერთნი თუ ეტანებოდნენ ქართულ სცენას და ისიც უფრო წინა წლებში, მხოლოდ იმიტომ, რომ საქვეყნო სამსახურის სურვილით იყვნენ გამსჭვალულნი და ნამდვილის არტისტიულის ტემპერამენტით და სასცენო ნიჭით აღჭურვილნი.

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო; ზოგნი შეაბერდნენ კიდეც ჩვენს სცენას. საბედნიეროდ ჩვენდა, დღეს დღეობით, ცოტად თუ ბევრად, ყველგან და ყოველს საქმეში ჩნდება შრომის საფასური, რა თქმა უნდა, შედარებით ფრიად მცირე მწიგნობრობის, მწერლობის და სხვა საქმეთა მსახურნი ცოტათი მაინც უზრუნველ ყოფილნი არიან,* ქართველ მსახიობთა ნივთიერი მდგომარეობა-კი ისევ ისეთია, როგორც ამ ოცისა და ოცდახუთის წლის წინად იყო: შრომის უმცირესი სასყიდელი და ისიც მხოლოდ ოთხი-ხუთის თვის განმავლობაში.

ამიტომ, როცა შარშან გამგეობამ საზოგადო კრებას ქართველ მსახიობთა უზრუნველ ყოფის წინადადება წარუდგინა, ჩვენ ყველანი, ქართულ თეატრის გულშემატკივარნი, დაიმედებული ვფიქრობდით, რომ იგივე გამგეობა რაიმე საღსარს მოსძებნიდა ამ ფრიად მნიშვნელოვანის პროექტის განსახორციელებლად, ვინაიდგან თავი და თავი საქმე იმ პროექტში საღსარი და ნივთიერი საშუალება იყო.

ხოლო რაოდენადაც ჩვენ ვიცით გაზეთებიდან თუ კერძო კაცთაგან, გამგეობას დღევანდლამდე არავითარი ღონე არ უღონია და, რა თქმა უნდა, ვერც ვერაფერ განსაკუთრებულ საღსარს მოსძებნიდა; გამგეობის კასსა

* ამაში ვერ დავეთანხმებით პატივცემულს ავტორს. მწერლობა, მწიგნობრობა თითქმის სრულად არ აჯილდოვებს მწერლის შრომას. რედაქცია.

კი, როგორც ჩვენი დამშეული მსახიობნი გაიძახიან, ჩვენს კუჭზე უფრო ცარიელიაო.

ასე თუ ისე, რაკი გამგეობას საღსარი ვერა უპოვნია რა, ძრიელ საეჭვოა, რომ დასის წლიურად შენახვა დამდეგ სეზონიდან მოხერხდესო, გაიძახიან ჩვენის თეატრის გულშემატკივარნი და იმედგაცრუებულნი მსახიობნი; იქნება ამასვე ფიქრობენ გამგეობის წევრნი და ეგ მით უფრო დასაჯერებელია, რომ გამგეობა თავის მოსაწვევ ბარათებში რომელნიც მსახიობთათვის დაუგზავნია, — სათუოდ იხსენიებს დასის წლიურად შენახვის საქმეს.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ გამგეობას თავისუფლად შეეძლო ახლავე შესდგომოდა დასის წლიურად დაჭერვას და დროით მოქმედების შესაფერი პროგრამა და პირობანი გამოერკვია, რადგან ამ საქმისათვის საჭირო შეძლება და საღსარი გამგეობას უკვე მოეპოება.

საქმე ის არის, რომ გამგეობისა და კომისიის შეერთებულ კრების ბჭობა-თათბირს უკვე გამოუანგარიშებია, რომ, თუ ვინიცობაა დასი წლიურად იქმნა დაჭერილი, როგორც ქალაქ ტფილისში, აგრედვე პროვინციებში, ყველა ხარჯების დასაფარავად, მოსალოდნელ შემოსავალის გარდა, გამგეობას დასჭირდება კიდევ 2000 მანათამდეო. და აი სწორედ ეს ფული გამგეობას ამჟამად სრულად და თავისუფლად მოეპოვება.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ თავად-აზნაურთა კრებამ, თავის პატივცემულის მარშლის წინადადებით, აპატივა რა გამგეობას მასზედ დარჩენილი შარშანდელი ვალი, იმავე დროს, რა თქმა უნდა, ისევ თავ. მელიქიშვილის წყალობით, ქართ. დრამატ. საზოგადოებას დაუთმო თეატრი წინანდელ საიჯარო 4500 მ. მაგიერად 2000 მანეთად. მაშასადამე, გამგეობის წლიურ სავალდებულო ხარჯს დააკლდა 2500 მან., სწორედ ის ფული, და მეტიც, რაც საჭიროა წლიურად დასის შესანახად.

ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, თუ დრამატ. საზოგ. გამგეობა უფრო ფხიანად, უფრო შეგნებულად

და უფრო მეტის სიცხოველით მოიქცევა*, ქართველი თავად-აზნაურობა, სანამ მის სათავეში პატივცემული თავადი დ. ზ. მელიქიშვილი სდგას, ახლანდელ მცირე იჯარასაც სრულებით აპატივებს, თუ, რა თქმა უნდა, გამგეობა ქართულ თეატრის საქმეს ჯეროვან დონეზე დააყენებს და ქართულ წარმოდგენებს, ვითარცა ეროვნულს თვით-ცნობიერობის და განათლების ფაქტორს, ტფილისის გარედაც — პროვინციებში გადაიტანს და გაავრცელებს...

ვათავებთ რა ამით ჩვენს წერილს ქართულის დასის წლიურად შენახვის შესახებ, ჩვენ სრული იმედი გვაქვს და ბევრი საბუთიც ვიგულისხმოთ, რომ ყოვლად პატივცემული თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, — თუმცა ამ ორის წლის წინად გულნატკენიც იყო ქართულ თეატრისაგან, ვითარცა საზოგადოებრივი და ჩვენ ეროვნულ საქმეში ღრმად ჩახედული კაცი, არც ერთს შემთხვევას არ აუქცევს მხარს, რომ კეთილი მფარველობა გაუწიოს ჩვენს თეატრს, რომელიც ამ ხანად მაინც ერთი უძლიერესი მომქმედთაგანია ჩვენის ხალხის კულტურულ წარმატების საქმეში.

სცენის მოყვარე.

[1903 წ.]

* თუ რაოდენად მოუმზადებლივ და უთავბოლოდ იქცეოდა გამგეობა, იქიდგანა სჩანს, რომ, შარშანდელ თავად-აზნაურთა კრებაზე, როცა საყვედური გაისმა გამგეობის წინააღმდეგ — რუსულ ანტრეპრიზას რად ეწევაო, არ ვინ აღმოჩნდა, გამოერკვია კრებისათვის ეს ყოვლად შემცდარი აზრი და კრება ისეთ გუნებაზედ იყო, რომ თუ არ პატივცემულ თავ. მელიქიშვილის მარილიანი სიტყვა, გამგეობა არას მიიღებდა... ავტ.



სალიტერატურო პრემია „შურდულის“ რედაქციისა

მე, ქვემორე ხელის მომწერი რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე და „შურდულის“ მიერ დანარჩენნი ძმანი ჩემნი, ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ პრემიად მიეცემა „ლექსები და პოემები“ ი. ევდოშვილისა, მეორედ შევსებული გამოცემა ავტორის სურათით იმ კრიტიკოსს, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო თხზულებას შემდეგი თემისას:

ესთეტიკურ-ფსიხოლოგიური განხილვა და დასაბუთება იმ პოეტურ სურათებისა, რომელნიც ობოლ მარგალიტებად მიჯრით მიწყობილია პირველ სამ ტაეპში ბ-ნ ევდოშვილის ლექსისაში „ვუძღვნი [დე]დებს“ (იხ. „ცნობ. ფურც.“ დამატ. 152, 18, სეკდემბერს, 1903 წ.).

მკითხველს რომ გაუადვილდეს მასალის შემოკრება, აქვე ვაცხადებთ ზემოხსენებულ ტაეპებს.

ცრემლი მხოლოდ მაშინ მინდა, etc.
(პირველი სამი ტაეპი).

ღირს არს ჭეშმარიტად, რადა აღვნიშნოთ, რომ პირველი ტაეპი, როგორც მთავარი მარგალიტი პოეტურის შემოქმედებისა, გამეორებულია ლექსის დამაგვირგვინებელ ტაეპადაც.

შენიშვნა პრემიის მიმცემ კომისიისა:

პრემია არ მიეცემათ იმ პირთ, რომელნიც გარეშე ქვემოდ მოტანილ განხილვისა არ წარმოადგენენ სხვა რამ ახალ მოსაზრება-დასაბუთებას.

დავიწყოთ თავიდან:

„ცრემლი მხოლოდ მაშინ მინდა,
გულს ფოლადად ჩაეკვესოს“...

ცრემლი რომ უნდოდეს ბ-ნ ევდოშვილს, ვის რა დავა აქვს, კაცია და გუნებაო, მაგრამ ფოლადი აჭირებს საქმეს. რა აქვთ საერთო ცრემლსა და ფოლადს? პირველია სითხე, მეორე კი მაგარი სხეულია და ძალიან მაგარიც.

ჯერ სიტყვიერების თეორიას არ გაუგონია, ამგვარი მსგავსება-შედარება, და თუ არ დაიშლით და აღმოაჩენთ რაიმე საერთოს ცრემლსა და ფოლადს შორის, მაშინ ხო შეიძლება პანაშვიდიც შევუდაროთ ურმის ჭინჭილაქსა!

ფოლადმაც თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ ეს „ცრემლი გულს ჩაეკვესოსო“ რაღა სურათია? ეს ხო პოეტ სვიმონ ქვარიანის „ბულბულის სლოკინი“ გამოვა, და თუ გნებავთ, გადამეტიც! ჰმ! ჩაეკვესოს?! როგორ? სითხე და ისიც იმისთანა სითხე, როგორიც ცრემლია ჩაეკვესოს ე. ი. ნაპერწკლები გადმოჰყაროს?

არ ვიცი, დედა არ მამიკვდეს, რა სასწაულებრივი მეტამორფოზა უნდა მოხდეს, რომ ცრემლმა ნაპერწკლები გადმოჰყაროს! მართალია, კვესს შეუძლიან ცეცხლი გამოიღოს, მხოლოდ იმისთანა ნამდვილ ბუნებრივ პირობების დროს, როგორც დასურათებულია მოხევეთა ხალხურ ლექსში:

„კვესო, შენ ცეცხლსა მიაყრი, —
და ნუ იფეთქებს ფალია?!“

ევდოშვილისთანა პოეტების საყურადღებოდ, რომ გადმოვთარგმნოთ ეს ხალხური დასურათება, უნდა ვსთქვათ, რომ კვესს ჩამოჰკრავს ჩახმახის ტალი, გამოჰყრის ნაპერწკლებს და ნაპერწკალი კიდევ ააფეთქებს ფალიას, რომელიც დაყრილია თოფის დუმაზე. ევდოშვილის წარმოდგენაში კი აყირავებულია ბუნება ნაპერწკალის გამომღებ ფაქტორებისა; თუ ცრემლი კვესად მიაჩნია და ფოლადი — ტალად (არ დავივიწყოთ, რომ კვერიც ფოლადისაა ხოლმე!) მაშინ გულს დუმბაღა დაჰრჩენია, რომელზედაც უნდა ფალია ეყაროს.

მართალია, ბევრის შემძლებელ[ია] ცრემლი, გვესმის მისი დიადი ძალაც და ამიტომ დიდებულია პოეტური

თქმა ლერმონტოვისა, როდესაც ამბობს, რომ დემონის ცრემლმა ქვა გახვრიტაო, მაგრამ ის ლერმონტოვი იყო და ჩვენი დედების მეძღვნე პოეტი კი ევდოშვილია. თორემ რა სათქმელია, რომ ჩასაკვესებლად, ნაპერწკლის გამოსაყრელად, ფალიის ასაფეთქებლად კაცმა ცრემლი იხმაროს! ცრემლი არამც თუ არ ჩაეკვესება და ცეცხლს ვერ მიაყრის, პირიქით დაასველებს და აატალახებს კიდეც ფალიასა! მაშ, რად ინება ბ-ნმა ევდოშვილმა ჩვენთა დედათა გულების ატალახება და ისიც შვილების გამოზრდაში, — ალლაჰ ბილურ!

შვილების გამოზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს დედის ცრემლს, და თუ ჩვენი პოეტი ვერ მიჰხვდა და ვერ დაასურათა ცრემლის დანიშნულება, მას მაინც ურჩევდა ჩვენს დედებს, რომ თქვენი შვილები გაჰბანეთ და, თუ გნებავთ, აჭყუპალავეთ კიდეც ჩემს ცრემლებში, რასაკვირველია, როცა გარემოება მოითხოვდესო. მაგრამ თქვენგან არ მიკვირს, აბა, ამას რად იზამდა? იმას უნდა, რომ ცრემლი მაინცადამაინც ჩააკვესოს. რას იზამ, ესეთია ჟინიან პოეტის პოეტური პოეზია!

„გრდემლად მივსცე იგი ჩემს შვილს,
რომ ნაღველში გამოლესოს“-ო.

ბძანებს პოეტი და იმისი თქმა კი უნდა, რომ ჩემმა შვილმა ჩემი ცრემლი ნაღველში გახსნას, ან ნაღველი ჩემს ცრემლშიო, მაგრამ, აბა, ჩაუკვირდით, რა შეუსაბამოდ არის შეხამებული ეს პოეტური სურათი! ცრემლი მხოლოდ მაშინ მინდა, რომ გრდემლად მივსცე ჩემს შვილსაო. აქ ძაღლის თავი იმ გარემოებაშია ჩაფლული, რომ შეწყობილია ერთად ცრემლი და გრდემლი. მერე მითომ რაო? მე შენ გითხრა, არ არის მსგავსება თუ ამ ორ სიტყვას შორის! ჯერ ერთი, მარცვალთა და ბგერათა მიხედვით სარითმოდ ერთი ერთმანეთს არ დაუვარდებიან, ერთიც ორმარცვლოვანია და მეორეც. პირველის ოთხი უკანასკნელი ბგერაც ენ, მან, ლას, ინია და მეორისაც, და მეორეც ისა, რომ ზედსართიც მეტია, რადგან ორივე სიტყვას თან ახლავს ბგერა რაე. მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ამ ორ სიტყვას სარითმოდ გამოიყენებდა დახელოვნებული მელექსე, მაგრამ ევდოშვილი სულ სხვა ჯურის მგოსანია. აქაოდა ეს ორი სიტყვა გარეგანის მხრივ ესე

თანხმობით სუფევენო, ადგა, არც აცივა, არც აცხელა
და ამ ორ ცნებას ბუნების ერთიდაიგივეობაც დაულოცა.
ზემოდაც მოგახსენეთ, რომ ცნება „ცრემლი“
სითხეა და გრდემლი ხო ისეთი მაგარი სხეულია, რო-
მელზედაც იკვერება თვით რკინა და ფოლადიც. მაშ,
როგორ შეიძლება, რო ცრემლმა გრდემლობა გასწიოს,
ან პირიქით, გრდემლმა ცრემლობა. კარგი ზეინკალ-
მჭედლები კი გამოვლენ ის შვილები, რომლებსაც
ევდოშვილის რჩევით ჩვენი დედები გრდემლის მაგიერ
ცრემლის გუბეს დაუყე[ნე]ბენ წინა!
ნუთუ აქამდე ხალხური გამოცანა მაინც არ გაუგო-
ნია, „დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალიო“? ეს წყალ-
ზედ არის ნათქვამი და თუ მჭრელი ხმალიც კი
ვერაფერს აწყობს წყალთან, რა უნდა ქნას ბლაგვმა
ჩაქუჩმა ათასიც რომ ურახუნო! ეს ხალხური გამოცა-
ნაც რო არ გავიხსენოთ, ისედაც კარგად მოგეხსენებათ,
რომ წყლის ნაყვა მხოლოდ ბრიყვთა ხელობაა!
ბ-ნ ევდოშვილს ხომ თავის თავი მუშა-ხელოსანთა
ავან-ჩავანად მიაჩნია და, აბა ერთი ბრძანოს, რომელ
სამჭედურში უნახავს თავისი პატიოსანი თვალითა, რომ
გრდემლი ცრემლისა იყოს? თუ არ დაიშლის და დაი-
ჟინებს, ჩვენც ნუ ავუხირდებით და რაც მაგან ცრემ-
ლის გრდემლზედ სახნის-საკვეთი გამოაკვეროს, დეე
იმით გუთნით მოყვანილ პურს ჩვენ ნულარ გვაჭმევს!

ცრემლი გრდემლად მივცეო.

ეგ რო ძველ მწერლებს ეთქვათ, მაშინა ნახავდით,
რა ალიაქოთი ატყდებოდა ჩვენ სალიტერატურო
კრიტიკოსთა შორის. ხომ გახსოვთ, ზოგიერთ მკვლე-
ვარმა რო დღე დააყენა „ვეფხისტყაოსნის“ მეხუთე ტა-
ეპს, სადაც ნათქვამია, რომ „გასტეხს ქვასაცა მაგარსა
გრდემლი ტყვიისა ლბილისაო“ ან ტყვიის გრდემლი
ვის გაუგია, ან იმისაგან მაგარი ქვის გატეხაო? ადგნენ
და თქვენი ჭირი წააღებინეს ამ ტაეპს, ყალბის
მქმნელს მიაკუთვნეს და თქვენი მოწონებული პან-
ღური ჰკრეს „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპთა საპატიო
რიცხვიდგან. არა, შოთას რომ ღმერთი გასწყრომოდა
და ევდოშვილის წარმოდგენისამებრ ეთქვა, ცრემლის
გრდემლიო, მაშინ ხომ დავიღუპებოდით და ყალბის
მქმნელთა აღმომჩენი მკვლევარნი იტყოდნენ, რას

გადასცემს, რას მიედმოედებაო! [დი]ახადაც იტყოდნენ,
მე და ჩემმა ღმერთმა!
თუნდ ანგარიშშიაც რომ არ ჩავაგდოთ ცრემლის
სითხე და გრდემლის მაგარსხეულობა, — ნეტა ვიცოდე,
ცრემლმა როგორ უნდა მიიღოს თავისთავად ფორმა
გრდემლისა! ფიზიკაში სწერია, რომ სითხეს არა აქვს
ფორმაო. ფორმას აძლევს მხოლოდ ჭურჭელი, და
ეხლა თქვენ გამოიცანით, თუ რომელი ჯურის ჭურ-
ჭელს წარმოადგენს გრდემლი. ვსთქვათ, გრდემლიც
ჭურჭელია, მაგრამ გრდემლი „ნაღველში გამოლესოსო“
ეს რაღა არის?! ზემოდაც მოგახსენეთ, რომ ევდოშ-
ვილი სიტყვას „მოლესოს“ პოეტურადა ხმარობს
ნაცვლად სიტყვისა „გახსნას“, მხოლოდ ნაღველში
როგორ უნდა გაიხსნას გრდემლად ქცეული ცრემლი ან
ცრემლის გრდემლი, მაგის შესახებ საანალიზო ქიმიაში
არავითარი კანონი არ არის დამყარებული და ლაბო-
რატორიასაც არ განუცდია ჯერ არცერთი მსგავსი მა-
გალითი. თუ არადა სადაური თქმა არის ეს „გამოლე-
სოსო? გამოლესოს რა, თქვენი ცრემლი გაჯია, მურ-
დასანგია, თუ რა არის?!
მეორე ტაეპში პოეტი ბრძანებს, ნაღველი კი
მხოლოდ მისთვის მინდაო, რომ მიტიროს მაინც
გულიო, ჰოდა, ვის რა დავა აქვს?!
ხომ გახსოვთ ხალხური ანდაზა, ღრმა იუმორი:
„საბძელი რომ გეწოდეს, ხელი მოითბეო“. ბ-ნ ევდოშ-
ვილსაც ხომ უიმისოდაც უტირის გული და მოდი
ხელს ნუ შევუშლით და ნაღველიც გაისიოს, რამდე-
ნადაც ექეიფებოდეს. ჩვენ რჩევას ხომ არ გაიგონებს და
ამიტომ თავი დავანებოთ მეორე ტაეპსაც.
საქმე მესამე ტაეპია!
ცრემლის მფრქვეველი პოეტი შვილს ურჩევს, ჩემი
ცრემლი ფიალად მოიხმარეო. კიდევ! კაცო აქამდე რას
ჩაგჩიჩინებდი? გაიგე, რომ სითხე ფორმად არ გა-
მოდგება, თუნდ ეს სითხე შენიც იყოს. სად გაგონილა,
რომ სითხე (იგულისხმე თუნდ ევდოშვილის ცრემლი!)
კაცმა ფიალად ე. ი. ჭურჭლად მოიხმაროს? ან ხელის
მოვლება არ უნდა, ან პირთან მიტანა, ან გა-
მოწრუპვა?! ვერ გამიგია, მე და ჩემმა ღმერთმა! აბაიმე,
ან რას ჩააცივდა ამ საბრალო ცრემლსა? საცოდავი

ცრემლი! ჯერ იყო და კვერად მოიმარჯვა, მერე ფოლადად აქცია და მესამედ კიდევ გრდემლად უანდერძა ჩვენს დედების შვილებს. სამების ძალზე ამ სამ მეტამორფოზას მაინც აკმარებდა! მაგრამ არა, მეოთხედაცა სტანჯავს, გინდა თუ არა, ფიალადაც უნდა მოვახმარო ჩემ შვილებსაო. ახირებულია, თქვენმა მზემ! ღმერთმა მშვიდობა კი მისცეს ამ ცრემლსა და კაი ვირის მოთმენა კი ჰქონია, თუ თქვენცა ბრძანებთ!

ახ, ეხლა ერთი ცრემლი ვიყო! ვეტყოდი: კაცო, მამწყდი თავიდან და მამასვენე, არც შენი კვესობა მინდა და არც შენი შვილის ფიალობა, თუნდ ოქროს ფიალადაც მაქციო-მეთქი....

მაგრამ ეჰ! ამას ვინ მათქმევინებს? სად მე და სად ევდოშვილის ცრემლობა?

იქნება ვინმე ცილი დაგვწამოს და ბრძანოს, ძალიან სასტიკად ეპყრობით მგოსანს და აინუნში არ მოგაქვთ ლიცენცია პოეტიკაო ე. ი. პოეტური თავისუფლებაო. მაგრამ სცდებით, ბატონებო! ჩვენ ეგ პოეტების საშეღავათო ხვრელიც ვიქონიეთ გუნებაში. პოეტური თავისუფლება ანუ ლიცენცია პოეტიკა გაგვიგონია ლექსთა წყობაში, რითმისთვის სიტყვების შეცვლა-შეთხზვაში, მხოლოდ ლიცენცია ლოგიკასა, ფსიხიკასა და საზოგადოდ ჭკვის სამთავროში შეუწყნარებელია. ეს რომ სათვალავში არ ჩავაგდოთ, მაშინ ხომ ევდოშვილი გადაჰრევს თავის შვილს, რომლის შესახებაც მეორე ტაეპში ამბობს:

„მშობელი ვარ, კიდეც ვიცი
ჩემი პირმშოს სიყვარულიო“?

აი, კარგი მაგ თქვენ ლიცენციას მოუვა, კარგი პირმშო ევდოშვილს გამოეზრდება!

ვადა თხზულებათა წარმოდგენისა: თხზულებანი ზემოხსენებულ თემის შესახებ მიიღება იმ დრომდე, ვიდრე მგოსან ევდოშვილის ცრემლი იკვესებს, იფოლადებს, მერე გრდემლადაც გახდება და ბოლოს ოქროს ფიალად ან კახურ კულად გადაიქცევა. დასტური და კომპეტენცია ეკუთვნის, რასაკვირველია, სხვადასხვა მეცნიერებას: ერთის მხრივ ესთეტიკა-ფსიხოლოგიამ უნდა შეიწყნაროს ზემოხსენებული სიტყვაკაზმული დასურათება და მეორეს მხრივ, ქიმია-

ფიზიკამ უნდა სახელმძღვანელოებში შეიტანოს უკვე დამყარებული კანონი აღნიშნულ ცრემლის საარაკო ცვალებადობისა, რადგან „შურდულის რედაქტორმა ია ერაძემ და რედაქციის მიერ ძმათა მისთა ქ. ვენაში წაიღეს დასაკაზმავად საპრემიოდ გამზადებული „ლექსები და პოემები“ ი. ევდოშვილისა, ამიტომ მათის თხოვნით და პირის მოცემით ხელს ვაწერ

დედის ერთა იოთამი

1904 წელი



ძველი და ახალი სამღვდელოება*

(უბირის კაცის შენიშვნები და მოსაზრებანი).

ვინც კი სოფლისა თუ დაბა-ქალაქების სუსტსა და მოუძლურებულ მაჯის ცემას ადევნებს თვალ ყურს, იმან უსათუოდ იცის, რომ ჩვენმა ხალხმა (განურჩევლად წოდებისა) გონება-ქონებასთან სარწმუნოებაც დაჰკარგა. ეს სულისა და გონების აღმაშფოთებელი ამბავი, ვგონებ, დაფარული აღარავისათვის აღარ უნდა იყოს, რადგან ზოგიერთებმა ბეჭვდითაც კი გამოაცხადეს და მიჩუმდნენ, თითქო რაღაც მოჭორებული ამბავი ითქვა, ჩაიარა და გაიარაო. რადგან ეს თავზარ დამცემი ამბავი ადვილად მისაფუჩეჩებელი არ არის, ამიტომ დიდი და პატარა, მღვდელი და ერი ერთის ძალითა და ღონით უნდა შეებრძოლნენ და გონივრულის მოსაზრებით უნდა დაიხსნან ხალხი გადაგვარ-გადაშენებისაგან.

ეს სიტყვები ბევრ ურწმუნო თომას სიცილადაც არ ეყოფა. დეე, რამდენიც ენებოს, იცინოს, მაგრამ მე-კი ვიტყვი, რომ დღემდის თუ ერი ერობს, ქართველი ქართველობს და მშობლიურ ენაზედა საუბრობს, ეს სარწმუნოების მოწყალებაც გახლავთ. მართალია, სარწმუნოებრივმა ბრძოლამ მილიონობით ხალხი შეიწირა, მათ შორის ბევრმა მოწამებრივი გვირგვინი დაიდგა, ერმა მაინც სჯულსა და სარწმუნოებას ზურგი არ ადრიკა. გადაათვალიერეთ ციხე-კოშკები, მონასტრები, სადაც ათასობით მოეყარნათ თავი მამათა და ძმათა, როგორც ღვთის სადიდებლად, ისე საუკეთესო მამულიშვილების აღსაზრდელად. მათი სარწმუნოებრივი ხმა ჰქუხდა და კლდენი და ღრენი ბანს აძლევდნენ. თუ მონასტრებში ეს ამბები იყო, არც სოფლის სამღვდელონი ისხდნენ გულ-ხელ დაკრებილნი. უშველებელი დარბაზები ანუ კარმიდამო სავსე იყო მოსწავლე ქალ-ვაჟებითა, რომელნიც რიგისამებრ ისხდნენ გძელ სადა სკამებზედ, მუხლებზედ გამურული ქაღალდის ნაგლეჯები ედოთ, ხელში ჩხირები ეჭირათ და ზოგი ანა-ბანასა კითხულობდა, ზოგი ტექსტს: „უფალო ღმერთო, იესო ქრისტე, სწავლა კეთილად მოუვლინე მონასა (ანუ მხევალსა) შენსა, რათა ისწავლოს წერა და კითხვა, გაქოს და გადიდოს, მიეც შენი შიში და გულის ყური. ამინ“. ზოგნი ანბანის მარცვლებსა სთვლიდნენ, მაგალითად **ა** ერთი, **ბ** ორი, **გ**-სამი, **დ** ოთხი, **ა** ერთი ფული, **ი** ორი ფული, **კ** ექვსი ბისტი, **რ** ორი შაური, **ს** ერთი აბაზი, **ტ** ექვსი შაური, **უ** ორი აბაზი, **ფ** ათი შაური, **ქ** სამი აბაზი, **ღ** თოთხმეტი შაური, **ყ** ოთხი აბაზი, **შ** თვრამეტი შაური, **ჩ** ერთი მანეთი და სხვა. ამავე დროს ზოგს დაფა და გრაფილი ეჭირა და სწერდა და ზოგს რომელისამე ცხოველის ბეჭი ედო და გამოლესილ ნახშირით ან ბალახებისაგან შეზავებულ ფერადის მელნითა სწერდა ან-ბანს.

ყველანი ხელნაწერითა სწავლობდნენ. იშვიათად შეჰხვდებოდით დასტამბულ წიგნებს, გარდა ჟამნდავითნისა. ბევრნი ამ ჟამნ დავითნსაც ძველის ძველ ხელთნაწერში აკითხებდნენ, თვალს გაიტეხს და კარგიაო. დავითნის სწავლება იწყებოდა მაშინ, როდესაც ყველა საუფლო ლოცვები ზეპირად ეცოდინებოდათ. რაკი ჟამნ-დავითნს საფუძვლიანად შეისწავლიდა, მაშინ აძლევდნენ ნებას ეკკლესიაშიაც მღვდელ-დიაკვანს მოჰხმარებოდა. ამ წერა-კითხვასთან უსათუოდ გალობასაც ასწავლიდნენ. ქალებს მღვდელ-დიაკვნის ცოლები ჭრა-კერვასა და განსაკუთრებით ფას-დაუდებელ ხელსაქმესაც ასწავლიდნენ, მაგალითად, აბრეშუმის წინდა-პაჭიჭს (რასაკვირველია, საძღვნოდ), ქისებს, ყაითნებს, და განსაკუთრებით მშვენიერის ხელოვნებით ნაქსოვ ქართულს ასოებს აქსოვდნენ, ზოგჯერ ლექსადაც. ამ სწავლებისათვის სასყიდელს არავინ იღებდა, მხოლოდ

* ჩვენ ზოგი ერთნი მღვდელნი გვყვანან გათვალისწინებულნი და არა მთლად საძღვდელოება.

მღვდელ-დიაკვნის ცოლები, იღებდნენ ისინიც მაშინ, როდესაც ქალი გათხოვდებოდა, რასაც საოსტატოს ეძახდნენ და სასიძოს ანუ მეჯვარეს უნდა გადაეხადნა, რითაც კი შესჯერდებოდნენ.

მაშინდელი ქალი ნამდვილი დედა იყო ოჯახისა. ასე შინაურად ნასწავლმა და არა ერთმა და ორმა ერის კაცმა შეიმოსა მღვდელობა, არა ერთი და ორი აღიკვეცა ბერად. ამ ბეჯითობისა და მეცადინეობის გარდა, სხვა საქმეც ბევრი ჰქონდათ სახლში თუ გარეთ. მაგალითად, ხვნა-თესვა, შეშა, ფიჩხი, ვენახის მუშაობა. როგორც თავისათვისა მუშაობდა, ისე გაჭირვებულ ოჯახს ჰშველოდა. ბევრჯელ მინახავენ თავ-წაკრულნი პერანგის ანაბარა მღვდელ-დიაკვანნი ნამგლით ხელში გაცურებულნი ოფლში. ფრჩხილი რომ წამოსტკივდებოდა ვისმე, მღვდელ-დიაკვანნი ავადმყოფს უსხდნენ აბგით ხელში და რაღაც ბალახბულახს უდუღებდნენ, ანუგეშებდნენ: დალიე, დალიე, ჩემო თედო, ოფლი მოგივა და ღვთით კარგად შეიქმნებიო.

დიაღ, მაშინდელი მღვდელი ყველაფერი იყო სოფლისათვის, ყველას ჭირსა და ვარამს თავის საკუთარ ჭირათა და ვარმათა სთვლიდა, სოფელს ჩაფარივით უვლიდა. თუ საჭირო იყო, ქუდზედ კაცი გამოჰყვანდა, თვითონაც წინ მიუძღოდა თოხითა და ბარით და ღარიბ ოჯახს მალამოსავით ზედ ეგლისებოდა. აკი მღვდელიცა და ერიც ერთმანეთის მზესა ფიცულობდნენ! აკი ერთსაცა და მეორესაც ოჯახები სავსე ჰქონიათ.

შეადარეთ ეხლანდელი მღვდელი მაშინდელ მღვდელს. სად იყო ჯამაგირები? სად იყო 10 მანეთი ჯვრის საწერი, 3 მანეთი წინ გასაძღოლი, 10 და 15 მანეთი ორმოცის წირვაში?... სადა თქმულიყო და სად გაიგონებდით მღვდელს მანეთიდგან 3 მანეთამდე მონათვლაში აეღო? სადა ჰნახავდა ბედნიერ დღეში მილოცვისათვის მანეთი და ორი მანეთი მიეცა ვისმე, აგრეთვე საპარაკლისო და სხვა-და-სხვა. მაშინდელი მღდელი ნამდვილი ქრისტეს მოადგილე იყო, როგორც სიტყვით, ისე საქმითა და მოქმედებით. იმათ სიკეთესა

და ადამიანურ ადამიანობას ვერც-კი ჩამოსთვლის, ძალიანაც რომ ეცადოს კაცი.

დღევანდელი მღვდლების ანგარება კი თვალ-წინ გიდგია ნათლობაში წართმეული თუნგებით. მთელი სასამართლოები სავსეა სოფლზედ მათის საჩივრებით. ჩვენებური გლეხი მართალია სწავლა-ცოდნით უკანაა ჩამორჩენილი, მაგრამ ავისა და კარგის გაგება კიდევ შერჩენია. გლეხის ოჯახი ბატონ-ყმობამდის ბატონის ყურ-მოჭრილი ყმა იყო. რისხვაც ბევრი გამოუვლია მის ხელში და წყალობაც, მაგრამ ოჯახი კი ისე გამოფხეკილი არას დროს არა ჰქონია, როგორც დღეს. რა იყო ამისი მიზეზი, ან სად უნდა ვეძებოთ? ბატონ-ყმობის გადავარდნამ ისე გაამხიარულა, რომ სიხარულით ქუდი ჭერსა ჰკრა და „არიალალი-თარიალალი, ბატონ-ყმობა აღარ არი“ შემოსძახა. რაღას დიდგულობ, ავალო, შენი ყმა აღარა ვარო და სხვა. ეს სიხარული ოცნებათ რათ გადაექცა, რატომ ფრთები არ გაშალა გლეხის ცხოვრებამ, რა გადაეღობა წინ? აი საჭირბოროტო, ასახსნელი საგანი, რომელსაც ყველა თავისებურათა ჰხსნის. ღმერთმა თავის უფალი დაბადა ადამიანი და, ვისაც რა უნდა ისა სთქვას და მე კი თუნდა სახრჩობელაზედ ამიყვანონ, ვიტყვი, რომ გლეხს მაშინ ერთი ბატონი ჰყვანდა და დღეს კი ჩამოთვლითაც ვერ ჩამოსთვლის. მაშინ იმოდენა მამული ეჭირა, რომ ერთ მხარეს რომ ოცი და ოც და ათი დღისა მოეხნა, მეორე მხარეს ამდენსავე მოუხნავს სტოვებდა მეორე წლისათვის.

II

(უბირის კაცის შენიშვნები და მოსაზრებანი).

(დასასრული*)

რა იყო აქციზი, რა იყო მარილის ბაჟი, რა იყო ტყის ფული, საბალახისა და სხვა და სხვა? გადავარდა ბატონ-ყმობა და გადმოვარდა ათასი გამათახსირებელი გადასახადი. გლეხს მამული გამოელია, გა-

* იხ. „ივერია“ № 179.

მოეცალა ხელიდგან, დღის სავალზედ შეექმნა საძებარ-
სახვეწარი. დღეს ხვალიობით ყელთამდინ სავსე ოჯახი
გამოიფხიკა. ძველმა ღვდელ-დიაკვნებმაც საცხოვრე-
ბელი ადგილი გამოიცვალეს. რომელნიც გლეხის
მწუხარებას დარაჯათ ედგნენ, იმათი ადგილი მეხუთედ
ნასწავლმა შუშუტა მღვდლებმა დაიჭირეს, რომელთაც
მამა-პაპათა ნატამალი აღარა ეცხოთ-რა. ძველებურმა
სწავლებამ თქვენი ჭირი წაიღო და ახლისათვისაც
ძალ-ღონე არ შესწვდათ. ამ უსუსურმა ბავშვებმა ხმა
მაღლა დაიწყეს ყვირილი, თავად-აზნაურობას ყმები
ჩამოართვეს, ჩვენ ჩაგვაბარეს და წესიერად არ
გვემსახურებიან, ჩვენც ხომ იმათსავით ბარსა და თოხს
არ ავიღებთ ხელში და იმითი არ ვარჩენთ ცოლსა და
შვილსაო. ამათი ღაღადი არ დარჩა უნაყოფოდ უდაბ-
ნოსა შინა. მთავრობამ მოწყალეს თვალით გადმოჰხედა
და მღვდელსა და ერს შორის ნიხრი დასდო
ყოველისავე მღვდელ-მოქმედების შესრულებისათვის.
აიღო ამანაც უშველებელი ლიტრა-ჩანახი და ისედაც
გაბეგრილ ხალხს რაღაც უჩვეულო დრამის თხოვნა
დაუწყო. ან-კი რა ექნა, ფუფუნებით ცხოვრებას
მიჩვეულს მამა-პაპათა დანარჩენი დღითი-დღე
ხელიდგან ეცლებოდა და ხელის განძრევა და მუშაობა,
არ ვიცი, ცოდვათა თუ სათაკილოდ მიაჩნდა. ამ
დრამის გარდა გლეხს, რაშიც დაისაჭიროვა მოძღვარი,
ყველაფერში ფულის თხოვნა დაუწყო, როგორც
ზევითა ვსთქვით, ოცი მანეთიდგან უკანასკნელი 17
მანეთი ჯვრის საწერი, 3 მანეთი წინ გასაძღოლი და
მებრვე სხვა. მღვდლებისაგან გათარხნებულმა ხალხმა
თან იუკადრისა და თანაც ვერ შესძლო ყოველ ამის
ხდა, სხვა და სხვა გადასახადისაგან გაბეგრილმა, და
ურჩობა დაუწყო. გულ-მოსულმა შუშუტა მღვდლის
გულმა მეტი ვეღარ შესძლო და საჩივარი აფრინა, სა-
დაც ჯერ იყო...

მთა აღყვავდა კეთილისა და დაუღალავის მოძღვარ-
მასწავლებლების წყალობით. საუკეთესო მამულის
შვილები მამულსავე უბრუნდებიან, რომ მეტი სინათლე
შეიტანონ ხალხში. დიაღ, ესმით რომ მარტო ოდენ
სწავლა-ცოდნას შეუძლიან ადამიანის სწორე გზაზედ
დაყენება და ამიტომ ეს ოდესმე ველური მთის ხალხი

ქალებსაც კი საუკეთესო სკოლებში ზდის და ჩვენში
კი, ვაი სირცხვილო, ვაჟი-შვილებიც კი უსწავლელნი
რჩებიან, ნამეტურ გლეხის შვილები. ვინ არის დამნა-
შავე, თუ არ სამღვდელოება, რომელსაც იმდენი გულ-
კეთილობა ვერ გამოუჩენია, რომ სოფლის შვილებს
ქართული წერა-კითხვა მაინც ასწავლოს... ამისთანა
უსულ-გულო და გაუგებარმა მღვდელმა თავის შესაფ-
ერი ადგილი უნდა მოსძებნოს და მათ ადგილს
სწავლა-ცოდნითა და დაუზოგველის მეცადინეობით აღ-
ჭურვილი მამულის შვილები გამწესდნენ. მაგრამ,
ჩვენდა საუბედუროდ, ეს ჯანითა, ღონითა და ენერგიით
სავსე ყმაწვილი კაცები მღვდლობას ჭირივით გაურ-
ბიან. ასე ჰგონიათ, რომ ანაფორიანისთვის კი კაი
კაცობა არ შეიძლებოდეს. თქვე კაი კაცებო, იმოდენა
არც ერთ ადმინისტრატორს, არც ერთს ბოქაულს არ
შეუძლიან გააკეთოს, რაც ერთ სოფლის მღვდელს,
ოღონდაც კი მამულის შვილობით იყოს გამსჭვალული.

გადაავლეთ გონების თვალი ქართლსა და კახეთს.
თუ გული არ მოგიკვდესთ. გაყინულ-გათოშილ უდაბ-
ნოს დაჰმზგავსებია ეს ოდესმე სწავლა-ცოდნის დედა
ბურჯი. თქვენ, სწავლა-ცოდნით აღჭურვილნო ყმაწ-
ვილნო კაცნო, ჩაიხედეთ გულის სიღრმეში, გადაავლეთ
თქვენს მშობელსა და აღმზრდელ ქვეყანას თვალი,
შეიბრალეთ თქვენივე ღვიძლი ძმები, რომელნიც
გლეხების სახელითა გვყვანან დანათლულები, გა-
მოუძებნეთ შესაფერი მალამო. „სარწმუნოება თვინიერ
საქმისა მკუდარ არსო“. ჩვენ ორივე დავკარგეთ,
სარწმუნოებაცა და საქმეც. ეს კი ყველასათვის
დასაფიქრებელი და სავალალოა. ან კი ვიღასთვის რა
გამოსადეგია ისეთი კაცი, რომელსაც არ ესმის
სარწმუნოება და არ იცის, ენას რა მნიშვნელობა აქვს
შთამომავლობისათვის.

ასეთი უნიადაგო ერი უფსკრულის პირზედა სდგას.
ერთის ხელის კვრის მეტი კი არ არის საჭირო, რომ
მთლად გამოეთხოვეს ყოველსავე. ჯერ კიდევ დროა,
თუ ჩვენმა ყმაწვილ-კაცობამ გადაიწერა პირჯვარი.
რამდენადაც ვიცით, ეგზარხოსმა ალექსიმაც შეჰნიშნა
ეს ნაკლი და ამიტომ უსწავლელი მღვდლები გადა-
ჰყავს შესაფერ ადგილს და მათ ადგილს ჯანითა და

ღონით სავსე სემინარიელებს აბარებს გათახსირებულ სამწყსოს და ჩვენ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შესვლისთანავე სწავლა-ცოდნის საქმეს შეუდგებიან და მომავალ ახალ თაობს გზად და ხიდად გაედებიან. მით უფრო, რომ დღეს სოფლის სამღვდელოებას სატირალ-საწუწუნო აღარა აქვს-რა. სოფლიდგან გამორჩენის გარდა, საკმაო ჯამაგირებიც ეძლევათ. ქაშის შეშინებული დოს უბერავდაო, იტყვიან ხოლმე. შეუგნებელ მღვდლის გადამკიდე დღეს მღვდლობას ვეღარავინა ჰბედავს, იმიტომ კი არა, კუჭს ვერ გავიძღებო, მარტო იმიტომ, რომ მღვდელსა და ერს შორის შური და მტრობაა გაბნეული.

მართლაცა და ძნელზედ ძნელია ამისთანა დროს ისეთის ტვირთის მოკიდება, როგორიც მღვდლობაა, მაგრამ ვისაც სამშობლო ქვეყანა უყვარს, ვისაც ქრისტე სწამს, ის თავს საწამებლადაც არ დაჰზოგავს, არამც თუ ქვეყნის სასამსახურად. დიაღ, ასე უქმნიათ მამებს და ასე უნდა ჰქმნან შვილებმაც (თუმცა ზოგიერთებისათვის ვერაფერი თამასუქია მამა-პაპათა მოგონება). ჩვენი მამა-პაპა დროს შესაფერ იარაღსა ჰხმარობდა და ჩვენც ასე უნდა ვქმნათ, შვილებმა. თორნიკე ერისთავს ერთს ხელში ჯვარი ეჭირა და მეორეში — ხმალი მიაჩეჩეს. ხალხი ამასა თხოულობს და დროსაც ეს ესაჭიროებაო. ნუ თუ ამ გმირ ადამიანის შთამომავალთ მომაკვდინებელ ქცევად ჩაუთვლის ვინმე, ვისაც კი რითიმე შეუძლიან, დაეხმაროს საზოგადოებას, მამულს და დაქვეითებულ სარწმუნოებას.

ზევითაცა ვსთქვით, ძალიან ძნელია ასეთ აწეწილ და დაქვეითებულ დროს სათავეში ჩადგომა, მაგრამ, განა ქრისტესათვის ადვილი იყო უშველებელის ჯვრის ზიდვა და ზედ სულის განტევება? დაუფიქრდით ამ გამსჭვალულ ადამიანის სურათს და პასუხი მომეცით. მაგრამ პასუხი ადვილია, საქმე ძნელი. და აკი ამ სიძნელეს გაურბის ჩვენი ახალგაზდობა. დროა-კი, ღვთის წინაშე, გამოისყიდონ, ზოგიერთებისაგან გაუკულმართებული საქმე და კვლავ აღადგინონ წარსულ მამა-შვილურური ძმობა-ერთობა და სიყვარული.

აი, რას თხოულობს თვით მაცხოვარი, აი როგორი უნდა იყოს დღევანდელი მღვდელი, რომ ხალხსაც ისე უყვარდეს, როგორც ქრისტე, როგორც თავი თვისი. ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინონ და მე კი მომიტეონ ყოველივე შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, ამ წერილით ჩემ მიერ ქმნილნი.

ქართლელ-კახელი.

[1904 წ.]

შენიშვნები
და კომენტარები



ტექსტისათვის

წინამდებარე ტომში მოთავსებული წერილების ერთი ნაწილი 1879-1883 წლებში გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერლად გამოქვეყნებული ის მოწინავეებია, რომელთა ავტორადაც მკვლევარმა ლევან ჭრელაშვილმა ილია ჭავჭავაძე მიიჩნია. მისი ეს მოსაზრება ძირითადად ემყარება ს. მესხის ანონიმური პუბლიკაციების სიას, რომელსაც მან გოგებაშვილის არქივში მიაკვლია. მეცნიერის აზრით, ყველა დანარჩენი ხელმოუწერელი მოწინავე გაზეთის მეორე რედაქტორს – ილია ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან, როგორც წესი, ავტორის მიუთითებლად მეთაურ წერილებს მხოლოდ რედაქტორები წერდნენ.[1]

აღნიშნულ ვარაუდზე დაყრდნობით თავდაპირველად განზრახული იყო ეს სტატიები ქრონოლოგიური რიგით ჩაგვერთო ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების შესაბამის ტომებში, მაგრამ აღნიშნული ტექსტების დეტალური გაცნობის შემდეგ გაჩნდა ეჭვი ზოგიერთი მათგანის ილიასეულობასთან დაკავშირებით. ეს დაეჭვება გააძლიერა იმანაც, რომ 1881 წლის „დროების“ ხელმოუწერელ მოწინავეთა შორის იაკობ გოგებაშვილის ორი სტატიაც აღმოჩნდა – „ტფილისი 8 მარტს“ (№ 50) და „ტფილისი 9 მარტს“ (№57). ეს წერილები, სათაურით „მზრუნველ იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა“, გოგებაშვილმა გამოაქვეყნა თავის „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველ ტომში და ამით დაადასტურა თავისი ავტორობა. იმის გამო, რომ ატრიბუციის დროს გამოყენებულ ძირითად არგუმენტს ბზარი გაუჩნდა, გადაწყდა ამ მასალის სავარაუდო წერილების ტომში დაბეჭდვა. ვფიქრობთ, ეს გადაწყვეტილება გარდა იმისა, რომ მეცნიერული თვალსაზრისით მართებუ-

[1] იხ. ლ. ჭრელაშვილის წერილები ჟურნ. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1981 წ., №2, 3 და 1985 წ., №5.

ლია, ამასთანავე მოსახერხებელიც არის მასალის შემდგომი კვლევისა და ანალიზისთვის.

წინამდებარე ტომში ლ. ჭრელაშვილის მიერ სიაში[1] შეტანილი ხელმოუწერელი სარედაქციო წერილების გარდა შემოდის სტატიების მეორე წყება, რომელიც ხელმოწერილია ფსევდონიმებით: „ქართული თეატრის მოყვარული", „ქართული თეატრის მოყვარე" და „ქართული სცენის მოყვარე"

წერილების მესამე ჯგუფი 1902-1903 წლების გაზეთ „ივერიაში "განსხვავებული შრიფტით დაბეჭდილი ანონიმური მეთაურები და ფსევდონიმებით „სცენის მოყვარე", „ბზიკი", ნაიბი", „დედის ერთა იოთამი" და „ქართლელ-კახელი" გამოქვეყნებული სტატიებია. მათი ილიასეულობის შესახებ საკითხის დასმაც იმავე მეცნიერ-ტექსტოლოგს ეკუთვნის სტატიაში „ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები 1900-იან წლებში", რომელიც გამოქვეყნდა „ილიას კრებულ II"-ში 2004 წელს.

ამას გარდა ტომში შეტანილია სხვადასხვა პერიოდის ორიოდე ტექსტი, რომლებიც მეცნიერთა კვლევის შედეგად მიეკუთვნა ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ ავტორობასთან დაკავშირებით მაინც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ტომის მთელი შედგენილობა დალაგებულია ქრონოლოგიურად და თითოეულ წერილს (გარდა პასპორტისა) დართული აქვს შენიშვნები, რომლებშიც მოტანილია წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით დღეისათვის ცნობილი საბუთები [2] და ჩვენი საკუთარი მოსაზრებები.

ავტორობის საკითხის საკვლევად შეიქმნა ილია ჭავჭავაძის და მისი თანამედროვე სხვა პუბლიცისტების — სერგეი მესხის, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ტექსტების კომპიუტერული ბანკი. ცალკეულ სიტყვათა და გრამატიკულ ფორმათა სიხშირეზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, ილიასთან უფრო ხშირად გვხვდება შემდეგი სიტყვები: „მოქალაქობრივი", „ვთქვათ", „აგერ", „მაგიერად", „ეჭირება", „რათ", „რად", „ჰბადავს", „ვიყვნეთ", „აღვიარებ", „აღკრძალვა", „ერთგვარ", „რაიცა" და სხვ. მაგრამ ხელმოუწერელი წერილების ენასა და სტილზე ჩატარებული

[1] ეს სია დართული აქვს ლ. ჭრელაშვილის წერილს, „ილია ჭავჭავაძის ხელმოუწერელი მოწინავეები..." „მაცნე" (ენისა და ლიტერატურის სერია), 1981, №1

[2] შენიშვნებში ყველა წერილთან აღარ ვიმეორებთ ლ. ჭრელაშვილის ზემოთ მოტანილ ზოგად არგუმენტს. ამ წერილების ილიასეულობის თაობაზე (ს. მესხის წერილებთან მიმართებაში), მივუთითებთ მხოლოდ იმ დამატებით საბუთებზე, რომლებიც ხსენებულ წერილებში მას ზოგიერთის მიმართ მოაქვს.

კომპიუტერული კვლევები იმდენად მკაფიო სურათს არ იძლევა, რომ ცალსახა დასკვნები გავაკეთოთ. ისინი მხოლოდ განამტკიცებენ არსებულ არგუმენტებს.

ეს ეხება ხელმოუწერელ წერილებს, მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა ავტორი შეგნებულად ცდილობს თავი შეინიღბოს, ენობრივი ანალიზი ატრიბუციისათვის თითქმის გამოუსადეგარია. სწორედ ამან განაპირობა სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილება — ყველა წერილი (რომელიც ლ. ჭრელაშვილმა ილიასეულად მიიჩნია) ამჯერად „სავარაუდოთა" განყოფილებაში მოთავსებულიყო. ამგვარად სხვა მეცნიერებსაც მიეცემათ საშუალება, ჩაერთონ პრობლემის კვლევაში და მკითხველსაც გაუადვილდება საკუთარი აზრის შექმნა მასალის ატრიბუციასთან დაკავშირებით.

ტომში შემავალი წერილებიდან მხოლოდ რამდენიმეს იცნობს მკითხველი საზოგადოება ილია ჭავჭავაძისეულად, თუმც ისინიც, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი, პირველად იბეჭდება მის თხზულებათა გამოცემაში[1]. აქვე შევიტანეთ ერთი ისეთი წერილი, რომლის ილიასეულობაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე იყო დადასტურებული[2]. ეს განაპირობა სურვილმა, ერთად წარმოგვეჩინა „დროების" ყველა ხელმოუწერელი მოწინავე. შეიძლება ითქვას, რომ ტომი მთლიანად ახალი მასალით არის დაკომპლექტებული.

რამდენიმე სტატია პირველწყაროში უსათაურო. ისინი, თხზულებათა აკადემიური გამოცემის სხვა ტომებში შემავალი მსგავსი წერილების მსგავსად, ტომის მომმზადებლებმა დავასათაურეთ და სათაური მოვათავსეთ ისრისებრ ფრჩხილებში.

ტექსტში უხვად შეხვდებით მრავალწერტილებს. მათი სიმრავლე ილია ჭავჭავაძის სტილისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ერთმანეთზე გადაბმული მრავალწერტილები, რომლებსაც ზოგჯერ მთელი სტრიქონები უკავია, ცენზურის მიერ ტექსტის შემოკლებაზე მიანიშნებს და თვალსაჩინოებისთვის პირველწყაროსეული ფორმით ვტოვებთ. აშკარა კალმისმიერ ლაფსუსებს ვასწორებთ და ვსვამთ კუთხოვან ფრჩხილებში.

პასპორტებში მივუთითებთ მხოლოდ ავტორისეულ თარიღებს, სავარაუდოებს კი ვათავსებთ ტექსტის ბოლოს მართკუთხოვან ფრჩხილებში.

† ლეილა სანაძე მაია ნინიძე ნანა ფრუიძე

[1] დაწვრილებით აქვე იხილეთ ხსენებული წერილის შენიშვნები.

[2] ლაპარაკია წერილზე „მეცამეტე გოჭები". დაწვრილებით იხილეთ ხსენებული წერილის შენიშვნები.

ქართული ტრუპპის შესახებ (გვ. 11)

ნ ა ბ ე ჭ დი: გაზ. „დროება“, 1879 წ., 15 აგვისტო, №169, გვ. 1-3

თ ა რ ი ღ ი: 9 აგვისტო

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ქართული თეატრის მოყვარული.

რაკი ეს წერილი დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე მაშინ, როდესაც მას ერთობლივად რედაქტორობდნენ სერგეი მესხი და ილია ჭავჭავაძე და არ არის შეტანილი ს. მესხის ბიბლიოგრაფიაში, იგი გაზეთის მეორე რედაქტორს – ილია ჭავჭავაძეს – მიაკუთვნა ლ. ჭრელაშვილმა, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრი გაიყო. გაჩნდა საწინააღმდეგო მოსაზრებებიც.

სტატია დაწერილია ქართული მუდმივი დასის ჩამოყალიბების პერიოდში. ილია დიდი აღფრთოვანებით მიესალმა ამ ეროვნულ საქმეს. იგი ყველანაირად ცდილობდა, ხელი შეეწყო ქართული ტრუპის ეკონომიკური თუ მორალური მომძლავრებისათვის და თავგამოდებით იბრძოდა მის შესანარჩუნებლად. ამ პერიოდში დაწერილ თავის „შინაურ მიმოხილვებში“ იგი წერდა: „თეატრის საქმე ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყველა ქართველმა ხელი უნდა მოუმართოს“. მის შენიშვნებს უმალ თან მოსდევდა იმედით სავსე სიტყვები ქართული თეატრის მომავალზე: „ჯერ უჩვევნი არიან ბევრი მათგანი,– წერს იგი ქართველ მსახიობებზე,– და იმედია, რომ გაიწვრთნებიან“. მსახიობის მიერ როლის უცოდინრობის თაობაზე მწერალი აღნიშნავს: „იმედია, რომ ბეჟითი რეჟისორი მოსპობს ამას“. დრამატიული საზოგადოების წესდების დამტკიცებით აღფრთოვანებული კი წერს: „...თუ ამ საქმის მოთავენი ენერგიულად და დაუზარებლად მოიწადინებენ თავიანთი დანიშნულების შესრულებას, თანამგრძნობიც ბევრი იქნებაო“[1]. ამიტომაც აღნიშნავდა გიგა ყიფშიძე, რომ „ქართული თეატრისა და დრამატიული საზოგადოების საქმეებს ილიამ არა ერთი და ორი თანაგრძნობით გამთბარი წერილი[2] უძღვნა“.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, 1955 წ. გვ.51.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1914 წ., გვ. XLl.

ლეილა სანაძის აზრით, სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე „ქართული თეატრის მოყვარულის“ ფსევდონიმით ხელმოწერილ ამ წერილში,[1] სადაც ვკითხულობთ: „ჩემზე ქართული ტრუპის წარმოდგენებმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინესო“. ავტორი მკაცრად აფასებს მსახიობთა უმეტესობის საშემსრულებლო ხელოვნებას და დასძენს: „აი, ეს არის ჩვენი ტრუპის არტისტები, ცალ-ცალკე რომ გავარჩიეთ, ბევრით ნაკლულევანი არ გამოვიდა, მაგრამ, როდესაც ყველას ერთად შევკრებთ, მაშინ მომეტებულიცა აქვთო“ და კიდევ: ასეთ მსახიობებს: „...უნდა უსტვინონ და გააგდონ სცენიდამო“. ხოლო ქართული ტრუპის მისამართით, რომლის შენარჩუნებასაც ასე ცდილობს ილია, ანონიმი ავტორი წერს: „თუ ტრუპა თავის დანიშნულებას უკეთ არ აღასრულებს, საზოგადოებისათვის სანატრელი იქნება, რომ ეს ტრუპა სრულიად არ დაწესდეს, რადგან თეატრის საქმეს ესენი მარტო ვნებას მოუტანენ“.

წარმოდგენილი პარალელური კვლევის შედეგად ლეილა სანაძე აღნიშნავს, რომ აშკარაა ილიასა და „ქართული თეატრის მოყვარულის“ პოზიციათა სხვადასხვაობა თეატრალური დასის შეფასების საკითხში. ამას, მისი თქმით, თვითონ ანონიმი ავტორიც აღნიშნავს, როცა წერს: „ძალიან მიკვირს გაზეთებში საყოველთაოდ ამათი (ქართული დასის ლ.ს.) ქებაო“. მკვლევრის აზრით, ილიას ავტორობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს აგრეთვე ერთი ადგილი ამ წერილიდან: – „რამდენჯერ მინახავს ის სცენაზე თუ გორში, თუ ტფილისში“, – წერს ნ. გაბუნიას შესახებ ავტორი. როგორც ცნობილია, ნ. გაბუნია 1879 წლამდე (გათხოვებამდე) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გორში ქართველ ხალხოსანთა მიერ დაარსებულ სცენისმოყვარეთა დასში. მოულოდნელია, რომ ილია რამდენჯერმე დასწრებოდა გორის სცენის მოყვარეთა დასის წარმოდგენებს. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ლეილა სანაძე მიიჩნევს, რომ ამ წერილის ავტორი არ შეიძლება იყოს ილია ჭავჭავაძე.

მოხმობილი არგუმენტები, რა თქმა უნდა, საგულისხმოა, მაგრამ მათ საფუძველზე ცალსახა დასკვნის გაკეთება მაინც არ შეიძლება. ჩვენ ვიცით__არაერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ნიღბავდნენ მწერლები საკუთარ ვინაობას. გავიხსენოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის შემთხვევა, როცა ის ზუმბერიძის ფსევდონიმით ხელმოწერილ სტატიას „ორიოდე

[1] „შინაური მიმოხილვებისაგან განსხვავებით იგი განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა“,.

სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ უგზავნიდა თავის მეგობარ ილია წინამძღვრიშვილს „ცისკარში“ დასაბეჭდად და სთხოვდა, დაერწმუნებინა რედაქტორი, რომ თავადი ზუმბერიძე რეალურად არსებული პიროვნება იყო. იგივე ილია ჭავჭავაძე თბილისში დაწერილ სტატიებს “ძაუჯიყაუს“ აწერდა, თითქოს ვლადიკავკასიდან აგზავნიდა. მსგავსი <u>მაგალითი</u> ძალიან ბევრია.

ფსევდონიმ „ქართული თეატრის მოყვარულით“ ხელმოწერილი ეს სტატია და „ქართული თეატრის მოყვარის“ წერილი „ქართული თეატრის შესახებ“ (1881 წ. № 168), რომელიც ამავე ტომში იბეჭდება, ამ უკანასკნელში არსებული პირდაპირი განაცხადის მიხედვით ერთ ავტორს ეკუთვნის. ე. ი. “მოყვარე“ და „მოყვარული“ ერთი და იგივე პირია. მაგრამ „ქართული თეატრის მოყვარის“ ფსევდონიმით არის ხელმოწერილი კიდევ ერთი თეატრალური მიმოხილვა – „ქართული თეატრის მატიანე“ (1880 წ. №104), რომელიც იმავე ავტორს უნდა ეკუთვნოდეს. ამასთანავე, პოლემიკას, რომელსაც იწყებს ალექსანდრე ყაზბეგი სწორედ ამ წერილების ავტორთან, რატომღაც პასუხობს „ქართული სცენის მოყვარე“, რასაც ამ ავტორის ნაწერების არეალში შემოაქვს „დროების“ კიდევ ერთი სტატია – „თეატრის შესახებ“ (1881წ. №201) და გაზეთ „ივერიაში“ 1903 წელს დაბეჭდილი წერილები – „ქართული თეატრი და მისი რეჟისურა“ და „წლიურად შენახვა ქართულ დასისა“, რომლებსაც ხელს აწერს „სცენის მოყვარე“.

თუმც ეს ავტორი პირველივე წერილში ცდილობს თავი რედაქციისაგან შორს მდგარად მოგვაჩვენოს, ის საკმაოდ „პრეტენზიულ“ წერილებს აქვეყნებს. ეს არ არის თეატრის რიგითი მაყურებელი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი შთაბეჭდილებების გამოხატვა სურს და მის მიერ ხელმოწერილ ერთ-ერთ წერილს შემთხვევით არა აქვს სათაურად „ქართული თეატრის მატიანე“. ის მართლაც თეატრის მემატიანეა და, ჩვენი ვარაუდით, „დროებაში“ დაბეჭდილი „თეატრის მატიანეების“ (1880 წ. № 8, 9, 13, 20, 26, 43, 93, 99; 1881 წ. № 25, 32) ავტორი.

ლევან ჭრელაშვილის შენიშვნით, სიტყვა „მატიანე“ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ილიამ დაამკვიდრა. საგულისხმოა, რომ „ივერიაში“ „საქართველოს მატიანის“ ციკლის ავტორიც თავად იყო. საინტერესოა მეცნიერის დაკვირვება, რომ „დროებაში“ თეატრალური მიმოხილვის ციკლები, რომლებსაც სხვადასხვა ავტორები უძღვებოდნენ, სხვადასხვა რუბრიკის ქვეშ იყო გაერთიანებული – სერგეი მესხისას

„ქართული წარმოდგენა“ ერქვა, აკაკი წერეთლისას — ქართული თეატრი“ ან „თეატრი“, იონა მეუნარგიასას — „თეატრალური ქრონიკა“, „თეატრალური მატიანეები“ კი ხელმოუწერლად იბეჭდებოდა სარედაქციო გვერდის სარდაფში, რაც ერთ-ერთი მიმანიშნებელია რედაქტორის ავტორობაზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფსევდონიმი ხშირად რეალური ავტორისგან ყურადღების ასარიდებლად იქმნება, ვერ ვიტყვით, რომ ილიას ცნობილ სტატიებსა და ამ ანონიმურ წერილებში გამოთქმული ცალკეული შეფასებების სხვაობა მის ავტორობას უნდა გამორიცხავდეს. ჩვენი საზოგადოება კრიტიკას პიროვნულ შეურაცხყოფად იღებს და ძნელად ეგუება, უარყოფითი მხარეებისა და შეცდომების უგულებელყოფა კი წინსვლას აფერხებს. ილიასათვის მთავარი იყო, რომ ნაკლი დაუნახავი არ დარჩენილიყო და გამოსწორებულიყო. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მას უყვარდა და პიროვნულად პატივს სცემდა, შეცდომებზე ანონიმურად მიეთითებინა. მთავარია, რომ მისი კრიტიკა, რაოდენ მწვავეც უნდა ყოფილიყო, ყოველთვის ობიექტურობით და საკითხისადმი ჯანსაღი მიდგომით გამოირჩეოდა.

წინამდებარე წერილს მკაცრი ტონი რომ ჩამოვაშოროთ და აზრს დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ საქმე გვაქვს გამჭრიახ შეფასებებთან და სწორედ იმავე ტიპის შენიშვნებთან, როგორებიც გვხვდება ილიას ცნობილ თეატრალურ მიმოხილვებში. წარმოგიდგენთ ამონარიდებს ამ სტატიასთან შექმნის დროის თვალსაზრისით ყველაზე ახლო მდგომი „თეატრის მატიანიდან“ („დროება“ 1880 წ. 13 იანვარი, №9): „...მოუმზადებლობა, მცირე ყურადღება საქმისადმი, დაუდევნელი “დადგენა პიესისა”... როლების გაზეპირება რა არის, ამასაც კი არ ცდილობენ აკტიორები“, „არ იცის არც ლაპარაკი, არც სიარული, არც თავის დაჭერა“. ავტორის დასკვნა კი ასეთია: „თუ ამისთანა პირველდაწყებითი მოთხოვნილებანი სცენისა არ არიან აღსრულებულნი, თეატრი ყოვლად შეუძლებელია“. „დროების“ № 93-ში წარმოდგენილ „თეატრის მატიანეში“ კი ვკითხულობთ: „სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო იმისთანა წარმოდგენა, როგორიც ამ უკანასკნელ ორშაბათს გაიმართა ჩვენს თეატრში, დარწმუნებული ვარ, ერთი მაყურებელიც არ დარჩებოდა ბოლომდე, ან თუ დარჩებოდა, მარტო იმისთვის, რომ სტვენით და შიშინით გამოესალმოს მოთამაშეებს“.

ის ფაქტი, რომ წერილის „ქართული ტრუპპის შესახებ“ ავტორი გაზეთის რედაქტორზე გამოკვეთილად მესამე პირში საუბრობს, მისდამი ოფიციალურ დამოკიდებულებას ხაზს

უსვამს და შიგადაშიგ არაპროფესიონალურ ლექსიკას იყენებს, შესაძლოა ჟურნალისტურ პრაქტიკაში ფართოდ აპრობირებული ნიღაბი იყოს. ამ და ფსევდონიმით ხელმოწერილ სხვა პოლემიკურ წერილებთან დაკავშირებით ენისა და სტილის კვლევის შედეგებს ატრიბუციისათვის ვერ გამოვიყენებთ, რადგან ასეთ შემთხვევებში ავტორი ხშირად ხელოვნურად ახდენს ხოლმე სტილიზაციას. ამგვარად, ამ სტატიასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის ავტორობას გადაჭრით ვერც უარვყოფთ და ვერც ვამტკიცებთ

რა გავაკეთეთ ბათუმში? (გვ. 18)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 6 იანვარი, №4, გვ,1

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილის თემა — მაჰმადიანი ქართველების ცხოვრების მძიმე პირობები, ილიას ინტერესთა სფეროში შემოდის. მან ამ საკითხს არაერთი სტატია უძღვნა. ილიას ავტორობაზე მიანიშნებს წერილის სტილიც. აქ რამდენჯერმე გვხვდება შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით ერთი და იმავე სიტყვის თანმიმდევრული გამეორება წინადადებებში, რაც ილიასათვის იყო დამახასიათებელი. აქვე გვხვდება ილიას ლექსიკისათვის დამახასიათებელი სიტყვა-ფრაზები: „გული შესტკივათ“, „კაცობრიული“ და „მამაკვდავი“. მეორე მხრივ, თითქოს ილიას ავტორობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს მისი ლექსიკისათვის უჩვეულო ფორმა — „გამამადიანება“, და „სამამადიანი“ — ილია ამ სიტყვას „ჰაეთი“ წერდა.

საყურადღებოა, რომ ლ. ჭრელაშვილი ზემოხსენებულ სტატიაში სპეციალურად მსჯელობს ამ წერილზე, მაგრამ იგი უყურადღებოდ ტოვებს ამ უკანასკნელ ფაქტს და როდესაც წერილიდან ციტატები მოჰყავს, „გამაჰმადიანებულს“ წერს. ჩანს, რომ მან ამ სიტყვის „ჰაეს“ გარეშე ხმარება კორექტურულ შეცდომად მიიჩნია, მაგრამ ამ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ანალოგიური ფორმის გამოყენება — „სამამადიანო“, რომელიც აგრეთვე გვხვდება საკვლევ წერილში.

საგანგებოდ უნდა შევაჩეროთ ყურადღება სიტყვაზე „ბათუმი“, რომელიც „დროების“ ხელმოუწერელ წერილებში ორგვარი ფორმით იხმარება: „ბათუმი“ და „ბათომი“. აქ წარმოდგენილ მასალაში ეს საკუთარი სახელი სულ 12

წერილში გვხვდება – შვიდში თავიდან ბოლომდე[1] „ბათუმია“, ხუთში – „ბათომი“, ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ წერილებს, შესაძლოა, სხვადასხვა ავტორი ჰყავთ. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ „ბათუმიანი“ ექვსი წერილი თანამიმდევრობით არის დაბეჭდილი, რასაც მოსდევს „ბათომიანი“ ხუთი წერილი, შემდეგ კვლავ იწყება „ბათუმი“ და ა. შ. ეგებ ესეც ამა თუ იმ ავტორის პერიოდულ მოუცლელობაზე მიანიშნებდეს. ჩვენი ვარაუდით „ბათუმიანი“ წერილებიც ილიას უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა არის ამის საწინააღმდეგო ეჭვის აღმძვრელი ფაქტებიც (იხ.: შენიშვნები წერილისა „დაბრუნებული აბხაზები“), მაგრამ უფრო ჭარბად ილიას სტილი და ლექსიკა დაცულია „ბათუმიან“ წერილებში (ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ქვემოთ თითოეული წერილის შენიშვნები).

მსგავს ფაქტებს კატეგორიული დასკვნის გასაკეთებლად ვერ გამოვიყენებთ, რადგან ვიცით ისეთი შემთხვევებიც, როცა თავად ილია ჭავჭავაძე ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულს მოღვაწეობის ერთ პერიოდში სხვანაირად წერდა და მეორეში – სხვანაირად. მაგალითად სიტყვას „ერთმანეთი“ ამ სახით ხმარობდა 1887-88 წლების მიჯნამდე და 1888 წლის მეორე ნახევრის შემდეგ გამოქვეყნებულ წერილებში (იხ.: თხზ. აკად. გამოც. ტ.V, გვ. 364, 416, 456, 457 და სხვ.), მაგრამ ამ შუალედში, სულ რამდენიმე თვის მანძილზე, იყენებდა ფორმას „ერთმანერთი“ (იხ.: იქვე, გვ. 388, 396, 404 და სხვ).

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილ არგუმენტებს ავტორობასთან დაკავშირებით საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად ვერ გამოვიყენებთ და ვერ ვიტყვით, რომ ამა თუ იმ ფორმის არსებობის გამო წერილები არ შეიძლება ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდეს. ამ პერიოდში ქართულ მართლწერაში ბევრი პარალელური ფორმა თანაარსებობდა და ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მწერალი მოკლე დროის ინტერვალში ხან ერთს იყენებდა და ხან – მეორეს. სიტყვის დაწერილობა შეიძლებოდა შეეცვალა ასოთამწყობს ან კორექტორსაც. ეს, რა თქმა უნდა, თეორიული ვარაუდებია და ვერაფრით დავადასტურებთ, მაგრამ ალბათობა მაინც არსებობს და ამიტომ საკითხი ამ სტატიის ავტორობის შესახებ ღიად რჩება

[1] ამის შესახებ დამატებით იხ.: „ბათომის სკოლის“ შენიშვნები.

არაყის ბაჟი (გვ. 22)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 1880 წ., 8 იანვარი №5 გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 7 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ამ თემის გაგრძელებაა ილიას მიერ „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატიები: 1881 წლის დეკემბრის, 1882 წლის ნოემბრის და 1883 წლის ოქტომბრის „შინაური მიმოხილვები“. წერილის ილიასეულობაზე მიანიშნებს აგრეთვე მისი ენა და სტილი. კერძოდ, მიცემით ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელის ბრუნვის ნიშნით ხმარება და საზღვრულისა – „ა“ მავრცობით, მაგ.: „ფულიანს კაცსა“ და სხვ. გვხვდება აგრეთვე ილიასათვის ჩვეული სიტყვათა წყობა: „საერთოდ... და საკუთრივ...“ ილიასეულს ჰგავს არგუმენტირებისა და მტკიცების ფორმა – საკუთარი თვალსაზრისის სხვადასხვა კუთხით დასაბუთება და როცა თითქოს ყველაფერი ნათელია, კვლავ ახალ-ახალი საბუთებისა და მაგალითების მოტანა.

ჩვენი ხელოსნობა და ხელოსნები (გვ. 26)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 9 იანვარი, №6, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 8 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილის პრობლემატიკა ძალიან მნიშვნელოვანია ილიასათვის. ის არაერთ სხვა სტატიაშიც საუბრობს ხელოსნობაში ქართველთა არასაკმარის წარმატებებზე. გვხვდება მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა, სიტყვაფორმები და ფრაზეოლოგიაც: „შეუძლიან“, „რომელსამე“, „სანთლით საძებნელია“, „რად“ (ორჯერ) და სხვ.

თეატრის მატიანე (გვ. 30)
(გაბუნიას ქალის ბენეფისი...)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 12, 13 იანვარი, №8, გვ. 1, 2; № 9 გვ. 1-3

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ფელეტონად, ხელმოუწერლად.

ამ სტატიით დაიწყო „დროებაში“ „თეატრის მატიანეების“ ციკლი. მასში ავტორი მსჯელობს არა მხოლოდ ბენეფისზე დასწრებით მიღებულ საკუთარ შთაბეჭდილებებზე, არამედ თეატრალურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ ზოგად პრობლემებსა და პრინციპებზეც. ეს ძალიან დამახასიათებელია ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური სტილისათვის. გვხვდება მისთვის ჩვეული ენობრივი ფორმები, ფრაზები და ლექსიკური ერთეულებიც. მაგალითად ამ ვრცელ წერილში, რომელიც გაზეთის ორ ნომერში გამოქვეყნდა, „ზე“ თანდებული საერთოდ არ გვხვდება, „ზედ“ კი, როგორც კომპიუტერულმა კვლევამ გვაჩვენა – 25-ჯერ. ილიასათვის დამახასიათებელია პუბლიცისტიკაში სამეტყველო ფრაზების გამოყენება აქ გვხვდება „ნურას უკაცრავად“, („ავად ვთამაშობ თუ კარგად, ნურას უკაცრავადაო,“ შდრ. „მასალა და წყარო არა მქონდა რაო... და, ნურას უკაცრავად, თუ არაფერსვე გაძლევთო“, იხ. „აი ისტორია“, წერილი მესამე და სხვ.) ილია ჭავჭავაძე ხშირად იყენებს სიტყვას „ნასკვი“ და „გამონასკული“ („ამაშივეა გამონასკული აკტიორის თამაშობაც“ შდრ. „ის ისტორიული ნასკვი, რომელიც უნდა გაეხსნა ან გაეპო ბისმარკს, დიდის ხნის გამონასკვული არის...“ იხ.: <ევროპის შეშფოთება იმპერატორ ფრიდრიხის ადმყოფობის გამო> და სხვ.)

თეატრის შესახებ სერგეი მესხიც ბევრს წერდა. მისი თეატრალური წერილები ცალკე წიგნადაც არის გამოსული, მაგრამ რამდენადაც ჩვენ ხელთა გვაქვს იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი საკმაოდ სრულყოფილი ბიბლიოგრაფია და მასში წინამდებარე ტომში წარმოდგენილი „თეატრის მატიანეები“ არ არის შეტანილი, ვფიქრობთ, რომ მისი ავტორობა ნაკლებ სავარაუდოა. ასევე შედარებით სრულად არის აღნუსხული გოგებაშვილის ნაწერებიც. როგორც მეცნიერთა კვლევებმა გვაჩვენა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ მხრივ ყველაზე ნაკლებად იყო მოვლილი ილია ჭავჭავაძის ნაწერები. სწორედ ამით უნდა

აიხსნას, რომ წინამდებარე აკადემიურ გამოცემაში წარმოდგენილი თხზულებების ნახევარი ფართო საზოგადოებისათვის თითქმის საუკუნის მანძილზე არ იყო ცნობილი, როგორც ილია ჭავჭავაძის ნაღვაწი.

ამ სტატიის ატრიბუციასთან დაკავშირებით ლევან ჭრელაშვილის დაკვირვებებს ამ არგუმენტებსაც თუ დავუმატებთ, კიდევ უფრო მოიმატებს ილია ჭავჭავაძის ავტორობის ალბათობა.

ერთს პატარა შემთხვევაზე (გვ. 38)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 16 იანვარი, №11, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 12 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

როგორც ამ წერილის მინაწერიდან ჩანს, იგი დაწერილია 12 იანვარს, მაგრამ რადგან ცნობა ბათუმის პოლიციის მოხელის უწესო საქციელზე მხოლოდ 16 იანვარს გამოქვეყნდა „დროების“ „ახალ ამბებში“ (რაზეც ლაპარაკია ამ წერილში), ეს წერილიც მცირედი დაგვიანებით (16 იანვარს) დაიბეჭდა. ამის გამო ჩვენ იგი მოვათავსეთ 13 იანვრის მოწინავის წინ და არა მის შემდეგ.

თემა ილიასათვის საინტერესოა და საკითხისადმი დამოკიდებულებაც – მისაღები. გვხვდება მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა:, „მმართებლობა“, „მაგიერად“, „ზედმოქმედება“ და სხვ. მაგრამ აგრეთვე გვხვდება იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმა „წვრიმალი“ (სამჯერ).

<ჩვენი ეკონომიკა> (გვ. 40)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 13 იანვარი, №10, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 13 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილი სავსებით შეესაბამება ილია ჭავჭავაძის მოსაზრებებს საქართველოში ეკონომიკის განვითარების აუცილებლობასთან დაკავშირებით. გვხვდება მისთვის დამახასიათებელი სიტყვაფორმები და გამონათქვამებიც: „მიზეზთაგანი", „გასინჯულ იქმნა", „აქამომდე", „ჰბადავს" და სხვ.

<თვითმმართველობის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის> (გვ. 43)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება", 1880 წ., 18 იანვარი, №13, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 15 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილს ეტყობა, რომ მისი ავტორი კარგად იცნობს არა მხოლოდ ჩვენს, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკასაც. ასეთ ცოდნას ამჟღავნებს ილია ჭავჭავაძე ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილ თავის არაერთ სტატიაში, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ერთი რიგითი არგუმენტია, რომლის საფუძველზეც ცალსახა დასკვნებს ვერ გავაკეთებთ. ენა და სტილი, სხვა წერილების მსგავსად, ჰგავს ილიასას.

თეატრის მატიანე (გვ. 46)
(„მე მინდა კნეინა გავხდე...)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება", 1880 წ., იანვარი, №13 გვ. 1-3

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ფელეტონად, ხელმოუწერლად.

ეს წერილი აგრძელებს გაზეთ „დროებაში" დაბეჭდილი „თეატრის მატიანეების" ციკლს. იგი ამ ჯგუფის სხვა სტატიებისაგან რითიმე გამორჩეული არ არის. აქაც გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები, მაგალითად „გამონასკული" იხ. "თეატრის განმანათლებელი და გამწრთვნელი მნიშვნელობაც ყველაზედ უწინარეს ამაშია გამონასკული". რა თქმა უნდა, ცალკეულ სიტყვებზე და ფრაზებზე დაყრდნობით ატრიბუციასთან დაკავშირებით გადამჭრელ დასკვნებს ვერ გავაკეთებთ, მაგრამ ვფიქრობთ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ მსგავსი დაკვირვებების საწარმოებლად შედგენილი, XIX საუკუნის სხვადასხვა მწერლების პუბლიცისტური ნაწერების ბანკში ეს სიტყვა ერთხელაც არ შეგვხვედრია. ეს კი „თეატრის მატიანეების" ციკლის უკვე მეორე სტატიაა, სადაც იგი მეორდება. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიების „ქართული ტრუპპის შესახებ" (გვ. 11) და „თეატრის მატიანე (გაბუნიას ქალის ბენეფისი...)" (გვ. 30) შენიშვნები.

ასათიანის მოკვლაზედ (გვ. 49)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება", 1880 წ., 19 იანვარი, №14, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 17 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი იურიდიული საქმის მცოდნის მიერ არის დაწერილი, რომელსაც კარგად ესმის, რომ სასამართლო განაჩენის გამოტანამდე ადამიანის, თუნდაც ეჭვმიტანილის, დამნაშავედ გამოცხადება არ შეიძლება. როცა გაზეთის ერთ-ერთი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო, ასეთი საკითხის გაშუქებას, ალბათ, სხვა არ მოჰკიდებდა ხელს. მკვლევარ ლევან ჭრელაშვილის აზრით, „დროების" რედაქტორებს შორის იყო თემების ერთგვარი გადანაწილება და ასეთ, მისთვის პროფესიულ საკითხებზე, ილია წერდა.

გვ. 49 „ასათიანის მოკვლა" – ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი (1874 წლიდან) მიხეილ ასათიანი 1879 წლის 16 დეკემბერს რევოლვერით მოკლა

ამავე სასწავლებლის მასწავლებელმა ღვინიაშვილმა, რომელთანაც მას უთანხმოება ჰქონდა.

გვ. 49 „ნინო ანდრეევსკის ქალის მოკვლის დროს...“ – მთავარმმართებელ ვორონცოვის ექიმის ქალიშვილი მოკლეს 1876 წლის 22 ივლისს.

კავკასიის უნივერსიტეტი (გვ. 52)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 23 იანვარი, №17, გვ. 1 და 24 იანვარი,
№18, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 22, 23 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილის ავტორი თბილისში კავკასიის უნივერიტეტის გახსნის გულითადი მომხრეა. მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ასეთივე მომხრე იქნებოდა ყველა ჩვენი მოქალაქე, მაგრამ ასე არ არის. არსებითად უნივერსიტეტის წინააღმდეგი შესაძლოა არც არავინ იყო, მაგრამ იმის თაობაზე, უნივერსიტეტის გახსნა უფრო საშური საქმე იყო თუ დაწყებითი და საშუალო სასწავლებლებისა, არა თუ ზოგადად ქართული საზოგადოების, ისეთ თანამოაზრეთა შეხედულებებიც კი იყოფოდა, როგორებიც ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი იყვნენ. ეს წერილი გამოხმაურებაა ამავე გაზეთის № 16-ში დაბეჭდილი იაკობ გოგებაშვილის სტატიისა, სადაც იგი წერს: „თუ ქართველობის რიცხვმა გიმნაზიებში ათად და ოცად არ იმატა, განა ბევრს რასმე მოგვათბობს ჩვენ უნივერსიტეტი?“ მართებულად მიგვაჩნია ლ. ჭრელაშვილის აზრი ამ წერილის ილიასეულობაზე. ამას გვაფიქრებინებს მისი სტილი და ზოგიერთი ლექსიკური ფორმაც (მაგ.: „ზნეობითი ძალა“ „ეჭირება“ და სხვ.).

გვ. 56 „19 თებერვალს, ერთად ძმურად იშუამდგომლებენ უმაღლესი მთავრობის წინაშე, რომ კავკასიაში უნივერსიტეტი გაიხსნას“ – 19 თებერვალს მთელი რუსეთის იმპერიაში აღინიშნებოდა ხელმწიფე იმპერატორის – ალექსანდრე II-ის – ტახტზე ასვლის 25 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით მას იმპერიის ყველა მხრიდან წარედგინებოდა რაიმე თხოვნა. როგორც წერილიდან ჩანს, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის

სურვილი იყო მეფისათვის ეთხოვათ თბილისში უნივერსიტეტის დაარსება. ამის შესახებ დამატებით იხილეთ აქვე წერილი „საფუძველი კავკასიის უნივერსიტეტისა“ და მისი შენიშვნები.

ვისთვის არის ეს საჭირო? (გვ. 57)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 25 იანვარი, №19, გვ. 1

თ ა რ ი ღ ი: 24 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი იმ დროს ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მტკივნეულ საკითხს – ახლად შემოერთებული აჭარის მცხოვრებთა ოსმალეთში დაბრუნებას ეხება. ამ თემისთვის ილიას არაერთი საინტერესო წერილი აქვს მიძღვნილი, რომლებშიც ის ასევე კატეგორიული და პრინციპულია. ძლიერი ემოციური დატვირთვა, შთაბეჭდილების გაძლიერებისათვის ერთი და იმავე ფრაზის გამეორება, ენობრივი და სტილური ფორმები გვაფიქრებინებს, რომ ეს წერილი ილიასი უნდა იყოს.

თეატრის მატიანე (გვ. 61)
(„კოტე მესხის ბენეფისი...“)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., იანვარი, №20 გვ. 1-3

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ფელეტონად, ხელმოუწერლად.

წერილში არის მინიშნება, რომელიც ადასტურებს ამ და ერთ-ერთი წინა „თეატრის მატიანის“ ავტორთა იგივეობას: „მაყურებელსაც, როგორც ერთხელაც მოგახსენეთ, გამოაქვს თეატრიდამ რთული შთაბეჭდილება და არა ნაწყვეტ-ნაწყვეტი...“ ვკითხულობთ ამ წერილში. ამის შესახებ საუბარი იყო „თეატრის მატიანეში“ („გაბუნიას ქალის

ბენეფისი...“): „...რთულია აგრეთვე ის შთაბეჭდილებაც, რომელიც გამოაქვს მაყურებელს თეატრიდამ“.

სხვა „თეატრის მატიანეების“ მსგავსად, აქაც გვხვდება ცალკეული ენობრივი და სტილური ელემენტები, რომლებიც ილია ჭავჭავაძისთვის არის დამახასიათებელი. ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ ჩვენებითი ნაცვალსახელის მავრცობიან ფორმას – „ამა“, რომელიც მსაზღვრელად არის გამოყენებული, იხ. „...დამოკიდებულია ამა ხელოვნების ავკარგიანობაზედ...“ შდრ. „თუ ამა საქმის გარემოება ვრცლად არ გამოესახა კაცს.... იხ. „ავლაბრელების საქმის“ მეორე წერილი და სხვ. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიების „ქართული ტრუპის შესახებ“ (გვ. 11) და „თეატრის მატიანე (გაბუნიას ქალის ბენეფისი...)“ (გვ. 30) შენიშვნები.

ფიქრი და შენიშვნა (გვ. 66)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 29 იანვარი, №22 გვ. 1-3

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ფელეტონად, ხელმოუწერლად.

წერილი ამავე სათაურით ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა 1878 წელს „ივერიის“ №7-ში ქვეშ მინაწერით „შემდეგი იქნება“, მაგრამ სტატიას გაგრძელება არ მოჰყოლია ცენზურის აკრძალვის გამო. ამის შესახებ იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის V ტომში „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილის „ფიქრი და შენიშვნა“ კომენტარები (გვ. 646). მართალია, ამ სათაურით წერილებს სხვა ავტორებიც წერდნენ, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არც ილიას ავტორობაა გამორიცხული. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელმოუწერელ ფელეტონებს მეტწილად რედაქტორი წერდა, ტექსტის ამ ტომში მოთავსება სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია.

თეატრის მატიანე (გვ. 70)
(„ყომარბაზის ცხოვრება...“)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 2 თებერვალი, №26 გვ. 1-3

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ფელეტონად, ხელმოუწერლად.

ეს წერილიც სავსებით შეესაბამება “თეატრის მატიანეების“ მთლიან ციკლს. აქაც გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი სამეტყველო ფრაზები, მაგალითად „შენ არ მომიკვდე“, იხ. „ყველა ამისთანა გამოცდა შინაობაში უნდა მოხდეს და არა მაყურებლის თვალწინ, რომელიც მოსულა არა აკტიორების ვარჯიშობის სანახავად, არამედ დამზადებულ და რთულ სათეატრო წარმოდგენის საყურებლად. მაგრამ შენ არ მომიკვდე...“ შდრ. „კაცსა ჰგონია, ამის შემდეგ მაინც ხელს აიღებდა გამგეობა რკინისგზის დაგვისა და ნაგავის გადაყრისაგან ქალაქის ხარჯითაო. თქვენ არ მომიკვდეთ“ იხ. <საგაზეთო შენიშვნები თბილისის გამგეობის საქმეებზედ>. „თეატრის მატიანედან“ მოხმობილ ამონარიდში გვხვდება სიტყვა „შინაობაში“, რომელიც ასევე დამახასიათებელია ილიასათვის, მაგ. „ქუთათურები შინაობაში იმდენს ლაპარაკობდნენ...“ იხ. <შეუწყნარებელი გულგრილობა საზოგადო საქმისადმი>. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიების „ქართული ტრუპის შესახებ“ (გვ. 11) და „თეატრის მატიანე (გაბუნიას ქალის ბენეფისი...)“ (გვ. 30) შენიშვნები.

<ქუთაისის ბანკის უფლებამოსილების გაფართოება> (გვ. 74)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 14 თებერვალი, №35, გვ. 1 და 17 თებერვალი, №38, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 13 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილი ბანკის საქმეების კარგი მცოდნის მიერ არის დაწერილი. ამასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ, რომ სარედაქციო გვერდზეა მოთავსებული და ამ გაზეთის ორიდან ერთი რედაქტორი ილია ჭავჭავაძეა, მეორის თხზულებათა ბიბლიოგრაფიაში კი წერილი შეტანილი არ არის, ვფიქრობთ, სასწორი აშკარად ილია ჭავჭავაძის ავტორობის მხარეს იხრება. მან ასევე ხელმოუწერლად „ივერიაშიც“ არაერთი წერილი გამოაქვეყნა ქუთაისის ბანკის საკითხებზე და ეს მასალა ცალკე წიგნად მისი ნებართვით მისსავე სიცოცხლეშივე რომ არ გამოსულიყო, ალბათ, დღეს მათი ავტორობის საკითხიც სადავო გახდებოდა. დღეს კი უტყუარი საბუთები მოგვეპოვება. ილია ჭავჭავაძე 1890 წლის 31 აგვისტოს ალექსანდრე ნანეიშვილს წერდა ქუთაისში: „დღეს უმიკაშვილის ბარათი მომივიდა და მწერს, რომ მანდ საჭიროდ დაგინახავთ ჩემი მეთაური წერილები მანდაურ ბანკის თაობაზედ ცალკე ბროშურად დაჰბეჭდოთ. მე თანახმა ვარ დაბეჭდვისა, თანახმა ვარ იმისაც, რომ ჩემი სახელი მოსწერდეს ამ წერილებს...“

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: თუ ილიას ხელმოუწერელი წერილები ქუთაისის თაობაზე ცალკე ბროშურად გამოქვეყნდა, რატომ არ მოხვდა მათში წინამდებარე ტომში წარმოდგენილი მასალა? ვფიქრობთ, ეს სავსებით ბუნებრივია იმიტომ, რომ ბროშურა მიზნად ისახავდა არა ილია ჭავჭავაძის მიერ ამ თემაზე შექმნილი ნაწერების თავმოყრას ან ქუთაისის ბანკის ისტორიის ასახვას, არამედ მის მდგომარეობას და პრობლემებს 1890 წლისთვის, ამას კი ილიას მიერ იმ პერიოდში „ივერიაში“ დაბეჭდილი მოწინავეები ასახავდა.

მართალია, ამ წერილში წინასაგან განსხვავებით „აფხაზები“ წერია „აბხაზების“ ნაცვლად, რაც ილიასათვის უჩვეულოა, მაგრამ მაინც მხარს ვუჭერთ მის ილიასეულობას. ტექსტში ნახმარია მისთვის ჩვეული ძალიან ბევრი გამოთქმა და სიტყვა: „ორთა შუა ცილება“, „განკარგება“, „ავალა“, „აბრუ არ გაიტეხა“, „აქამომდე“ და სხვ.

პირველი შკოლა ბათუმში (გვ. 77)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 15 თებერვალი, №36, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 14 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

აჭარაში ქართული სკოლების გახსნის იდეა, რომელიც ამ წერილშია წამოჭრილი, სწორედ ილია ჭავჭავაძის ინიციატივით განხორციელდა. მას ჩვენი ახლად შემოერთებული ტერიტორიის მცხოვრებთა პრობლემები ყოველთვის განსაკუთრებით აინტერესებდა და ზრუნავდა მათ მოგვარებაზე. ტექსტში გვხვდება ილიასთვის დამახასიათებელი რამდენიმე სიტყვა და ფრაზა: „ზედმოქმედება“, „ადგილი უნდა ჰქონდეს“, „გარდაეცეს“, „ესმისთ“, „უნაკლულო“, „რაიცა“ და სხვ.

გვ. 77 „დღევანდელს „დროებაში“ მკითხველი ნახავს ბათუმის კორესპონდენციას...“ — აღნიშნულ კორესპონდენციაში, რომელიც დაბეჭდილია ამავე გაზეთის მეორე გვერდზე „ახალ ამბებში“, ვკითხულობთ: „ვიღაცა ბატ. მიხაილოვი კავკასიის სწავლა-განათლების განყოფილების გამგის ნებართვით კერძო სასწავლებელს ხსნის ამ ქალაქში“ და რადგან რუსულ სასწავლებელს ხსნის, დიდი სიფრთხილე და „ადგილობრივი ხალხის ენისა და ხასიათის ცოდნა“ მართებსო — შენიშნავს გაზეთი.

კორრესპონდენტი და საზოგადოება (გვ. 80)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 16 თებერვალი, №37, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 14 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილში ლაპარაკია სიტყვის თავისუფლებაზე და ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორის პოზიცია პროფესიონალურ დონეზეა ჩამოყალიბებული. ამიტომ ილიას ავტორობა სავსებით შესაძლებელია, მით უფრო, რომ მსჯელობის სტილი და ლექსიკაც მისი მსგავსია. გვხვდება მაგალითად: „ესმისთ“, „ეშინიანთ“, „იპოება“, „პირში ბურთი ჩასჩარონ“, „მაგიერად“ და სხვ.

გვ. 81 „...ნუხელი კორესპონდენტის, მასწავლებლის ბეჟანოვის ბედი... რომელიც კორესპონდენციის წერისთვის მოჰკლეს“. ამ მკვლელობის ამბავი მოგვიანებით (ოქტომბერში) აღწერეს გაზ. „დროებამ“ (№209) და „კავკაზმა“ (№263): ბეჟანოვი სტეფანე ნუხის მაზრის სოფ. ვარტანშენის მასწავლებელი იყო. იგი მოკლა ლეკმა ჰამიდ-ვერდი-ოლიმ ამ სოფელში მცხოვრები ერთი მდიდარი კაცის -ალექსანდრე სოლიკოვის- წაქეზებით. ბეჟანოვი ოპოზიციაში ედგა სოლიკოვს, რომელმაც სოფელში განხეთქილება წარმოშვა – აწიოკებდა და ძარცვავდა ხალხს, რომლებიც მას არ ემხრობოდნენ. სასამართლომ მკვლელს 10 წლით კატორღა მიუსაჯა, ხოლო სოლიკოვს წაქეზებისათვის – 12 წლით.

<ქუთაისის ბანკის ხელსაყრელი პირობები> (გვ. 84)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 17 თებერვალი, №38, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 16 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებულია ჩვენ მიერ.

ეს არის გაგრძელება თემისა, რომელიც დაბეჭდილი იყო 14 თებერვლის № 35 წერილში <ქუთაისის ბანკის უფლებამოსილების გაფართოება>. ბანკის პროფესიულ საკითხებზე, როგორც ამ საქმის საუკეთესო მცოდნე, თავის გაზეთებში მეტწილად ილია წერდა ხოლმე. ენა და სტილიც საკმაოდ გავს მისას.

საფუძველი კავკასიის უნივერსიტეტისა (გვ. 88)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 21 თებერვალი, №40, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 20 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ილია იყო უნივერსიტეტის დაარსების ერთერთი ყველაზე აქტიური მომხრე და ინიციატორი. ამიტომ მისი დაინტერესება ამ საკითხებით სავსებით ბუნებრივია.

გვ. 88 „...1880 წლის 19 თებერვლის რიცხვი“-ის შესახებ იხ. წინ „კავკასიის უნივერსიტეტის“ კომენტარი.

გვ. 88 „...ქალაქი თფილისი თავის წარმომადგენლების პირით, ქუთაისი აგრეთვე თავის რჩევის პირით... აცხადებენ ამ საზოგადო სურვილს“ – აქ იგულისხმება ქუთაისის ქალაქის სათათბიროს გადაწყვეტილება, რომელიც კისრულობდა ოცი ათასი მანეთის შეწირვას, როდესაც თბილისში უნივერსიტეტი დაარსდებოდა, ასევე თბილისის სათათბიროსაც უკისრია ვალდებულება გარკვეული თანხა გაეღო ამ საქმისათვის.

უნივერსიტეტის გახსნის საკითხი 16 თებერვალს განიხილა თბილისის ქალაქის სათათბირომ, სადაც კენჭის ყრის შედეგად 33-დან 25-მა ხმა მისცა უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნას, 8 ხმოსანმა კი – ტექნოლოგიური ინსტიტუტისას.

თეატრის მატიანე (გვ. 90) (“გულთმისანი...“)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 24 თებერვალი, № გვ. 1,2.,

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ფელეტონად, ხელმოუწერლად.

ეს წერილი ლევან ჭრელაშვილს ილიასეულად აქვს მიჩნეული იმ მოსაზრებით, რომ „თეატრის მატიანეების“ ხელმოუწერელი ციკლი მას ეკუთვნოდა, მაგრამ ეს სტატია, სხვებისგან განსხვავებით, სარედაქციო გვერდის სარდაფში არ დაბეჭდილა, ენობრივი ანალიზი კი მკაფიოდ გამოხატულ სურათს არ გვიჩვენებს. აქ არ არის გამოყენებული ილიასათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ლექსიკური ერთეულები, რაც მის ატრიბუციას გაგვიადვილებდა. ამას გარდა, წერილის ავტორი პეტრე უმიკაშვილის ამ პიესის უფრო დაწვრილებით განხილვას ჰპირდება მკითხველს, ჩვენ კი ილია ჭავჭავაძის თეატრალურ მიმოხილვებში ამ თემაზე

სხვა წერილს ვერ მივაკვლიეთ. დამატებით ამ სტატიის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. წერილების „ქართული ტრუპპის შესახებ“ (გვ. 11) და „თეატრის მატიანე (გაბუნიას ქალის ბენეფისი...)“ (გვ. 30) შენიშვნები.

ერთი შენიშვნა „თფილისის მოამბეს“ (გვ. 92)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 26 თებერვალი, №44, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 25 თებერვალს

„თფილისის მოამბეში“ გამოქვეყნებული განცხადება, რომელზეც კეთდება შენიშვნა ამ სტატიაში, ფაქტობრივად ილია ჭავჭავაძეს ეხებოდა. იქ გამოთქმული იყო ეჭვი, რომ „დროება“ თეატრალური კომიტეტის თავმჯდომარეობიდან დიმიტრი ყიფიანის გადადგომის საქმის გაშუქებისას მიუკერძოებელი ვერ იქნებოდა, რადგან „მისი ერთი თანამშრომელი“ ამ კომიტეტის წევრი იყო. რამდენადაც ეს „ერთი წევრი“, რომელსაც, ფაქტობრივად, მიკერძოებულობაში სდებდნენ ბრალს, ილია ჭავჭავაძე იყო, ყველაზე ბუნებრივია, რომ პასუხიც მას გაეცა.

წერილს ახასიათებს ილიას პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელი არგუმენტირების სტილი და სიტყვათა ზოგიერთი სპეციფიკური ფორმა, მაგალითად: „სთქვას“, „რომლისამე“ და სხვ.

კიდევ „თფილისის მოამბეს“ (გვ. 95)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 29 თებერვალი, №46, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 28 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს წერილი თემატურად წინა სტატიის გაგრძელებაა. აქაც გვხვდება ილიასათვის ჩვეული ფრაზები და

ლექსიკური ერთეულები: „ეჭირება“, „რად“, „მოდი და...“ და სხვ.

პირველი წერილის ილიასეულობა დაასაბუთა მკვლევარმა ლ. ჭრელაშვილმა წერილში – „ილია ჭავჭავაძის ხელმოუწერელი მოწინავეები“ გაზეთ „დროებაში“ (1880-1883 წ.წ.) (იხ. ჟურნ. „მაცნე „ენისა და ლიტერატურის სერია“ 1886 წ., გვ. 27).[1] რაც შეეხება ამ მეორე წერილს – „კიდევ „თფილისის მოამბეს“, – ამის გამო ჯერ კიდევ 1914 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის პირველი ტომის წინასიტყვაობაში გ. ყიფშიძე წერდა: „29 თებერვალს (1880 წ. ლ.ს.) „დროების“ 46 ნომერში დაიბეჭდა მეტად მწვავე მეთაური „ობზორის წინააღმდეგ. კილოზეც ცხადად ეტყობოდა, რომ ეს ხელმოუწერელი მეთაური ილიასია“. ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი პ. ინგოროყვასთვის. ზემოხსენებულ ციტატას (და მის მომდევნო ტექსტსაც) იგი ჯერ კიდევ 1927 წელს იმოწმებდა ილიას ნაწერების მე-4 ტომში (იხ. გვ.411). მაგრამ, რატომღაც არ შეუტანია იგი მის მიერ მომზადებულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა არცერთ გამოცემაში.

წერილში ასახულია დავა, რომელიც გაიმართა იმდროინდელ ქართულ („დროება“) და რუსულ („ობზორი“, „ტიფლისკი ვესტნიკი“) გაზეთებს შორის. მან განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო „დროებასა“ და „ობზორს“ შორის. როგორც გ. ყიფშიძე მიუთითებს, სწორედ ეს წერილი გამხდარა საბაბი ამ გაზეთების რედაქტორების – ილიასა და ნ. ნიკოლაძის – დუელისა, რომელიც 1880 წლის 1 მარტს უნდა შემდგარიყო, მაგრამ შერიგებით დამთავრდა.[2] (საგულისხმოა ის, რომ პ. ინგოროყვას, რომლისთვისაც 1927 წელს (და, ალბათ, უფრო ადრეც) ცნობილი იყო ეს ფაქტი,[3] ილიას თხზულებათა არცერთ თავის გამოცემაში წერილი არც შეუტანია და არც მის ილიასეულობაზე გამოუთქვამს ოდესმე ეჭვი).

---

1 ამ წერილში ლ. ჭრელაშვილის მიერ ილიასეულად მიჩნეული ყველა სტატია სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაიბეჭდა წინამდებარე გამოცემის ილიას სავარაუდო წერილების ერთერთ მომდევნო ტომში. მაგრამ იმის გამო, რომ „ერთი შენიშვნა „თფილისის მოამბეს“ მჭიდროდ უკავშირდება წერილს („კიდევ „თფილისის მოამბეს“), რომლის ავტორადაც გ. ყიფშიძე ჯერ კიდევ 1914 წ. ასახელებს ილიას, გადავწყვიტეთ ეს წერილიც წინამდებარე ტომში დამებეჭდა.

2 იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ.I, 1914 წ., გვ. XLI.

3 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ.III, 1953 წ., გვ. 503.

ამავე წერილში გადმოცემულია სათეატრო ტრუპასა და ამხანაგობას[1] შორის არსებული წინააღმდეგობა. საუბარია დ. ყიფიანის წასვლაზე კომიტეტიდან, რაც შემდეგმა ფაქტმა გამოიწვია: კომიტეტის 21 თებერვლის სხდომაზე დ ყიფიანმა დააყენა სამი საკითხი: 1) გაუქმებულიყო დეკლამაციისა და დიქციის კლასები; 2) პიესა „ოჯახის ასულის“ ავტორს — გ. წერეთელს მისცემოდა ჯილდოდ ათი თუმანი; 3) მიხ. ბებუთოვი (ამ პიესის დამდგმელი რეჟისორი) მიეღოთ ამხანაგობის წევრად. არცერთი ეს წინადადება არ მიიღეს. გაჯავრებულმა დ. ყიფიანმა დატოვა სხდომა, რასაც ტრუპის წევრების დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

გვ. 96 „ამას წინათ უფ. ნიკოლაძემ სწორედ მეშვიდე ცამდინ აიყვანა ერთი თავისი თანამშრომელთაგანი“... — ლაპარაკია თ. უთურგაულზე.

გვ 97 „თუ „დროება“ თეატრალურ კომიტეტზე, იმის აზრით, ვერას დასწერს მიუდგომელად, რადგან ერთი იმის რედაქტორი თუ თანამშრომელი ამ კომიტეტის წევრია “— იგულისხმება ილია ჭავჭავაძე.

გვ. 98 „თეატრალურ კომიტეტმა ჩაბახა და დაიწუნა ხსენებულის გაზეთის ერთ თანამშრომელთაგანის კომედია“ — იგულისხმება გიორგი წერეთელი და მისი კომედია...“ „ოჯახის ასული“ — დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ მომდევნო წერილის შენიშვნები.

გვ. 98 „ამავე კომიტეტმა უარჰყო ამავე თანამშრომელის კომედიის ფეხზე დამყენებელ რეჟისორის თავის წევრად მიღება! — იგულისხმება მიხეილ ბებუთაშვილი (ბებუთოვი) — დაწვრილებით იხ. ქვემოთ მომდევნო წერილების შენიშვნები.

კალიის გამოსვლა (გვ. 99)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 25 აპრილი, №86, გვ. 1

თ ა რ ი ღ ი: 24 აპრილს

[1] მაშინ სათეატრო კომიტეტი და ამხანაგობა ერთიდაიგივე მნიშვნელობით იხმარებოდა საზოგადოებასა და პრესაში, თუმცა თვით კომიტეტის წევრები თავიანთ თავს ამხანაგობას უწოდებდნენ, რადგან თავიანთი სურვილით გაერთიანდნენ, — არავის მიერ არჩეულნი არ ყოფილან.

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატია ისეთ ყოფით პრობლემას ეხება, რომელსაც შეუძლია აზარალოს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი. ასეთ დროს ილია ყოველთვის ფხიზლად არის. ის იკვლევს მიზეზებს და ეძებს გამოსავალს.

წერილი გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე (26 აპრილს) მკაცრად გააკრიტიკა გაზ. „ობზორმა“ ხელმოუწერელ სტატიაში „Катков с Эриванской плащади“, ამ უკანასკნელსაც მეორე დღესვე უპასუხა ილიამ წერილით, „მთქმელს გამგონე ეჭირვება“. როგორც ამ მეორე წერილიდან ვიგებთ, „ობზორის“ სტატია ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის. მისი წერილის შინაარსი ილიას მოთხრობილი აქვს თავის პასუხში (იხ. აქვე მომდევნო წერილის „მთქმელს გამგონე ეჭირვება“ ტექსტი).

სტატიაში გვხვდება ილიასათვის ჩვეული სიტყვა-გამოთქმები: „აგერ“, „აქამომდე“, „ვგონებთ“, „რა უნდა ვთქვათ... იმის მეტი, რაც აქამომდე თქმულა“ და სხვ.

მთქმელს გამგონი ეჭირება (გვ. 102)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 27 აპრილი, №88, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 26 აპრილს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი წარმოადგენს პასუხს ნ. ნიკოლაძის მიერ გაზ. „обзор“-ში დაბეჭდილი სტატიისა „Катков с Эриванской плащади“, რომელიც თავის მხრივ ილიას მოწინავე წერილმა — „კალიის გამოსვლა“ (იხ. აქვე, გვ. 99) გამოიწვია. დამატებით ამის შესახებ იხ. წინა წერილის შენიშვნები. სტატიაში გვხვდება ილიასათვის ჩვეული ლექსიკა: „ერთგვარი“, „ეჭირება“ (სამჯერ), „მოდი და...“ და სხვ.

ტუსაღებისათვის (გვ. 105)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 2 მაისი, №92, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 1 მაისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილში გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი ლექსიკა და ფრაზეოლოგია: „გული შესტკივათ“, „ხმად მღაღადებელად“ (ორჯერ), „ეჭირება“ და სხვ.

გვ. 106 „... როდესაც ორს ძმას ყუზანოვებს აღრჩობდნენ...“ – ძმები ყუზანოვები ჩამოახრჩეს 1878 წლის 23 იანვარს თბილისში კვირაცხოვლის მთაზე.

პირველი აბზაცის ბოლოს „დროებაში“ ტექსტს უზის სქოლიოს ნიშანი, ხოლო სქოლიოში ვკითხულობთ: „ავტორი ადგილობრივ გაზეთებს სთხოვდა ამ წერილის გადაბეჭდვას და თუმცა ჯერ არ გადაუბეჭდიათ, მაგრამ იმედი გვაქვს, აქაური რუსული და სომხური გაზეთები შეუსრულებენ იმას ამ კანონიერ თხოვნას. რედ. “

საზოგადო ჭირს საზოგადო შველა (გვ. 108)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 3 მაისი, №93, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 2 მაისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეძღვნება ერის ერთიანობის იმ გარდაუვალ აუცილებლობას, რომელიც ყოველთვის სანატრელ მიზნად ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს. წერილში გვხვდება ილიას პუბლიცისტური სტილისა და ენის სხვადასხვა ნიშანი, მაგ.: ლექსიკური ერთეულები: „რად“, „რათ“, ფრაზები: „შორს წასვლა არ არის საჭირო“, „მოიგონეთ თუნდა“ და სხვ.

თეატრის მატიანე (გვ. 111)
(„კრიჟანგი“, კომედია მოლიერისა...“)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 3 მაისი, №93 გვ. 1,2

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ფელეტონად, ხელმოუწერლად.

ეს სტატიაც, სხვა „თეატრის მატიანეების“ მსგავსად სიახლოვეს ამჟღავნებს ილიას პუბლიცისტიკის ენასა და სტილთან. გვხვდება მისთვის დამახასიათებელი სიტყვა-გამოთქმები: „ბარაქალა“, „რა გითხრათ“, „სწორედ გითხრათ“, „მართლადა“ და სხვ. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიების „ქართული ტრუპის შესახებ“ (გვ. 11) და „თეატრის მატიანე (გაბუნიას ქალის ბენეფისი...)“ (გვ. 30) შენიშვნები.

თეატრის მატიანე (გვ. 114)
(„მზის დაბნელება...“)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., , №99, გვ. 1,2

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ფელეტონად, ხელმოუწერლად.

ეს არის მორიგი თეატრალური მიმოხილვა წარმოდგენის ავ-კარგის დაწვრილებითი ახსნა-შეფასებით. მწერალი ზუსტად განმარტავს, რა მოსწონს ან არ მოსწონს და რატომ. გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი სიტყვები: „რაგვარი“, „შეუძლიანთ“, „საზოგადოდ“ , გამოთქმები: „ათასჯერ გვითქვამს... რომ“, „არც არა უთესია და მაშ ვერც ვერას მომკიდა“ და სხვ.

დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ.: სტატიების „ქართული ტრუპის შესახებ“ (გვ. 11) და „თეატრის მატიანე (გაბუნიას ქალის ბენეფისი...)“ (გვ. 30) შენიშვნები.

მაჰმადიან ქართველთა ბედი (გვ. 116)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 13 მაისი, №100, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 12 მაისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს წერილი ი. ბოცვაძემ შეიტანა მის მიერ გამოცემულ ს. მესხის თხზულებათა მესამე ტომში, მაგრამ სათანადო მტკიცებულებებისა და არგუმენტირების გარეშე. მაჰმადიან ქართველთა ბედით ბევრი ქართველი მამულიშვილი იყო შეწუხებული და მათ შორის სერგეი მესხიც, მაგრამ სტატია არ არის შეტანილი იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ მისი ნაწერების ბიბლიოგრაფიაში. ეს ფაქტი და წერილში ილიასათვის დამახასიათებელი არაერთი სიტყვის, გრამატიკული ფორმისა და გამოთქმის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ იგი, სავარაუდოდ, მის კალამს უნდა ეკუთვნოდეს. იხ.: „ეჭირებოდა“, „მშვიდობიან მომავლის იმედი“, „არსობითი პური“, „მოქმედების, ანუ უკეთ, ვსთქვათ უმოქმედობის ნაყოფი“, „გვეცლებიან ხელიდამ“, „მამა-პაპეული კერიის დატოვება“, „არც არა უთესია და მაშ ვერც ვერას მომკიდა“ და სხვ.

ქართული თეატრის მატიანე (გვ. 119)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 17 მაისი, №104, გვ. 1.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ქართული თეატრის მოყვარე.

ხელმოწერის „ქართული თეატრის მოყვარე“ გაშიფვრისათვის მკვლევარ ლ. ჭრელაშვილს თავის წერილში (გაზ. „დროება“ ხელმოუწერელი პუბლიცისტური წერილების ატრიბუცია“, ჟურნ, „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია, 1885 წ., №4, გვ.15) მოტანილი აქვს ილიას სტილისათვის დამახასიათებელი გრამატიკული წყობისა და სპეციფიკური გამოთქმების სია ამ მატიანიდან, რაც ერთგვარ საფუძველს იძლევა ილიას ავტორობის მტკიცებისათვის.

ლეილა სანაძის აზრით, ილიას ავტორობის წინააღმდეგ ეჭვს აღძრავს ის გარემოება, რომ ამ წერილში ვკითხულობთ: „... დრამაში მომქმედ პირად კუკები კი არ არიან, არამედ ადამიანები“. წერილი კი, როგორც პასპორტშიაც არის აღნიშნული, დაიბეჭდა 1880 წლის 17 მაისს. მეცნიერი ამ ფაქტს ხაზს უსვამს იმის გამო, რომ სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ ხელმოუწერელ „თეატრის მატიანეებში“ (რომელსაც აგრეთვე ილია ჭავჭავაძეს მიაკუთვნებს ლ. ჭრელაშვილი) „კუკების“ ნაცვლად გვხვდება „თოჯები“ (2 ჯერ) (იხ.: აქვე 1880 წლის 2 თებერვლისა და 1880 წლის 3 მაისის „თეატრის მატიანეები“). მათგან მეორე „თეატრის მატიანე“ დაიბეჭდა ამ „ქართული თეატრის მატიანის“ დაწყებიდან ორი კვირით ადრე. მისი აზრით, დაუჯერებელია, რომ ილიას ორი კვირის წინ ეხმარა სიტყვა „თოჯები“, ხოლო ორი კვირის შემდეგ შეეცვალა იგი „კუკებით“. „პირიქით, რომ მომხდარიყო უფრო გასაგები იქნებოდაო“,- აღნიშნავს მკვლევარი.

მეორე მხრივ, სტატიაში გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი სიტყვა-გამოთქმები: „ხმად... მღაღადებელად“, „მაგდენი ვერაფერია“, „თავისის ლაზათიანის თამაშობით“, „ჩაილულის წყალს დავალევინებდი“, „მართლის გრძნობით ამოკვნესილი“, „წარმატებაში შევიდა“, „ „ახლად ფეხადგმული“, „სწორედ განძია“, „მართლა და ჩინებული“, „გული შეჰსძრა ნამდვილის ტკივილითა“, „ერთგვარი“, „იჩინა“ და სხვ. ენობრივი თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ილიას მსგავსად ნაცვალსახელების „ეგ“ და „მაგ“ ფორმის და „დამ“ თანდებულის გამოყენება.

დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიების „ქართული ტრუპპის შესახებ“ და „თეატრის შესახემ“ შენიშვნები.

სასამართლოები ჩვენში (გვ. 125)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 23 ივნისი, №132, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 23 ივნისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატიის ავტორი კარგად იცნობს ვითარებას ლატვიისა და ესტონეთის სასამართლოებში. ჩანს, რომ მისთვის ეს ნაცნობი სფეროა. ლევან ჭრელაშვილის დაკვირვებით,

„დროებაში“ მის ორ რედაქტორს – სერგეი მესხსა და ილიას შორის უნდა ყოფილიყო ერთგვარი შეთანხმება თემების გადანაწილებაზე. ლოგიკურია, რომ სასამართლოს საქმეებზე, როგორც პროფესიონალ იურისტს, ილიას ეწერა. წინამდებარე ტომში რამდენიმე ასეთი წერილია: „ასათიანის მოკვლაზედ“, „ტუსაღებისათვის“, „ქართული ენა სასამართლოებში“, „სასამართლო და ადგილობრივი ენები“ და სხვ. ილია ჭავჭავაძის ავტორობას აგრეთვე მხარს უჭერს მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა, მაგალითად, სიტყვა „გამონასკვა“. იხ.: „გამოურკვეველ, გამოუხსნელ ნასკვად გარდაიქცევა...“და სხვ.

ქართული ენა სასამართლოებში (გვ. 128)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 27 ივნისი, №135, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 26 ივნისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ქართული ენის დასაცავად ილია ჭავჭავაძის მიერ გაწეული ღვაწლი სიახლე არ არის. მან ამ თემას არაერთი საინტერესო წერილი უძღვნა და ფხიზლად იდგა მის შესანარჩუნებლად. ამდენად, მისი ავტორობა სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ სტატიაში მისთვის დამახასიათებელი ენობრივი და სტილური ელემენტების სიმრავლეს. აქ გვხვდება: „ეჭირება“, „რათ“, „ჰბადავს“, და სხვ.

გვ. 129 „...ეს მშვენიერი ჩინოვნიკები ქორივით ესევიან ჩვენ ღატაკ გლეხობას“ – შინაარსობრივად ამ კონტექსტში „მშიერი“ უფრო სავარაუდოა, ვიდრე „მშვენიერი“, მაგრამ რამდენადაც „დროებაში“ ასე წერია და ვერ გამოვრიცხავთ ირონიას, ტექსტი უცვლელად დავტოვეთ.

ერთი კვირა უცხოეთში (გვ. 131)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 28 ივნისი, №136, გვ. 1; 5 ივლისი, №142,გვ.1.

თ ა რ ი ღ ი: 27 ივნისს, 4 ივლისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

უცხოეთის ამბებს ილია ყოველთვის დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს და თავის დაკვირვებებს ქართველ მკითხველსაც ხშირად სთავაზობდა წერილების სახით.

სტატიაში გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი სიტყვათწარმოებები, სტილური და ლექსიკური ფორმები, მაგ.: „პირშირკინისლაგამამოდებული“, „ხმად მღაღადებელად“, „ჰბადავს“, „გული შესტკივათ“, „ჰქონდესთ“, მიმართვა – „ჩემო მკითხველო“ და სხვ.

პირველი სკოლა ბათუმში (გვ. 138)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 10 ივლისი, №146, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 9 ივლისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ამ წერილის ილიასეულობაში ეჭვს ბადებს სიტყვა „სკოლა“, რომელსაც ილია ჯერ კიდევ „შკოლა“ ფორმით წერდა როგორც „ივერიაში“, ისე „დროებაში“. იხ. ჟურნ. „ივერიის“ „შინაური მიმოხილვები“ და აქვე „პირველი შკოლა ბათუმში“ და მომდევნო წერილები – „სასამართლოები და ადგილობრივი ენები“, „ბათუმის გუბერნატორის განცხადება“ და სხვა.[1]

ამ ეჭვს აძლიერებს სიტყვა „ბავშიც“, (რომელიც ამ წერილის მეორე აბზაცში გვხვდება. ილია, როგორც წესი,

[1] ამავე 1880 წლის დეკემბრიდან კი ილია წერს „სკოლას“. იხ. აქვე „ბათომის სკოლის “ და შემდგომი პერიოდის ნაწერები.

წერდა „ბაშვ“-ს და ამ სახითვე ბეჭდავდა სწორი ფორმა — „ბავშვის“ პარალელურად. რაც შეეხება ამ წერილში ნახმარ ფორმა „ბავშს“, იგი ილიასთან უიშვიათეს გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ.

მეორე მხრივ, სტატიაში გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი ფრაზები და სიტყვებიც: „გული შესტკივოდეს“, „რაიცა“, „ესმისთ“ და სხვ.

სასამართლოები და ადგილობრივი ენები (გვ. 142)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 18 ივლისი, №152, გვ. 1

თ ა რ ი ღ ი: 17 ივლისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება იმპერიის ადმინისტრაციულ დაწესებულებებში ადგილობრივი ენების გამოყენებას. ესეც ქართული ენის უფლებების დასაცავად დაწერილი ერთ-ერთი საინტერესო სტატიაა. პრობლემისადმი სამართლებრივი მიდგომა, ეროვნული მეობის საკითხებთან დაკავშირებით მუდმივი სიფხიზლე და ილიასათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ სავსებით შესაძლებელია, ავტორი ილია იყოს. მაგ.: ილიასათვის დამახასიათებელი ფორმა „აღკრძალული“ სტატიაში ორგან გვხვდება.

სტატია მრავალწერტილით მთავრდება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორს კიდევ უფრო მწვავე სათქმელიც ჰქონია, მაგრამ ცენზურამ არ მისცა ნება დაბეჭდვისა.

ბათუმის გუბერნატორის განცხადება (145)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 6 აგვისტო, №165, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 5 აგვისტოს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილის სტილი ეჭვს არ ბადებს, რომ მისი ავტორი ილია ჭავჭავაძეა. ამასვე ადასტურებს ილიასათვის ჩვეული გამოთქმები: „ზნეობითი მოვალეობა“, „ჩვენ ჩვენის მხრით“, „ერთიღა დაგვრჩენია ვისურვოთ“. აგრეთვე სიტყვები: „შკოლა“ (ამ სიტყვის შესახებ დაწვრილებით იხ.: „პირველი სკოლა ბათუმში“ შენიშვნები), „გარდასახადი“, „მოელისთ“ და სხვ., რომლებიც გვხვდება ამ წერილში.

წერილის ბოლოს „დროებაში“ დაბეჭდილია ბათუმის გუბერნატორის განცხადება, რასაც წინ ასეთი სიტყვები უძღვის: „აი ის განცხადება ბ. ბათუმის ღუბერნატორისა, რომელზედაც ზევით წინა სტატიაში არის სჯა“.

თახშირის გადახდა ბათომის მაზრაში (გვ. 148)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 10 აგვისტო, №168, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 8 აგვისტოს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ჩვენი აზრით, ამ და მომდევნო წერილის („ბათომის მაზრის მოხელეთა მოპყრობა მცხოვრებლებთან“) ილიასადმი კუთვნილება საეჭვოა. ორივე წერილში ჩართულ წინადადებებსა და სხვა შემთხვევებში, მძიმეები არ იხმარება, რაც ილიას თითქმის არასოდეს არ ეშლება. გვხვდება ილიასათვის უჩვეულო სიტყვები და გამოთქმებიც: „გადასახადი“ ნაცვლად ილიას „გარდასახადისა“; „ვაჭრობა დეიწყობა“; „ფულად გედიხადოს“; „მოსავლით გედიხადოს“; „სიფრთხილეს იხმარებენ“; „ადვილად შეეძლება“ ნაცვლად „“ადვილად შესძლებს“ ფორმისა წინადადებაში: „... როცა ფული გახშირდება იქაური ხალხიც ფულით გადახდას ისურვებს და უფრო შეეძლება“; „ურჩევიან“, „სუყოველგან“, რაც შეეხება წონის ერთეულს „ბათმანს“, იგი ილიასაც შეეძლო ეხმარა, რადგან აქ ლაპარაკია აჭარაზე, სადაც ეს ერთეულია მიღებული.

გარდა ამისა, ორივე წერილში „ბათუმის“ ნაცვლად იხმარება „ბათომი“, რაც ილიასეულად არ მიგვაჩნია (ამის შესახებ იხ.: წერილის „რა გავაკეთეთ ბათუმში“ შენიშვნები). რომ ვთქვათ.

ბათომის მაზრის მოხელეთა მოპყრობა მცხოვრებლებთან (გვ. 151)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 12 აგვისტო, №169, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 11 აგვისტოს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს არის გაგრძელება ამავე გაზეთის № 165-ში დაბეჭდილი წერილისა „ბათუმის გუბერნატორის განცხადება“ და მის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხილეთ აღნიშნული წერილის შენიშვნები.

კიდევ ძველ წიგნებზე (გვ. 154)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 15 აგვისტო, №172, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 14 აგვისტოს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ჩვენი ვარაუდით ეს წერილი ილია ჭავჭავაძეს არ უნდა ეკუთვნოდეს. ამას გვაფიქრებინებს წერილის სტილი. მაგ:. „მომავალი ჩვენი ლიტერატურის მეისტორიენი ამ ორ ადგილში თუ სულ არა ბევრს მატერიალს იშოვიან ქართულ ლიტერატურისათვის“, „რომლიდამაც იმან უნდა გამოიტანოს ქართული ჭკუისა და ენის თვისებათა ცნობა“, „მხოლოდ მაშინ შეუძლია ყმაწვილ-კაცს საქართველოსთვის სარგებლიანათ მაღალი განათლების მიღება, როგორიც იმას მიუძღვის თავის ქვეყნის და ენის ცოდნა“; „ყველა ჩვენი

რამდენიმე მაინც შესანიშნავი კაცები გაიზარდნენ ჩვენს კლასსიკებზე იმათი ჩამოთვლა ან რა საჭიროა“ (პუნქტუაცია და ორთოგრაფია დედანისეულია ხაზი ტომის მომზადებლებისაა).

დაბრუნებული აფხაზები (გვ. 156)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 21 აგვისტო, №176, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 19 აგვისტოს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ამ წერილის სტილი მოგვაგონებს ილიასას, მაგრამ ამასთანავე აქ „ბათუმის“ ნაცვლად წერია „ბათომი“, რაც ჩვენ ილიასეულად არ მიგვაჩნია (ამის შესახებ იხილეთ წერილის „რა გავაკეთეთ ბათუმში?“ შენიშვნები.

იმერელი მოსამსახურენი თბილისში (გვ. 158)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 29 აგვისტო, №182, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 28 აგვისტოს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ილიას თავისი თანამემამულეების ყველა ფენის პრობლემები აწუხებდა და ამდენად მისი ავტორობა სავსებით შესაძლებელია. წერილში გვხვდება მისთვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულები: „ეჭირებათ“, “თავიდამვე უეჭველია“, „უნდა მოველოდეთ, რომ“, „ადრე თუ გვიან“, „ყველასთვის სანატრელი და სასურველი“ და სხვ.

გვ. 159 „ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია ბატ. ა. მაჩხუბარიძის წერილი“ — აქ იგულისხმება ალ. ყაზბეგის „წერილი რედაქციას“, რომელიც დაბეჭდილია „დროების“ №181-ში. მასში ჩამოთვლილია ის საკითხები, რის გაკეთებასაც აპირებდა მოსამსახურეთა გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოება (სულ 8 მუხლი).

ბლეხკაცებისაგან მამულის შეძენა (გვ. 161)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 24 სექტემბერი, №202, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 23 ენკენისთვე

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ამ წერილის ილიასეულობაში ეჭვს ბადებს სიტყვები: „ეღიტინო“, „ალაგებში სიარული“, რომლებიც აქ გვხვდება და რომლებიც მხოლოდ დასავლური დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ გვხვდება მისთვის ჩვეული სიტყვათწარმოებები და ლექსიკაც, მაგ.: „პირშიჩალაგამოვლებული“, „მაგიერად“, „რათ“ (ორჯერ), „ძნელათ მოიძებნება“.

სომხური გაზეთების პოლემიკა (გვ. 164)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 15 ოქტომბერი, №217, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 14 ოკტომბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ამ სტატიის ბოლოს „დროებაში“ იკითხება: „აი ის მოწინავე სტატია გაზეთ „მშაკისა“, რომელიც ზევით დღევანდელ წინასიტყვაობაში არის მოხსენიებული“. შემდეგ კი დაბეჭდილია მთლიანად „მშაკის“ წერილი „ქართველები და სომხები“.

სტატიის ავტორი აანალიზებს ორ სომხურ გაზეთს შორის გამართულ პოლემიკას იმის თაობაზე, რა არის ერის ერობის მთავარი ნიშნები. მათი თვალსაზრისების მიმოხილვასთან ერთად ავტორი საკუთარ აზრებსაც გამოთქვამს და მათში ილია ჭავჭავაძის დონის ღრმა მოაზროვნე შეიცნობა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს წერილი მას უნდა ეკუთვნოდეს. აქ გვხვდება მისთვის დამახასიათებელი არაერთი სიტყვა და გამოთქმა, მაგ.: „რაიცა“, „ერთგვარი“, „ზოგიერთი პირები“, „დედააზრი“ და სხვ.

მაჰმადიანთ გაქრისტიანება (გვ. 167)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 17 ოქტომბერი, №219, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 16 ოკტომბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილის ავტორი ამჟღავნებს ზუსტად ისეთ ფაქიზ მიდგომას მუსულმანი ქართველების პრობლემებისადმი, როგორიც ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს. ის გონივრულად სჯის, რომ დაძალებით ეს საქმე მხოლოდ გაფუჭდება. რა თქმა უნდა, ილია ქრისტიანია და პატივს სცემს თავის რწმენას, მაგრამ ისიც იცის, ჭეშმარიტი აღმსარებლობის არჩევანი თავად პიროვნებამ რომ უნდა გააკეთოს. სტატიაში გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი გამოთქმები, მათ შორის: „ეჭირება“, „რად“ და სხვ.

ქართული ენა ჩვენს საშუალ სასწავლებლებში (გვ. 170)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 8 ნოემბერი, №236, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 7 ნოემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ამ წერილით ილია ეხმიანება სახალხო განათლების ახალი მინისტრის დანიშვნას და ცდილობს მიაწვდინოს მას ხმა ამ სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. საკითხისადმი მიდგომა, წინდახედული სჯა და ლოგიკური გამოსავლის ძიება ილიასას ჰგავს და, სავარაუდოა, რომ სწორედ ის იყოს ამ წერილის ავტორიც.

გვ. 172 „...გუშინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი შენიშვნა...“ – იგულისხმება 7 ნოემბრის „დროებაში“ (№235) დაბეჭდილი ცნობა – გორის ეპისკოპოს ალექსანდრეს განცხადება სამღვდელოების ყრილობაზე მისი სურვილის შესახებ – „ შესწიროს 20 000 მანეთი (ილიას ტექსტში 2 ათასი წერია) სასულიერო სემინარიაში ქართული ენის კათედრის დასაარსებლად“.

ახირებული ლოდიკა გაზ. „კავკაზისა“ (გვ. 173)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 11 ნოემბერი, №237, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 10 ნოემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილში გაკრიტიკებულია გაზეთ „კავკაზის“ მიერ ქართული ენის უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებით გამოთქმული აზრების უტრირება და დაცინვა. ავტორი ჯანსაღად აფასებს სიტუაციას და გამოთქვამს ილიას ნაწერებში ერთ-ერთ, ყველაზე ხშირად განმეორებულ და აქცენტირებულ აზრს, რომ „ყოველ ჟამს, ყოველ დროს თავის საკუთარი საჭიროება და მოთხოვნილება აქვს, რომელსაც დაკმაყოფილება, შესრულება ეჭირება“. აქ გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი სიტყვები: „მაგიერად“, „ეჭირება“, და სხვ.

„ვეფხვისტყაოსნის რედაქცია“ (გვ. 176)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 16 ნოემბერი, №242, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 15 ნოემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ლევან ჭრელაშვილს ამ წერილების ილიასეულობის დასამტკიცებლად, სტატიაში „გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერელი პუბლიცისტური წერილების ატრიბუცია“ („მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, „985 წ. №4, გვ.12) მოჰყავს ვრცელი ტექსტობრივი პარალელები, ილიასათვის ჩვეული სტილური და ენობრივი მახასიათებლები, მაგ.: „გვარტომობის დამამყარებელი“, „ბლომათ მოიპოებიან ჩვენში“, „უკისრნია“ და სხვ.

გვ. 176 „სამის პირისაგან ხელმოწერილი შენიშვნა“ – იგულისხმება: რ. ერისთავის, ი. გოგებაშვილისა და მეუნარგიას მიერ ხელმოწერელი წერილი (იხ. 15 ნოემბრის გაზ. „დროება“, №241) – „ვეფხვისტყაოსნის რედაქცია“, რომელშიაც ჩამოთვლილია რედაქციის მიზნები და მასში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ – გ. დ. ორბელიანს, დ. ი. ყიფიანს, გაბრიელ ეპისკოპოსს, ი. გ. ჭავჭავაძეს, აკ. რ. წერეთელს, ვ. ვ. ორბელიანს, გ. ე. წერეთელს, ს. ს. მესხს, პ. ი. უმიკაშვილს, ნ. ტ. დადიანს, დ. გ. ერისთავს და სხვებს.

გვ. 177 „ექვსი დაბეჭდილი გამოცემა გვაქვს ჩვენ ამჟამად „ვეფხვისტყაოსნისა“. ეს გამოცემებია:

1) ვახტანგ VI-ის, 1712 წლის
2) ბროსეს და ზაქ. ფალავანდიშვილის, 1841 წლის
3) დ. ჩუბინაშვილის, 1846 წლის (პეტერბურგი)
4) იგივე გამოცემა, 1860 წლის (პეტერბურგი)
5) გ. წერეთლისა და კ ყიფიანის, 1867 წლისა და
6) არსენ კალანდაძის, 1875 წლისა.

აჭარის მდგომარეობა (გვ. 179)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 23 ნოემბერი, №247, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 22 ნოემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი, აჭარის თემისადმი მიძღვნილი სხვა სტატიების მსგავსად, გულშემჭირვე, და ამ ხალხის ბედზე მზრუნველი ადამიანის დაწერილია. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს პრობლემა ილიასათვის ძალიან ახლობელი და მნიშვნელოვანი იყო. ამიტომ, ვფიქრობთ მისი ავტორობა დასაშვებია.

დაბადებამდე სიკვდილი (გვ. 182)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 6 დეკემბერი, №258, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 5 დეკემბერს

წერილში ლაპარაკია გაზ. „მიმოხილვის“ გამოცემის ვარაუდზე, რაც ვერ განხორციელდა. რედაქტორის – ნინა გაბაშვილის განცხადების თანახმად, ამას ხელი შეუშალა რედაქციიდან ანტ. ფურცელაძის წასვლამ და აგრეთვე წევრების მიერ წერილების წარმოუდგენლობამ (იხ.: გაზ. „დროება“), ხოლო თვით ანტ. ფურცელაძის თქმით, ამის მიზეზი იყო რედაქციისათვის შემოწირული თანხის არამართებული ხარჯვა (იხ. გაზ. „დროება“).

ქალაქის რჩევის უსაქმობა (გვ. 185)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 9 დეკემბერი, №259, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 8 დეკემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ჩვენი აზრით, ეს წერილი ნამდვილად ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ამას გვაფიქრებინებს მისი სტილი. ერთგან

გვხვდება მისთვის დამახასიათებელი განმეორებებიც იხ. გვ.186 ბოლო აბზაცის დასაწყისი, სადაც ზედიზედ რამდენჯერმეა გამეორებული სიტყვა „როდესაც“.

ქუთაისის საოსტატო სემინარია (გვ. 188)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 11 დეკემბერი, №261, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 10 დეკემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ერთ ჩვეულებრივ საკითხს ეხება, სად უნდა გაიხსნას საოსტატო სემინარია – ქუთაისში თუ ხონში. ერთხელ კიდევ გვინდა გავიმეოროთ, რომ ილია ასეთი რიგითი პრობლემების გადაწყვეტაშიც მონაწილეობდა ხოლმე. ამ შემთხვევაშიც, სტატიის ავტორი, რომელიც საქმის უშუალო მონაწილე არ არის, წარმოადგენს თავის არგუმენტებს სასწავლებლის ქუთაისში გახსნის უპირატესობის დასამტკიცებლად და სთხოვს სწავლა-განათლების გამგეობას მათ გათვალისწინებას.

ბათომის სკოლა (გვ. 190)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 24 დეკემბერი, №272, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 23 დეკემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტილის მიხედვით ეჭვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ ამ წერილის ავტორი ილია ჭავჭავაძეა. აქ რამდენჯერმე არის გამოყენებული ილიას სტილისათვის დამახასიათებელი განმეორების ხერხი მაგ. მესამე აბზაცში მეორდება სიტყვები – „ორას წელიწადზე მეტი“, ხოლო მე-11-ში – „ნუ დაივიწყებენ“.

როგორც არაერთხელ მივუთითეთ, მიგვაჩნია, რომ ილია წერდა „ბათუმს“ და არა „ბათომს“ . მაგრამ ამ წერილის სათაურში „ბათომი“, რომ შემთხვევითია, ამაზე კარგად მიუთითებს ის ფაქტი, რომ წერილის ტექსტში ეს სიტყვა თერთმეტჯერ არის ნახმარი და თერთმეტჯერვე „ბათუმი“ წერია.

აქვე უნდა მიეთითოს, რომ ეს არის პირველი წერილი, რომელშიაც ილია „შკოლას“ ცვლის „სკოლით“ და ამ დროდან ასე ხმარობს მას, როგორც „დროებაში“, ისე „ივერიაში“ (იხ. ჟურნ. „ივერიის“, 1881 წლის თებერვლის „შინაური მიმოხილვა“ და სხვ.).

გავლილი 1880 წელიწადი (გვ. 194)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1880 წ., 31 დეკემბერი, №274, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 31 დეკემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ასეთ წერილებს თავის გაზეთში ყოველთვის ილია წერდა ხოლმე. ამ სტატიასაც ეტყობა მისი ანალიტიკური აზროვნება და სიტყვის ძალა. გვხვდება დამახასიათებელი გამოთქმები: „პირშიჩალაგამოვლებული“, „მაგიერად“ და სხვ.

გვ. 195 „გრაფ ლორის-მელიქოვის გამინისტრების, გაძლიერების შემდეგ... – იგულისხმება გრაფ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვის რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნა 1880 წლის მაისში.

გვ. 196 „თავისუფალი სუნთქმა მიენიჭა“ დედანში წერია სუნთქმა (შესაძლოა აქ უნდა ყოფილიყო „სუნთქვა“ ან „სულთქმა“, მაგრამ, რადგან არ ვიცით, ამ ორიდან + რომელი, ტექსტი უცვლელად დავტოვეთ).

საახალწლო მილოცვა (გვ. 197)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 1 იანვარი, №1, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 31 დეკემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

რადგან ამ წერილის ქვესათაურია: თბილისი 31 დეკემბერს, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი მოთავსება ჟურნ. „ივერიის“ 1881 წლის იანვრის ნომერში დაბეჭდილი წერილის წინ.

ახალი წლის მისალოც სტატიებსაც თავის გაზეთში ილია წერდა ხოლმე. ამიტომ მის ავტორობაზე წერილის სტილისა და ენობრივი თავისებურებების გარდა ესეც მიგვანიშნებს. აქ გვხვდება მისთვის დამახასიათებელი არაერთი სიტყვა, მათ შორის „ეჭირება“ – ორგან.

ორიოდე სიტყვა „კავკაზს“ (გვ. 200)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 4 იანვარი, №2, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 3 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატიის ავტორის მწვავე პოლემიკური ტონი და არგუმენტირების მყარი პრინციპი ძალიან გავს ილია ჭავჭავაძისას. წინამდებარე ტომში განათლებისა და ქართული ენის დაცვის საკითხებისადმი კიდევ არაერთი წერილია მიძღვნილი: „ქართული ენა ჩვენს საშუალ სასწავლებლებში“, „განათლების ახალი მინისტრის დანიშვნა“, „თფილისის გიმნაზიის იუბილეი“, „სწავლა-განათლების საქმე“, „დედათა განათლება ჩვენში“, <უყურადღებობა ქართული ენის მიმართ>, <გამოცდები სემინარიაში>, „ქართული ენა სასამართლოებში“, „სასამართლო და ადგილობრივი ენები“ და „კიდევ ძველ წიგნებზე“. თითოეულ მათგანში საკითხისადმი ზუსტად ისეთი მიდგომა ჩანს, როგორიც ვლინდება ილია ჭავჭავაძის ცნობილ სტატიაში „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“ („დროება“ №33). აქ გვხვდება ილიას ენისა და სტილისათვის დამახასიათებელი ელემენტები, მაგალითად სიტყვები: „მაგიერად“, „რად“ და სხვ.

ცნობა რუსთაველზედ (გვ. 203)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 6 იანვარი, №3, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ლევან ჭრელაშვილი ამ სტატიის ატრიბუციისას ყურადღებას ამახვილებს მასში მოწოდებულ ერთ ინფორმაციაზე: „ეს ფრიად საინტერესო ცნობა რუსთაველზედ მიღებულია თ. გიორგი ჯორჯაძის მეუღლის ეკატერინესაგან, თ. ათანასე მაყაშვილის ასულისაგან“. ლევან ჭრელაშვილი წერს: „ჯორჯაძეებთან მეზობლობას რომ თავი დავანებოთ, ილიას მაყაშვილებთან ნათესაობაც აკავშირებდა. მისი მკვიდრი ბიძაშვილი პელაგია მაყაშვილების რძალი იყო. საფიქრებელია, რომ ასეთ შემთხვევაში ეკატერინე ცნობას სწორედ დიდ მწერალსა და ნათესავს — ილიას გაუგზავნიდა“ („ლ. ჭრელაშვილი, „გაზეთ დროებაში ხელმოუწერელი პუბლიცისტური წერილების ატრიბუცია“, „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, „985 წ. №4, გვ.12). ამას ემატება ილიას ინტერესი რუსთაველთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხისადმი და სტატიის ენისა და სტილის მსგავსება მის სხვა ნაწერებთან.

„მეცამეტე გოჭები“ (გვ. 205)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 8 იანვარი, №4, გვ. 2.

თ ა რ ი ღ ი: 7 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეძღვნება იმ პოლემიკას, რომელიც დაბა ახალსენაკის სკოლაში მომხდარმა ინციდენტმა გამოიწვია. მისი ავტორობის საკითხთან დაკავშირებით მოხდა გაუგებრობა — ი. ბოცვაძემ სტატია სერგეი მესხისად მიიჩნია და შეიტანა მისი თხზულებების III ტომში.

როგორც აღნიშნული გვქონდა, „დროებაში“ ხელმოუწერლად დაბეჭდილი წერილების საკითხს ლ. ჭრელაშვილმა სპეციალური ნაშრომი უძღვნა (ჟურნ. „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია, 1985 წ., №4, გვ.5), სადაც იგი წერს: „მეცამეტე გოჭების“ ტექსტში საქმე გვაქვს „ავტორის ვინაობაზე პირდაპირ მითითებასთან, იგი ილია ჭავჭავაძეაო“. მისი მოსაზრების განსამტკიცებლად ლეილა სანაძეს მოჰყავს ამონარიდი „მეცამეტე გოჭებისა“ ტექსტიდან: „ჩვენ გვინდოდა გვეთქვა ორიოდე სიტყვა იმ პასუხში, რომელიც იანოვსკის სტატიის შესახებ დაიბეჭდება. მაგრამ რადგან იმ პასუხმა, სხვადასხვა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით დაიგვიანა, იძულებული ვართ, ახლავე ცალკე პასუხი“ მოგახსენოთო. ლეილა სანაძე აღნიშნავს: „როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „მეცამეტე გოჭებისა“ და იმ მეორე წერილის ავტორი, რომლის დაბეჭდვამაც დაიგვიანა, ერთი და იგივეა. ახლა უნდა გაირკვეს, რომელია ის დაგვიანებული საპასუხო წერილი?“, შემდეგ კი მოჰყავს თავისი დაკვირვების შედეგები: ახალსენაკის ინციდენტთან დაკავშირებით „მეცამეტე გოჭების“ შემდეგ დაიბეჭდა მხოლოდ ორი წერილი: ი. სამსონიძის „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“ და ილია ჭავჭავაძის „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“ („დროება“ №33). სავარაუდოა, რომ ამ ორი წერილიდან ერთ-ერთი ის წერილი იყოს, რომლის დაბეჭდვამაც ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზით დაიგვიანა და რომელსაც თავის წერილად ასახელებს „მეცამეტე გოჭების“ ავტორი.

ახლა უნდა გაირკვეს ი. სამსონიძისა და ილიას წერილებს შორის რომელი დაიბეჭდა დაგვიანებით?

„დაგვიანებულ წერილად“ ვერ მივიჩნევთ ი. სამსონიძის წერილს — „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“ („დროება“ №8), რადგან, როგორც მასში მოხმობილი მასალის გაანალიზებით ირკვევა, იგი დაწერიდან ხუთ დღეში დაბეჭდილა. ამას ადასტურებს ის, რომ ი. სამსონიძე თავის სტატიაში იხსენიებს „რედაქციის წერილს“, რომელშიაც მოტანილი ყოფილა გ. ბებურიშვილის, ივ. ბერიძისა და ლ. ლეჟავას განცხადება. ასეთი სარედაქციო წერილი კი — „მეცამეტე გოჭები“ იყო: ამ უკანასკნელის დასაწყისში მთლიანად არის მოტანილი აღნიშნული სამი პირის მიერ „Кавказ“-ში (1881 წ., 3 იანვარი, №2) დაბეჭდილი ხსენებული განცხადების ქართული თარგმანი. „მეცამეტე გოჭები“ კი 1881 წლის 8 იანვარს დაიბეჭდა. ამრიგად, ი. სამსონიძეს თავისი წერილი დაუწერია 8 იანვრის შემდეგ და დაუბეჭდავს

– 13 იანვარს. ასე რომ, ი. სამსონიძის სტატიას ვერ მივიჩნევთ იანოვსკის საპასუხოდ დაწერილ იმ წერილად, რომლის დაბეჭდვაც „რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით დაგვიანდა“.

წერილი, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება და დაწერიდან დიდი დაგვიანებით გამოქვეყნდა, არის ილია ჭავჭავაძის „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“. ეს მრავალი ფაქტით დასტურდება. მოვიტანთ მხოლოდ ერთს,[1] მაგრამ უტყუარს: გაზ. „დროების“ 1881 წლის13 თებერვლის № 33-ის „ახალ ამბებში“ დაბეჭდილია შემდეგი განცხადება: „თითქმის მთელი ჩვენი დღევანდელი ნომერი უჭირავს ერთ სტატიას – „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“-ს. ერთობ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენ იმ საგანს, რომელზედაც ამ სტატიაში არის სჯა და ამიტომ ადგილი არ დავიშურეთ (გაზეთის პირველი სამი გვერდი მთლიანად ამ წერილს უკავია ლ. ს.). ძლივს, თითქმის ერთი თვის აქეთ-იქეთ თრევისა და წვალების შემდეგ, დღეს ეღირსა ამ სტატიას ქვეყნის ხილვა. მაგრამ, საუბედუროთ, სრულად ვერც დღეს იბეჭდება“. აქედან უდავოა, რომ ილიას წერილი დიდი დაგვიანებით დაბეჭდილა. ხოლო, როგორც ზემოთ ვნახეთ, „მეცამეტე გოჭების“ ავტორი იანოვსკისთან დაკავშირებით დაწერილ „დაგვიანებულ“ წერილს თავისად იხსენიებს. ამრიგად, ცალსახად დასტურდება, რომ „მეცამეტე გოჭები“ და „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ ერთსა და იმავე პიროვნებას ეკუთვნის და ეს პიროვნება ილია ჭავჭავაძეა.

მიუხედავად საკმაოდ არგუმენტირებული მტკიცებისა, იმის გამო, რომ ტექსტი ერთხელ უკვე სხვის თხზულებათა კრებულში იყო გამოქვეყნებული და ჩვენ არ ვფლობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე შეიტანა ი. ბოცვაძემ იგი მესხის ნაწერებში, გადავწყვიტეთ, რომ სავარაუდოთა ტომში მოგვეთავსებია. ჩვენი ტომის მიაზანია, რომ ამ ანონიმურ ტექსტებს რაც შეიძლება მეტი მეცნიერი გაეცნოს და ატრიბუციასთან დაკავშირებული არგუმენტები გამყარდეს.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲡ ᲓᲦᲔᲝᲑᲐ (ᲒᲕ. 208)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 14 იანვარი, №9, გვ. 1.

[1] უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. ჩემს წინა სქოლიოში მოხსენებულ წერილში.

თ ა რ ი ღ ი: 13 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

მას შემდეგ, რაც ჟურნალ-გაზეთების გამოცემა დაიწყო, ილია ჭავჭავაძე ძალიან ხშირად წერდა სტატიებს რელიგიურ დღესასწაულებზე. მის კალამს ეკუთვნის წმინდა ნინოს დღისადმი მიძღვნილი არაერთი ღირსშესანიშნავი სტატია და, ვფიქრობთ, რომ ესეც ერთი იმათგანია. წერილში გვხვდება მისი პუბლიცისტური ენისთვის დამახასიათებელი სიტყვები: „ეჭირება“, „მოქალაქობრივი“ და სხვ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ (ᲒᲕ. 211)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 17 იანვარი, №11, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 16 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

„ბლომად მოიძებნებიან იმისთანაები, რომლის მზგავსიც ქვემოთ დღევანდელ ჩვენის გაზეთის „ახალ ამბებშია“ აწერილი“. აქ ლაპარაკია ექიმზე, რომელმაც უარი უთხრა ახალგაზრდა ღარიბ ყმაწვილ კაცს დასჯერებოდა თითო მანეთს თითო მისვლაში და უპასუხა: „მე თითო რეცეპტის დაწერაში სამ მანეთზე ნაკლებს არავისგან არ ვიღებო.“

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ (ᲒᲕ. 214)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 29 იანვარი, №21, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 26 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

რამდენადაც სტატია ფინანსურ საკითხებს შეეხება, ილია კი ამ სფეროში ძალიან გათვითცნობიერებული იყო, გამორიცხული არ არის, რომ წერილი მას დაეწერა, თუმც ამას დაბეჯითებით ვერ დავადასტურებთ. სტატიაში გვხვდება მისთვის ჩვეული ორიოდე გამოთქმა.

გამბეტტას ძლიერება (გვ. 216)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 30 იანვარი, №22, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 29 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ლევან ჭრელაშვილის დაკვირვებით წერილში გამოხატული აზრები პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაზე აბსოლუტურად ემთხვევა „საქართველოს მოამბის“ ერთერთ მოწინავეში (თხზ. ათ ტომად, ტ.3, გვ.57) და სტატიაში „დავით აღმაშენებელი“, (თხზ. აკად გამოც. ტ.X, გვ 65) გამოთქმულ შეხედულებებს: „უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან რა, თუ არ ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოჰქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა...“

სტატიაში გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი ფრაზები: „მიაგნო ხალხის ძარღვს“, „ჩაავლო... მაგრად ხელი“, „ვერ...დააყრის კეთილს“ და სხვ.

თეატრის მატიანე (გვ. 219)
(ა. მ. მოხევის ბენეფისი...)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 4 თებერვალი, №25, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

აქ ორჯერ გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი გამოთქმა „გამონასკული“. იხ.: „მეორე მოქმედება გამონასკულია მთლად ყმაწვილი გიორგის მოქმედებაში“ და „თვითონ დრამაც ამ შედეგში იყო გამონასკული.“ დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიების „ქართული ტრუპპის შესახებ“ (გვ. 11) და „თეატრის მატიანე (გაბუნიას ქალის ბენეფისი...)“ (გვ. 30) შენიშვნები.

თეატრის მატიანე (გვ. 223)
(„ჟოზეფ პარიჟელი კინტო...“)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 11 თებერვალი, №31, გვ. 2.

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

გვ. 224 „...მოქმედი პირის ხასიათისა შინაგან თვისებისა მის ამა და ამ მდგომარეობის შორის“ — ილიასათვის უჩვეულო შეთანხმებაა. ასევე ეჭვს ბადებს ამ რეცენზიის ილიასეულობაში ისიც, რომ დასაწყისში ავტორი ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ მას დაუგვიანდა ამ საკითხზე ლაპარაკი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ რეცენზიის ავტორი პროფესიონალი თეატრმცოდნე უნდა იყოს, რომელიც რედაქციას, როგორც წესი, სისტემატურად აწვდიდა მასალას ყოველი ახალი დადგმის თაობაზე, რაც საეჭვოს ხდის ამ რეცენზიის ილიასეულობას.

ეჭვს ბადებს საფაროვის ქალის შესრულების კრიტიკაც, რაც ილიასთან იშვიათია.

დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიების „ქართული ტრუპპის შესახებ“ (გვ. 11) და „თეატრის მატიანე (გაბუნიას ქალის ბენეფისი...)“ (გვ. 30) შენიშვნები.

ბათომის მაზრის დაცარიელება (გვ. 228)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 24 თებერვალი, №40, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 23 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს წერილი ი. ბოცვაძეს შეტანილი აქვს ს. მესხის თხზულებათა მესამე ტომში. ლ. ჭრელაშვილი კი მას ილიას აკუთვნებს. ჩვენც ვიზიარებთ ამ აზრს. წერილის ილიასეულობას განსაკუთრებით მხარს უჭერს ბოლო აბზაცი. ამის ანალოგიური დაბოლოება ილიას ბევრ წერილში გვხდება (მაგ. იხ. „ძველი საქ. ეკ. წყობის შესახებ“).

ჩვენი ახალგაზრდობის მოვალეობა
(გვ. 230)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 22 მარტი, №62, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 21 მარტს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილში იგრძნობა ილია ჭავჭავაძისთვის ჩვეული სიდინჯე ნებისმიერი საკითხისადმი მიდგომისას. თითქოს რა არის იმაში ცუდი, რომ სტუდენტებმა სწავლის პერიოდში დაიწყონ ცალკეული საკითხების დამუშავება და წიგნების წერა. ალბათ ძალიან ბევრი დაუფიქრებლად მიესალმებოდა ამ წამოწყებას, მაგრამ სტატიის ავტორი დინჯად აანალიზებს ვითარებას. იგი ხვდება, რომ ორი კურდღლის დევნაში სტუდენტებმა შეიძლება სასურველი განათლება ვერ მიიღონ და ქვეყანას ვერ გამოადგნენ. ამიტომ წამოწყების მესვეურთ დაფიქრებისაკენ მოუწოდებს. წინამდებარე სტატია ამ კუთხით ძალიან ჰგავს ილია ჭავჭავაძის წერილს პეტერბურგელი სტუდენტებისადმი, სადაც იგი მათ მოუწოდებს, რომ ყველაფერ სხვას თავი ანებონ და მთელი დრო მოახმარონ იმ საქმეს, რისთვისაც არიან წასულნი უცხო მხარეში.

<როგორ პოლიტიკას აირჩევს რუსეთი>
(გვ. 234)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 25 მარტი, №64, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 24 მარტს

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

სტატიის ავტორს ეტყობა, რომ ის ფრთხილი და წინდახედული ადამიანია, რომელიც ხედავს მოახლოებულ საფრთხეს და ცდილობს საზოგადოება გააფრთხილოს. ვფიქრობთ, ილიას ავტორობა შესაძლებელია.

გვ. 234 „ჯერ არ დამშვიდებულა აღელვებული გრძნობა ხალხისა, რომელიც მოჰყვა ამ უბედურებას“ – იგულისხმება იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობა.

განათლების ახალი მინისტრის დანიშვნა
(გვ. 236)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 27 მარტი, №65, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 27 მარტს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატიაში მოკლედ არის გადმოცემული რუსეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და ცვლილებების მოლოდინი იმპერატორის მკვლელობის შემდეგ. ილიას ძალიან კარგად ესმოდა, რომ ამას ჩვენი ქვეყნისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ეს წერილი, რომელიც ილია ჭავჭავაძისათვის მისაღები პიროვნების, ბარონ ნიკოლაის განათლების მინისტრად დანიშვნას მოჰყვა, მისი დაწერილი იყოს.

„კავკაზის“ აზრი კავკასიის უნივერსიტეტზე (გვ. 241)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 8 აპრილი, №75, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 7 აპრილს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი წერილი თბილისში უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის. მისი ავტორი ყოველმხრივ ასაბუთებს უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესაძლებლობას და იცავს ამ იდეას არაკეთილმოსურნეთა შემოტევისგან. მართალია, ეს წერილი ნ. ბოცვაძეს შეტანილი აქვს ს. მესხის თხზულებათა მესამე ტომში, მაგრამ მის ამ გადაწყვეტილებას არ ახლავს არგუმენტირება, ჩვენ კი ვიცით, რომ სტატია იაკობ გოგებაშვილს არ შეუტანია სერგეი მესხის ნაწერების ნუსხაში.

ბათუმის ახალი გუბერნატორი (გვ. 245)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 23 აპრილი, №84, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 24 აპრილს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილის ავტორი კვლავ ეხმიანება ახალშემოერთებული აჭარის მოსახლეობის პრობლემებს. წინამდებარე ტომში წარმოდგენილი რამდენიმე წერილის გარდა, ამ საკითხებს ეძღვნება ილია ჭავჭავაძის მრავალი ცნობილი სტატია, რომელიც თხზულებათა აკადემიური გამოცემის წინა ტომებშია დაბეჭდილი.

სწავლა-განათლების საქმე (გვ. 247)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ.,

თ ა რ ი ღ ი: 13 ივნისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ავტორი ეხმიანება სწავლა-განათლების პრობლემებს ჩვენს ქვეყანაში, რისთვისაც ილია ჭავჭავაძეს არაერთი სტატია აქვს მიძღვნილი. მასში, ილიასათვის ჩვეული საქმიანი მიდგომით საუბარია მოსახლეობის განათლების დონის ასამაღლებლად სწავლების პირობების გაუმჯობესებასა და გამარტივებაზე. ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძის ავტორობა დასაშვებია.

კურსშესრულებულებს (გვ. 250)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ.,

თ ა რ ი ღ ი: 15 ივნისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია პუბლიცისტიკისათვის სულ ახა-ახალ ფორმებს ეძებს. ეს საოცრად ლამაზი და აზრობრივად კიდევ უფრო მომხიბლველი წერილი დალოცვის ფორმისაა. იგი ულოცავს საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულებას და შეაგონებს, რას მოელის მათგან თავიანთი ქვეყანა. ბოლოს კი გზას ულოცავს შემდგომი წინსვლისა და წარმატებებისკენ ქვეყნის სასახელოდ და სასარგებლოდ. სტატიის სტილი და ენა დახვეწილია და ჰგავს ილია ჭავჭავაძისას.

სოფლის მწარმოებლები (გვ. 253)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 8 ივლისი, №141, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 7 ივლისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ამ წერილის ავტორი, როგორც ჩანს, ილიას მსგავსად, ძალიან შეწუხებულია სოფლის მეურნეთა არახელსაყრელი მდგომარეობით და ვაჭრების მიერ მათი მუდმივი შევიწროებით. იგი ცდილობს გამოსავალი იპოვოს და მდგომარეობა შეუმსუბუქოს მათ. გულშემჭირვენი საქართველოში სხვებიც იყვნენ, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი პირველი ილია ჭავჭავაძე იყო. ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სტატია რედაქტორის გვერდზეა დაბეჭდილი, სავარაუდოა, რომ წერილი მას ეკუთვნოდეს.

მიეცით მამასახლისებს შესაფერი პატივი (გვ. 255)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 2 აგვისტო, №161, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 1 აგვისტოს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ამ წერილში გვხვდება სიტყვა „ჩამოიპორწიალოს“ (გულზე), რაც იმერულ დიალექტში იხმარება, აქვე თითქმის ყველგან ვით. ბრუნვაში „დ“-ის ნაცვლად „თ“-ნია, აქვე „ამბობს“ ნაცვლად წერია „სჩივა“

გაზ. „დროების“ №159-ში დაბეჭდილი კორესპონდენცია, რომელზედაც ლაპარაკია ამ წერილის შესავალში, შემდეგ ფაქტს მოგვითხრობს: სოფ. ხიდისთავის მამასახლისისათვის გორის მაზრის უფროსს მიუწერია წერილი, რომელშიაც იგი მოითხოვდა 10 ურმის გაგზავნას პოლკის ბარგის გადასაზიდად. როგორც შემდეგ გაირკვა, 10 ურმის ნაცვლად მაზრის უფროსს 20 ურემი სჭირდებოდა, რომლის გაგზავნაც წერილში მითითებული დროისათვის არაფრით არ ესწრებოდა. მიუხედავათ იმისა, რომ მამასახლისს ხელთ ჰქონდა მაზრის უფროსის ის წერილი, რომელშიაც იგი ითხოვდა 10 და არა 20 ურემს (შემდეგ წერილში, რომელშიც სოფელში დაგვიანებით მივიდა, იგი 20 ურემს ითხოვდა), მამასახლისს მაინც მიუსაჯეს ერთი კვირით პატიმრობა. ეს რომ პატიმრის ფეხმძიმე მეუღლემ შეიტყო, „მუცელი გაუცუდდაო“ – წერს კორესპოდენტი.

ქართული თეატრის შესახებ (გვ. 258)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 16 აგვისტო, №168, გვ.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ქართული თეატრის მოყვარე.

ფსევდონიმ „ქართული თეატრის მოყვარის“ შესახებ ვრცლად გვქონდა საუბარი წერილის – „ქართული ტრუპის შესახებ“ – შენიშვნებში, ამიტომ აღარ გავიმეორებთ. მივუთითებთ მხოლოდ, რომ ორივე წერილი ერთ ავტორს ეკუთვნის. ეს აღნიშნულია თვით წინამდებარე წერილში. ავტორი თავისად იხსენიებს წერილს – „ქართული ტრუპის შესახებ“ და ამონაწერებიც კი მოაქვს იქიდან.

ილია ჭავჭავაძის ავტორობის თაობაზე ლ. სანაძეს ეჭვს აღუძრავს ორი ადგილი წინამდებარე წერილიდან:

1) განსხვავებული აზრი გააჩნია ილიასა და ამ წერილის („ქართული თეატრის შესახებ“) ავტორს რეჟისორის როლზე მსახიობის მიერ პიესის ტექსტის დასწავლაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ილია თავის ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ წერს: „ურიგო არ იქნება, რომ ამ საგანს სასტიკი ყურადღება მიაქციოს რეჟისორმა“ და შემდეგ: – „იმედია, რომ ბეჟითი რეჟისორი მოსპობს ამას“.[1] წინამდებარე წერილში კი ვკითხულობთ: „რა ქნას რეჟისორმა? როგორ შეუძლიან იმას გააზეპირებინოს როლები? შეუძლებელია!“ მეცნიერის აზრით, ერთ ავტორს არ შეიძლებოდა ასეთი განსხვავებული აზრი ჰქონოდა ერთი და იმავე საკითხზე. მისი აზრით, აქ ორ განსხვავებულ ავტორთან

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, 1955 წ. გვ.52.

გვაქვს საქმე: ერთია „შინაური მიმოხილვის“ ავტორი – ილია ჭავჭავაძე და მეორე „ქართული თეატრის მოყვარის“ (თუ „მოყვარულის“) ფსევდონიმით ხელმოწერილი წერილების ავტორი.

2)ამ წერილში („ქართული თეატრის შესახებ“) გვხვდება ფრაზა: „კისერში რაღაც გაეკვეტებათ“, რაც აშკარად „დასავლური“ გამოთქმაა. ილია ამას ასე იტყოდა: „ყელში რაღაც გაეჩხირებათო“. მეცნიერის აზრით, ეს ორი არგუმენტი კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს მათ ილიასეულობაზე.

კონკრეტული პიროვნების ავტორობის უარსაყოფად ფსევდონიმით ხელმოწერილი წერილების ენობრივ და სტილურ მონაცემთა განსხვავებულობის გამოყენების მიზანშეწონილობაზე დამატებით იხ.: სტატიების „ქართული ტრუპის შესახებ“ და „თეატრის შესახემ“ შენიშვნები.

ახალ ქართულ გაზეთს (გვ. 261)

გაზ. „დროება“ 4 სეკტემბერი, № 185

თ ა რ ი ღ ი: 4 სეკტემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ჩვენი ვარაუდით, ამ წერილის ილიასეულობა ეჭვს იწვევს, რადგან მასში გვხვდება ისეთი იმერული დიალექტიზმები, რომლებიც მისთვის არ იყო დამახასიათებელი. – „მოიყვანებენ“, „წვრიმალი“ და სხვ., მაგრამ, რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი მისი ილიასეულობის შესახებ, ჩვენც შევიტანეთ იგი წინამდებარე ტომში მომავალი კვლევისა და განსჯისათვის.

არხეოლოგიურ კრების გათავება (გვ. 264)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 23 სეკტემბერი, №198, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 22 სეკტემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ისტორიული კვლევებითა და არქეოლოგიით ილიას დაინტერესების მოწმეა მისი არაჩვეულებრივი ნარკვევები: „აი ისტორია“, „ქვათა ღაღადი“ და სხვანი. ის იყო ამ ყრილობის ერთ-ერთი მასპინძელი და ხელისშემწყობიც. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ სტატია მას ეკუთვნოდეს. წერილის ილიასეულობას ადასტურებს მისთვის ჩვეული შემდეგი გამოთქმის ხმარებაც: „გონებითი განვითარება“, „გონებითი წარმატება“, „რათ“ და სხვ.

გვ. 264 „გუშინ უკანასკნელი სხდომა იყო არხეოლოგიურ კრებისა“ – 1881 წლის სექტემბერში თბილისში ჩატარდა V არქეოლოგიური ყრილობა.

თეატრის შესახებ (გვ. 266)
(პასუხი ა. მოჩხუბარიძეს)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 26 სეკტემბერი, №201, გვ

თ ა რ ი ღ ი: 24 სეკტემბერს

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ქართული სცენის მოყვარე.

როგორც ქვესათაურიდანაც ჩანს, ეს გამოხმაურებაა „დროების“ იმავე წლის №199-ში გამოქვეყნებული ა. მოჩხუბარიძის (ალ. ყაზბეგის) წერილზე „თეატრის შესახებ“. თავის მხრივ ამ პასუხს ალ. მოჩხუბარიძემაც უპასუხა გაზეთის 203 ნომერში.

წინამდებარე წერილის ანონიმი ავტორის (ქართული სცენის მოყვარის) ვინაობის დადგენაში ლეილა სანაძის აზრით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ა. მოჩხუბარიძის ზემოხსენებული ორი უპასუხო წერილის შესწავლას. საყურადღებოა, რომ ანონიმ ავტორს ა. მოჩხუბარიძე ილიას პოზიციებიდან ებრძვის. მაგალითად ა. მოჩხუბარიძე წერს თავის ოპონენტებზე: „ყოველნაირი ღონისძიებით ცდილობენ, პერიოდულის ლანძღვით გული გაუგრილონ ქართულ საზოგადოებას ჩვენ თეატრზედ“. ზემოთ – „ქართული ტრუპის შესახებ“ გამოთქმულ შენიშვნებში – მოტანილი გვქონდა ილიას და გ. ყიფშიძის გამონათქვამები, სადაც კარგად ჩანს ილიას თანადგომა თეატრთან იმის თაობაზე, რომ საჭიროა სა-

ზოგადოება გვერდში ამოუდგეს ქართული თეატრს და ზედმეტი ძაგებით გული არ აუცრუოს მის ისეთ საკეთილო საქმეზე, როგორიცაა ქართული თეატრი.

გარდა ამისა, თავის მეორე საპასუხო წერილში ა. მოჩხუბარიძე წერს: ისინი „ ...ყოვლის ღონისძიებით ცდილობენ გაავრცელონ საზოგადოებაში აზრი როგორც ქართული თეატრის, ისე ქართული ენისა და საქმის შეუძლებლობაზედ“. ეს შეხედულება უფრო გასაგებად მას ჩამოყალიბებული აქვს თავის პირველ საპასუხო წერილში, რომელშიც წერს: თეატრი „ყველაზედ უკეთ თანამშრომლობს დედაენის აღდგენას“. ეს სიტყვები რომ პირდაპირ ილიადან მოდის აშკარა გახდება, თუ შევუპისპირებთ მას ილიას თვალსაზრისს ენისა და თეატრის ურთიერთობის შესახებ. ილია თავის ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ წერს: „ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ: პირველი — რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი და მეორე — იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის მშვენიერებითა და სიმდიდრითა“. და კიდევ: „დიდი რამ არის ენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის“, „ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, სადაც ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა“. ასევე: „დ. ყიფიანის ხელში ,- წერდა ილია ,— სცენა თავის დღეში არ დამდაბლდება, რომ იგი შეიქმნეს გულისა და ენის გამრყვნელად[1] (ხაზი ყველგან ჩემია ლ.ს.). ვფიქრობთ ა. მოჩხუბარიძისაგან ანონიმი ავტორის წინააღმდეგ ილიას პოზიციების ასე მომარჯვებულად გამოყენება სწორედ იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ მისი ოპონენტი (ანუ ქართული სცენის მოყვარე) ილია ჭავჭავაძე არ არის. ილიას ავტორობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს „ქე რაღაზე გაგიჭრელებიათ“, თუ იგი ხუმრობით არ არის ნათქვამი.

არსებობს მეორე მოსაზრებაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამორიცხული არ არის, რომ „ქართულის თეატრის მოყვარისა“ და ქართული სცენის მოყვარის“ ფსევდონიმებით ილია ჭავჭავაძეს დაეწერა ეს მწვავე კრიტიკული მოსაზრებანი, რადგან პირდაპირ გამოთქმას მორიდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ ამ ფსევდონიმებით დაწერილი წერილების ავტორი თეატრისადმი მტრულად არის განწყობილი. მას უნდა, რომ იგი უკეთესი იყოს და ამიტომ იწუხებს თავს. თუ ეს

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, 1955 წ. გვ.40-41.

მართლაც ილია ჭავჭავაძეა, მისი მხრიდან კრიტიკის ანონიმურად გამოთქმა, შეიძლება ითქვას, კრიტიკის ობიექტთა ერთგვარი დანდობაც კი არის, რადგან მის სიტყვას, რა თქმა უნდა, მეტი ფასი ჰქონდა და საზოგადოებრივ აზრზე მეტად იმოქმედებდა, ვიდრე ანონიმი ავტორისა. ის, თუ რატომ სჭირდება ადამიანს თავის შენიღბვა ქართველთა მხილებისას, კარგად ჩანს ალ. ყაზბეგის საპასუხო წერილების ტონიდანაც. ანონიმ კრიტიკოსებზე — ქართული თეატრის მოყვარეზე და ქართული სცენის მოყვარეზე იგი წერს ასეთ სიტყვებს: „როშამენ“, „ენა წაიგძელეს“ და სხვ.

თფილისის გიმნაზიის იუბილეი (გვ. 269)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 26 სეკტემბერი, №201, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 25 სეკტემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი კრიტიკული ტონიოთ არის დაწერილი. მისი ავტორი საიუბილეო ვითარებაშიც კი, საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რა გაკეთდა კარგი და რა — ავი ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე.

ბ. მარკოვის საჩივარი (გვ. 272)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 1 ოქტომბერი, №204, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 30 სეკტემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება თბილისის კლასიკური გიმნაზიის 50 წლისთავს, რომელიც მისმა დირექტორმა — მარკოვმა ლამის საკუთარ იუბილედ აქცია. მასში გვხვდება სიტყვა „ტყობულობს“ რომელიც საეჭვოა, რომ ილიას ეხმარა.

ქართველები საქართველოში (გვ. 275)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 4 ოქტომბერი, №206, გვ. 1; 7 ოქტომბერი, № 208, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 3, 6 ოკტომბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს წერილი თემისადმი მიდგომით, პრობლემის მასშტაბური ხედვით, ენით, სტილით და ტექსტობრივი პარალელებით ილიას ავტორობაზე მიგვანიშნებს. ილია არაერთგან მსჯელობს იმაზე, რომ ჩვენი ერი მუდამ იძულებული იყო ცალ ხელში ხმალი სჭეროდა და მეორეში - გუთანი. არაერთგან გამოთქვამს წუხილს ჩვენი ხალხის მატერიალურ ხელმოკლეობასა და კაპიტალის უცხოთა ხელში აღმოჩენაზე.

წერილის ილიასეულობას მხარს უჭერს მისი სტილისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები და შესიტყვებანი: „ეჭირება“ (ორჯერ) „რად“ (სამჯერ), „ბუნებითი სიმდიდრით“, „ბუნებითი ნიჭით“ და სხვ..

ბათუმის სკოლა (გვ. 281)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 30 ოქტომ-ბერი, №227, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 29 ღვინობისთვეს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილში მოთხრობილია ბათუმში გახსნილი პირველი ქართული სკოლის წარუმატებლობის ამბავი. ეს სკოლა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გახსნა. მისი დაარსების ერთერთი ინიციატორი ილია ჭავჭავაძე იყო და ესწრებოდა კიდეც მის გახსნას, მაგრამ სკოლამ ვერ შეძლო მოსწავლეების შენარჩუნება. წერილის ავტორი ილიასათვის დამახასიათებელი სიდინჯით აფსებს ვითარებას, მაგრამ

1ფარ-ხმალს“ არ ყრის და იმედოვნებს, რომ ეს მწარე გაკვეთილი მომავალ წარმატებებში შეეწევათ.

იმერული დანოსები (გვ. 285)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 1 ნოემბერი, №229, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 31 ღვინობისთვეს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის წინააღმდეგ დაწერილ ცილისწამებებს, რომლებსაც სათანადო შეფასებას აძლევს ავტორი. წინამდებარე ტომში დაბეჭდილი კიდევ რამდენიმე წერილის მსგავსად, აქაც გვხვდება იმერული დიალექტიზმი: „სასირცხოდ“, ილიასათვის უცხო ფორმა „ვიზედაც“ და სხვა, რის გამოც მის ილიასეულობას ეჭვის ქვეშ ვაყენებთ, მაგრამ გამოგვაქვს საზოგადოების სამსჯავროზე შემდგომი კვლევებისათვის.

თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნაზე (გვ. 288)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 4 დეკემბერი, №225, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 4 დეკემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი არის გამოხმაურება კავკასიის ახალი მთავარმართველის დანიშვნაზე. სტატიის ავტორი ილიასათვის ჩვეული სიფრთხილით და კეთილგანწყობით მიესალმება ამ ფაქტს და, როგორც ილია აკეთებდა ხოლმე, მიანიშნებს, რას მოელის მისგან საზოგადოება.

გვ. 288. 1881 წლის 3 იანვარს დონდუკოვ-კორსაკოვი დაინიშნა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის

მთავარმმართებლად და კავკასიის „ოკრუგის“ ჯარის სარდლად – (იხ. „დრ“, 1882 წ., №2 ტელეგრამები).

გლეხთაგან მამულების გამოსყიდვა (გვ. 290)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881 წ., 9 დეკემბერი, №259, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 9 დეკემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ბატონყმობის გაუქმებისა და მის შემდეგდროინდელ პროცესებს ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ეხმიანებოდა თავის გაზეთებში. ვფიქრობთ, შესაძლოა, ესეც ერთ-ერთი ასეთი წერილი იყოს, მის მიერ დაწერილი. სტატიაში გვხვდება ილიას ენისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები: „დედააზრი“, „ჰსუფევს“ და სხვ.

უსაფუძვლო საყვედურები (გვ. 292)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: 1881 წ., 16 დეკემბერი, № 264, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 15 დეკემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება რუსეთის ხელისუფლებისა და პრესის საყვედურებს კავკასიის მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ აქ ბევრი ფული იხარჯება სახელმწიფო ხაზინიდან, მაგრამ არაფერი კეთდება ქვეყნის სასარგებლოდ. სტატიის ავტორი აანალიზებს ამ საყვედურების საფუძვლიანობას, აღიარებს მის რეალობას, მაგრამ დასძენს, რომ მთავარი ამის მიზეზების მოძიებაა. მის მსჯელობას ეტყობა ობიექტურობა და თავშეკავებულობა. ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძის ავტორობა დასაშვებია.

ბატონყმობის საქმის გათავება (გვ. 296)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: 1882 წ., 8 იანვარი, №4, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება გლეხთა მამულების გამოსყიდვას, რაზეც ილია ჭავჭავაძე სხვადასხვა წლებში რეგულარულად აქვეყნებდა წერილებს. ვფიქრობთ, მისი ავტორობა აქაც შესაძლებელია.

<სხვადასხვა ერების უცნაური მდგომარეობა კავკასიაში> (გვ. 298)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: 1882 წ., 10 იანვარი, № 10, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: თფილისი, 9 იანვარი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

ამ წერილის ილიასეულობაში ეჭვს აღძრავს „დონის“ ნაცვლად „თანის“ ხმარების შემთხვევები (საზოგადოთ, სწორეთ, სტუმრათ), რაც ილიასთან გვხვდება, მაგრამ ძალიან იშვიათად და სიტყვები „თვითება“ და „განთვითება“, რომელთაგან პირველი ილიასთან არ გვხვდება, ხოლო მეორე ფორმას იგი ხმარობს გაცალკევების მნიშვნელობით. ამ წერილში კი იგი იხმარება თავისებურების – მეობის დამახასიათებლობის მნიშვნელობით. მაგრამ, რადგან სხვა რამ მყარი საბუთი ამ წერილის ატრიბუციისათვის არ გაგვაჩნია და რადგან აქვე ილიასათვის დამახასიათებელი ისეთი ლექსიკური ერთეულებიც არის, როგორიცაა „გარნა“ და სხვ., ისიც შეგვაქვს წინამდებარე ტომში.

ჩვენი ფოჩტა და რკინისგზა (გვ. 301)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: 1882 წ., 13 იანვარი № 8. გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 12 იანვარი.

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატიაში იმდროინდელი რკინიგზისა და ფოსტის გაუმართავ მუშაობაზეა საუბარი. კონკრეტულად დასმულია საკითხი „ჟურნალ-გაზეთების" გავრცელებაში არსებულ ხარვეზებზე, რაც მკითხველსაც აზარალებს და გამომცემელსაც. ვფიქრობთ, ეს თემა მნიშვნელოვანი იყო ილიასათვის და შეიძლებოდა მისთვის სტატია მიეძღვნა.

პროვინციალური გაზეთები (გვ. 304)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: 1882 წ., 21 იანვარი, № 14, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 20 იანვარს.

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პროვინციაში აქ შეიძლება მთელი საქართველო იგულისხმებოდეს და მის გაზეთებში „დროებაც", ილია ჭავჭავაძე ამ სტატიაში წამოჭრილი პრობლემით აუცილებლად იქნებოდა დაინტერესებული. ამდენად მისი ავტორობა სავსებით შესაძლებელია.

ქართველთ ქონება ათონის მთაზე (გვ. 306)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: 1882 წ., 20 თებერვალი, № 37, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 19 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს წერილი ი. ბოცვაძემ ს. მესხის თხზულებების მესამე ტომში დაბეჭდა. სამწუხაროდ, ი. ბოცვაძე მის მიერ გამოცემულ ს. მესხის თხზულებათა კრებულში არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რატომ აკუთვნებს იგი ამ წერილს ს. მესხს. მკვლევარი ლ. ჭრელაშვილი კი რამდენიმე საყურადღებო ფაქტის მოშველიებით,[1] მის ავტორად ილია ჭავჭავაძეს მიიჩნევს (იხ. „მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია", 1985 წ., №4, გვ. 11-12). ერთ-ერთი არგუმენტია ამ წერილის შედარება ილიას ცნობილ სტატიასთან „ათონის ქართული სავანის შესახებ", რომელიც 1886 წელს გამოქვეყნდა „ივერიაში". ლევან ჭრელაშვილის აზრით: „სხვა ყველაფერთან ერთად (თემა, იდეური შინაარსი, პათოსი), აზრის გაძლიერებისათვის გამეორების ხერხი (უნდა გვაიძულებდეს, უნდა ხელს გვანძრევინებდეს") და საკითხის ეროვნულ ასპექტში განხილვა, ჩვენი აზრით, ილიას ხელწერაა" („ლ. ჭრელაშვილი, „გაზეთ დროებაში ხელმოუწერელი პუბლიცისტური წერილების ატრიბუცია", „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია", „985 წ. №4, გვ.12)

ჩვენი საჭიროებანი (გვ. 309)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: 1882 წ., 19 მარტი, № 58, გვ. 1. (სტატია პირველი);1882 წ., 20 მარტი, № 59, გვ. 1. (სტატია მეორე);1882 წ., 25 მარტი, № 63, გვ. 1. (სტატია მესამე).

თ ა რ ი ღ ი: 18, 19, 24 მარტს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს წერილი ეხმიანება 1881 წელს ჟურნალ „ივერიაში" გამოქვეყნებულ „შინაურ მიმოხილვას", რომლის ავტორი ილია ჭავჭავაძე სტატიის ბოლოს მკითხველს ჰპირდებოდა, რომ წერილში რამდენიმე მუხლად ჩამოყალიბებულ

[1] 1. ეს თხზულება შეტანილი არ არის ი. გოგებაშვილისეულ ს. მესხის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში. 2. შეპირისპირება ილიას წერილთან „ათონის ქართული სავანის შესახებ (გაზ. „ივერია", 1886 წ.) ლ. ჭრელაშვილს საფუძველს აძლევს განაცხადოს, რომ... 3. „სტილი და საკითხის ორივე წერილში ერთნაირი გადაწყვეტა და ნაწარმოების ეროვნული პათოსი" ამ წერილების ავტორების იგივეობაზე მიანიშნებს.

ეროვნულ საჭიროებებზე შემდგომში უფრო ვრცლად ესაუბრებოდა. ლევან ჭრელაშვილის დაკვირვებით, დასახელებულ წერილს „ივერიაში“ გაგრძელება აღარ მოჰყოლია, მაგრამ ილია ჭავჭავაძემ, როგორც ჩანს, წამოჭრილი საკითხების გაშუქებას „დროებაში“ გამოქვეყნებული ეს ციკლი მიუძღვნა.

იგი აგრეთვე ბევრი რამით მოგვაგონებს ილიას ვრცელ ნარკვევს: „ცხოვრება და კანონი“. მტკიცების ხერხები, სტილი, ენობრივი თავისებურებები – ყველაფერი ილიას ავტორობაზე მიგვანიშნებს, გვხვდება სტატისტიკურად მის ნაწერებში ხშირად ხმარებული სიტყვები: „ეჭირება“ (სამჯერ), „აგერ“, „ესრედწოდებული“, ფრაზები: „ასში ერთს ძლივს ნახავთ“, „ნამდვილი ბაბილონის ენათა აღრევაა“ და სხვ.

ერთიც ახალი გამოლაშქრება (გვ. 317)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., 4 აპრილი, №67, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 3 აპრილს
დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება ქართული თეატრის მიმართ რუსულ პრესაში მიერ გამოთქმულ უსაფუძვლო ბრალდებას. სტატიის ავტორი არაჩვეულებრივად ასაბუთებს, რომ შევიწროებულ მდგომარეობაში რუსულზე მეტად ქართული და სომხური თეატრებია და ამდენად საყვედურებს აქარწყლებს. გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი ცალკეული სიტყვები და გამოთქმები: „რაიცა“, „ეჭირება“ და სხვ. რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი ავტორობა შესაძლებელია.

<ალექსანდრე ბატონიშვილის ძის – ერეკლეს გარდაცვალების გამო> (გვ. 321)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., 30 აპრილი, №88, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილი ეხება ქართველ მეფეთა შთამომავლის გარდაცვალებას, რასაც არ შეიძლება გული არ დაეწყვიტა ილიასათვის. იგი მართლაც სამგლოვიარო განწყობით არის დაწერილი და თითოეულ სიტყვაში იგრძნობა ავტორის თანაგრძნობა. გვხვდება ილიასათვის ჩვეული ლექსიკური და ენობრივი ფორმები, მაგ „აქამომდე“, „დაღისტნიდამ“, „რუსთ მფლობელობა“, „გონივრული სახის გამომეტყველება“, „ზრუნვის ბეჭდით აღბეჭდილი“ და სხვ. ვფიქრობთ, ილიას ავტორობა სავსებით შესაძლებელია.

რუსის ცრუ-პატრიოტს (გვ. 324)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., 19 მაისი, №100, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 18 მაისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ლევან ჭრელაშვილი ამ სტატიის ილიასეულობის მტკიცებისას, სხვა არგუმენტებთან ერთად, იშველიებს ტექსტობრივ პარალელებს. მას მოჰყავს ამონარიდი ტექსტიდან: **„არ შეიძლება ადვილად გადარჯულება, გადასხვაფერება იმ ხალხისა, რომელსაც ორიათასი წელიწადი უცხოვრია თავის ისტორიულის ცხოვრებით“** და ადარებს მას ილიას სხვა, ცნობილი სტატიების ციტატებს: „ჩვენ ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავის ისტორიულის ცხოვრებით“, „ჩვენ ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებით“ (ილია ჭავჭავაძის თხზულებანი ათ ტომად, ტ.4, გვ.17), „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით“ (ილია ჭავჭავაძის თხზულებანი ათ ტომად, ტ.4, გვ. 202). ენობრივ-სტილისტურ მსგავსებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ვფიქრობთ, ეს არგუმენტიც დამაჯერებელს ხდის ილიას ავტორობის შესაძლებლობას.

საყურადღებო შედარება (გვ. 327)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., 3 ივნისი, №113, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 2 ივნისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

როდესაც ილია ჭავჭავაძე თავის ხალხს რაიმე ნაკლზე ან შეცდომაზე მიუთითებს, ყოველთვის უსაბუთებს, რომ გამოსავალი არსებობს. ამისათვის ის ხან ლოგიკასა და ანალიზს იშველიებს, ხან კი - ცოცხალ მაგალითებს. ამ წერილშიც, განათლების საქმისადმი ჩვენი უგულისყურობის წარმოსაჩენად მოხმობილია სომხების მაგალითი, რომლებიც თავიანთი ახალგაზრდების განათლებისათვის ექვსჯერ მეტს ხარჯავენ, ვიდრე ჩვენ. ვფიქრობთ, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს წერილი ილიას ეკუთვნოდეს.

სახალხო დროსგატარება (გვ. 330)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., 18 ივნისი, №125, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 17 ივნისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისდანერგვა-განვითარებისათვის პირველი ფონდის შექმნას ეხება. ასეთ ეროვნულ წამოწყებებს ილია ჭავჭავაძე უყურადღებოდ არ ტოვებდა. ამიტომ მისი ავტორობა სავსებით შესაძლებელია.

ბათუმისა და ფოთის შესახებ (გვ. 333)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., 20 ივნისი, №127, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 19 ივნისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

დამახასიათებელი სიტყვები: „რად“, „დედააზრი“, „თქვე დალოცვილო“, „წინათვე“ (ორჯერ), „აქამომდე“ (ორჯერ).

ეს წერილი ი. გოგებაშვილს შეტანილი არა აქვს ს. მესხის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში, რის გამოც მის ავტორად ი. ჭავჭავაძე ივარაუდება. ილიასეულად მიიჩნევს მას ლ. ჭრელაშვილიც, მაგრამ სტილსა და ზოგიერთი სიტყვის მართლწერას ეჭვი შეაქვს მის ილიასეულობაში. ეს სიტყვებია: „ეხლა“ ფორმა (ილია ყოველთვის „ახლას“ ხმარობს) და „რკინისგზა“ უდეფისოდ (ასეა ამ წერილში ყველა შემთხვევაში), ილია კი ისე, როგორც ყველა სხვა კომპოზიტს, ამ სიტყვასაც მხოლოდ დეფისით წერდა. მიუხედავად ამ ეჭვისა, მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ ამ წერილის დატოვება წინამდებარე ტომში.

ახალი გაზეთი „ბათომის ფურცელი“ (გვ. 341)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., 22 ივნისი, №128, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძე ყოველთვის დიდი ყურადღებით ხვდებოდა და წერილობითაც ეხმიანებოდა საქართველოში ახალი ჟურნალის ან გაზეთის გამოსვლას. მისთვის, ალბათ, კიდევ უფრო საყურადღებო იქნებოდა ასეთი ორგანოს დაარსება აჭარაში, სადაც ხალხს მეტად სჭირდებოდა საინფორმაციო და კულტურული საშუალებები. ამდენად, წერილის ავტორად მისი მოაზრება დასაშვებად მიგვაჩნია.

ქუთაისის ბანკის მდგომარეობა (გვ. 344)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., № 129, გვ.1.

თ ა რ ი ღ ი: 22 ივნისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ქუთაისის ბანკის, ისევე, როგორც ზოგადად საბანკო საქმეების, თბილისისა და საგლეხო ბანკების შესახებ ილია ჭავჭავაძეს არაერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული და ვფიქრობთ, რომ შესაძლოა ესეც მას ეკუთვნოდეს. მით უფრო, რომ იგი მისი გაზეთის სარედაქციო გვერდზე დაიბეჭდა ხელმოუწერლად.

მავნებელი დედააზრები (გვ. 347)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., 4 ივლისი, № 136.

თ ა რ ი ღ ი: 3 ივლისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ისევ ქუთაისის ბანკის საკითხებს და იქ წარმოქმნილ დაპირისპირებას ეხება. აქ კიდევ უფრო დამაჯერებლად ჩანს სტატიის ავტორის კომპეტენცია განსახილველ საკითხში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის ილია ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს. სიტყვა „დედააზრი“ ქართულ მწერლობაში მისი დამკვიდრებულია. ამ წერილში კი ეს ლექსიკური ერთეული სამჯერ გვხვდება.

ერთი საისტორიო საგანი (გვ. 350)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., 22 ივლისი, №151, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 21 ივლისს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვის, რადგან მასში ბევრი ისეთი საკითხია წამოჭრილი, რომლის შესწავლაც დღესაც საშური საქმეა. ვფიქრობთ, მისი ავტორი საკმაოდ გათვითცნობიერებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიაში. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს წერიკლების ციკლ „აი ისტორიის“ ავტორი ილია ჭავჭავაძე იყოს.

შენიშვნა (გვ. 355)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., 19 აგვისტო, № 173, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 18 აგვისტოს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატია სამართლებრივ საკითხებს ეხება. ამდენად ილია ჭავჭავაძის ავტორობა სავსებით დასაშვებია. მასში გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები, მათ შორის სიტყვა „დედააზრი“.

კავკასიის რეფორმები (გვ. 358)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882, წ., 14 სექტემბერი, №192, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 13 ენკენისთვეს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება გარუსების პოლიტიკას კავკასიაში. ამ თემისადმი ილიას არაერთი მწვავე პოლემიკური წერილი აქვს მიძღვნილი. სტატიის ავტორი ამხელს რუსეთის ხელისუფლების შეფარულ პოლიტიკას, რომელსაც

ოფიციალურად არ აცხადებს, მაგრამ ქვეშევრდომთა ხელით ახორციელებს. გვხვდება ილიას პუბლიცისტური ენისათვის დამახასიათებელი სიტყვები: „აღკრძალული“, „ეჭირება“ (სამჯერ), „რად“, „ვიყვნეთ“, „მაგიერად“ და სხვ.

<უყურადღებობა ქართული ენის მიმართ> (გვ. 361)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“,1882, წ., 29 სექტემბერი, №203, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 28 სექტემბერს

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილი ეხება ალექსანდროვის ინსტიტუტში თათრული ენის სწავლების შემოღებას. სტატიის ავტორი მიესალმება ამ ფაქტს, მაგრამ სვამს კითხვას, ჩვენი ხანგრძლივი და დაჟინებული თხოვნის მიუხედავად რატომ ქართულ ენასაც არ აქცევენ ამგვარ ყურადღებასო?. სტატიაში გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები, მათ შორის, „ეჭირება“.

ბათომის სკოლის თაობაზედ (გვ. 364)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882, წ., 20 ნოემბერი, №242, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 19 ნოემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება ბათუმში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლის შენარჩუნებასა და კიდევ ერთი სკოლის გახსნის სურვილს. ავტორი სიამოვნებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მუსულმანმა ქართველებმა ქართული სკოლისკენ იბრუნეს პირი. რამდენადაც ილია ჭავჭავაძეს თანაბრად აინტერესებდა

როგორც ახალშემოერთებული რეგიონის მცხოვრებთა ბედი, ისე განათლების საკითხები, მის ავტორობას, რა თქმა უნდა, ვერ გამოვრიცხავთ. ამ მხრივ საინტერესოა ამავე წლის დეკემბერში მის მიერ ბათუმში ლევან მჭედლიშვილისათვის გაგზავნილი ბარათი, რომელშიაც საუბარია მის მიერ დასახელებული სკოლის დასახმარებლად მატერიალური დახმარების აღმოჩენის სურვილზე (იხ.: ს. ხუციშვილი, მანათობელი, 1980, გვ.74). სტატიაში გვხვდება ილიასთვის დამახასიათებელი გამოთქმები: „ზოგიერთი პირები“, „ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ...“ და სხვ.

ბათომი და ბათომელები (გვ. 366)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882, წ., №277, 278

თ ა რ ი ღ ი: 8 დეკემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს წერილი ი. ბოცვაძემ ს. მესხს მიაკუთვნა და შეიტანა მის თხზულებების მესამე ტომში. ილიასთვის დამახასიათებელი სიტყვები: „მაგიერად“, „აღვიარებული“.

წერილიდან ჩანს, რომ მისი ავტორი სულ ცოტა სამჯერ ყოფილა ბათუმში (ბათომში): 1878 წლის 26 მარიამობისთვეს, ერთი წლის შემდეგ – 1879 წელს და ამ წერილის დაწერის დროს 1882 წლის დეკემბერში. ჩვენ არ მოგვეპოვება ინფორმაცია ამ პერიოდში ილიას ბათუმში ყოფნის თაობაზე, მაგრამ ასეთ ფაქტსაც ვერ გამოვრიცხავთ. ამდენად, სტატიის ილიასეულობა ეჭვს ქვეშ არის, მაგრამ არც უარყოფილია.

საახალწლო (გვ. 372)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 5 იანვარი, №1, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 31 დეკემბერს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად. ამ სახის შემავჯამებელ წერილბს ილია თითქმის ყოველი წლის ბოლოს წერდა. თითოეულ მათგანში იგრძნობა წარსულის ჯანსაღი კრიტიკული შეფასება და წინსვლის სურვილი. აქაც, როგორც ილიას არაერთ სტატიაში, აქცენტი გაკეთებულია ერისა და თითოეული პიროვნების მიერ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების შეცნობის აუცილებლობაზე. ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. აქვე წერილის „შარშანდელი წელიწადი ჩვენში“ შენიშვნები.

წერილში გვხვდება ილიას ენისათვის დამახასიათებელი სიტყვები და ფრაზები: „უნაყოფოდ არ ჩაუვლია“, „განთქმული უზრუნველობა ქართველის კაცისა“, „ნიშანია... ერის გამოღვიძებისა“, „ეჭირება“ (ორჯერ) და სხვ.

გავლილი წელიწადი ევროპაში (გვ. 376)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 4 იანვარი, №2, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 4 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატია უცხოეთის პოლიტიკური მოვლენების ანალიზით საკმაოდ ახლოს არის ილიასეულ საზღვარგარეთის ამბების მიმოხილვებთან. აქაც და იქაც ერთნაირი აქცენტებია გაკეთებული. წერილში გვხვდება მისთვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები: „ჰსუფევს“, „კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის“ და სხვ.

გავლილი წელიწადი რუსეთში (გვ. 379)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 5 იანვარი, №3, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 5 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი უცხოეთის ამბების ჩვეულებრივი მიმოხილვის სტილშია დაწერილი და წარმოგვიდგენს რუსეთის მდგომარეობას ახალი იმპერატორის — ალექსანდრე მესამის ტახტზე ასვლის შემდეგ. ილიას ავტორობას გადაჭრით ვერც უარვყოფთ და ვერც დავადასტურებთ. ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით დამატებით იხ. აქვე წერილის „შარშანდელი წელიწადი ჩვენში“ შენიშვნები.

გამბეტას დამარხვა (გვ. 381)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 8 იანვარი, №5, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 8 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეძღვნება საფრანგეთის ამ პოლიტიკური მოღვაწის ცხოვრების მიმოხილვასა და შეფასებას. გამბეტას შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია გვხვდება ილია ჭავჭავაძის ათობით პუბლიცისტურ წერილში. ამდენად გასაკვირი არ არის, რომ ეს სტატიაც მისი დაწერილი იყოს.

შარშანდელი წელიწადი ჩვენში (გვ. 384)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 11 იანვარი, №6, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 10 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

როგორც ზემოთ მივუთითეთ ამ სტატიის და წერილის — „საახალწლო“ ავტორი ერთი და იგივე პირია — ილია ჭავჭავაძე. ამას ადასტურებს აქ ილიასათვის დამახასიათე-

ბელი გამოთქმებისა და სიტყვების ხმარება: „...ერთს სანუ-გეშო მდგომარეობასაც შევნიშნავთ საკუთრივ ჩვენს საზოგადოებაში“; „ამ დროიდან იწყება ხალხის წინსვლა და წარმატება“; „ვცნობულობთ“. „მაგიერად“ და სხვ.

გვ. 384. „...ამას წინად მოვიხსენიეთ („დროება“ №3) – იგულისხმება წინამდებარე ტომში მოთავსებული წერილი „გავლილი წელიწადი რუსეთში“.

გვ. 385. „...ხელმწიფე იმპერატორმა თავის ძმის მაგივრად...“ – იგულისხმება – კავკასიის წინა მართებელი.

გვ. 385 „მოვლენა, რომელიც ამას წინადაც ავღნიშნეთ...“ – უნდა იგულისხმებოდეს 31 დეკემბრის მოწინავე წერილი „საახალწლო“.

გახშირებული ავადმყოფობა (გვ. 387)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 12 იანვარი, №7, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 11 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატიის ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს თბილისში საავადმყოფოების ნაკლებობისა და ავადმყოფთა სავალალო მდგომარეობის გამო. ილია ასეთი ტიპის წერილებსაც ხშირად წერდა. მას გამოქვეყნებული აქვს სტატიები თბილისისა და ბათუმის ანტისანიტარიასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის სავალალო მდგომარეობაზე. გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი სიტყვა-გამოთქმები, მათ შორის, „ჰსუფევს“, „ეჭირება“ (ორჯერ) და სხვ.

წმინდა ნინოს დღესასწაული (გვ. 391)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 14 იანვარი, №9, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 13 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ილია თითქმის ყოველწლიურად აქვეყნებდა წერილებს ამა თუ იმ რელიგიურ დღესასწაულზე, მათ შორის ყველაზე ხშირად სტატიებს წმინდა ნინოს მოსახსენიებელ დღეს უძღვნიდა ხოლმე, რადგან დიდ პატივს სცემდა მის მოციქულებრივ ღვაწლს ქართველთა წინაშე. ამ სტატიაში გარდა სადღესასწაულო სადიდებლისა, არის განსჯა ეკლესიის იმჟამინდელ მდგომარეობაზე და ქადაგების ნაკლებობაზე. იმის მინიშნებით, რომ სხვა აღმსარებლობის ხალხებში რწმენა წინ მიიწევს, ჩვენთან კი ჩამორჩება, სტატიის ავტორმა, ფაქტობრივად, რუსეთს დასდო ბრალი იმიტომ, რომ ეკლესიის ერთიანობის გამო მათ ყველაზე ცუდი გავლენა ჩვენზე იქონიეს. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სტატიაც ილია ჭავჭავაძის კიდევ ერთი საინტერესო მიძღვნა იყოს ჩვენი განმანათლებლის მოსახსენიებელი დღისადმი.

ქალაქის თავის არჩევანი (გვ. 394)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 25 იანვარი, №17, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 18 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატიაში წარმოჩენილია ის ფაციფუცი და მიდგომ-მოდგომა, რაც წინ უსწრებს ხოლმე არჩევნებს. ზოგნი ერთ კანდიდატს აქებენ, ზოგნი – მეორეს, მაგრამ არც ერთს ამოძრავებს საზოგადო საქმის ინტერესი და არც სხვას – ორივე მხარე დაინტერესებულია პირადად მასთან უკეთეს ურთიერთობაში მყოფი პიროვნების არჩევით. სწორედ ამ არაჯანსაღ დამოკიდებულებას მიიჩნევს ილია იმის მიზეზად, რომ ქალაქის საბჭოში ხშირად კანონის აბსოლუტური უმეცარნიც ხვდებიან. გვხვდება მისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები, მაგ. „ზედმოქმედება“, „რად“ და სხვ.

ჩვენი თავად-აზნაურობა და ერობა (გვ. 397)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 21 იანვარი, №14, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 20 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატიის ავტორი ცდილობს ახსნას ერობის ანუ თვითმმართველობის დაწესების თაობაზე კომისიების მუშაობის გაჭიანურების მიზეზი და დაანახოს მოსახლეობას, რომ ერობა მათთვის არ არის საზიანო. ენისა და სტილის მიხედვითაც, შეიძლება ითქვას, რომ სავსებით შესაძლებელია, სტატია ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდეს.

საფრანგეთში (გვ. 399)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 20 იანვარი, №15, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 21 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.
სტატიაში საუბერია გამბეტას გარდაცვალების შემდეგ საფრანგეთში გამფებულ ვითარებაზე. იგი იმავე სტილშია დაწერილი, როგორშიც ილიას ცნობილი პოლიტიკური მიმოხილვები.

ქალაქის თავის არჩევანი (გვ. 402)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 25 იანვარი, №17, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ამ სათაურით გამოქვეყნებული ეს – მეორე სტატია უკვე თავად არჩევნების პროცესს და შედეგს ასახავს. საგულისხმოა, რომ ამომრჩევლებიც და კანდიდატებიც ძირითადად სომხები არიან და ისინი ყველანაირ ხერხს მიმართავენ გასამარჯვებლად. შესაძლოა წერილი ილიასი იყოს.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი (გვ. 405)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 27 იანვარი, №18, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 28 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

მეორე წმინდანი, რომლის ხსენების დღესაც ყველაზე ხშირად უძღვნიდა წერილებს ილია ჭავჭავაძე, არის დავით აღმაშენებელი. თემისადმი განწყობა, სტილი და ენობრივი მახასიათებლები საკმაოდ წააგავს მისას. განსაკუთრებით ნიშანდობლივია „გლახის ნაამბობიდან“ ციტირების აღმნიშვნელი ბრჭყალების გარეშე შემდეგი გამონათქვამის მოხმობა: „ყველას გულში გვიღვივის ღვთისაგან აღგზნებული ლამპარი, რომელიც გვინათებს ცხოვრებაში გასავლელ გზასა“. შევადაროთ ეს ციტატა ილია ჭავჭავაძის გლახის ნაამბობს: „ყველას გულში... ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ...“ ვფიქრობთ, ასეთ ციტირებას უფრო ავტორი მიმართავდა.

დრონი იცვალნენ (გვ. 410)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 30 იანვარი, №21, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 29 იანვარს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება საზოგადოების მონაწილეობას საერთო ეროვნულ საქმეებში. ავტორი მადლობას უხდის მათ, ვინც გაზეთის თხოვნას გამოეხმაურა და რედაქციას მიაწოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. შემდეგ კი ახალ თხოვნას აცნობს მათ: შეაგროვონ და მიაწოდონ რედაქციას წარსული პერიოდის გამოჩენილი პიროვნებების შესახებ მათ მიერ ნანახი და გაგონილი ამბები. ვფიქრობთ, ასეთ თხოვნით მკითხველს რედაქცია და, უპირველეს ყოვლისა, რედაქტორი მიმართავს ხოლმე. ამიტომ სავსებით დასაშვებია ილიას ავტორობა.

ერთი სახსართაგანი ჩვენში მეურნეობის წარმატებისათვის (გვ. 412)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 5 თებერვალი, №25, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 1 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად. ილიასათვის დამახასიათებელი სიტყვები: „ეჭირება“ (ორჯერ) „იქმნა გაყვანილი“.

წერილი ეხება მეურნეების მიერ საკუთარი ნაღვაწის სათანადოდ დაფასებისა და გასაღების გზების ძიებას. ილია ჭავჭავაძე ამ პრობლემებით ყოველთვის იყო დაინტერესებული და არაერთ ცნობილ წერილში შეხებია. ამდენად მისი ავტორობა აქაც სავსებით შესაძლებელია.

სამღვდელოებაზედ (გვ. 415)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 8 თებერვალი, №28, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 7 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება სამღვდელო პირთა შორის გამოვლენლ უღირს ქცევებს და მათი გამოსწორების გზების ძიებას. ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება რწმენისა და ეკლესიისადმი ცალსახაა, დადებითია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მღვდელი უცოდველია და რომ მანაც არ უნდა იზრუნოს თავის სულზე. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძეს შეეძლო ასეთი წერილის დაწერა, მით უფრო, რომ იგი არა ნიშნისმოგების, არამედ გულშემატკივრის კილოთია დაწელი.

ჩვენი ჟურნალ-გაზეთების საქმე (გვ. 418)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., №32 და № 33.

თ ა რ ი ღ ი: 12-14 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს ვრცელი წერილი, რომელიც გაზეთის ორ ნომერში დაიბეჭდა, ამომწურავად ასახავს იმდროინდელი პრესის პრობლემებს და თანმიმდევრულად აყალიბებს მათი გადაჭრის გზებს. არგუმენტირების პრინციპით, ენითა და სტილით იგი სავსებით ესადაგება ილია ჭავჭავაძის ცნობილ წერილებს ჟურნალ-გაზეთების შესახებ. ტექსტში გვხვდება მისთვის დამახასიათებელი არაერთი გამოთქმა, მაგალითად: , „ეჭირება“ (ორჯერ), „რად“ (სამჯერ,) „მიზეზთაგანი“ და სხვ

ვიწროობა (გვ. 424)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 20 თებერ-ვალი, №38, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 19 თებერვალს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად. წერილი ეხება სასაფლაოებზე ადგილის სივიწროვეს. თითქოსდა ჩვეულებრივი პრობლემაა, მაგრამ

იმის გამო, რომ მას ხშირად ჩხუბი და კაცისკვლაც კი მოჰყოლია, გამორიცხული არ არის ილიაც დაინტერესებულიყო მისი გადაჭრით და ამისთვის წერილი მიეძღვნა.

ლექციების შესახებ (გვ. 427)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 24 თებერვალი, №41, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი ეხება ერთ ძალიან საჭირო და სასარგებლო განზრახვას, მოსახლეობისათვის ჰიგიენისა და ელემენტარული სამედიცინო მკურნალობის შესახებ, ასევე ახალგაზრდა ექიმების მიერ ლექციების ჩატარებას. ვფიქრობთ, ასეთი წამოწყებების მიმართ არც ილია იქნებოდა გულგრილი.

სამართალი მწრაფლი და მართალი (გვ. 429)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 10 მარტი, №51, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 9 მარტს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ამ წერილის ილიასეულობას მხარს უჭერს უკანასკნელი წინადადება — „უმჯობესია ათი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი მათგანი დაისაჯოსო“. ამ აზრს ილია სხვაგანაც გამოთქვამს, იხ. მაგ. 1879 წლის თებერვლის „შინაური მიმოხილვა“.

წინამძღოლი არა გვყავს (გვ. 432)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 12 მარტი, №53, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 11 მარტს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილში დიდი გულისტკივილია გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველ ხალხს მის იმჟამინდელ ხელისუფალთან — რუსეთის იმპერატორთან გულშემჭირვე შუამავალი არ ჰყავდა. წერილის ავტორის სურვილი იყო, რომ ახალი იმპერატორის ტახტზე ასვლის დღეს ქართველ თავადაზნაურობას მისთვის არა მხოლოდ ვერცხლის ხონჩა მიერთმია, არამედ თავისი საჭიროებების შესახებ ხმაც მიეწვდინა. ვფიქრობთ, რომ ეს წერილი ძალიან ჰგავს მსგავს თემებზე დაწერილ ილიას არაერთ სხვა სტატიას.

ავსტრიის ვარამი (გვ. 434)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 15 მარტი, №55, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 14 მარტს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

სტატია ეხება ავსტრიის შინაპოლიტიკურ ამბებს, იქ მაცხოვრებელი გერმანელების გერმანიასთან შეერთების სურვილს. ილია ყოველთვის ინტერესდებოდა ხოლმე მსგავსი თემებით და ეროვნებათაშორისი ურთიერთობებით. ვფიქრობთ, მისი ავტორობა სავსებით შესაძლებელია.

დიდი ოჯახი დაგვერღვა (გვ. 436)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 16 მარტი, №56, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 15 მარტს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად. წერილი თითქოს საზღვარგარეთის ქვეყნების მდგომარეობას ეხება, მაგრამ თითოეული ფრაზის უკან იმალება ეროვნული ტკივილი. საკითხისადმი მიდგომა, მოვლენათა ხედვა, ენა და სტილი, ყველაფერი ილიას ავტორობის სასარგებლოდ მეტყველებს.

უკანასკნელი რეფორმები (გვ. 439)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 19 მარტი, №56, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 18 მარტს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ისე, როგორც წინა წერილში („სამართალი მსწრაფლი და მართალი“), აქაც ავტორი ხმარობს ილიას საყვარელ გამოთქმას: „სჯობს ათი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი მართალი დაისაჯოს“, რაც ამ წერილების ილიასეულობაზე უნდა მიანიშნებდეს.

ქალაქის რჩევას (გვ. 443)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., №68, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 19 მარტს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

წერილი თბილისის ცხოვრების ყოველდღიურ ყოფით საკითხს ეძღვნება. ეს არის კონკის გზის გაყვანით შექმნილი დაბრკოლებები ეტლით მოსიარულეთათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ილია მის ნაღვაწად ყველასათვის ცნობილ წერილებშიც წერდა ხოლმე ასეთ რიგით საკითხებზე, მისი ავტორობა გამორიცხული არ არის.

ხიზნების მდგომარეობა (გვ. 445)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., 5 აპრილი, №69, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 4 აპრილს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.
სტატიას ბევრი საერთო აქვს ილიას სხვა წერილებთან, რომლებიც მან ამავე საკითხებს უძღვნა (იხ.: „ხიზნების საქმის გამო“ და სხვ.), რაც ამ წერილის ილიასეულობის ალბათობას ზრდის. ენა და სტილი საკმაოდ ახლოს არის მის ენობრივ და სტილურ მახასიათებლებთან.

უცხოეთში (გვ. 448)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1883, წ., აპრილი, №3, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 6 აპრილს

დაიბეჭდა გაზეთის სარედაქციო გვერდზე, ხელმოუწერლად.

ეს არის უცხოეთის ამბების ისეთივე მიმოხილვა, როგორსაც წლების მანძილზე რეგულარულად აქვეყნებდა ილია თავის გაზეთებში.

<სიტყვა წარმოთქმული თბილისელ ფრანგთა საზოგადოებისათვის გამართულ საღამოზე> (გვ. 452)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1884 წ., № 2 დეკემბერი, გვ.

ტექსტის ფრანგული თარგმანი ჟიულ მურიემ დაბეჭდა ჟურნალ „Le Caucase illustré“-ს 1899-1900 წწ. № 2-ში.

ეს არის სიტყვა (სადღეგრძელო), რომელიც ილია ჭავჭავაძემ წარმოთქვა 1884 წლის 30 ნოემბერს ქართული პრესისა და თეატრალური დასის მიერ თბილისელ ფრანგთა საზოგადოების სასარგებლოდ გამართული საქველმოქმედო წარმოდგენის შემდეგ „დროების“ რედაქციაში მოწყობილ ბანკეტზე. იგი იყო პასუხი საფრანგეთის კონსულ მეიეს მიერ წარმოთქმულ მხურვალე სამადლობელზე.

სიტყვის ორიგინალური ტექსტი „დროების“ პუბლიკაციის შემდეგ (სათანადო განმარტებებითა და ანალიზით) გამოაქვეყნა ლევან ბრეგაძემ სტატიაში "თბილისური ფრანგული და გერმანული პრესა ილია ჭავჭავაძის შესახებ" (ჟ. „ახალგაზრდა ჟურნალისტი“, 1975, №12, გვ. 68) და ჩვენც მანვე მოგვაწოდა. ტექსტში სტატიის ავტორს ფრანგული თარგმანის საფუძველზე შეუტანია ერთი ცვლილება, მაგრამ ჩვენ აღვადგინეთ „დროებისეული“ ვარიანტი, რადგან ის არის ერთადერთი ქართული წყარო, რომლის კორექტირებაზეც ავტორს მიუწვდებოდა ხელი.

სიტყვა „დროებაში“, როგორც აღვნიშნეთ, წარმოთქმიდან ორ დღეში დაიბეჭდა ანუ მწერლის სიცოცხლეშივე. ამდენად პუბლიკაციის სანდოობა და მასალის ილიასეულობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, რამდენადაც იგი გამორჩენილია აკადემიური გამოცემის 1884 წლის მასალებში (VII ტ.), გადავწყვიტეთ, წინამდებარე ტომში დაგვებეჭდა.

სიმვოლო სარწმუნოებისა (გვ.456)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: სავარაუდოდ ავტოგრაფი, ხელმოუწერელი, უთარიღო. დაცულია საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის პოლიტიკური პარტიების არივში, ფონდი 8, აღწერა 5, საქმე 280, ფურცლები 1-3. შესრულებულია თხელ ქაღალდზე, შავი მელნით, რამდენიმე სიტყვა გადაშლილია.

ტექსტი ბროშურის სახით, სათანადო მიმოხილვით, ანალიზითა და განმარტებებით პირველად გამოაქვეყნეს აპოლონ სილაგაძემ და ვახტანგ გურულმა (იხ. „სიმვოლო სარწმუნოებისა“, ილია ჭავჭავაძის უცნობი პამფლეტი“, თბ. 1997, გამომც. „სამშობლო“). მართალია, გამომცემელთა თქმით, ავტოგრაფის ილიასეულობა დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნით, მაგრამ იმის გამო, რომ საარქივო

საქმის აღწერილობაში ავტორის ვინაობის აღმნიშვნელი არავითარი მინაწერი არ არსებობს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომმზადებელთა მიერ გადაწყდა ამ ტექსტის იმ ტომში დაბეჭდვა, რომლის მასალების ილიასეულობაც ცალსახად დადგენილი არ არის. რამდენადაც ტექსტი ხელმოუწერელია, ხელი ილიასეულიც რომ იყოს, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ავტორი სხვა პიროვნება იყოს.

მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმართ ილია ჭავჭავაძის უდიდესი კრძალვისა და პატივისცემის გამო მკითხველი შესაძლოა დააეჭვოს „სარწმუნოების სიმბოლოსეული“ ფრაზებისა და სტრუქტურის გამოყენებამ სატირულ პამფლეტში და იფიქროს, რომ მისი ავტორობა გამორიცხულია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ხსენებული მიმართებები „მრწამსთან“ ავტორს, ილია ჭავჭავაძეა ეს, თუ — სხვა, სწორედ იმიტომ აქვს გამოყენებული, რომ ქართველი ერის უმრავლესობისა და პირადად მისთვის საკრალური და ჭეშმარიტებად აღიარებული რწმენის მიმართ სოციალ-დემოკრატების იდეების შეუსაბამობა წარმოაჩინოს. რამდენადაც ავტორი პირველ პირში სოციალ-დემოკრატებს ალაპარაკებს, ტექსტი გადმოგვცემს, როგორი იყო არა მისი, არამედ მესამედასელთა მსოფლმხედველობა.

პამფლეტში ვკითხულობთ, რომ ის შეიქმნა „კვალის“ დაარსებიდან მეშვიდე და მისი „გაჟორდანიებიდან“ მესამე წელს. გაზეთი „კვალი“ დაარსდა 1893 წლის იანვარში, ჟორდანიას ხელში კი, შეიძლება ითქვას, რომ 1897 წლის დასასრულს გადავიდა. ორივე მინიშნების საფუძველზე გამოდის, რომ თხზულება სავარაუდოდ 1900 წელს არის დაწერილი.

მესამედასელთა საქმიანობას ილია არაერთი წერილით შეხმიანებია (იხ. „უმეცრობის ფართი-ფურთი“, „ახალი უმეცრებანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრებისა“ და სხვ.), რომლებშიც ასეთივე კრიტიკული დამოკიდებულება იგრძნობა მათ მიმართ.

ქალაქსა შინა დორპატისასა — დორპატი, იგივე დერპტი, ესტონეთის ქალაქ ტარტუს იმდროინდელი სახელია.

წელსა... „კვალისა“...გაჟორდანიებისა... მესამესა — მართალია, „კვალის“ რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა იყო და არა ნოე ჟორდანია, მაგრამ 1898 წლიდან გაზეთს ფაქტობრივად ეს უკანასკნელი მართავდა.

მოჯადოებული სახელ-განთქმულისა გეგელის მიერ — იგულისხმება მარქსის მოძღვრებაზე ჰეგელის ფილოსოფიის გავლენა.

მოციქული მისი ჟორდანია, გურჯისტანელ მარკსად წოდებული — მარქსისტული მოძღვრების წინამძღოლი საქართველოში ნოე ჟორდანია იყო.

მის მიერვე გაცოფებულ არს მსგავსად ჯიბლაძისა — იგულისხმება ქართველი სოციალ-დემოკრატი სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც მარქსისტთა პირველ თაობას ეკუთვნოდა.

ხელდასხმულ იქმნა წინასწარმეტყველისა გიორგის მიერ — იგულისხმება ცნობილი მწერალი გიორგი წერეთელი, რომელმაც ხელი შეუწყო მესამედასელთა აღზევებას.

ჟამსა მას გოდებისასა, დასაფლავებასა ზედა ინგოროყვასასა — იგულისხმება ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე გიორგი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

და მოვლენილ არს... მსგავსად მაზაკვალისა — მაზაკვალი გიორგი წერეთლის ცნობილი ფსევდონიმია.

სამახარაძო მესამე დასი — იგულისხმება მესამედასელთა ერთერთი იდეური წინამძღოლი ფილიპე მახარეძე.

გიორგი, რომელი... აიასტანელთაგან ჟორდანიასთანა და ჯიბლაძესთანა თაყვანისიცემების და იდიდების — იგულისხმება სომეხთა კეთილგანწყობა ჩამოთვლილი მესამედასელების მიმართ.

გიორგი, რომელი... რომელი იტყოდა და აწცა იტყვის ივანიკასა და გოჯასპირის მიერ — იგულისხმება 1893-1897წწ. გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილი წერილები, რომლებშიც აქტუალური საზოგადოებრივი საკითხების განხილვა ორ გამოგონილ პერსონაჟს — ივანიკასა და გოჯასპირს შორის საუბრის ფორმით იყო წარმოდგენილი. ლევან ჭრელაშვილის მოსაზრებით ეს წერილები აკაკი წერეთელს ეკუთვნის, მაგრამ, რამდენადაც მათი ავტორი უცნობი იყო, შესაძლოა ილია ჭავჭავაძე გიორგი წერეთლისეულად მიიჩნევდა.

გაჟორდანიებულის მარკსისა — ილია ჭავჭავაძე ნოე ჟორდანიას უმტკიცებდა, რომ მას მარქსის მოძღვრება არასწორად ჰქონდა გაგებული.

თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. (გვ. 460)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №1, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 1902 წ., 1 იანვარი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად.

წერილების ამ ციკლის ილიასათვის მიკუთვნებას ამოსავალ საფუძვლად დაედო ლევან ჭრელაშვილის ტექსტოლოგიური კვლევები (იხ. „ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები 1900-იან წლებში“, ილიას კრებული, II, თსუ გამომც. 2004 წ.). მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ გაზ. „ივერიის“ სარედაქციო გვერდის სარდაფში 1902-1903 წლებში დაბეჭდილი ხელმოუწერელი მოწინავეები განსხვავებული, დიდი შრიფტით იბეჭდებოდა. შემდეგ ჩაატარა ამ წერილებზე დაკვირვება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბეჭდვისას განსხვავებული ზომის ასოების გამოყენება მიანიშნებდა ერთი და იმავე პიროვნების — ილია ჭავჭავაძის ავტორობაზე.

წერილის ავტორი ქადაგებს სხვადასხვა წოდებათა შორის ძმობის განმტკიცებას და უპირისპირდება კლასთა ბრძოლის თეორიას. ილიას ავტორობაზე მიგვანიშნებს ამონარიდი იოსებ დავითაშვილის ლექსიდან და ამ პოეტისადმი მიძღვნილი სტატიიდან საკუთარი შეფასების ზუსტი გამეორება. შდრ. ამონარიდი ამ წერილიდან: „ჩვენის ერის გულის თქმა სხვაა და, **უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა სხვაფრივ სძგერს**... მერე იციან კი გზა-დაბნეულთ ჟღერა ჩვენის ეროვნულ სიმებისა?

„თავზედ დამექცეს ცა რისხვით,
სხივი ვერ ვნახო მზისა მე,
მაღალი ღმერთი გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომო სხვისა მე“!...“

ამონარიდს ილიას წერილიდან „იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო“: „ნუ გეგონოთ, რომ მას ჰშურდეს ვისი რამე, ვისმე რასმე სიხარბით შეჰნატროდეს, ვისი რამე უნდოდეს, სხვისაზე რაზედმე ხელი ეტანებოდეს, გული უთქმოდეს. არა! ყოველს ამაზედ იგი მაღლა სდგას, ამაში ჰსჟღერს დიდი სიმი ეროვნებისა და **აქ სცემს უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა**, იგი ამბობს...“ და შემდეგ მოხმობილია ზუსტად იგივე სტროფი.

ფრაზები: „თვლემას და ძილს მიეცა“ და „ნავთსაყუდელი ვერ ჰპოვა“ ძალიან ჰგავს ერის იმჟამინდელი მდგო-

მარეობის ილიასეულ შეფასებებს. მისთვის დამახასიათებელია ისეთი სიტყვები და გამოთქმებიც, როგორებიცაა: „შესწყდა მაჯისცემა“, „დედა-ძარღვი“, „სიომ დაჰბერა“ და სხვ.

საქართველოს ახალი ეგზარხოსი (გვ. 465)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., 2 იანვარი, №2, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად.

წერილი ეძღვნება ახალი ეგზარხოსის დანიშვნას საქართველოში. რამდენად მოსაწონი იყო ილიასათვის ეგზარხოსების ინსტიტუტი კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად, ეს ყველასათვის ცნობილია მისი წერილებიდან და გამოსვლებიდან ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით. მაგრამ ის ყოველთვის კარგად აცნობიერებდა რეალობას და იჩენდა სიტუაციისათვის შესაფერის ტაქტს. დანიშნავდნენ თუ არა ახალ ეგზარხოსს, ამას თავად არ წყვეტდა. ამიტომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლო, იყო კეთილგანწყობით, ტაქტიანად მიენიშნებინა მისთვის, რა სასიკეთო საქმეების გაკეთებას მოითხოვდა მისგან ქართველი ხალხი. ლევან ჭრელაშვილის დაკვირვებით, ასეთივე შეგონებით შეხვდა ილია ეგზარხოსის პავლე ჩამოსვლასაც. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

დედათა განათლება ჩვენში (გვ. 468)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №9, გვ. 1

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად.

ილია ჭავჭავაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის მომენტიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ქალთა განათლების საკითხებს. მას ესმოდა, რომ ოჯახში, შვილების აღზრდაში ქალს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ეს სტატიაც ამ

ყურადღების ერთ-ერთი გამოვლინებაა. იგი ილიასათვის ჩვეული საქმიანი და ამავე დროს ემოციური ტონით არის დაწერილი.

წერილში გვხვდება მისთვის დამახასიათებელი არაერთი სიტყვა და ფრაზა და მათ შორის „გარნა“. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<ბლეხკაცის გასაჭირი> (გვ. 471)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №131, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ივნისის 23.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილი ეხება ძარცვა-ყაჩაღობის ფაქტების მომრავლებას სოფლად. ავტორი მოითხოვს, რომ მოსახლეობას მიეცეს ბერდანის თოფების ტარების უფლება, რომ დაუცველობის გრძნობით ერი არ გადაჯიშდეს. ამ პატარა წერილში და, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ მოთხოვნაშიც კი, ჩანს ავტორის დიდი გამჭრიახობა და სიბრძნე. ამდენად სავსებით შესაძლებელია, რომ იგი ილიას ეკუთვნოდეს. დამატებით მის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<მუსულმან ქართველთა საკითხი> (გვ. 473)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №132, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ივნისის 25.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

სტატიის ავტორი გადმოსახლებული აჭარლების ბედით ახლად დაინტერესებული არ არის. მას ისიც კი ახსოვს,

1879 წელს დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ბათუმში ყოფნის დროს მეჩეთი რომ მოინახულა და ხალხი დაამშვიდა, თქვენს სარწმუნოებას არავინ გიშლითო. ილია იმ პერიოდშიც აქტიურად იყო ჩართული აჭარლების პრობლემების მოგვარებაში და თვალს ადევნებდა ყველა სასიკეთო თუ საზიანო სიახლეს. ამდენად, ეს ფაქტი, ენობრივი და სტილური მახასიათებლების მსგავსებასთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ წერილის ავტორი ის უნდა იყოს. დამატებით მის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ.: სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<ქართული საგალობლების მნიშვნელობა> (გვ. 476)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №133, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ივნისის 26.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

ქართული საგალობლების შეგროვებით, ნოტებზე აღბეჭდვითა და გამოცემით ილია ადრეც იყო დაინტერესებული და ამ საკითხისადმი არაერთი წერილი აქვს მიძღვნილი. აქაც იგივე დამოკიდებულება ჩანს საკითხისადმი, მაგრამ ამას გარდა იგრძნობა ილიასათვის ჩვეული სიფრთხილე. რა თქმა უნდა, კარგია საგალობლების გამოცემა და სწავლება ბავშვებისათვის, მაგრამ იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ შეარჩევენ ამ საგალობლებს – ხომ არ შეეცდება რუსული მმართველობა, რომ ზეგავლენა მოახდინოს ამ სფეროზეც. სტატიაში ვკითხულობთ: „საგალობლების სახელმძღვანელოს შედგენას დიდი სიფრთხილე ეჭირვება; შემდგენელის არამცთუ ყური უნდა ისმენდეს ქართულად, არამედ მისი გულის-ყურიც-კი ქართულად უნდა მუშაობდეს“.

სტატიაში ციტირებულია ფრაზა ილიას პოემიდან „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“: „ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა“ – მას სჩვეოდა პუბლიცისტიკაში არა მხოლოდ სხვათა, საკუთარი პოეტური ამონარიდებისა და ფრაზების ჩართვაც. ამავე სტატიაში გვხვდება ციტატა, „ნანა, შვილო, ნანინა“, რომელიც ამოღებულია ილიას ლექსიდან „ნანა“. დამატებით

წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

გვ. – „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ“ – ამონარიდი აღდგომის ერთ–ერთი საგალობლიდან.

<რკინიგზის მოლოდინი კახეთში> (გვ. 480)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №136, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: ივნისის 29

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილში ჩანს ავტორის ეროვნული ცნობიერება და გამჭრიახობა. მას სურს, რომ ქართველობამ თავისი ქვეყნის სიმდიდრე და ეკონომიკური ბერკეტები უცხოთა ხელში არ ჩააგდოს. ენა და სტილი სავსებით შეესაბამება ილიასას. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<საერო დაწესებულებანი> (გვ. 482)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №137, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: 2 ივლისს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

სტატიაში ჩანს საკუთარი ხალხის პრობლემებსა და საჭიროებებზე მოფიქრალი და მზრუნველი ავტორი. მასში გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები: „გარნა“, ჭაპანწყვეტა“, „გვაღონებს და გვაჭმუნვებს“, უნდა ვეცადნეთ“ და სხვ. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის„თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

ხ ი ლ ა დ „კვალის“ მოსაუბრეს
(„კვალი № 27) (გვ. 485)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №137, 2 ივლისი, გვ. 2.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ბზიკი

ფსევდონიმ „ბზიკის“ გახსნა და მისი ხელმოწერით გამოქვეყნებული ამ და კიდევ ორი წერილის – „საკენკად „სამშობლოს ცაზედ“ ხეტიალას“ და „ხილად ახალ თაობის რაინდს“ ილიასათვის მიკუთვნებაც ლევან ჭრელაშვილს ეკუთვნის (იხ. „ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები 1900-იან წლებში“, ილიას კრებული, II, თსუ გამომც. 2004 წ.). სამივე წერილი ძირითადად პოლემიკაა მესამედასელებთან. ლევან ჭრელაშვილს მოჰყავს ტექსტობრივი პარალელები ილია ჭავჭავაძის ცნობილ პუბლიცისტურ წერილებთან, რომლებიც იმავე საკითხებს ეძღვნება და ასაბუთებს, რომ პრობლემებისადმი დამოკიდებულება, შეხედულებები, კამათის სტილი და პათოსი მათ ერთნაირი აქვთ. ვფიქრობთ, თვით სათაურების შერჩევაშიც კი იგრძნობა ავტორის კალმის ძალა, ბასრი სატირა.

1900-იანი წლების დასაწყისში ილია ჭავჭავაძემ ნოე ჟორდანიას და მესამედასელთა კრიტიკულ გამოსვლებს უპასუხა წერილებით: „უმეცრობის ფართი-ფურთი“, „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“ და სტატიების მთელი ციკლით, სათაურით „პატარა საუბარი“. თუ გავითვალისწინებთ, როგორ სისტემურად და გეგმაზომიერად ამხილა და გააქარწყლა ილიამ ამ წერილებით სოციალ-დემოკრატთა ანტიეროვნული გამოსვლები, შეიძლება ითქვას, რომ 1902 წელს გამოქვეყნებული ეს წერილები მათთვის იმავე მასპინძლის მიერ მირთმეული „დესერტი“ (იხ. „ხილად“) და „ნამცეცებია“ (იხ. „საკენკად“).

სტატია ეხება „ივერიის“ ოცდახუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით „კვალის“ გამოხმაურებას და ზოგადად მესამედასელთა მტრულ დამოკიდებულებას ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამშრომლების მიმართ. მის მიერ დაარსებული და ნალოლიავები პერიოდული ორგანოს მეოთხედსუკუნოვანი ნაღვაწის შეფასება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხი იყო ილიასათვის და, საფიქრებელია, რომ თავადვე უნდა ჩართულიყო პოლემიკაში.

სტატია გამოირჩევა ბასრი სატირით და ავტორის მიერ საკუთარი პოზიციის მყარი არგუმენტირებით, როგორც ეს ილიას სჩვეოდა. მას ეტყობა, რომ არა რიგითი ჟურნალისტის, არამედ დიდი მწერლის მიერ არის დაწერილი. გვხვდება ილიას ენისა და სტილისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ფორმები და სამეტყველო ფრაზები: „ჰო, იმას მოგახსენებდით“, „ადვილი საქმე როდია“, „გულმართალი და მიუკერძავი“, „გარნა“ და სხვ.

გვ. 485 „კვალის“ მოსაუბრე „ფრინველია ანუ მხეცი“? – „მოსაუბრე“ ფილიპე მახარაძის ფსევდონიმია.

<როგორ ავაღორძინოთ სოფლის მეურნეობა> (გვ. 490)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №140, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: 5 ივლისს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

სოფლის მეურნეობის საკითხებზე ილია ძალიან ხშირად წერდა, რადგან მიაჩნდა, რომ ჩვენი ერისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას კარგად ესმოდა ეკონომიკისა და მეურნეობის საკითხები და ყოველთვის დროულად წამოჭრიდა ხოლმე მათ განსახილველად. ასეთსავე ცოდნას და გულმოდგინეობას ამჟღავნებს ამ წერილის ავტორიც. დამატებით მის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

გვ. 491 „პეტერბურგის ცენტრალური საბჭო“ – სპეციალური ორგანო, რომელსაც დაევალა სოფლის მეურნეობის აყვავებაზე ზრუნვა. კანონებისა და განკარგულებების გამოცემისას ეყრდნობოდა რეგიონული კომიტეტების მოწოდებულ მოსაზრებებსა და წინადადებებს.

<გამოცდები სემინარიაში> (გვ. 495)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №141, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: 6 ივლისს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

ილიას ჩვეულებისამებრ, საუბარი იწყება კონკრეტულ საკითხებზე, მაგრამ შემდეგ ხდება საინტერესო განზოგადება და მიზეზებში ჩაღრმავება. გვხვდება მისთვის დამახასიათებელი გამოთქმები: „ისევ ისა სჯობია“, „ყურის წაყრუება“, „მოდი და ნუ...“ და სხვ. ვფიქრობთ, სავსებით შესაძლებელია, რომ იგი ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდეს. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<ნუ დავუკარგავთ შთამომავლობას მამულ-დედულს> (გვ. 499)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №142, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: 7 ივლისს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილი თავისი შინაარსით, პათოსითა და მხატვრულ-პუბლიცისტური ოსტატობით ილია ჭავჭავაძის საუკეთესო სტატიებს უტოლდება. მასში იგრძნობა ილიას პრინციპულობა და შემართება. ყოველივე ამის მიზეზი კი ის არის, რომ საქმე ეხება ქართული მიწა-წყლის მიყიდვას უცხოთათვის, რაზეც ილია გულგრილად ვერ ილაპარაკებდა.

ტექსტში გვხვდება მისთვის დამახასიათებელი არაერთი სიტყვა და გამოთქმა, მათ შორის სიტყვა „გარნა“, რომელიც თითქმის კატალიზატორის ფუნქციას ასრულებს მისი ნაწერების ამოცნობისას. ავტორი იყენებს ილიასათვის საყვარელ ანდაზას „მეგობარს პირში უზრახე, მტერს პირს უკანაო“ და აქვე მიმართავს ახალ, მაგრამ სიტუაციისათვის მეტად მორგებულ ხალხურ გამონათქვამს: „ძვირფასი თვალი ერთმა ბრიყვმა წყალში ისროლაო და ათასმა ჭკვიანმა ვეღარ ამოიღოო“. რა თქმა უნდა, ხალხური ანდაზების გამოყენება ყველას შეუძლია, მაგრამ მათი ხშირი ხმარება ილიას პუბლიცისტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<ისევ მამულების გაყიდვის შესახებ> (გვ. 502)

გაგრძელება

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №145, გვ. 1.; №146, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 11, 13 ივლისს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

სტატიის ავტორის თქმით, ამ წერილით იგი აგრძელებს თავისივე სტატიაში <ნუ დავუკარგავთ შთამომავლობას მამულ-დედულს> წამოჭრილ თემაზე საუბარს. ამ წერილის სტილის ექსპრესიულობა და პათოსიც ძალიან ჰგავს ილიასას. აქაც უხვად არის გამოყენებული ხალხური ანდაზები: „შინ რომ წვრილფეხობა გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო“, „ხელი ხელს ჰბანსო“, „თქმულა, ვისაც ორი პერანგი გაქვს, ერთი ტიტველას ჩააცვიო“. აქაც გვხვდება მისთვის ჩვეული ლექსიკა და სიტყვა „გარნა“. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<ცრუმორწმუნოების მორევში> (გვ. 508)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №148, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 14 ივლისს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილში მხილებულია თავადაზნაურობის ცრუმორწმუნეობა. ქვეყნის წარჩინებული წოდების ამ ნაკლს ილია მხატვრულ ნაწერებშიც ამხელდა. გავიხსენოთ თუნდაც „კაცია ადამიანი?!“. რა თქმა უნდ,ა ამ სენით მხოლოდ თავადაზნაურები არ იყვნენ შეპყრობილნი, მაგრამ, როგორც ილია და ამ წერილის ავტორი ფიქრობენ, ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვება. გამოსავალი კი ერთია – განათლება.

ამ სტატიაშიც გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი ლექსიკა და მათ შორის სიტყვა „გარნა“. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<ДАСОБАНА – САХІФАТІО ТАМАШІ> (გვ. 511)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №150, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 17 ივლისს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილის ავტორად რედაქტორის გარდა სხვას ვერც მოვიაზრებთ, რადგან ეს არის ფაქტობრივად გაზეთის საპროგრამო წერილი. ავტორი ეწინააღმდეგება საზოგადოების კლასებად დაყოფას. მისი სიტყვები: „დიაღ, ჩვენ ვმსახურებთ მხოლოდ ქართველს და არა რომელსამე წოდებას. წოდება ჩვენ მიგვაჩნია მხოლოდ ისტორიულ ფაქტად და მტკიცედ გვწამს, დრო-ჟამის მსვლელობა მას მოსპობს, ამოაგდებს...“ სავსებით ესადაგება ილიას პოზიციას. წერილის სტილი, ექსპრესია და ლექსიკური ფორმებიც ილიასათვის დამახასიათებელია. გვხვდება გამოთქმები: „შურისა და ღვარძლის მთესველი“, „ვითარცა მთელი კაცობრიობა“, „ერთ წოდებად ანუ ერთ სამწყსოდ“, „გარნა“ და სხვ.

ილიას თავის ნაწერებში ხშირად მოჰყავს რუსთველის აფორიზმი: „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<ІАРТОУЛІ ТААРЕБІС ВЕДІ> (გვ. 514)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., ივლისის 27; №158 გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 27 ივლისს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

„ივერიის ამავე, 1902 წლის № 153-ში დაიბეჭდა ივანე ჩიქოვანის კორესპოდენცია, რომელშიც მოთხრობილი იყო, როგორი სიამაყით უხსნიდნენ მას სომხები, რომ ბინაძორის ციხე მათი წინაპრების აშენებული იყო და როგორ შეიცვალა სულ მალე უძველეს ქართულ ძეგლზე ქართული წარწერები სომხურით. ეს ილიასათვის ძალიან მტკივნეული საკითხი იყო, რაზეც არაერთ სტატიაში უსაუბრია, მათ შორის ნარკვევში „ქვათა ღაღადი“ და გასაკვირიც იქნებოდა, რომ კორესპოდენციაზე გამოხმაურება რედაქტორის გვერდზე სხვას დაეწერა. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<МІТАВРОБІС МХАРДАჭЕРА> (გვ. 516)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №161, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 31 ივლისს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

ეს წერილიც „ივერიის“ სარედაქციო გვერდზე ილიასათვის განკუთვნილი, განსხვავებული, მსხვილი შრიფტით არის დაბეჭდილი. მასში განხილულია სამართლებრივი საკითხები, კერძოდ ერთი ახალი კანონი, რომელიც თავადაზნაურობის უფლებებს შეეხება. სტატიაში იგრძნობა ავტორის პროფესიონალური მიდგომა საკითხისადმი, ილია კი, როგორც ვიცით, განათლებით იურისტი იყო. გვხვდება მისი ენობრივი და სტილური მახასიათებლებიც, მათ შორის, სიტყვა „გარნა“. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან

დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

<თავად-აზნაურთა მოვალეობა> (გვ. 520)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №173, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: 15 აგვისტოს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

სტატიის ავტორი სიხარულით აუწყებს თავადაზნაურობას, რომ მთავრობა დაინტერესდა სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებით, ამიტომაც დაავალა თავადაზნაურობას კრების ჩატარება და საერთო მოთხოვნების ხელისუფლებისათვის წარდგენა. სტატიის ავტორი ილიასებური სიფხიზლით ცდილობს ხელიდან არ გაუშვას ეს შესაძლებლობა და რაც შეიძლება ობიექტური და ამომწურავი ნუსხა წარუდგინოს მთავრობას. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „თფილისი, 1 იანვარი 1902 წ. შენიშვნები.

საკენკად „სამშობლოს ცაზედ“ ხეტიალას (გვ. 524)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., აგვისტოს 20, №176, გვ. 3,4.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ბზიკი

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად. ავტორის ბასრი სატირა, ენა და სტილი ილიას ავტორობაზე მიგვანიშნებს. ამას გარდა არის ერთი საინტერესო დეტალიც. სტატიაში ნათქვამია: „რიგოლეტოს და იმის დამქაშს თუნდ მილლის ლოგიკაც თავზედ დააბერტყოთ, მაინც ვერას შეასმენთ“, ჩვენთვის კი ცნობილია, რომ ილია კარგად იცნობდა მილის ამ წიგნს. 1889 წლის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში იგი წერს: „რა თქმა უნდა, ვრცლად ამის ახსნას ვერ გამოვუდგებით... ამის ახსნას ჯონ სტუარტ მილლმა რამდენიმე დაბეჭდილი თაბახი მოანდომა თავის

სახელოვან თხზულებაში, რომელსაც „სისტემა ლოღიკისა“ ჰქვიან“. ილიას მსგავსად ამ სტატიის ავტორიც ხშირად მიმართავს ანდაზების ციტირებას. ტექსტში ნახსენებია შემდეგი ანდაზები და თქმები: „ჭიანჭველას რომ ფრთები გამოესხმის, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო“, „საიდგან სადაო, წმინდაო საბაო“, კარგს მთქმელს კარგი გამგონიც უნდაო“, „ჩიტი ბდღვნად არა ღირდა და დევნა მეტი იყოო“.

დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „ხილად „კვალის“ მოსაუბრეს“ შენიშვნები.

<თავკაცთა უვარგისობა სოფლად> (გვ. 528)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., 14 სექტემბერი, №196, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 14 სეკდემბერს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

სტატია ეძღვნება სოფლად გახშირებული ჩხუბებისა და მკვლელობების მიზეზთა ძიებას. ავტორის აზრით სოფლის მცხოვრებთა ამგვარი უზნეობა წინამძღოლთა უვარგისობის ბრალია. სოფლის თავკაცი ღირსეული და თავისი მოვალეობის კარგი შემსრულებელი რომ იყოს, უბედურ შემთხვევათა რაოდენობა ასეთი დიდი არ იქნებოდა. საერთოდ ილიას პრინციპიც ასეთია – მოჰკითხოს პირველ რიგში იმას, ვისაც მეტი მიეცა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მისი ავტორობა დასაშვებია.

<მოსწავლეთა ჯანმრთელობა – უპირველესი საზრუნავი> (გვ. 531)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №198, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 18 სეკდემბერს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილი ეძღვნება სასწავლებლებში ახალგაზრდების გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას. მართალია, კონკრეტულად ამ საკითხთან ილიას თითქოს საერთო არაფერი საერთო არა აქვს, მაგრამ მას აინტერესებს ყველაფერი, რაც მის ქვეყანას, მით უფრო კი ახალგაზრდობას ეხება. სტატიაში გვხვდება მისთვის ჩვეული გამონათქვამები: „სანატრელია და საჭიროც“, „თითო-ოროლა გვეგულება“, „ამისთანა მესვეური კაცები“, აგრეთვე სიტყვა „გარნა“ და ერთი რომაული ანდაზა: „საღ გონებას ჯანიც საღი უნდაო“.

<საგზაო საქმის მნიშვნელობა> (გვ. 534)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №201, გვ. 1-2.

თ ა რ ი ღ ი: 21 სეკდემბერს.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

ჩვენთვის ნიშანდობლივია ტომში წარმოდგენილ ხელმოუწერელ მოწინავეებს შორის კავშირი. ეს ზრდის იმის ალბათობას, რომ ავტორი ილია ჭავჭავაძეა. წინამდებარე სტატიის დასაწყისშივე ნათქვამია, რომ იგი უკავშირდება ამავე ავტორის მიერ გამოქვეყნებულ კიდევ ორ წერილს. გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები: „არარაობიდამ“, „თაოსანი“, „საანბანო ჭეშმარიტება“, „ჩვენი ფიქრი და ზრუნვა უნდა მოვახმაროთ“, „სულ არარაობას ცალ უღელი ხარიც სჯობიაო“.

< ვაშა, ბ-ნო ქართველო დეფო!“ > (გვ. 541)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №269, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 15 დეკემბერი

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

სტატიაში გრძელდება პოლემიკა სამსონ ფირცხალავასთან („სიტყვა“), რომელიც „ბზიკის“ ფსევდონიმით ხელმოწერილ წერილებში მიმდინარეობდა. ილია ამხელს წოდებათა თანასწორობის დაცვის სახელით მებრძოლ ანტიეროვნულ ძალებს.

ლევან ჭრელაშვილის აზრით, თუ „ბზიკი“ ილიას ფსევდონიმია და ამ ხელმოწერით გამოქვეყნებული „ხილად“ სპეციალურად ეძღვნება ს. ფირცხალავას და მისი „ნამდვილი მეგობრის“ (ილიას აზრით ერთი და იგივე პიროვნების) აზრების კრიტიკას, სავარაუდოა, რომ ეს და მომდევნო სტატია <გათეთრება შავისაც> იმავე ავტორის – ილია ჭავჭავაძისა - იყოს.

<გათეთრება შავისა> (გვ. 543)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №274, გვ. .

თ ა რ ი ღ ი: 21 დეკემბერი

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

სტატია აგრძელებს წერილში <ვაშა, ბ-ნო ქართველო დეფო!“> წამოჭრილ თემას და ეროვნული ინტერესების დაცვას. ავტორის მიერ გამოყენებულ მხატვრულ და პუბლიცისტურ ხერხებზე, ენასა და სტილზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ მისი ავტორი ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს. დამატებით მის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. წინა წერილის შენიშვნები.

ახალ თაობის რაინდს (გვ. 548)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., №6, გვ. 1.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ბზიკი

ლევან ჭრელაშვილს ამ წერილის ილიასეულობის დასამტკიცებელ ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს ამონარიდი ტექსტიდან: „აბა მოიგონეთ აკაკისა და ი. ჭავჭავაძის შეხლა გრ. ორბელიანთან და სხვა მსგავსი ამბები... ამის შემდეგ, განა მართლაც და უზნეო და უადამიანო ქცევად არ უნდა მივიღოთ, როცა ახალთაობის რაინდი ჩვარში ახვევს აწინდელ „მამების“ ეროვნულ მოძღვრებას?“ პოლემიკა მამებთან ილია ჭავჭავაძის „გამოცანებით“ დაიწყო და საკითხში მეტნაკლებად გარკვეული არცერთი პიროვნება ალბათ ჯერ აკაკის და შემდეგ ილიას არ დაასახელებდა. ლევან ჭრელაშვილის აზრით ეს შეეძლო გაეკეთებინა მხოლოდ თავად ილიას.

წერილის ატრიბუციისას გვინდა ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ დეტალს. აქ მოხმობილია შჩედრინის გამონათქვამი: „შჩედრინი ამბობდა, ამ ლიტერატურულ გახრწნილობის დროს ბოდიშის მოხდაც დიდი გმირობაა“. ჩვენთვის ნიშანდობლივია, რომ ილია ჭავჭავაძეს ციტატები შჩედრინიდან სხვა სტატიებშიც არაერთგან მოჰყავს, მაგ. იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი ათ ტომად, ტ. VI გვ. 323; 503, 598 და სხვ.

როგორც ჩანს, იგი კითხულობდა მის ნაწერებს და საკუთარი აზრის დასადასტურებლადაც იმოწმებდა. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „ხილად „კვალის“ მოსაუბრეს“ შენიშვნები

<თავისი სამწყსოს „სარკე“ და „სანთელი“> (გვ. 555)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., 25 იანვარი, №20, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: ტფილისი, 25 იანვარს, 1903 წ.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

ეს არის ძალიან თბილი წერილი, რომელიც ეძღვნება გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებას. ილია დიდად აფასებდა ამ მწყემსთმთავრის ღვაწლს და ორი წერილი აქვს მიძღვნილი მისდამი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ სტატიის ავტორობაც არ არის გამორიცხული. გვხვდება მისთვის ჩვეული ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები და მათ შორის, სიტყვა „გარნა“.

აი ძმობა !? (გვ. 558)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., №37, გვ. 1.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ნაიბი

ფსევდონიმი „ნაიბიც“, რომლითაც იყო ხელმოწერილი წინამდებარე ტომში შემავალი სამი წერილი, ლევან ჭრელაშვილმა გახსნა თავის სტატიაში „ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები 1900-იან წლებში“ (იხ.: ილიას კრებული, II, თსუ გამომც. 2004 წ.) მეცნიერ-ტექსტოლოგის დაკვირვებით, ილიას ეს ახალი ფსევდონიმი ეხმიანება ადრინდელს – „ჯიბრაილი“, რომელიც შამილის ნაიბი იყო.

„ნაიბის“ ხელმოწერით დაბეჭდილი სტატიები მოწინააღმდეგეთა თავდასხმისგან იცავს არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ იდეებსა და შეხედულებებს, არამედ მის ნაწერებსაც. იგი ავტორისეული სიღრმით ერკვევა მის ადრინდელ პუბლიკაციებში და ხელეწიფება, დაასაბუთოს მისი თითოეული სიტყვის სიმართლე და მიუკერძოებლობა. ეს განსაკუთრებით ეხება „ქვათა ღაღადს“, რადგან მის გამო ილიას „სომხიჭამიობა“ დასდეს ბრალად.

წერილის სათაურს „ივერიის“ პუბლიკაციაში კითხვა-ძახილის ნიშნის ნაცვლად პუნქტუაციაში არარსებული „ძახილ-კითხვითი“ ნიშანი უზის. შესაძლოა ეს ასოთამწყობის შეცდომაა, მაგრამ მაინც არ გავასწორეთ იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძე კითხვით და ძახილის ნიშნებს ხშირად იყენებდა არა პუნქტუაციური ნორმების შესაბამისად, არამედ გარკვეული ემფათიკისათვის.

ბ-ნ ალ. ხატისოვის „ღაღადი“ (გვ. 561)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., მარტის 16, №61, გვ. 3.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ნაიბი

წერილი ეხმიანება იმ ფაქტს, რომ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, ალექსანდრე ხატისოვმა უარი განაცხადა ალექსი-მესხიშვილის შემოწირულობაზე იმიტომ, რომ მას ეს თანხა მოგებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძის (ხატისოვის თქმით, „სომეხთადმი სიმძულვარით გაჟღენთილი“) წიგნის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ მის მიერ შესრულებული თარგმანის გამოცემით. ცხადია, ასეთ ფაქტს ილია უყურადღებოდ არ დატოვებდა, იმიტომ, რომ ეს ეხებოდა არა მხოლოდ მას, არამედ სამართლიანობისა და ობიექტური კრიტიკის პრინციპების დაცვასაც.

ლევან ჭრელაშვილს ილია ჭავჭავაძის ავტორობის დასამტკიცებლად მოჰყავს არაერთ ტექსტობრივი პარალელი ილიას ნაწერებთან და ენობრივი ანალიზის შედეგები. საინტერესოა, აგრეთვე, მისი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სტატიაში მოხმობილია ფრაზა ილიას „კაცია – ადამიანიდან?!“: „ოლოლო შენ, მკითხველო! ხომ ვერ გამოიცან“, ციტირების ნიშნის გარეშე. რა თქმა უნდა, ერთი მწერლის შემოქმედებიდან ამონარიდი მეორემაც შეიძლება მოიხმოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მიუთითებენ ხოლმე. აქ კი ილია იყენებს თავისსავე ფრაზას და ეს ფორმალობა აუცილებელი არ არის. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „აი ძმობა!?“ შენიშვნები.

კუდაბზიკობის მოსარჩლე (გვ. 565)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., მაისის 9, №100, გვ. 3.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ნაიბი

ეს წერილიც ილია ჭავჭავაძის გაზეთთან და მის შეხედულებებთან დაკავშირებულ პოლემიკას ეძღვნება, კერძოდ, გაზ. „კავკაზში“ ი. რ. ვაჩნაძის მიერ გამოქვეყნებულ გამოხმაურებას „ივერიის“ №86-ის პუბლიკაციაზე, რომელიც ეხებოდა თავადაზნაურთა ცრურწმენას და უქმობას. რა თქმა უნდა, ლოგიკური იქნებოდა, რომ ილია ამ წერილს გამოხმაურებოდა, რადგან იმ აზრებს, რომლებსაც ვაჩნაძე დაუპირისპირდა, თავადაც იზიარებდა. ეს კარგად ჩანს წინამდებარე ტომში წარმოდგენილი წერილიდანაც „<ცრუმორწმუნოების მორევში>. დამატებით ამ წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხ. სტატიის „აი ძმობა!?“ შენიშვნები.

<სამწუხარო ცნობა> (გვ. 570)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., №148, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 1903 წ., 9 ივლისი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

წერილი ეძღვნება კათოლიკური ეკლესიის პაპის, ლეონ XIII-ის გარდაცვალებას. ილია, როგორც ცნობილი პოლიტიკური პირი, ვფიქრობთ, თავს მოვალედ ჩათვლიდა, რომ გამოხმაურებოდა ამ მოვლენას. წერილში გვხვდება მისთვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები, რაც დასაშვებად მიგვაჩნევინებს მის ავტორობას.

გვ. 570 „ქვეყანასა ზედა მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების“ დამყარება – ლოცვის „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა...“ გაგრძელებაა.

<ძვირფასი განძი> (გვ. 573)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., №150, გვ. 1.

თ ა რ ი ღ ი: 1903 წ., 18 ივლისი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ხელმოუწერლად და უსათაუროდ. დასათაურებული ჩვენ მიერ.

სტატია ეძღვნება ადგილობრივი სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოსა და კავკასიის მთავარმართებლის ერთობლივ წამოწყებას, რომლის მიზანი იყო ქართული საეკლესიო საგალობლების შეგროვება, ნოტებზე ჩაწერა და გამოქვეყნება სამრევლო სკოლების მოსწავლეებისათვის. ილიამ ამ ინიციატივას უძღვნა ამავე ტომში წარმოდგენილი სტატია <ქართული საგალობლების მნიშვნელობა> (გვ. 476). სიტყვებში: „ჩვენ გვსურდა ამ მცირე შენიშვნით გა-

მოგვერკვია: ვისგან და რა ნოტები იწერება“, ის სავარაუდოდ, სწორედ ამ წერილს გულისხმობდა.

თუ პირველ სტატიაში მწერალი გუმანით გრძნობს, რომ ამ წამოწყებამ შეიძლება ქართული სამხმიანი საგალობლების ერთხმიანი რუსულებით ჩანაცვლების არასასურველი ტედენცია გამოიწვიოს, აქ მისი ეჭვი დასტურდება.

ქართული თეატრი და მისი რეჟისურა (გვ. 575)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., 11 ივლისი, №150, გვ. 2-3; 20 ივლისი, №154, გვ. 2-3; 27 ივლისი №159, გვ. 1-2; 1 აგვისტო, №163, გვ. 1-2; 6 აგვისტო, №167, გვ. 2-3.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: სცენის მოყვარე.

წერილების ეს ციკლი და №172-ში გამოქვეყნებული „წლიურად შენახვა ქართული დასისა“ გაზეთ „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შემდგენლებს ვალერიან გუნიასათვის აქვთ მიკუთვნებული. ლევან ჭრელაშვილის მოსაზრებით ეს მართებული ვერ იქნება, რადგან სტატიებში ვალერიან გუნია რამდენჯერმეა მოხსენიებული მესამე პირში. აქედან ერთხელ ნათქვამია, რომ მას წერილის ავტორზე უკეთ ესმის სასცენო ხელოვნება (იხ.: „ლადოს და ვალიკოს ჩვენზე უკეთ ესმით სასცენო ხელოვნება და რეჟისორობაც“).

მეორეჯერ დაახლოებით არის მოხსენიებული, რამდენი წლის მანძილზე იყო გუნია რეჟისორად, მესამეგან კი სხვებზე უპირატესად არის შეფასებული მისი საქმიანობა. იმის არცოდნა, სამი წელი რეჟისორობდა ვალერიან გუნია ქართულ სცენაზე, თუ ოთხი, გამორიცხული იქნებოდა სტატიის ავტორი თავად რომ ყოფილიყო. მართალია, ილია თავის თავზე მესამე პირში საუბარს ხშირად იყენებდა ავტორობის შესანიღბად, მაგრამ ჩვენთვის უცნობია ვალერიან გუნიას მიერ ამავე ხერხის გამოყენება.

წერილების ციკლში ორჯერ მეორდება ილიასათვის დამახასიათებელი გამოთქმა „მებრვე სხვა...“, „სასცილო იქნება, რომ სამწუხარო არ იყოს“ და ხალხური ანდაზები: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, „ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო“ და სხვ.

წლიურად შენახვა ქართული დასისა (გვ. 597)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., 13 აგვისტო, №172, გვ. 2.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: სცენის მოყვარე.

იმავე ხელმოწერით დაბეჭდილი ეს წერილიც თეატრალური თემის გაგრძლებაა, მაგრამ აქ საუბარია მსახიობების შრომის ანაზღაურებისათვის ფონდის შექმნაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერილებს შორის გაბმული კავშირების ქსელი მიანიშნებს ამ „სცენის მოყვარის“ კავშირზე „ქართული სცენის მოყვარესთან“ და „ქართული თეატრის მოყვარესთან“. ვფიქრობთ, რომ ეს ავტორი ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს. ამას მოწმობს ენასა და სტილზე დაკვირვებაც.

სალიტერატურო პრემია „შურდულის“ რედაქციისა (გვ. 601)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., 24 სექტემბერი, №204, გვ. 2,3.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: დედის ერთა იოთამი.

ეს არის მხატვრულ-პუბლიცისტური სტატია ილიას „ორხმიანი საახალწლო ოპერეტის“, „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუის“, „სახელდახელო დეპეშა ყბადასაღები და წყალწასაღებისა“ და სხვათა მსგავსი. ილია ჭავჭავაძემ დაამკვიდრა ქართულ პუბლიცისტიკაში მრავალფეროვანი ჟანრობრივი ფორმების (პიესა, ეპისტოლე, დეპეშა, რეპორტაჟი, ლექცია, მოხსენება და სხვ.) გამოყენება და მანვე შემოიყვანა პირველად დოკუმენტურ პროზაში მხატვრული პერსონაჟები. ამ მხრივ ეს სტატიაც სიახლეა, მას „განცხადების“ ფორმა აქვს. მისი ავტორი რიგითი პუბლიცისტი არ არის. მას აქვს დახვეწილი სატირა, არის გამოცდილი

კრიტიკოსი და არ გამოეპარება პოეზიაში სიტყვების პათეტიკური რახარუხი.

მიუხედავად იმისა, რომ სტატია კონკრეტული ავტორის, იროდიონ ევდოშვილის პოეზიას აანალიზებს, იგი მხატვრულ-ესთეტიკური ასპექტების გარდა ეხება იმ ცრუ პათოსსაც, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა წაახალისეს მწერლობაში. ამ წერილის ილიასეულობაზე ეჭვი გაჩნდა იროდიონ ევდოშვილთან მის მიერ წარმოებული პოლემიკის გამო (იხ. საკენკად „სამშობლოს ცაზედ“ ხეტიალას“ („კვალი“ №52). „რიგოლეტო“, რომელსაც უპირისპირდება ავტორი, სწორედ ის არის), რაც „კვალის“ სტატიის ენისა და სტილის ანალიზმაც დაადასტურა.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში შეტანილი ცვლილების ამბის დაწვრილებით ცოდნით ავტორი ამჟღავნებს ამ თხზულების ტექსტის დამდგენი კომისიის საქმიანობაში გარკვეულობას. ესეც ერთი მინიშნებაა ილია ჭავჭავაძის სავარაუდო ავტორობაზე. ამას გარდა ტექსტის სატირული კილო და სიტყვების თამაშიც ილიასათვის დამახასიათებელი მხატვრულ-პუბლიცისტური ოსტატობის მსგავსია. გვხვდება მისეული სიტყვები და გამოთქმებიც: „მე და ჩემმა ღმერთმა“, „თქვენმა მზემ“, „აინუნში...“, „რა დავა“, „მაშ რად“, „საარაკო“, „აბაიმე“ და სხვ.

ძველი და ახალი სამღვდელოება (გვ. 610)
(უბირის კაცის შენიშვნები და მოსაზრებანი)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904 წ., 22 აგვისტო, №179, გვ. 2; №180, გვ. 2.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ქართლელ-კახელი.

ილიას სჩვევია აწმყოს სამხილებლად წარსულთან პარალელების გავლება ეს წერილი მთლიანად ამ პრინციპზეა აგებული. იგი სამღვდელოებისადმი კეთილგანწყობით და მათი ღირსეული მსახურების სურვილით არის განმსჭვალული. აქ გვხვდება ილიასათვის დამახასიათებელი არაერთი სიტყვა, გამოთქმა და მხატვრული სახე: „ვინც კი... იმან უსათუოდ იცის“ „სულისა და გონების აღმაშფოთებელი ამბავი“, “ყველას ჭირსა და ვარამს“, „სწავლა-ცოდნითა და დაუზოგველის მეცადინეობით აღჭურვილი“, „სწავლა-ცოდნის დედა ბურჯი“, „ასეთი უნიადაგო ერი უფსკრულის პირზედა სდგას“, „ასე უქმნიათ მამებს და ასე უნდა ჰქმნან შვილებმაც“, „დეე, რამდენიც ენებოს, იცინოს, მაგრამ მე-კი ვიტყვი“, „დროს შესაფერ იარაღსა ჰხმარობდა“ და სხვ. აგრეთვე გვხვდება სიტყვა „მებრვე“, რომელიც იმდროინდელ ქართულში თითქმის არ იხმარებოდა, მაგრამ ილიას მოსწონდა და ცდილობდა მის დამკვიდრებას.

სტატიის ავტორი, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ხშირად იშველიებს ხალხურ ანდაზებს: „რაღას დიდგულობ, ავალო, შენი ყმა აღარა ვარო“, „ქაშის შეშინებული დოს უბერავდაო“. ხშირია ციტირება წმინდა წერილიდანაც: „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკუდარ არსო“, „უყვარდეს, როგორც... თავი თვისი“ (მარკ. 12.33), „ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინონ“ – (მათე, 11.15).

გვ. 611 „უფალო ღმერთო, იესო ქრისტე, სწავლა კეთილად მოუვლინე მონასა (ანუ მზევალსა) შენსა, რათა ისწავლოს წერა და კითხვა, გაქოს და გადიდოს, მიეც შენი შიში და გულისყური. ამინ.“ – ასეთ ლოცვას კითხულობდნენ ბავშვები სწავლის დაწყების წინ.

გვ. 617 „მომოტეონ ყოველნი შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, ამ წერილით ჩემ მიერ ქმნილნი“ – ეხმიანება საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“-ს („მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი...“) და იოანე ოქრიპირის ლოცვის სიტყვებს: („შემინდევ შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი და უნებლიეთნი...“)

საძიებლები

სახელთა საძიებელი

1. პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე ვასო (1854-1926) – მსახიობი, დრამატული დასის ხელმძღვანელი, დრამატულ თხზულებათა ავტორი და მთარგმნელი. 14, 121, 227, 582, 592, 598.

აკსაკოვი – ივანე სერგის ძე (1823-1886), – რუსი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სლავიანოფილების ერთ-ერთი იდეოლოგი. რედაქტორი ჟურნალებისა "დღე", "მოსკვა", "Руссъ" და სხვა. 1840-1850-იან წლებში გამოდიოდა ბატონყმობის წინააღმდეგ, 237.

ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ 356-323) – **ალექსანდრე დიდი** (მაკედონელი) (ძვ. წ. 356-323) – 20 წლის ასაკში მაკედონიის მეფე. 334 წელს დაიწყო მსვლელობა აზიაში, დაიპყრო მრავალი ქვეყანა და შექმნა უზარმაზარი იმპერია დუნაიდან განგამდე. ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მისი სავარუდო ლაშქრობა ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. 448.

ალექსანდრე II (1818-1881) – რუსეთის იმპერატორი, მოკლულ იქნა 1881 წელს 1 მარტს „ნაროდნაია ვოლიას" აღმასრულებელი კომიტეტის განაჩენით. 236.

ალექსანდრე III (1845-1894) – რუსეთის იმპერატორი. 379.

ალექსანდრე – ყოვლად სამღვდელო, ეპისკოპოსი. 172.

ალექსი – მთავარ-ეპისკოპოსი. საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა 1902 წელს. 465, 615.

ამატუმი (ამატუნი)– ქალაქის საბჭოს ხმოსანი. ნაპოლეონ (Аматун) – თბილისის საკრედიტო ბანკის მმართველი. 403.

ანდრეევსკი ნინო – მთავარმმართებელ ვორონცოვის ექიმის ქალიშვილი. მოკლულ იქნა 1876 წლის 22 ივლისს. 49, 50.

ანდრაში (1823-1890) დიულა უფროსი – უნგრელი პოლიტიკური მოღვაწე. 1848-49 წლების რევოლუციის მონაწილე. გრაფი. 449.

ანტონ კათალიკოზი – ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1720-1788) – მწერალი, ღვთისმეტყველი, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე. 155.
ანტინოვი ზურაბ (1820-1854) – დრამატურგი, კომედიოგრაფი. ანტონოვი – ზურაბ ანტონის ძე (1820-1854), დრამატურგი, ქართული თეატრის მუდმივი მზრუნველი, მსახიობი, მცირე ხნით (1854) ხელმძღვანელობდა კიდეც ქართულ თეატრს. 46, 47, 114.
აპოლონსკი. რუსი მსახიობი. 587.
არაბი-ფაშა (იგივე ურაბი-ფაშა, ორაბი-ფაშა). (1839 თუ 40-1911) – ეგვიპტელი ხალხის 1879-1882 წ.წ. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი. 376.
არშინოვი – ავეჯის ხელოსანი. 28.
არწრუნი გრიგოლ (1845-1892) – სომეხი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. გაზ „მშაკის“ რედაქტორი. 403, 562.
ასათიანი მიხეილ – ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი. 1880 წელს მოკლულ იქნა მასწავლებელ ღვინიაშვილის მიერ. 49, 50, 51.

ბ

ბარათაშვილი ნიკოლოზ მელიტონის ძე (1817-1845), პოეტი, ქართული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენელი. 461, 515.
ბარკალაია ბენედიქტე – ბერი ათონის მონასტერში. 307.
ბარონ ნიკოლაი ალექსანდრე პავლეს ძე (1821- 1899) – კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1848), კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1852-1859), 1861 წლიდან მოღვაწეობდა განათლების დარგში. 1881 წლის მარტიდან იყო რუსეთის განათლების მინისტრი. ცოლად ჰყავდა პოეტ ალ. ჭავჭავაძის უმცროსი ქალი სოფიო (1833-1862). 236, 237, 239, 240.
ბატია. აქ: ბათო ყაენი (1208–1255), მონღოლი ხანი, ჩინგიზ ყაენის შვილიშვილი. დააარსა ფეოდალური სახელმწიფო *ოქროს ურდო.* 175.
ბატონიშვილი – სიუზერენის შვილი ფეოდალურ საქართველოსი. ძირითადად იხმარებოდა უმაღლესი სიუზერენის, მეფის, აგრეთვე მთავრის შვილების აღსანიშნავად. პარალელურად იხმარებოდა ტერმინი უფლისწული. 321, 322, 323.

ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლეს ძე (1770-1844). ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. 321, 322, 323.
ბატონიშვილი ერეკლე – ერეკლე II-ს ძე. 321, 323.
ბებუთოვი (ბებუთაშვილი) მიხეილ პეტრეს ძე – ქართული პროფესიული თეატრის რეჟისორი (1881 წლიდან), დრამატიული საზოგადოების წევრი. შექსპირის „მეფე ლირისა“ და „ვენეციელი ვაჭრის“ პირველი დამდგმელი ქართულ სცენაზე. 93.
ბებურიშვილი გიორგი – სენაკის მაზრის უფროსი. 205, 206, 207.
ბეგიევი სიმონ – მღვდელი, ავტორი წიგნისა „პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოთ ეფენდისთან. 167.
ბეთჰოვენი – ლუდვიგ ვან (1870 – 1827) გერმანელი კომპოზიტორი. მუსიკალური რომანტიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. 576.
ბეჟანოვი – ნუხელი კორესპონდენტი. 81.
ბერი – საქართველოში ჩამოსული სენატორი. 357.
ბერიძე ივანე – სენაკის მომრიგებელი მოსამართლე. 205, 206.
ბესიკი – იხ. გაბაშვილი ბესარიონ 461.
ბისმარკი ოტო (1815-1898) – სახელმწიფო მოღვაწე პრუსიასა და გერმანიაში. უდიდესი მონარქი. ახორციელებდა „რკინისა და სისხლის პოლიტიკას“. 1871-1890 წლებში იყო გერმანიის კანცლერი. ეწეოდა რეპრესიებს სოციალისტების წინააღმდეგ. ცდილობდა მუშათა მოძრაობის ჩახშობას გერმანიაში. იყო შეიარაღებული ინტერვენციის მეთაური პარიზის კომუნის დროს (1871). ატარებდა რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკას. 133, 382, 448, 449.
ბოდბელი – იოანე, ბოდბელი მიტროპოლიტი. 466.
ბოდენი – 1851 წელს ბარიკადებზე დაღუპული მებრძოლი. 216.
ბოკლი ჰენრი ტომას (1811-1916) – ფრანგი ენათმეცნიერი. ზოგადი ენათმეცნიერებისა და იტალიური ენის სპეციალისტი. 301, 448.

გ

გაბაშვილი ბესარიონ ზაქარიას ძე (1750-1791) ქართველი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. მოღვაწეობდა ჯერ ერეკლე II-ის, შემდეგ იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის კარზე. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა დიპლომატიურ მისიებს ირანსა და რუსეთში. 461.

გაბაშვილი ეკატერინე რევაზის ასული (ქალიშვილობაში თარხნიშვილი)– (1851-1938) ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ქართული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 468.
გაბაშვილი ნინა – აპირებდა ჟურნ. „მიმოხილვის“ გამოცემას. 182.
გაბრიელ ეპისკოპოსი – გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე (1825-1886) – დავიტ გარეჯის არქიმანდრიტი (1858), 1858-60 წლებში გორის ეპისკოპოსი. 285, 286, 544, 556, 557.
გაბუნია ნატო (1856-1910) – განახლებული (1879) ქართული თეატრის მსახიობი. 13, 30, 31, 35 – 37, 61, 91, 112, 115, 121, 122, 124, 220, 221, 227, 267.
გალოვინი – გოლოვინი განათლების მინისტრი. 239.
გამბეტა ლეონ მიშელი (1838-1882) – საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. 1881-1882 წწ-ში იყო პრემიერ მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. 81, 82, 83, 99, 216, 217, 218, 377, 378, 400.
განჩინი (მანჩინი) – იტალიის პირველი მინისტრი. – პასკუალე სტანისლაო (1817-1888), იტალიელი იურისტი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, ტურინის, ნეაპოლის და რომის უნივერსიტეტების პროფესორი. 146, 448, 449.
გარიბალდი ჯუზეპე (1807-1882) – იტალიელთა ეროვნული გმირი. გენერალი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. 377, 449.
გიორგი მეფე – ერეკლე მეფის შვილიშვილი, გიორგი მეფის ძმისწული. 321.
გალიცინი (გოლიცინი) გრიგოლ სერგეის ძე – კავკასიის მთავარმართებელი. 574.
გრევი ჟიულ (ჟულ) (1807-1891) – საფრანგეთის პრეზიდენტი 1879-1887 წლებში, ზომიერ რესპუბლიკელთა ლიდერი. 217.
გუნია ვალერიან ლევანის ძე (1862–1938), გამოჩენილი მსახიობი, დრამატურგი, რეჟისორი, კრიტიკოსი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. 548, 592.

დ

დავიდოვი. (ნამდვილი გვარი გორელოვი) **ვლადიმერ ნიკოლოზის ძე (დ. 1849 წ.)–** რუსი მსახიობი. 587.

დავით აღმაშენებელი (1073 1125). საქართველოს მეფე 1089-1125 წლებში. გიორგი II-ის ძე. ტახტზე ავიდა 16 წლისა. ოციოდე წელიწადში თურქ-სელჩუკებისაგან იავარქმნილი ქვეყანა უძლიერეს ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ აქცია. 405, 407.
დავით III – ტექსტში იგულისხმება დავით აღმაშენებელი. 405, 407.
დალსკი (ნამდვილი გვარი ნეელოვი) **მამონტ ვიქტორის ძე (1865-1918) –** რუსი მსახიობი. 1900 წლიდან გასტროლიორობდა. რუსეთის პროვინციული ქალაქების გარდა გამოდიოდა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. 588.
დარეჯან დედოფალი (დაახ. 1726-1807) – ქართლ-კახეთის დედოფალი, მეფე ერეკლე II-ის მესამე ცოლი (1750 წლიდან) კაცია I დადიანის ასული. 321.
დ.გ. – კორესპონდენტი საქართველოდან. 173.
დეფო დანიელ (1660/3 – 1731) – ინგლისელი მწერალი. საფუძველი ჩაუყარა ინგლისურ რეალისტურ რომანს. საყოველთაო აღიარება მოუტანა რომანმა „რობინზონ კრუზო“. 541.
დიმიტრი – ეპისკოპოსი, საგალობლების გამოცემის მოგვარების საქმის კომისიის წევრი. 476.
დიმიტრი თავდადებული (დაახლ. 1259-1289) – საქართველოს მეფე 1271-89 წლებში, დავით VII ულუსა და გვანცა დედოფლის ვაჟი. ყაენის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში ბრალდებულმა მეფემ არ ისურვა თავი გადაერჩინა და ქვეყანა განსაცდელში ჩაევდო. შთამომავლობამ მას თავდადებული უწოდა. 512.
დიურანი – მკერავი. 28.
დოდაევი (დოდაშვილი) სოლომონ (1805-1836) – ფილოსოფოსი, პედაგოგი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე. 418.
დონდუკოვ-კორსაკოვი – ალექსანდრე მიხეილის ძე (1820-1893) – სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე 1882-1890 წწ-ში კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. ატარებდა რეაქციულ კოლონიურ პოლიტიკას. 288, 289, 385.

ე

ევდოშვილი (ნამდვილი გვარი ხოსიტაშვილი) **იროდიონ ისაკის ძე** (1873-1916) – ქართველი მწერალი,

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, „მესამე დასის“ წევრი. 524, 601-607.
ელიაშვილი ესტატე – დეკანოზი. 574.
ელიმირზოვი – ქალაქის საბჭოს ხმოსანი. 214, 215.
ეპიკურე – (ძვ. წ. 341-270), ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, მატერიალისტი, ანტიკური ატომისტური მოძღვრების გამგრძელებელი. 461.
ერეკლე II (1720-1798) თეიმურაზ II-ის ძე, მეტსახელად „პატარა კახი“. 1744 წლიდან კახეთის, ხოლო 1762 წლიდან ქართლ-კახეთის მეფე. მისი ინიციატივით გაფორმდა საქართველო-რუსეთის „მფარველობითი ტრაქტატი“ გეორგიევსკში 1783 წელს. 321, 322, 323, 560.
ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813-1864) – დრამატურგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. 46, 47, 209.
ერისთავი დავით გიორგის ძე (1847–1890)- მწერალი, ჟურნალისტი, დრამატურგი. 209, 362, 585.
ერისთავი რაფიელ დავითის ძე (1824-1901) – მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 70, 73, 362, 585.

ვ

ვაგნერი ვილჰელმ რიჰარდ (1813- 1883) – გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, თეატრალური მოღვაწე. მისი ოპერებიდან XIX საუკუნის თბილისში დაიდგა „ტანჰოიზერი“ (1886) და „ლოენგრინი“ (1890). 576.
ვალიკო – იხ. გუნია ვალერიან 580, 581.
ვარანცოვი – იხ. ვორონცოვი მ. ს. 209, 210, 288, 289.
ვარლამოვი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე (?) (1849-1915) – რუსი მსახიობი. კომპოზიტორ ა. ვარლამოვის შვილი. გამოდიოდა დრამაში, კომედიაში, ვოდევილსი, ოპერეტაში. 587.
ვასილიევა ვ. რუსი მსახიობი. 588.
ვასო – იხ. აბაშიძე ვასო. 14, 121, 227, 582, 592, 598.
ვერდი ჯუზეპე (1813-1901) – იტალიელი კომპოზიტორი. საოპერო ხელოვნების რეფორმატორი. 576.
ვინმე მესხი ივანე გვარამაძის (1831–1912), ქართველი მწერლის, ეთნოგრაფისა და პუბლიცისტის ფსევდონიმი. 512.
ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. 1844-1854 წწ-ში კავკასიის მეფის ნაცვალი და რუსების ჯარების მთავარსარდალი კავკასიაში. 209, 210, 288, 289.
ვოსტორგოვი – დეკანოზი. 574.
ვოსკრესენსკი – სემინარიის მასწავლებელი, რუსული გალობის მცოდნე. 574.

ზ

ზენგერი – სახალხო განათლების მინისტრი. 532.
ზეცერი – ავეჯის ხელოსანი. 28.
ზლატოვრაცკი (1845-1911) – რუსი ხალხოსანი მწერალი. 440.
ზუბალოვი ნ. დ. – ქალაქის რჩევის ხმოსანი. 214, 215.

თ

თამამშევი არ. ალ. – ქალაქის რჩევის ხმოსანი. 403.
თამარ დედოფალი – თამარ მეფე (დაახ. 1160-1213). 208.
თევდორე მღვდელი – (გ. 1609) კველთელი. ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირი. საკუთარი თავგანწირვის ფასად იხსნა მეფე ლუარსაბ II და უამრავი თანამემამულე. 512.
თუმანიშვილი გიორგი მიხეილის ძე (1854-1920) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, 1891-1903 წწ. ვ. და კ თუმანიშვილებთან ერთად გაზ. “Новое Обозрение”-ს გამომცემელი. 398, 585.
თუმანიშვილი იაზონ დ. თბილისის ქალაქის თავობის კანდიდატი 1883 წელს.394, 396, 402, 403, 404.
თუმანოვი იაზონ – იხ. თუმანიშვილი იაზონ. 394, 396, 402, 403, 404.
თუმანოვი ივანე პავლეს ძე – წერა-კითხვის კომიტეტის წევრი. 322.
თურმანიძე. მკურნალთა ცნობილი საგვარეულო საქართველოში. 512.

ი

იაზონი – იხ. თუმანიშვილი იაზონ. 394, 396, 402, 403, 404.
იანოვსკი კირილე პეტრეს ძე (1822-1902) – კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი (1878-1899 წწ.)

შავრაზმელი, იბრძოდა საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნისათვის. 52, 205, 206, 272.
იაშვილი პორფირე – „ივერიის“ რაჭის კორესპონდენტი. 509.
იაცოვსკი – პოლონელი მემამულე 142.
იერბერი. მუსიკოსი, კომპოზიტორი. 576.
იზმაილოვი პ.ა – ქალაქის (თბილისის) რჩევის ხმოსანი. 403.
იოანესიანი – წერა-კითხვის საზოგადოების ფონდის წევრი. 323.
იოსელიანი გ – მასწავლებელი. 210.
იოსელიანი პლატონ (1809-1875) – ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ლიტერატორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 204, 306.
ირაკლი II – იხ. ერეკლე II. 299, 300, 321.
ისააკი – ერევნის მელიქი. 321.
ისარლოვი ი.ს – ქალაქის (თბილისის) რჩევის ხმოსანი. 403.

კ

კაბიაკოვი – იხ. კობიაკოვი. 200, 202
კამაროვი – იხ. კომაროვი. 245.
კარბელაშვილები ვასილ გრიგოლის ძე (1858-1936) და **პოლიევქტოს გრიგოლის ძე** (1855-1936) – ქართველი მუსიკოსები, მგალობლები, საზოგადო მოღვაწეები. ვასილმა გამოსცა ქართული საგალობლების ორი კრებული. 574.
კატკოვი მიხეილ ნიკიფორეს ძე (1818-1887) – რუსი რეაქციონერი პუბლიცისტი. ,,Московские Ведомости“-ს რედაქტორი (1880-1855, 1863-87). 1856 წლიდან სცემდა ჟურნალ ,,Русский Вестник“-ს. მუშაობდა სახალხო განათლების სამინისტროში. 1882 წელს – ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ – გამოდიოდა ბისმარკის წინააღმდეგ. ამავე წლის ბოლოს კვლავ ბისმარკს მიემხრო. თავს ესხმოდა საქართველოში ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. მის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. 103, 104, 237, 239, 317.
კახანოვი – პეტერბურგის ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის თავმჯდომარე. 398.
კიკნაძე – ხარაგაულის მღვდელი. 415.

კლენოვსკი ნიკოლოზ სვიმონის ძე – პეტერბურგის სასახლის გუნდის გამგის ხელქვეითი.478.
კობიაკოვი – გაზ. ,,კავკაზის“ რედაქტორის მოადგილე. 1881 წელს დროებითი რედაქტორი. 242.
კოლლოვიჩი – ალექსანდროვის სახ. ინსტიტუტი (დირექტორი) 361, 362, 363
კომაროვი – ალექსანდრე ბესარიონის ძე (დაიბადა 1883წ. ?) გენერალ-მაიორი. ეკავა სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობანი კავკასიასა და სამხრეთ დაღესტანში. ავტორი ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომებისა და დაღესტნის სამართლის შესახებ. მან შეაგროვა რკინის ხანის დასაწყისის საინტერესო არქეოლოგიური კოლექცია. 1881 წელს იყო ბათუმის გუბერნატორი. 245.
კომისარჟევსკი ვერა თეოდორეს ასული (1864-1910) – რუსი მსახიობი. 1904 წელს ჩამოაყალიბა საკუთარი თეატრი. იყო რევოლუციამდელი მოწინავე ინტელიგენციის იდეების მქადაგებელი. 588.
კოტე – იხ. მესხი კოტე. 37. 61, 62, 63, 65.
კრილოვი ვიქტორ. ავტორი წიგნისა სათეატრო საქმე ევროპაში. 584.

ლ

ლადო – იხ. მესხიშვილი ლადო. 561, 592, 598.
ლეონ XIII – რომის პაპი, ერისკაცობაში ვინჩენცო ჯოაკინო პეჩი (1810-1903)– ჩამოაყალიბა კათოლიკური ეკლესიის სოციალური დოქტრინა, რომელიც საფუძვლად დაედო მომდევნო რომის პაპების საქმიანობას. 570, 571.
ლისტი ფერენც (1811-1886) – უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 576.
ლომინაძე – ახალსენაკის სკოლის პედაგოგი. 205, 206.
ლომოური ი.ვ. – მეტეხის ციხის ეკლესიის მღვდელი. 105, 107.
ლორთქიფანიძე ს. წერდა ს ლ – ძე – ის ფსევდონიმით. 231.
ლორის მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე – 1886 წლიდან რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. 102, 181, 186, 195, 196, 235 – 237, 240.

მ

მარკოვი – მუშაობდა ქუთაისში და თბილისში განათლების ხაზით. 272, 273.
მატინოვი – თბილისის ქალაქის თავი 1883 წელს. 394, 396, 402, 403, 404.
მასენე ჟიულ (დაბად. 1842 წ.) – ფრანგი კომპოზიტორი 576.
მასკანი პიეტრო (1863-1945) – იტალიელი კომპოზიტორი. საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას „საოპერო ვერიზმს“. 576.
მანგლელი – მანგლისის ეპიკოპოსი. საეპისკოპოსო ცენტრი აქ V საუკუნიდან არსებობს. 466.
მარქსი კარლ (1818-1883) – მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი. 488, 489, 524, 526.
მაყაშვილი ათანასე. – ეკატერინე ჯორჯაძის მამა. 203.
მაყაშვილი ელენე – ათანასე მაყაშვილის ქვრივი. 204.
მაყაშვილი ჯორჯაძისა ეკატერინე – ათანასე მაყაშვილის ასული. 203.
მაძინი – (მაჩინი) – იტალიის სამხედრო მინისტრი. 449.
მეისნერი. 412, 414.
მელიქიშვილი დ. ზ. – თავდაზნაურობის მარშალი.600.
მელიქოვი (მელიქიშვილი) ლევან ივანეს ძე (1871-1892) – გენერალ-ლეიტენანტი. იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. 181.
მესხი კოტე (იაკობ) **სიმონის ძე** (1857-1914) – ქართველი მსახიობი და რეჟისორი. 1894 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის დრამატულ თეატრში. 37. 61, 62, 63, 65.
მესხი სერგეი სიმონის ძე(1844-1883) – პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გაზეთ „დროების“ რედაქტორი. 205.
მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო) – (1857-1920), ქართველი მსახიობი და რეჟისორი. დადგმული აქვს 100-ზე მეტი პიესა. 592, 598.
მილლი ჯონ სტიუარტ (1806-1873)– ინგლისელი პოზიტივისტი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე. 527.
მიხაილოვი – ბათუმელი პედაგოგი. 78, 138, 139.
მიხეილ ნიკოლოზის ძე – დიდი მთავარი, საქართველოს „ნამესტნიკი“. 474.
მოლსუორტი იულიამ – ინგლისის პარლამენტის წევრი. 43.
მოლტკე უფროსი (1800-1891) პრუსიისა და გერმანიის სამხედრო მოღვაწე. 382.

მონადირაშვილი. იმ კომისიის წევრი, რომელსაც გამოსაცემად მომზადებული საგალობლების კრებული უნდა შეესწავლა. 574.
„მოსაუბრე“ – ფილიპე მახარაძის ფსევდონიმი
მოსე ხონელი – ლიტერატურული ტრადიციის თანახმად იგი „ამირანდარეჯანიანის“ ავტორად მიიჩნევა. სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოს, დაბა ხონის მკვიდრი უნდა ყოფილიყო. სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. 512.
მოჩხუბარიძე – ალექსანდრე ყაზბეგის (1848-1893) ფსევდონიმი. 219, 220, 222, 266, 267, 268.
მროველი – რუისის ეპოსკოპოსი. ესაა ქართლის ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო. 506 წლის საეკლესიო კრებას უკვე ესწრება მროველი. 466.
მცხეთელი – მცხეთის ეპისკოპოსი. მცხეთაში დაარსდა პირველი საეპისკოპოსო კათედრა აღმოსავლეთ საქართველოში IV ს.-ის 30-ისნ წლებში. 466.

ნ

ნანაბაშვილი – თბილისელი მღვდელი. 574.
ნანეიშვილი – ბათუმის სკოლის გამგებელი. 191.
ნაპოლეონ I ბონაპარტი (1769-1821) – ფრანგი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის იმპერატორი (1804-1815). 399.
ნაპოლეონ ურმონი (პრინცი) 399, 400.
ნაპოლეონ ლუი – ნაპოლეონ ბონაპარტის ძმა, ხელისუფლება მცირე ხნით ჩაიგდო 1851-ში. 400, 401.
ნაპოლეონ III – შარლ ლუი (1808-1873)– საფრანგეთის იმპერატორი 1852-1870 წლებში.. ნაპოლეონ I-ის ძმის, ლუი ბონაპარტის ვაჟი. 216, 218, 225, 382, 400, 401.
ნერონი – რომის იმპერატორი 54 წლიდან, აგრიპინას ვაჟი. პატივმოყვარე და სასტიკი ტირანი. 501.
ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე (1843-1928) – პუბლიცისტი, ჟურნალისტი კრიტიკოსი. 96, 97, 103, 104.
„ნინია გარეჯელი“ – ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარის (1852-1913) ფსევდონიმი. 488, 489, 524.
ნიჟარაძე ალმასხან –ქუთაისის ბანკის თანამშრომელი. 348.
ნიქოზელი – ნიქოზის ეპისკოპოსი. ქართლის ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო. დაუარსებია ვახტანგ გორგასალს V ს-ში. 466.

ო

ორბელიშვილი – შ. რუსთაველის თანამედროვე სწავლული. 203.
ოქრომჭედლიშვილი – გაზ. „გუთნის დედის“ რედაქტორი. 183.

პ

პალენი – რუსი სახელწიფი მოღვაწე, კონსერვატორი. 237.
პაპოვი – ქალაქის ხაზინის კომისიის გამგეობის წევრი. 215.
პლებსი – „ივერიის“ თანამშრომლის, ნიკო ხიზანიშვილის ფსევდონიმი. 525, 526, 527.
პუჩინი ჯაკომო (1858-1924) –იტალიელი კომპოზიტორი. საოპერო ვერიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი. თბილისში იდგმებოდა მისი ოპერები: „მანონ ლესკო“ (1896), „ბოჰემა“ (1898), “ტოსკა“ (1903) და ა. შ. 576.

ჟ

ჟვანია ლუკა – ახალსენაკის დეპუტატი. 205, 207.
ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე (1868-1953) – სოციალ-დემოკრატი. ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. პუბლიცისტი. „მესამე დასის“ დამფუძნებელი წევრი.. 1918-1921 წ.წ. იყო მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე. 487, 524,.

რ

„რიგოლეტო“- იროდიონ ევდოშვილის (1873 – 1916), ქართველი პოეტის ფსევდონიმი. 524, 525, 526, 527.
რუბინშტეინი ანტონ გრიგოლის ძე (1829-1894) – რუსი პიანისტი, კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. 576.
რუსთაველი შოთა (XII- XIII ს.ს.) დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე. ჩვენამდე მოღწეულია მისი ერთადერთი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო თამარის კარის მგოსანი. ხალხური გადმოცემით, რუსთველს სიცოცხლის ბოლო წლები იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გაუტარებია. 203.

ს

საბუროვი – განათლების მინისტრი 1881 წლამდე. 171, 236, 238, 239.
სავინა (ნამდვილი გვარი პოდრამენცოვა) **მარიამ გაბრიელის ასული** (1854-1915) რუსი მსახიობი. სიცოცხლის ბოლომდე პეტერბურგის ალექსანდრას ტეატრის წამყვანი მსახიობი იყო. 587, 588.
სემიონოვი დიმიტრი დიმიტრის ძე (1834-1902) – პედაგოგი, გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი და ქუთაისის პირველდაწყებითი დირექტორი, 1881 წლიდან განათლების მზრუნველი. 292.
სვიატოპოლსკი – მეფის ნაცვლის თანაშემწე 1879 წელს.
„სიტყვა“ – სამსონ ფირცხალავას (1872–1952), საზ. და პოლიტ. მოღვაწის, პუბლიცისტის ფსევდონიმი. წერდა აგრეთვე „კალამის“ და „სანვინის“ ფსევდონიმებით. 58.
სლივიცკი – გაზ. „კავკაზის“ რედაქტორი 1881 წლამდე. 200.
სმეკალოვი – ბათუმის გუბერნატორი 1882 წელს. 245, 246, 368.
სმოლენსკი – პეტერბურგის სასახლის გუნდის გამგე 104, 478.
სოკრატი (ძვ. წელთაღ. 470-399) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. 373.
სოხალეიშვილი ათანასე – იმერელი ბლაღოჩინი. 285.
სტალინსკი – რუსული გაზეთ „კავკაზის“ ყოფილი (1881 წლისათვის) რედაქტორი. 200.
სტანისლავსკი კონსტანტინე სერგის ძე (ნამდვილი გვარი ალექსეევი) –(1863–1938) – მსახიობი, რეჟისორი, პედაგოგი, თეატრის თეორეტიკოსი. სსრკ სახალხო არტისტი. შექმნა სცენური რეალიზმის განვითარების ახალი ეტაპი. 580, 584.
სტაროსელსკი – მთავარმართებლის სამმართველოს უფროსი, ადგილობრივი ხალხის საჭიროებისა და მოთხოვნილებების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე 309.
სტრაბონი – (დაახლ. ძვ. წ. აღ. 64/63 – ახ. წ. აღ. 23/24) – ძველი ბერზენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, წარმოშობით პონტოელი ბერძენი. საქართველოს შესახებ ცნობები მისი „გეოგრაფიის“ XI წიგნშია დაცული. 511.

სუვორინი – „ნოვოე ვრემიას“ რედაქტორი. 237, 317, 325, 326.

ტ

ტააფე ედუარდ (1833-1895) – ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტი. 435.
ტიერი (თიერი) ადოლფ (1797-1877) – საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი საფრანგეთის აკადემიის წევრი. 400.
ტოლსტოი – რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. 380.
ტოლსტოი გრ. – განათლების მინისტრი. 170, 236, 238, 239, 270.

უ

უთურგაული – პუბლიცისტი 96.
„ულეველი“. 524.
უმიკაშვილი პეტრე (1838-1904) – ლიტერატორი, პუბლიცისტი თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. 90, 91, 486.
ურბნელი – ურბნისის ეპისკოპოსი. ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო კათედრა. 466.

ფ

ფალიერი – საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1883 წელს, დეპუტატი. 400.
ფიფინაშვილი – ქუთაისის საადგილმამულო ბანკის წევრი. 344, 345.
ფოთელი – გაზ. „დროების“ კორესპონდენტი ფსევდონიმი. 333, 334, 335, 336, 337, 339.
ფონიიცკი ივანე იაკობის ძე (1847-1913) – პეტერბურგის იურიდიული საზოგადოების წევრი 430, 431.
ფონდოევი –თბილისის ქალაქის ხაზინის კომიტეტიოს წევრი. 214.
ფურცელაძე ანტონ (1839-1913) – პროზაიკოსი, პოეტი, პუბლიცისტის საზოგადო მოღვაწე. 182, 183.

ქ

„ქსნის პირელი“ – საგზეთო ფსევდონიმი. 524, 525.

ღ

ღვინიაშვილი – ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხვედველი მიხეილ ასათიანის მკვლელი. 50, 51.
ღონღაძე ნ. – ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წევრი.
ღოღობერიძე ბესარიონ ლევანის ძე (1833-1879) – პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 347, 348, 349.

ყ

ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887) – პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, 1880 წლამდე იყო თბილისის ქალაქის თავი, მოკლულ იქნა გადასახლებაში მეფის ოხრანკის მიერ. 92, 93, 112.
ყიფიანი კ. – ყიფიანი კონსტანტინე დიმიტრის ძე – (1849-1921), ქართული პროფესიული თეატრის მსახიობი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. 12, 37, 112, 115, 122, 123, 124, 220, 221, 227, 267, 522.

შ

შამბორი. – ფრანგი პოლიტიკოსი.399.
შამშადილის ხანი. 299, 300.
შარაბიძე. – იმ კომისიის წევრი, რომელსაც გამოსაცემად მომზადებული საგალობლების კრებული უნდა შეესწავლა. 574.
შახდინაროვი – ქალაქის (თბილისის) ხაზინის კომიტეტის წევრი. 214.
შენერერი – თბილისის ქალაქის სამჭოს დეპუტატი. 434, 435.
შვაეცი – (მეწაღე)
შოპენი ფრიდერიკ ფრანციშეკ (1810-1849) – პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი. 576.
შუვალოვი პეტრე ანდრიას ძე (1827-1889) რუსი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. გენერალ-ადიუტანტი. გრაფი. 236, 237, 239.

ჩ

ჩახნაშვილი გ. – გალობის მასწავლებელი. იმ კომისიის წევრი, რომელსაც გამოსაცემად მომზადებული საგალობლების კრებული უნდა შეესწავლა.573, 574.
ჩახრუხაძე – XII –XIII სს. ქართველი პოეტი, რომელსაც მიეწერება "თამარიანის" ავტორობა. 512.
ჩინგის ყაენი (ჩინგიზ-ყაენი) (დაახ. 1155-1227) – მხედართმთავარი ერთიანი მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელი. 175.
ჩუბინაშვილი ნიკო (1788-1845) – ლექსიკოგრაფი, გრამატიკოსი, მთარგმნელი. 306.

ც

ცხვედაძე ნიკო ზებედეს ძე (1845-1911) – პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 139.

წ

წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე (1842-1900) – ბალეტრისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. 139, 486.
წილკნელი – წილკნის ეპისკოპოსი. კათედრალური ტაძარი აქ მე-4 საუკუნეში ააგო მეფე ბაქარმა, მირიან II-ის ძემ. 466.
წერეთელი. იმ კომისიის წევრი, რომელსაც გამოსაცემად მომზადებული საგალობლების კრებული უნდა შეესწავლა.36, 61, 65.
წულუკიძე პეტრე – ქუთაისის ბანკის დამფასებელი. 82.

ჭ

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე– (1837-1907) დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. 551, 561, 562, 563, 585.
ჭილაშვილები – სოფელის მესაკუთრენი დუშეთის მაზრაში. 446.

ხ

ხატისოვი – კანდიდატი ქალაქის თავის თანამდებობაზე. 403, 561, 562, 563.
ხოჯამინოვი – კანდიდატი თავის ქალაქის თანამდებობაზე. 403.

2. გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

ავლაბარი — თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი, რიყეს, ჩულურეთსა და ნავთლუხს შორის 322, 425.
ავსტრალია — კონტინენტი დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში 44, 571.
ავსტრია — ევროპის სახელმწიფო 44, 165, 202, 376, 434, 435, 448, 449.
აზია 57, 367, 391, 437, 541, 551, 566, 571.
ათინი (ათონი)—იხ.: ათონი 203, 204, 306, 307, 308, 467.
ათონის მთა — მთა საბერძნეთში, სადაც სხვა სამონასტრო კომპლექსებთან ერთად არის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია (Xს.). — 306-308.
ალავერდი — კათედრალური ტაძარი კახეთში 466.
ალაზანი — მდინარე კახეთში 321.
ალბანია — სახელმწიფო ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. 133.
ალექსანდრია — ქალაქი ეგვიპტეში. სწორედ აქ იყო მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთ- — ალექსანდრიის შუქურა. 376.
ალჟირი — ქალაქი აფრიკაში, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი. 474
ამერეთი — აღმოსავლეთი საქართველო 503, 521,
ამერიკა — კონტინენტი 43, 202, 260, 381, 535, 571
ანისი — სომხეთის ძველი დედაქალაქი 406.
ანტიოქია — ქვეყანა წინა აზიაში 406.
არაგვი — მდინარე 466
ართვინი (ქ. აჭარაში)— ქალაქი ჩრდ.-აღმ. თურქეთში, მდ. ჭოროხის ნაპირზე, ბათუმიდან 50 კმ. ფეოდალური საქარტველოს ისტორიული პროვინციის, კლარჯეთის შემადგენლობაში შედიოდა. 20, 116, 474.
ართვინის მაზრა— 1878 წლიდან ართვინი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში როგორც ოკრუგის ცენტრი. 1918 წლიდან ართვინი ისევ თურქეთის საზღვრებშია. 116.
არტაანი (აჭარაში) — ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქი სამხ. საქართველოში 1921 წლიდან მიიტაცა თურქეთმა. 116.
აფრიკა — 571.
აფხაზეთი — 74, 342.
აჭარა — 116, 149, 152, 179, 474, 475.
აჭარა-ლივანი 152.
ახალი სენაკი 205, 206, 207.
ახალი უელსი — შტატი ავსტრალიის კავშირში, ავსტრალიის სამხ.-აღმ. ნაწილში 44, 45.
ახალციხე — ქალაქი სამხრ. საქართველოში. გაშენებულია ახალციხის ქვაბულში მდინარე ფოცხოვის ნაპირზე. ამავე სახელწოდების სამი სოფელია საქართველოში: დუშეთის, კასპის და ყაზბეგის რაიონებში. 275.

ბ

ბაგამის კუნძულები —ბაჰამის კუნძულები. სახელმწიფო ვესტინდოეთში. განლაგებულია 700-მდე კუნძულზე. აღმოაჩინა კოლუმბმა. 44.
ბათომი იხ. ბათუმი — საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე. აჭარის დედაქალაქი. დაარსებულია ძვ. წლთაღიცხვის II–I ათასწლეულების მიჯნაზე. 148-153, 156, 157, 167, 168, 169, 181, 190, 334-339, 340-344, 364-366, 368.
ბათუმი — 18, 20, 38, 39, 55, 57, 58, 77-79, 116, 117, 138-141, 145, 146, 190-193, 228, 229, 245, 246, 281-284, 324, 328, 333, 334, 368-370, 473-475.
ბალკანიის ნახევარკუნძული — ნახევარკუნძული სამხრეთ ევროპაში. მასზე მდებარეობს ბულგარეთი, იუგოსლავიის დიდი ნაწილი, ალბანეთი ,საბერძნეთი, რუმინეთის სამხრეთი, თ რქეთის დასავლეთი და იტალიის ჩრდილოეთი რაიონები. 134, 136.
ბალტიის გუბერნია — მოიცავდა რუსეთის ბალტიისპირა ოლქებს: ესტონეთს, ლატვიას, ლიტვას. 125, 127.
ბალტიის ზღვა — ატლანტის ოკეანის შიგაკონტინენტური ზღვა ევროპაში. 125, 128.
ბაქო — (აზერბ. ბ ა ქ ი — ქარიანი ადგილი) აზერბაიჯანის დედაქალაქი. დიდი ნავსადგური კასპიის ზღვაზე. აფშერონის ნახევარკუნძულის სამხრ. ნაწილში. 99, 244, 324, 336, 480,
ბერლინი — გერმანიის დედაქალაქი 1871-1945 წლებში. ომის შემდეგ ბერლინი, ისევე, როგორც მთელი გერმანია, ორად გაიყო. გაერთიანდა XX საუკუნის 80-იან წლებში. 132, 133, 136, 179, 335, 339.
ბიზანტია (ვიზანტია)— სახელმწიფო რომის იმპერიის აღმ. ნაწილში; შეიქმნა IV საუკუნეში რომის იმპერიის ორ

ნაწილად გაყოფის შემდეგ. არსებობა შეწყვიტა 1461 წლიდან. 134, 389.
ბერლინის კონგრესი – 1878 წლის საერთაშორისო კონგრესი, რომელიც მოწვეულ იქნა ავსტრია-უნგრეთის და ინგლისის მოთხოვნითა და გერმანიის მხარდაჭერით რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წ.წ. ომის შემდეგ დადებული სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობების გადასახედად. სწორედ ამ კონგრესის შედეგად დააღწია ოსმალთა უღელს თავი აჭარა–ქობულეთის რეგიონმა. 179, 335, 339.
ბოლგარია (ბულგარეთი) – სახელმწიფო სამხ.-აღმ. ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმ. ნაწილში. დედაქალაქი – სოფია. 135, 289.
ბორჩალო – ისტორიული მხარე ქვემო ქართლში. სახელწოდება მოდის დებედის ხეობაში XVII ს. დასაწყისში ჩასახლებული თურქმანული ტომის ბორჩალუსაგან. 321, 514.

გ

განჯა – განჯის სახანოს ადმინისტრაციული ცენტრი. 299, 324.
გერმანია – 376, 379.
გვიანა (ბრიტანეთისა) – **გაიანა**– სახელმწიფო სამხ. ამერიკის ჩრდ. აღმ. ნაწილში. დედაქალაქი ჯორჯთაუნი. 44.
გორი - შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. 66, 109, 130, 255.
გორის მაზრა – ადმინისრ.-ტერ. ერთეული რუსეთის იმპერიაში. ყოფილი ტფილისის გუბერნიის შემადგენელი ნაწილი. მოიცავდა ახლანდელი გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ზნაურის, ცხინვალის და ჯავის რაიონებს. 130.
გრემი – სოფელი ყვარლის რაიონში, ალაზნის ვაკეზე. 1466 წლიდანკახეთის სამეფოს დედაქალაქი გახდა. გაპარტახდა აბას I-ის ლაშქრობების შემდეგ. 203.
გურია – 150, 337, 340, 475.

დ

დაღისტანი – შეიქმნა 1921 წლის 20 იანვარს. დედაქალაქი მაჰაჩყალა. 321.

დუშეთი – დუშეთის რაიონის ადმინისრტრაციული ცენტრი 109, 445, 446.

ე

ეგვიპტე – სახელმწიფო მდ. ნილოსის ნაპირებზე ჩრდ.-აღმ. აფრიკაში. 376.
ევროპა – 133, 134, 136, 218, 336, 376, 377, 406, 434, 437, 448, 566, 571, 584.
ეკატერინოდარი – 1920 წლამდე ქ. კრასნოდარის ძველი სახელწოდება. 243.
ელისაბედის ქუჩა (თბილისი)– ახლანდელი ივანე ჯავახიშვილის ქუჩა. 444.
ერევანი – სომხეთის დედაქალაქი. მდებარეობს არარატის ვაკეზე მდ. რაზდანის ნაპირას. ისტორიულ წყაროებში პირველად VI ს.-ში იხსენიება. 299, 321.
ერთაწმინდა – სოფელი კასპის რაიონში. აქ დგას XIII ს.-ის შუა წლების სმ. ესტატეს ეკლესია. აქაა დაკრძალული გიორგი სააკაძის ვაჟის, პაატას თავი. 503.
ეჩმეადინი – (ეჩმიაძინი) – 1945 წლამდე ვაღარშაპატი. ქალაქი სომხეთში. იგი სომხ.-გრირორიანული ეკლესიის ცენტრი და კატალიკოსის რეზიდენციაა. 352, 353.

ვ

ვანი (სომხეთში) – ქალაქი აღმოსავლეთ თურქეთში, ვანის ტბის აღმოსავლეთ ნაპირთან. ძვ.წ. IX-VI საუკუნეებში ვანის ადგილას მდებარეობდა ურარტუს სახელმწიფოს დედაქალაქი, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნიდან ცნობილია ვანის სახელწოდებით. 166, 277.
ვიატკა – **რუსეთის გუბერნია.** 466.
ვიზანტია **იხ. ბიზანტია** 134, 389.
ვლადიკავკაზი (ახლანდელი ქ. ორჯონიკიძე)– ჩრდ. ოსეთის დედაქალაქის სახელწოდება 1931 წლამდე. 244.

ზემო ქართლი – ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი ზემო ქართლი მესხეთს აღნიშნავდა. 535.

თ

თბილისი (ტფილისი 1936 **წლამდე)** — საქართველოს დედაქალაქი. ლეგენდის თანახმად, იგი ვახტანგ გორგასალმა დააარსა V საუკუნეში. 16, 22, 26, 38, 40, 43, 49, 52, 55, 57, 74, 76, 77, 80, 84, 85, 86, 88, 89,92-100, 102, 105, 108, 109, 112, 116, 125, 128, 130, 131, 134, 138, 142, 145, 148, 151, 154, 156, 158, 161, 164, 167, 170, 173, 176, 179, 182, 185, 188, 190, 192, 194, 197, 200, 205, 211, 216, 228, 230, 234, 236, 241-245, 247, 249, 250, 253, 254, 255, 261, 264, 268, 269, 270, 272, 275, 277, 281, 285, 288, 290, 292, 298, 301, 304, 306, 307, 309, 311, 314, 317, 318, 324, 327, 330, 333, 342, 344, 347, 350, 355, 358, 361, 366, 368, 372, 376, 379, 381, 384, 387, 389, 391, 394, 397, 399, 405, 410, 412, 415, 418, 421, 423, 424, 429, 432, 434, 436, 439, 443, 445, 448, 460, 470, 471, 473, 476, 480, 482, 490, 495, 499, 502, 504, 508, 511, 514, 516, 520, 522, 528, 531, 534, 543, 555, 570, 573, 600.

თელავი — ქალაქი აღმ. საქართველოში მდ. ალაზნის ვაკეზე. წყაროებში გვხვდება XI საუკნიდან, როცა კახეთ-ჰერეთის სამთავროის ცენტრი გახდა. 109, 275, 482.

თერგი (თერგის მაზრა) — თერგის ოლქი. 1921 წლიდან მისი ნაწილი შევიდა დაღესტნის შემადგენლობაში. 245.

თრიალეთი — მხარე ისტორიულ ქვემო ქართლში. ახლანდელი წალკისა და დმანისის რაიონების ტერიტორია. წყაროებსი პირველად ახსენებს რომაელი ავტორი პლინიუს უფროსი (ახ. წ. აღ. I ს.). 466.

თუნისი (იხ. ტუნისი) 376.

თუშ-ხევსურეთი — საქართველოს ტერიტორია. მდებარეობს კავკასიონის ჩრდ. კალთაზე და მოიცავს მდინარეების თუშეთის ალაზნისა და პირიქითა ალაზნის, არღუნის, ასისა და არხოტისწყლის აუზებს. 376.

ი

იამაიკა — სახელმწიფო ვესტ ინდოეთში, კარიბის ზღვაში. კ. იამაიკასა და მიმდებარე მცირე კუნძულებზე. 44.

იანინა — ქალაქი საბერძნეთში, იანინის ტბის ნაპირზე. 132.

იერუსამლეთი — ? 306, 308.

იერუსალიმი — ქალაქი წინა აზიაში, პალესტინაში, მკვდარი ზღვის დასავლეთით. წმინდა ქალაქად IV საუკუნეში გამოაცხადა იმპერატორმა კონსტანტინემ. 467, 479.

იმერეთი — ისტ.-გეოგრ. მხარე დას. საქართველოში. 82, 129, 150, 263, 285, 286, 302, 340, 365, 411, 503, 521, 556.

იმერეთი-გურია-სამეგრელო — XV-XIX საუკუნეებში იმერეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილები. 347.

ინგლისი — დიდი ბრიტანეთის ადმ.-პოლიტიკური ნაწილი, მისი ისტორიული ბირთვი. 43, 132, 136, 301, 376, 541, 568.

ინდოეთი —სახელმწიფო სამხ. აზიაში. ინდოეთის ოკეანის აუზში. ფედერაციული რესპუბლიკა. 44, 437.

იორი — მდ. აღმ საქართველოში. ერთვის მინგეჩაურის წყალსაცავს. დუშეთის რაიონში არის ამავე სახელწოდების სოფელიც. 471.

იტალია — სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრალურ ნაწილში. რესპუბლიკა. 137, 376, 399, 448, 449.

იყალთო — ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. სამონასტრო კომპლექსი თელავის ჩრდ.-ით. დააარსა ერთ-ერთმა ასურელ მამათაგანმა ზენონმა VI ს-ში. 203.

კ

კავკასია —სახელწოდებას პირველად ახსენებს ძვ. წ. აღ. VI ს. ბერძენი დრამატურგი ესქილე. რტერიტორია შავი, აზოვისა და კასპიის ძღვებს შორის. 22, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 88, 89, 101, 130, 146, 173, 174, 188, 189, 205, 239, 241, 242, 243, 244, 272, 288, 289, 292, 293, 298, 299, 300, 307, 309, 310, 311, 315, 316, 327, 334, 336, 337, 358, 385, 393, 412, 504, 548, 574.

კანადა — სახელმწიფო ჩრდ. ამერიკის კონტინენტზე. — 43.

კართაგენი — ძვ. ქალაქ-სახელმწიფო ხმელთაშუაზღვის-პირეთში, ახლანდ. ტუნისის ყურე. 154.

კასპიის ზღვა — მსოფლიოს უდიდესი გაუდინარი წყალსატევი. სხვადასხვა დროს მას ჰირკანიის, გურგანის, დარუბანდის, ხაზარების ზღვასაც უწოდებდნენ. 406.

კახაბრის მთა — 338.

კახათი – სოფელი ზუგდიდის რაიონში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე. 338.
კახეთი – მხარე აღმ. საქართველოში. მოიცავს მდ. ივრისა და ალაზნის აუზებს.. 129, 139, 150, 302, 321, 340, 353, 365, 411, 480, 481, 522, 536, 615.
კინტრიში (აჭარაში) – მდინარე დას. საქართველოში 338.

ლ

ლივანა (აჭარაში) – ლიგანი, ნიგალი. ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი ფეოდალური ხანის სამხ. საქართველოში, მდ. ჭოროხის ქვემო დინებაში. წაყროებში პირველად იხსენიება XI საუკუნეში. ამჟამად მისი დიდი ნაწილი თურქეთის ტერიტორიაზეა. 149, 152, 475.

მ

მადაგასკარი (კუნძული) – სახელმწიფო ინდოეთის ოკეანის დას. ნაწილში, კ. მადაგასკარსა და მიმდებარე მცირე კუნძულებზე. სახელმწიფოებრივი წყობა – დემოკრატიული რესპუბლიკა. 376.
მარსელი – ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში, ლიონის ყურის სანაოირზე. პარიზის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქი. 216.
მაჭახელა (აჭარაში) – სოფელი დღევანდელი ხელვაჩაურის რაიონში მდ.-ების მაჭახელისწყლისა და ჭოროხის შესართავთან. 153, 229.
მთაწმინდა (თბილისის უბანი)- თბილისის ცენტრალური ნაწილი. მთავარი ღირსშესანიშანაობა ერთ-ერთი ასურელი მამის, დავითის მიერ გამოქვაბული სენაკის ადგილზე აგებული ტაძარი და ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონია.
მიხაილოვის ქუჩა – თბილისში ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტი. 444.
მოსკოვი– მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი. რუსეთის დედაქალაქი 1918 წლის 12 მარტიდან. 444.
მურღული (აჭარაში) 152.
მცხეთა – ქალაქი აღმ. საქართველოში, მტკვრისა და არაგვის შეასართავთან. ქვეყნის ძველი დედაქალაქი. მცხეთაშია საქრისტიანოს ერთ-ერთ- უდიდესი სიწმინდე უფლის კვართი. 352, 353, 466.

ნ

ნუხა – ერთ-ერთი ძველი ქალაქი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. XVIII-XIX საუკუნეებში ფეოდალური სახანოს ცენტრი. 81.

ო

ოსმალეთი – ოთომანთა იმპერია. შეიქმნა XV-XVI საუკუნეებში. I მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ საბოლოოდ დაიშალა. 19, 20, 54, 57, 60, 116, 117, 135, 140, 145, 147, 156, 157, 168, 228, 229, 245, 338, 342, 370, 474, 475.
ოსტზეის გუბ. (პოლონეთში) 143.

პ

პანკისის ხეობა – მდ. ალაზნის ზემო დინების ხეობა. შემოფარგლულია პანკისისა და დიდგვერდ-ნაქერალის ქედებით. 502.
პარიჟი (პარიზი) – საფრანგეთის დედაქალაქი. განლაგებული მდ. სენის სანაპიროზე. 73, 216, 223, 225, 227, 381, 399, 400, 429.
პეტერბურგი – (სანქტ-პეტერბურგი). რუსეთის ძველი დედაქალაქი. დააარსა პეტრე I-მა. 430, 478, 491, 523, 534, 583, 585, 586, 587, 591.
პეტერბურღი (იხ. პეტერბურგი) 54, 57, 59, 107, 196, 212, 235, 236, 281, 305, 309, 310, 323, 398.
პლოცკი (ქალაქი პოლონეთში) – ქალაქი პოლონეთში, მდ. ვისლის სანპიროზე. პლოცკის სავოევოდოს ადმინისტრაციული ცენტრი. 142.
პოლონეთი – სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. სახალხო რესპუბლიკა.
პრუსია – ცენტრალურ, აღმ. და სამხ.-აღმ. ევროპაში გერმანელ ფეოდალთა სამხედრო ექსპანსიის შედეგად შექმნილი სახელმწიფო, რომელიც მოისპო II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ. 133, 382.

რ

რაჭა – რეგიონი დას. საქართველოში. 508.

რიყე (ადგ. თბილისში) — უბანი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ავლაბარსა და ჩუღურეთს შორის. 508, 509.
რომი — იტალიის დედაქალაქი. ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. მის ფარგლებშია პაპის სახელმწიფო-ქალაქი ვატიკანი. 505, 570, 571.
რუმინია (რუმინეთი) — სახელმწიფო ევროპის სამხრეთ ნაწილსი, მდ. დუნაის ქვემო აუზში. 135.
რუსეთი — მსოფლიოოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო ევრაზიის კონტინენტზე. დედაქალაქი მოსკოვი. ფედერაციული რესპუბლიკა. 26, 27, 53-60, 75, 88, 107, 125, 126, 130, 134, 136, 140, 144, 146, 152, 168, 173-175, 185, 195, 196, 228, 234, 235, 237, 238, 242-244, 247, 248, 277, 290, 292, 293, 297, 298, 304-307, 310, 311, 315, 325, 327, 336, 337, 339, 350, 358, 359, 364, 376, 378, 379, 380, 384, 398, 416, 422, 429, 430, 440, 446, 460, 461, 473, 474, 492-494, 497, 537, 538, 544, 578, 583, 584, 588, 593.
რუსის ბაზარი — თბილისში, ახლანდელი საკოლმეურნეო ბაზარი ბარათაშვილის ქუჩაზე. 444.

ს

საბერძნეთი — სახელმწიფო სამხ.-აღმ. ევროპაში ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მიმდებარე კუნძულებზე. დედაქალაქი ათენი. 133, 135, 136, 350, 373, 391.
სამეგრელო — მხარე დასავლეთ საქართველოში რიონს, ცხენისწყალს, ენგურსა და შავ ზღვას შორის ტერიტორიაზე. სახელწოდება მოდის ისტ. მხარის, ეგრისის სახელიდან. 74, 205, 207, 337, 339, 340, 345.
სასახლის ქუჩა — თბილისში ახლანდელი რუსთაველის გამზირი. 444.
საფრანგეთი — სახელმწიფო დას. ევროპასი. სახელმწიფოებრივი წყობა — რესპუბლიკა. 33, 131, 132, 133, 135, 136, 216, 217, 218, 225, 266, 276, 277, 279, 381, 382, 383, 399, 400, 401, 422, 448, 449, 474, 578.
საქართველო — 18, 20, 39, 56, 77-79, 108, 139, 140, 146, 155, 167, 183, 190, 191, 204, 208, 231, 248, 275, 276, 281, 284, 285, 287, 288, 289, 296, 298, 299, 306, 313, 321, 322, 336, 339, 340, 347, 350, 351, 352, 353, 354, 355, 356, 362, 391, 392, 405, 406, 407, 410, 418, 452, 460, 465-467, 476, 482, 483, 487, 499, 504, 506, 511, 515, 520, 522, 531, 555-557, 559, 571.
სენაკი - ქალაქი დასავლეთ საქართველოში. კომუნისტური მმართველობის წლებში ერქვა ცხაკაია. 205, 206.
სერბია — რესპუბლიკა იუგოსლავიის შემადგენლობაში. 135.
სვეტიცხოველი (ტაძარი) — კათედრალური ტაძარი მცხეთაში. მისი აგება უკავშირდება წმინდა ნინოსა და საქართველოს პირველი ქრისტანი მეფის, მირიანის სახელს. 352.
სინა — სინას ნახ. კუნძულზე არაბეთსა და აფრიკას შორის, წითელი ზღვის ყურესა და სუეცის არხთან აღმართული მთა. 467.
სიონი (ტაძარი)— ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარი. მისი მშენებლობა დაუწყიათ VI ს. II ნახ. ტაძარი ბევრჯერ დააზიანეს, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ზიანი მას 1795 წელს მიადგა. სიონი აღადგინეს XIX საუკუნეში. იგი ხელახლა მოხატა გ. გაგარინმა. 393, 461.
სიღნაღი — ქალაქი აღმ. საქართველოში. როგორც დასახლებული პუნქტი წყაროებში XVIIIს. I ნახევარში იხსენიება. — 109, 275.
სკოპინი — ქ. გერმანიაში 380.
სმოლენსკი — ქალაქი რუსეთში, მდ. დნეპრზე. 104, 478.
სომხეთი — სახელმწიფო ამიერკავკასიაში. 166, 350, 352, 391.
სოხუმი — საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. აფხაზეთის ადმინისტრაციული ცენტრი. 59.
სპარსეთი — ირანის სახლწოდება 1935 წლამდე. 54, 321, 322.
სტავროპოლი — ქალაქი რუსეთის ტერიტორიაზე. 243, 324.
სტამბოლი — ქ. თურქეთში იგივე კონსტანტინეპოლი, ისტამბული. 116, 117, 134, 135, 307.

ტ

ტრაპიზონი — (ტრაბზონი, ტრაპეზუნტი) ქალაქი ჩრდ.-აღმ. თურქეთში. 1205 — 1461 წლებში იყო ტრაპიზონის იმპერიის დედაქალაქი. 275, 367, 406.

ტრინიდადი — კუნძული ატლანტის ოკეანეში სამხრ. ამერიკის ჩრდ.-აღმ. სანაპიროსთან. სახელმწიფო ტრინიდადი და ტობაგოს ძირითადი ნაწილი. 44.

ტუნისი — სახელმწიფო ჩრდ. აფრიკაში. რესსპუბლიკაა. ადმინისრაციულად იყოფა 19 პროვინციად. 376.

ტფილისი (იხ. თბილისი) — — 16, 22, 26, 38, 40, 43, 49, 52, 55, 57, 74, 76, 77, 80, 84, 85, 86, 88, 89,92-100, 102, 105, 108, 109, 112, 116, 125, 128, 130, 131, 134, 138, 142, 145, 148, 151, 154, 156, 158, 161, 164, 167, 170, 173, 176, 179, 182, 185, 188, 190, 192, 194, 197, 200, 205, 211, 216, 228, 230, 234, 236, 241-245, 247, 249, 250, 253, 254, 255, 261, 264, 268, 269, 270, 272, 275, 277, 281, 285, 288, 290, 292, 298, 301, 304, 306, 307, 309, 311, 314, 317, 318, 324, 327, 330, 333, 342, 344, 347, 350, 355, 358, 361, 366, 368, 372, 376, 379, 381, 384, 387, 389, 391, 394, 397, 399, 405, 410, 412, 415, 418, 421, 423, 424, 429, 432, 434, 436, 439, 443, 445, 448, 460, 470, 471, 473, 476, 480, 482, 490, 495, 499, 502, 504, 508, 511, 514, 516, 520, 522, 528, 531, 534, 543, 555, 570, 573, 600.

ტფილისის გუბერნია — ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული მეფის რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის დროს. 74, 109, 342, 470, 495, 522.

ფ

ფინლანდია (ფინეთი)— სახელმწიფო ჩრდ. ევროპაში, ბალტიის ძღვის სანაპიროზე. სახელმწიფოებრივი წყობა — რესპუბლიკა. 505.

ფოთი — საქართველოს ერთ-ერთ- უძველესი ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე. თანამედროვე ფოთის რეგიონში მდებარეობდა ისტ. ქალაქი ფასისი. ქალაქი განსხვავებული დაგეგმარებით განაშენიანდა 1889-1905 წლებში ნ. ნიკოლაძის ინიციატივით. 333-340.

ფოცხოვი (აჭარაში) —ადმ.-ტერ. ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში, ისტორიულ სამცხეში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). ეკუთვნოდა ჯაყელთა საგვარეულოს. 116.

ქ

ქათამამზვარე — სოფ. დუშეთის მხარეში. 446.

ქართლი — მხარე აღმ საქართველოში. თავდაპირველად ერქვა ახლანდელ მცხეთის რაიონს, მოგვიანებით ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა. ქართლი ეთნიკურ-გეოგრაფიულად ორ მხარეს მოიცავდა: შიდა და ქვემო ქართლს. შემდგომში გაჩნდა ტერმინი ზემო ქართლიც მესხეთის აღსანიშნავად. 155, 340, 353, 411, 466, 536, 615.

ქართლ-კახეთი — აღმ. საქართველოს ორი სამეფო-სამთავრო. გაერთიანდა 1762 წელს. 139, 150, 270, 353, 365, 522, 617.

ქიზიყი — ისტორიული მხარე აღმ. საქართველოში. ძველად *კამბეჩოვანის* სახელით იცნობდნენ. სახელწოდება ქიზიყი XV საუკუნიდან ჩნდება. 466, 536.

ქობულეთი — ქალაქი აჭარაში შავი ზღვის სანაპიროზე. 18, 20, 116, 117, 149, 152, 228, 474, 475.

ქუთაისი — თბილისის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქი საქართველოში. ამ ადგილზე ქალაქის ტიპის დასახლება ძვ. წ. აღ. VI ს-ში დასტურდება. ახსენებენ ძველი ბერძენი ავტორები. 38, 74, 76, 82, 84, 85, 86, 89, 109, 188, 189, 192, 242, 243, 244, 247, 249, 261, 264, 267, 268, 285, 286, 289, 307, 324, 327, 328, 342, 344-347, 411, 421, 469, 470, 520, 522.

ქუთაისის გუბერნია — ადმ.-ტერ. ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1846 წელს. ცენტრი — ქუთაისი. იყოფოდა 5 მაზრად. გაუქმდა 1917 წელს. 74, 188, 189, 192, 324, 421, 469, 470, 522.

ყ

ყაზანი — თათრეთის დედაქალაქი. მდებარეობს მდ. ვოლგის მარცხენა ნაპირზე. 475.

ყარსი — ქალაქი ჩრდ.-აღმ. თურქეთში.. ყარსის ვილაიეთის ადმ. ცენტრი. ქართული წყაროები *კარის* სახელწოდებით იხსენიებენ. 57, 58, 60.

ყირიმი — ყირიმის ოლქი ამჟამად შედის უკრაინის შემადგენლობაში. XV-XVIII საუკუნეში აქ იყო თათართა ფეოდალური სახელმწიფო. 218.

ყუბანი — მდინარე რუსეთის ტერიტორიაზე კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში. 324.

შ

შავშეთი (აჭარაში) — მხარე ისტორიულ სამხ.-დას. საქართველოში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). ადმინისტრაციული ცენტრი იყო ამავე სახელწოდების დაბა. 365,
შავშეთ-იმერეთი — 152.
შამბორი — 399.
შვეიცარია — სახელმწიფო ცენტრ. ევროპაში. სახელმწიფოებრივი წყობით ფედერაციული რესპუბლიკაა. 202, 422.
შორაპანი — დაბა ზესტაფონის რაიონში. ისტორიულად არგვეთის საერისტავოს ადმინისტრაციული ცენტრი იყო. 130, 415.
შუშა —ქალაქი დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 300.

ჩ

ჩერნოგორია — რესპუბლიკა იუგოსლავიის შემადგენლობაში. 135.
ჩინეთი — სახელმწიფო ცენტრ. და აღმ. აზიაში. მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში უდიდესი. 133, 134, 136, 270, 301.
ჩოლოქი (აჭარაში) — მდინარე ქობულეთის რაიონში, ნატანების მარცხენა შენაკადი. 191.
ჩრდილო-ამერიკა — ამერიკის კონტინენტის ჩრდილოეთი ნაწილის სახელწოდება. 43.

ც

ციმბირი — ტერიტორია ურალის ქედიდან წყნარი ოკეანის სანაპირომდე. შედის რუსეთის შემადგენლობაში. 159, 243, 315, 518.
ციხისძირი — საქართველოში ამ სახელწოდების რამდენიმ,ე სოფელია დუშეთის, მცხეთის და ქობულეთის რაიონებში. 338.

ჭ

ჭკადუაში — სოფელი ზუგდიდის რაიონში. მდ. ჩხოუშის ნაპირას. 424.
ჭონტილი — სოფელი დუშეთის რაიონში, ბაზალეთთან ახლოს. 446, 447.

ჭოროხი — (ჩორუჰი) მდინარე საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე. ჩაედინება შავ ზღვაში. 338, 475.

ხ

ხარაგაული — დაბა დასავლეთ საქართველოში. 415.
ხარფუხი — თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. უფრო ადრე სეიდაბადი ეწოდებოდა. უბანს სახელი ეწოდა თაბორის მთის ძირას მდებარე საკულტო დანიშნულების ქვის გამო. 573.
ხევი — მხარე აღმ. საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის კალთებზე. მოიცავს თრუსოს, სნოსწყლის და თერგის ხეობებს. ახლანდელი ყაზბეგის რაიონის ტერიტორია. 466.
ხმელთაშუა ზღვა — ატლანტის ოკეანის კონტინენტთშორისი ზღვა. 449.
ხონი — დაბა დას. საქართველოში. კომუნისტური მმართველობის წლებში ეწოდებოდა წულუკიძე. 188, 189.
ხოსროვაბადი 322

ჯ

ჯავის ხეობა — მდებარეობს ოსეთის კავკასიონის მთავარი ქედის სახრეთით. მოიცავს მდ. დიდი ლიახვისა და მისი შენაკადის, ფაწის აუზს. 502.

3. ჟურნალ-გაზეთების, წიგნების და ცალკეულ გამოცემათა საძიებლები

აბზორი (იხ. ობზორი) 93, 96, 97.

ბათუმის ფურცელი (Батумский листок) 341, 342.

გოლოსი (Голос) – ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1863-84 წწ-ში. 381.

გუთნის დედა – ორკვირეული სასოფლო სამეურნეო გაზეთი (1873 წლიდან). გამოდიოდა 1862-1876 წლებში. 183.

გულსთმისანი – კ. უმიკაშვილის სამმოქმედებიანი კომედია. 90.

დროება – (1866-1885) – საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. 77, 94, 97, 189, 255, 258, 259, 333, 342, 343, 348, 372, 397, 420, 460, 461.

ვახტანგის კანონი – მეფე ვახტანგ IV-ის (1675-1737) მიერ შედგენილი კანონთა წიგნი. 155.

ვეფხისტყაოსანი – 176.

ზია – აზერბაიჯანული გაზეთი. 361.

თილისმით მოარშიყე – გიორგი ერისთავის ვოდევილი. 46.

თფილისის მოამბე (Тифлисский вестник) ყოველდღიური საპოლიტიკო და ლიტერატურული გაზეთი გამოდიოდა თბილისში 1873-1882 წლებში. დაარსა კ. პ. ბებუთოვმა. 46.

ივერია – საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი გამოდიოდა თბილისში (1877-1885). 420, 486-489, 514, 520, 524, 525, 550, 558, 559, 565, 566, 613.

იმედი – (1881-1883) – ყოველთვიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი. 183.

კავკაზი (Кавказ) – ამიერკავკასიის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1846-1851 წწ-ში. 99, 117, 173, 174, 175, 185, 200, 202, 205, 241-244, 258, 361, 424, 566.

კვალი – 485-489, 524, 526, 564.

კრებული – ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი გამოდიოდა თბილისში 1871-1873 რედაქტორი გიორგი წერეთელი. 183, 418.

მე მინდა კნეინა გავხდე – ზურაბ ანტონოვის კომედია. 46, 47.

მეღუ ჰაისტანი – სომხური გაზეთი. –

მიმოხილვა ჟურნალი, რომლის გამოცემაც ნავარაუდევი იყო, მაგრამ ვერ მოხერხდა. 183.

მნათობი – სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში, თვეში ერთხელ, რედაქტორი ნიკოლოზ ავალიშვილი. 183, 418.

მოსკოვის ტელეგრაფი (Московский телеграф) – ჟურნალი, გამოდიოდა მოსკოვში 1825-34 წლებში, რედაქტორი-გამომცემელი ნ. ა. პოლევოი. 380.

მშაკი – სომხური გაზეთი. 164, 165, 166, 548.

ნოვოე ვრემია – „Новое Время“ – რუსული გაზეთი (1868-1917), გამოდიოდა პეტერბურგში. თავდაპირველად იყო ლიტერალური, შემდეგ – კონსერვატიული, 1905 წლიდან იქცა შავრაზმელთა ორგანოდ. 173, 317, 320, 325, 342.

ობზორი – (обзор) სალიტერატურულო-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში, რედაქტორ გამომცემელი ნიკო ნიკოლაძე. 51, 97, 104.

როსსია – (Россия) 173.

რუსსკი კურიერ – (Русский курييръ) 380.

სასოფლო გაზეთი – ყოველკვირეული (ზოგჯერ ორკვირაში ერთხელაც გამოიცემოდა) გამოდიოდა თბილისში 1868-1880 წწ. რედაქტორები სხვადასხვა დროს იყვნენ: გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი. 183.

საქართველოს მოამბე – სალიტერატურო ჟურნალი, რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე, გამოვიდა 12 წიგნი 1863 წელს. 418.

სახარება – 167, 168, 176, 393, 570.

ს. პეტერბურგის უწყებანი (Санкт-петербургские ведомости) 57, 59.

ტაიმსი (ლონდონის გაზ.) 378.

ტფილისის უწყებანი – ყოველკვირეული გაზეთი, (სალიტერატურო ნაწილი კი თვეში ორჯერ)გამოდიოდა 1828-1832 წწ-ში კირვა რუსულ, „Тифлисские ведомости“-თან ერთად და წარმოადგენს თარგმანს. 418.

ქართლის ცხოვრება – 155.

ყურანი (ყურანი) – 167.

ცისკარი – 183, 418.

„ცნობის ფურცელი“ – 541, 550, 552 ,553, 563.

Крылов Виктор, Очеркъ театрального дела въ Европе.

თემატური საძიებელი

I. ისტორია, რელიგია, არქეოლოგია

არქეოლოგიური კრება 264-265
გალობა 573-574
ეკლესიის ისტორია 350-354
რელიგიური დღესასწაულები 208-210
საეკლესიო ქონება 306-308
საძღვდელოება 415-417, 555-557, 570-572, 610-617,
სასულიერო განათლება 495-498
სხვადასხვა რელიგიური საკითხები 465-467, 476-479
ცრურწმენა 508-510
ძველი ტაძრების ბედი 514-515
წმინდანთა მოხსენიების დღეები 391-399, 405-409

II. პოლიტიკა.

მიწების გასხვისება 499-507
პოლემიკა სოციალ-დემოკრატებთან 456-458, 485-489, 524-527, 541-554, 558-569
პოლიტიკური დასები 511-513
ქართველ მუსულმანთა საკითხები 18-21, 57-59, 116-118, 145-153, 156-157, 167-169,
179-181, 228-229, 245-246, 366-371, 473-475,

III. ეროვნული საკითხი და სწავლა-განათლება

არჩევნები 394-396, 402-404
აჭარის სკოლების შესახებ 77-79, 138-141, 190-193, 281-284, 364-365
განათლების ხარჯები 327-329
ერობა 397-398
ეროვნული პრობლემები 255-280, 298-300, 317-320, 432-433
კავკასიის უნივერსიტეტი 52-56, 88-89
რეფორმები 439-442
ქუთაისის საოსტატო სემინარია 188-189
ქალთა განათლება 468-470
განათლება და დასაქმება 230-233
განათლების პრობლემები 247-249

IV. ადმინისტრაცია და ადგილობრივი მმართველობა

ადგილობრივი მმართველობის სრულყოფა 309-316
ახალი მთავარმართებლის დანიშვნა 288-289
განათლების მინისტრის დანიშვნა 236-240
გიმნაზიის მმართველობა 272-274
კავკასიის ნრეფორმები 358-360
სახელმწიფო მმართველობა 460-464
სოფლის ადმინისტრაცია 255-257
ქალაქის საბჭო 185-187, 214-215

V. სოციალური საკითხები, ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა

ამხანაგობები 26-29, 412-414482-484
ბანკი 74-76, 84-87, 344-349
გადასახადები 22-25, 40-42, 43-45
გლეხთა მდგომარეობა 471-472
თავადაზნაურთა პრობლემები 516-519
იმერელი მოსამსახურეები 158-160
კონკა 443-444
მამულების შესყიდვა
რკინიგზა 480-481, 534-540,
სოციალური საკითხები 108-110
ფოსტა-რკინიგზა 301-303,
წოდებათა ურთიერთდამოკიდებულება 355-357
ხარჯები 292-293
ხიზნები 445-447

VI. სოფლის მეურნეობა

კალია 99-101
სოფლის აღორძინება 490-494, 520-522
სოფლის პრობლემები 528-530
მამულების გამოსყიდვა 61-63, 290-291, 296-297
საფლის პროდუქციის ბაზარი 253-254

VII. პრესა, ეთიკა და სამართალი

ახალი ქართული გაზეთი 261-263
„ბათომის ფურცელი“ – 341-343
დანაშაული 38-39, 49-51,
„მიმოხილვა“ 182-184
პატიმრებზე ზრუნვა 105-107
პოლემიკა „გოლოსთან“ 324-326
პოლემიკა „თფილისის მოამბესთან“ 92-98
პოლემიკა „კავკაზთან“ 200-202, 205-207, 241-244
პოლემიკა ობზორთან 102-104
პოლემიკა რუსულ გაზეთებთან 173-175
პოლემიკა სომხურ გაზეთებთან 164-166,
პროვინციული გაზეთები 304-305
ჟურნალისტებისადმი დამოკიდებულება 80-83
საზოგადოების თანამშრომლობა პრესასთან 410-411
სასამართლო 429-431, 125-127
ქართული პრესა 418-423
ცილისწამება 285-287

VIII. ჯანმრთელობა, მედიცინა და კულტურა

გამაჯანსაღებელი ღონისძიებები 330-332
გახშირებული ავადმყოფობები 387-390
ექიმების შესახებ 211-213
ექიმთა ლექციები მოსახლეობისათვის 427-428
„ვეფხისტყაოსანი“ 176-178, 203-204.
თეატრალური წარმოდგენები 30-37, 46-48, 61-65, 70-73, 90-91, 111-115, 219-227.
ლიტერატურული კრიტიკა 66-69, 601-607
მოსწავლეთა ჯანმრთელობა 531-533
ქართული თეატრი 11-16, 119-124, 258-260, 266-268, 575-600,
ძველი წიგნები 154-155

IX. ქართული ენის საკითხები

უყურადღებობა ენის მიმართ 361-363
ქართული ენა სასამართლოებში 128-130, 142-144
ქართული ენა საშუალო სასწავლებლებში 170-172
ქართული ენის პრობლემები 128-130, 142-144,

X. საზღვარგარეთის ამბები

ავსტრია 434-435
ევროპა 376-378
რუსეთი 234-235, 379-380
საფრანგეთი 216-218, 381-383, 399-401
სახელმწიფო მთლიანობის დაშლა 436-438
უცხო ქვეყნები 131-137, 448-449

XI. სხვადასხვა

განვლილი წლის მიმოხილვა 194-196, 384-386
თბილისის გიმნაზიის იუბილე 269-271
მილოცვა კურსდამთავრებულებს 250-252
ნეკროლოგი 321-323
საახალწლო მილოცვა 197-198, 372-373
სასაფლაოს მიწები 424-426
საღამოზე წარმოთქმული სიტყვა 452-453
ქალაქების დაგეგმარება 333-340

ს ა რ ჩ ე ვ ი

1879 წელი

ქართული ტრუპპის შესახებ....11 / 625

1880 წელი

რა გავაკეთეთ ბათუმში?....18 / 629
არაყის ბაჟი....22 / 631
ჩვენი ხელოსნობა და ხელოსნები....26 / 631
თეატრის მატიანე გაბუნიას ქალის ბენეფისი: "კინტო", კომედია აკ. წერეთლისა. "ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ", რუსულიდამ გადმოკეთებული თ. რ. ერისთავისაგან. ....30 / 632
ერთს პატარა შემთხვევაზე....38 / 633
<ჩვენი ეკონომიკა>....40 / 633
<თვითმმართველობის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის> ...43 / 634
თეატრის მატიანე....46 / 634
ასათიანის მოკვლაზედ....49 / 635
კავკასიის უნივერსიტეტი....52 / 636
ვისთვის არის ეს საჭირო?....57 / 637
თეატრის მატიანე....61 / 637
ფიქრი და შენიშვნა....66 / 638
თეატრის მატიანე კოტე მესხის ბენეფისი: "სკაპენის ცულლუტობა", კომედია მოლიერისა. "ბუტიაობა", ვოდევილი აკაკი წერეთლისა....70 / 639
<ქუთაისის ბანკის უფლებამოსილების გაფართოება>....74 / 639
პირველი შკოლა ბათუმში....77 / 640
კორრესპონდენტი და საზოგადოება....80 / 641
<ქუთაისის ბანკის ხელსაყრელი პირობები>....84 / 642
საფუძველი კავკასიის უნივერსიტეტისა....88 / 642
თეატრის მატიანე „გულთმისანი" კომედია სამს მოქმედებად, პ. უმიკაშვილისა....90 / 643
ერთი შენიშვნა „თფილისის მოამბეს"....92 / 644
კიდევ „თფილისის მოამბეს"....95 / 644
კალიის გამოსვლა....99 / 646
მთქმელს გამგონი ეჭირება....102 / 647
ტუსაღებისათვის....105 / 648

საზოგადო ჭირს საზოგადო შველა....108 / 648
თეატრის მატიანე „კრიჟანგი", კომედია მოლიერისა. ხუთი მოქმედება. ....111 / 649
თეატრის მატიანე „მზის დაბნელება", კომედია ანტონოვისა. სამი მოქმედება. „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა", ვოდევილი....114 / 649
მაჰმადიან ქართველთა ბედი....116 / 650
ქართული თეატრის მატიანე....119 / 650
სასამართლოები ჩვენში....125 / 651
ქართული ენა სასამართლოებში....128 / 652
ერთი კვირა უცხოეთში....131 / 653
პირველი შკოლა ბათუმში....138 / 653
სასამართლო და ადგილობრივი ენები....142 / 654
ბათომის გუბერნატორის განცხადება....145 / 654
თახშირის გადახდა ბათომის მაზრაში....148 / 654
ბათომის მაზრის მოხელეთ მოპყრობა მცხოვრებლებთან....151 / 656
კიდევ ძველ წიგნებზე....154 / 656
დაბრუნებული აფხაზები....156 / 657
იმერელი მოსამსახურენი თბილისში....158 / 657
გლეხკაცებისაგან მამულის შეძენა....161 / 658
სომხური გაზეთების პოლემიკა....164 / 658
მაჰმადიანთ გაქრისტიანება....167 / 659
ქართული ენა ჩვენს საშუალ სასწავლებლებში....170 / 659
ახირებული ლოგიკა გაზ. „კავკაზისა"....173 / 660
„ვეფხვისტყაოსნის" რედაქცია....176 / 661
აჭარის მდგომარეობა....179 / 661
დაბადებამდი სიკვდილი....182 / 662
ქალაქის რჩევის უსაქმობა....185 / 662
ქუთაისის საოსტატო სემინარია....188 / 663
ბათომის სკოლა....190 / 663
გავლილი 1880 წელიწადი....194 / 664
საახალწლო მოლოცვა....197 / 664

1881 წელი

ორიოდე სიტყვა „კავკაზს"....200 / 665
ცნობა რუსთაველზედ....203 / 666
„მეცამეტე გოჭები"....205 / 666
წმ. ნინოს დღეობა....208 / 668
ჩვენი ექიმები....211 / 669

ქალაქის რჩევის სხდომა....214 / 669
გამბეტტას ძლიერება....216 / 670
თეატრის მატიანე მ. მოხევის ბენეფისი: „აღმზრდელებში“, კომედია ორს მოქმედებად, თხზულება მოჩხუბარიძისა. „ყველაფერი ბედზედ არის“, ვოდევილი იმავე ავტორისა. ....219 / 670
თეატრის მატიანე „ჟოზეფ პარიჟელი კინტო“, კომედია ორს მოქმედებად....223 / 671
ბათომის მაზრის დაცარიელება....228 / 671
ჩვენი ახალგაზდობის მოვალეობა....230 / 672
<როგორ პოლიტიკას აირჩევს რუსეთი>....234 / 673
განათლების ახალი მინისტრის დანიშვნა....236 / 673
„კავკაზის“ აზრი კავკასიის უნივერსიტეტზე....241 / 674
ბათომის ახალი გუბერნატორი....245 / 674
სწავლა-განათლების საქმე....247 / 675
კურსშესრულებულებს....250 / 675
სოფლის მწარმოებლები....253 / 676
მიეცით მამასახლისებს შესაფერი პატივი....255 / 676
ქართული თეატრის შესახებ....258 / 677
ახალ ქართულ გაზეთს....261 / 678
არხეოლოგიურ კრების გათავება....264 / 678
თეატრის შესახებ (პასუხია.მოჩხუბარიძეს)....266 / 679
თფილისის გიმნაზიის იუბილეი....269 / 681
ბ. მარკოვის საჩივარი....272 / 681
ქართველები საქართველოში....275 / 682
ბათუმის სკოლა....281 / 682
იმერული „დანოსები“....285 / 683
თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნაზე....288 / 683
გლეხთაგან მამულების გამოსყიდვა....290 / 684
უსაფუძვლო საყვედური....292 / 684

1882 წელი

ბატონყმობის საქმის გათავება....296 / 685
<სხვადასხვა ერების უცნაური მდგომარეობა კავკასიაში>....298 / 685
ჩვენი ფოჩტა და რკინისგზა....301 / 686
პროვინციალური გაზეთები....304 / 686
ქართველთ ქონება ათონის მთაზე....306 / 686
ჩვენი საჭიროებანი....309 / 687
ერთიც ახალი გამოლაშქრება....317 / 688

<ალექსანდრე ბატონიშვილის ძის—ერეკლეს გარდაცვალების გამო>....321 / 688
რუსის ცრუ-პატრიოტს....324 / 689
საყურადღებო შედარება....327 / 690
სახალხო დროსგატარება....330 / 690
ბათუმისა და ფოთის შესახებ....333 / 690
ახალი გაზეთი „ბათომის ფურცელი“....341 / 691
ქუთაისის ბანკის მდგომარეობა....344 / 692
მავნებელი დედააზრები....347 / 692
ერთი საინტერესო საგანი....350 / 692
შენიშვნა....355 / 693
კავკაზიის რეფორმები....358 / 693
<უყურადღებობა ქართული ენის მიმართ>....361 / 694
ბათომის სკოლის თაობაზედ....364 / 694
ბათომი და ბათომელები....366 / 695
საახალწლო....372 / 695

1883 წელი

გავლილი წელიწადი ევროპაში....376 / 696
გავლილი წელიწადი რუსეთში....379 / 696
გამბეტას დამარხვა....381 / 697
შარშანდელი წელიწადი ჩვენში....384 / 697
გახშირებული ავადმყოფობა....387 / 698
წმინდა ნინოს დღესასწაული....391 / 698
ქალაქის თავის არჩევანი (ახალი რჩევა ქალაქისა...) ....394 / 699
ჩვენი თავადაზნაურობა და ერობა....397 / 700
საფრანგეთში....399 / 700
ქალაქის თავის არჩევანი (გავლილ კვირას, 23-ს...). ....402 / 700
წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი....405 / 701
დრონი იცვალნენ....410 / 701
ერთი სახსართაგანი ჩვენში მეურნეობის წარმატებისათვის....412 / 702
სამღვდელოებაზედ....415 / 702
ჩვენი ჟურნალ-გაზეთების საქმე....418 / 703
ვიწროობა....424 / 703
ლექციების შესახებ....427 / 704
სამართალი მწრაფლი და მართალ....429 / 704
წინამძღოლი არა გვყავს....432 / 705

ავსტრიის ვარამი....434 / 705
დიდი ოჯახი დაგვერღვა....436 / 705
უკანასკნელი რეფორმები....439 / 706
ქალაქის რჩევას....443 / 706
ხიზნების მდგომარეობა....445 / 707
უცხოეთში....448 / 707

1884 წელი

<სიტყვა წარმოთქმული თბილისელ ფრანგთა საზოგადოებისათვის გამართულ საღამოზე>....452 / 707

1900 წელი

სიმვოლო სარწმუნოებისა....456 / 708

1902 წელი

ტფილისი, 1 იანვარი 1902 წ. ....460 / 711
საქართველოს ახალი ეგზარხოსი....465 / 712
დედათა განათლება ჩვენში....468 / 712
<გლეხკაცის გასაჭირი>....471 / 713
<მუსულმან ქართველთა საკითხი>....473 / 713
<ქართული საგალობლების მნიშვნელობა>....476 / 714
<რკინიგზის მოლოდინი კახეთში>....480 / 715
<საერო დაწესებულებანი>....482 / 715
ხ ი ლ ა დ „კვალის“ მოსაუბრეს („კვალი № 27) ....485 / 716
<როგორ ავაღორძინოთ სოფლის მეურნეობა>....490 / 717
<გამოცდები სემინარიაში>....495 / 717

<ნუ დავუკარგავთ შთამომავლობას მამულ-დედულს>....499 / 718
<ისევ მამულების გაყიდვის შესახებ>....502 / 719
<ცრუმორწმუნოების მორევში>....508 / 719
<დასობანა — სახიფათო თამაში>....511 / 720
<ქართული ტაძრების ბედი>....514 / 721
<მთავრობის მხარდაჭერა>....516 / 721
<თავადაზნაურთა მოვალეობა>....520 / 722
საკენკად „სამშობლოს ცაზედ“ ხეტიალას („კვალი“ №52) ....524 / 722
<თავკაცთა უვარგისობა სოფლად>....528 / 723

<მოსწავლეთა ჯანმრთელობა — უპირველესი საზრუნავი>....531 / 723
<საგზაო საქმის მნიშვნელობა>....534 / 724
<ვაშა, ბ-ნო ქართველო დეფო!“> ....541 / 724
<გათეთრება შავისა>....543 / 725

1903 წელი

ხ ი ლ ა დ ახალ თაობის რაინდს....548 / 725
<თავისი სამწყსოს „სარკე“ და „სანთელი“>....555 / 726
აი ძმობა !? ....558 / 727
ბ-ნ ალ. ხატისოვის „ღაღადი“....561 / 727
კუდაბზიკობის მოსარჩლე....565 / 728
<სამწუხარო ცნობა>....570 / 729
<ძვირფასი განძი>....573 / 729
ქართული თეატრი და მისი რეჟისურა....575 / 730
წლიურად შენახვა ქართულ დასისა....597 / 731
სალიტერატურო პრემია „შურდულის“ რედაქციისა....601 / 731

1904 წელი

ძველი და ახალი სამღვდელოება....610 / 732

შენიშვნები და კომენტარები....619
ტექსტისათვის....621
საძიებლები....735
პირტა საძიებელი....735
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი....752
ჟურნალ-გაზეთების, წიგნების და ცალკეულ გამოცემათა საძიებლები....766
თემატური საძიებელი....768

ИЛЪЯ ГРИГОРЪЕВИЧ ЧАВЧАВАДЗЕ

ПОЛНОЕ СОБРАНИЕ СОЧЕНЕНИЙ

В 20-ти ТОМАХ

ТОМ XV

(На Грузинском языке)

ТБИЛИСИ

“ИЛИАС ФОНДИ”

2007

კორექტორი: ელენე ბედუკაძე
ტექსტი ააწყო: რუსუდან ბერიშვილმა
დააკაბადონა: ნიკოლოზ ბერიშვილმა

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო